თეიმურაზ ფანჯიკიძე

რელიგიური პროცესები საქართველოშიXX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე

ანოტაცია

წიგნში შეტანილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ყველაზე უფრო აქტუალური და მძაფრი წერილები, დიალოგები, პოლემიკური სტატიები და ინტერვიუები, რომლებშიც ასახულია საქართველოში მიმდინარე წინააღმდეგობრივი რელიგიური პროცესები მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

მსოფლიოში განვითარებული სოციალური და რელიგიური მოვლენების ფონზე ყურადღება მახვილდება რელიგიურ ცხოვრებაზე საქართველოში, მის სპეციფიკაზე, ეროვნულისა და რელიგიურის მიმართებაზე, რელიგიური ფაქტორის როლზე საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ქართველთა ტოლერანტულ ბუნებაზე, თანამედროვე საზოგადოების და მართლმადიდებელი სამღვდელოების ურთიერთობაზე, რელიგიური უმცირესობების ბედზე საქართველოში, ამ საკითხებთან დაკავშირებულ პოლემიკურ წერილებზე, ინტერვიუებზე როგორც სხვადასხვა აღმსარებლობის ღვთისმეტყველებთან, ასევე თვით ავტორთან.

წიგნში თანამედროვეობასთან კავშირში ქვეყნდება საინტერესო მასალები იესო ქრისტეზე, ბუდაზე, მუჰამედზე და იმ ისტორიულ პირებზე, რომლებიც თავისი თავის ღმერთად გამოცხადებას ცდილობდნენ (ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი).

რედაქტორი: პროფესორი რ. ბალანჩივაძე
რეცენზენტები: პროფესორი ო. გაბიძაშვილი
დოცენტი თ. ყანდარელი

შესავალი

სასტიკი, შფოთიანი და სისხლიანი XX საუკუნე სულ ცოტა ხნის წინ ისტორიის კუთვნილებად იქცა. წარსულს ჩაბარდა კაცობრიობის ცხოვრების ასწლეული, რომელიც სხვა საუკუნეებთან შედარებით გამოირჩეოდა საოცარი დინამიურობით, მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული წინსვლით, ატომური ენერგიის აღმოჩენით, ხელოვნური თანამგზავრების შექმნით, მთვარეზე პირველი ადამიანების დაჯდომით, ტელევიზიის არნახული ბატონობით, მოწინავე ქვეყნების სრული კომპიუტერიზაციით, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა საოცრებებით.

ამასთანავე, XX საუკუნე იყო სისხლიანი რევოლუციების, უსასტიკესი ომების, კოლონიური სისტემის მსხვრევისა და ახალი მსოფლიოს შექმნის ხანა.გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სხვა საუკუნეში მსოფლიოში არ მომხდარა ისეთი სწრაფი სოციალური ცვლილებები, არ დაღვრილა იმდენი სისხლი, როგორც გასულ საუკუნეში.

გარდა ამისა, სპეციალისტთა აღიარებით, XX საუკუნე იყო რელიგიის კრიზისის საუკუნეც, რადგან სწორედ ამ ასწლეულში შეირყა ყველაზე მეტად რელიგიისა და ეკლესიის ყოვლისშემძლეობის იდეა, მნიშვნელოვნად დაეცა სასულიერო პირთა ავტორიტეტი, მათი გავლენა კაცობრიობაზე და ადამიანთა ცხოვრების წესზე.

ნდობაშერყეული რელიგიური ფასეულობების ნაცვლად ადამიანთა ერთმა ნაწილმა წამოაყენა ახალი ფასეულობები, რომლებიც ათეისტურ შეხედულებებს ეყრდნობოდა. ამ დროს წარმოქმნილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა კი სცადეს სულაც რელიგიისა და ღმერთის გარეშე ეცხოვრათ. მართალია, საბოლოო ჯამში, აქედან არაფერი გამოვიდა, მაგრამ თვით ასეთი მცდელობაც კი დამაფიქრებელი ფაქტი გახდა საზოგადოებისათვის.

ადამიანთა ცხოვრებაში ასეთი უმნიშვნელოვანესი ძვრებისა და ცვლილებების მიუხედავად, XX საუკუნის ბოლოს ისევ მოხდა შემოტრიალება რელიგიის სასარგებლოდ. ათეისტური საზოგადოების შექმნის იდეამ იმედები ვერ გაამართლა.ადამიანთა დიდი ნაწილი მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაცობრიობას, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, რელიგიისა და ღმერთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, რომ იგი იოლად ვერ გადის რელიგიური ზნეობისა და სულის უკვდავების იდეის გარეშე. ცხადია, ეს არ არის იმ დონის რელიგიურობა, რომელიც შუა საუკუნეებისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ჩვენს დროში რელიგიის საჭიროებასა და მოთხოვნილებაზე აშკარად მიუთითებს.

აქედან გამომდინარე, ბევრი თეოლოგი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ კულტურულ-ისტორიული თეზა რელიგიის აღსასრულის შესახებ აშკარად ყალბია, და რომ ვერც ლ. ფოიერბახის ჰუმანიზმმა, ვერც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ათეისტურმა სოციალიზმმა, ვერც ზ. ფროიდისა და ბ. რასელის ათეისტურმა მეცნიერებამ ვერ მოახერხა რელიგიის შეცვლა. და რომ დღეს ლაპარაკობენ პოსტიდეოლოგიური და არა პოსტრელიგიური საუკუნის შესახებ...

ძნელია, ყველაფერში დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან საუკუნეთა მანძილზე რელიგია თვით გამოდიოდა ერთადერთი იდეოლოგიის როლში, მაგრამ ის, რომ თანამედროვე ხანაში რელიგია ძალას იკრებს (განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ

სივრცეში), უტყუარი ფაქტია. თუმცა, როგორც ყველა მოვლენას, რელიგიის ძალის მოკრებას თან სდევს საწინააღმდეგო ქმედებებიც, რომლებიც უპირისპირდება სამყაროს რელიგიურ გაგებას და რელიგიური ცხოვრების წესს.

და მაინც, შეიცვალა თუ არა რელიგია XX საუკუნეში? ამ მნიშვნელოვან კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ: რასაკვირველია, შეიცვალა. რაც უნდა თავგამოდებით ამტკიცოს ზოგიერთმა თეოლოგმა, რომ რელიგია მარადიულია, ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული და მასში არაფერი იცვლებაო, ცხოვრებას მაინც თავისი მიაქვს. ახალი პირობები, ისტორიული მოვლენები და გარემოებები დიდ გავლენას ახდენს როგორც ადამიანთა ცხოვრებაზე, ისე რელიგიურ პროცესებზე.

ამიტომ, ჩვენ უფრო იმ ღვთისმეტყველთა მოსაზრებას ვეთანხმებით, რომლებიც აღიარებენ, რომ ქრისტიანობა არის გარდაქმნისუნარიანი და ნებისმიერი ყოფისადმი შეგუებისუნარიანი რელიგია.

და თუ, რომელიმე რელიგიური მიმდინარეობა იგნორირებს ახალ გარემოებებს, ადამიანთა სოციალურ მოთხოვნებს და შორდება რეალობას, მაშინ იგი აშკარად კარგავს გავლენას მოსახლეობაზე. მის ყოფილ მორწმუნეთა ბაზაზე წარმოიშობიან ახალი მიმართულებები, დენომინაციები თუ სექტები, რომლებიც საზოგადოების გარკვეული ფენების სასიცოცხლო ინტერესებსა თუ მოთხოვნებს გამოხატავენ. სწორედ ამიტომ მოიცვა მსოფლიო XX საუკუნეში ათასი ჯურის სექტანტურმა მოძრაობამ და ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ხალხებში, გავრცელებისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგი პოვა.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგია მჭიდრო კავშირშია პოლიტიკასთან. იგი ხშირად განსაზღვრავს სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ხალხების სიმპათია-ანტიპათიას, ურთიერთდამოკიდებულებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს. იგი კვლავაც დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში.

სამწუხაროდ, როგორც წარსულ საუკუნეებში, ასევე ჩვენს ცხოვრებაშიც, რელიგიათა როლი ხშირად უკავშირდება უარყოფით, დამანგრეველ როლს ამ ურთიერთობაში.

“უდაოდ ტრაგიკული ფარსია, - წერენ ახალი რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები, - რომ ორგანიზებული რელიგია, რომლის არსებობის ჭეშმარიტი მიზეზიც ძმობისა და მშვიდობის საქმისადმი მსახურებას გულისხმობს, მეტისმეტად ხშირად იქცევა ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასალახ წინააღმდეგობად. ამგვარ განსაკუთრებულ მტკივნეულ ფაქტად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ მისი კეთილი სახელის ქვეშ დიდხანს იყო შეფარული ფანატიზმი. ორგანიზებული რელიგია მეტწილად მომავლის ზღურბლთან პარალიზებულ მდგომარეობაში დგას, იმავე დოგმებითა და ჭეშმარიტების წვდომის პრეტენზიებით შეპყრობილი, რომლებიც ზოგიერთ ძალიან მწვავე კონფლიქტის გაჩაღებაზე, პლანეტის მკვიდრთა შორის განხეთქილების ჩამოგდებაზეა პასუხისმგებელი.

ამას მოჰყვება ადამიანთა კეთილდღეობის დამანგრეველი შედეგები. არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, დაწვრილებით იქნას ჩამოთვლილი ფანატიზმის გამოხდომების გამო უმწეო მოსახლეობისათვის თავს დატეხილი საშინელებანი, ეს ხომ რელიგიის სახელს არცხვენს და ამგვარი გამოვლინებანი ახალი როდია. მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან გავიხსენოთ თუნდაც XVI საუკუნეში ევროპაში გაჩაღებული რელიგიური ომები, რაც ამ კონტინენტს დაახლოებით მოსახლეობის 30%-ის ფასად დაუჯდა. საჭიროა, დავფიქრდეთ, რა მოსავალი მოიმკო ადამიანთა

შეგნებაში სექტანტური დოგმატიზმის ბრმა ძალების მიერ დათესილმა თესლმა, ამგვარი კონფლიქტები რომ აღმოაცენა. “ **THE UNIVERSAL HOUSE OF JUSTICE, Baha’i World Centre, 2002, 1-3.).**

დაახლოებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული გერმანელ-შვეიცარიელ კათოლიკე თეოლოგს ჰანს კიუნგს, რომელიც შენიშნავს, რომ რელიგიას “ნგრევის საქმეში უსაშველოდ ბევრი რამ შეუძლია მოიმოქმედოს და დღესაც ჩადის. უეჭველია, ამდენი დავა, სისხლიანი კონფლიქტები, თვით “რელიგიური ომებიც~ მათ ანგარიშზე მოდის. რელიგიები იყვნენ მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებისა და გაღვივების თანამონაწილენი და მათ ლეგიტიმური გახადეს ორივე მსოფლიო ომი.

მრავალი ომი და მასობრივი მკვლელობა ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონში მარონიტ ქრისტიანთა, სუნიტ და შიიტ მუსულმანთა, სირიელთა, პალესტინელთა, დრუზთა და ისრაელიტთა, აგრეთვე ირანსა და ერაყს, ინდოელებსა და პაკისტანელთ, ინდუსებსა და სიკჰებს, სინგალის ბუდისტთა და ტამილელ ინდუსებს, ადრე აგრეთვე ბუდისტ ბერებსა და ვიეტნამის კათოლიკურ რეჟიმს შორის, ხოლო დღეს კვლავ ჩრდილოეთ ირლანდიელ კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის იყო და არის უკიდურესად ფანატიკური, სისხლიანი და უმოწყალო, რადგან მათ რელიგიური საფუძველი ჰქონდათ. ლოგიკა? თუ თავად ღმერთი ჩვენთანაა, ჩვენს რელიგიასთან, კონფესიასთან, ეროვნებასა და ჩვენს პარტიასთან, მაშინ ჩვენი დაპირისპირებული მხარის წინაღმდეგ, რომელიც, თანახმად ლოგიკისა, ეშმაკეული უნდა იყოს, ყველაფერი ნებადართულია. მაშინ უკვე ღმერთის სახელით შეიძლება დაუნდობლად ანგრიო, დაწვა, დახოცო."(ჰანს კიუნგი) ”მსოფლიო ზნეობა" (პროექტი), გამომცემლობა “ჯისიაი", 1998, #124).

თუმცა ჰ. კიუნგი ასახელებს საპირისპირო მაგალითებსაც. კერძოდ, საუბრობს გერმანიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში მომხდარ ამბებზე,როდესაც რელიგიებმა პოზიტიური კონსტრუქციული თვალსაზრისით მრავალი რამის გაკეთება შეძლეს, რითაც ხელი შეუწყვეს ეთიკურ რელიგიურად პირობადებული ვიზიონის ხორცშესხმას, რათა ამიერიდან სამუდამოდ მოეღოს ბოლო ომებს ევროპის სახელმწიფოთა შორის....

მაგრამ, ყოველივე ეს, მაინც ძალიან ცოტაა იმ დაპირისპირებებთან და კონფლიქტებთან შედარებით, რომლებიც რელიგიური მიზეზებით, მოტივაციითა თუ საბაბით ხდება დღეს მსოფლიოში.

მართლაც, ზემოთ ჩამოთვლილ რელიგიურ დაპირისპირებებს, ცხადია, უნდა დაემატოს სხვა კონფლიქტებიც, რომლებიც ჰ, კიუნგის წიგნის გამოსვლის შემდეგ მოხდა. მათ შორის _ იუგოსლავიაში, ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში,. ამ ამბებს, როგორც ცნობილია, მსხვერპლი მოჰყვა, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. შემდეგ იყო საომარი ოპერაციები ავღანეთში, ტერორისტთა სულიერი მამის, ბინ-ლადენის და მისი მომხრეების ძებნა და დევნა ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მაშტაბით; ერაყთან მოსალოდნელი ომი, მუსულმანური სამყაროს გააქტიურება, ჩეჩნებთან დაკავშირება, ავღანელი ექსტრემისტების მიერ ბუდისტური რელიგიის კულტურის ძეგლების განადგურება და სხვა მრავალი ფაქტი.

ყოველივე ამას უკავშირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებიც: პანკისის ხეობის ამბები, ვაჰაბიზმის გავრცელება და ისლამთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

ყველა აღნიშნულმა ფაქტმა რელიგიის მკვლევარები და ეთიკოსები მიიყვანა სავსებით სწორ დასკვნამდე, რომ ქვეყნად საყოველთაო მშვიდობა ვერ გაიმარჯვებს,

თუ რელიგიები არ დაზავდნენ და არ შერიგდნენ. მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, მათ შორის დაიწყოს კონსტრუქციული დიალოგი, ამის საფუძველზე კი შეიქმნას თანამედროვე მსოფლიო ზნეობა, რომელიც ყველა ხალხის მოთხოვნებს და ინტერესებს გაითვალისწინებს.

ახლა საით მივდივართ? რა როლს იტვირთავს და შეასრულებს რელიგია XXI საუკუნეში? ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია, მაგრამ სწორი დასკვნების გაკეთებისათვის აუცილებელია წარსული საუკუნეებისა და განსაკუთრებით XX საუკუნის რეალიების გათვალისწინება.

დღევანდელი მსოფლიოს რელიგიურ მოძრაობაში, სპეციალისტთა საყოველთაო აღიარებით, ორი ტენდენცია იკვეთება. ერთია მისწრაფება პოსტკონფესიური და ინტერრელიგიური მსოფლიოსაკენ, რისი ნათელი გამოხატულებაც არის ეკუმენისტური მოძრაობა და ამის საპირისპირო მეორე ტენდენცია _ რელიგიათა მისწრაფება, ჩაიკეტონ საკუთარ თავში, თავი დაიცვან გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებისგან.

ცალკეული კონფესიის ინსტიტუტების, სტრუქტურებისა და იერარქიის სურვილი, ჩაიკეტონ საკუთარ თავში, ზოგიერთი რელიგიათმცოდნის აზრით, მიზნად ისახავს ძალაუფლების შენარჩუნებას. ამის მისაღწევად, ისინი მკაცრად მისდევენ თავის ტრადიციებს, იცავენ დოგმებსა და რიტუალურ წესებს, რისთვისაც იყენებენ საკუთარი რჯულთმოძღვრებიდან აღებულ უამრავ მცნებებს, წესებს, კანონებსა და პარაგრაფებს.

მსოფლიოს ქვეყნების დაძაბული რელიგიური ცხოვრების ფონზე მეტად საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა საქართველოშიც. XX საუკუნეში აღდგა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში დაიკარგა, რის შედეგებიც დამანგრეველი აღმოჩნდა ჩვენი ეკლესიისათვის. შემდეგ ქართულმა ეკლესიამ მეტად მძიმედ განიცადა კომუნისტური მმართველობა, მისი იდეოლოგია, რომელიც ქადაგებდა უეკლესიოდ ცხოვრებას და რელიგიურ რწმენას წარსულის მავნე გადმონაშთად აცხადებდა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი გაჭირვებით დააღწია თავი ამ საშინელ განსაცდელს.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ, ქართულმა ეკლესიამ ბევრი რამ გააკეთა თავისი სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში, დღესაც დაძაბული რელიგიური პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა კონფესიებს შორის. მართლმადიდებელი ეკლესია იბრძვის მრევლის დასაბრუნებლად და თავისი ტრადიციული ადგილის დასაკავებლად, რაც შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში არც ისე იოლი აღმოჩნდა.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში შესრულებული შრომების კრებულს რელიგიის საინტერესო და აქტუალურ თემებზე. მათ, ცხადია, ეტყობათ თავისი დროის ანაბეჭდი, შესაბამისი ელფერი და სულისკვეთება. აღნიშნულ პუბლიკაციებში ჩვენ შეგნებულად არ შეგვიცვლია არაფერი. ისინი იმ სახით დავტოვეთ, როგორც გამოქვეყნდა სხვადასხვა ფილოსოფიურ კრებულებში, ჟურნალებსა და გაზეთებში, რადგან ამ სახით ისინი უფრო ზუსტად გვიჩვენებენ, თუ რა რწმენით ცხოვრობდა ხალხი საქართველოში, ასახავენ იმ რელიგიურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა ამ პერიოდში, იმ ფაქტებს და ნიუანსებს, რომლებიც თან ახლდა ამ პროცესებს.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, რელიგია განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. მას ბევრად განსაზღვრავს მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები, ადამიანთა ინტერესების ჭიდილი, ახალი პოლიტიკური რეალიები. მიუხედავად იმისა, რომ

მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა, რელიგია და რელიგიური მსოფლმხედველობა ისევ ბატონობს ადამიანთა გულებსა და გონებაზე.

სამწუხაროდ, უკან დაბრუნებულმა რელიგიამ ჯერჯერობით ვერ მოიტანა ის, რისი დიდი იმედიც გვქონდა _ სათნოება და სიყვარული, მაღალი ზნეობა და მიმტევებლობა. ძალზე სამწუხაროა, რომ ცალკეული კონფესიები, დენომინაციები, სექტები თუ რელიგიური ჯგუფები, რომლებიც ერთ ღმერთს და ერთსადაიმავე ღვთითშთაგონებულ წიგნებს ეყრდნობიან, ესოდენ მტრობენ ერთმანეთს და ოდნავ განსხვავებული შეხედულების გამოთქმასაც არ ჰპატიობენ.

და მაინც, გვინდა, დავიტოვოთ იმედი, რომ ეს დროებითი მოვლენაა. კაცობრიობა აუცილებლად მოძებნის გამოსავალს, მდგომარეობა გამოსწორდება და ამ საქმეში რელიგიები, რომლებიც სიკეთისა და სიყვარულისკენ არიან მიმართული, ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთმიმტევებლობის გარანტად მოგვევლინებიან. მანამ კი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა ხდებოდა საქართველოს რელიგიურ ცხოვრებაში XX საუკუნეში, როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა XXI საუკუნეს და რა პერსპექტივებია ამ მხრივ მოსალოდნელი.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი
რელიგია ქართველთა ცხოვრებაში

თავი პირველი

რელიგია ქართველთა ცხოვრებაში

I. რელიგიური ცხოვრება საქართველოში

‘ზეცა! - თქვა ოსტაპ ბენდერმა, - ზეცა ახლა გავერანებულია!

ძალიან არ მინდოდა ჩემი წერილი საქართველოში რელიგიური ცხოვრების შესახებ ი. ილფისა და ე. პეტროვის ცნობილი ნაწარმოების, “ოქროს კერპის", მთავარი გმირის სიტყვებით დამეწყო, მით უმეტეს, რომ იგი სხვა დროსა და სხვა პირობებში იყო ნათქვამი. თანაც ჩვენი მდგომარეობა კომიკური კი არა, ტრაგიკულია, მაგრამ ეს გამოთქმა ზუსტად გადმოსცემს ჩვენში შექმნილ რელიგიურ სიტუაციას. თუმცა ის ვითარება, რაც ოსტაპ ბენდერის დროს იყო, რადიკალურად განსხვავდება დღევანდელისაგან. იმ დროს, დიდი კომბინატორის სიტყვებით, “ანგელოზებსაც კი დედამიწისაკენ ეჭირათ თვალი...", ახლა კი პირიქით, სწორედ ზეცაა გადაჭედილი ნაირ-ნაირი ღმერთებით.

პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველგან ასეა, ასეა ჩვენშიც. მართლაც, ვიღას არ ნახავთ ქართულ ზეცაზე - ქრისტიანულ სამებას, მუსლიმურ ალაჰს, ინდუისტურ-

კრიშნაიტურ კრიშნას, იუდაურ იაჰვეს, იეღოველთა იეჰოვას, სხვადასხვა დენომინაციების მიერ თავისებურად გაგებულ ღმერთებს, მრავალს და მრავალს. თითოეულ მათგანს ზეცაში აქვს მიჩენილი ბინა და მათზე მათი თაყვანისმცემლები აღავლენენ ლოცვას...

თუმცა, ზოგი ამტკიცებს, ღმერთი ერთია, მხოლოდ სახელები აქვთ სხვადასხვაო, მაგრამ ჩვენს რელიგიურ პეიზაჟში ეს ბევრს არაფერს ცვლის... რელიგიური ქაოსი ადამიანთა გონებაში არნახულ მასშტაბებს აღწევს...

არადა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ასეთი რამ რომ გეთქვა და გეწინასწარმეტყველებინა, რელიგიის რეამინირება ასეთი სახით და ასეთი დოზით მოხდებაო, ამას სერიოზულად არავინ მიიღებდა და არც არავინ დაგიჯერებდა. თვით ყველაზე თამამი პროგნოზითაც კი ასეთი რელიგიური ბუმი წარმოუდგენელი ჩანდა. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მარქსიზმისა და ათეიზმის 70 წლიანი ბატონობის ყოფილ სივრცეში, რელიგიური მსოფლმხედველობა და კულტი უმოკლეს ვადაში აღდგა თავის უფლებებში. ახლა ყველაფერი ეს მომხდარი ფაქტია, მაგრამ 25-30 წლის წინ ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. მაშინ ჩვენში, უმეტესობა, რელიგიურ წარმოდგენებს არასწორ, არამეცნიერულ, ბნელ, შუასაუკუნეობრივ მსოფლმხედველობად მიიჩნევდა, რომელსაც მასების ოპიუმის ფუნქციასაც მიაწერდნენ. ყველაფერი თითქოს სრულიად ნათელი იყო. ბევრის აზრით, რელიგია თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა, ზოგს კი იგი უკვე საბოლოოდ ჩამოწერილად მიაჩნდა. იმ პერიოდში რელიგიას ითმენდნენ მხილოდ იმდენად, რამდენადაც ეს რწმენა მოსახლეობის ერთ ნაწილში ჯერ კიდევ მყარად იყო შენარჩუნებული.

ასეთი თვალთახედვით საჭირო იყო მხოლოდ გარკვეული დროის გასვლა, ახალი თაობის მოსვლა, მოსახლეობაში განათლების შეტანა, ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, ახალი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ახალი ცხოვრების წესის დანერგვა და ყველაფერი დამთავრდებოდა. როგორც ვარაუდობდნენ, რელიგია აღიგვებოდა პირისაგან მიწისა... საბჭოეთის მასშტაბით უკვე მიმდინარეობდა სერიოზული მსჯელობა ცალკეული რესპუბლიკების ათეისტურ რესპუბლიკებად გამიცხადების შესახებ, სადაც ხალხი, ამ საქმის მოთავეთა აზრით, იცხოვრებდა ღვთის რწმენის გარეშე, ახალი მსოფლმხედველობით და ახალი ცხოვრების წესით.ასეთ მოსალოდნელ კანდიდატებს შორის პირველ ნომრად საქართველოს ასახელებდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, როგორც საქართველოს იმდროინდელი კათალიკოს-პატრიარქიც აღნიშნავდა, “არცერთ ხალხს არ აუღია ხელი სარწმუნოებაზე იმ დოზით, როგორც ქართველებმაო..."

ცხადია, რელიგიისაგან განდგომის ეს პროცესი მარტო საქართველოში და მარტო საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა. XX საუკუნის შუა ხანებში ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიების მძაფრმა კრიზისმა მთელ მსოფლიოს გადაუარა და საგრძნობლად შეარყია იგი.

ამ პერიოდში მეცნიერების დიდმა წარმატებებმა, კოსმოსის ათვისების დაწყებამ, პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრებმა, უფრო გვიან კი მთვარეზე ადამიანის ფეხის დადგმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თავისი საქმე გააკეთა.

მართალია, ამერიკელები მსოფლიოს ხალხებს ხელოვნური თანამგზავრებიდან ბიბლიურ ტექსტებს უკითხავდნენ, მაგრამ ამავე პერიოდში, იმავე მოვლენის გამო საბჭოთა კავშირში, მეორე, ძალზე გულუბრყვილო, მაგრამ მაინც საწინააღმდეგო შეხედულება გაჩნდა: “აი, იური გაგარინი ზეცაში გაფრინდა, მაგრამ იქ არავითარი ღმერთი არ უნახავსო..."

ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავე იყო რელიგიური მსოფლმხედველობის კრიტიკა იმ მიმართულებით, რომ მან ვერ შეძლო სოციალური პრობლემების, სოციალური უკუღმართობების დაძლევა. გარდა ამისა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომმა, თავისი უამრავი მსხვერპლით, გეტოებით, საკონცენტრაციო ბანაკებით და ათასგვარი საშინელებებით აჩვენა, რომ კაცობრიობა, მიუხედავად ქრისტიანობის ოცსაუკუნოვანი ქადაგებისა, ზნეობრივად უკეთესი როდი გახდა...

იმ პერიოდში ოფიციალური რელიგიური კულტების კრიზისს ყველგან აღიარებდნენ - დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. აშკარად მისტიროდნენ წარსულს, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ახალი მრევლის მისამართით. ღვთისმსახურები უჩიოდნენ მათ საერთო გულგრილობას, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. აღნიშნავდნენ, რომ თვით შაბათ-კვირასაც კი, მესის დროს, უზარმაზარი ეკლესიები ფაქტიურად ცარიელი იყო, ხოლო ვინც დადიოდა, არც ისინი გამოირჩეოდნენ რელიგიური გულმოდგინებით. ზოგან სასულიერო პირების ნაკლებობაზეც დაიწყეს მსჯელობა, ამის გამო კი ზოგან ეჭვი შეიტანეს ცელიბატის (უცოლობის) დოგმატის მიზანშეწონილობაში. ლაპარაკობდნენ მოსახლეობის შედარებით კარგად უზრუნველყოფილ ნაწილში რელიგიურობის შემცირებაზე. ერთი სიტყვით, ამ დროისათვის, ყველა აღიარებდა ოფიციალური ეკლესიის უუნარობას დაეცხრო მოსახლეობის მზარდი სულიერი თუ მიწიერი ტკივილები.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა იმას, რომ მოსახლეობაში რელიგიურობამ იკლო, მაგრამ ხალხმა მისი დაკმაყოფილების სხვა ფორმებსა და საშუალებებს მიმართა. ამ პროცესებს თან ახლდა ახალი რელიგიური ძიებებიც, ახალი დენომინაციების, ახალი სექტების გაჩენა. ჰორიზონტზე ახალი წინასწარმეტყველები და ჰურუები გამოჩნდნენ, რომლებმაც ადამიანებს სულიერი ხსნის ახალი გზები შესთავაზეს.

ერთ პერიოდში დასავლეთში ძალზე პოპულარული გახდა აღმოსავლური რელიგიები: ინდუიზმი, ბუდიზმი და სხვა სწავლებები. ქრისტიანული მსოფლმხედველობით გულმოყირჭებული დასავლეთისთვის აღმოსავლური რელიგიები ეგზოტიკური და იდუმალებით სავსე აღმოჩნდა. სწორედ იმ პერიოდში ფართოდ ვრცელდება ძენ-ბუდიზმი, უფრო გვიან მუნიზმი, კრიშნაიზმი და ა.შ.

შემდეგ ისევ ქრისტიანობამ იმძლავრა და სხვა პროცესები განვითარდა...

1. რატომ იყო აუცილებელი საბჭოთა კავშირისათვის ათეიზმი

ათეიზმსა და თავისუფალმოაზროვნეობას კაცობრიობის ისტორიაში ძალზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი ასაკი დაახლოებით ისეთივეა, როგორც რელიგიური შეხედულებების. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც კი გაჩნდა პირველი წარმოდგენები ზებუნებრივზე, მაშინვე ჩნდება ეჭვი, რომ ეს შეხედულებანი არ შეესაბამება სინამდვილეს. ათეიზმი ყოველთვის იყო რელიგიური მსოფლმხედველობის, რელიგიური ცხოვრების წესის ალტერნატივა, მაგრამ ადრე მას არასოდეს მიუღია სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმები, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შექმნილი სოციალისტური საზოგადოება შეეცადა თავიდან მოეშორებინა რელიგიური მსოფლმხედველობა. პირველი დღეებიდანვე, თითქმის 70 წლის მანძილზე, საბჭოთა მეცნიერებს შორის შეუვალ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ სოციალურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან ერთად ხალხის, მასებში ფართო ცოდნისა და განათლების შეტანასთან, ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლისა და მატერიალისტური, მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებასთან ერთად, რელიგიას, რომელიც გამოცხადებული იყო არამეცნიერულ, არასწორ და რეაქციულ მსოფლმხედველობად, როგორც ხალხის მასების მოტყუებისა და დაბნელების საშუალებად, არსებობა უნდა დაემთავრებინა. შესაბამისად, მისი როლის შესწავლა და გაანალიზება ეროვნებათშორის, განსაკუთრებით კი ეთნოკულტურულ ურთიერთობებში, ამ პერიოდში ნაკლებად ხდებოდა.

სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიური მსოფლმხედველობის გათავისუფლებული ადგილი დაიკავა მატერიალისტურმა, მეცნიერულ-ათეისტურმა მსოფლმხედველობამ, რომელმაც რელიგიისა და მისი მთავარი კომპონენტის, ღმერთის, უარყოფასთან ერთად წინა პლანზე წამოსწია და უმაღლეს არსებად გამოაცხადა ადამიანი.

ამასთანავე, ადამიანთა ნამდვილი ბედნიერების წინაპირობად, ადამიანთა რელიგიური, ილუზორული ბედნიერების გაუქმება ჩათვალა. მაგრამ, ადამიანისათვის ადამიანის უმაღლეს არსებად გამოცხადების, ცრურწმენებისგან საზოგადოების გათავისუფლების ცდასა და ადამიანის შესაძლებლობების ამქვეყნად სრული რეალიზების კეთილშობილურ ამოცანასთან ერთად, მეცნიერულ ათეიზმს მრავალეროვან და მრავალრელიგიურ რუსეთში არცთუ ისე სახარბიელო და მორალური, სოციალური დაკვეთა მიეცა. იგი უნდა გამხდარიყო მნიშვნელოვანი იარაღი ერთა შორის ეროვნული და რელიგიური განსხვავების ნიველირებისა. მას უნდა ჩამოეშორებინა სხვადასხვა ხალხებისათვის ის სპეციფიკური ნიშნები, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებდა და რაც, ძალზე ხშირად, რელიგიისაგან მომდინარეობდა. მეცნიერულ ათეიზმს ერთმანეთთან უნდა დაეახლოვებინა და საბოლოო ჯამში ერთ ერად შეერწყა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი - ქრისტიანი თუ მუსლიმი, იუდეველი თუ ბუდისტი, ორთოდოქსი თუ სექტანტი. ასეთი გზით, ერთიან საბჭოთა ხალხად ქცეულ სხვადასხვა ერებს, საბოლოო ჯამში, უნდა აეშენებინა სრულყოფილი საზოგადოება - ჯერ სოციალისტური, მერე კი კომუნისტური. ასეთი იყო სოციალისტური საზოგადოების ამოცანა და პროგრამა.

ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების საკმაოდ რთულ და ეკლიან გზაზე მეცნიერული ათეიზმი აღმოჩნდა არცთუ ისე სახარბიელო მეზობლობაში ხალხთა ასიმილაციის ისეთი შოვინისტურ-პროპაგანდისტული საშუალებების გვერდით, როგორიც იყო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების შერეული ქორწინებანი და ორენოვნება (რუსული და მშობლიური ენის), ფაქტიურად კი რუსული ენის ერთადერთ საურთიერთობო ენად დანერგვა. ყოველივე ამან კი ძალზე შეურყია ავტორიტეტი მეცნიერულ ათეიზმს, როგორც ჰუმანურ მოძღვრებას და როგორც ცხოვრების წესს.

ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორებად ითვლებოდა ძველი ეროვნული ტრადიციები, დღესასწაულები, წეს-ჩვეულებანი, რომელნიც უმრავლეს შემთხვევაში ასევე რელიგიიდან იღებდნენ სათავეს. კომუნისტური იდეოლოგია მეცნიერული ათეიზმის გამოყენებით ცდილობდა, ხალხებისათვის უარი ეთქმევინებინა ძველ ეროვნულ ტრადიციებზე, დღესასწაულებსა და წეს-ჩვეულებებზე და დაენერგა ახალი, კომუნისტური და ინტერნაციონალური, შრომითი, საბრძოლო თუ ყოფითი ტრადიციები, რომლებიც ერთნაირი იქნებოდა რუსისათვის, უზბეკისათვის, ჩეჩენისათვის, ყირგიზისათვის, ესტონელისათვის თუ ქართველისათვის. ამ მიზნით, მთელი საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით, გრანდიოზული ღონისძიებები ტარდებოდა.

2. რელიგიის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მისი როლი ეროვნებათშორის ურთიერთობებში

როგორი იყო რელიგიისა და რელიგიურ ორგანიზაციათა როლი ეროვნებათშორის ურთიერთობებში საქართველოში? ჩვენი რესპუბლიკა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, წარმოადგენდა მრავალეროვან და მრავალრელიგიურ რესპუბლიკას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის დანერგვისათვის გატარებული გრანდიოზული ღონისძიებების მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში ორ ათეულ რელიგიურ კონფესიამდე მაინც შემორჩა, რომლებიც უმეტესად სხვადასხვა ეროვნების ხალხთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობას, მათი რიცხვი ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებისათვის საქართველოში არც ისე დიდი იყო, ხოლო თუ სხვა რესპუბლიკების მონაცემებთან შევადარებთ - თითქმის უმნიშვნელო. ასე მაგალითად, ყველაზე მსხვილი რელიგიური კონფესია რესპუბლიკაში, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 1963 წლისათვის 45 ეკლესიით იყო წარმოდგენილი, იუდაიზმი - 26 სინაგოგით, სახარებისეულ ბაპტისტთა სექტა - 11 სამლოცველოთი, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია - 5 ეკლესიით, ისლამი - 3 მეჩეთით, კათოლიციზმი - 3 ეკლესიით. სხვა სექტები თითო-ოროლა სამლოცველოთი.

რელიგიურ ორგანიზაციათა ეს მცირერიცხოვანი ციფრები, ერთი შეხედვით, იმაზე მიუთითებდა, რომ რელიგია არცთუ ისე დიდ როლს თამაშობდა ხალხის ცხოვრებაში საერთოდ და კერძოდ ეროვნებათშორის ურთიერთობებში. მაგრამ, სინამდვილეში, მიუხედავად რელიგიური ორგანიზაციების ასეთი სიმცირისა და დაკნინებული მდგომარეობისა, რელიგიური ფაქტორი მაინც სერიოზულად

მოქმედებდა ეროვნებათშორის ურთიერთობებზე, ტრადიციულად განსაზღვრავდა ამა თუ იმ ხალხების ეთნოკულტურულ ურთიერთობას და დამოკიდებულებას, სიმპათიას თუ ანტიპათიას, ერთმანეთთან შეგუებას თუ სწრაფვას განცალკევებისაკენ. მაგრამ, განვლილი 70 წლის მანძილზე, ამ ზემოქმედების გავლენას ფარავდა პარტიულ-ბიუროკრატიული და იდეოლოგიური დაწესებულებების დიქტატი, რომელიც გარეგნულად მაინც ახშობდა ეთნიკურ დაპირისპირებებს და კონფლიქტებს. ცხადია, ასეთი ვითარება ვერ გააჯანსაღებდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს. პირიქით, კიდევ უფრო აღვივებდა ავადმყოფობას და ფარულს ხდიდა მას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ურთიერთდაპირისპირებები გარედან არ ჩანდა და იქმნებოდა შეხედულება, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

1985 წლიდან დაწყებულმა “პერესტროიკამ’’ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რელიგიის მდგომარეობაზე საბჭოთა კავშირში. “პერესტროიკა" გახდა ის ბიძგი, რომლითაც რეალურად უნდა განხორციელებულიყო კონსტიტუციაში არსებული მუხლი სინდისის თავისუფლების შესახებ. რელიგიურ კონფესიებს მიეცათ ნორმალური ფუნქციონირების საშუალება.გაუქმდა ბევრი შეზღუდვა და აკრძალვა, რის გამოც ბევრი, ფაქტიურად აკრძალული რელიგიური ორგანიზაცია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. შეწყდა ზოგიერთი სექტანტური ორგანიზაციის აშკარა დევნა, გაიზარდა რელიგიურ დაწესებულებათა რიცხვი, სასულიერო პირებს ფართოდ დაეთმოთ პრესა, ტელევიზია, ზოგიერთი მათგანი საბჭოთა პარლამენტშიც გამოჩნდა. გამრავლდა სასულიერო ჟურნალები და გაზეთები. უფრო ინტენსიურად გამოდიოდა რელიგიური ლიტერატურა, გაიზარდა რელიგიურ დაწესებულებათა ფულადი შემოსავალი, იმატა ეკლესიათა მრევლმაც.

რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც 1988 წელს რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მთელ საბჭოთა კავშირთან და მთელ მსოფლიოსთან ერთად ფართოდ იზეიმა რუსეთის გაქრისტიანების ათასი წლისთავი. ამ ზეიმმა რეალურად აჩვენა ის დიდი მატერიალური თუ სულიერი ძალა, რომელიც ამ ეკლესიას გააჩნია, მიუთითა მის დიდ გავლენაზე ხალხის მასებზე. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ათასი წლისთავის ზეიმი მასტიმულირებელი ფაქტორი გახდა სხვა რელიგიური კონფესიებისთვისაც. ისლამურმა, ბუდისტურმა, იუდაურმა თუ სხვა რელიგიურმა ორგანიზაციებმაც ძალზე გააააქტიურეს თავიანთი საქმიანობა,მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც სასულიერო პირთა, ასევე მრევლის რაოდენობა. სხვა კონფესიებშიც მნიშვნელოვნად იმატა ფულადმა შემოსავალმა.

გაჩნდა ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც ახასიათებდა რელიგიური ორგანიზაციების ზრდას საბჭოთა კავშირში. აღსანიშნავია, რომ “პერესტროიკიდან" დაწყებული ხუთი წლის მანძილზე რელიგიურ ორგანიზაციათა რაოდენობა საბჭოთა კავშირში 1,5-ჯერ გაიზარდა.

თუ მთელ საბჭოთა კავშირში 1985 წელს იყო 12438 რელიგიური დაწესებულება, 1990 წლის პირველი ივლისისათვის გახდა 18 666, ე.ი. 6 228-ით მეტი. აქედან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში იყო 6 806 ეკლესია, გახდა 11 116. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რიცხვი 51-დან გაიზარდა 296-მდე, კათოლიკური ეკლესია 1068-დან 1385-მდე, ლუთერანული ეკლესია 580-დან 624-მდე,

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია 33-დან 56-მდე, რეფორმატული ეკლესია 86-დან 96-მდე, “სტაროობრიადცების~ეკლესია 337-დან 371-მდე, ისლამური მეჩეთები 392-დან 1103-მდე, სახარებისეული ქრისტიანები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები 2537-დან 3841-მდე, იუდაური რელიგია, მიუხედავად ებრაელთა მნიშვნელოვანი მიგრაციისა ისრაელსა თუ სხვა ქვეყნებში, 91-დან გაიზარდა 106 სინაგოგამდე, ბუდისტური რელიგია 2-დან 12-მდე, მე-7 დღის ადვენტისტები 342-დან 457-მდე, მალაკნები 44-დან 49-მდე, მენონიტები 53-დან 54-მდე, კრიშნაიტებს არცერთი არ ჰქონდათ და ახლა 8 აქვთ.სხვადასხვა წვრილ სექტებს კიდევ 74 სამლოცველო აქვთ. ამის შემდეგ დღემდე ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზარდა.

რა როლს ასრულებდა რელიგია ამ პერიოდში ერთაშორის ურთიერთობებში? რამდენად პროგრესულია მისი მნიშვნელობა დღევანდელ ვითარებაში? რასაკვირველია, ეს როლი ისევე ძლიერი და მნიშვნელოვანი არ არის, როგორც წარსულ საუკუნეებში. რელიგიას, ცხადია, აღარა აქვს ის ყოვლისმომცველი ძალა, როგორც შუა საუკუნეებში. ახლა ძნელი წარმოსადგენია ომები მხოლოდ სარწმუნოებრივ ნიადაგზე, ვთქვათ, ისეთი, როგორიც ჯვაროსნული ომები იყო შუა საუკუნეებში, მაგრამ რელიგიური ფაქტორი დღესაც რჩება მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ძალად. იგი დიდ გავლენას ახდენს არა მარტო თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესზე, არამედ პოლიტიკურ სიტუაციებზეც. აღსანიშნავია, რომ კონფესიური კუთვნილების მიხედვით ჯერაც იქმნება სახელმწიფოთაშორისი კავშირები. ამ მხრივ მარტო ისლამური ქვეყნების გახსენება რად ღირს. ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით რელიგიურ საფუძველზე გაეთიანებულ ადამიანებს, რომელთაც განსხვავებული შეხედულებანი და პოლიტიკური კრედო აქვთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე ძალზე ხშირად ვხედავთ, თუ როგორ იყენებენ რელიგიას ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად, რა იოლად ჩაღდება რელიგიური თუ პოლიტიკური ბრძოლები ხალხებს შორის რელიგიურ ნიადაგზე. ამიტომ, რელიგიის როლის მხოლოდ ცალმხრივი შეფასება დადებითად ან უარყოფითად მართებული არ იქნება. რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა ყოველმხრივ უნდა შევაფასოთ.

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, აქ რელიგიური ფაქტორი მხოლოდ ახლა იწყებს მხრების გაშლას, ძველი ღირებულებების დაბრუნებას. თანამედროვე პირობებში, ესა თუ ის რელიგია, მის მაღიარებელ ხალხს ეხმარება, აღიდგინოს თავისი ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, აღიდგინოს ის სპეციფიკური და განმასხვავებელი ნიშნები, რის ნიველირებასა და მოსპობას 70 წლის მანძილზე ცდილობდა სოციალისტური იდეოლოგია.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე, სანამ ეროვნული მოძრაობა დუღს, სანამ ყველაფერი თავის კალაპოტში არ ჩამდგარა, და ეროვნებებს შორის ნორმალური პროცესები არ აღმდგარა, სხვადასხვა რელიგიები განკერძოებისა და მარტოობისაკენ უფრო უბიძგებენ ხალხებს, ვიდრე კონსოლიდაცია-შეერთებისაკენ. ეს ფაქტორი კი ზოგჯერ დაძაბულ სიტუაციებს იწვევს. თუ ადრე ათეისტური პროპაგანდით დაშინებული რელიგიური დაწესებულებები ცდილობდნენ ერთმანეთთან დაკავშირებას, ერთგვარ ალიანსს ქმნიდნენ მატერიალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, პროპაგანდა ეწეოდა გამაერთიანებელ, ეკუმენისტურ მოძრაობას, ახლა ზოგი რელიგიური კონფესია სხვათა მიმართ შეურიგებელი ხდება და განკერძოებისკენ მიისწრაფვის.

რა ხდება საქართველოში? რა პროცესებთან გვაქვს საქმე? განვლილი წლების მანძილზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ჯერ რუსული ეკლესიის მიერ 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე ავტოკეფალიაწართმეული, პატივაყრილი და დასუსტებული, შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ანტირელიგიური ბრძოლით დაუძლურებული და თითქმის განადგურების პირას მიყვანილი, სასწაულებრივად მაინც ფეხზე დადგა. რასაკვირველია, ჯერ წარსულ ძლიერებამდე მას ბევრი უკლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იგი, უდავოდ, ძალას იკრებს და თავისი ინდივიდუალურობის აღდგენით არის დაკავებული. იგი საკმაოდ დიდხანს იყო დევნილი და საქართველოში სხვა რელიგიურ კონფესიებზეც კი მეტად დაჩაგრული.ასე რომ, ჯერაც საჭიროებს გონზე მოსვლას. თანაც ისევე, როგორც ზოგიერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მანაც უარი თქვა ეკუმენისტურ მოძრაობაზე და საკუთარ ინდივიდუალობაზე აიღო გეზი. მისი მდგომარეობა ერთაშორის ურთიერთობებში იოლი არ არის, რადგან საქართველოში ქართველის გარდა მართლმადიდებელია რუსიც, უკრაინელიც, ბერძენიც, ოსიც, ბელორუსიც და ნაწილობრივ აფხაზიც. ამიტომ ეკლესიის ცდა, თავის დროზე მხარში ამოსდგომოდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ყოველთვის, ყველა მართლმადიდებლის გაგებას როდი იწვევდა და გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ კონფესიებს, ახლა ისინიც ძალზე აქტიურობენ. თითოეული მათგანი ცდილობს საკუთარი მსოფლმხედველობის და ცხოვრების წესის დანერგვას და გავრცელებას. თითოეულ მათგანს მხოლოდ საკუთარი მოძღვრება მიაჩნია ჭეშმარიტად, ხოლო სხვები არასწორად და შეცდომად. თითოეული რელიგიური კონფესია თავისი მოძღვრების მიხედვით ზრდის საკუთარ მრევლს. პროპაგანდას უწევს მისეულ ღირებულებებს, ნერგავს საკუთარ ტრადიციებს, წარმოდგენებს, ზნე-ჩვეულებებს, ერთგულებას უცხადებს იმ ქვეყანას, საიდანაც ეს რელიგია იღებს სათავეს, ან სადაც ამ რელიგიათა მმართველი ორგანიზაცია არის.

ამიტომ, ახლა, საქართველოში ყოველთვის როდია ნათელი, თუ რა პოზიციაზე დადგება საქართველოს მიმართ სხვა რელიგიის მაღიარებელი ხალხი, რა პოზიციას დაიკავებს ეროვნული დამოუკიდებლიბისათვის ბრძოლაში, როგორ უერთგულებს საქართველოს ისლამით ნაზარდი აზერბაიჯანელი, ლეკი თუ ქისტი, გრიგორიანული სარწმუნოებით გაზრდილი სომეხი, სექტანტური იდეოლოგიის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რა პოზიციას დაიკავებს სხვა სარწმუნოებაზე მდგარი ქართველი, სახარებისეული ბაპტისტი იქნება ის თუ ორმოცდაათიანელი, კათოლიკე თუ ძველი მართლმადიდებელი, მუსლიმი თუ კრიშნაიტი, მეშვიდე დღის ადვენტისტი თუ იეღოველი.

რელიგიურმა მოძრაობამ, ისევე როგორც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საქართველოშიც გაშალა ფრთები. მისი გავლენა ხალხის მასებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ იგი თანამედროვე პირობებში საფუძვლიან შესწავლას და ანგარიშის გაწევას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ რელიგიური ფაქტორის როლი ერთაშორის ურთიერთობებში თანდათან კი არ მოიკლებს, არამედ მოიმატებს. ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და განმტკიცების შემდგომ გზაზე.

*

* *

IV საუკუნეში, მაშინ, როდესაც მცხეთაში ჩვენი განმანათლებელი ნინო კაბადოკიელი მოვიდა და ქრისტიანობა გვიქადაგა, რის შედეგადაც საქართველოში ახალმა რელიგიამ იმძლავრა, მისმა მიმდევრებმა ძველი, ადრე აქ გავრცელებული წარმართული სალოცავები გაანადგურეს: კერპები დაამსხვრიეს, ტაძრები დაანგრიეს, წარმართები ქრისტიანებად მოაქციეს...

მრავალი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. და აი, მეოცე საუკუნეში, მთელ რუსეთში და ჩვენშიც ძალაუფლება ათეისტ-კომუნისტებმა იგდეს ხელთ. მათ მრავალი ეკლესია დაანგრიეს, კიდევ უფრო მეტი გააუქმეს, სამრეკლოებიდან ზარები ჩამოხსნეს, რელიგიური წიგნები მიმოფანტეს, მრევლი გარეკეს, ქრისტიანული სიწმინდეები წაბილწეს, მათ ნაცვლად კი “ახალი რელიგიის" - მარქსიზმის - ფუძემდებელთა და სახელგანთქმულ ბოლშევიკთა სურათები დაკიდეს, ძეგლები და ბიუსტები აღმართეს, მოსკოვში მავზოლეუმი, სხვადასხვა ქალაქებში კი რევოლუციის მუზეუმები ააშენეს...

კიდევ უფრო გვიან, სულ ათიოდე წლის წინ, მას შემდეგ, რაც 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმი დამთავრდა და რელიგია ისევ აღდგა თავის უფლებებში, ახლა უკვე რევოლუციონერების სურათები ჩამოხსნეს, ძეგლები დაანგრიეს და ისევ ეკლესია-ტაძრების მშენებლობას მიჰყვეს ხელი...

ყველაფერ ამაში არის გარკვეული კანონზომიერება. თუმცა, მორწმუნის თვალთახედვით, ქვეყანაში ქრისტიანობის შემოსვლის შედარება კომუნისტების ქმედებასთან დიდი ცოდვა და მკრეხელობაა, მაგრამ იგი გარკვეულად მაინც ასახავს იმ რეალურ ისტორიულ პროცესს, რაც სინამდვილეში მოხდა ჩვენს ქვეყანაში და არსებითად, ძალიან მოკლედ, მხოლოდ კონტურებში, მაგრამ მაინც გადმოსცემს რელიგიური რწმენის მიხვეულ-მოხვეულ გზებს საქართველოში. ალბათ მართალნი არიან ის მკვლევარები, რომლებიც რელიგიურ რწმენას ზღვის მიმოქცევას ადარებენ. მართლაც ასეა: დიდი ტალღა მოაწყდება ხოლმე ნაპირს, ყველაფერს დაფარავს, მერე უკან იხევს, ძალას მოიკრებს და ისევ ისწრაფვის ნაპირისაკენ...

და მაინც, კარგად რომ გავერკვეთ იმ რელიგიურ პროცესებში, რომლებიც ახლა მიმდინარეობს ჩვენს ცხოვრებაში, ამისათვის აუცილებელია უფრო ღრმად ჩავიხედოთ საქართველოს ისტორიაში, ქართველთა სულიერ ცხოვრებაში, ჩვენი ხალხის მისწრაფება-სურვილებში, ცალკეულ ნიუანსებში, პრაქტიკულ რელიგიურ საქმიანობაში, რათა ნათლად გავარკვიოთ რწმენის როლი როგორც ჩვენს წარსულში, ასევე თანამედროვე ვითარებაში.

თუ რა იყო ქრისტიანობა ქართველთათვის, რა როლს ასრულებდა იგი ჩვენს ცხოვრებაში ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი და ყველას მიერ აღიარებული.

სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში ამ მხრივ სრული ერთსულოვნებაა: ქრისტიანობა ქართველთათვის იყო რწმენაც, მსოფლმხედველობაც, ცხოვრების წესიც. უმეტესად სწორედ მასთან იყო დაკავშირებული ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, საერთოდ ყოფა, კულტურა; რომ იგი იყო ის ფარი, რომლის მეოხებითაც მრავალი საუკუნის მანძილზე თავს ვიცავდით მრავალრიცხოვანი მტრისაგან, რომლებიც სხვა სარწმუნოებით შეიარაღებულნი მოდიოდნენ ჩვენს დასაპყრობად და მის თავზე მოხვევას ცდილობდნენ. ქრისტიანობა ქართველთათვის მარტო სარწმუნოება არ იყო, არამედ ყოველივე ის, რაც მას ქართველად ხდიდა. ამიტომ, იგი მარადჟამს მოგვიწოდებდა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი ენა, მეობა, თავისებურებანი, “არ გავთათრებულიყავით", არ ავთქვეფილიყავით სხვა ხალხებში. მისი მეოხებით, როგორც ვხედავთ, შევძელით კიდეც აქამდე მოგვეღწია...

ყველა ამ შეხედულებაში, რასაკვირველია, არის გარკვეული პათეტიკაც, საწინააღმდეგო ფაქტების მიჩქმალვის ცდაც, მაგრამ ძირითადად ყველაფერი მაინც მართალია...

ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, და ქრისტიანობის აქტივში შევიტანეთ, უფრო საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე იგულისხმება.

მაგრამ XIX და XX საუკუნეებში ქართველთა შორის მკვეთრად იმატა რელიგიისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, ზოგ შემთხვევაში კი ეკლესიისადმი ზურგის შექცევის აშკარა ცდებმაც.

უფრო გვიან ამ მოვლენას ბევრი მკვლევარი მხოლოდ მარქსიზმის შემოსვლას, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას და ათეიზმის 70 წლიან ბატონობას მიაწერდა. მაგრამ ეს არ არის სწორი. ჩვენი გულგრილობა ეკლესიის მიმართ გაცილებით ადრე დაიწყო და იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან არის დაკავშირებული. და თუკი ჩვენ ამ ფაქტორს სერიოზულად არ განვიხილავთ, მაშინ ვერც იმ რთულ და სერიოზულ რელიგიურ პროცესებში გავერკვევით, რომელიც ახლა საქართველოში მიმდინარეობს.

ცოტა ხნით უკან დავიხიოთ და საქართველოს ისტორიაში ჩავიხედოთ: ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მტრებისგან შევიწროებული და სისხლისაგან დაცლილი ქართული სამეფო-სამთავროები მფარველს ეძებდნენ. ეს მფარველი მათ ქვეყნის გარეთ უნდა ეპოვათ. ასეთი საგარეო მფარველის ძიება და პოვნა, როგორც სამართლიანად შენიშნავენ ისტორიკოსები, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წაგებას ნიშნავდა, რადგან პოლიტიკაში უანგაროდ არავინ ირჯება და არაფერს აკეთებს თვით ერთნაირი სარწმუნოებისა და შეხედულებებისთვისაც კი. ამიტომ, ასეთი მფარველი საგანგებოდ უნდა შერჩეულიყო და ყველა სხვა შესაძლებელ მფარველზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. მას სხვებთან შედარებით სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა ამ ქვეყნის ინტერესები, დაეცვა მისი უშიშროება და მშვიდობა მოეტანა მის მფარველობაში შესული ქვეყნისათვის.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდისათვის ამიერკავკასიის და შესაბამისად საქართველოს სამეფოებისა თუ სამთავროების ხელში ჩასაგდებად ორი მუსლიმური ქვეყანა იბრძოდა: ირანი და ოსმალეთი. ამ ქვეყნების გარდა კავკასიაში

გავლენისათვის პრეტენზიას აცხადებდა რუსეთიც. ოსმალეთისა და ირანისგან განსხვავებით რუსეთი “ერთმორწმუნე" სახელმწიფო იყო, იგი საქართველოსავით მართლმადიდებლობას აღიარებდა. ასეთ მძიმე პირობებში, როდესაც ქართული სამეფო-სამთავროები გარშემორტყმულნი იყვნენ მათდამი მტრულად განწყობილი მუსლიმური ქვეყნებით, რომელნიც ყოველ წუთს წალეკვით ემუქრებოდნენ საქართველოს, ისეთი მოკავშირის გამოჩენას, რომელსაც რეალური ძალა გააჩნდა და ამავე დროს ერთნაირი სარწმუნოება და ტიპიკონი ჰქონდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, “ერთმორწმუნეობა" ამ ორ ქვეყანას შორის “უცხოობის" ზღვარსაც კი შლიდა და განუხრელად უწყობდა ხელს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას.

მართალია, რუსეთს, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ შეეძლო ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარება, რადგან XVI-XVII საუკუნეებში მას მოსაწესრიგებელი ჰქონდა ქვეყნის ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრები. შესაბამისად, ამიერკავკასიაში წამყვანი პოზიციების დასაკავებლად მას რეალური ძალა არ გააჩნდა. მაგრამ რუს დიპლომატებს შორს წამსვლელი გეგმები ჰქონდათ და საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობას პერსპექტივის ჭრილში განიხილავდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ამ სამეფო - სამთავროებს დიდი როლი უნდა შეესრულებინათ ამიერკავკასიაში გაბატონების საქმეში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო რეალურად ჩარეულიყო ამიერკავკასიის საქმეებში, მისი დიპლომატები უხვ დაპირებებს არ იშურებდნენ და ქართული სამეფო-სამთავროების გამგებელთათვის დროდადრო მცირეოდენ საჩუქრებსაც იმეტებდნენ.

ფიქრობდნენ კი ქართული სამეფო-სამთავროების პატრონები, საბოლოო ჯამში, რა მოჰყვებოდა ამ კავშირს? თავისი დახმარების საფასურად რა პირობებს წამოაყენებდა რუსეთი? ქართველი პოლიტიკოსები გულუბრყვილოდ მართლა ხომ არ ფიქრობდნენ, რომ რუსეთის სახელმწიფო მარტო ქრისტიანობისა და “ერთმორწმუნეობის გამო" სრულიად უანგაროდ გაუწევდა დახმარებას ქართველებს? და საერთოდ, დაიწყებდნენ თუ არა ქართველები ისეთი მოკავშირის ძებნას, რომელიც მათ სახელმწიფოებრიობას შეიწირავდა?

როდესაც საქართველოს სამეფო-სამთავროების მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვაზე საუბრობდა, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნული მარცხის მიზეზად მიიჩნევდა არა მარტო მეფის რუსეთის ცბიერ პოლიტიკას, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა პოლიტიკურ გულუბრყვილობას, რაც რუსეთისადმი სახელმწიფოებრივ-ქრისტიანულ ნიადაგზე “დაუშრეტელ ნდობაში" გამოიხატებოდა.

ასე იყო, თუ ისე, 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. ამ ფაქტმა განსაზღვრა ქართული ეკლესიის ისტორიული ბედიც.

ჯერ კიდევ 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამთავროებს შორის დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატში ნათქვამი იყო, რომ ქართული ეკლესიის მმართველობის და მისი დამოკიდებულების შესახებ რუსეთის წმინდა სინოდთან უნდა შედგენილიყო ცალკე არტიკული.

ამ არტიკულს ქართული ეკლესიის მესვეურნი ასე განმარტავდნენ: მეფეს არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო სასულიერო საქმეებში, ამიტომ, როდესაც საქმე პოლიტიკურად გადაიჭრებოდა, შემდეგ უნდა გადაეწყვიტათ სარწმუნოების საკითხი, ეკლესიათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, მაგრამ შემდეგ მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ამ არტიკულს ყურადღება არ მიაქცია და თანდათანობით ქართული ეკლესია დაუმორჩილა რუსეთის სინოდს.

1811 წელს კათალიკოსი ანტონ II პეტერბურგში გაიწვიეს. ეს ფაქტი უკვე მოასწავებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას. ამის შემდეგ შეიქმნა საეგზარქოსო. პირველი ეგზარქოსი იყო ვარლამი, გვარად ერისთავი. ეს იყო პატივმოყვარე კაცი, რომელიც ცდილობდა სინოდის კეთილგანწყობის დამსახურებას. მან ბევრი იშრომა საეგზარქოსოს შესაქმნელად, ამიტომ, მომდევნო პერიოდის ქართული სამღვდელოება მას ზიზღით უყურებდა.

საეგზარქოსოს ისტორიის მთელ მანძილზე ვარლამი იყო ერთადერთი ქართველი ეგზარქოსი, დანარჩენი თოთხმეტი (მათი რიცხვი სულ 15 იყო), რუსი იყო.

საეგზარქოსოს დაწესების შემდეგ ქართულ ეკლესიაში თანდათან დაინერგა რუსული საეკლესიო წესრიგი. ბევრ ეკლესიაში შემოიღეს ხალხისათვის გაუგებარ ენაზე წირვა-ლოცვა და საერთოდ, ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის ნაწილი გახდა.

საეკლესიო მამულების დიდი ნაწილი ჩამოერთვა სამღვდელოებას და გადავიდა ხაზინის მფლობელობაში. სამაგიეროდ წმინდა სინოდმა გამოუყო თანხები საეგზარქოსოს, მაგრამ ეს ფულადი თანხა იმდენად მცირე და უმნიშვნელო იყო იმ შემოსავალთან შედარებით, რაც შემოსდიოდა ეკლესიას თავისი სამფლობელოებიდან, რომ ეს აქტი ქართველმა სამღვდელოებამ ძარცვის აქტად ჩათვალა და აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

ასე რომ, ქართველი სამღვდელოების უკმაყოფილების ერთ-ერთი სერიოზული და ძირითადი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაც იყო. გარდა ამისა, მეფის თვითმპყრობელობა საქართველოში ეგზარქოსებად აგზავნიდა თავის მოხელეებს, რომლებიც უმეტესად გამოირჩეოდნენ შოვინიზმით, უმეცრებით და შეუგნებლობით. ცარიზმი ცდილობდა გამოეყენებინა მართლმადიდებელი ეკლესია კოლონიური ჩაგვრის და აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. საქართველოს ეგზარქოსები და მათი მოხელეები ცდილობდნენ სწავლებიდან ამოეღოთ ქართული ენა, გაეთიშათ ქართველი ხალხი, მეგრელებს და სვანებს არაქართველებად აცხადებდნენ.

ერთ-ერთი ეგზარქოსი პავლე 1886 წელს იქამდეც მივიდა, რომ საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი, რასაც ქართველთა შორის მძლავრი საპროტესტო გამოძახილი მოჰყვა. ამის საპასუხოდ, ერთგული სამსახურისათვის, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II ეგზარქოსს ბრილიანტის ჯვარი უბოძა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებამ ემოციური გავლენა დაუკარგა მართლმადიდებლურ კულტს, ხოლო ყოველივე ამან

თავი იჩინა მოსახლეობის რწმენის შერყევაში, რაც უფრო ხშირად რელიგიისადმი გულგრილობაში გამოიხატებოდა. ამის გამო სამღვდელოება დიდ შეშფოთებას გამოთქვამდა.

XIX საუკუნის დასასრულიდან სულ უფრო გახშირდა სამღვდელო პირთა გოდება ეკლესიის ავტორიტეტისა და რწმენის დაცემის გამო. საეკლესიო მამულების ჩამორთმევის შემდეგ სამღვდელოების ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებული იყო მრევლზე. ამიტომ, მათ ძალზე აწუხებდათ მორწმუნეთა ღვთისადმი გულგრილობა.

ქართველი სამღვდელო პირები რწმენისადმი გულგრილობას უპირველეს ყოვლისა მიაწერდნენ საკუთარი, დამოუკიდებელი ეკლესიის უქონლობას, მოითხოვდნენ ავტოკეფალიის დაბრუნებას. ამ პერიოდში ჩნდება ლიტერატურა, რომელშიც არის მტკიცება, რომ რუსეთის მთავრობამ დაარღვია III მსოფლიო საეკლესიო კრების მერვე და VI მსოფლიო საეკლესიო კრების ოცდამეცხრამეტე წესი და დაიწყო ეგზარქოსების დანიშვნა საქართველოში აღმოსავლეთის პატრიარქების თანხმობის გარეშე.

ქართველი სასულიერო პირების მტკიცებაში, რასაკვირველია, დიდი სიმართლე იყო. მართლაც, რუსულ ენაზე წირვა-ლოცვამ, უცხო საეკლესიო მმართველობამ შეასუსტა სამღვდელოების კავშირი მოსახლეობასთან. შეანელა რელიგიის გავლენა ხალხზე და მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორა ეკლესიას, მაგრამ ამ მსჯელობებში ნაკლებადაა ლაპარაკი მორწმუნეთა რელიგიისადმი გულგრილობისა და ზურგის შექცევის სხვა მიზეზებზე. კერძოდ, არაფერს ამბობდნენ იმ დიდ საეკლესიო გადასახადებზე, რომლითაც მოსახლეობა ძალზე შევიწროვებული იყო. სხვა მოთხოვნებთან ერთად გლეხობა აყენებდა მოთხოვნას საეკლესიო გადასახადების გაუქმების შესახებ.

ამის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1905-1907 წლების რევოლუციური გამოსვლების დროს ხალხი მკაცრად ილაშქრებდა ეკლესიის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამ პერიოდში რუსული თვითმპყრობელობის სამსახურში მდგარი ეკლესია ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა. ის ებრძოდა განსხვავებულ აზრს და პოლიციასთანაც თანამშრომლობდა. საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, სამღვდელოება ხელს უწყობდა ანტისოციალისტური ლიტერატურის გავრცელებასაც. ეს კი მის ავტორიტეტს როდი ზრდიდა. ეკლესიის ასეთი არასასურველი მდგომარეობა გაგრძელდა 1917 წლამდე, ვიდრე ქართველმა სამღვდელოებამ ავტოკეფალია არ გამოსთხოვა დროებით მთავრობას...

“ერთმორწმუნე", ერთი ტიპიკონის გამზიარებელ ხალხთან შეერთებას და ჩახუტებას, ლოგიკის მიხედვით, თუ პრივილეგირებული მდგომარეობის დაკავება არა, ყოველ შემთხვევაში სხვა სარწმუნოების ხალხთან შედარებით უარეს მდგომარეობაში ჩავარდნა მაინც არ უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ სინამდვილეში მაინც საოცარი და დაუჯერებელი ამბავი მოხდა: თავისი “ერთმორწმუნეობის~ გამო ქართველები სხვაზე მეტად დაიჩაგრნენ და ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად საკუთარი მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ავტოკეფალიაც დაკარგეს.

ათასგზის მართალი იყო ჩვენი სასიქადულო მწერალი ილია ჭავჭავაძე, როდესაც ჩვენი ასეთი “მართლმადიდებლური გულუბრყვილობის" და “ერთმორწმუნეობის" ზედმეტად ნდობის სავალალო შედეგს მისთვის დამახასიათებელი სიცხადით აფიქსირებდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლებისადმი მირთმეულ მოხსენებაში და მის დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვდა:

“რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა.შ. თავიანთ აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან, მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურის სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოოდენ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახეირო არ არის მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია, ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი უგუნური ვითარების შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომ განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ: ვიმედოვნებთ რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებთ, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს."

მაგრამ, რუსთა შორს მიმავალ პოლიტიკურ-რელიგიურ გეგმებში ქართული ავტოკეფალიის აღდგენა არ შედიოდა, რადგან მათ მართლმადიდებლობა, მართლმადიდებელი ეკლესია პირველ რიგში ესახებოდათ კოლონიური ჩაგვრისა და მორჩილების სულიერ იარაღად, მოსახლეობის რუსიფიკაციის საშუალებად, რაც ესოდენ საჭიროდ და საშურად ითვლებოდა ახალშემოერთებული მხარის სრული ათვისებისათვის.

ამ უეჭველ ფაქტს, უფრო გვიან, აღარც რუსი სასულიერო პირები მალავდნენ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა არქიეპისკოპოს სერგის მიერ გამოთქმული აზრი შრომაში “ქართული ავტოკეფალია და მისი რესტავრაცია~, სადაც იგი დაუფარავად წერდა: “გადაწყდა, პატარა ქვეყანა თავისი დამოუკიდებელი ძველი კულტურით გაერუსებინათ, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ქართული სულიერების გამომხატველი იყო, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილად ექციათ. ამისათვის მეთოდებიც შესატყვისი და იმ დროისათვის შესაფერისი იქნა

არჩეული: უხეში ადმინისტრირება, ძალდატანება, მეფის რუსეთის ჩინოვნიკთა და სატრაპთა თვითნებობა, განუკითხაობა და ეკლესიის იერარქთა საქმიანობაში ჩარევა."

თუ რა უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს და მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიის დაკარგვამ და საეგზარქოსოს შემოღებამ, კარგად აქვს შეჯამებული ეპისკოპოს დავითს თავის შრომაში "ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ~, რომელიც 1912 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე. იგი წერდა:

"1. ეგზარქოსები არ ზრუნავდნენ ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე;

2. მათ არ იციან ქართული ენა და არა აქვთ უშუალო კავშირის შესაძლებლობა მორწმუნეებთან;

3. ისინი პატივს არ სცემენ ქართველთა ეროვნულ გრძნობებს და მათ კულტურას;

4. არ ზრუნავენ ქართველი სამღვდელოების მაღალი განვითარებისათვის;

5. ჩაგრავენ ქართველ სამღვდელოებას, არ აწინაურებენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რუს კოლეგებთან შედარებით უხდიან ნაკლებ ჯამაგირს;

6. ყოველნაირად ხელს უშლიან ქართველი სამღვდელოების მიერ ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო მუშაობას. ქართული საეკლესიო ორგანოს შექმნას;

7. ხელს უწყობენ ქართველი ერის გათიშვას, ცდილობენ მეგრელები დაუპირისპირონ ქართველებს და ამ მიზნით სამეგრელოში შემოიღეს წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე;

8. ცდილობენ ქართული ეკლესიების გარუსებას;

9. ქართველი სამღვდელოებისაგან მკაცრად მოითხოვენ მოვალეობის შესრულებას, ხოლო რუსი მღვდლების მიმართ აწარმოებენ ყველაფრის პატიების პოლიტიკას;

10. ეგზარქოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მრევლში მუშაობის დაყენების საკითხებს.

11. ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველი სამღვდელო პირები;

12. ისინი უფრო მეტად იმაზე ზრუნავენ, რომ დაამცირონ ან საერთოდ უგულებელყონ ქართველთა ეროვნული თავისებურებანი, მოსპონ ყველაფერი, რაც შეიძლება იყოს ქართველთათვის ეროვნულ გრძნობათა წყარო;

13. რუს ეგზარქოსებს არ შეუძლიათ შეიყვარონ თავიანთი სამწყსო, გაიზიარონ მათი ჭირი და ლხინი, იამაყონ იმით, რითაც ქართველები ამაყობენ, აფასებდნენ იმას, რაც მათთვის ძვირფასია;

14. ეგზარქოსებს არ უყვართ ქართველები და საქართველო.

3. ავტოკეფალიის აღდგენა

ბოლოს და ბოლოს ეს უსამართლობაც დამთავრდა, ახდა ქართველთა მრავალწლიანი ოცნება. ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, როგორც იქნა,წარმატებით დასრულდა. ქართველებმა 1917 წლის 12 მარტს კარგად ისარგებლეს რუსეთში მომხდარი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით და მცხეთაში გამართულ საეკლესიო კრებაზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადეს. რასაც მალე, 1917 წლის 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამაც დაუჭირა მხარი.

მართალია, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობა არ იყო ბოლომდე მისაღები, რადგან ავტოკეფალიის აღიარება მოხდა მაინც არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით (მხოლოდ ქართველებისათვის), მაგრამ მთავარი მაინც გაკეთებული იყო. ყინული გალღვა. პირველი, ყველაზე უფრო რთული ნაბიჯი გადადგმულ იქნა, რასაც შემდეგში ქართული ავტოკეფალიის შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის სხვა სასურველი ქმედებებიც მოჰყვა.

1917 წლის სექტემბერში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ყრილობაზე კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს დიდი მოღვაწე და ავტოკეფალიისათვის თავდადებული მებრძოლი კირიონ საძაგლიშვილი. მისი საზეიმო კურთხევა კი რამდენიმე დღეში, ამავე წლის პირველ ოქტომბერს გაიმართა.

ამ საეკლესიო კრებას ბევრი მკვლევარი ისტორიულს უწოდებს და ეს მართლაც ასეა. იმ ჩამოქუფრულ, შავბნელ ზეცაზე, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგ თავს დაგვყურებდა, ეს პირველი ნათელი წერტილები იყო, საიდანაც ხელახალი ათვლა დაიწყო მრავალტანჯულმა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ამის შემდეგ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დამოუკიდებლობის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი სირთულეები უნდა გადაელახა, მრავალი მსხვერპლი გაეღო, რათა საბოლოოდ დაემკვიდრებინა თავისი მეობა და თავისთავადობა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, დასაბამი უკვე მიცემულ იქნა.

1918 წლის 26 მაისს, როგორც ცნობილია, საქართველომ თავისი დიდი ხნის დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამ პერიოდიდან დაწყებული 1921 წლის 25 თებერვლამდე, სანამ კომუნისტური იდეებით შეიარაღებული რუსები არ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში და მისი ანექსია არ მოახდინეს, მთლიანად საქართველოს და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც ამოსუნთქვის საშუალება

მიეცათ. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების სათავეში მენშევიკები იდგნენ, ისინი არ ღალატობდნენ თავის შეხედულებებს რელიგიასა და ეკლესიაზე, ამიტომაც, ერთი მხრივ, მათ საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 25 ნოემბრის კანონით საღვთო სჯულის სწავლება გააუქმეს:

"1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში, _ ნათქვამი იყო კანონში, _ გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ

მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით.

4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავისი ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას.

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო "საქართველოს რესპუბლიკაში."

მაგრამ, მეორე მხრივ, დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ ეკლესიას ხალხისათვის, კარგად ითვალისწინებდა, თუ რა როლს ასრულებდა იგი ქართველთა ისტორიასა თუ სულიერ ცხოვრებაში. მათ ისიც კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი მხარდაჭერა შეიძლებოდა მიეღო მისგან ახლადაღდგენილ ქვეყანას, რომელიც თვითდამკვიდრებისათვის იბრძოდა. ამიტომ, იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა ქართულ ეკლესიას ფეხზე დამდგარიყო და გაძლიერებულიყო.

უფრო გვიან, კომუნისტური მმართველობის დროს, ასეთ ფაქტებს საბჭოთა ისტორიკოსები წყრომით მოიხსენიებდენ და როგორც სერიოზულ ბრალდებას ისე უყენებდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, საყვედურობდნენ, რომ მათ არა მარტო მორალური მხარდაჭერა გამოუცხადეს ეკლესიას, არამედ მატერიალურადაც დაეხმარნენო...

მართლაც, ზოგიერთი ცნობით, 1918-1919 წლებში მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი აპარატის შენახვისათვის მენშევიკურმა მთავრობამ გამოყო 2 501 000 მანეთი. სხვა ცნობით, 1919 წელს მთავრობამ ეკლესია-მონასტრებისა და სამღვდელოების შესანახად მნიშვნელოვანი თანხა - 1 720 000 მანეთი გამოყო. სპეციალისტთა მტკიცებით, ეს თანხა 672 000-ით მეტი იყო იმაზე, რაც იმ დროისთვის სახალხო ჯანმრთელობის კერებისა და მათი მომსახურე პერსონალის შესანახად დაიხარჯაო. ამ ფაქტის კომენტირებისას ისტორიკოსები შენიშნავენ, რომ დემოკრატიული მთავრობა ხალხის სულიერ სიმტკიცეზე არანაკლებ ზრუნავდა, ვიდრე ფიზიკურ ჯანმრთელობაზეო.

თავის მხრივ, ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოებაც დიდი სიხარულით შეხვდა მენშევიკთა მმართველობას საქართველოში, რადგან ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადებას, სამართლიანად, ქართველთა დიდი ხნის ოცნების აღსრულებად თვლიდნენ, რაც ესოდენ დიდი გარჯისა და ტანჯვა-წვალების შედეგად იქნა მიღწეული.

ქართველ სამღვდელო პირებს, ისევე, როგორც ნებისმიერ თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს, ძალზე ეშინოდათ რუსეთის ახალი ექსპანსიის, რევოლუციის ექსპორტის,ბოლშევიკების, რომლებიც თავიანთ მოძღვრებაში ადგილს არ ტოვებდნენ რელიგიისა და ეკლესიისათვის, თვლიდნენ მას მხოლოდ გადმონაშთად, რომელიც დროთა ვითარებაში უნდა დაძლეულიყო. შესაბამისად, სამღვდელოების უმრავლესობის მხრიდან კომუნისტების მიმართ რაიმე სიმპათიაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მათგან დასაცავად ეკლესია მზად იყო ყოველი ღონე ეხმარა.

4. ბოლშევიზმი, როგორც ახალი რელიგია

ქართველ სასულიერო პირებს ტყუილად როდი ეშინოდათ, ტყუილად როდი განიცდიდნენ ჩრდილოეთიდან, კერძოდ, რუსეთიდან, იქ მომხდარი ოქტომბრის რევოლუციიდან მომდინარე საფრთხეს.ეს საფრთხე ძალზე რეალური იყო. შემთხვევით როდი წერდა კათალიკოს-პატრიარქი კირიონი: ‘რომ დღეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკის ვერაგობა წარსულში თუ ახლა. თუ ადრე ჩვენ თვითმპყრობელობა გვანადგურებდა, დღეს ჩვენ თვალს გვთხრიან დემოკრატი “სოციალისტ-ბოლშევიკები" და გვიწინასწარმეტყველებენ ევროპაში ერთადერთი ფანჯრის - ბათუმის - დახურვას. კათალიკოს-პატრიარქი აშკარად გრძნობდა კატასტროფას და სასოწარკვეთილი წერდა: “საქართველოს ცაზე ჩამობნელდა..."

ქართველმა სასულიერო პირებმა ხალხს მიმართვაც გაუგზავნეს, სთხოვდნენ, გაეძლიერებინათ სახალხო ლაშქარი და სამშობლო განსაცდელისგან ეხსნათ.

მაგრამ, ყოველივე ამისაგან არაფერი გამოვიდა. მოსახდენი მაინც მოხდა. საფრთხის თავიდან აცილება არ მოხერხდა. რუსეთმა თავისი მეთერთმეტე არმია შემოუსია საქართველოს და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში, თბილისში უკვე წითელი დროშა აღიმართა. საქართველომ ისევ დაკარგა ასეთი ტანჯვით მიღწეული დამოუკიდებლობა. დაიწყო უმძიმესი პერიოდი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში...

შემდეგ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ერთიან რუსეთში იყო. საქართველოშიც იგივე წესები და დადგენილებები იქნა მიღებული, რაც მომავალ საბჭოთა კავშირში. იმ დადგენილებებს შორის, რომლებიც იმ პერიოდში მიიღეს საქართველოში, ძალზე საყურადღებოა #21 დეკრეტი - “სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ", რომელიც 1921 წლის 15 აპრილს იქნა მიღებული. იგი რუსეთში 1918 წლის 20 იანვრის დეკრეტის ანალოგიურად შეიქმნა.

ქაღალდზე ყველაფერი თითქოს კარგად და სამართლიანად იყო დაფიქსირებული. აღიარებული იყო სინდისის სრული თავისუფლება. ნათქვამი იყო, რომ თითოეულ ადამიანს ეძლევა უფლება, აღიაროს ნებისმიერი რელიგია, ან არ აღიაროს არცერთი, ყოფილიყო ათეისტი და გაეწია მეცნიერულ-ათეისტური შეხედულებების პროპაგანდა. ამასთანავე, ისინი არ უნდა შეხებოდნენ მორწმუნეთა გრძნობებს და შეექმნათ სათანადო პირობები რელიგიური ჯგუფების (თემის) ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, ქაღალდზე ყოველივე ეს მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ რეალურად საქმე სულ სხვანაირად იყო. ფაქტიურად, მზადდებოდა ნიადაგი იმისათვის, რომ ყოველგვარი რელიგიური შეხედულება გადმონაშთად გამოეცხადებინათ და შემდეგ მთელი ძალით, ადამიანთა შეგნებული ნაწილის მობილიზებით, ასეთი გადმონაშთები უნდა დაეძლიათ და აღმოეფხვრათ. ამასთან სერიოზული ლაპარაკი რელიგიის როგორც სოციალური, ისე გნოსეოლოგიური (შემეცნებითი) ფესვების აღმოფხვრაზე. სოციალურ ფესვებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კლასობრივი ფესვების (მიზეზების) აღმოფხვრას.

იმისათვის, რომ ეს გეგმები ცხოვრებაში განეხორციელებინათ, დიდი ღონისძიებები ტარდებოდა. მათ შორის ხშირი იყო შიშველი ადმინისტრირების ფაქტებიც, მაგრამ ის, რაც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცხოვრებაში ტარდებოდა, ეს არ იყო სუფთა ათეიზმი, ეს არ იყო მხოლოდ ღმერთზე, მის საქმეებზე უარის თქმა და ადამიანის წინა პლანზე წამოწევა, არამედ ეს უფრო რაღაც ფსევდო რელიგიის მსგავსი მოვლენა იყო, რასაც რელიგიის თითქმის ყოველგვარი ატრიბუტი ჰქონდა, გარდა იმქვეყნიური ცხოვრების დოგმატის აღიარებისა, ამ უკანასკნელს კი კომუნისტები ამქვეყნიური სრულყოფილი ცხოვრების შექმნის იდეით ცვლიდნენ.

*

* *

ბევრნი, ყველაფერ ამას, მხოლოდ ახლა მიიჩნევენ დიდ უბედურებად და საშინელებად: კომუნისტების 70-წლიან ბატონობასაც, ამ დროს მომხდარ რეპრესიებსაც, უბრალოდ და უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლსაც, ციხეებსა თუ საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტილი ადამიანების ბედსაც, დანარჩენი მსოფლიოსაგან ჩამოფარებულ რკინის ფარდასაც, სიტყვისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვასაც, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის კომუნისტურ მისტიციზმსაც, სხვასა და სხვას...

დღეს, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში და მათ შორის დამოუკიდებელ საქართველოშიც, უფრო ამ უარყოფით მომენტებზე მახვილდება ყურადღება; სამწუხაროდ, ახლა, მემარცხენე ძალების და გაჭირვებული მოსახლეობის გარდა, იშვიათად თუ ვინმე ახსენებს იმ პოზიტიურს, რაც ამ რევოლუციურ ბრძოლებს მოჰყვა; ნაკლებად იგონებენ წარსულს, როგორც ახლო და ისე შორეულს, რასაც

მონობა, ბატონყმობა, ადამიანის გაყიდვა, პირველი ღამის უფლება, წოდებრივი უთანასწორობა, ერთი ადამიანის მიერ მეორეს ჩაგვრა ჰქვია.

ზოგს აღარც ისტორიის აღმა სვლა უნდა შეამჩნიოს. ამიტომ არც იმ სოციალურ უბედურებებს იხსენებს, რაც კაპიტალიზმს მოჰყვა, თავდაპირველს, ველურს თუ უფრო გვიანდელს, განვითარებულს და ცივილიზებულს. ის დიდი, უზარმაზარი ფილოსოფიური, მეცნიერული თუ მხატვრული ლიტერატურაც თითქმის დავიწყებულია, რომელშიაც მთელი ეს უბედურება არის აღწერილი. ასეა ყველგან პოსტსაბჭოურ სივრცეში და ასეა ჩვენში, საქართველოშიც. ამ მიმართებით იშვიათად თუ ახსენებენ დანიელ ჭონქაძეს, ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, და არც თეოდორ დოსტოევსკი, არც ანტონ ჩეხოვი, არც სტენდალი და ვიქტორ ჰიუგო ახსოვთ. თითქოს დავიწყებულია ის დიდი, უზარმაზარი რევოლუციური ლიტერატურაც, რომელსაც სოციალური უკუღმართობები უნდა დაეძლია, სამყარო გარდაექმნა და ადამიანიც უფრო უკეთესი და სრულყოფილი გაეხადა. ბევრი ახლა ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობს, თითქოს ეს დიდი დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის არც არასოდეს არსებულიყოს.

ადრეც ვწერდით, რომ მარქსიზმი, მიმდევართა აზრით, თვისობრივად ახალი მოძღვრება იყო, რომელსაც უდიდესი გადატრიალება უნდა მოეხდინა კაცობრიობის ისტორიაში. მართალია, მას მჭიდროდ უკავშირებენ ათეიზმს, ღმერთის არსებობის კატეგორიულ უარყოფას, რომელსაც შემდგომში ათეიზმის უმაღლესი ფორმა – მეცნიერული ათეიზმი უწოდეს, მაგრამ სინამდვილეში იგი თვით იყო რელიგიური მოვლენა, რომელიც ისეთივე დოზით თხოულობდა ერთგულებასა და ღრმა რწმენას, როგორც ნებისმიერი რელიგიური მოძრაობა.

ასეც მოხდა. მარქსიზმი რუსეთში და ზოგ ქვეყანაში მოვიდა, როგორც ახალი რელიგია. შესაბამისად მას უნდა მოჰყოლოდა ცხოვრების ახალი წესიც. ამიტომ, იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ძველის უარყოფით, მხოლოდ წარსულის დაგმობით და აკრძალვით, არამედ მას საკუთარი პრინციპები, იდეალები და ღირებულებები უნდა მოეტანა. იმისათვის, რომ ხალხის მასებში აღმოეფხვრა ძველი რწმენა და ცხოვრების წესი, ამისათვის მას საკუთარი მსოფლმხედველობისათვის ადგილი უნდა გაეთავისუფლებინა. სხვაგვარად, ადამიანთა ცხოვრებიდან უნდა წაეშალა ყოველივე ის, რაც რელიგიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ეს შეეხებოდა ადამიანთა რწმენას, ყოფას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და ა. შ.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, თუკი ათეიზმის ადრინდელი ფორმები კმაყოფილდებოდნენ ცალკეული რელიგიური დოგმების კრიტიკით, სკეპტიკური დამოკიდებულებით განგებისა თუ ბედისწერისადმი, მსხვერპლშეწირვის საჭიროებისადმი, ეჭვის შეტანით ამა თუ იმ ტრადიციის, წეს-ჩვეულებების სისწორეში და ა.შ., ახლა მას მთლიანად უნდა უკუეგდო რელიგიის გავლენა, მთლიანად მოეცვა და დაეფარა ის არეალი, რომელიც ადრე რელიგიას ეკავა, იქნებოდა ეს სულიერი სფერო თუ ადამიანთა ყოფა.

მართლაც, კომუნისტების დროს, ათეიზმი წარმოგვიდგებოდა როგორც ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც თავისი მსოფლგაგებიდან სრულიად გამორიცხავდა რელიგიურ წარმოდგენებს, აცხადებდა მას დრომოჭმულ,

არამეცნიერულ შეხედულებად, რომლის აღმოფხვრაც დროთა განმავლობაში გარდუვალად უნდა მომხდარიყო.

მარქსიზმი, თანმხლები ათეიზმით, მიუხედავად მომხრეების მიერ ხაზგასმული ღმერთის უარყოფისა, გარეგნულად ძალიან ჰგავდა რელიგიას და მისი უამრავი კომპონენტი გააჩნდა, ხოლო მისი დებულებები რელიგიური მცნებებივით გამოიყურებოდა. ასეთი დიდი მსგავსება ამ ორ მოვლენას შორის ბევრ მკვლევარს აქვს შემჩნეული. მათ შორის იყო ჩვენი დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძეც. სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელშიაც, მართალია ირონიულად, მაგრამ მაინც მითითებულია ამ მსგავსების შესახებ. და ვინაიდან, ჩვენში, ცოტა ვინმემ თუ იცის მისი არსებობის შესახებ, მთლიანად მოვიტანოთ ეს მასალა:

სიმვოლო სარწმუნოებისა

შედგენილი მსოფლიოსა კრებასა ზედა ქალაქსა შინა დორპატისასა და გამოცხადებული სამეუფოსა ქალაქსა შინა ქვათათისს, ადგილობრივსა კრებასა ზედა მესამისა დასისა, წელსა დასაბამითგან “კვალისა” მეშვიდისა, ხოლო გაჟორდანიებისა მისისაგან მესამისა.

1) მრწამს ერთი მარკსი, ტომით ურიასტანელი, თავბრუდამსხმელი ყოველთა უმეცრობით – მოცულთა ჩჩვილთა და უპოვართა, მოჯადოებული სახელ-განთქმულისა გეგელის მიერ, მამა-შემქმნელი ყოვლისა მეცნიერებისა, არსისა და უარსისა, გარეშე რომლისა არა იყვნენ მეცნიერნი უცხონი სოფელსა ამას შინა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე;

2) და ერთი ოდენ ჭეშმარიტი მოციქული მისი ჟორდანია, გურჯისტანელ მარკსად წოდებული, რომელი მარკსისაგან გამოვალს, მის მიერვე გაცოფებულ არს მსგავსად ჯიბლაძისა და მისთანათა, უარ-მყოფელი ყოველთა მეცნიერთა გარეშე მისა, რომელიც ჩვენის დასის თავად აღსაარებულ და ხელ-დასხმულ იქნა წინასწარმეტყველისა გიორგის მიერ უწინარეს დაბადებისა მისისა, ჟამსა მას გოდებისასა, დასაფლავებასა ზედა ინგოროყვასასა, ნათელი ნათლისაგან, მეცნიერი ჭეშმარიტი მეცნიერისაგან უჭეშმარიტესისა, ქმნილი და არაშობილი, თანაარსი მოძღვრისა მისისა, რომელისაგან შეიქმნა ყოველი მეცნიერება;

3) რომელი ჩვენთვის, მესამე დასის კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გადმოხტა ცისკიდით, დასავლით კერძო და ფრთანი შეისხნა წინასწარმეტყველისა გიორგისაგან და განკაცდა და მპყრობელ არს დროშისა მის, შთაბერებულისა წინამორბედისა მისისა გიორგის მიერ;

4) რომელი ჟამსა ამას არა ჯვარცმულ არს, არცა ვნებულ და არცა დაფლულ მსგავსად წინამორბედისა მისისა, არამედ ჯვარმცველ არს ყოველთა მათ, რომელნიცა არიან გარეშე ჩვენსა;

5) რომელი სდგას თავსა შინა მესამისა დასისასა მსგავსად წერილისა წინასწარმეტყველისა მის გიორგისასა;

6) და ამაღლებულ არს მერყევსა ტახტსა ზედა“კვალისასა” და მჯდომარე არს მარჯვენით ხელ-დამსხმელისა მისისა;

7) და მოვლენილ არს დიდებით ქვეყანასა ამას გურჯისტანისასა განსჯად ყოველთა ცხოველთა და მკვდართა ეროვნებათა და მრთელისა კაცთა ნათესავისა მსგავსად მაზაკვალისა, რომლისა სიჭაბუკესა არა აქვს დასასრული;

8) და ერთი წმინდა სულიერი, წინასწარმეტყველი და წინამორბედი ჟორდანიასი გიორგი, რომელი გურჯისტანისაგან გამოვალს, გურჯისტანელთაგან და აიასტანელთაგან ჟორდანიასთანა და ჯიბლაძესთანა თაყვანისიცემების და იდიდების ამა ჟამსა შინა, რომელში იტყოდა და არცა იტყვის ივანიკასა და გოჯასპირას მიერ;

9) ერთი წმინდა მართლ-მადიდებელი და სამახარაძო მესამე დასი და ყორანი მისი “კვალი” ;

10) აღვიარებ ერთსა ოდენ მცნებასა გაჟორდანიებულის მარკსისა და გამარკსებულის ჟორდანიასასა მოსატევებელად ყოველთა ცოდვათა, ურიგობათა, უწესობათა და სულელობათა;

11) მოველი სასოებით დამხობასა ყოველთა წოდებათა და ეროვნებათა და უწინარეს ყოველთა გურჯისტანის განადგურებასაცა;

12) და ცხოვრებასა გაღატაკებულთა, გაუმეცრებულთა და მხეცებრივის ბრძოლით გაპირუტყვებულთა ბრბოთა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ! (იხ. სიმბოლო სარწმუნოებისა. ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ნარკვევი დაურთეს აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა. თბილისი, 1997 წ.).

როგორც ჩანს, მიმართვა ასეთი ხერხებისა და პარალელებისადმი იმ პერიოდში ძალიან მოდაში იყო და მას საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნის მომხრეებიც მიმართავდნენ. აი, საუფლო ლოცვის “მამაო ჩვენოს” ბოლშევიკური ვარიანტი:

“მამაო ჩვენო, რომელი ხარ პეტერბურგში,

დაიწყევლოს სახელი შენი,

წარწყმდეს სუფევა შენი, და

ნუ იყოფინ ნება შენი, თვით ჯოჯოხეთშიც.

მოგვეც ჩვენი პური, რომელსაც გვპარავ,

და გადაიხადე ვალნი შენნი,

ვითარც ჩვენ ვიხდით ვალთა ჩვენთა,

და ნუ შემიყვანებ ჩვენ საცდურსა,

არამედ მიხსენ ჩვენ პლევეს პოლიციისაგან,

და წარწყმიდე სახსენებელი მისი და

რამდენადაც უძლური ხარ და სულით გლახაკი,

უკუნისამდე მასთან ერთად წარწყმდი შენც, ამინ!”

რუს სოციალისტთა მსგავსად ანალოგიური პაროდია გერმანელ სოციალისტებსაც შეუთხზავთ, თუ პირველნი “მამაო ჩვენოში” “მეფეო ჩვენოს” გულისხმობდნენ, მეორენი კაპიტალს მიმართავენ და ხოტბას ასხამდნენ მას:

“კაპიტალო ჩვენო, რომელი ხარ დასავლეთში,

საიმედო იყოს ინვესტიციები შენი,

და გამორჩენა მიიღე მათგან. დაე ამაღლდეს აქცია შენი,

ვითარცა უოლი-სტრიტზე, ასევე ევროპაშიც,

ვაჭრობა ჩვენი უზრუნველყავ,

და განამრავლე კრედიტი შენნი,

ვითარცა ჩვენ განვუმრავლებთ კრედიტებს თანამდევთა მათ ჩვენთა

და ნუ გაგვაკოტრებ,

არამედ გვაშორე ჩვენ პროფკავშირები,

რამეთუ შენია მსოფლიოს ნახევარი,

ძალა და სიმდიდრე 2000 წელია, მამონა”.

სამწუხაროდ, იმ დადებითთან და ღირებულთან ერთად, რაც რელიგიას ჰქონდა, სოციალისტებმა ბეჯითად გადაიღეს ის უაღრესად უარყოფითი, რაც მოგვიანებით წარმოიქმნა ისტორიული ქრისტიანობის, განსაკუთრებით კათოლიციზმის წიაღში. ამაში თუნდაც ინდულგენციებით ვაჭრობას და ინკვიზიციას ვგულისხმობთ, რომელმაც შუა საუკუნეების მთელი ევროპა შეაძრწუნა და მრავალი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. მასთან მხოლოდ არანაკლებ სისხლიანი ბოლშევიკური რეპრესიების შედარება თუ შეიძლება.

და როგორც ძე ღვთისა, იესო ქრისტე, რომელიც ადამიანების ცოდვებს შეეწირა და უსაშინლესი სიკვდილით მოკვდა ჯვარზე, ვერასოდეს მოიფიქრებდა, რომ მისი სახელით, რელიგიის პირფერი ჯალათების ხელით, აგიზგიზდებოდა უამრავი კოცონი, გაისკვნებოდა სარხრჩობელის ყულფი და დილეგში ჩააგდებდნენ ოდნავ სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს; ასევე ისინი, ვინც თავდაპირველად ადამიანთა თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობაზე ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათ ამ ნათელ იდეას, რომელიც შორეულ წარსულში თვით ქრისტიანობიდან და ბუდიზმიდან იღებდა სათავეს, ასეთი ბოროტება და გადაგვარება მოჰყვებოდა.

მართლაც, კომუნისტების ნამოქმედარში, მათი პარტიის ისტორიაში, ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც ისტორიული ქრისტიანობის ამბებს მოგვაგონებს. ისევე, როგორც ეკლესიის ისტორიაში იყო ათასგვარი გადახვევები, რომლისაგანაც წარმოიქმნა მრავალი ერესი თუ სექტა, ასევე ბოლშევიკთა მოძრაობაში იყო სხვადასხვაგვარი გადახრები, ე. წ. “უკლონები”: მემარჯვენე თუ მემარცხენე, ანარქო-სინდიკალიზმი თუ ნაციონალ-უკლონიზმი, მარქსიზმის ლენინური კი არა, ტროცკისტული ან სხვაგვარი გაგება, რასაც ტრადიციულად “პარტიული წმენდა” მოჰყვებოდა ხოლმე და რაც, საბოლოო ჯამში, დაგვირგვინდა კიდეც 1937-1938 წწ “წმენდით”, რომელსაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა. შესაბამისად, ისევე როგორც ინკვიზიცია თვლიდა მომაკვდინებელ ცოდვად და დევნიდა ოფიციალური სარწმუნოებისაგან განსხვავებულ მსჯელობას, ასევე მიუღებლად ცხადდებოდა პარტიის გენერალური “სწორი ხაზისაგან” გადახვევა და საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა.

მართლაც, ბევრი რამ იყო საერთო ამ ორ მოვლენას შორის. კომუნისტები აშკარად იოლად ვერ გადიოდნენ ისტორიული, დამახინჯებული ქრისტიანობის გამოცდილების გარეშე, რადგანაც იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც დიდხანს რელიგიური ცნობიერებით იცხოვრეს და მისი იდეებით საზრდოობდნენ, მათზე უარის თქმის შემდეგ, საჭირო იყო რაღაც კომპენსაცია, ახალი “სიწმინდეების” გამონახვა და მოშველიება...

ამიტომ, მართალია ეკლესიები, მონასტრები და სალოცავები დაანგრიეს, ბევრი გააუქმეს, მაგრამ მის ნაცვლად რევოლუციის ბელადს XX საუკუნეში ეგვიპტის ფარაონების სამარხებზე უფრო შთამბეჭდავი მავზოლეუმი დაუდგეს და იგი თაყვანისცემის საგნად აქციეს...

მიზანსაც მიაღწიეს. მავზოლეუმში ულევ ზღვად მიედინებოდა ხალხი. მის სანახავად მსოფლიოს რომელი მხრიდან აღარ ჩამოდიოდნენ, უგრძესი რიგები იდგა.

ცხადია, ყველა აქ მოსულს როდი სწამდა ბელადის, მისი იდეების და ხალხის ბედის მისებური გადაწყვეტის. ბევრი აქ ცნობისმოყვარეობის გამო მოდიოდა, ზოგსაც სხვათა სიგიჟე აინტერესებდა. ქვეყანაში მავზოლეუმი ნომერ პირველ პოსტად ითვლებოდა და მას უამრავი ხალხი ემსახურებოდა. ბელადის სხეულის ბალზამირებისა და მოვლისათვის სპეციალური სამსახური იყო შექმნილი. რაც შეეხება საპატიო ყარაულს, ისინი 30 გრადუსიან ყინვაშიც კი განუძრევლად უნდა მდგარიყვნენ. ყველაფერი ეს, ცხადია, რელიგიური თაყვანისცემის ელემენტი, უფრო სწორად რელიგიის ანომალია იყო.

რისთვის გაკეთდა ეს? ცხადია ხალხისათვის, უფრო სწორად, ხალხის იმ ნაწილისათვის, რომელსაც ასეთი თაყვანისცემის გარეშე გაძლება არ შეეძლო. უბრალოდ, თაყვანისცემის ობიექტი შეიცვალა. კომუნისტებმა ხალხის ტრადიციას, ჩვეულებასა და წესს მისამართი შეუცვალეს და თავის სასარგებლოდ აამუშავეს. მავზოლეუმის გარდა ქვეყანა რევოლუციურმა მემორიალებმა, თვალსაჩინო ბოლეშვიკების ძეგლებმა, ბიუსტებმა და პორტრეტებმა დაფარეს. ოფიციალურ ადგილებზეც ჯვარცმისა და ხატების ნაცვლად, მათი პორტრეტები ეკიდა. ეკლესიის ნაცვლად ხალხი ამ ძეგლებთან იკრიბებოდა, ყვავილები მიჰქონდათ, გვირგვინებით ამკობდნენ, მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ. აქვე მოჰყავდათ ბავშვები, ფიცს ადებინებდნენ, პიონერებად იღებდნენ, ოღონდ წითელი კვერცხების ნაცვლად წითელი ყელსახვევები ეკეთათ, რაც ქრისტეს სისხლის ნაცვლად მშრომელთა დაღვრილი სისხლის ფერი და სიმბოლო იყო. ჯვრისწერის და ნათლობების ნაცვლად კომკავშირული ქორწილები და ნათლობები იმართებოდა. ღმერთმა უწყის, რა არ ხდებოდა. ბიბლიის ნაცვლად მარქსიზმის კლასიკოსების ციტატები მოჰყავდათ. ეს წიგნები და მათში გამოთქმული აზრები ისეთივე აუცილებელი და თაყვანისცემის საგანი იყო, როგორც მორწმუნისათვის "საღმრთო წერილი".

კიდევ ბევრი რამ ჰქონდა "საერთო" ძველ და ახალ რელიგიას. ორივე ცდილობდა ადამიანის მთელი ცხოვრება თავისი წესებისათვის დაექვემდებარებინა – დაბადებაც, ქორწინებაც, გარდაცვალებაც, სახელმწიფოსა თუ ოჯახთან დაკავშირებული ყველა სხვა თარიღი თუ დღესასწაული. ახალი რელიგია ყველა სფეროში თავის ვერსიას აყენებდა და ძველი რელიგიის გაძევებას ლამობდა.

მხოლოდ ესაა, სიკვდილს და სიკვდილის შიშს, არყოფნას ვერაფერი მოუხერხეს კომუნისტებმა. მათი თეორია ამ საკითხში რაღაც ოპტიმისტურ ტრაგედიას მიაგავდა: მივდივართ აქედან, ამ ქვეყნიდან და ამას არაფერი ეშველებაო. და თუკი მაინც უნდა მოვკვდეთ, მოვშორდეთ ამ ქვეყანას, დაე მხიარულად, მუსიკით დავიღუპოთ, რადგან არც წუწუნი გვიშველის, არც ვაი-ვიში, არც ცრემლის დენა და არც არაფერი. დრო კი შეუბრალებლად გარბის და სულ უფრო გვაახლოებს ფინიშს. რუსთველიც ხომ ამას გვასწავლიდა: "ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერც კლდოვანიო"...

აქედან გამომდინარე, კომუნისტთა მიხედვით, სულ ტყუილია ის ზღაპრები, რაც საიქიო ცხოვრებაზეა მოთხრობილი, ტყუილია საფლავების გახსნა, მკვდრეთით აღდგომა, სულის უკვდავება, იქით არაფერი არ არის, სრულებით არაფერი...

და თუ ეს ასეა, მაშინ რაღა რჩება? მხოლოდ ერთადერთი - იმქვეყნიური ილუზიების აყოლას სჯობია ამქვეყნიური ცხოვრება მოვაწყოთ, ავაშენოთ სრულყოფილი საზოგადოება, რომელშიც ყველა ბედნიერად იგრძნობს თავს, ყველა თანასწორი იქნება, ყველას ექნება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. მართალია ჩვენ მივდივართ ამ ქვეყნიდან, მაგრამ, რაც ჩვენამდე შექმნილა და რაც ჩვენ დროს შეიქმნება, ხალხს დარჩება, მათ შორის ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, ჩვენს შთამომავლობას. ამაშიაო ჩვენი უკვდავება...

კომუნისტებმა დაიწყეს კიდეც ასეთი საზოგადოების აშენება. მათ ეს პროცესი ორ ეტაპად დაყვეს: სოციალიზმად, რომელიც გარდამავალ ეტაპს წარმოადგენდა და ერთგვარ კათოლიკურ სალხინებელს წააგავდა, და შემდგომ სრულყოფილ საზოგადოებად – კომუნიზმად.

კითხვაზე – თუ რატომ დევნიდა კომუნისტური იდეოლოგია ეკლესიას, რატომ ვერ იგუა მან რელიგია, პასუხი ნათელია - მათი შერიგება არასგზით არ შეიძლებოდა, რადგან კომუნისტური მოძღვრება, როგორც ითქვა, თვითონ მოგვევლინა რელიგიის როლში და მას, ცხადია, სხვა რელიგიის აღიარება არ შეეძლო. ხოლო საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად და დასანერგად სხვა რწმენის განადგურება იყო საჭირო.

მართალია, იტალიელი კომუნისტები დასაშვებად მიიჩნევდნენ მორწმუნეთა პარტიაში მიღებას, მაგრამ ეს ამბავი უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი და იგი მხოლოდ იმის ასახვა იყო, რომ ამ ქვეყანაში კათოლიციზმს დიდი გავლენა და ტრადიციები ჰქონდა.

და თუ ჩვენ ზემოთქმულს შევაჯამებთ და პარალელურ მომენტებს მოვნახავთ, დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

1. საღმრთო წერილის ნაცვლად – მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები;

2. ბიბლიური ციტატების ნაცვლად – მარქსიზმის კლასიკოსების ციტატები;

3. ღმერთის ნაცვლად – ყოვლისმომცველი მატერია;

4. რელიგიური თემის ნაცვლად – კომუნები, კოლმეურნეობები, საბჭოები;

5. რელიგიური ფიცის ნაცვლად – პარტიული ფიცი;

6. რელიგიური მორალის ნაცვლად – კომუნიზმის მშენებლის კოდექსი;

7. რელიგიური სიმბოლიკის ნაცვლად – კომუნისტური სიმბოლოები;

8. რელიგიური წმინდანების ნაცვლად – რევოლუციური საქმისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის დღეები;

9. მონასტრებისა და ეკლესიების ნაცვლად – მავზოლეუმი, მემორიალები;

10. ხატების ნაცვლად – რევოლუციონერთა ძეგლები, ბელადთა სურათები;

11. რელიგიური დღესასწაულების ნაცვლად – ბოლშევიკური თუ შრომის დღესასწაულები, რევოლუციური თარიღები;

12. რელიგიური ქორწინების ნაცვლად – კომკავშირული ქორწილები;

13. რელიგიური ნათლობების ნაცვლად – კომკავშირული ნათლობები;

14. სამოთხის ნაცვლად - კომუნიზმი;

15. ეკლესიებიდან განკვეთის თუ ინკვიზიციის ნაცვლად – პატიული წმენდა, რეპრესიები, განსაკუთრებით 1937 წლის;

16. ერესებისა და სექტების ნაცვლად – სხვადასხვა "უკლონები" - მემარცხენე, მემარჯვენე და ა. შ.;

17. მღვდლებისა და ეპისკოპოსების ნაცვლად – პარტორგანიზაციისა და რაიკომების მდივნები;

18.წითელი კვერცხის ნაცვლად – წითელი ყელსახვევები ბავშვებისათვის;

19.ჯვრის ნაცვლად – წითელი ვარსკვლავი.

ცხადია, ამ პარალელების გავლება და ჩვენება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენს თვითმიზანს არ წარმოადგენს.

5. კომუნისტური მოძღვრება და ხალხის რწმენა

სწამდა თუ არა ხალხს ეს ფსევდორელიგია თუ პოლიტიკური მოძღვრება? რასაკვირველია, დიდ ნაწილს მტკიცედ სწამდა; ამას ბევრი ისტორიული მომენტი თუ ფაქტი ადასტურებს. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ ამ ახალ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა სახელმწიფომ საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია. და ეს მართლაც ასე იყო. რეალური ფაქტია, რომ ჩამორჩენილი, ნახევრად ფეოდალური, კავის რუსეთი ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ და შესანიშნავი სამხედრო ტექნიკით შეიარაღებულ ქვეყნად იქცა, აშენდა და დამშვენდა ქალაქები, გაიჭრა უზარმაზარი სანაოსნო თუ სარწყავი არხები, გაიყვანეს რკინიგზები, გზები, ათვისებული იქნა ბუნებრივი სიმდიდრეები. გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში: ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, თეატრსა და კინოში.

გაუძლო თუ არა ამ სახელმწიფომ დროის გამოცდას? საკმაოდ გაუძლო. მან გადაიტანა უმძიმესი სამოქალაქო ომი, ეკონომიკური გაჭირვება, ახალი სახელმწიფოებრივი მანქანის მშენებლობა, კოლექტივიზაცია და

ინდუსტრიალიზაცია, შიმშილობები და რაც მთავარია, მან გადაიტანა მეორე მსოფლიო ომი, რომლიდანაც იგი გამარჯვებული და გაძლიერებული გამოვიდა. ბელადების რწმენა, რომელმაც ღმერთის რწმენა შეცვალა, დიდ როლს თამაშობდა ამ ბრძოლასა თუ შრომაში. ადამიანთა დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ ისინი სამართლიან საზოგადოებას აშენებდნენ, იმედი ჰქონდათ მომავლის.

როგორი იყო ეს რწმენა საქართველოში? უნდა ითქვას, საკმაოდ ძლიერი. ეს იყო რწმენა და ერთგულება ერთიანი სახელმწიფოსადმი, იმ მიზნებისა და იდეებისადმი, რომელსაც იგი ისახავდა. რაც შეეხება რელიგიურ რწმენას, იგი მოსახლეობის მცირე ნაწილს თუ შემორჩენოდა. უსაფუძვლოდ არ ლაპარაკობდნენ, რომ საქართველო მალე მთლიან ათეისტურ რესპუბლიკად იქცევაო. ბევრი ქართველის ერთგულებას და რწმენას ერთიანი საბჭოთა კავშირისათვის აშკარად ის ფაქტიც განაპირობებდა, რომ ქვეყნის სათავეში ქართველი კაცი იდგა და ის, როგორც სიმღერაში იყო ნათქვამი – ეს ადამიანი “გამარჯვებული ბელადი” იყო...

მართლაც, რწმენა კომუნიზმის იდეალისადმი და რელიგიის თითქმის სრული იგნორირება მთელ 30-40-იან წლებს გასდევს, თუმცა ომის წლებში იყო ეკლესიის გააქტიურებისა და მისი სამამულო ომში სათანადოდ გამოყენების მცდელობაც. სანამ სტალინი ცოცხალი იყო, ეს ტენდენცია არ შეცვლილა...

პირველი ბზარის გაჩენა ქართული მოსახლეობის უმრავლესობის რწმენასა და გულებში დაკავშირებული იყო პიროვნების კულტის კრიტიკასთან, იმ პიროვნების კრიტიკასთან, ვინც სამი ათეული წლის მანძილზე თითქმის ღმერთის ტოლფასად იყო გამოცხადებული და მას კერპივით თაყვანს სცემდნენ. სტალინის ასეთი მხილება ბევრისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა და კომუნისტური ღირებულებების მთლიან გაუფასურებას უდრიდა.

გარდა ამისა, ხრუშჩოვის და მისი თანამოაზრეების გამოსვლებში სტალინის ქართველობაზეც მახვილდებოდა ყურადღება. მალე მასობრივი პროპაგანდის საშუალებებში გაჩნდა სალანძღავი ტანდემი: სტალინი და ბერია – არარუსები, რომელნიც ყველა უბედურების მთავარ დამნაშავეებად გამოცხადეს. მოსკოვში, ლენინგრადსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველებს ამრეზით დაუწყეს ცქერა. ჩვენი მისამართით გაისმა დამამცირებელი გინება, შეძახილები. ყოველივე ეს, ცხადია, ეროვნულ დამცირებად და შეურაცხყოფად იქნა აღქმული.

ყველაზე ტრაგიკული ამბები მაინც 1956 წლის 9 მარტს დატრიალდა, როდესაც საკუთარი რწმენისა და ეროვნული შეურაცხყოფის გამო, ქართველები ქუჩაში გამოვიდნენ, თბილისში, სტალინის ძეგლთან, მიტინგები გამართეს და თავისი კერპის ავტორიტეტის აღდგენა მოითხოვეს.

როგორც ვიცით, ეს მიტინგები სისხლისღვრით დამთავრდა. მთავრობამ ხალხს ესროლა. იყო საკმაო მსხვერპლიც: იყვნენ მოკლულებიც და დაჭრილებიც. ეს ძალზე დიდი დარტყმა იყო მოსახლეობისათვის, რამაც გაკვირვება, გაოგნება და თავზარდაცემა გამოიწვია, რადგან არავინ ელოდა, რომ ხალხს ესროდნენ. ხალხის ცნობიერებაში რაღაც გადატრიალდა. პირველი ბზარიც ქართველთა გულებში

სწორედ მაშინ გაჩნდა... რეპრესიების შიშის გამო დახოცილები ჩუმად, უხმაუროდ დამარხეს. დაჭრილებსაც საიდუმლოდ უმკურნალეს...

1956 წლის 9 მარტის ამბებში სხვადასხვაგვარად განწყობილი ადამიანები მონაწილეობდნენ: მათ შორის იყვნენ ბოლშევიკების მოძულენიც, რევოლუციისა და მისი ბელადების მიმართ ზიზღით განწყობილი ადამიანებიც, მაგრამ ხალხის უდიდესი უმრავლესობა გულწრფელად იყო აღშფოთებული იმ უსამართლობით, რაც პიროვნების კულტის კრიტიკით დაიწყო და 9 მარტის ტრაგედიით დამთავრდა, ბევრმა ქართველმა სწორედ მაშინ დაიწყო თავისი შეფასებების გადასინჯვა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოთხოვნაც, ძირითადად, ამ დროიდან ჩნდება; რელიგიის, ეკლესიისა და რწმენისაკენ გადადგმული ნაბიჯებიც ამ პერიოდს ემთხვევა.

არადა, ამ დროისათვის, მართლმადიდებელი ეკლესია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა რაიმე სერიოზულ ძალას. მას არც მატერიალური ბაზა ჰქონდა, არც ბევრი მიმდევარით გამოირჩეოდა, მაგრამ მასში მაინც რაღაც ახალი მოხდა, ახალი სხივი შემოიჭრა, რასაც შემდგომ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ამბებიც მოჰყვა...

ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც ამის შემდეგ გამოიკვეთა საქართველოში, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რელიგიურ რწმენას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი უნდა დახმარებოდა ახლადფეხადგმულ ეროვნულ მოძრაობას, დაეცვა ქართველობა ყველა იმ შეტევისაგან, რომელსაც საქართველო განიცდიდა რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ქართულ ენას.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რუსიფიკატორებმა გადამწყვეტი შეტევა წამოიწყეს ეროვნული ენების მიმართ. იმ პერიოდში თბილისში ჩამოსული საკავშირო კომპარტიის კომიტეტის II მდივნის ეგორ ლიგაჩოვის მოთხოვნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთელი რიგი საგნების სწავლება რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის დამფრთხალი იმდროინდელი ხელმძღვანელობა უმალვე დათანხმდა ამ მოთხოვნას (მადლობა ღმერთს, ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერა ამ შოვინისტურ და უპრეცედენტო მოთხოვნას).

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იმ მოკრძალებული საშუალებებით, რაც მის ხელთ იყო, ცდილობდა დაეცვა ქართული ენის ღირსება, მისი გავრცელების არეალი, ქება-დიდებას ასხამდა მის სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას, მის როლს ქართული სულისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებაში. ამ პერიოდში მას მეტი არა შეეძლო რა.

შემდეგ, ყველას ახსოვს, იყო 1978 წლის 14 აპრილი, როდესაც მოსახლეობამ, მათ შორის მორწმუნეებმაც, დაიცვეს ქართული ენა, არ დაანებეს საკავშირო მთავრობას კონსტიტუციიდან ამოეღოთ ის მუხლი, რომლის ძალითაც ქართული ენა სახელმწიფო ენის ფუნქციას ასრულებდა.

6. რელიგიის დაბრუნება

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს სათავეში ცოტა ხანს გიორგი მალენკოვი იყო პირველ პლანზე, შემდეგ კი ნიკიტა ხრუშჩოვმა იგდო ხელთ ლიდერობა. სწორედ მის დროს განახლდა თავდასხმები რელიგიურ კონფესიებზე. მიღებული იქნა რამდენიმე დადგენილება მოსახლეობის ათეისტური აღზრდის გაძლიერების შესახებ. თითქმის დავიწყებული იქნა ის შემწყნარებლური ტენდენცია ეკლესიასთან მიმართებაში, რომელიც სტალინის მმართველობის ბოლო პერიოდში გამოიკვეთა და მის გარდაცვალებამდე არ შეცვლილა.

კომუნისტური პარტიის კურსი, ისევე როგორც ძველად, ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ რელიგია, როგორც მოვლენა, მხოლოდ სოციალური დაბეჩავების, უწიგნურობის, გაუნათლებლობისა და სიბნელის გადმონაშთად ითვლებოდა, და რომ იგი, მოკლე დროის მანძილზე აუცილებლად უნდა დაეძლიათ...

ამ პერიოდში კონსტიტუციით, სხვა სამთავრობო დადგენილებებითაც, იურიდიულად თუ ყოფით ცხოვრებაში, რელიგიას, ეკლესიის საქმიანობას, ჯერ-ჯერობით ითმენდნენ, რადგან მისი დაძლევა და ხალხის ცხოვრებიდან აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელ აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა მის ნაცვლად ახალი იდეოლოგიის დასანერგად.

საბჭოთა კავშირის მომდევნო ლიდერების - ლეონიდ ბრეჟნევის, იური ანდროპოვის, კონსტანტინე ჩერნენკოს დროს, ქვეყანაში ამ მიმართულებით რაიმე ახალი რადიკალური ცვლილებები არ შეიმჩნეოდა, ყოველ შემთხვევაში მათზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას, იოლად გადიოდნენ იმ კანონებითა და დადგენილებებითაც, რომლებიც ადრე იყო მიღებული.

ერთი რამ კი მაინც ცხადი იყო. მთავრობა თუ პარტიული ხელმძღვანელობა უხმაუროდ, მაგრამ განუხრელად ანგარიშს უწევდა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც სათანადოდ იყენებდნენ თავისი, ვითომდა დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად, თავისი პოლიტიკის გასატარებლად. რაც შეეხება სხვა კონფესიებს, განსაკუთრებით სექტანტურ დენომინაციებს, სახელმწიფო მათ ნაკლებად სწყალობდა; ხოლო იმათ, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ასეთი წესრიგის გამო, ანტისაბჭოთა ქმედებების ბრალდებით, სულაც უკრძალავდა მოქმედებას.

მიხეილ გორბაჩოვის სახელთან, როგორც ცნობილია, ჯერ “პერესტროიკა" იყო დაკავშირებული, შემდეგ კი სულაც მთელი საბჭოთა კავშირის დანგრევა და დაშლა. მისი მოსვლის პირველ ხანებში რაიმე რადიკალური ცვლილება სახელმწიფოსა და ეკლესიის ცხოვრებასა და ურთიერთმიმართებაში არ შეიმჩნეოდა. მაგრამ, ცოტა უფრო გვიან, ეს ცვლილებები მოხდა. კერძოდ 1988 წელი აშკარად ის სამანი გახდა, რომელმაც 70-წლიანი კომუნისტური სახელმწიფო რელიგიისაკენ შემოატრიალა.

ეს თარიღი შემთხვევითი როდია. სწორედ ამ დროს რუსეთს უნდა ეზეიმა გაქრისტიანების 1000 წლისთავი. ამ დიდი ზეიმის მოსამზადებლად ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის პატრიარქი და სახელმწიფოს მეთაური. შეხვედრაზე აღინიშნა,

რომ რუსეთის გაქრისტიანების ათასი წელი მარტო ეკლესიის ზეიმი არ შეიძლება იყოს, იგი მთელი საბჭოთა მოსახლეობისა და მსოფლიოს ხალხების დღესასწაული უნდა გახდესო.

დიდი გეგმა შედგა, ფართო პროგრამაც შემუშავდა. მსოფლიოს თითქმის ყველა კონფესიის წარმომადგენლები მოიწვიეს. რუსთა გაქრისტიანების ზეიმი გრანდიოზულად აღინიშნა. ამ ზეიმში ჩვენი ეკლესიაც აქტიურად მონაწილეობდა, ხოლო დელეგაციათა ერთი ნაწილი ჩამოვიდა საქართველოში, მართლმადიდებელ ქვეყანაში, რომლის ეკლესიაც წლების მანძილზე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა.

1988 წელი, მართლაც, დიდი გარდატეხის ხანა აღმოჩნდა. კიდევ ვიმეორებ, რაიმე ცვლილება კანონმდებლობაში არ მომხდარა, იურიდიულად არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, განწყობილება შეიცვალა. რელიგიისადმი მკაცრი მიმართება შესუსტდა, უფრო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გაჩნდა და რელიგიურ კონფესიებს თავისუფლად მოქმედების საშუალება გაუჩნდათ.

რუსთა გაქრისტიანების ათასი წლისთავის ზეიმი თითქოს სიგნალი აღმოჩნდა არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, არამედ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში არსებული სხვადასხვა კონფესიებისთვისაც. მართლმადიდებელთა მსგავსად მათაც გააქტიურეს თავისი საქმიანობა, ააშენეს ახალი და აღადგინეს ძველი სალოცავები, გაიხსნა რელიგიური სასწავლებლები, გამოვიდა ახალი ჟურნალები და გაზეთები. მათი წარმომადგენლებიც, მართლმადიდებელთა წაბაძვით, გამოჩნდნენ ტელევიზიაში, რადიოში, პრესაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ შეკრებებზე. ზოგმა პოლიტიკაში და პარლამენტშიც კი ცადა ბედი.

ეს, მართლაც, რელიგიის გამოღვიძების და გააქტიურების ჟამი იყო. სხვადასხვა კონფესიები თავისი დაკარგული გავლენისა და ავტორიტეტის აღდგენას შეუდგნენ. მოიხაზა მათი სამოქმედო არეალიც.

რელიგიის გამოფხიზლებისა და აღმშენებლობის პროცესი, ცხადია, საქართველოსაც შეეხო. აქაც დაიწყო ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენისათვის, უკვე არსებულის გაძლიერებისათვის, რელიგიური ზნეობის წინა პლანზე წამოყენებისათვის. ეს პროცესი არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა ნამდვილად სავალალო და საგანგაშო იყო: სულ დარჩა ოთხ ათეულზე ოდნავ მეტი მოქმედი ეკლესია, ისიც უმეტესად თბილისში. სასულიერო პირთა რაოდენობა ას კაცს თუ აღწევდა. ასე რომ, ერთი მხრივ, დანგრეული ეკლესიები და ტაძრები, განადგურებული ინვენტარი, შებღალული სიწმინდეები, გადაბერებული საეკლესიო პირები, ქართველთა სულიერ ცხოვრებაში შემოჭრილი უცხო კონფესიები და, მეორე მხრივ, რელიგიურობის მკვეთრი დაცემა, მრევლის საოცარი შემცირება, უსახსროდ, უმრევლოდ, ბეჭდვითი თუ პროპაგანდის სხვა საშუალებებს მოკლებული ეკლესია უმწეოდ და უსასოოდ გრძნობდა თავს. როგორც ვთქვი, ქართული ეკლესია ორმაგად იტანჯებოდა. ერთი მხრივ, კომუნისტური ხელისუფლებისგან (ისევე როგორც სხვა კონფესიები) და მეორე მხრივ, რუსული

მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, რომლის თანხმობის გარეშეც იგი ხელის განძრევასაც ვერ ბედავდა.

ქართველ სასულიერო პირთა ძალზე შეთხელებული კონტიგენტი ძლივს აუდიოდა იმ რიტუალურ მხარესაც კი, რომელიც თან ახლავს მათლმადიდებლურ რჯულთმსახურებას. სხვა, უფრო ფართო მოქმედებისათვის მათ არანაირი საშუალება არ ჰქონდათ. სამღვდელოების განათლების დონეც საერთოდ დაბალი იყო, შესაძლებლობები შეზღუდული. ისინი ისევე, როგორც სხვა სასულიერო პირები საბჭოთა კავშირში, არ სარგებლობდნენ არჩევნებში ხმის უფლებით, არ ღებულობდნენ რაიმე დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, პირიქით იხდიდნენ იჯარის გადასახადს საეკლესიო შენობის გამოყენებისათვის.

ქართული ეკლესიის დიდი გასაჭირი ის იყო, რომ არ ჰქონდა რელიგიური სასწავლებლები, არ მზადდებოდა ახალი კადრები, ძველი კი თოვლივით დნებოდა. ამიტომ, ზოგიერთი ექსპერტი ქართული ეკლესიის მალე აღსასრულსაც ვარაუდობდა.

დამფრთხალი სასულიერო პირები მოუწოდებდნენ მოსახლეობას, დაბრუნებოდნენ მამაპაპეულ სარწმუნოებას, მაგრამ მათი ხმა ნაკლებად ესმოდათ. როგორც იტყვიან ხოლმე: “მათი ხმა რჩებოდა, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.~ და ვინც კი ჯერ კიდევ დარჩენილი იყო მორწმუნედ, ისინიც უმეტესად სექტანტურ ორგანიზაციებს მიჰკედლებოდნენ. ეს ფაქტები ეკლესიის დიდ შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ ამ პროცესისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მას არ გააჩნდა. ქართველ სასულიერო პირებს ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია სხვათა საქმიანობის შესახებ, არც მათი რაოდენობის შესახებ იცოდნენ რამე. ბუნებრივია, ისინი ვერც მათ საქმიანობას აკონტროლებდნენ.

1972 წელს კათალიკოს ეფრემ II გარდაცვალების შემდეგ საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე ავიდა უხუცესი მღვდელმთავარი დავით V (დევდარიანი). მის დროს გრძელდებოდა ძიება იმ გზებისა და საშუალებებისა, რომელთაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კრიზისიდან უნდა გამოეყვანა. გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ ეკლესიისათვის მაშინ მეტად მძიმე დრო იდგა და გაღატაკებულ, განადგურებულ ეკლესიას, მეტად შეთხელებულ სამღვდელოებას, ბევრი რამის გაკეთება, რაც რადიკალურად შეცვლიდა მდგომარეობას, არ შეეძლო.

ასე გაიარა ხუთმა წელმა. 1977 წელს დავით V გარდაიცვალა და მის ნაცვლად კათალიკოსად აირჩიეს ილია II (შიოლაშვილი). ეკლესიის სათავეში მოვიდა ახალგაზრდა კაცი (კათალიკოსობისათვის), გარკვეული იმედებით, გაგებით და შემართებით. მისივე განცხადებით, მან არჩევისთანავე მიზნად დაისახა გაემთლიანებინა ქართველი ხალხი ერთ თავისუფალ, ძლიერ სახელმწიფოდ და ერთ მტკიცე მართლმადიდებელ ეკლესიაში.

რასაკვირველია, ეს შესანიშნავი მიზანი და იდეალი იყო, მაგრამ მისი მიღწევა საკმაოდ რთული, ზოგჯერ წარმოუდგენელიც ჩანდა. ამიტომ, ახლადარჩეული პატრიარქი შეეცადა, პირველი რიგის ამოცანები მაინც დაეძლია, გადაერჩინა ის, რისი

გადარჩენაც მას შეეძლო და რაც მის ძალას არ აღემატებოდა, ხოლო შემდეგ მომდევნო ნაბიჯების გადადგმასაც ვარაუდობდა.

გასაკეთებელი კი უამრავი რამ იყო. პირველ რიგში საჭირო იყო ახალი კადრების მომზადება, ახალგაზრდობის შემოკრება, ეკლესიისადმი იმ ნეგატიური დამოკიდებულების გაქარწყლება, რომელიც მოსახლეობაში და კერძოდ, ინტელიგენციაში იყო. მათში სათანადო სულიერების დანერგვა, ეკლესია-მონასტრების შეკეთება, საპატრიარქოს მოწყობა და გალამაზება, საეკლესიო ინვენტარის განახლება, რელიგიური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, უამრავი სხვა რამ, რაც დაცემის გზაზე მდგარ ეკლესიას უნდა აღედგინა და გამოესწორებინა.

ყოველივე ეს მეტად მძიმე ტვირთი იყო გაღატაკებული და დაუძლურებული ეკლესიისათვის, გარდა ამისა, მოსაგვარებელი იყო ურთიერთობები რუსულ ეკლესიასთან, სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, მსოფლიოს სხვადასხვა კონფესიებთან.

ილია II დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის კეთებას. მან თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა და, რაც მთავარია, დიდი სულიერების მქონე მოღვაწემ.

პირველი ნაბიჯების გადადგმა, რასაკვირველია, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაშინ ეკლესიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული უფლებები მინიჭებული. ათეისტური პროპაგანდა ძველებურად ხორციელდებოდა. ეკლესიების გახსნაც ჭირდა.

მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო ახალგაზრდების შემოკრება, წინა თაობასთან შედარებით უფრო განათლებული ხალხის მოზიდვა, მათი სათანადო ეპარქიებში დანიშვნა, ჟურნალ "ჯვარი ვაზისას" გამოცემა, რამდენიმე ახალი ეკლესიის გახსნა. მათ შორის - ზუგდიდში, ბოლნისში, ყვარელში, რაჭაში (ნიკორწმინდაში) და სხვ. მის დროს იმ სასულიერო სემინარიას, რომლის პირველი რექტორიც თვითონ იყო, სასულიერო აკადემიაც დაემატა. მანვე ურთიერთობა დაამყარა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან და გარკვეული წლების მანძილზე მისი პრეზიდენტიც იყო. იგი აქტიურად ჩაება იმ მოძრაობაში, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ჟურნალ “ჯვარი ვაზისას" პირველი ნომრების გარკვეული ნაწილი სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყინული დაიძრა. მალე საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ იმძლავრა და საკმაოდ სერიოზული ამოცანებიც დაისახა მიზნად. ეს პირველ რიგში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

ქართველი დისიდენტები ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზებსა და საშუალებებში დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომელსაც ამ პროცესის ბუნებრივ და აქტიურ მხარდამჭერად მიიჩნევდნენ. საქართველოში ოდითგანვე ეკლესია დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ხალხის ეროვნული მეობის და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

ამიტომ, შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ დისიდენტური მოძრაობა რელიგიური შეფერილობისა იყო. ხოლო რეფრენი “ჩვენთან არს ღმერთი", ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახლდათ ეროვნული მოძრაობის აღზევების მთელი პერიოდის მანძილზე.

მომიტინგეთა თუ მოშიმშილეთა აზრით, საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, უფალი განსაკუთრებით მფარველობდა, ხოლო მისი განთავისუფლების საქმე სამართლიან საქმედ მიაჩნდა.

იმ პერიოდში საქართველოში, ისე როგორც არასდროს, დაიძაბა ვითარება. აშკარად რაღაც მზადდებოდა. ახალგაზრდობის უმრავლესობას არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო 9 მარტის მსგავსი მოვლენებისგანმეორება. მართლაც, სხვისი გამოცდილება იშვიათად თუ ასწავლის რამეს ადამიანებს. თითოეულმა თაობამ ალბათ, თვითონ უნდა მოიპოვოს ეს გამოცდილება...

1989 წლის 9 აპრილიც დადგა...

ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება, ბევრი რამეც გაირკვევა, მაგრამ ამჟამად ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, რაც უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანთან არის დაკავშირებული.

დარბევამდე სულ ცოტა ხნით ადრე მომიტინგეებსა და მოშიმშილეებთან მივიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და აცნობა ხალხს მოსალოდნელი დიდი საფრთხის შესახებ, მოუწოდა, მშვიდობიანად დაშლილიყვნენ, შესულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიაში და იქ ელოცათ. ამ მოწოდებას მომიტინგეები დუმილით შეხვდნენ. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. გვიანი ღამე იყო, ხალხიც შედარებით შეთხელებული. თავისუფლების მოედნის მხრიდან ტანკები და ჯარი იყო მომდგარი. კათალიკოსის მოწოდების საპასუხოდ მომიტინგეთა მხრიდან მოშიმშილე ირაკლი წერეთელი წამოდგა, რომელმაც მოუწოდა ხალხს, დარჩენილიყვნენ. კათალიკოსის იქ ყოფნის დროს ხალხს “მამაო ჩვენოც" ათქმევინა. ამდენად, ის პატარა შანსიც კი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულიყო, დაიკარგა.

უფრო გვიან, ტრაგედიის დატრიალების შემდეგ, იყო ბრალდებები კათოლიკოსის მიმართ, რომ ხალხი არ გაყვა მას, არ დაუჯერა და საფრთხე თავიდან ვერ აიცილა. მაგრამ ალბათ ამ მომენტში მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა.

მე მქონდა საშუალება უწმინდესისათვის მეკითხა ამ საჭოჭმანო მომენტის შესახებ, რაზეც მან მიპასუხა: “დიახ, მე ვურჩიე მაშინ ყველას, წასულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიაში და იქ ელოცათ. მართლაც, ეს კარგი გამოსავალი იყო. ბევრმა დამიჯერა კიდეც და უფრო გვიან მადლობაც გადამიხადა გადარჩენისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ არ დაიჯერა..."

მოშიმშილეები ისე იყვნენ ეგზალტირებულნი, რომ მათ რეალური საფრთხის შეგრძნება არ ჰქონდათ. ბევრსაც არ სჯეროდა იმისა, რომ მთავრობა უკიდურეს ზომებს მიმართავდა. მე დამამახსოვრდა ერთი ახალგაზრდის სიტყვები, რომელიც დარბევამდე ამბობდა: “დიდი-დიდი ერთი მაგრად გვცემონო..." მაგრამ,

სამწუხაროდ, შედეგი ძალიან მძიმე აღმოჩნდა: იყვნენ დაჭრილები, დახოცილები, მოწამლულები...

9 აპრილის ამბებს დიდი რეზონანსი მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით. ამ ფაქტმა თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხელისუფლების დაცემაში. მალე საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, რის შემდეგაც ახალი ეტაპი დაიწყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში.

გაზეთი “სრულიად არასაიდუმლოდ” #6-10, 1999 წ. 01 – 2000 წ.

II. ქტოლერანტობა

და რჯულთშემწყნარებლობა ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების მშენებლობაში

საქართველოში რელიგიური ფაქტორი ყოველთვის, ყოველ ეპოქასა და დროში უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუ რა როლი შეასრულა რელიგიურმა ფაქტორმა ქართული ეროვნული საქმის მოწესრიგებაში, ამ კითხვაზე პასუხი სადაო არ არის. ყველასათვის ცნობილია მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის დადებითი დამოკიდებულება და გამონათქვამები ქრისტიანობის შესახებ, მათი აზრით სწორედ მან შეგვინარჩუნა ჩვენი მიწაწყალი, ეროვნული თვითმყობადობა, ტრადიციები, ენა, ყოველივე ის, რასაც ქართველობა ჰქვია. საუკუნეთა მანძილზე სწორედ ის მოგვიწოდებდა არ გავთათრებულიყავით, შეგვენარჩუნებინა ეროვნული მეობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ პერიოდში ქართველობა და ქრისტიანობა ხშირად იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მაგალითები ქრისტიანობის ზეობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავის შეწირვისა. გვახსოვს დავით აღმაშენებლის სიტყვები დადგორის ომის წინ ქრისტიანობის მნიშვნელობის შესახებ...

მაგრამ საქართველო მარტო მართლმადიდებელი ქვეყანა როდია, იგი არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალრელიგიური ქვეყანაც არის. მართლაც, აქ ოდითგანვე მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, რომლებიც თავის სარწმუნოებას აღიარებდნენ. ბევრი რელიგიური კონფესია საქართველოში სწორედ შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს და დღემდე მოდის. ასე მაგალითად, იუდაიზმი დაკავშირებულია ებრაელთა მოსვლასთან საქართველოს ტერიტორიაზე, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია _ სომხური მოსახლეობის არსებობასთან, ისლამი არაბთა ბატონობასთან და შემდეგ ამ რელიგიის მაღიარებელი ხალხის ცხოვრებასთან, კათოლიციზმი ევროპის ინტერესთან საქართველოსადმი და კათოლიკე მისიონერებთან...

1801 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო ძალით შეიერთა რუსეთმა, საქართველოში გაჩნდა პროტესტანტული თუ რუსული მართლმადიდებლობის ნიადაგზე გაჩენილი მრავალი სექტა. ასე ჩნდებიან საქართველოში მენონიტები, მალაკნები, დუხობორები. უფრო გვიან ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები. კიდევ უფრო გვიან იეღოველები, კრიშნაიტები, ახალსამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები და ა.შ.

ადრე ამ რელიგიურ დენომინაციათა შემადგენლობა ძირითადად არაქართული იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ქართველთა შორისაც მრავლად არიან კათოლიკები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ძველმართლმადიდებლები, ევანგელისტები, იეღოველები, კრიშნაიტები, მუსლიმები და ა.შ.

როგორ მოქმედებს ეს ყოველივე საქართველოს ერთიანობაზე, როგორ მიმართებაში იმყოფებიან ეს რელიგიური დენომინაციები ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, ან რა როლს ასრულებენ ისინი სახელმწიფოებრივი ცნობიერების მშენებლობის გზაზე, როგორი ვითარება იყო ამ მხრივ ჩვენში ისტორიულად და როგორი ვითარებაა დღეს?

“ტოლერანტობა" (ქართულად მოთმინება, შემწყნარებლობა) ის ლათინური სიტყვაა, რომელიც ზუსტად ასახავს ქართველთა და ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულებას სხვა ეროვნებებისა და რელიგიური აღმსარებლობისადმი.

სიტყვა ტოლერანტობა ასეა განმარტებული ქართულ ენციკლოპედიაში: “ტოლერანტობა არის იმუნოლოგიური ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ გააჩნია გარკვეული ანტიგენის მიმართ იმუნური რეაქციის უნარი, ტოლერანტული ორგანიზმის იმუნოკომპეტენტური სისტემა ვერ “აღიქვამს~ ანტიგენს როგორც უცხო სხეულს, რის გამოც არ ხდება დაცვითი ძალების მობილიზება."

მაგრამ ჩვენ აქ ვსაუბრობთ ეროვნებათშორის ურთიერთობებზე, ქართველი ხალხისათვის საუკუნეთა მანძილზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებაზე, იყოს ტოლერანტული სხვა ხალხებისადმი. სხვაგვარად, თუ ტერმინის პირდაპირი გაგებიდან გამოვალთ, ქართველი კაცის იმ თვისებაზე, რომ სხვა ტომისა და სარწმუნოების წარმომადგენელი თავის სახელმწიფოებრივ ორგანიზმში უცხო სხეულად არ აღიქვას.

როდესაც საუბარი ქართველი კაცის ტოლერანტობაზე ჩამოვარდება ხოლმე, მაშინვე გაიხსენებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე ჭრელი მოსახლეობა იყო, რომ ქართველთა გვერდით საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ოსები და ა.შ. მათ შორის ადრე რაიმე სერიოზული მტრობა არ ყოფილა. ამ მხრივ მარტო ქართველ ებრაელთა გახსენება რად ღირს, რომლებიც 26 საუკუნის მანძილზე ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველთა გვერდით და მათ შორის კონფლიქტი არ მომხდარა. როდესაც უნდათ საქართველოსთვის დამახასიათებელ რჯულთშემწყნარებლობას გაუსვან ხაზი, ასევე იხსენებენ, რომ თბილისში საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის

გვერდით ფუნქციონირებდნენ და დღესაც ფუნქციონირებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, სომხური გრიგორიანული ეკლესია, ებრაული სინაგოგა და მუსლიმანური მეჩეთი. ასეთი რამის ნახვა იშვიათად შეიძლება.

როგორც თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ, ასეთი დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, იმდენად ჩვეულებრივი, რომ ქართულ წყაროებში ამ საკითხს სპეციალურად არც ეხებოდნენ. სამაგიეროდ ეს ფაქტი იმდენად თვალშისაცემი და უცნაური იყო უცხოელი ავტორებისათვის, რომ მას საგანგებო ადგილს უთმობდნენ თავის შრომებში. მათი აზრით, ქართველთა ასეთი შემწყნარებლობა, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა იყო ის თვისებები, რომლებმაც საბოლოო ჯამში საქართველო დაღუპვას გადაარჩინეს. ქართველ ისტორიკოსებს ტრადიციულად მოჰყავდათ ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის სიტყვები: “ქართველთა ეს თვისებები მათ ქვეყანაში არსებული ტრადიციული სარწმუნოებრივი თავისუფლების შედეგიც უნდა იყოსო...'

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა ტოლერანტული ბუნება სხვისი რწმენის, ადათ-ჩვევების, ინტერესების და ცხოვრების წესის ატანა ადრიდან იყო ცნობილი და მას არამარტო შორეულ წარსულში აღიარებდნენ, არამედ ახლაც, საქართველოში უკანასკნელ წლებში მომხდარი ამბების შედეგადაც გაუსვეს ხაზი. კერძოდ, 1989 წელს 9 აპრილის ტრაგედიის შემსწავლელი დეპუტატთა კომისიის თავმჯდომარე ანატოლი სობჩაკი სატელევიზიო გამოსვლაში ამბობდა, რომ “ქართველები ამიერკავკასიის მკვიდრთა შორის გამოირჩევიან რჯულთშემწყნარებლობითო~. იგივე აზრი მან გაიმეორა ჟურნალ ოგონიოკის ფურცლებზე: “საქართველო ოდითგანვე გამოირჩევა მშვიდი ხასიათით ეროვნებათშორის ურთიერთობებში. ასეული წლების მანძილზე აქ ერთად ცხოვრობდნენ ასობით ათასი სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი და სხვა ხალხები და მაინც, ერთაშორის კონფლიქტები, საქართველოს არ ეხებოდნენ. თავისი ხასიათით და თავისი ცენტრალური მდგომარეობით კავკასიაში ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ეროვნული შემწყნარებლობის მაღალი დონით."

ქართველთა ასეთი შემწყნარებლური ხასიათი კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბოლოდროინდელ ამბებში. რაც უნდა საოცარი და გასაკვირი იყოს, მიუხედავად საქართველოში მომხდარი სისხლისმღვრელი ამბებისა, ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური კონფლიქტებისა, რომლებიც რუსეთის აგრესიული ძალების მიერ იქნა ინსპირირებული, მიუხედავად იმ უმძიმესი შედეგებისა, რაც მათ მოჰყვა, ქართველთა შორის დღესაც არ შეიმჩნევა სიძულვილი არც ოსთა, არც აფხაზთა და არც რუსების მიმართ.

რა არის ეს, შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? ბუნებრივად იბადება კითხვა, ქართველ კაცს ატროფირებული ხომ არ აქვს სიძულვილისა და შურისძიების გრძნობა. მართლაც, რატომ ვერ ვისწავლეთ ჩვენ მტრის სიძულვილი და მტრის ხატის შექმნა, როგორც ეს სხვებმა, იმავე ოსებმა და აფხაზებმა, შეძლეს. ეს კითხვა საფუძვლიან პასუხს ელის. ეს კი, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის კიდევ ერთხელ გადახედვას თხოულობს.

“ტოლერანტობა" ქართულ სინამდვილეში, როგორც ირკვევა, სულაც არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, იგი არც რომელიმე მეფის ან ძლიერი პოლიტიკოსის მიერ ერისათვის თავს მოხვეული ნება-სურვილი იყო, არამედ საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ვითარებათა გამო ჩამოყალიბებული პოლიტიკა. პირველ რიგში ასეთი პოლიტიკა განპირობებული იყო მძიმე გეოგრაფიული გარემოთი, გზაჯვარედინზე ცხოვრებით, აგრესიულ სახელმწიფოებთან მეზობლობით, ხშირი მიგრაციული პროცესებით და ყოველივე ამით გამოწვეული ეთნიკური სიჭრელით. თუ ამას დავუმატებთ საქართველოსთვის დამახასიათებელ მრავალრელიგიურობასაც, ცხადი გახდება, რომ ასეთი კომპლექსი საკმაოდ გაართულებდა ქვეყნის მდგომარეობას ზოგადად და ეროვნებათშორის და რელიგიურ ურთიერთობებს კერძოდ.

ასეთი ვითარების გამო საქართველოსთვის უაღრესად საჭირო და აუცილებელი იყო ამ პროცესების მართვა, ურთიერთობის მოწესრიგება სხვადასხვა ტომებთან, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე რჩებოდნენ, მათი გაუვნებელყოფა, თავის გადარჩენა ათქვეფა-აღრევისაგან.

ასეთი ჭრელი მოსახლეობის პირობებში საკუთარი მეობის გადასარჩენად და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად ორი გზა არსებობდა: ან ქვეყანა ძალიან ძლიერი უნდა ყოფილიყო და უცხო, მტრული ელემენტები დაეთრგუნა, ან გამოეჩინა შემწყნარებლობა, უფრო მოქნილად ემოქმედა და უცხო ელემენტი, თუნდაც გარკვეული დათმობებით, ქვეყნის სასარგებლოდ მიმართულ პროცესებში ჩაერთო.

ქართველი ისტორიკოსები მართებულად შენიშნავდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდებში ქართული სახელმწიფო საკმაო სიძლიერეს აღწევდა, იგი მაინც არ იყო ისე ძლიერი, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ მხოლოდ ძალა გამოეყენებინა და მათი დათრგუნვის გზას დასდგომოდა. ამიტომ, მას უფრო მოქნილი, გონივრული და რეალური გზა ჰქონდა არჩეული, იჩენდა რჯულთშემწყნარებლობას და საბოლოო ჯამში თავის ძირითად მიზანსაც აღწევდა, მოსულ ხალხს თავისი სახელმწიფოს სასარგებლოდ იყენებდა.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის აზრით, ასეთი ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ხალხთა მიმართ იმითაც აიხსნება, რომ სხვა ტომის წარმომადგენლები (სომხები, ებრაელები, მუსლიმები) არ მისდევდნენ ქართველთათვის ტრადიციულ საქმიანობას, არამედ უმეტესად ვაჭრობაში, ხელოსნობაში იყვნენ დაკავებულნი. ქართველი ხელისუფალნი კი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ქვეყნის და, შესაბამისად, მისთვის საჭირო ხელოსნობის განვითარებით, იძულებულნი იყვნენ, მათ რჯულს არ შეხებოდნენ. ასე თუ ისე, საუკუნეთა მანძილზე ასეთ სპეციფიკურ, ჭრელ გარემოში ცხოვრება გარკვეულ გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, მის ყოფაზე, ტრადიციებზე, ადათებზე, წეს-ჩვეულებებზე, აყალიბებდა მის ხასიათს, განაპირობებდა მის შემწყნარებლობას. ქართველი კაცის ხასიათიც ისე ჩამოყალიბდა, რომ იგი უცხო სხეულად არ თვლიდა სხვა ტომის წარმომადგენელს, არ შურდა მისი და არც მტრობდა. ამიტომ მის ტერიტორიაზე, ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, ადგილი არ ჰქონია უცხო ტომთა დევნასა და პოგრომებს.

ქართველი კაცის ტოლერანტული ბუნება კარგად აქვთ გაშუქებული ჩვენს ისტორიკოსებს. ამ შრომებში აღნიშნულია, რომ ტოლერანტობისა და რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკის რანგში აყვანა იწყება ჯერ კიდევ დავით კუროპალატის დროიდან. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ეს პოლიტიკა დავით აღმაშენებლის დროს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი არაბი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც გვამცნობს, თუ როგორი პრივილეგირებული მდგომარეობით სარგებლობდნენ თბილისში მუსლიმები მას შემდეგაც, რაც 1122 წელს დავით აღმაშენებელმა იგი საქართველის შემოუერთა. მათი რელიგია ხელშეუხებლად იყო გამოცხადებული. მოსახლეობას პატივი უნდა ეცა ისლამისათვის. იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, ღორი არავის არ უნდა დაეკლა, მათ აბანოში სხვა ეროვნების ადამიანი არ უნდა შესულიყო. მუსლიმებს პარასკეობით შეეძლოთ ელოცათ ხალიფისა და სულთნისათვის და არა ქართველთა მეფისათვის, ამასთანავე, გადაეხადათ ნაკლები გადასახადი, ვიდრე ქართველებს. ცნობაში ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებელი პატივს სცემდა მუსლიმან ხალხს, მეცნიერებსა და სუფიებს. სხვა წყაროებით (იბნ-ალ-ჯაუზი), დავით აღმაშენებელი არა მარტო ერკვეოდა ყურანში, არამედ თავის შვილთან, დემეტრესთან, ერთად პარასკეობით დადიოდა მეჩეთში და დიდძალ ფულსაც სწირავდა მას. იგივე ავტორი მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელი მქადაგებლებს, სუფიებს და ასკეტებს სასახლეებს უშენებდა. თუ მუსლიმი ქალაქიდან მიდიოდა, ფულს აძლევდა და საერთოდ, იგი მუსლიმებს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თვით მუსლიმანთა ხელმწიფენიო.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოში ასეთი პრივილეგიებით მარტო მუსლიმები არ სარგებლობდნენ. დავით აღმაშენებელი ძალზე უწყობდა ხელს სომხებს, ეხმარებოდა მათ შევიწროებული ეკლესიის აღორძინების საქმეში. დაჩაგრულად თავს არც ებრაელები გრძნობდნენ. ისინი უფლებრივად გათანაბრებულნი იყვნენ ქრისტიანულ მოსახლეობასთან. წყაროებში მითითებულია, რომ ებრაელები შეღავათიან გადასახადებს იხდიდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში რჯულთშემწყნარებლობაც სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. მართალია, ისტორიოგრაფიაში არის გამოთქმული აზრი, რომ რჯულთშემწყნარებლური პოლიტიკის საბოლოო მიზანი ერთ სარწმუნოებაზე გადაყვანა იყო (ქართული პოლიტიკის მესვეურებს, ცხადია, ერჩივნათ ერთ იდეოლოგიას დაყრდნობილი ერთმორწმუნე სახელმწიფო ჰქონოდათ; აქედან გამომდინარე, ისინი უარს არ იტყოდნენ სხვა ხალხების მართლმადიდებლობაზე გადაყვანაზე და ამის გარკვეული ფრთხილი მცდელობაც იყო სომხურ-გრიგორიანულ მრევლთან მიმართებაში), მაგრამ ამ ცდას თუ დაწოლას არასდროს მიუღია რადიკალური ფორმები. რაკი ერთმორწმუნეობა არ გამოდიოდა, ქართველი პოლიტიკოსები ამჯობინებდნენ რჯულთშემწყნარებლობას, რათა სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ხალხები არ გადაეკიდებინათ ქართველებისთვის და იზოლირებულნი არ აღმოჩენილიყვნენ მტრულ გარემოცვაში. საქართველოს მტერთაგან, ცხადია, ბევრი ეცადა ჩვენი ქვეყნის იზოლირებას, მაგრამ ასეთი რჯულთშემწყნარებლური და ტოლერანტული პოლიტიკის წყალობით საქართველომ თავიდან აიცილა საშიში იზოლაცია.

როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ქართული სახელმწიფო კარის პოლიტიკა ამ შემთხვევაში მიმართული იყო თურქობის და არა მუსლიმანობის წინააღმდეგ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სამართლიანად ითვლება, რომ რუსეთთან შეერთებამდე ტოლერანტობა და რჯულთშემწყნარებლობა სწორი და გონივრული პოლიტიკა იყო. როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ასეთი პოლიტიკით ესოდენ რთულ სიტუაციებში ჩვენ შევძელით არა მარტო ფიზიკური არსებობის, არამედ ეროვნული მეობის შენარჩუნებაც. ასეთმა პოლიტიკამ არ გარიყა ქართველი კაცი, არ გააბოროტა, არ გახადა მოძულე ყველა იმ სხვა ტომისა, რომელიც ისტორიულ ვითარებათა გამო მის გვერდით მოხვდა და არც თვითონ აღმოჩნდა იზოლირებული. ახლანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, არ შეუქმნა მას მტრული ინტერფრონტი.

მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა დავსვათ ტოლობის ნიშანი იმ ტოლერანტობასა და შემწყნარებლობას შორის, რომელიც არსებობდა ფეოდალურ საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე და მას შემდეგ, როცა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმი შეეცადა, მოეშალა ქართველთა ასეთი პოლიტიკა. ცარიზმს აშკარად გამოხატული ასიმილატორული ამოცანები ჰქონდა. ამ მიზნით მან დაიწყო ძველი პოლიტიკის, “დაყავი და იბატონეს", პრინციპით მოქმედება. ცადა, ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხები, ხოლო თვითონ მესამე ძალის როლში გამოსულიყო.

რუსიფიკატორებმა ცადეს ყველა სფეროდან გამოედევნათ ადგილობრივი ენები და მათ ნაცვლად დაენერგათ რუსული ენა.

მესამე ძალის ჩარევამ ძალიან არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანა. ეროვნებათშორის ურთიერთობებში მდგომარეობა დროდადრო ძალზე გამძაფრდა და დაიძაბა. ყოველივე ამან კი ეჭვი დაბადა ჩვენი ადრინდელი ეროვნული პოლიტიკის სისწორის მიმართ. გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად მართებული იყო ჩვენი ტოლერანტობა და რჯულთშემწყნარებლობა უცხო ფესვისადმი, რატომ ვუთმობდით მოსულ ხალხს ამდენს, რატომ გრძნობდა სხვა ტომის ადამიანი ზოგჯერ თავს უკეთ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, ასეთი პოლიტიკა მეტისმეტი ფუფუნება ხომ არ იყო საქართველოს მცირერიცხოვანი, თავადაც ცუდად დაცული ხალხისათვის, ჩვენივე ხელით მტრები ხომ არ გამოვიზარდეთ?

ეს ეჭვები და კითხვები განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას უამრავი უბედურება დაატყდა თავს. შეიძლება კითხვა სხვაგვარადაც დაისვას: რამდენად უწყობს ხელს საქართველოს ეროვნული მეობის შენარჩუნებას ქართველი კაცის ტოლერანტული ბუნება. ასეთი პოლიტიკით ჩვენი ქვეყანა ხომ არ დავამსგავსეთ ცუდად დადებულ საგანს, რომელსაც ყველა ხელს უწვდის წასაღებად. რამდენად მართალნი ვიყავით, როდესაც, ზოგჯერ, საკუთარის საზიანოდ, უცხო ტომის ხალხს ხელს ვუწყობდით, რომ თავი კარგად ეგრძნო, ეკონომიკურად მომძლავრებულიყო, განევითარებინა საკუთარი კულტურა, ჰქონოდა გაზეთი, თეატრი, სხვა დაწესებულებები, ჰქონოდა ლიმიტები უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ.

ცხადია, ასეთი ხელშეწყობით მოსული ხალხი შესანიშნავად გრძნობდა თავს, თავისად თვლიდა ქართულ ტერიტორიას და მადლიერების სანაცვლოდ, ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე, საკუთარი ინტერესების დამკვიდრებას ლამობდა. სანამ ყველა სტუმრად მოსულ ერს უფლება ეძლეოდა, რაც სურდა, ის ეკეთებინა ქართულ მიწაზე, გაჩუმებული და კმაყოფილი იყო, მაგრამ საკმარისი ხდებოდა, რომ ქართველთა თვითშეგნება გამოცოცხლებულიყო, რაიმე პატრიოტულ საქმეს ჩაჰყროდა საფუძველი, რომ ამ წამოწყებას ხიშტებით ხვდებოდნენ. საკმარისი იყო ქართველებს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული ხალხისთვის ბინა მიეჩინათ თავისივე ტერიტორიაზე, რომ ამ ფაქტს საშინელი უკმაყოფილება გამოეწვია. ყოველივე ამან, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვი ჩვენი ტოლერანტული, შემწყნარებლური პოლიტიკისადმი.

ამ პროცესებში განსაკუთრებული უარყოფითი როლი ითამაშა, მესამე ძალის ენამ, ჩვენს შემთხვევაში რუსულმა ენამ. “ეროვნული ჩაგვრა და დამორჩილებული ერის დევნა შედარებით ახალი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში," _ წერდა აკად. ი. ჯავახიშვილი. მართლაც, საქართველოს ადრეულ ისტორიაში ასეთი ჩაგვრის ფაქტები შემჩნეული არ არის, მაგრამ ცარიზმმა საქართველოს შეერთების შემდეგ დაიწყო ქართული ენის დევნა და რუსული ენის ძალით დანერგვა. რუსულად წარმოებდა მმართველობა, სამართალი, ღვთისმსახურება, კანცელარული საქმიანობა და სხვა. ქართული ენის ხმარების არეალი ძალიან შემცირდა. თუ ადრე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა გრძნობდა ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას, ახლა ასეთი საჭიროება შექმნილი მდგომარეობის გამო მოიხსნა. სამაგიეროდ, რუსული ენის ცოდნა გახდა წინაპირობა ყოველგვარი წარმატების მიღწევისა. მართალია, ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თავისი ენის შენარჩუნება, მაგრამ საქართველოში მცხოვრები სხვა ტომის წარმომადგენლებისათვის, ასეთი პოლიტიკის გამო, ქართული ენა ზედმეტი შეიქნა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართული ენა, ერთი შეხედვით, ვითარდებოდა, იხვეწებოდა, დგინდებოდა გარკვეული მეცნიერული ტერმინოლოგია, იქმნებოდა მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ, სხვა მხრივ, იგი ისეთ დღეში იყო ჩაყენებული, რომ მისი გამოყენება სხვა ხალხებთან ურთიერთობაში უკვე აღარ ხერხდებოდა. ცხოვრება გაიძულებდა მთელი ყურადღება რუსული ენისთვის დაგეთმო. რუსული ენის ცოდნით შეიძლებოდა წასულიყავი და გესწავლა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორიის ნებისმიერ ადგილას, გემუშავა რომელიმე ქარხანაში თუ დაწესებულებაში. რუსული ენის ცოდნით იოლი იყო არმიაში სამსახური, დისერტაციის დაცვა და სხვა.

ქართული ენის ფუნქციის ესოდენ დაკნინებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს რესპუბლიკებში არსებულ ავტონომიებში შესაბამისი ეროვნების წარმომადგენლები ძირითადად განუდგნენ როგორც საკუთარს, ასევე ქართულ ენასაც და გადავიდნენ რუსულ ენაზე. სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, ქურთების და სხვათა უმრავლესობაც ასევე რუსულ სკოლებში გადავიდა. მათთვის პრაქტიკულად შექმნილი პირობების გამო ქართული ენა საჭირო აღარ იყო თვით რესპუბლიკაში საურთიერთობოდაც კი. რაც შეეხება რუსულ სკოლადამთავრებულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს (ხშირ შემთხვევაში თავისი ენის ცუდად მცოდნე

ხალხს), ისინი ქართულის არმცოდნე რუსებთან ერთად გადაიქცნენ ეროვნულ რესპუბლიკებში მესამე ძალის დასაყრდენად. მათი ერთადერთი გამაერთიანებელი რუსული ენა გახდა. ამ გზით ცენტრმა მოახერხა სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებისგან შეეკოწიწებინა ინტერფრონტები, რომლის მეოხებითაც ცენტრი თავის მიზნებს ახორციელებდა.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი ეს დამთავრდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველომ აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა. მესამე ძალის ასეთ უშეღავათო ჩარევაზე (თუმცა ბევრ სფეროში მისი გავლენა ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია) შეგვიძლია აღარ ვილაპარაკოთ. ახალი ვითარებიდან გამომდინარე ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანად იქნას დაძლეული მესამე ძალის მავნე გავლენა, მაშინ ტოლერანტობა და რჯულთშემწყნარებლობა აღარ აღმოჩნდება დრომოჭმულ და წამგებიან საშუალებად ქართველთა პოლიტიკურ არსენალში. პირიქით, იგი დიდსულოვან, ჰუმანურ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ, ნამდვილ ქართულ პოლიტიკად იქცევა და იგი მხოლოდ ქართველთა კარგი ზნის, სიმშვიდის, გონიერებისა და სიკეთის მაჩვენებელი კი არ იქნება, არამედ პრაქტიკული სარგებლობის მომტანი გახდება მრავალეროვანი საქართველოს ერთაშორის ურთიერთობებში.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალერიანობის პირობებში ტოლერანტობა და რჯულთშემწყნარებლობა იყო და მომავალშიც დარჩება ქართველი ერის გადარჩენის და სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

გაზეთი “ახალი საქართველო” 24.02 – 2.03. 2000 წ.

III. საით მივდივართ?

ჩვენ ახლა ვგავართ თავგზააბნეულ ცხვრის ფარას, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ერთ მხარეს მიერეკებოდნენ, შემდეგ შეაჩერეს, შემოატრიალეს და ახლა საპირისპირო მიმართულებით ერეკებიან. ყველაზე უცნაური და გასაოცარი ის არის, რომ გაბრიყვებული, გაბითურებული ხალხის მასის წინ იგივე ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც ადრე ასე ბეჯითად მიუძღოდნენ მათ საწინააღმდეგო მიმართულებით.

მართლაც, დღევანდელი პოსტკომუნისტური საზოგადოების ლიდერები უმეტესად სწორედ ის ხალხია, ან მათი მემკვიდრეები, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა კერძო საკუთრებას, აცხადებდა მას საზოგადოების ყველა უბედურების უმთავრეს მიზეზად. უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა კაპიტალიზმს, უწოდებდა მას “ლპობადსა" და “ხრწნადს", სიტყვა "საქმოსანს" ზიზღითა და დაცინვით წარმოთქვამდა, თვით კაპიტალისტებს ცხოვრების ხორცმეტებს, ხოლო მათ საქმიანობას არაშრომით შემოსავალს უწოდებდა.

ახლა ყველაფერი ეს დავიწყებულია, თითქოს არასოდეს ყოფილიყოს ბრძოლა “კერძომესაკუთრული" ტენდენციების წინააღმდეგ. გადაწყდა, ჩვენ უკან ვბრუნდებით. ალბათ, კაპიტალიზმს ვუბრუნდებით, ხოლო გზა, რომლითაც ჩვენ ათეული წლები უკანმოუხედავად ვიარეთ, უაზროდ და მცდარად ცხადდება.

ის, რაც ყველაფერ ამას მოჰყვა, მართლაც რომ, საარაკო და დაუჯერებელია, მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით - ტრაგიკული და შემზარავი. საქართველოში მიმდინარე სწრაფად ცვლადმა ამბებმა - სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხემ, სამოქალაქო ომმა, შიმშილისა და ფიზიკური განადგურების შიშმა, ჯერ კიდევ არ მოგვცა იმის საშუალება, სათანადოდ დავფიქრებულიყავით, გაგვეანალიზებინა მომხდარი ამბები, გაგვერკვია და აღგვექვა, თუ რა მოხდა, რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავს, რატომ ჩავარდა საზოგადოება ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში, რატომ დავკარგეთ საფუძველი და საყრდენი წერტილი, რატომ აღმოვჩნდით ასეთი საბედისწერო ექსპერიმენტის მსხვერპლი, რატომ აღმოჩნდა ის გზა, რომელსაც მივყვებოდით მცდარი, ხოლო მიზანი _ განუხორციელებელი. რატომ შეეწირა იმ უტოპიური საზოგადოების მშენებლობას მრავალი თაობა, რისთვის დაიტანჯა ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით ადამიანი, რატომ გადაჰყვა “ბაბილონის" ამ აუშენებელი კოშკის აგებას ამდენი ხალხი, ან თუ არიან მართლები ის ადამიანები, ვინც კოშკის მშენებლობა შეაჩერა, კოშკი დაანგრია და საზოგადოება კი - ამ ნანგრევებთან დატოვა?

არადა ის მიზანი, რომლითაც თავის დროზე მოღვაწეობას იწყებდნენ სოციალისტები, მრავლისაღმთქმელი, ამაღლებული და სამართლიანი ჩანდა. ოცნება ახალ, სამართლიან საზოგადოებაზე, რომლის აშენებაც მათ მიზნად დაისახეს, მათი გამოგონილი სულაც არ იყო, იგი შორეული წარსულიდან, ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების გარიჟრაჟიდან მოდიოდა. ეს იყო თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, ძმობის, ურთიერთსიყვარულის იდეების განხორციელების ოცნება. სხვას რომ თავი დავანებოთ, გამთანაბრებლური იდეები თითქმის ყველა რელიგიაში გვხვდება. მათ შორის, ბუდიზმში, ინდუიზმში, იუდაიზმში, ისლამში, განსაკუთრებით კი ქრისტიანობაში: “ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, - მოუწოდებდა იესო ქრისტე თავის მრევლს, - მისცეს არმქონეს და ვისაც საჭმელი აქვს, ასევე მოიქცეს" (ლუკა, 3,11).

უფრო გვიან, ეს ოცნებები აისახა უტოპისტ-სოციალისტების ნააზრევში. XVI საუკუნიდან მოყოლებული საკმაოდ პოპულარული გახდა ინგლისელი თომას მორის, იტალიელი მოაზროვნის ტომაზო კამპანელას (XVII ს.), ფრანგი ჟან მელიეს (XVIII ს.), მორელის, ბაბეფის, XIX საუკუნის ფრანგი მოაზროვნეების ანრი სენ-სიმონის, შარლ ფურიეს და ინგლისელი რობერტ ოუენის ნააზრევში, რომელიც უტოპიური სოციალიზმის სახელწოდებით არის ცნობილი. ამას მოჰყვა უტოპიური სოციალიზმის გავრცელება რუსეთში. უტოპიურ სოციალიზმს მოჰყვა მეცნიერული კომუნიზმის თეორიის შექმნა, რაც ევროპაში მარქსისა და ენგელსის, ხოლო რუსეთში ლენინის სახელს დაუკავშირდა. ამ თეორიის ბაზაზე რუსეთში მოხდა რევოლუცია და ბურჟუაზიული წყობილება შეიცვალა სოციალისტურით. ასე შეიქმნა ახალი საზოგადოება, ასე ვიცხოვრეთ 70 წელიწადი - ახალი ეკონომიკით, ახალი რწმენით და ზნეობით, ახალი რეალიებით. იდეალური საზოგადოების აშენების მოლოდინში ვიცხოვრეთ, ვიბრძოლეთ, ვიომეთ, ვაშენეთ,სამხედრო ძლიერების მხრივ

მსოფლიოში მეორე სახელმწიფო შევქმენით. ეს იყო ძალზე ცუდი, ყაზარმული სოციალიზმი თავისი ტრაგედიებითა და უბედურებებით, მაგრამ ამასთან ერთად იყო დადებითი მომენტებიც: წინსვლა კულტურაში, სწავლა-განათლებაში, სპორტში, მეცნიერებაში... როგორც უცხოელი ავტორები სამართლიანად აღნიშნავდნენ, კავის რუსეთი ატომურ რუსეთად იქცა.

მერე ყველაფერი ეს შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩიხში მოექცა. აღარ მოხდა ამ თეორიის აღარც თეორიული და აღარც პრაქტიკული განვითარება. ის, რაც შექმნილი იყო ამ დროის მანძილზე გულმოდგინედ დანგრეულ იქნა, ხოლო ხალხის მიერ ნაგროვები ქონება - გაძარცული. თვით საზოგადოება აღმოჩნდა გატეხილი ვარცლის წინაშე.

როგორც ირკვევა, ყველაფერი ეს შეგნებულად იქნა გაკეთებული. ერთ-ერთ თავის რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძე ამბობდა:

“როცა დაიწყო იმპერიის რღვევა, მისი დაშლა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იმპერიის დაშლა იდეოლოგიური ბასტიონების მსხვრევით დაიწყო. სწორედ ეს უდიდესი, ამ საუკუნისათვის ყველაზე დიდი რევოლუცია, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე მოხდა, განპირობებული იყო იდეოლოგიური დოგმების მსხვრევით. ეს ბარიერები რომ არ დამსხვრეულიყო, იმპერიაც აღარ დაინგრეოდა."(იხ. გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა" 4.V.1994წ. ე. შევარდნაძის 2 მაისის რადიოინტერვიუ).

ამ იდეოლოგიურ ბასტიონებსა თუ დოგმებში, როგორც ჩანს, კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულება და კომუნისტური საზოგადოების აუშენებლობა იგულისხმებოდა უწინარეს ყოვლისა.

ახლა ჩვენ უკან ვბრუნდებით. თანაც ვუბრუნდებით არა იმას, რაც 7 ათეული წლის წინ იყო, არამედ, გაცილებით ადრეულ პერიოდს, კაპიტალიზმის გარიჟრაჟისას რომ იყო. რა მოჰყვება ამ დაბრუნებას, რა სოციალური და ზნეობრივი პრობლემების წინაშე დავდგებით, ამას სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ. ისიც გასარკვევია,რა ელის ჩვენს პატარა სამშობლოს, დასახლებულს სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური რწმენის ხალხებით, გარშემორტყმულს ძლიერი და არცთუ ისე კეთილგანწყობილი მეზობლებით? რა საფრთხის წინაშე დავდგებით, რას მოვიგებთ თუ რას წავაგებთ? სამწუხაროდ ჯერ ისიც კი ვერ გავარკვიეთ, მართლა დავაღწიეთ თავი რუსეთის იმპერიის კლანჭებს თუ არა. როგორც ჩანს, ამ პრობლემების ირგვლივ ბევრ ადამიანს, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ, ნაკლებად უფიქრიათ. ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბევრი ჩვენგანი ძალიან ჰგავდა იმ სულსწრაფ და მოუთმენარ ბავშვს, რომელიც მთელი ძალით ცდილობს სახლიდან გავარდნას და სულ არ ფიქრობს იმაზე, თუ რა საფრთხე ელოდება გარეთ.

სოციალიზმის აშენების კრახმა, სამწუხაროდ, თითქმის საბოლოოდ დაასამარა ის დიდი იდეა, რომელსაც ადამიანთა თანასწორუფლებიანობა ჰქვია. ამით ერთხელ კიდევ მიეცათ დიდი არგუმენტი იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ ამქვეყნად უთანასწორობის აღმოფხვრა შეუძლებელია, რომ კაცობრიობა უნდა შეეგუოს ამ მეტად უსიამოვნო, მაგრამ რეალურ ფაქტს.

თუკი ყველაფერი, მართლაც, ასეა, სამოცდაათი წელიწადი ჩვენ მართლა არასწორი გზით ვიარეთ, ახლა ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ სწორად მივდივართ. უნდა მოინახოს ისეთი გზები, რომლებიც ჩვენს პატარა რესპუბლიკას საბოლოოდ არ დაღუპავს, არ გაანადგურებს. ასეთ მძიმე პირობებში მოხვედრილ ადამიანებს საბოლოოდ არ გაუტეხავს გულს და ხელს არ ააღებინებს სამშობლოში ცხოვრებაზე. მაინც რას ვაშენებთ, როგორ საზოგადოებას?

1. როგორ საზოგადოებას ვაშენებთ?

კითხვაზე, თუ როგორ საზოგადოებას ვაშენებთ, თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 1992 წლის ოქტომბერში გაიმართა, ე. შევარდნაძე ამბობდა: “ვაშენებთ ეროვნულ სახელმწიფოს ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნების, თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით. ...მომავლის საზოგადოება იქნება სინთეზი იმისა, რაც კი რამ პროგრესული შეუქმნია კაცობრიობას ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ ეკონომიკური ფორმაციის დროს, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე. ეს პოლიტიკური ფილოსოფია უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს ახალი სახელმწიფოს მშენებლობას.

ქართული სახელმწიფოს მშენებლობის კონცეფციაში კონცენტრირებული გამოხატულება უნდა პოვოს ჩვენმა ისტორიულმა ტრადიციამ, ერის ინტელექტმა, ეროვნულმა სულიერმა ენერგიამ და მსოფლიო გამოცდილების შემოქმედებითად ათვისების უნარმა. უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ არა მარტო დაწინაურებული ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების ათვისება და გამეორება ძალგვიძს, არამედ მისი შემოქმედებითად განვითარებაც” (იხ. “საქართველოს რესპუბლიკა"1992წ. 10 ოქტომბერი).

ქაღალდზე ყველაფერი ეს საკმაოდ კარგად და მიმზიდველად გამოიყურება. უკეთესი გეგმისა და პერსპექტივის დასახვა ალბათ ძნელი წარმოსადგენია. კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო ამ გამოსვლაში: ‘სოციალური პროგრამა ეკონომიკასა და პოლიტიკაში მიღწეული წარმატებების კონცენტრირებული გამოხატულებაა. სოციალური პროგრამა აჯამებს იმას, თუ რას აძლევს საზოგადოება ადამიანს და ადამიანი _ საზოგადოებას. ამიტომ ადამიანთა დაცვის ჩემეული გაგება ეკონომიკური რეფორმის პირველ ეტაპზე გულისხმობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმით (კომუნალური მომსახურება, კვება, ხელფასი, ტანსაცმელი და ა.შ.). საარსებო მინიმუმი კი მეცნიერულ დონეზე უნდა განისაზღვროს."

ამავე გამოსვლაში საზოგადოების სერიოზული გაფრთხილებაც არის: “...საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპს საზოგადოების დიდი ნაწილის გარკვეული გაღარიბება მოჰყვება. ეს ბაზრის კონკურენციის თანმხლები ობიექტური პროცესია და ვერსად წაუვალთ მას. ეს მკაცრი სინამდვილეა." ან მეორე ადგილას: “შექმნილი ვითარება ემუქრება ცოცხალი და მომავალი თაობების ჯანმრთელობას,

ქართველი ხალხის დემოგრაფიულ პერსპექტივას. მცირდება შობადობა, იზრდება მცირეწლოვანთა სიკვდილიანობა. საშიშროება ელის ეროვნულ გენოფონდს. თუ ეს პროცესები არ შევაჩერეთ, სოციალური და ეროვნული კატასტროფაა მოსალოდნელი."

გამოსვლის ის ადგილი, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, კერძოდ მერვე მუხლი ასე ჟღერს: "საჭიროა ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის რეფორმა, ეკონომიკურ პოლიტიკაში პრიორიტეტული მიმართულებების სწორი განსაზღვრა და სტიმულირება, საქართველოს ეკონომიკისა და მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციული პროცესების განვითარება, მსოფლიო და რეგიონულ ბაზრებში შეღწევა და იქ დამკვიდრება, სამამულო წარმოების პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მარკეტინგის, საბაზრო კონიუნქტურის შესწავლის და გამოყენების გზით. ახლა ჩვენ ეს შეიძლება მაღალფარდოვან ფრაზებად გვეჩვენება, მაგრამ 2-3 წლის შემდეგ ყველაფერი ეს რეალობა იქნება."

რელობა, სამწუხაროდ უფრო მკაცრი აღმოჩნდა. ის პროცესი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მიდის, ასეთი ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ის, რაც ახლა საქართველოში ხდება, კაპიტალის პირველი დაგროვების ხანას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე ჰარმონიული საზოგადოების შექმნის ცდას. პირველი კაპიტალის შოვნა კი ყველა გზითა და საშუალებით მიმდინარეობს: ძარცვა-გლეჯით, მითვისებით, მკვლელობით, ყველაზე წმინდა იდეალების გაქელვითა და შელახვით.

ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ ამ გზით ნაშოვნი ფული წარმოებაში კი არ ბანდდება, არამედ ან საზღვარგარეთ გაედინება, ან იფლანგება და ქრება. ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ჯერჯერობით არ მოხერხდა. შესაბამისად არ მოხერხდა საშუალო ფენის ჩამოყალიბებაც. სამაგიეროდ, იქმნება მქონებელ-მომხმარებელთა ფენა, რომლის ხელშიც თავი მოიყარა სიმდიდრის უდიდესმა ნაწილმა.

მაინც როგორ წარიმართა ეს პროცესი, ვისგან ჩამოყალიბდა მქონებელ-მომხმარებელთა ფენა? ასე მოკლე დროის მანძილზე როგორ აღმოჩნდა ქვეყნის სიმდიდრე და ფული მათ ხელში?

ის სისტემა, რომელშიც ჩვენ თითქმის 70 წელი ვიცხოვრეთ, ბევრი ფულის დაგროვების საშუალებას ნამდვილად არ იძლეოდა. მოსახლეობის უმრავლესობას თვიდან თვემდე ძლივს გაჰქონდა თავი. ყველას კარგად გვახსოვს, რომ მანქანის საყიდელი ფული ძალიან დიდ ფულად ითვლებოდა. ვისაც ასეთი პირობების შემდეგ საბრუნავი თანხა აღმოაჩნდა, უმეტეს შემთხვევაში ფინანსური მაქინაციებით, გაფლანგვით ან ქრთამის აღებით ჰქონდა ნაშოვნი. ალბათ ძალზე უმნიშვნელო იყო იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ასეთი თანხა კანონიერი გზით ჰქონდა მოპოვებული.

პოსტკომუნისტური საზოგადოების დროს ძალზე "მარჯვე" ადამიანებმა მოხერხებულად ისარგებლეს ამღვრეული წყლით, საყოველთაო უპატრონობით და ხალხის კუთვნილი ქონება მიიტაცეს. ზოგმა ავტომატით იშოვა ქონება, სხვებმა

საზოგადოებრივი ქონება დაიტაცეს: გაძარცვეს ქარხანა, ფაბრიკა, ჩამოხსნეს მავთულები, ერთი სიტყვით, ვისაც რაზე მიუწვდებოდა ხელი, ის მიითვისა. 70 წლის მანძილზე ნაგროვები დოვლათი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ არანაკლები აღმოჩნდა დამტაცებელთა მადაც. ის, რაც სახლში ან გასაყიდად ვერ წაიღეს, დაამტვრიეს, მოსპეს, ააფეთქეს. ამაზე უფრო სამარცხვინო და ამაზრზენი ქმედება წარმოუდგენელია. მოტყუებულნი და გაძარცულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე პატიოსნად ემსახურებოდნენ თავის საქმეს, წესიერად მოიხადეს ვალი საზოგადოების წინაშე, ერთგულად იცავდნენ ღმერთისა და ადამიანთა სამართლით დადგენილ “არა კაც კლას~, “არა იპაროს", სხვისი “არ შეგშურდეს" ზნეობრივ პრინციპებს. ახლა ამ ხალხის უმეტესობა ასევე პატიოსნად შიმშილობს, ზნეობრივად კი დამცირებული და გაქელილია, მათ ხომ ყველაფერი ხელიდან გამოაცალეს და სანაცვლოდ (ეს უკეთეს შემთხვევაში) ვაუჩერებს სთავაზობენ, რომელთა ფასიც თითოეულ ადამიანზე დაახლოებით 10 ამერიკული დოლარია ნაანგარიშევი. ახლანდელი ფასებით რომ ვიანგარიშოთ, ეს 4 კილოგრამი ხორცი და 1 კილოგრამი ყველია.

განა ეს არის სტარტისათვის ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა? განა ეს დააკმაყოფილებს იმ ადამიანებს, ვინც ცარიელზე დარჩა? მოჰყვება თუ არა ამას სოციალური უკმაყოფილება და აფეთქება? ჩემი აზრით, აუცილებლად. ძალაუნებურად გაგონდება თომას მორის სიტყვები, წარმოთქმული 4 საუკუნის წინ: მსგავს მდგომარეობაში “მე შემიძლია დავიფიცო და ისე ვამტკიცო, რომ ეს არის მდიდართა რაღაც შეთქმულება, რომლებიც სახელმწიფოს სახელით და აბრით ლაპარაკობენ თავიანთ პირად მოგებაზე. ისინი ყველა ხერხსა და ეშმაკობას იგონებენ იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, დაკარგვის შიშის გარეშე შეინარჩუნონ ის, რაც სხვადასხვა თვალთმაქცური ეშმაკობებით დააგროვეს და შემდეგ, რათა ღარიბთა შრომა რაც შეიძლება იაფი საფასურით გამოისყიდონ და ექსპლუატაცია გაუწიონ მათ, როგორც სასაპალნე საქონელს. მდიდრებმა რაკი სახელმწიფოს და ასევე ღარიბთა სახით დაადგინეს, დაიცვან ეს ნაძარცვი, ეს უკვე კანონად იქცევა."

ახლა ჩვენ ყველაზე უფრო მორალურ დაცემას და სულიერების დაკარგვას მივტირით. ხშირად გაიგონებ ასეთ მსჯელობას: ყველაფერს ეშველება, მაგრამ რა ეშველება ზნეობას, რომელიც ასეთ საშინელ დონემდე დავარდა. მართლაც, უბედურება ტრიალებს ამ მხრივ საქართველოში. ადამიანი ადამიანს აღარ ზოგავს, ადამიანი ადამიანისთვის მგლად იქცა.

იმ პრინციპმა, რომელშიც ახლა მეფობს საქართველოში - “რაც იყო, იყო", “რაც მოხდა, მოხდა", “ვინც რაიმე იშოვა, იშოვა~, რომ “არავის არაფერი არ მოეკითხება", საშინელი ზნეობრივი კლიმატი შექმნა ხალხისათვის. ჩვენ ამით ფაქტიურად უარი ვთქვით სამართლიანობასა და მისაგებელზე. არადა, ყველა დროში აუცილებელი და საჭირო იყო მისაგებელი. თვით ზღაპარშიც კი ზეიმობდა სამართლიანობა. ღარიბი, მაგრამ წესიერი ადამიანი იმარჯვებდა უზნეოზე; პატიოსანი, დაჩაგრული და ტვირთმძიმე ამარცხებდა უსინდისო მდიდარს; დაჩაგრული უმცროსი ძმა იმარჯვებდა უპატიოსნო და ხარბ უფროს ძმაზე. რელიგიაში ზნეობრივად მცხოვრები ადამიანისათვის სამოთხე იყო განსაზღვრული, ხოლო ცოდვილისათვის ჯოჯოხეთი.

დღევანდელი ურწმუნო ადამიანებისათვის, რომელთაც არც ღვთისა ეშინიათ და არც კანონების რიდი აქვთ, “ყველაფრის შერჩენის პრინციპი ისეთი ცუდი მაგალითია", რომელსაც თავისთავად შეუძლია თაობები გარყვნას და ვინ უწყის, რა დრო დასჭირდება ამის გამოსწორებას.

მართალია, კომუნისტებისაგან განსხვავებით, ახლანდელმა ლიდერებმა ხალხს რელიგია დაუბრუნეს, ეკლესიაში უკვე მრავალ მიმსვლელს შეხვდები, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა ძალზე შორს არის ღმერთისაგან. მათ მიერ აღვლენილი ლოცვა და ანთებული სანთლები ხშირად არც ზეცამდე ადის და ვერც უზენაესს უთბობს გულს. ისინი უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი კეთილდღეობის და ძარცვა-გლეჯით მიღებულის შენარჩუნებას ეხვეწებიან უფალს. მე მაინცდამაინც არ არ მჯერა ასეთი ადამიანების რწმენის. მე არც ასე უცებ “გადაბრუნებული" კომუნისტების რელიგიურობისა მჯერა რამე. ისინი თავის დროზე ცუდი კომუნისტები იყვნენ და ახლა ცუდ მორწმუნეებად იქცნენ|; და თუკი ადამიანებს ნამდვილი რწმენა არა აქვთ, ისინი ზნეობრივადაც ვერ იცხოვრებენ...

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე დიდი ორიენტირი ალბათ ზნეობრივი მაგალითია. ქრისტიანისათვის ყველაზე დიდი მისაბაძი, ცხადია, თვით ქრისტე და მისი წმინდანებია. საერო ცხოვრებაშიც უამრავი ზნეობრივი მაგალითი გვაქვს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამ ორიენტირის შექმნასა და ჩვენებაზე. ჩვენ კი რა დაგვემართა, მის ნაცვლად, რომ ისეთი მაგალითები გვეჩვენებინა, ასეულობით და ათასობით უპატიოსნესი ადამიანი, რომელსაც სხვისი ქონებისაკენ ავი თვალით არ გაუხედავს, რომლებიც ერთგულად იცავდნენ ღვთის მცნებებს: “არა კაც ჰკლა~, “სხვისი არ შეგშურდეს", ვინც კეთილსინდისიერად ემსახურა თავის ხალხს, ვინც ქმნიდა მატერიალურ დოვლათს, უმძიმეს დღეში ჩავაგდეთ, ლუკმაპური

მოვანატრეთ. საზოგადოებამ კარგად დაინახა, თუ როგორ იქნა შეფასებული მათი პატიოსნება, ერთგულება ღმერთისა და სამართლის პრინციპებისადმი. რა მძიმე ბედი ეწიათ მათ ოჯახებს, შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდნენ...

ასეთი მაგალითის ჩვენებით, ჩვენ ხაზი გადავუსვით ადამიანის ზნეობრივ იდეალს, ხოლო პატიოსანი ადამიანის ავტორიტეტი კი სასაცილო გავხადეთ.

თუ წინათ, სანამ კომუნისტური რეჟიმი ბატონობდა, ის ადამიანები, ვისაც უკანონო გზებით ჰქონდა ნაშოვნი სიმდიდრე, მორიდებულნი მაინც იყვნენ, გაურბოდნენ ნაძარცვ-ნაგლეჯის აშკარა გამოჩენას, ვიღაცას ეფარებოდნენ, მოკრძალებულად მოქმედებდნენ, დღეს უკვე აღარავის ერიდებიან, მათ ახლა არა მარტო სიმდიდრე, არამედ ხელისუფლებაც აქვთ, სწორედ ისინი ქმნიან განწყობილებას, საზოგადოებრივ მორალს. ასეთი უმსგავსო მორალით გაიძარცვა რესპუბლიკა, განადგურდა მისი სიმდიდრე, ასეთი მორალით იპარავენ გაჭირვებული ხალხისათვის განკუთვნილ წამლებს, ჰუმანიტარულ დახმარებას. იმ დროს, როდესაც ასეულ ათასობით ადამიანს სცივა, შია, სწყურია და ტანთ არ აცვია, რესტორნები სავსეა ამ უღირსი საშუალებებით გამდიდრებული ხალხით, მრავალ ასეულ დოლარად ღირებულ ტურისტულ თუ კომერციულ მარშრუტებს ხალხი არ

აკლდება. ქალაქში გამოჩნდა უამრავი უცხოური მანქანა. იმ დროს, როდესაც ქუჩები სავსეა მანქანებით, ქალაქი ნაგვით იხრჩობა. გაჭირვებულ, საცოდავ ადამიანს სასწრაფო დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მოსახლეობის უმრავლესობა უბრალო წამალსაც ვეღარ ყიდულობს. ერთი ჰკითხეთ იმ ხალხს, ვისმა შვილმა ან რძალმა იმშობიარა, რა დაჯდა სამშობიაროდან ბავშვის გამოყვანა, ან თუ ახლობელი გარდაგეცვალა, რა თანხა დასჭირდა მის დასაფლავებას.

ასეთმა მორალმა მიგვიყვანა იქამდე, რომ სიკვდილიანობა გაიზარდა, შობადობა დაეცა, საქართველოდან გარბის ყველა, ვისაც კი ამის საშუალება აქვს. დაეცა მეცნიერება, განათლება, კულტურა. იმატა ნარკომანიამ. ძნელია ყველა იმ უბედურების ჩამოთვლა, რაც ჩვენ დაგვემართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე საშინელი მაინც ასეთი უზნეობის გაბატონებაა. ახლა რომ საქართველოში ნავთობის უდიდესი მარაგი აღმოჩნდეს, დარწმუნებული ვარ, მას რამდენიმე ათეული კაცი დაეპატრონება და სხვებს ძველებურად სულს ამოხდიან.

ის, რაც საქართველოში მოხდა, არ შეიძლება მხოლოდ სისტემის შეცვლას დავაბრალოთ. ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება ალბათ ორივე სისტემით შეიძლება. ჩვენ გვაქვს ჩინეთის მაგალითი. ქვეყანა, სადაც სოციალისტური ცხოვრების წესი ბატონობს, ახერხებს დაამყაროს წესრიგი და მასში ხალხი არ იხოცება შიმშილით. მეორე მხრივ, მსოფლიოში მრავალი აყვავებული ქვეყანაა, რომელიც კაპიტალისტური წესით ცხოვრობს.

მაშ, რაშია საქმე? ჩვენ რა დავაშავეთ ასეთი? რატომ დავისაჯეთ ასე? დროდადრო საზოგადოებაში გაიგონებ მსჯელობას, რომ ჩვენ, ჩვენი ურწმუნოებისათვის ვისჯებით, იმისათვის, რომ ზურგი შევაქციეთ უფალს, უარი ვთქვით მის თაყვანისცემაზე. ჩემი აზრით, არ არის ეს მართალი. ჩვენ ხომ ყველამ შესანიშნავად ვიცით, თუ ვინ, რატომ, რისთვის და რა საშუალებით გვსჯის ჩვენ, რა ძალასთანაც გვაქვს საქმე. და განა ისინი, ვისი ხელითაც ჩვენ ვისჯებით, ჩვენზე უფრო ზნეობრივნი არიან, განა მათ უფრო კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ, თუ უფრო ამაღლებულ პრინციპებს გვიპირისპირებენ? მაშ რატომ ვისჯებით ჩვენ და არა ისინი? ყველა უბედურების მხოლოდ ურწმუნოებით ახსნა არ მიმაჩნია სწორად. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ თვალსაზრისისა, რომ მონღოლების გამოჩენა ჩვენში ღვთის რისხვა იყო, შიდსსის გაჩენაც აგრეთვე, ის რაც ახლა ხდება ღვთის წყრომაა და ა. შ. ასეთი ინტერპრეტაცია არაფერს გვაძლევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ხალხი, რომელიც ახლა ამას ამტკიცებს, სულ ცოტა ხნის წინ ამტკიცებდა “ღმერთი ჩვენთან არისო~.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენი ხალხი ხომ არ ჰგავს იმ სულმოკლე ებრაელებს, რომლებიც უდაბნოში აუჯანყდნენ თავის წინამძღოლებს, მოსეს და აარონს: რატომ დაგვატოვებინეთ ეგვიპტე, სადაც ჩვენ, მართალია, გვჩაგრავდნენ, მაგრამ მაძღარნი ვიყავით, წამოგვიყვანეთ უცნობ და საშიშ გზაზე, აღგვითქვით მიწა, რომელიც შორსაა და თანაც სხვა, ძლიერი ტომებით არის დასახლებული. ამბოხებული ებრაელები მოითხოვდნენ წინამძღოლების გადარჩევას და უკან, ეგვიპტეში დაბრუნებას.

შეიძლება ჩვენსა და ამ უმადურ ებრაელებს შორის მართლა მოიძებნება ბევრი საერთო, მაგრამ ჩვენ შორის არის ერთი არსებითი განსხვავება: იქ, უდაბნოში, ყველას

ერთნაირად უჭირდა: წინამძღოლსაც და უბრალო ადამიანსაც, ჩვენთან კი უმრავლესობას რომ ასე უჭირს, უმცირესობა სწორედ ამაზე აგებს თავის ბედნიერებას, თანდათან მდიდრდება და მერე ამის დაკანონებაც უნდა.

ის პატარა ნავი, რომელსაც ახლა საქართველო მიჰყავს, არ არის გათვლილი მბორგავი ოკეანისთვის, რომლის უზარმაზარი ტალღები მრისხანედ ეხეთქება და ანგრევს მის კედლებს. ასეთ ღელვაში მოხვედრილებმა შეიძლება სულ დავკარგოთ ნავიც და მასში მსხდომი ხალხიც. იქნებ სხვა ხალხს, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანს, ვიდრე ჩვენ ვართ, კიდეც გაეძლო, გარკვეულ მსხვერპლს გაიღებდა, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწევდა, მაგრამ ჩვენ ცოტანი ვართ, ძალიან ცოტა და გაფრთხილება გვინდა. დროა ყველამ გაიგოს ეს და გაითვალისწინოს.

სახელმწიფოს მართვის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც უზარმაზარი ტალღა მოდის, შენი პატარა ნავი ისე უნდა დაახვედრო, რომ არ გადატრიალდეს და ნაკლებად დაზიანდეს. როდესაც დიდი კატაკლიზმები ხდება, იმაზე კი არ უნდა იფიქრო, მსოფლიოს წინაშე რით გამოიჩენ თავს და როგორი იმიჯი გექნება, არამედ იმაზე, რომ მაქსიმალურად აარიდო უბედურება შენს ხალხს, დაზოგო და დაიცვა ის. უნდა მოერიდო იმასაც, რომ შენი ტერიტორია და ხალხი ექსპერიმენტის არედ არ აქციო.

ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი თავის თავს იმ ხელოვანებს ადარებს, რომელთაც თავის შემოქმედებაში სხვადასხვა ეტაპები ჰქონდათ. მათი მსჯელობით, თუკი ხელოვანს ამის შესაძლებლობა აქვს (ვთქვათ, პიკასოს), რატომ არ შეიძლება, პოლიტიკოსსაც ჰქონდეს ასეთი ეტაპები. მაგრამ ის, რისი გაკეთებაც შეიძლება ხელოვნებაში, ალბათ მიუღებელია პოლიტიკაში. თუ პოლიტიკაში იმის საწინააღმდეგოს აკეთებ, რასაც გუშინ აკეთებდი, ამას უპრინციპობა ჰქვია. ხელოვანისაგან განსხვავებით, რომელიც თავისი ეტაპებით არავის არაფერს უშავებს, პოლიტიკოსი ხალხის ბედით თამაშობს...

მაინც საით მივდივართ, გავაღწევთ კი გვირაბში, თუ გავაღწევთ, რა დარჩება ჩვენგან? ამ კითხვებზე ჯერ ნათელი პასუხი არ ჩანს.

ასეთ მდგომარეობაში ჩაყრილები ჩვენს მდგომარეობას ძალიან ხშირად ვადარებთ ისრაელის სახელმწიფოს, მის ჩამოყალიბებას და თანამედროვე მდგომარეობას. დღეს ყველა ხედავს, თუ როგორი მონდომებით უყრის იგი თავს თავის მოსახლეობას, როგორი რუდუნებით ზრდის ახალგაზრდებს სხვადასხვა ქვეყნებში, ასწავლის მათ მშობლიურ ენას, კულტურას, ცდილობს ჩაიყვანოს ისტორიულ სამშობლოში და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოაყალიბოს. და თუ ისრაელს, უზარმაზარი შესაძლებლობების მდიდარ და მოწესრიგებულ ქვეყანას უჭირს ამ საქმეში, რა გვეშველება ჩვენ? ვინ დაგვეხმარება ჩვენი გაქცეული და დაფანტული ქართველების მოგროვებაში? და თუ ამას ვერ მოვაბით თავი, ვის ვუტოვებთ ჩვენს მიწას, წინაპართა სისხლით გაპოხილსა და განაყოფიერებულს?

რპ

გაზეთი “ლიტერატურული საქართველო~, 16 სექტემბერი, 1994წ.

IV. რელიგიური ფაქტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში

(სიტყვა, წარმოთქმული ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე “საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის საკითხები" 1992 წლის 23 მარტს)

ჩვენი კონფერენცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებას, მისი ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებას ეხება. დღევანდელ შეკრებაზე ამ კონცეფციის მრავალ საინტერესო ასპექტზე იყო საუბარი. სხვა საკითხებს არ შევეხები, შემოვიფარგლები მხოლოდ რელიგიის როლის გარკვევით საგარეო კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში. მართლაც, როგორი უნდა იყოს რელიგიის როლი ჩვენს საგარეო პოლიტიკაში, უფრო ზუსტად, რა რელიგიური ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული მისი ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბების საქმეში.

პირველი, რითაც ჩვენ ამ კონცეფციის ჩამოყალიბებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ, ეს არის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ მუსულმანური რწმენის ხალხების რკალით (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, დაღესტანი, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა პატარა რესპუბლიკები). რუსულ პრესაში არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა ქრისტიან ოსთა განცხადება. ისინი იმუქრებოდნენ: “თუ რუსეთი ჩვენ სათანადო ყურადღებას არ მოგვაქცევს, არ დაიცავს ოსეთის ინტერესებს (იგულისხმებოდა საქართველოსთან მიმართებაში - თ. ფ.), ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩება, თუ არა ის, რომ მივიღოთ ისლამი და რელიგიურადაც შევუერთდეთ ჩრდილოეთ მუსულმან თანამემამულეებს." ამ აქციით, მათი აზრით, ისინი გადაუკეტავდნენ ქრისტიანულ საქართველოსა და სომხეთს იმ პატარა ყელს, რომლითაც ისინი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდებოდნენ. ამასთანავე, მათ მუქარაში იგულისხმებოდა, რომ მეორე კარს ქრისტიანულ სამყაროსთან აფხაზები ჩაკეტავენ.

ამის შემდეგ საქართველოს ქრისტიანი მეზობელი არ რჩება. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ სომხეთიც საქართველოს ხშირად გამორჩენის თვალით უყურებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ზღვაზე გასასვლელი იპოვოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ძალზე სახიფათო მეზობლობა გვაქვს.

ცხადია, ასეთი მოსაზრებების არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი საშიშროება გარდაუვალია და მას ცხოვრებაში განხორციელება მოჰყვება. სხვას რომ თავი დავანებოთ ახლა ძველი დრო არ არის და ხმელეთის გარდა არსებობს ზღვა და ჰაერი იმისათვის, რომ კავშირი დავამყაროთ ქრისტიანულ ქვეყნებთან, მაგრამ ასეთი მოსაზრებების სრული უგულებელყოფა ალბათ არ შეიძლება.

გარდა ამისა, ჩვენ სხვაგვარადაც ძალზე რთული და სპეციფიკური ვითარება გვაქვს. თვით საქართველოში არის ისლამის ბევრი მიმდევარი როგორც ქართველთა (აჭარლები), ისე სხვა ეროვნების (აზერბაიჯანელი, აფხაზი, ლეკი, ქისტი) წარმომადგენელთა სახით, რომელთა გარკვეული ნაწილი (ჩვენი გამოკვლევებით, 34,9%) რელიგიასა და ეროვნებას ერთმანეთთან აიგივებს. თუ ამას დავუმატებთ, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა თურქეთში და ირანში ისლამის მიმდევარია, ხოლო ჩვენ აქ გვაქვს პრობლემები "თურქ მესხებთან" დაკავშირებით, მსოფლიოში კი ძლიერდება ისლამური ფუნდამენტალიზმი, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს უშუალო მეზობლებთან ურთიერთობისას საქართველოს საშინაო პრობლემების გათვალისწინებით რელიგიური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა სწორად და სასარგებლოდ არ მიგვაჩნია. ალბათ, ბევრად უკეთესია, მივმართოთ უფრო მოქნილ პოლიტიკას, რომლის გატარებაც თავიდან აგვაცილებს მეზობელ ქვეყნებთან რელიგიურ კონფრონტაციას და არ გადაგვკიდებს მთელ მუსულმანურ სამყაროს.

საქართველოს ისტორიაში საკმარისად არის მაგალითები ისლამურ ქვეყნებთან ასეთი ურთიერთობისა. თვით შუა საუკუნეებშიც კი ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, თუ როგორი დოზით უნდა ყოფილიყო რელიგიური ფაქტორი პოლიტიკაში გამოყენებული.

ასე მაგალითად, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, როდესაც შემუშავდა თურქებთან ბრძოლის გეგმა, საქართველოს მეფე-მთავრებს ერთმანეთთან ზავი დაუდიათ. როგორც მ. თამარაშვილი წერდა, ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო: "ჩვენ, ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთმანეთს შევფიცეთ, მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალ-ღონით თურქებს ვეომოთ. განსაკუთრებით იმათ, რომელნიც კონსტანტინეპოლში არიან, რადგან ისინი ქრისტიანეთა ყველა მოძულე არიან."

ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ იყო, ამიტომ ისინი მოკავშირეებს არა მარტო დასავლეთში, არამედ თავის მეზობლებშიც ეძებდნენ. ასეთი მოკავშირეებიც მოუძებნიათ.ტრაპიზონის იმპერატორისა და მცირე სომხეთის პატრონის სახით. პირველი აღუთქვამდა მოკავშირეებს 30 000 ჯარისკაცსა და 30 ხომალდს, მეორე კი - 20 000 ჯარისკაცის გამოყვანას.

ყველაზე საგულისხმო ის იყო, რომ ქართველებს ქრისტიანი მოკავშირეების გარდა მაჰმადიანი მთავრებისთვისაც მიუმართავთ დახმარებისთვის. ქართველებს მოუხერხებიათ და "სამი ძლიერი უსჯულო მთავარი, რომელნიც კონსტანტინეპოლელ თურქთა მტრები იყვნენ, თავის მხარეზე გადმოუყვანიათ." თუმცა ამ გეგმებს საბოლოო ჯამში განხორციელება არ ეწერა, მაგრამ თვით ფაქტი, რომ ებრძვიან თურქებს და არა ისლამს, საგულისხმო ფაქტია და თვალსაჩინო მაგალითია იმ დროის მოქნილი პოლიტიკისა.

ამ გამოცდილებას, რასაკვირველია, გათვალისწინება და სათანადოდ გამოყენება უნდა. ჩვენ დღესაც უნდა გამოვიდეთ იმ პრინციპიდან, რომ უკიდურეს შემთხვევაში დავუპირისპირდეთ არა ისლამს, არამედ იმ ქვეყანას, რომელიც ისლამის დროშით, შესაძლოა, ჩვენ მიმართ მტრულ საქმიანობას წარმართავს. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მანევრირება, რეალური სიტუაციის გათვალისწინება, საღი თვალით იმის დანახვა და შეფასება, თუ რისი შემოთავაზება შეუძლიათ ჩვენთვის ისლამის მაღიარებელ მეზობლებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ საფრთხე აუცილებლად მხოლოდ ისლამური ქვეყნებიდან როდი გვემუქრება, არსებობს რეალური საფრთხე თვით ქრისტიანული ქრისტიანული ქვეყნებიდანაც. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გზა უნდა დავიტოვოთ, რათა ყოველმხრივ იზოლირებული არ აღმოვჩნდეთ.

“ბოლო ხანებში ჩვენს არაოფიციალურ წრეებში არაერთგზის გაიგონებ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ისეთივე როლი ისლამური სამყაროს მიმართ, რომელსაც ასრულებს ისრაელი. მაგრამ რამდენად მართებულია საკითხის ასე დასმა და რამდენად გვაქვს ჩვენ ამის შესრულების საშუალება, ან რამდენად შეიძლება პარალელის გავლება ამ ორ ქვეყანას შორის?

ერთის მხრივ, ჩვენ თითქოს გეოგრაფიული მდებარეობა ამის საშუალებას გვაძლევს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენც ებრაელებივით მუსულმანურ რკალში ვართ მოქცეულები. ისტორიაც მსგავსი გვაქვს ისლამთან ბრძოლისა, მაგრამ ზუსტი პარალელის გავლება ამ ორი ქვეყნის მდგომარეობას შორის, ჩემი აზრით, არ შეიძლება.

ჯერ ერთი, ყველა ქართველი ებრაელებივით ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ერის გარკვეული ნაწილი მუსლიმანია, ზოგიც სხვა რელიგიური მიმდინარეობის თაყვანისმცემელი, ამ ფაქტორს კი აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. მეორე, ჩვენ არა გვაქვს ისეთი ტექნიკა და იარაღი, როგორც ებრაელებს, რათა ესოდენ მაღალ დონეზე დაპირისპირება შევძლოთ უზარმაზარ მუსლიმანურ სამყაროსთან. მესამე, ჩვენ ძალზე მცირერიცხოვანნი ვართ და ზურგს არ გვიმაგრებს ისეთი მძლავრი და გავლენიანი დიასპორა, როგორიც ისრაელს ჰყავს. და ბოლოს, ჩვენში ძალზე ცოტაა თავგადადებული ქრისტიანი, რომელიც რელიგიურს საერო ფაქტორზე წინ აყენებდეს.

საქმის ასეთმა ვითარებამ, რასაკვირველია, უფრო რეალურ საფუძველზე უნდა დაგვაყენოს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ძალზე მცირერიცხოვანი ერი ვართ, ამიტომ დიდი საკითხების გადაწყვეტისას მეტი სიფრთხილე გვმართებს. მოსახლეობა ექსპერიმენტებისათვის არ უნდა გავიმეტოთ და ვიღაცის ინტერესებს არ შევწიროთ. აქედან გამომდინარე, თუ ისეთ პოლიტიკას მაინც დავადგებით, მოსალოდნელი შედეგებიც ბოლომდე უნდა გავთვალოთ, რადგან ჩვენ მეზობლებს არავინ შეგვიცვლის. კეთილმეზობლობა კი ნიშანია მშვიდობისა და გარანტია კეთილდღეობისა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი და გათვალისწინებულ იქნას საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბებისას, ესაა ჩვენი ისტორიული წარსული. ცნობილია, რომ საქართველოში

მოსული ყველა დამპყრობელი ცდილობდა, მამულთან ერთად ჩვენთვის ენა და სარწმუნოებაც წაერთმია. თუკი ისინი ამას მოახერხებდნენ, მაშინ ხელს ვერაფერი შეუშლიდათ ქვეყნის სრული დაუფლების საქმეში. ჩვენი ისტორიული მტრები კი ტრადიციულად ისლამის მაღიარებელი ხალხი იყო. ამიტომ ქრისტიანული რელიგია იყო მძლავრი, ნაცადი იარაღი ქართველთა ხელში თავისი ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში მანამ, სანამ მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ ვიბრძოდით. იმ დროს ქრისტიანობა ქართველობასთან იყო გაიგივებული, ამიტომ ქრისტესთვის ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლას ნიშნავდა. შემთხვევითი როდი იყო ილია ჭავჭავაძის სიტყვები ქრისტიანობის შესახებ: “ქრისტიანობა, ქრისტეს მიმდევრობის გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, აღნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრის წინაშე. სიტყვის გაქადაგებისას, სწავლის, მოძღვრების სულ იმაზედაც მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმიდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ემსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს."

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული იდეოლოგია, ეს მძლავრი იარაღი, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი, ბრძოლებში გამოვლილი და გამოწრთობილი, რომელიც ქართველებს ომახიანად მოუწოდებდა, არ გათათრებულიყვნენ, არ გათურქებულიყვნენ, არ გამონღოლებულიყვნენ, მოულოდნელად სრულიად დაჩლუნგდა და ძალა დაკარგა მაშინ, როცა ქართველთა ინტერესები შეეჯახა ზუსტად ჩვენნაირ რელიგიას, ერთმორწმუნე ხალხს, რომელიც თავდაპირველადთითქოს ჩვენ საშველად მოვიდა. მხედველობაში გვაქვს ჩვენი ურთიერთობა მართლმადიდებელ ქრისტიან რუსეთთან. ე.წ. "ერთმორწმუნეობის" ფაქტორი.

მართლაცდა, საქართველო და რუსეთი ერთი სარწმუნოების, ერთი ქრისტიანული ღირებულების მიმდევარი ქვეყნები იყო. იმ დროს ერთი ტიპიკონის ქრისტიანები ცდილობდნენ, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ. ამ ურთიერთობას ისინი იყენებდნენ მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ კავშირის განსამტკიცებლად.

“ერთმორწმუნეობის" საფუძველზე დაახლოება, ცხადია, უფრო მიმზიდველი და იდეოლოგიურად გამართლებული იყო. იგი ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნების დაახლოებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა გარშემორტყმული იყო უცხო რელიგიის მატარებელი ხალხით.

“ერთმორწმუნეობის" ტერმინი, ცხადია, მხოლოდ რუსეთთან მიმართებაში არ იხმარებოდა. დიდხანს მას ხმარობდნენ ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში, რომელთანაც საქართველოს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა და ბიზანტიამ არსებობა შეწყვიტა, რუსეთი გახდა ის ერთადერთი ერთმორწმუნე ქვეყანა, რომელსაც რეალური ძალა

გააჩნდა და შესაბამისად გაჭირვების დროს შეიძლებოდა დახმარების იმედი გვქონოდა. მართალია ამ საქმეებში რელიგია მთავარი და განმსაზღვრელი არ ყოფილა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ქართველებს, აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, “ქრისტიანულ რუსეთში ახალი ბიზანტია ეჩვენებოდათ. ამ ძალის შემწეობით ისინი მაჰმადიან აგრესორთა (ირანისა და ოსმალეთის) შემუსვრაზე და საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენაზე ოცნებობდნენ.~ რაც შეეხება რუსეთს, როდესაც იგი თავს მესამე რომად აცხადებდა, მას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა და ამ შემთხვევაში ქრისტიანობა მისთვის მიზნის მიღწევის ლამაზი და იოლი საშუალება იყო. იგი იყო იდეოლოგიური საბურველი, რომლის იქით საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩანდა.

XVI-XVII საუკუნეებში მტრებისგან შევიწროებული და სისხლისგან დაცლილი ქართული სამეფო-სამთავროები მფარველს ეძებდნენ. ასეთი საგარეო მფარველის ძიება და პოვნა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წაგებას ნიშნავდა, რადგან პოლიტიკაში უანგაროდ არავინ ირჯება და არც არაფერს აკეთებს თვით ერთნაირი შეხედულებებისთვისაც კი. ასეთი მფარველი საგანგებოდ უნდა შერჩეულიყო და ყველა სხვა შესაძლებელ მფარველზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. ასეთ მძიმე პირობებში, როდესაც ქართული სამეფო-სამთავროები გარშემორტყმულნი იყვნენ მათ მიმართ მტრულად განწყობილი მუსულმანური ქვეყნებით, რომელნიც ყოველ წუთს წალეკვით ემუქრებოდნენ საქართველოს, ისეთი მოკავშირის გამოჩენას, რომელსაც რეალური ძალა გააჩნდა და ამავე დროს ერთნაირი სარწმუნოება და ტიპიკონი ჰქონდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, ერთმორწმუნეობა ამ ორ ქვეყანას შორის “უცხოობის" ზღვარსაც კი შლიდა და განუხრელად უწყობდა ხელს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას.

როგორც ჩანს, ქართულმა სამეფო-სამთავროებმა ბოლომდე ვერ გათვალეს, რა მოჰყვებოდა ამ კავშირს. თავისი დახმარების საფასურად რა პირობებს წამოუყენებდა რუსეთი. შეიძლება, ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მარტო ქრისტიანობის და “ერთმორწმუნეობის" გამო გაუწევდა დახმარებას საქართველოს. სხვა ვითარებაში ალბათ ქართველები ისეთი მოკავშირის ძებნას არ შეუდგებოდნენ, რომელიც მათ სახელმწიფოებრიობას გააუქმებდა. ამიტომ, მართალი იყო აკად. ივანე ჯავახიშვილი, როდესაც წერდა, რომ ქართველთა მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არა მარტო მეფის რუსეთის ცბიერი პოლიტიკა განსაზღვრავდა, არამედ ქართლ-კახეთის მესვეურთა პოლიტიკური გულუბრყვილობა, რაც რუსეთისადმი სარწმუნოებრივ ნიადაგზე დამყარებულ “დაუშრეტელ ნდობაში~ გამოიხატებოდა.

რასაკვირველია, ქართული სამეფოების ისტორიაში იყო მომენტები, როდესაც ერთგვარად შენელებული იყო რუსული ორიენტაცია. ამ ორიენტაციის შერბილებას კი მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა ერთგვარი წარმატება. XVII - XVIII საუკუნეებში კათოლიკე მისიონერებს მთელი რიგი მეფეები მფარველობდნენ. XVIII საუკუნეში თვით კათალიკოსი დომენტი თანახმა იყო, ეცნო რომის პაპის უზენაესობა. საერთოდ კი მართებულია ქართველ ისტორიკოსთა მიერ რელიგიური დამოკიდებულებების იმ ბარომეტრთან შედარება, რომელიც ნათლად უჩვენებდა, თუ ვისი გავლენა

მძლავრობდა. ასე მაგალითად, მართლმადიდებელი ორიენტაცია რუსულ გავლენას მოასწავებდა, კათოლიკური - ევროპის, მუსლიმანური - ირანის ან ოსმალეთისას. თუ რელიგიური ფაქტორი იცვლებოდა, ეს ნათლად მიუთითებდა, რომ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. საბოლოო ჯამში ამ ბარომეტრმა მაინც რუსეთისკენ გადახრა აჩვენა.

ყველასთვის ცნობილია, თუ რით დასრულდა ეს მოვლენები: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით, უფრო გვიან კი 1801 წლის მანიფესტით დამთავრდა. საქართველო დაიპყრო რუსეთმა. ამან საბოლოო ჯამში გადაწყვიტა კიდეც ქართული ეკლესიის ბედი. 1811 წელს გაუქმებულ იქნა ავტოკეფალია და ქართული ეკლესია დაემორჩილა რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს. ქართულ ეკლესიას სათავეში ეგზარქოსები ჩაუდგნენ. ეს ტრაგიკული ფურცლები იყო როგორც ქართველი ერის, ისე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაშიც.

მაინც რა გვიჩვენა ამ ისტორიულმა წარსულმა? რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ მომხდარი ამბებიდან? გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ სასარგებლო არ არის გქონდეს ზუსტად ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც იმ ქვეყანას გააჩნია, რომელიც შენს დამორჩილებას ან გავლენის სფეროში მოქცევას ცდილობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად ჩვენნაირმა სარწმუნოებამ, რომლის დროშითაც რუსეთი მოვიდა, ჩვენ სრულიად განგვაიარაღა. ზუსტად ერთნაირმა ტიპიკონმა რუსეთს შესაძლებლობა მისცა, გაეუქმებინა ჩვენი ავტოკეფალია, ხოლო თვით ეკლესია ჩვენივე ჩაგვრისა და რუსიფიკაციის იარაღად ექცია.

განსხვავებულმა ტიპიკონმა საშუალება მისცა სომხებს შეენარჩუნებინათ თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა და იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც სომხებს საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდათ, თავისი ხალხის კონსოლიდაციისთვის ებრძოლათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პატარა დაღესტანმა სხვა რელიგიით, შამილის მეთაურობით და ისლამის დროშით 25 წელი იბრძოლა დამპყრობელი ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ.

კიდევ რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ჩვენი ისტორიული წარსულიდან? პირველ რიგში ალბათ იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში მარტო სარწმუნოებით გატაცებას ყოველთვის როდი მივყავართ სასურველ შედეგებამდე, სწორ, პერსპექტიულ პოლიტიკამდე. გამეორება კი იმ შეცდომებისა, რომლებიც ჩვენ წარსულში დავუშვით, მარტო გულუბრყვილობა კი არაა, არამედ დანაშაულიც იქნება ერის წინაშე. მით უფრო საკვირველია, რომ დღესაც ის იმედები და ილუზიები, რომლებიც ქართულ ეკლესიას თავის დროზე ჰქონდა “ერთმორწმუნე" რუსეთთან დაკავშირებით დღესაც იჩენს ხოლმე თავს. “...დიახ, სწორედ მართლმადიდებლურ სარწმუნოების დაცვა და გადარჩენა ედო საფუძვლად იმ ისტორიულ ტრაქტატს რუსეთსა და საქართველოს შორის რომ გაფორმდა, - ამბობდა ქართველი ეპისკოპოსი ზოსიმე რუსეთის ნათლისღების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც 1988 წლის 20 მაისს გაიმართა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს რეზიდენციაში, - ქრისტეს ჯვარმა და წმინდა სახარებამ დაგვაახლოვა

ჩვენ. ამიტომაცაა, რომ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის დღესასწაულს ჩვენი ერი და წმინდა ეკლესია თვლის დიდ დღესასწაულად"(“ჯვარი ვაზისა", 1988წ. #3).

ყოველივე ზემოთქმული, რუსეთთან ურთიერთობაში განცდილი და თავს გადახდილი მწარე გამოცდილება, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ორიენტირი ქრისტიანულ ქვეყნებზე არ ავიღოთ, არ დავუკავშირდეთ ქრისტიანულ სამყაროს. ჩვენი ისტორია, ჩვენი ცხოვრება ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაჯაჭვული ქრისტიანობასთან. ჩვენი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ცხოვრების წესი ქრისტიანულია. ქართული კულტურაც უმეტესად ქრისტიანული კულტურაა. ჩვენ არ ვიცნობთ ქართულ ისლამურ კულტურას, ამიტომ, ცხადია, ჩვენი ორიენტირი ყოველთვის იყო, არის და იქნება ქრისტიანული დასავლეთი. მაგრამ ამასთანავე, კიდევ ვიმეორებ, რელიგიური ფაქტორი არ უნდა იყოს ერთადერთი და გადამწყვეტი საგარეო პოლიტიკის გატარებაში. მან ხელი არ უნდა შეგვიშალოს მოქნილი პოლიტიკის გატარებაში, თუმცა მისი გათვალისწინებაც საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია ისტორიული გამოცდილების ფონზე.

გაზეთი “საქართველო", #8 (74), 8.V.1992წ.

V. ეროვნული ურთიერთობები საქართველოში

ჩვენ მომსწრენი აღმოვჩნდით იმ დიდი, რამდენიმე წლის წინათ თითქმის დაუჯერებელი ამბისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის, ამ უზარმაზარი იმპერიის, დაშლა ჰქვია და რასაც მოჰყვა ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. გარდა ამისა, ტერიტორიული პრეტენზიები, შინაომლილობა თუ დუღილი ისევ გრძელდება მრავალეროვან პოსტიმპერიულ სივრცეში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მიმდინარე პროცესებზე.

კონფლიქტები ყარაბახში, დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, ყოფილ სამხრეთ ოსეთში, ჩეჩნეთში, ტაჯიკეთში, ცდები, ხელახლა იქნას აღდგენილი იმპერია, კიდევ ერთხელ მიუთითებს მიმდინარე პერიოდის სირთულეზე ეროვნულ ურთიერთობებში; მათი გადაწყვეტის, სეპარატიზმისა და ტერორიზმის დაძლევის აუცილებლობაზე.

ეროვნული ურთიერთობები ყოველთვის იყო ძალზე რთული და ამავე დროს ფაქიზი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ნებისმიერ დროს დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. კომუნისტური მსოფლმხედველობის ზეობის პირობებში ეს პრობლემები თითქოს არ ჩანდა.

კომუნისტები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მათ მოუარეს და გადაწყვიტეს ყველასათვის გადაუწყვეტელი ეროვნული საკითხი, თანაც ეს მოახერეს ისეთ დიდ და მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი. შესაბამისად, ამ

გამოცდილებას უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კითხვაზე, თუ რის საფუძველზე მოხდა ამ პრობლემის გადაწყვეტა და რა არის მთავარი ამ გამოცდილებაში, ისინი პასუხობდნენ: მთავარი ამ გამოცდილებაში არის ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციის საფუძველზე ეროვნული ანტაგონიზმის და ერების სოციალური არაერთგვაროვნების დაძლევა, ხალხების სრული პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა. ძირითადი ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის დაძლევა, თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანება და შეკვრა. მათი სოციალური და პოლიტიკური თანამშრომლობის დამყარება სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში... შემდეგ ეტაპზე, რომელსაც ერქვა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ეტაპი, მათი აზრით ერები კიდევ უფრო უნდა დაახლოებულიყვნენ და მიეღწიათ ერთობისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ეროვნული ურთიერთობების განვითარების გზაზე ყურადღება მახვილდებოდა ორ ურთიერთდამოკიდებულ ტენდენციაზე: ერების სწრაფ და ყოველმხრივ განვითარებასა და ერების შემდგომ დაახლოებაზე. სხვაგვარად, როგორც თვითონ კომუნისტები ამბობდნენ ხოლმე, “თითოეული ხალხის გაფურჩქვნა ყველა ხალხის დაახლოებისათვის და დაახლოება ყველას გაფურჩქვნისათვის". ასეთი მიდგომა ითვლებოდა ერების განვითარების დიალექტიკად კომუნისტური მშენებლობის პირობებში.

მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში ერების შესახებ დიდი როლი ენიჭებოდა ხალხთა დაახლოების ეკონომიკური საფუძვლების აშენებას, ერების სოციალური და პოლიტიკური ერთობის გაძლიერებას, ერების სულიერი სახის განვითარებას, ერთიანი ენის (რუსულის) გავრცელებას. ამ თეორიის მიხედვით, თითქოს ითვლებოდა, რომ ყველა ენა თანაბარია, თითოეულ ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს, შვილები აღზარდოს და განათლება მისცეს მისთვის სასურველ ენაზე. ამა თუ იმ ენის გამოყენებისას იკრძალებოდა ნებისმიერი პრივილეგიები, შეზღუდვები თუ ძალდატანება.

მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმით მიუთითებდნენ იმაზეც, რომ ხალხთა ურთიერთობისათვის აუცილებელია ერთიანი ენა. ასეთ ერთა შორის საურთიერთო ენად დასახელებული იყო რუსული. თავის დროზე კომუნისტებს ხშირად მოჰყავდათ ლენინის მოსაზრება ამ საკითხზე: “ჩვენ, რასაკვირველია, გვინდა ის, რომ რუსეთის თითოეულ მცხოვრებს ჰქონდეს საშუალება ისწავლოს დიდი რუსული ენა. ჩვენ არ გვინდა მხოლოდ ერთი: იძულების ელემენტი" (ლენინი, თხზ., ტ.24, 295).

შემდეგი საკვანძო საკითხი ამ თეორიაში იყო ინტერნაციონალურის და პატრიოტულის ურთიერთშერწყმა. სოციალისტური საზოგადოების აუცილებელ ელემენტად ცხადდებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელიც გულისხმობდა მშრომელთა აღზრდის ფორმების და მეთოდების სრულყოფას, ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და გაღრმავებას, ბრძოლას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ. ნაციონალიზმი ცხადდებოდა კაპიტალიზმის ყველაზე სიცოცხლისუნარიან გადმონაშთად, რომელიც ისწრაფვოდა, შეენარჩუნებინა ხალხთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, დრომოჭმული თვისებები

და თავისებურებები. მიაჩნდათ, რომ ნაციონალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის გარეშე შეუძლებელია პროგრესი ეროვნულ ურთიერთობებში.

ინტერნაციონალური, ამტკიცებდნენ კომუნისტები, არ ნიშნავს ანტინაციონალურს და კომუნისტური პარტია არ დაუშვებს ეროვნული ინტერესების არც გაბერვას და არც მათ იგნორირებასო...

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ პატრიოტიზმს იხილავდა, როგორც განკერძოებული სამშობლოს ხანგრძლივი განვითარების პროდუქტს და აღნიშნავდა, რომ ახლა ყალიბდება ახალი ტიპის პატრიოტიზმი. ეს არისო ასზე მეტი ერისა და ხალხის პატრიოტიზმი. ამას მოსდევდა მტკიცება, რომ ინტერნაციონალური არ უპირისპირდება პატრიოტულსო, მთავარია მათი შერწყმა და ჰარმონიაო, რის შედეგადაც და რის ბაზაზეც ყალიბდებოდა ადამიანთა ახალი ინტერნაციონალური, აქამდე არნახული ერთობა - საბჭოთა ხალხი, რაც არის ხალხების სოციალური პროგრესის, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების, სოციალისტური იდეოლოგიის დამკვიდრების, ეკონომიკური და კულტურული დონეების გათანაბრების და მათ შორის ძმობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შედეგი.

საბჭოთა ხალხი, ასკვნიდნენ კომუნისტი იდეოლოგები, ეს არის სინთეზი, ერთობლიობა ბევრი ერისა და ხალხისა, რომელნიც გაერთიანებულნი არიან მიზნისა და ინტერესების, ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების, სამშობლოს, ტერიტორიის, სოციალისტური შინაარსის კულტურით და ეროვნებათშორისი ერთიანი ენის ერთობით.

ფორმალურად ითვლებოდა, რომ ინტერნაციონალურ ერთობას არ უნდა გაეუქმებინა ნაციონალური ერთობა, კულტურა და ენა ისევე, როგორც ერთიანი საბჭოთა კავშირის არსებობა არ აუქმებს ნაციონალურ სახელმწიფოებრიობასო.

ერთი სიტყვით, ასეთი ერთობა, რომელიც 130-ზე მეტი ერის, ხალხის თუ ნაციონალური ჯგუფისაგან შედგებოდა, რეალურად არსებობდა და ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა. რაც შეეხება ერების მომავალს ასეთ გაერთიანებაში, ბუნდოვანება არც ამ საკითხზე იყო. კომუნისტები აკრიტიკებდნენ ე.წ. “ბურჟუაზიული სოციოლოგების" აზრს, რომლებიც ერების განვითარებას სახავდნენ, როგორც განუწყვეტელ განვითარებას და ეროვნული თავისებურებების უსაზღვრო დაგროვებას. მათი აზრით, ნაციონალური განსხვავებანი არ არის მარადიული. თუ, მაგალითად, ახლა მსოფლიოში ათასამდე სხვადასხვა დონის ხალხია (მათ შორის ორასი მსხვილია, ერთ მილიონზე მეტი, რაც წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის 90%-ს), სოციალური პირობების გათანაბრება მომავალში მიგვიყვანს ეროვნული განსხვავებების წაშლამდე, ხალხთა დაახლოებამდე, რაც ისტორიული საფეხურია ხალხთა განვითარებაში და რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს ეროვნული განსხვავებების მოსპობამდე, ეს კი მოგვამზადებს ერების შემდგომი შერწყმისთვისო...

“ერი, - ასკვნიდნენ კომუნისტები, - ისტორიული კატეგორიაა, იგი წარმოიქმნა კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე: ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და

ბურჟუაზიული წყობის ჩამოყალიბების დროს. იგი ასრულებდა და ასრულებს პროგრესულ როლს საზოგადოების განვითარებაში. ადამიანთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ერები ერთმანეთს შეერწყმიან და გახდებიან ერთიანი, მთლიანი. ამასთან შეცდომა იქნება, ერების შერწყმა განვიხილოთ როგორც იმის უარყოფა, რაც დაგროვილია მსოფლიოს ხალხების მიერ ისტორიული განვითარების ხანგრძლივი დროის მანძილზე. ერების შერწყმა ეს არის ხალხთა ცხოვრებიდან იმის მოშორება, რაც არის ვიწრო, შეზღუდული, მის ნაცვლად ყველა ხალხების საუკეთესო თვისებების დამკვიდრება. ერები შეიტანენ თავის ისტორიულ ღვაწლს ადამიანთა ახალი ერთობის შექმნაში."

რაც შეეხება საერთაშორისო ენას, ამის შესახებ ნათქვამი იყო, რომ საერთაშორისო ენა შეიძლება წარმოიქმნას, როგორც ხალხთა შერწყმის ერთიანი მსოფლიო პროცესის შემადგენელი ნაწილი და იგი ადამიანთა მსოფლიო ინტერნაციონალური ერთობის აღმოცენებისას ჩამოყალიბდება.

ასე წყდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი. უფრო სწორად, კი არ წყდებოდა, არამედ სამუდამოდ გადაწყვეტილად ითვლებოდა. მართალია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დამკვიდრება პოლიტიკაში უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მორალის სფეროში, მაგრამ ითვლებოდა, რომ ესეც მალე გადაწყდებოდა. აქედან გამომდინარე საბჭოთა კავშირში ყველანაირი ეროვნებათშორისი კონფლიქტი გამორიცხულად ითვლებოდა.

მაშ ასე, ერების აყვავება, გაფურჩქვნა, დაახლოება, ყველა ენის თანასწორუფლებიანობა, საერთო ენის ნებაყოფლობით არჩევა, ინტერნაციონალურის და პატრიოტულის ურთიერთშერწყმა - ყოველივე ეს ქაღალდზე სოლიდურად და კარგად გამოიყურებოდა ისევე, როგორც თვით საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, ფორმალურად, კავშირში შემავალ ნებისმიერ ერს და მოქალაქეს ყოველგვარი ცივილიზებული უფლება ჰქონდა.

ამას ემატებოდა გარკვეული ეკონომიკური წარმატებები, ცალკეული ჩამორჩენილი ხალხებისათვის ანბანისა და ლიტერატურის შექმნა, სამეცნიერო კადრების გაზრდა, საერთო წარმატებები მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში, სამხედრო ძლიერება... ამ ერთობის გამოცდა მოხდა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც ფაშიზმის დამარცხებით დამთავრდა.

აი, ის გარეგანი, ერთი შეხედვით, ეფექტური სურათი, რითაც საბჭოთა კავშირში კომუნისტები თავს იწონებდნენ. მაგრამ ეს მოჩვენებითი კეთილდღეობა იმას როდი ნიშნავდა, რომ ეროვნული პრობლემები კომუნისტურ საზოგადოებაში მართლა არ იყო. უბრალოდ, ეს დიდი უკურნებელი დაავადება, რომელიც ძალით შექმნილ იმპერიას ღრღნიდა, სხეულს შიგნით იყო შეგდებული. ეროვნული ურთიერთობის განხილვისას კომუნისტები ტრადიციულად შეგნებულად დუმდნენ იმაზე, თუ როგორ ხდებოდა მთელი რიგი ხალხების ჩაგვრა და დეპორტაცია, როგორ უხეშად ითელებოდა ცალკეული ადამიანების ეროვნული უფლებები, აღარაფერს ვამბობთ ცენტრის დიქტატზე, "უფროსი ძმის" სინდრომის დანერგვაზე, აშკარა რუსიფიკაციაზე, სხვადასხვა ხალხებში წინასწარ და განზრახ ჩადებულ ბომბებზე, საჭიროების შემთხვევაში რომ უნდა აფეთქებულიყვნენ.

ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე, დამსჯელი ორგანოების რიდი, საყოველთაო დაძაბულობა, იმის შიში, რომ ვინმესთვის ბრალი არ დაედოთ ნაციონალიზმში - დროებით კეთილდღეობას და სიმშვიდეს ქმნიდა, მაგრამ, ცხადია, ეს ვერ კურნავდა დაავადებას, რომელიც იმპერიას სჭირდა.

ის, რაც შემდეგ მოხდა (იგულისხმება საბჭოთა კავშირის დაშლა) და მისმა შემდეგდროინდელმა ამბებმა ნათლად გვიჩვენა, თუ სინამდვილეში როგორი ფეთქებადი, წინააღმდეგობებით სავსე და დაძაბული ყოფილა ეს ურთიერთობები. კონფლიქტები გარდაუვალი აღმოჩნდა, რადგან აფეთქდა ჩადებული ნაღმები...

სამწუხაროდ, ის, ვინც ადრე თითქოს ხალხების გაერთიანებას ცდილობდა, ახლა ერთმანეთზე წასისიანებით და დაპირისპირებით ცდილობს თავისი ბატონობის შენარჩუნებას. “დაყავი და იბატონეს" პრინციპი ისევ მოქმედებაშია. იმპერიის შენარჩუნებისა და მისი აღორძინების ძალები ისევ მოქმედებენ. ისინი მოხერხებულად იყენებენ ხალხთა შორის არსებულ შინაგან წინააღმდეგობებს, სწორედ მათი მცდელობის შედეგია ის მრავალი კოცონი, რომელიც ჯერ კიდევ გიზგიზებს პოსტსაბჭოურ ტერიტორიებზე.

ასეთ პირობებში როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი ორიენტირები? ამ არეულობის ჟამს როგორ გადავრჩეთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნაკლები დანაკარგებით გამოვიდეთ საყოველთაო ქაოსიდან. რა უპირველესი პრობლემები დგას ჩვენ წინაშე, ახლა რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ეროვნულ ურთიერთობებში?

ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ საქართველო იყო და დღესაც არის მრავალი ერის წარმომადგენლებისგან შემდგარი ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განმტკიცებულა, მყარად ვერ დამდგარა ფეხზე; ქვეყანა, რომლის მთლიანობასაც ჯერაც სერიოზული საფრთხე ემუქრება. ასეთ საფრთხეში ჩავარდნილებს ძალაუნებურად ზოგჯერ სინანული გვიჩნდება იმის გამო, რომ თითქმის ყველა იმ ხალხმა, ვინც გაჭირვების ჟამს შევიფარეთ, გვიღალატა. ვინც კი მოღონიერდა, გაძლიერდა და ირგვლივ მიმოიხედა, მისთვის დათმობილი ტერიტორიების ხელში ჩაგდება მოინდომა. აქ არ მოვიტან ამის მაგალითებს, ისინი ისედაც ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ისევე, როგორც მრავალი წლის წინათ, ეს პრობლემა ისევ დგას საქართველოში. როგორ მოვექცეთ არაქართველი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც არცთუ კეთილი ზრახვები აქვს საქართველოს მიმართ? მათ, ვინც ქვეყნის ტერიტორიის დანაწევრებით ცდილობს თავისი ამბიციების დაკმაყოფილებას, თავისი დიდი სახელმწიფოს შექმნას? ვის ზღვაზე გასასვლელი უნდა, რომ ჰქონდეს, ვის თავისივე ხალხთან გაერთიანება სურს, ვინ ამჯობინებს ოკეანეს შეუერთდეს, ვიდრე ტბას და შენი მოსახლეობა სულ არ ადარდებს.

მაგრამ, ალბათ ყველაფერს, ყოველგვარ მოთმინებას, დათმობას, სტუმართმოყვარეობას, უცხოსადმი პატივისცემას, აქვს თავისი საზღვარი და გარკვეული ჩარჩოები, რომლის იქით იწყება სამშობლოს ღალატი. ასე მაგალითად, არ შეიძლება რომელიმე ხალხის წარმომადგენლები შენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სარგებლობდნენ მისი სიკეთით და სულ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ ჩაიგდონ ხელში შენი ტერიტორიის ესა თუ ის ნაწილი და თავის ისტორიულ სამშობლოს შეუერთონ.

ამ მიზნით მხარს უჭერდნენ ყოველგვარ სეპარატისტულ მოძრაობას, რომელიც შენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული.

აბა, ვიკითხოთ, რომელი ქვეყანა, რომელი სახელმწიფო, რომელი ხალხი ან პიროვნება გაპატიებს იმას, რომ იცხოვრო მის ტერიტორიაზე, ისარგებლო ყოველივე სიკეთით, რითაც მისი ხალხი სარგებლობს და ყოველ წუთს იმაზე იფიქრო, რა გამოგლიჯო ხელიდან, როგორ გაძლიერდე და გაფართოვდე მის ხარჯზე; ვინ გაპატიებს, რომ მეხუთე კოლონამ ქვეყანაში საკუთარი ბატალიონები შექმნას, დახოცოს ხალხი, მისი დიასპორის ნაწილი კი თავგამოდებით შენს მტრებთან აბამდეს კავშირს, ფინანსურად ეხმარებოდეს მათ, ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდეს, თვითონ კი ძირითად მისახლეობაზე უკეთ გრძნობდეს თავს?

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჩვენში რეალური ვითარებაა...

რა კონკრეტული პრობლემები დგას ამჟამად ეროვნულ ურთიერთობებში, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება? ეს პრობლემები ძალიან ხშირად უკავშირდება ჩვენს ავბედობას - შინაგან განხეთქილებას, საშიშ მეზობლებს და საკმაოდ ცუდ დემოგრაფიულ სიტუაციას, რომელიც ზოგჯერ ჩვენ მიმართ არცთუ ისე კეთილმოსურნედ განწყობილ ამა თუ იმ ხალხს უჩენს იმედს, რომ იოლად წაართმევენ საქართველოს და სხვა ქვეყანას გადასცემენ ძირძველ ქართულ მიწებს. რასაკვირველია, საჭიროა ამ მეტად სახიფათო და მავნე ტენდენციის დაძლევა, ამისთვის კი აუცილებელია საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური კავშირების განმტკიცება, საქართველოს მოქალაქეთათვის (მიუხედავად ეროვნებისა) უფრო მეტი პასუხისმგებლობის დაკისრება.

თუ მაინც დავაკონკრეტებთ საქართველოს წინაშე მდგარ ამოცანებს, უნდა დავასახელოთ: აფხაზეთის საკითხი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემა, სამხრეთ საქართველოს პრობლემა, ამას ემატება ე.წ. “თურქი მესხების" საკითხი, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. გარდა ამისა, ახლა იქნებ მთლად ნათლად არ ჩანდეს, მაგრამ უფრო გვიან შესაძლებელია, თავი იჩინოს რელიგიურმა ფაქტორმა. მხედველობაში მაქვს ისლამური ფაქტორი, რომელიც დროდადრო იჩენს ხოლმე თავს და გარესამყაროში მიმდინარე ამბებთან არის დაკავშირებული. ამავე პლანში ყურადღებას იმსახურებს ჩვენი ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან.

საგარეო ურთიერთობებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად მჭიდრო კონტაქტების გარდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ურთიერთობებს უშუალო მეზობლებთან: რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. წარმატებები ამ სფეროში დამოკიდებული იქნება ჩვენს ძლიერებაზე, ერთ მუშტად შეკვრის უნარზე, სამხედრო და ეკონომიკურ წარმატებებზე და, განსაკუთრებით, ეროვნული ურთიერთობების მოგვარებაზე. ბევრი იქნება დამოკიდებული იმ სიფრთხილეზე და მოქნილობაზე, რომელსაც გამოიჩენენ ჩვენი პოლიტიკოსები. ქვეყნის შიგნით ეროვნულ ურთიერთობებში იდეალი წარმატებული პოლიტიკისათვის უნდა იყოს ყველა ხალხის უფლებების დაცვა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას და არ დაირღვეს საქართველოს ერთიანობა.

ამასთან, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი გატაცებულია საერთაშორისო სტანდარტებით და უყოყმანოდ იღებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელსაც საერთაშორისო გამოცდილება გვკარნახობს. მათ უნდა შევახსენოთ, რომ ის ნორმები, რომლებსაც ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გვთავაზობს საერთაშორისო სამართალი, მაქსიმალურად იდეალურ პირობებზეა გათვლილი და არა ისეთზე, როგორიც ჩვენშია: როდესაც სახელმწიფო ჯერ კიდევ გაუმაგრებელია, მის არსებობას და მთლიანობას საფრთხე ემუქრება, როდესაც დაცული არ არის უმრავლესობის ინტერესები და ძირითადი უფლებები. ასეთ პირობებში ყურადღების ზედმეტი გამახვილება ეროვნული უმცირესობების უფლებებზე გამოიწვევს ცენტრიდანული ძალების კიდევ უფრო მეტ გააქტიურებას. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებს, მათ უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოში მათ არა მარტო უფლებები აქვთ, არამედ სერიოზული მოვალეობებიც, რაზეც თავის არიდებას სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს.

ჟურნალი “ცისკარი” 1996 წ. # 7 - 8.

VI. ეროვნული და რელიგიური

რელიგიურისა და ეროვნულის კავშირსა და ურთერთმიმართებას მიეძღვნა კამათი, რომელიც გაიმართა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გრივერ ფარულავასა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ, პრფესორ თეიმურაზ ფანჯიკიძეს შორის. ეს მასალები ქვეყნდება ჟურნალ “ცისკრის” 1995 წლის N 7 – 8 ნომრებში. გთავაზობთ თეიმურაზ ფანჯიკიძის მოსაზრებებს ამ საკითხზე ოდნავი შემოკლებით.

დღეს, როდესაც საქართველოში რაიმე გაბატონებული იდეოლოგია აღარ არსებობს, როდესაც ჩვენი ქვეყანა იბრძვის რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, როდესაც ქვეყნის წინაშე დგას მრავალი საჭირბოროტო და გადაუწყვეტელი საკითხი, როდესაც ესოდენ ძლიერია ცენტრიდანული ძალები, ჩვენ გაცხოველებით ვეძებთ რაიმე გამაერთიანებელ იდეას, რომელიც მოგვეხმარება როგორც ჩვენი ერის სულიერ, ისე ფიზიკურ გამთლიანებაში, დაქსაქსულობის დაძლევაში, ტკივილების დაყუჩებასა და მოშუშებაში, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და განმტკიცებაში. ამ მიზნით, ჩვენს მზერას სულ უფრო ხშირად ვაპყრობთ ქრისტიანობას, რელიგიურ ფაქტორს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საუკუნეების მანძილზე იყო მძლავრი იდეოლოგია, ზოგჯერ ერთადერთი სულიერი იარაღი, მომხდური მტრის წინაამდეგ, ჩვენი შეკავშირებისა და გადარჩენის საშუალება.

დიდ ყურადღებას ვამახვილებთ რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთობაზე, მათ ურთიერთმიმართებაზე. ვცდილობთ, განვსაზღვროთ რელიგიური ფაქტორის როლი ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, გავარკვიოთ მისი როლი თანამედროვე, ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ ამ საკითხების ნათელის მოფენას ემსახურება დიალოგი ბატონ გრივერ ფარულავასთან.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომაა დიალოგის ერთ-ერთ მონაწილედ არჩეული ფილოლოგი, ხომ არ აჯობებდა, ეს მსჯელობა უშუალოდ ფილოსოფოსებს ან ისტორიკოსებს შორის გამართულიყო, ან იმათ შორის, ვინც უშუალოდ მუშაობს ეროვნულ საკითხზე? უპირველეს ყოვლისა, ჩემი ყურადღება ბატონმა გრივერ ფარულავამ მიიპყრო რელიგიის სასარგებლოდ გამოთქმული მოსაზრებების კატეგორიულობითა და შეუვალობით. რელიგიური ფაქტორისადმი მისი ასეთი ამაღლებული დამოკიდებულება ჟურნალ "ცისკარში" დაბეჭდილ წერილშიც გამომჟღავნდა. გარდა ამისა, ის ხაზი და მიმართება, რომელიც არსებობდა საქართველოში რელიგიურსა და ეროვნულ შორის, საკმაოდ კარგად ჩანს ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, თვით სასულიერო პირები წერდნენ. ამიტომ მათი გარჩევისა და ანალიზის გარეშე გაჭირდება ამ საკითხებისადმი სწორი პოზიციის გამომუშავება. არ დავმალავ, მე ყოველთვის ვეძებდი დამაჯერებელ არგუმენტებს რელიგიის დადებითი როლის სასარგებლოდ საქართველოში ეროვნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი გრივერის წერილში მოტანილი ბევრი მოსაზრება და საბუთი საყურადღებო და მისაღებია ჩემთვის. მაგრამ, მაინც დარჩა ზოგი ისეთი რამ, რამაც საბოლოოდ ვერ გაფანტა ჩემი ეჭვები რელიგიის, როგორც ერის ერთადერთი გამაერთიანებლისა და გამამთლიანებლის შესახებ. სანამ ყოველივე ამის შესახებ ვიტყოდე რაიმეს, მანამდე უნდა ვთქვა, თუ რას ვგულისხმობ რელიგიურისა და ეროვნულის ცნებებში.

რელიგიურში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ ის საყოველთაო, წმინდა და ძვირფასი იდეალი, რისკენაც უნდა ილტვოდეს ყოველი მორწმუნე ადამიანი, საითკენაც უნდა ესწრაფოდეს საზოგადოება და თვით სახელმწიფოც. ეს სწრაფვა, ცხადია, რელიგიური წესით ცხოვრებისაკენ, მაღალი ზნეობისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ღმერთის რწმენაზე და მისდამი შიშზე არის დამყარებული, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაგვარჩინოს, იხსნას ჩვენი სულები ცოდვისგან და უზრუნველყოს ადამიანთა იმქვეყნიური მომავალი.

რელიგიურისადმი ორგვარი მიდგომა არსებობს: მორწმუნე ადამიანისათვის, როგორც უკვე ვთქვით, ეს წმიდათაწმიდა იდეალია; ხოლო არამორწმუნისათვის ის რეალობაა, რომელსაც ადამიანთა უმეტესი ნაწილი ყოველ წუთს აწყდება და რასაც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს.

რაც შეეხება ეროვნულს, მასში ჩვენ, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც არსებითია, სპეციფიკურია ამა თუ იმ ერისათვის; ის, რაც ქმნის განუმეორებლობას, რაც ასახავს მის ძირეულ ინტერესებს, პასუხობს მის მიზნებსა და მისწრაფებებს, გვეხმარება ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. ეროვნულში, ცხადია, იგულისხმება ენაც, ეროვნული კულტურაც, ეროვნული ღირებულებებიც, ეროვნული ტრადიციებიც. ამ ჩამონათვალში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი რელიგიას უკავია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია როგორც კულტურასთან, ისე ეროვნულ ღირებულებებთან და ტრადიციებთან, რომელზედაც უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს.

როგორი უნდა იყოს მათ შორის ურთიერთმიმართება? – რასაკვირველია, პირდაპირი და ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული. იდეალურ შემთხვევაში,

რელიგიური ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული მიზნებისა და ამოცანების გათავისებას და გადაწყვეტას; თუ რელიგიური ეროვნულიდან გამოდის, თან მის ინტერესებსაც მოიცავს, ცხადია, იგი ამ ქვეყნის ძირეულ ინტერესებსაც გულისხმობს. ვიმეორებ, ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ცნება რეალობაში იდეალურ თანხმობაშია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ასეთ პირობებში შედეგიც ყოველთვის სახეზეა. სხვა შემთხვევაში ისტორიამ იცის სხვა, საწინააღმდეგო მაგალითებიც.

მე, რასაკვირველია, გამიჭირდება დავეთანხმო ბატონ გრივერის აზრს იმის შესახებ, რომ "საეჭვოა წმინდა წყლის ეროვნული რელიგიის არსებობაო", თუმცა სულ ცოტა ადრე იგი, ამ მხრივ, იუდაიზმის უნიკალურობას უსვამდა ხაზს. ჩვენის მხრივ, ამას შეგვიძლია ინდუიზმი და ზოგიერთი სხვა რელიგია დავუმატოთ. გარდა ამისა, ეროვნულ რელიგიებად უნდა ჩაითვალოს მრავალრიცხოვანი პოლითეისტური რელიგიები, რომლებიც უმეტესად ადგილობრივ, ეროვნულ ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებულნი. მკვლევარები სამართლიანად შენიშნავენ, რომ ისინი "ვიწრო ნაციონალურ ქარგაზე" იყვნენ გამოჭრილნი. ამიტომაც, ეს რელიგიები ძირითადად ასახავდნენ თავისი ქვეყნის განვითარების დონეს, ტრადიციებს, ადათებს, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ მისწრაფებებს.

იუდაიზმი იმ ფორმით, რომლითაც იგი არსებობს, ასევე "ვიწრო ნაციონალურ ქარგაზე" იყო გამოჭრილი, მათი ღმერთი მხოლოდ ებრაელებს მფარველობდა და მის მტრებს სულაც არა სწყალობდა; რაც შეეხება მესიას, მათ იგი იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ეხსნათ ებრაელობა სხვა ხალხების ჩაგვრისაგან. იუდეველთა წარმოდგენით, ეს უნდა ყოფილიყო ძლევამოსილი მესია, რომელსაც უნდა გაენადგურებინა ებრაელთა მტრები. მათ სწორედ ასეთი მესია უნდოდათ და არა ისეთი, ვისთვისაც სულერთი იქნებოდა "ებრაელი თუ ელინი". მესია, რომელიც დაეხმარებოდა მათ ეროვნული მეობის შენარჩუნებაში და გადაარჩენდა ებრაელებს იმ უკიდეგანო ოკეანეში გაქრობისაგან, რომელსაც რომის იმპერია ერქვა. სწორედ ამიტომ არ მიიღეს მათ იესო ქრისტე, არ აღიარეს იგი მესიად და ჯვარზეც აცვეს, რადგან ამჯობინეს ერთი კაცი მოეკლათ, ვიდრე მთელი ერი დაღუპულიყო და ამ ძირითადი ხაზისგან მათ არც შემდგომ გადაუხვევიათ.

ამ ფაქტში კარგად ჩანს რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართება. იუდეველები, მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე, ცდილობდნენ რელიგია ერის ხსნისთვის გამოეყენებინათ, რაც, თავის მხრივ, საკუთარი რელიგიის სიწმინდის დაცვასაც გულისხმობდა.

რაც შეეხება მსოფლიო რელიგიებს – ბუდიზმს, ქრისტიანობას, ისლამს – მიუხედავად მათი გარკვეული გლობალური პრეტენზიებისა, უნივერსალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უამრავ ქვეყანაში და ხალხში არიან გავრცელებულნი, მათ მაინც ახასიათებთ გარკვეული ეთნიკური ნიშნები, იმ ადგილისა და იმ ხალხების ნიშნები, სადაც ისინი წარმოიშვნენ და ჩამოყალიბდნენ. ამის მაგალითად, თუნდაც, ისლამი გამოდგება. როგორც ცნობილია, მუჰამედმა ბევრი

რამ ისესხა იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. იგი, მართალია, არ უარყოფდა ამ რელიგიათა წმინდა წიგნებს, მათ ხშირად ახსენებდა და იყენებდა კიდეც, აღიარებდა მოსეს და ქრისტეს რეალურ არსებობასაც, მაგრამ თანდათან მივიდა იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო შეექმნა საკუთარი რელიგია, საკუთარი ღირებულებანი, გამომდინარე თავისი ხალხის ბუნებიდან და არა სხვის მიერ შექმნილი და მოტანილი ახალი რწმენა, რომელიც სხვა რელიგიებზე უფრო ჭეშმარიტი იქნებოდა: "ალაჰმა თავისი მოციქული (მუჰამედი – თ. ფ.), - ნათქვამია ყურანში, - მოავლინა წარმართებით და ჭეშმარიტების სარწმუნოებით განმტკიცებული, რათა ყოველი სარწმუნოების უმაღლეს დაეყენებინა" (48;28).

ამ მიზნით მოხდა ე.წ. "ყიბლის" დადგენა. თუკი თავდაპირველად მუჰამედის მიმდევრები ლოცვისას სახეს იერუსალიმისაკენ აპყრობდნენ, ახლა მექისაკენ უნდა ექნათ პირი. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არაბებისათვის. რაც შეეხება არაბების ძველ ტომობრივ კერპებს, ისინი მუჰამედმა ან სულ გაანადგურა, ან შინაარსი შეუცვალა, სრულყო და თავისი რჯულთმოძღვრების ნაწილად აქცია. ამით, მკვლევართა აზრით, იგი ეროვნული რელიგიური ტრადიციების მემკვიდრე გახადა.

ძნელია არ დაეთანხმო ასეთ მტკიცებას, ისლამი არაბისათვის, მართლაც, ეროვნული რელიგიაა, რადგან იგი გულისხმობს მისი ცხოვრების წესსაც, ტრადიციებსაც, წეს-ჩვეულებებსაც და, თავისი კლიმატიდან გამომდინარე ნიუანსებსაც კი. მაგრამ რამდენად ეროვნულია იგი სხვა ხალხებისათვის, მათ შორის ქართველი მუსლიმებისათვის, რამდენად ითვალისწინებს იგი მის რეალურ ეროვნულ ინტერესებს ან რამდენად მისაღებია ის ფაქტი, რომ ქართველი მუსლიმი ლოცვისას მექისაკენ უნდა იყურებოდეს, მხოლოდ იქ ეძებდეს სიწმინდეს და ნუგეშს, როგორ მოქმედებს ეს ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე?...

ყოველივე ეს ბუნებრივად ბადებს კითხვას: "საერთოდ კი შეიძლება სხვა ნიადაგზე და ტრადიციებზე წარმოქმნილი რელიგია ასახავდეს სხვა ერის ინტერესებს?" ამ კითხვაზე, ალბათ, ერთგვაროვანი პასუხის გაცემა არ ივარგებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად დაემთხვევა ესა თუ ის რელიგია ერის ინტერესებს, მის მიზნებსა და მისწრაფებებს, რამდენად გაითავისებს ერი ამ რელიგიას, რა მიმართულებით წაიყვანს მას და ცხოვრების როგორ წესს შესთავაზებს, რა როლს შეასრულებს მის განვითარებაში, განმტკიცებაში, როგორ კულტურასთან დააკავშირებს, შეუნარჩუნებს თუ არა მას თვითმყოფობასა და თვითშეგნებას.

ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოუდგენელია ჩვენი ისტორიის გადახედვის გარეშე. ეს კი, თავისთავად, უკავშირდება საკითხს, თუ რა როლი შეასრულა რელიგიურმა ფაქტორმა ქართული ეროვნული საქმის მოწესრიგებაში? ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, არ უნდა გაჭირდეს. როგორც ზემოთაც ვწერდი, ყველასთვის ცნობილია მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის დადებითი დამოკიდებულება და გამონათქვამები ქრისტიანობის შესახებ, რომ ქრისტიანობამ ჩვენ გაგვაერთიანა, მან შეგვინარჩუნა ჩვენი მიწა, თვითმყოფობა, ტრადიციები, ენა, ყოველივე ის, რასაც ქართველობა ჰქვია. ის იყო საუკუნეთა მანძილზე მძლავრი სულიერი იარაღი, რომელიც მოგვიწოდებდა არ

გავთათრებულიყავით, შეგვენარჩუნებინა ეროვნული მეობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდებში ხშირად ქართველობა და ქრისტიანობა იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა.

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მაგალითები ქრისტიანობის ზეობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავის შეწირვისა. გვახსოვს დავით აღმაშენებლის სიტყვები დიდგორის ომის წინ ქრისტიანობის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა, რაც ქრისტიანობის სასარგებლოდ მეტყველებს, მოქმედებდა მანამ, სანამ სხვა რელიგიის მატარებელ ხალხებს ვებრძოდით ან მათგან ვიცავდით თავს. მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვნახეთ, თუ როგორ დაბლაგვდა ეს მრავალნაცადი სულიერი იარაღი მაშინ, როცა ჩვენ დავდექით საფრთხის წინ ჩვენივე სარწმუნოების ხალხისაგან, როდესაც ჩვენ აშკარად და გასაგებად გვითხრეს: თუ თქვენ მარტო ქრისტიანობისათვის იბრძოდით, თუ ეს არის თქვენი საბოლოო მიზანი, აი, ჩვენ გვაქვს ზუსტად ისეთი სარწმუნოება, რომელიც თქვენშია გავრცელებული და საბრძოლველიც აღარაფერი გაქვთო. ჩვენ მოწმე შევიქმენით იმისა, თუ ერთმორწმუნეობის საბაბით როგორ გაგვიუქმეს ეკლესიის დამოუკიდებლობა, როგორ წაგვართვეს დიდი საეკლესიო ქონება, როგორ იქცა საუკუნეთა მანძილზე გამოცდილი ჩვენი სულიერი იარაღი ჩვენივე დამორჩილების, დაბრიყვებისა და გადაგვარების საშუალებად. ყოველივე ამან, რასაკვირველია, დაგვაეჭვა ჩვენი ორიენტაციის სისწორეში, რომელიც დამყარებული იყო "მართლმადიდებლურ გულუბრყვილობაზე". ამ საკითხზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ერთმორწმუნეობის ფაქტორს გარკვეული ძალები მნიშვნელოვან არგუმენტად დღესაც მიიჩნევენ და იყენებენ. იყო კი როდესმე რელიგია საქართველოში სუფთა ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი? რამდენად ეროვნული იყო, ვთქვათ, ქართველთა წარმართული სარწმუნოება? ამ კითხვაზე პასუხი მიჭირს, რადგან ჩვენი წინაქრისტიანული სარწმუნოება არც თუ ისე კარგად ვიცით. ტყუილად როდი ფრთხილობდა აკად. ი. ჯავახიშვილი, როცა წერდა, რომ "... დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვცნათ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს". მაგრამ ის, რაც ვიცით - ფეტიშები, ტოტემური, ანიმისტური თუ ჯადოქრული ქმედებები, წინაპართა კულტი თუ ცალკეული ღვთაებები – უმეტესად ადგილობრივ ნიადაგზე, ყოფაზე და ტრადიციებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ისინი საკმაოდ პოპულარულნი იყვნენ ხალხში. ამიტომაც იყო, რომ ქრისტიანობას გაუჭირდა გავრცელება საქართველოში, განსაკუთრებით კი მთაში, ხოლო ხალხში გავრცელებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებების ნაწილი, ის, რასაც ქრისტიანობა ვერ მოერია და თავიდან ვერ მოიშორა, იძულებული იყო შეეთვისებინა და გაეთავისებინა.

რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ თვით ქრისტიანობაზე. არის თუ არა ქრისტიანობა ჩვენთვის ეროვნული რელიგია, ან რა ხდის ქრისტიანობას ქართულ ეროვნულ რელიგიად? ამ კითხვაზე პასუხი თითქოსდა არ უნდა გაჭირდეს, აკი ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას "ქართული მართლმადიდებელი ეკლესია", მაგრამ განა ამ ეკლესიის მოძღვრება რითიმე სერიოზულად განსხვავდება, ვთქვათ, ბერძნული, რუსული ან სხვა მართლმადიდებლობისაგან? განა ყველა მათ ერთნაირი საფუძველი, დოგმები ან ტიპიკონი არა აქვთ?

თავის დროზე რომის პაპი პიუს XII კათოლიკური მოძღვრების შესახებ წერდა: “კათოლიკური ეკლესია თავისი არსებით წარმოადგენს ზენაციონალურს, ეკლესია არის დედა, ჭეშმარიტი დედა, დედა ყველა ერის და ყველა ხალხების არანაკლებად, ვიდრე ცალკეული ადამიანების, და სწორედ ამიტომ წარმოადგენს ყველას დედას. იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ხალხს, ან რომელიმე ხალხს უფრო მეტად, ვიდრე მეორეს, არამედ ყველას ერთნაირად. იგი არის დედა და აქედან იგი არავისთვის არ არის უცხო და არ შეიძლება ასეთი იყოს, რადგან იგი ცხოვრობს, ან ყოველ შემთხვევაში, თავისი ბუნებით უნდა იცხოვროს ყველა ხალხებში... ამდენად ეკლესია წარმოადგენს ზენაციონალურს, რადგან იგი წარმოადგენს ყველასთვის უხილავ, ყოვლისმომცველ ერთობას”. ამ მხრივ, ყველა ერის და ყველა ხალხების დედობის, საკუთარი მოძღვრების ჭეშმარიტების პრეტენზიები მართლმადიდებელ ეკლესიასაც არანაკლები აქვს. მაშ, რაში მდგომარეობს მისი ეროვნული ხასიათი? მისი ეროვნული სული?

ჩვენი აზრით, მისი ეროვნულობა იმაში გამოიხატა, რომ იგი გახდა მემკვიდრე საქართველოში გავრცელებული ძველი თუ ახალი რწმენებისა, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისა. თუ ზოგადად ვიტყვით, მაშინ, როდესაც ქრისტიანობა სხვადასხვა ქვეყნებში ვრცელდებოდა, მას ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია და მანამდე არსებული რელიგიური რწმენების დაძლევა უხდებოდა. ის, რის დაძლევასაც იგი ახერხებდა, იმას თავიდან იცილებდა, რის თავიდან აცილებასაც ვერ ახერხებდა, მას უკვე სათანადოდ გადამუშავებულს თავის არსენალში ღებულობდა. სწორედ ეს აძლევდა ეროვნულ ელფერს მართლმადიდებლობას საქართველოში, განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა მთაში. ყოველივე ეს, ზოგჯერ, იმდენად უცნაურ ნაზავს ქმნიდა, რომ ორთოდოქსი ღვთისმეტყველები უარს ამბობდნენ ასეთი ნაზავის მართლმადიდებლობად აღიარებაზე. ამ მხრივ, თუნდაც ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილების გახსენებაც კმარა (იხ. “ხევსურები”; ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე; ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. 9, 1964 წ.).

გარდა ამისა, ქრისტიანობის ეროვნულობა ჩვენში იმაშიც გამოიხატა, რომ ქართველმა კაცმა გაითავისა ეს რელიგია, შეითვისა, შეისისხლხორცა და მისი მოძღვრებით იცხოვრა მრავალი საუკუნე, მის საფუძველზე შექმნა თავისი კულტურა, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, თავის სამართალსაც რელიგიური ზნეობა დაუდო საფუძვლად.

თუმცა, მე თუ მკითხავთ, ქართველის ლაღი და თავისუფალი ბუნება ნაკლებად შეესატყვისება მკაცრ და ასკეტურ ქრისტიანულ მოძღვრებას, მაგრამ ქართველებმა ისტორიულად სწორედ ეს რელიგია აირჩიეს და მას უერთგულეს.

რა როლს შეასრულებს რელიგიური ფაქტორი ჩვენი ეროვნული პრობლემების გადაჭრაში? ამ კითხვაზე ასევე ძალზე ძნელია პასუხის გაცემა, რადგან ჩვენს დროში ქართველები მხოლოდ ერთ რელიგიას როდი მისდევენ. ახლა ქართველები მართლმადიდებლებიც არიან, კათოლიკებიც, ბაპტისტებიც, ორმოცდაათიანელებიც, ძველმართლმადიდებლებიც, ევანგელისტებიც, იეღოველებიც, კრიშნაიტებიც, მუსლიმებიც და ა.შ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აფერხებს ქართველთა ერთობას, ისევე როგორც ესოდენ ფართოდ გავრცელებული პარტიები უშლიან ხელს ერთმანეთს ქართველთა იდეურ გაერთიანებაში. თანაც, არ არის გამორიცხული, რომ

ამ რელიგიურ სექტებს, რომელთაც ცენტრები სხვა ქვეყნებში აქვთ, გამოიყენებენ ჩვენს პატარა ქვეყანაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად. მით უმეტეს რომ, როგორც მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რელიგიური ყოველთვის წინ უნდა იდგეს ეროვნულზე, ზოგი მათგანი კი, საერთოდ იგნორირებას უკეთებს ეროვნულ ფაქტორს. ზოგის აზრით, “ნაცია - ერი წარმოადგენს ადამიანთა მოქმედების შედეგს, რომელსაც ღმერთი უშვებს და არ კრძალავს, იგი განკუთვნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის, რომელიც გარკვეულ დროს არსებობს... ქრისტიანობას ეკუთვნის პირველობა და უმაღლესობა, რამდენადაც ღმერთის ქმედება სჭარბობს ადამიანის ქმედებას, იმდენად ქრისტიანობა აჭარბებს ეროვნულს”.

აქ აქცენტები იმდენად ნათლად არის დასმული, რომ დამატებით განმარტებას აღარ თხოულობს.

პირადად ჩემთვის კი რელიგია იმდენად არის ძვირფასი, რამდენადაც იგი ერის სულს, მის მისწრაფებებს გამოხატავს, იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს ეროვნულის დანერგვას და განმტკიცებას და თუკი იგი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, ჩემთვის მისი მნიშვნელობა საგრძნობლად კნინდება.

ჩვენ დაგვხვდა ისეთი საქართველო და იმ ზომის საქართველო, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაიცვეს და დაგვიტოვეს; ხოლო ის, რასაც ჩვენ დავიცავთ და დავტოვებთ, ჩვენს შთამომავლობას დარჩება.

შესაბამისად, მიზანი ჩვენს ისტორიაში იმ ქართველი მებრძოლებისა, იმ 300 არაგველისა თუ 9 ძმა ხერხეულიძისა, იმ გმირობისა და თავდადებისა, რომელსაც ისინი ბრძოლაში იჩენდნენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი სამშობლოს და მამულის დაცვა იყო, რათა ყოფილიყო ცოცხალი ქართული სიტყვა, ქართული მეობა, ქართული სახელმწიფო, რათა არ დაგვეკარგა სამშობლო და სხვაგან არ ვყოფილიყავით თავშეფარებულნი, რადგან არავინ არ არის ამქვეყნად იმაზე უბედური და საცოდავი, ვისაც სამშობლო არ გააჩნია. ამ საქმეში კი რელიგიამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. ხმა ღვთისა და ხმა ერისა უნდა გაერთიანდეს ამ სანუკვარი მიზნის განსახორციელებლად.

გაზეთი “კავკასიონი” N14 (308) 27 იანვარი, 1996 წ.

ჟურნალი “ცისკარი” N 7-8, 1995წ.

VII. ქვეყნისა და ეკლესიის ერთიანობისათვის

სიტყვა წარმოთქმული ბორჯომში მღვდელმსახურთა, მეცნიერთა და კანონმდებელთა ერთობლივ კონფერენციაზე "სახელმწიფო და მართლმადიდებლობა", რომელიც გაიმართა 1997 წლის 5 აგვისტოს ბორჯომ-

ახალქალაქის ეპარქიის, სამხარეო ადმინისტრაციისა და ბორჯომის გამგეობის ინიციატივით.

როდესაც ქვეყანა ისეთი საფრთხის წინაშე დგება, როგორიცაა საეკლესიო განხეთქილება, ჩვენ ვალდებულნი ვართ ბოლომდე გავარკვიოთ და გავიაზროთ, თუ საიდან იღებს იგი სათავეს, ვისგან მომდინარეობს, ვინ დგას მის უკან, რომელი ქვეყნისთვისაა სასარგებლო ასეთი ქმედება და , საერთოდ, რა ძალები მოქმედებენ ამ შემთხვევაში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს მონასტრებში გაბნეულმა რამდენიმე ბერმა მოახერხოს ასეთი მოძრაობის დაწყება: დაიპყროს პრესა, შეაღწიოს ტელევიზიაში, გაავრცელოს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წერილები და მიმართვები, შეიძინოს მრავალრიცხოვანი მომხრე. ყოველივე ამის გაკეთებას, სხვა ამბებთან ერთად, საკმაო სახსრებიც სჭირდება. ბუნებრივად იბადება კითხვა, საიდან ეს ყველაფერი?

ახლა ჩვენში სრულიადაც აღარ მალავენ იმას, რომ ამ მოძრაობის უკან უცხო ინტერესი დგას. ასეთი შეხედულების სისწორე თვით ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმაც აღიარა. ზოგის თქმით, ამბოხებული ბერების უკან რუსული ემიგრანტული ეკლესია დგას, სწორედ ის ეკლესია, რომელიც დღემდე არ ცნობს ჩვენს ავტოკეფალიას და რომლის წარმომადგენლები სრულიად დაუფარავად აფხაზეთშიც გამოჩნდნენ: “სანამ თქვენი იურისდიქცია აღდგებოდეს, სხვა რელიგიურმა მიმდინარეობებმა რომ არ გვაჯობონ, მანამ აქ ჩვენ ვიქნებითო."(?!)

ზოგის აზრით ეს მოძრაობა უკვე 10-15 წელიწადია, მზადდება, მაგრამ კულმინაციას ახლა მიაღწია, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე ესოდენ სერიოზული პრობლემებია წამოჭრილი.

მომენტი ისე იქნა შერჩეული, ისეთი ხმაური ატყდა, რომ თითქოს ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ერთადერთი უმთავრესი პრობლემა და არა ის, რომ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ის, რომ სამასი ათასი ლტოლვილი უმძიმეს და უნუგეშო დღეშია უკვე ოთხი წელიწადია; ის, რომ მიმდინარეობს დიდი ბრძოლა, თუ სად გაივლის ნავთობსადენი, ხოლო მთლიანად ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს წინაშე უამრავი სიძნელე დგას.

ამ მომენტში ასეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, ჩემი აზრით, არის ცდა, დაგვაშორონ ჩვენს სასიცოცხლო მიზნებს და იმათ, ვინც ჩვენ რეალურად გვეხმარება სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს, ძნელი მისახვედრი არ არის. უკვე გვაქვს ამის მაგალითი უკრაინაში, სადაც ერთიანი ეკლესია რამდენიმე ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ეკლესიად დაიქსაქსა. ეს ფაქტი თუ მეტ-ნაკლებად ასატანია ისეთი დიდი სახელმწიფოსათვის, როგორიც უკრაინაა, სრულიად დაუშვებელი და დამღუპველია ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, რადგან იმის საფრთხე, რომ ეკლესია მოექცევა რომელიმე უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ, იმაზე არანაკლებ საშიშია, რომ მტერმა შენი რომელიმე ძალოვანი სტრუქტურა ჩაიგდოს ხელში.

მაინც რა არის ეს ყბადაღებული ეკუმენიზმი, რომლის წინააღმდეგაც ასეთი შეურიგებელი ბრძოლა გამოაცხადეს ამბოხებულმა ბერებმა? ესაა სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიების გასაერთიანებლად დაწყებული მოძრაობა, რომელსაც XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მისი მიზანი იყო, დაეძლიათ ის დოგმატიკური და კანონიკური განსხვავებანი, რომლებიც არსებობს ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებებს შორის და შეესაბამებინათ ეს მოძღვრება თანამედროვეობის პრობლემებთან. ეს მოძრაობა მაშინ დაიწყო, როდესაც მსოფლიოში იმძლავრა მატერიალიზმმა და ათეიზმმა და ქრისტიანობის არსებობას რეალური საფრთხე დაემუქრა. ერთ-ერთ მის დებულებაში ნათლად იყო ეს პოზიცია გამოხატული: " ჩვენ ვერთიანდებით ქრისტიანობის იდეის დასაცავად იერიშზე გადმოსული მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში." მართალია, ახლა ეს საფრთხე აღარ არსებობს, მაგრამ ცდა, რომ გაერთიანდეს ეკლესია - ქრისტეს დაშლილი სხეული ამ ქვეყანაზე, რატომ უნდა გამოცხადდეს მკრეხელობად, მით უმეტეს, რომ ამ ცდაში შენი პოზიციიდან არაფერს თმობ?

რაც შეეხება მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს, რომელშიც ქართული ეკლესია 1962 წლიდან არის გაერთიანებული, რატომ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ორგანიზაცია საშინელებად? ხომ კარგად გვახსოვს, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი ეკლესია იმ დროს. ეს იყო “უფროსი ძმის", ერთმორწმუნე რუსეთისაგან დაწიხლული, შემდეგ კი კომუნისტური იდეოლოგიისაგან სრულ განადგურებამდე მისული ორგანიზაცია, რომელიც რუსულ ეკლესიას სრულ ბლოკადაში ჰყავდა და მისი ნებართვის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. ასეთ პირობებში მსოფლიო ეკლესიათა საბჭო ქართული ეკლესიისათვის ერთგვარი სარკმელი იყო, რომლითაც იგი ევროპაში იყურებოდა. მართალია, ჩვენს დროში ვითარება შეიცვალა, ეს კავშირები ახლა თავისუფლად ხორციელდება, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა პრობლემები გაჩნდა და ამ კავშირებს სხვა სასიცოცხლო დატვირთვა მიეცა.

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლას, ეს, რასაკვირველია, თვით სამღვდელოებისა და მათი ხელმძღვანელების საქმეა, მაგრამ მთლიანობაში ეს ფაქტი მარტო საეკლესიო მოვლენა არ არის, რადგან იგი გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის ბედზეც, შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების შესახებ ყველამ უნდა იმსჯელოს.

სინოდის გადაწყვეტილებამ, გამოვიდეს მეს-იდან, ჩემზე პირადად ნაჩქარევი გადაწყვეტილების შთაბეჭდილება დატოვა. გასაგებია ქართველ იერარქთა სურვილი, რომ არ დაუშვან ეკლესიის გახლეჩა და სწრაფად დასძლიონ გათიშულობა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ, რომელსაც მოყვა მეამბოხე ბერების დასჯა, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგის აზრით, თუკი ბერები სამართლიანი მოთხოვნებით გამოდიოდნენ, რატომ უნდა დასჯილიყვნენ?

ისე, თავიდანვე ჩანდა, რომ ბერები ამ გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდებოდნენ და განდგომას გააგრძელებდნენ, რადგან, ბევრის აზრით, მათი მთავარი მიზანი კათალიკოსის წინააღმდეგ გალაშქრება და ეკლესიის ცხოვრებაში დესტაბილიზაციის შეტანა იყო. ასეც მოხდა. სინოდის გადაწყვეტილების შემდეგ მცირეოდენი დრო გავიდა და ბერები ახალი, უფრო

რადიკალური მოთხოვნებით გამოვიდნენ: მოითხოვეს, გაეწყვიტათ ევქარისტიული კავშირი ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც მეს-ის მუშაობაში მონაწილეობს. ცხადია, ამ მოთხოვნებს არავინ დასთანხმებია.

რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ ქართულ ეკლესიას გათიშვა ავაცილოთ? კიდევ ვიმეორებ, ეს უპირველეს ყოვლისა ეკლესიის გადასაწყვეტი საქმეა და დარწმუნებული ვარ, რომ საეკლესიო იერარქების მიერ მოინახება ის გონივრული გადაწყვეტილება, რომელიც ასეთ უბედურებას თავიდან აგვაცილებს. მაგრამ, ჩვენი მხრივ, ეკლესიის მღვდელთმთავართ მოვუწოდებთ, აქტიური ურთიერთობა ჰქონდეთ მრევლთან,საზოგადოებასთან, ამ დარგის სპეციალისტებთან, რათა ისინი მოულოდნელად, უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე არ დააყენონ. ჩვენ მხოლოდ რჩევა შეგვიძლია, მაგრამ ეკლესიასთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მტერმა თავისი განზრახვა ვერ განახორციელოს და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა ვერ დაარღვიოს.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", #274 (2620), 04.10.1997 წ.

VIII. როგორ გვაქვს საქმე ღმერთთან, ანუ მართლა

დავუბრუნდით უზენაესს?

როგორ გვაქვს საქმე ღმერთთან, მის მიერ შექმნილ სამყაროსთან? რა ტრანსფორმაცია განიცადა ჩვენმა რწმენამ მას შემდეგ, რაც რელიგია აკრძალული ხილიდან ნებადართულ ფენომენად იქცა? რა და როგორ გვწამს, რა სწამს ჩვენს მომავალ თაობას, როგორია მისი რწმენის ხარისხი, როგორ უყურებს იგი "წუთისოფელს" და რას ფიქრობს მარადიულობაზე? რა როლს ასრულებს რელიგია ჩვენს ცხოვრებაში, გვხდის თუ არა ჩვენ იგი უფრო სრულყოფილებსა და ზნეობრივებს? ამ, და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო საკითხებს ეხება წინამდებარე სტატია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევას ეყრდნობა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, უარი თქვა სოციალიზმის იდეებზე, და რელიგიურ ორგანიზაციებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ, რწმენის პრობლემები სულ უფრო აქტუალური ხდება. ახლა ამ საკითხებზე ბევრს მსჯელობენ, ბევრიც იწერება, მაგრამ როგორი რელიგიური სურათი გვაქვს მთლიანობაში, ან რა და როგორი ხარისხით სწამთ საქართველოში, ნაკლებად ვიცით. ჩვენი სოციოლოგიური გამოკვლევა ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას, კერძოდ კი, სტუდენტი ახალგაზრდობის რელიგიურობის ხარისხს და მასთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემებთან მიმართების გარკვევას ისახავდა მიზნად.

შეცვლილ პირობებში ამ მეტად რთულ, ნაკლებად გამოკვლეულ საკითხებში კარგად რომ გავერკვეთ, ცხადია, წარსულსაც უნდა გადავხედოთ, ვნახოთ, თუ რა იყო

ადრე, საბჭოური იდეოლოგიის 70 წლიანი ბატონობის ხანაში, როცა ღმერთის რწმენისა და სხვა რელიგიური ღირებულებების შეცვლა ცადეს ათეისტური მოძღვრებით. თუმცა ამის გაკეთება იოლი საქმე არ არის, რადგან საბჭოურ ხანაში, საქართველოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ან ორ სოციოლოგიურ გამოკვლევას, რაც ქართული ტრადიციების კვლევასთან იყო დაკავშირებული და "მავნე ტრადიციებთან" ბრძოლის საჭიროების ეგიდით მიმდინარეობდა (რაც გარკვეულად შეეხო მოსახლეობის რელიგიურობის სფეროსაც), სხვა ღირსშესანიშნავი თითქმის არაფერი მომხდარა.

თუ მაინც ვილაპარაკებთ იმ პერიოდში ჩატარებულ ახალგაზრდობის რელიგიურობის კვლევაზე, უნდა ვახსენო ჩემ მიერ 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა (სულ გამოიკითხა 360 სტუდენტი), რომლის შედეგები აისახა ჩემს ბროშურაში “თანამედროვე ახალგაზრდობა და რელიგია", რომელიც 1978 წელს დაიბეჭდა და ჩემსავე პატარა წიგნში “რელიგია, ათეიზმი, ახალგაზრდობა", რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

ცხადია, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა იდეოლოგია მოქმედებდა, სხვაგვარი ზეწოლა იყო ადამიანთა გონებასა და გულებზე. იმ პერიოდში არსებული პარტიული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც წარმართავდნენ ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, ამა თუ იმ ქალაქში, რაიონში თუ სოფელში თითოეული მორწმუნის არსებობის დაფიქსირება იდეოლოგიურ მარცხად აღიქმებოდა. ამიტომ, ასეთ პირობებში ობიექტური მონაცემების რეალური სურათის ჩვენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ადამიანები, იმის გამო, რომ არ ევნოთ საკითარი კარიერისათვის, რელიგიურობის საკითხზე გულახდილ საუბარს, მით უმეტეს მის დაფიქსირებას, მაქსიმალურად გაურბოდნენ. პარტიული ორგანიზაციები კი ცდილობდნენ მიეჩქმალათ რელიგიურობის თუნდაც სულ მცირედი გამოვლინებაც კი, რადგან მას თვლიდნენ ადამიანთა ჩამორჩენილობის, გაუნათლებლობის და სიბნელის გამოხატულებად, უიდეობად და წარსულის უბადრუკ გადმონაშთად.

ასეთი დამალულ-დაფარული შეხედულებების ფონზე შედარებითი გულახდილობით გამოირჩეოდა ახალგაზრდობის ნაწილი, რომელიც საკუთარი რელიგიურობის დაფიქსირებით, მისი პოზიტიური მხარეების ჩვენება-აღიარებით, არსებულ ტოტალიტარულ რეჟიმს პროტესტს უცხადებდა. მაგრამ ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა იმ დროისათვის მაინცდამაინც დიდი არ იყო.

რელიგიით გატაცებული ახალგაზრდების არსებობას არც სოციალიზმის იდეოლოგები უარყოფდნენ. მათი აღიარებით, ამ ახალგაზრდების რელიგიურობას განსაზღვრავდა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი, რაშიც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა რელიგიური ორგანიზაციების აქტიურობას. ასეთ ახალგაზრდებს ახასიათებდნენ, როგორც ზერელე მორწმუნეებს, რომლებშიც აშკარად ჭარბობდა ზედაპირული, ზებუნებრივი წარმოდგენები.

იმდროინდელი ავტორები არარელიგიურ (ურელიგიო) ახალგაზრდებსაც რამდენიმე ჯგუფად ჰყოფდნენ. ამ ჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი იყო

სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი. ამგვარი კლასიფიკაციით ადამიანთა პირველ ჯგუფს წარმოადგენდნენ დარწმუნებული, ანუ მტკიცე ათეისტები.

მათ ძირითად დამახასიათებელ თვისებად რელიგიის აქტიურ უარყოფას და მასთან ბრძოლის აუცილებლობის შეგნებას ასახელებდნენ, რაც, მათი აზრით, გამაგრებული იყო სათანადო ცოდნით და რელიგიის მეცნიერული შეფასებით, რელიგიურის და მეცნიერულის აუცილებელი დაპირისპირებულობის აღიარებით.

მეორე ჯგუფში აერთიანებდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი მრწამსით ახლოს იყვნენ მტკიცე ათეისტებთან (რაოდენობრივად საკმაოდ დიდ ჯგუფს ვარაუდობდნენ), მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან განსხვავებით მათი ათეიზმი სათანადოდ არ იყო განმტკიცებული ფილოსოფიური და მეცნიერული არგუმენტებით. მათი ინფორმაცია რელიგიის შესახებ, კლასიფიკატორთა მტკიცებით, როგორც წესი, ძალზე მწირი და ზედაპირული ხასიათისა იყო. ისინი გულახდილად აცხადებდნენ, ძალზე ცოტა რამ ვიცით რელიგიის შესახებო.

მესამე ჯგუფში აერთიანებდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც რელიგიისადმი სრულ გულგრილობას იჩენდნენ. ეს ახალგაზრდები, მკვლევართა აზრით, ნაკლებად ერკვეოდნენ რელიგიის არსში, მის სიკეთესა თუ მავნეობაში. ასეთ ინდიფერენტულობას კი ისინი ზოგჯერ მიჰყავს რელიგიის დადებით აღქმამდე, საზოგადოებაში მისი ადგილისა და როლის გადაჭარბებით შეფასებამდეო, - ასკვნიდნენ ისინი.

ასეთი ადამიანების აზრით, ეკლესიას ეკუთვნოდა და ეკუთვნის პრიორიტეტი მეცნიერების, განათლების, ადამიანის სულიერი სამყაროს განვითარებაში. ამ ტიპის შეხედულებების წყალობით, გარკვეულ პირობებში, საზოგადოების ეს ნაწილი ხდებოდა წყარო, საიდანაც რელიგიური ორგანიზაციები ახალ შევსებას ღებულობდნენ.

ჩემს ბროშურასა და წიგნში. პრინციპში ვეთანხმებოდი ურელიგიო ახალგაზრდების ასეთ კლასიფიკაციას, განსაკუთრებით პირველი და მეორე ჯგუფის არსებობას, მაგრამ მესამე ჯგუფთან დაკავშირებით გამოთქმული მქონდა ასეთი მოსაზრება:

“ჩვენი აზრით, გარკვეული შესწორება უნდა შევიტანოთ რელიგიისადმი ინდიფერენტულად განწყობილი ჯგუფის დახასიათებაში. თუ დავუკვირდებით, ძნელია, დაეთანხმო აზრს, რომ შეიძლება რელიგიისადმი ინდიფერენტულად გამოაცხადო ადამიანები, რომლებიც კაციბრიობის სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში პრიორიტეტს რელიგიას აკუთვნებენ, რომლებიც თვლიან, რომ რელიგია აუცილებელია ადამიანთა ზნეობისათვის და მიუთითებენ რელიგიური რწმენის დიდ სიკეთეზე. ჩვენი აზრით, - ვასკვნიდი მე, - უფრო სამართლიანი იქნება, რომ ასეთი კატეგორიის ხალხი გაერთიანდეს რელიგიისა და ეკლესიისადმი თანამგრძნობთა ჯგუფში. შესაბამისად, ურელიგიო ახალგაზრდებში უნდა გამოვყოთ არა სამი, არამედ ოთხი ჯგუფი."

ზემოდასახელებული კლასიფიკაციის მიხედვით, გამოკითხულთა 26% აღმოჩნდა მტკიცე ათეისტი, მეორე ჯგუფში _ არამტკიცე ათეისტებში - 25%, ინდიფერენტულად განწყობილი იყო 20%, ხოლო გამოკითხულ სტუდენტთა 28%-ს ეკლესიისა და რელიგიისადმი აშკარა თანამგრძნობი პოზიცია ეკავა.

იმდროინდელ გამოკითხულთაგან მცირე ნაწილი (დაახლოებით 1%) დაუფარავად აცხადებდა, რომ მორწმუნეა და სწამს ღმერთი.

ცხადია, რომ ყველა ის, ვინც ღმერთის არსებობასა და მის შემწეობას აღიარებდა, ერთნაირად მორწმუნე არ იყო. იმ დროისათვის მთელ საბჭოთა კავშირში მიღებული იყო მორწმუნეთა რელიგიურობის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ვისი შეგნებაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რელიგიაზე;

2. ისინი, ვის ცხოვრებაშიც რელიგიას დიდი ადგილი არ ეკავა, მაგრამ წარმოადგენდა მსოფლმხედველობის ნაწილს;

3. ისინი, ვისაც ფაქტობრივად ღმერთი არ სწამდა, მაგრამ ტრადიციისა და ინერციის ძალით იცავდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს;

4. ვინც რელიგიას აღიარებდა ანგარებისა და გამორჩენის მიზნით.

ამ კლასიფიკაციიდან, აღნიშნული იყო ჩემს წიგნში “წერილები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ" (თბილისი, 1976, გვ. 198-199), პირველ და მეოთხე ჯგუფში შემავალნი შედარებით იშვიათად გვხვდებიან; გაცილებით ხშირია მეორე და მესამე ჯგუფში შემავალი ადამიანები.

დაახლოებით ასეთი იყო ახალგაზრდათა რელიგიურობის სურათი საქართველოში განვლილი 70 წლის მანძილზე, სანამ სოციალიზმის იდეები ბატონობდა. ახალ პირობებში შექმნილი რეალური სურათის გასარკვევად, 2000 წელს ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო სწავლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის.

გამოიკითხა 500 რესპოდენტი ყველა ფაკულტეტიდან, რომელთა შორის 62,8%(314) გოგონა იყო, ხოლო 37,2%(186) - ვაჟი. მათი ასაკი 17-დან 28 წლამდე მერყეობდა.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო. სხვა ეროვნების რესპოდენტთა შორის იყვნენ: ებრაელები, რუსები, ქურთები. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა - 93% - დაუქორწინებელი იყო, 6% - დაქორწინებული, 0,4% - განქორწინებული, ხოლო 0,6% - ქვრივი. რესპოდენტთა 71% თბილისელი იყო, 29% საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

444 სტუდენტმა (გამოკითხულთა 88,8%) თავი მორწმუნედ გამოაცხადა, 31 (6,2%), - არა, ხოლო 25-ს(5%) გაუჭირდა პასუხის გაცემა.

თუ ჩვენ ამ ციფრებს ადრინდელი გამოკვლევის მინაცემებს შევადარებთ, ნათლად დავინახავთ მორწმუნეთა კოლოსალურ ზრდას.

ცხადია, ასეთი მკვეთრი ცვლილებები ესოდენ მოკლე დროში ბუნებაში არ ხდება. თუ ეს ასეა, რით უნდა აიხსნას მორწმუნეთა ეს უზარმაზარი პროცენტი? ალბათ, მიზეზთა კომპლექსით, მათ შორის რელიგიის ნებადართულობით, მოდაში შემოსვლით, პრესტიჟულობით, რელიგიისა და ეროვნულის გადაჯაჭვით და ა.შ. ყოველივე ამას უნდა დაემატოს მასმედიის საშუალებების დიდი გავლენა მთლიანად მოსახლეობაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც თავს მორწმუნედ თვლის - 97,5% (433 სტუდენტი 444-დან) - პასუხობს, რომ ის მართლმადიდებელია, დანარჩენები ისლამის, იუდაიზმის, კათოლიციზმის და ბაპტიზმის მიმდევრები არიან. ერთმა რესპოდენტმა უპასუხა, რომ სწამს უშუალოდ სამება, მაგრამ თავისი რელიგიური აღმსარებლობა არ მიუთუთებია, ხოლო კიდევ ერთს, მართალია, სწამს ღმერთი, მაგრამ თავს რომელიმე რელიგიურ აღმსარებლობას არ მიაკუთვნებს.

ცხადია, ვინც თავის თავს მორწმუნედ აცხადებს, ყველა როდია ჭეშმარიტად მორწმუნე. ბევრი ძალიან შორსაა იმ იდეალისგან, რასაც რელიგია ითხოვს თავისი მიმდევრისაგან, მაგრამ ყველას თავისი არგუმენტი გააჩნია, თუ რატომ გააკეთა ცხოვრებაში ესა თუ ის არჩევანი, ამიტომ, კითხვაზე, “რატომ აირჩიეთ თქვენ მიერ მითითებული რელიგიური აღმსარებლობა?" - მორწმუნეთა ნახევარზე მეტი (61%) პასუხობს, რომ, მისი აზრით, ეს ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა, 32,2%-ის არჩევანი განაპირობა მისი ერის ტრადიციებმა, 10,1% კი - მშობლების, ოჯახის ზეგავლენამ. სხვა პასუხების სიხშირეთა საერთო რაოდენობა მხოლოდ 2,0% შეადგენს. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ კითხვას მხოლოდ ის რესპოდენტები ჰპასუხობდნენ, რომლებიც თავს მორწმუნედ თვლიან, პასუხების სიხშირეთა ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან აღნიშნულ კითხვაზე რამდენიმე პასუხის გაცემა იყო დასაშვები.

კითხვაზე - “დადიხართ თუ არა ეკლესიაში"? გამოკითხულთა 41,9% (186 რესპოდენტი) პასუხობს, რომ ხშირად დადის ეკლესიაში. 40,5% (180 რესპოდენტი) " იშვიათად. 13,1% (58) - მხოლოდ დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს. 0,9%-მა (4 რესპოდენტი) შეკითხვას არ უპასუხა. სხვა პასუხების სიხშირეები (რომელთა შორის ფიგურირებს: “დავდივარ სულიერი კრიზისის დროს", "როცა ვახერხებ", “არასისტემატურად", ‘სასურველია, უფრო ხშირად დავდიოდე") კი 0,7%-ს არ აღემატება.

კითხვას - “რამდენი ხანია, რაც მორწმუნე ბრძანდებით", რესპოდენტებმა ორგვარად უპასუხეს: ნაწილმა წელი დაასახელა (მათი პასუხების მიხედვით მორწმუნეობის საშუალო ხანგრძლივობა 8 წელი გამოვიდა), ნაწილმა კი მიუთითა, რომ “ცნობიერების ასაკიდან~(12,1%), “მონათვლის შემდეგ"(2,8%), “ბავშვობიდან"(36,8%), “დაბადებიდან"(18,3%), “შეგნებულობის ასაკიდან~(17,6%), “საკმაო ხანია"(2,8%), “ბოლო წლებში"(0,3%). შეკითხვას 9,3%-მა არ უპასუხა (შენიშვნა: პროცენტები დათვლილ იქნა იმ რესპოდენტთა საერთო რიცხვიდან, რომლებმაც წელი არ დაასახელეს). თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ რესპოდენტთა

საშუალო ასაკი, რომლებმაც წელი მიუთითეს, დაახლოებით 20 წელია, მათი მორწმუნეობის საშუალო ხანგრძლივობა კი - 8 წელი, უნდა დავასკვნათ, რომ საშუალოდ მათ მიერ სარწმუნოების მიღება 12 წლამდე (ე.ი. ბავშვობის) ასაკში მოხდა. შესაბამისად, მორწმუნეთა დიდი უმრავლესობა რელიგიას ბავშვობის ასაკიდანაა ნაზიარები.

კითხვაზე "ასრულებთ თუ არა საეკლესიო რიტუალებს", მორწმუნეთა მხოლოდ 16% პასუხობს, რომ რეგულარულად ასრულებს, 47,5% პასუხობს, რომ ზოგჯერ ასრულებს, 36,6% - იშვიათად, 5,2% - არასოდეს, 0,3% კი შეკითხვას არ უპასუხა.

რესპოდენტთა მეოთხედზე ნაკლებს (23,6%) ჰყავს მოძღვარი, 76,4% კი პასუხობს, რომ მოძღვარი არ ჰყავს. გამოკითხულთა 46,2% დადებითად პასუხობს კითხვას - "უქადაგებთ თუ არა სხვა ადამიანებს, გახდნენ თქვენ მიერ არჩეული რწმენის ერთგულნი". რესპოდენტთა ზუსტად იგივე რაოდენობა საკუთარ სარწმუნოებას სხვებს არ უქადაგებს, 0,5% თვლის, რომ "ეს შიგნიდან უნდა მოდიოდეს", 2,0% უქადაგებს, "ოღონდ იშვიათად", 0,9% - "გააჩნია, რა შემთხვევაში", 1,6% - "საჭიროების შემთხვევაში", 1,4% - "ხანდახან", 0,5% პასუხობს, რომ "იცავს საკუთარ პოზიციას".

როგორც ჩვენი კვლევის დასაწყისში აღვნიშნეთ, რესპოდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ სწამს ღმერთი (88,8%), მაგრამ როგორია ეს რწმენა, როგორ წარმოუდგენიათ იგი?

ძველი გამოკვლევებისაგან განსხვავებით, სადაც ძალიან იშვიათად შეხვდებოდი ღმერთის ტრადიციულ განმარტებას და ჭარბობდა ისეთი პასუხები, რომლებშიც ღმერთი უპიროვნო ძალად იყო წარმოდგენილი, რომლის განსაზღვრასაც გამოკითხილთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა. ისინი ამბობდნენ, რომ "სწამთ რაღაც, რომელიც ჩვენზე, ჩვენს გონებაზე ძლიერია და ადამიანისათვის შეუცნობადია", ზოგი მას ბედისწერას ან იღბალს არქმევდა, სხვათა აზრით: "ამ ქვეყნად არსებობს რაღაც, არ ვიცი, ის ღმერთია თუ არა, მაგრამ რაღაცის არსებობა კი მწამს. ეს რაღაც გარკვეულ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე", ან "ტრადიციული ღმერთი არ მწამს, მაგრამ მწამს წმინდა ნინო (ქართველთა განმანათლებელი), წმინდა გიორგი (ქრისტიანობის ღმერთი (?!)), ღვთისმშობელი მარიამი (დედა უბედურთა და მხსნელი კაცთა), ძე ღვთისმშობლისა ქრისტე (სამყაროს მხსნელად მოვლინებული კაცი)" და ა.შ.

ახლანდელ გამოკითხვაში უფრო იგრძნობა რელიგიური ლიტერატურის და საეკლესიო პირთა ქადაგების გავლენა, ბიბლიური ღმერთისკენ შემობრუნება, მისი ტრადიციული გაგება. ასე მაგალითად, რესპოდენტთა 53,1%-ისთვის ღმერთი "სამყაროს შემოქმედი, მისი უფალია", 22,4%-ისთვის "ზებუნებრივი ძალაა, რომელსაც ადამიანებმა ღმერთი უწოდეს", 16,9%-ისთვის 'ზნეობრივი იდეალია", 1,1%-ისთვის "სიკეთის სათავეა", 0,9%-ისთვის "სიყვარულია", 0,3%-ისთვის "სრულყოფილება", 0,3%-ისთვის "რწმენა", იმავე პროცენტისთვის "აბსოლუტური გონი". სხვა პასუხების სიხშირეები 0,2%-ს არ აღემატება. კითხვაზე პასუხის გაცემა

რესპოდენტთა 2,6%- გაუჭირდა. სიხშირეთა ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა.

მასობრივი ათეიზმის ხანაში, როგორც ცნობილია, რელიგიური ლიტერატურის კითხვა ფაქტობრივად აკრძალული იყო. რელიგიური ჟურნალ-გაზეთები თითქმის არ გამოდიოდა, ხოლო, რაც გამოდიოდა, იმდენად პატარა ტირაჟით იბეჭდებოდა, რომ იგი მასობრივ მკითხველამდე ვერ აღწევდა. მოსახლეობაში კი ასეთი ლიტერატურისადმი, როგორც აკრძალული ხილისადმი ლტოლვა აშკარად შეიმჩნეოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ლიტერატურის ღიად გამოსვლის შემთხვევაში ინტერესი მის მიმართ დიდი იქნებოდა, მაგრამ გამოკვლევამ ასეთი დიდი ლტოლვა არ დაადასტურა.

რელიგიურ ლიტერატურას გამოკითხულთა მხოლოდ 6,6% ეცნობა, 84,4% - დროდადრო, ხოლო 9,0% - არასოდეს. ამასთან გამოკითხულთა 44% მხოლოდ “ბიბლიას" ანიჭებს უპირატესობას, 28,3% - “სახარებებს", 1,2% საპატრიარქოს გამოცემებს, 1,2% - “ფსალმუნებს", 0,8% - წმინდანთა ცხოვრებას, 0,6% - ზოგად ლიტერატურას, სხვა პასუხების სიხშირე 0,2%-ს არ აღემატება. სიხშირეთა ჯამი 100%-ს სჭარბობს, რადგან დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა.

ასეთი უმნიშვნელო, მცირე პროცენტი, შესაბამისად მცირე ინტერესი რელიგიური ლიტერატურისადმი შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით, მათ შორის აკრძალული ხილის სინდრომის დაკარგვით, ჟურნალ-გაზეთების ცუდი გაფორმებით თუ შინაარსობრივი უინტერესობით, ასეთი ლიტერატურის სიძვირით, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარით და ა.შ. რელიგიური ტელე და რადიო გადაცემები ჩვენში შედარებით ახალი ხილია. ამისთვის მზად არც ტელევიზიაა და არც რელიგიური ორგანიზაციები. ამიტომ შეკითხვაზე “უყურებთ თუ არა რელიგიურ ტელეგადაცემებს", მოსალოდნელი პასუხი მივიღეთ:

გამოკითხულთა მხოლოდ 5,0% უყურებს რეგულარულად რელიგიურ ტელეგადაცემებს, 68,4% - დროდადრო, 24,8% - არასოდეს, ხოლო 1,8%-მა შეკითხვას არ უპასუხა. ამასთან რესპოდენტთა 17,8% პირდაპირ ტელეტრანსლაციებს ანიჭებს უპირატესობას, 11,2% - მხატვრულ ფილმებს, 9,8% - ტელეარხ ევრიკას შესაბამის გადაცემებს, 1,9% - ქადაგებებს, 1,6% - ისტორიულ გადაცემებს, 1,3% - I არხს, 1,1% - დიალოგებს რელიგიურ თემაზე, 1,1% - გადაცემას “მოძღვრის სიტყვა", 1,1% - “მოძღვრის პასუხებს", სხვა პასუხების სიხშირე 1,0%-ს არ აღემატება, ხოლო 0,3%-მა შეკითხვას არ უპასუხა.

ადრე თუ გვიან საქართველოში შემოღწეული რელიგიური დენომინაციების გააქტიურებამ, რომლის გამოც ზოგი ტრადიციულად მართლმადიდებელი ოჯახი სხვა სარწმუნოებაზე მოექცა, დიდი ხმაური გამოიწვია. აღნიშნული ფაქტები გაიგივებულ იქნა თითქმის ეროვნების შეცვლასთან, რადგან ჩვენი ისტორიული წარსულის შედეგად ქართველობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან. შესაბამისად, მისი მიტოვება ეროვნულ ღალატად იქნა აღქმული. რელიგიური მრწამსის გამოცვლა საერთოდ არ არის იოლი საქმე და თუ ეს ხდება რელიგიური განათლების დაბალი დონის გამო, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლით, ეს კიდევ უფრო საგანგაშოა. სწორედ ამიტომ, კითხვარში

შეტანილ იქნა კითხვა - “თუ გსმენიათ შემთხვევები, როდესაც ადამიანმა გამოიცვალა რელიგიური მრწამსი, თუ “დიახ", მაშინ, თქვენი აზრით, იგი რამ გამოიწვია?"

რესპოდენტთა 86,2%-ს სმენია შემთხვევები, როდესაც ადამიანმა რელიგიური მრწამსი გამოიცვალა, 13,2%-ს - არა, ხოლო 0,6%-მა ამ შეკითხვას არ უპასუხა.

გამოკითხულთა ნაწილი - 15,8% - თვლის, რომ რელიგიური მრწამსის შეცვლის მიზეზი მერყევი, მცირე რწმენაა, 9,7%-ის აზრით, ეს რელიგიური განათლების დაბალმა დონემ განაპირობა, 9,3%-ს ამის მიზეზად სხვა რელიგიის (ან მიმდინარეობის) ჭეშმარიტებაში დარწმუნება მიაჩნია, 8,8%-მა ინტენსიური ფსიქოლოგიური ზეწოლის, აგიტაციის შედეგად ჩათვალა, 7,8% ეკონომიკურ დაინტერესებას ასახელებს, 5,3% - უნებისყოფობას, საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, 2,9% - რწმენის თავისუფლებას, 2,7% - ქორწინების სურვილს, 2,7% - ურწმუნობას. სხვა პასუხების სიხშირე 1,0%-ზე ნაკლებია. სიხშირეთა ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა.

დღეს, როდესაც ესოდენ მოდაშია დემოკრატია, როდესაც ამდენს ლაპარაკობენ სინდისის თავისუფლების შესახებ, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითოეული ადამიანის უფლებას, აირჩიოს მისთვის სასურველი და მიმზიდველი რელიგია, ძალზე აქტუალური იყო კითხვა - “თვლით თუ არა, რომ დღეს საქართველოში რწმენის თავისუფლებაა?" - რაზეც რესპოდენტთა 84,4%-მა უპასუხა “დიახ, საქართველოში ნამდვილად არის რწმენის თავისუფლება."6,8%

ამ აზრს უარყოფს, 4,4%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, 1,8%-ის აზრით ადგილი აქვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, 1,0% მიიჩნევს, რომ საქართველოში რწმენის თავისუფლება ფორმალურია. სხვა პასუხების სიხშირე 1,0%-ზე ნაკლებია.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო მრავალეროვანი და მრავალრელიგიური ქვეყანაა. ეს ვითარება თავის დაღს ასვამს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. როდესაც ჩვენი საზღვრებმოშლილი, ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისში მყოფი ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, იქნებიან კი ამ საქმეში ეროვნული და რელიგიური უმცირესობები ჩვენი ქვეყნის ერთგულები, თუ იმ ქვეყნებს დაუჭერენ მხარს, რომლებშიც ამ რელიგიათა ცენტრებია განლაგებული? ეს საკითხი დღეს ძალზე აქტუალურია, რადგან საგანგებო ვითარების გამო ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები პირველ პლანზე იწევს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანი იყო კითხვა: “თქვენი აზრით, მრავალი რელიგიური ორგანიზაციის არსებობა ჩვენი სახელმწიფოსათვის კარგია თუ ცუდი?"

თავი მეორე

რელიგიური უმცირესობები საქართველოში

I. რელიგიური უმცირესობათა სპექტრი

ახლა მსოფლიოში ბევრს მსჯელობენ და დაობენ ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა შესახებ, მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. ეს საკითხები მით უფრო აქტუალური გახდა, რამდენადაც უმცირესობათა სახელი ხშირად უკავშირდება სეპარატისტულ მოძრაობას, რაც, თავის მხრივ, დიდი არეულობით ემუქრება კაცობრიობას. ეს საფრთხე მთელ მსოფლიოში და ჩვენშიც სავსებით რეალურია. სამწუხაროდ, რელიგიურ უმცირესობათა საკითხი საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი როგორც ზოგადი, ისე იურიდიული თვალსაზრისით. სანამ არსებობდა საბჭოთა კავშირი და იყო ერთიანი მარქსისტული, მატერიალისტური იდეოლოგია, რომელიც რელიგიას მხოლოდ გადმონაშთის ფუნქციას უტოვებდა, ეს პრობლემები ნაკლებად იდგა; შესაბამისად, ნაკლებადაც სწავლობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასეთმა იდეოლოგიამ არსებობა შეწყვიტა, მნიშვნელოვნად გაიზარდა რელიგიური კონფესიების როლი, იმატა მათმა გავლენამ საზოგადოებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებზე, მათ შორის ეროვნულ ურთიერთობებზეც.

რას ვგულისხმობთ საერთოდ რელიგიურ ერთობაში და რას აღნიშნავს რელიგიური უმცირესობის ცნება?

როგორც რუსი ავტორი ა. სუხოვი წერდა: “რელიგია აერთიანებს ხალხს განსაკუთრებული რიგის ერთობაში - რელიგიაში. ამ ერთობაში ადამიანები ჯგუფდებიან რელიგიურ აღმსარებლობასთან მიმართების პრინციპით და მათ შორის მყარდება გარკვეული რელიგიური ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ისტორიაში (ხაზგასმა ჩემია – თ. ფ.). მათი არსებობა და საქმიანობა გავლენას ახდენს სხვა ერთობებზეც. რელიგიური ერთობის გავლენამ სახელმწიფოზე შეიძლება მიგვიყვანოს თეოკრატიამდე, ან, თუ მისი გავლენის ხარისხი მნიშვნელოვანი არ არის, რელიგიური შეფერილობის ამა თუ იმ ხარისხის ინტენსივობის სახელმწიფო გაერთიანებამდე. მმართველობის თეოკრატიული ფორმა იყო დამახასიათებელი ძველებრაული სახელმწიფოსათვის, ტიბეტისათვის, ვატიკანისათვის. რელიგიური შეფერილობა განმასხვავებელი ნიშანია, მაგალითად, ისლამური თუ ქრისტიანული ქვეყნებისთვის.

რელიგიური ერთობის გავლენას განიცდიან ეთნიკური ერთობები. რასაკვირველია, ეს ეხება ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებს, როდესაც რელიგიურ ერთობას აქვს სათანადო ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. ფართოდ არის ცნობილი,

როდესაც რელიგიური ერთობა ხელს უწყობდა ქვეყანას გარეგანი მტრის მოგერიებაში. ანალოგიური როლი აქვთ რელიგიურ ერთობებს ზოგიერთ ნაციონალურ და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამავე დროს რელიგიური ერთობის გაფართოების საბაბით ეწყობოდა დამპყრობლური ომები, ჯვაროსნული ლაშქრობები. რელიგიურ ერთობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეთნიკური ერთობის არსებობის პროცესში, არამედ ხანდახან თვით ეთნოგენეზისის პროცესშიც. ზოგიერთ ეთნიკურ ერთობას რელიგიური ერთობის ბეჭედი აზის თავისი ჩასახვის დროიდან. ისინი წარმოშობილნი არიან რელიგიური ერთობის ბაზაზე."

რელიგიური უმცირესობის ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ მორწმუნეთა დიდ ან პატარა ჯგუფს, რომელიც ამა თუ იმ სარწმუნოების ირგვლივ არის გაერთიანებული და ეს სარწმუნოება სახელმწიფოში გაბატონებული (უმრავლესობა) არ არის.

სრულიად შესაძლებელია, რომ ერთ ქვეყანაში არსებული რელიგიური უმცირესობა მეორე ქვეყანაში გაბატონებულ ან მნიშვნელოვან რელიგიურ მიმდინარეობას წარმოადგენდეს. რელიგიური უმცირესობა შეიძლება იყოს ერთეროვანი ან მრავალეროვანიც.

რელიგიური უმცირესობის ბედი, მისი მდგომარეობა და ხარისხი ხშირ შემთხვევაში განსაზღვრულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული ბედით, ტრადიციით, გეოგრაფიული მდებარეობით, გაბატონებული რელიგიის დამოკიდებულებით რელიგიური უმცირესობის რწმენისადმი, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დამოკიდებულებით ამ რწმენისადმი.

სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგჯერ რელიგიური ჯგუფი ეთნიკურ ჯგუფად იქცეს. ასე მაგალითად, ეთნიკური ჩამოყალიბების ნიშნები შეიძინეს ამიერკავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლებულმა მალაკნებმა და დუხობორებმა, რომლებიც ადგილობრივი ხალხების გარემოცვაში აღმოჩნდნენ, გამოიმუშავეს თავისებური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ყოფა, შექმნეს სპეციფიკური ჩვეულებები, საკუთარი ფოლკლორი და გარკვეულად გადაიქცნენ ეთნიკურ ჯგუფებად.

როგორც იურისტები მიუთითებენ, დღემდე საერთაშორისო სამართალში არ არის ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იქნებოდა, კომპლექსურად გადაეწყვიტა, რელიგიურ უმცირესობათა ყველა უფლება-მოვალეობა, მაგრამ სამაგიეროდ, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაძლებლობას, გამოხატონ და შეინარჩუნონ უმცირესობათა ეთნიკური, ენობრივი, კულტურული და რელიგიური თავისებურებანი.

აღნიშნულ დოკუმენტებს შორის უნდა დავასახელოთ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, სადაც ნათქვამია: “იმ ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ასეთ უმცირესობებს, არ შეიძლება უარი ეთქვათ ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავისი კულტურით, აღიარონ თავისი რელიგია და შეასრულონ მისი წეს-ჩვეულებანი, ასევე ისარგებლონ მშობლიური ენით"(მუხლი 27).

1978 წელს მიღებულ კონვენციაში გენოციდის თავიდან აცილების და მასზე სასჯელის შესახებ ნათქვამია: “ამ კონვენციის მიხედვით, გენოციდად ითვლება ის ქმედება, რომელიც ხდება იმ მიზნით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგუროს რომელიმე ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი, თუ რელიგიური ჯგუფი" (მუხლი 2).

1975 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელი აქტის მიხედვით: ‘სახელმწიფოები - მონაწილენი ცნობენ იმ წვლილს, რომელიც შეუძლიათ შეიტანონ ეროვნულ უმციერესობებს ან რელიგიურ კულტურებს განათლების სხვადასხვა სფეროს თანამშრომლობაში. აპირებენ იმ შემთხვევაში, თუკი მათ ტერიტორიაზე არის ასეთი უმცირესობები ან კულტურა, ხელი შეუწყონ მათ წვლილს, მათი წევრების კანონიერი უფლებების გათვალისწინებით."

რელიგიურ უმცირესობათა შესახებ ვრცლად არის საუბარი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ვენის 1986 წლის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში, სადაც ნათქვამია:

მონაწილე ქვეყნები “...ადასტურებენ, რომ პატივისცემით მოეკიდონ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზროვნების, სინდისის, რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებას ყველასათვის სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად" (მუხლი 11).

პიროვნების მიერ რელიგიისა თუ სარწმუნოების მიმდევრობის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები სხვა ღონისძიებებთან ერთად:
- მიიღებენ ეფექტურ ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ და აღკვეთონ პირთა თუ გაერთიანებათა დისკრიმინაცია რელიგიის ან მრწამსის ნიადაგზე მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ადამიანის უფლებათა და პირად თავისუფლებათა ცნობის, განხორციელებისა და გამოყენების მიმართ და მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის ნამდვილი თანასწორობის უზრუნველსაყოფად;

- ხელს შეუწყობენ სხვადასხვა გაერთიანების მორწმუნეთა შორის, აგრეთვე მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის ორმხრივი შემწყნარებლობისა და პატივისცემის კლიმატს;

- მიანიჭებენ მათი თხოვნით მორწმუნეთა გაერთიანებებს, რომლებიც მისდევენ, ან მზად არიან მისდიონ თავიანთ სარწმუნოებას თავიანთი სახელმწიფოების კონსტიტუციურ ფარგლებში, სტატუსის ცნობას, რომელიც მათთვის არის გათვალისწინებული შესაბამის ქვეყნებში (მუხლი16,3);

- პატივს სცემენ ამ რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას დააარსონ და ჰქონდეთ ღვთისმსახურების ან შეკრებების თავისუფლად ხელმისაწვდომი ადგილები (16,3);

- გაერთიანდნენ ორგანიზაციებად თავიანთი საკუთარი იერარქიული და ინსტიტუციური სტრუქტურის შესაბამისად;

- აირჩიონ, დანიშნონ და გამოცვალონ თავიანთი პერსონალი და თავიანთი შესაბამისი მოთხოვნებისა და სტანდარტების, აგრეთვე მათსა და მათ სახელმწიფოს შორის ნებისმერი თავისუფლად მიღწეული მორიგების თანახმად;

- ითხოვონ და მიიღონ ნებაყოფლობითი საფინანსო და სხვა შეწირულობები;

- გამართავენ კონსულტაციებს რელიგიურ კულტებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან რელიგიური თავისუფლებების მოთხოვნილებათა უკეთ გაგების მიღწევის მიზნით (16,5);

- პატივს სცემენ თითოეული ადამიანის უფლებას მიაღებინოს სხვას და მიიღოს რელიგიური განათლება თავის არჩეულ ენაზე ან ინდივიდუალურად ანდა სხვებთან ერთად (16,6);

- ამ კონტექსტში პატივს სცემენ, სხვა უფლებებთან ერთად, მშობლების თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი მრწამსის შესაბამისად (16,7);

- ნებადართულად გამოაცხადებენ რელიგიური პერსონალის მომზადებას შესაბამის დაწესებულებებში (16,8);

- პატივს სცემენ მორწმუნეთა და რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას, შეიძინონ და გამოიყენონ საღვთო წიგნები, რელიგიური გამოცემები თავიანთ არჩეულ ენაზე ან სხვა საგნები და მასალები, რომლებიც განეკუთვნებიან რელიგიისა თუ სარწმუნოების მიმდევრობას და უპატრონონ მათ (16,9);

- ნებას დართავენ რელიგიურ კულტებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აწარმოონ, იმპორტით მიიღონ და გაავრცელონ რელიგიური გამოცემები და მასალები (16,10);

-კეთილმოსურნედ განიხილონ რელიგიურ გაერთიანებათა წადილი, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ დიალოგში, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით (16,11);

- მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოხსენებული უფლებების განხორციელება, რომლებიც რელიგიის ან მრწამსის თავისუფლებას განეკუთვნებიან, შეიძლება ექვემდებარებოდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც კანონით არის დადგენილი და შეესატყვისება მათ ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის დარგში და მათ საერთაშორისო ვალდებულებებს. ისინი უზრუნველყოფენ თავიანთ კანონებს და ადმინისტრაციულ წესებში მათი გამოყენებისას აზროვნების, სინდისის, რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების სრულ და ეფექტიან განხორციელებას (17).

ხოლო იმ დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებების კომისიის მიერ 1992 წელს “იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ-რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობას", ნათქვამია:

- იმ პირებს, რომლებიც ეკუთვნიან რელიგიურ უმცირესობებს, უფლება აქვთ:

“აღიარონ თავისი რელიგია და შეასრულონ რელიგიური რიტუალები...(2,1); ‘აქტიურად მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში (2,2);

- ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თავისუფალი და მშვიდობიანი კონტაქტები ჰქონდეთ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან. პირებს, რომლებიც ეკუთვნიან სხვა უმცირესობებს, ასევე შეუძლიათ დაამყარონ კონტაქტები სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან, რომლებთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური ან ენობრივი კავშირით(2,5);

- სახელმწიფო იღებს ზომებს, რათა შექმნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რათა პიროვნებებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, გამოხატონ თავისი თავისებურებანი და განავითარონ ისინი... რელიგია, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონკრეტული საქმიანობა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს"(7,2).

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დებულების 87-ე მუხლს:

“არაფერი ამ დეკლარაციაში არ შეიძლება ახსნილი იყოს, როგორც ნებართვა, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ორგანიზაციის პრინციპებს. სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპების ჩათვლით."

აი, ასეთია ძირითადად ის საერთაშორისო ნორმები და უფლებები, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ განსაზღვრონ, დააფიქსირონ და დაიცვან რელიგიურ უმცირესობათა ინტერესები მსოფლიოში.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ ეს აქტები, ნორმები და უფლებები ზედმიწევნით შესრულდეს, საჭიროა იდეალური პირობები. დღევანდელ არეულ, წინააღმდეგობებით სავსე მსოფლიოში კი ასეთი პირობები ძალზე იშვიათია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია რელიგიის სპეციფიკაც. რელიგიათა უმრავლესობა ცდილობს ფართოდ გაავრცელოს თავისი მოძღვრება, რაც შეიძლება მეტ მორწმუნეს მოუყაროს თავი, დაამციროს სხვათა რწმენა და ქება-დიდება შეასხას საკუთარ მოძღვრებას. მიმდინარეობს დარვინისეული ბრძოლა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის არსებობისათვის, დამკვიდრებისათვის, გავრცელების არის გაფართოებისათვის, სხვათა დათრგუნვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცოდავენ ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებულ რელიგიათა მესვეურები. ასეთ პირობებში ძალზე ძნელია, ვილაპარაკოთ რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სრული დაცვის შესახებ.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალრელიგიური ქვეყანაც არის. მართლაცდა, ოდითგანვე აქ მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, რომელიც თავის სარწმუნოებასაც აღიარებდა. ბევრი რელიგიური კონფესია

საქართველოში სწორედ იმ შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს და დღემდე მოდის. ამა თუ იმ რელიგიური უმცირესობის რწმენის სიძლიერე, მდგომარეობა და გავლენა დაკავშირებული იყო მისი მიმდევრების სიმრავლესთან, შინა და გარე პოლიტიკურ ამბებთან, ქართული სახელმწიფოს და მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობასთან, მის გავლენასთან ხალხის მასებში. ისტორიული პირობების შეცვლასთან ერთად, ეს გავლენა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა, ისე რელიგიურ უმცირესობათა კონფესიებისა, იცვლებოდა. არც ის არის დასამალი, რომ გარეშე მტერი ძალზე ხშირად იყენებდა ამ რელიგიურ კონფესიებს, მათ რწმენას, თავისი გავლენის დასამკვიდრებლად საქართველოში. რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამდე რაიმე სექტანტურ მოძრაობას ჩვენში ადგილი არ ჰქონია. დაძაბული გარეპოლიტიკური ვითარება, მუდმივი დაპყრობის საშიშროება და სხვა რელიგიის აღმსარებელი ხალხების ზეწოლა არ იძლეოდა იმ ფუფუნების საშუალებას, რომ ქართველებს შიდა რელიგიური ომი ან განხეთქილება ჰქონოდათ. არც სათანადო თეოლოგიური ლიტერატურა არსებობდა ამის შესახებ.

1801 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო, საქართველოში გამოჩნდა სხვადასხვა პროტესტანტული თუ რუსული მართლმადიდებლობის ნიადაგზე გაჩენილი სექტა. მათი გამოჩენა დაკავშირებული იყო რუსეთის სურვილთან, იმპერიის ცენტრიდან მოეშორებინათ სხვაგვარად მოაზროვნე რელიგიური უმცირესობები. მეორე მხრივ, იმპერიის ახლადშემოერთებული ადგილები შემოემტკიცებინათ რუსული თუ რუსულენოვანი მოსახლეობით. მე-19 საუკუნეში ასე ჩნდებიან საქართველოში მენონიტები, მალაკანები, დუხობორები. როგორც წესი, ეს ხალხი, უმეტესად, არაქართული მოსახლეობისგან შედგებოდა.

იმპერიაში საქართველოს მოქცევის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმოსვლა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიას შორის (საქართველოც ხომ ორ, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად იქცა).

ამ გზებითა და საშუალებებით საქართველოში გეგმაზომიერად თუ სტიქიურად დიდი რაოდენობით შემოდის სხვადასხვა რჯულთმოძღვრების და რწმენის ხალხი. იქმნება ნაირნაირი რელიგიური თემები და მათი სალოცავები. ადრე თუკი ამ სალოცავებში მხოლოდ ჩამოსული ხალხი დადიოდა, თანდათანობით მის წირვა-ლოცვებში ადგილობრივი მოსახლეობაც იწყებს მონაწილეობას, მათ შორის ქართველებიც.

უკვე, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, მასობრივი ათეისტური იდეოლოგიის ბატონობისას, ე.წ. სექტანტურმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ცარიზმის დროს შეზღუდულ პირობებში მოქმედების გამოცდილება ჰქონდათ, მალე აუღეს ალღო ახალ ვითარებას და საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს. მართლაცდა, რელიგიური უიდეობის და ურწმუნობის პირობებში ეს სექტები ჰგავდნენ უდაბნოში გაბნეულ პატარა ოაზისებს, სადაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო როგორც რწმენა, ისე რელიგიური ცხოვრების წესი, და იქ, სადაც ოფიციალური ეკლესია მარცხს მარცხზე განიცდიდა, თანდათან კარგავდა მორწმუნეებს და ზოგჯერ გაქრობის ზღვარზეც იდგა, ასეთი კონფესიები ძალას იკრებდნენ და მრავლდებოდნენ.

უფრო გვიან, 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1956 წლის 9 მარტს თბილისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ საქართველოში შექმნილმა იდეურმა ვაკუუმმა, კერპების მსხვრევამ და სულიერმა დეპრესიამ, რასაც დაემატა სოციალისტური იდეის კრიზისი, ნოყიერი ნიადაგი შექმნა რელიგიური ძიებებისათვის, გამოიწვია სხვადასხვა ჯურის და რწმენის მიმდინარეობების გავრცელება და გააქტიურება.

მოგვიანებით, ჩვენი საუკუნის 60-70-80-იან წლებში იდეური ერთიანობის დაშლისა და ოფიციალური ეკლესიის სისუსტის პირობებში ჩვენი საზოგადოების მცირე, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა აღმოსავლურ რელიგიებს მიაპყრო თვალი. მათ შორის უნდა აღინიშნოს ბუდიზმის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი მიმდევრები და კრიშნას ცნობიერების საზოგადოების წევრები, სხვაგვარად ვაიშნავები, რომლებიც საკმაო ხმაურით შემოიჭრნენ ჩვენს ცხოვრებაში და ცდილობენ თავისი გავლენის გავრცელებას. არიან სხვა, საქართველოში მანამდე უცნობი რელიგიური მოძღვრებების მცირერიცხოვანი მიმდევარნიც. მათ შორის, ევანგელისტები, ვაჰაბისტები, ბაჰაისტები, ახალსამოციქულო ეკლესია, საინტოლოგები და ა. შ.

ბოლო წლებში ძალზე გააქტიურდნენ “იეღოვას (იეჰოვას) მოწმეები”, რომლებიც ცდილობენ თითქმის მთელი საქართველოს მოცვას და მოსახლეობის თავის რჯულმოძღვრებაზე გადაყვანას.

სამწუხაროდ, ახლაც მთელი რიგი რელიგიური მიმდინარეობები, ანგარიშს არ უწევენ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, თვლიან მას ბუტაფორიად, სიცოცხლის უნარს მოკლებულად, რომელიც ფაქტობრივად არაფერს არ აძლევს ადამიანის სულსა და გულს. აქტიურად ხდება მოსახლეობაში რელიგიური ინტერვენცია, რელიგიური ხელყოფა. ბევრი მათგანი საქართველოს ალბათ უპატრონო ბაღად მიიჩნევს, სადაც ყველას უნდა საკუთარი ნერგისა და თესლის ჩაგდება. ვინღა არ ცდილობს ამის გაკეთებას, “ხსნის არმია" თუ “ახალსამოციქულო ეკლესია", ინდუისტები თუ ბუდისტები, სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანები. მათი ემისრები მრავლად ჩამოდიან საქართველოში და ქველმოქმედებასთან ერთად თავიანთ რჯულთმოძღვრებასაც ავრცელებენ.და აი, რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში დავდექით ასეთი დილემის წინაშე: ერთი მხრივ, უნდა დავიცვათ დემოკრატია და შესაბამისად მტკიცედ შევასრულოთ სინდისის თავისუფლების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები, მეორე მხრივ, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვამ არ უნდა გაგვიტაცოს, რათა ამით ხელი არ შევუწყოთ ცენტრიდანული ძალების განვითარებას და ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების საქმეს.

რა კონკრეტული პრობლემის წინაშე ვდგავართ რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში? რამდენად შეესატყვისება საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებს ესოდენი რელიგიური დაქუცმაცება, რომლის მოწმეც გავხდით. ახლა ხომ ტრადიციული ქართველი მართლმადიდებლების გვერდით არიან ქართველი მუსლიმები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი ბაპტისტები, ქართველი იეღოველები, ქართველი ვაიშნავები და ა.შ. (მე, რასაკვირველია, არ ვეხები სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიერ თავიანთი მამაპაპური რელიგიის აღიარებას). თუკი მათთვის რელიგიური იდეალები პირველ ადგილზეა, ვის ერთგულობენ ისინი,

საქართველოს, თუ იმ ცენტრებს, საიდანაც მათი რელიგიური მიმდინარეობა იღებს საწყისს?

თვით ათეისტი კომუნისტების მმართველობის დროსაც იყო ჩუმი შეთანხმება, ჩემი აზრით სწორი პრინციპი, რომ სახელმწიფოს გარკვეული დოზით მხარი დაეჭირა იმ ტრადიციული რელიგიისათვის, რომლის სათავეც და ბოლოც ამ ქვეყანაში იყო. ახლაც ბევრი სვამს ასეთ კითხვას - სხვა ქვეყანაში მყოფი რელიგიური ორგანიზაცია რატომ უნდა განსაზღვრავდეს შენი ქვეყნის ქვეშევრდომთა რწმენას და, შესაბამისად, მოქმედებასაც? რატომ უნდა მიდიოდეს შენს რესპუბლიკაში აკრეფილი ფული სხვა ქვეყანაში?

იდეალურ შემთხვევაში, როდესაც შენს ქვეყანას არაფერი ემუქრება, არც მეზობელი და არც შორებელი, როდესაც არაფერს არ გედავებიან, არც ტერიტორიას და არც სხვა რაიმეს, ალბათ სრულად უნდა იქნას დაცული რელიგიურ უმცირესობათა ინტერესები,მათი უფლებები, ყველა ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომელთა შესახებაც ზემოთ მქონდა საუბარი. მაგრამ, როდესაც ესოდენ გართულებულია სიტუაცია, როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, როდესაც ქვეყანა უკანასკნელ ძალებს იკრებს იმისათვის, რომ როგორმე გაუძლოს მოზღვავებულ მტერს და დაიცვას თავისი ერთიანობა, თუკი რელიგიური უმცირესობანი, ისევე, როგორც ეროვნული უმცირესობანი, ასე თუ ისე დაარღვევენ ქვეყნის ინტერესებს იდეური თუ რელიგიური იდეალების მომიზეზებით, ჩვენ, ცხადია, ასეთ ამბავს არ უნდა შევურიგდეთ.

ჩვენ რაოდენობრივად მცირერიცხოვანი ხალხი ვართ, ჩვენი ქვეყანა იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, თავისი ხალხის, თავისი ერის კეთილდღეობისათვის. ამ საქმეში მას რელიგია მხარში უნდა ამოუდგეს, დაეხმაროს ნორმალურ ქვეყნად ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში.

ჟურნალი “პოლიტიკა” #1-3, 1995 წ.

“ფილოსოფიური ძიებანი” კრებული მეექვსე, თბილისი, 2002 წ.

II. ახალსამოციქულო ეკლესია

საქართველოს ისედაც საკმაოდ ჭრელ სარწმუნოებრივ რუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი რელიგიური მიმდინარეობა - "ახალსამოციქულო ეკლესია". თავისი მოძღვრებითა და კულტით იგი პროტესტანტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება და ჩვენში გერმანიიდან შემოვიდა. გასული წლის მარტში ერთი წელი შესრულდა საქართველოში მათ მიერ ჩატარებული პირველი ქადაგებიდან...

ჩემს შეკითხვაზე - თუ რას შეიძლება მივაწეროთ ახალსამოციქულო ეკლესიის გამოჩენა საქართველოში, იმას ხომ არა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ან სხვა არსებული კონფესიები სათანადოდ ვერ უძღვებიან თავიანთ მოვალეობას და

ადგილობრივი ქრისტიანები ვერ ცხოვრობენ სათანადო რელიგიური სულიერებით? - ჩვენს რესპუბლიკაში ახალსამოციქულო ეკლესიის მისიონერებმა უარყოფითად მიპასუხეს.

განმეორებით, უკვე დაჟინებით და პირდაპირ დასმულ კითხვაზე _ მათ მიერ ქრისტიანული მოძღვრების სპეციფიკური ქადაგება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე მართლმადიდებელი მრევლის წიაღში ხომ არ ნიშნავს "სხვის ჯამში ცხვირის ჩაყოფას," "რელიგიურ ხელყოფას , სხვაგვარად, მორწმუნეთა თავის მხარეზე გადაბირებას, რის გამოც ადრეულ საუკუნეებში სასტიკად ისჯებოდნენ? მათ მიპასუხეს თავიანთი პირველი მოციქულის რიჰარდ ფერის სიტყვებით: "ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთვის რაიმეს წართმევას, პირიქით, ჩვენ იქით ვაძლევთ ადამიანებს იმედს. ჩვენ მოგვაქვს მათთვის ღვთიური სამყარო და იესოს აღთქმა: მოვიდეს ჩვენთან აღდგომის დღეს და დაამყაროს ათასწლოვანი მეუფება; ჩვენ ვესწრაფვით დიალოგს, ამასთან თავს ვიკავებთ რაიმე გამოთქმებისაგან, რომლებიც ეხება ადამიანთა პოლიტიკურ ან რელიგიურ რწმენას".

ცხადია, ამ პასუხმა ნაკლებად დამაკმაყოფილა, არც ჩემი ეჭვები გაფანტა ბოლომდე, მაგრამ მეტს აღარ ჩავკითხვივარ, რადგანაც ისედაც ნათელი იყო, რომ როდესაც ადამიანებს ხსნის ერთ გზას სთავაზობ, მათ სხვა გზაზე ხელის აღებას ურჩევ; როდესაც საკუთარ სამლოცველოში ეპატიჟები, თავისი ტაძრის უარყოფისაკენ მოუწოდებ. ტყუილად როდი ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე: "თუ გინდა, რომ საკუთარი რწმენა განამტკიცო, სხვისი უნდა დაამცირო."

1. ცოტა რამ ისტორიიდან

ჩვენში ცოტა ვინმემ თუ იცის ახალსამოციქულო ეკლესიის წარმოშობის, მისი ისტორიის, მოძღვრებისა თუ საკულტო მხარის შესახებ. ცნობილია, რომ იგი პირველად მხოლოდ XIX საუკუნის პირველ მესამედში გამოჩნდა ინგლისსა და გერმანიაში. მაგრამ მის წარმოშობას სხვა საფუძველი და პრეისტორია ჰქონდა. როგორც ახალსამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, მართალია, რეფორმაცია (რომელიც გერმანიაში ლუთერმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო) და მისი თანამდევი რელიგიური ბრძოლები მოასწავებდა მკვეთრ შემობრუნებას ქრისტიანობის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა ცდას, დაბრუნებოდნენ თავდაპირველ, ჭეშმარიტ ეკლესიას, მაგრამ მოციქულობა, როგორც ინსტიტუტი, რომლის მეოხებითაც შეიქმნა და დაფუძნდა ქრისტიანული ეკლესია, ამ მოვლენის შემდეგ არ იქნა აღდგენილი.

მათივე გადმოცემით, რეფორმაციის ამ ნაკლს ნათლად და მტკივნეულად განიცდიდნენ და შეიგრძნობდნენ ჭეშმარიტი მორწმუნენი, რომლებიც გულმხურვალედ შესთხოვდნენ უფალს, დაებრუნებინა მათთვის ის სულიერი ჯილდოები, რომლებიც ღმერთმა უბოძა ადამიანებს და რომლებიც დროთა ვითარებაში მათ დაკარგეს. და აი, უფალმა, როგორც იქნა, ისმინა მათი ვედრება და ინგლისში, კერძოდ, ოლბერსა და ლონდონში აღდგენილ იქნა ქრისტიანული ეკლესია თავდაპირველი სახით. ასეთი აღორძინება მოხდა სულიწმინდის ახალი

გარდმოვლენის შედეგად და იმდროინდელი ამბებისა თუ მომავლის შესახებ მორწმუნეთა წინასწარმეტყველების მეოხებით. აღსანიშნავია, რომ ეს წინასწარმეტყველებები ხდებოდა უცხო ენაზე, რომელიც თავდაპირველად არავის ესმოდა. უფალმა თავისი ნება განაცხადა სხვადასხვა გამოცხადებით და ავადმყოფთა განკურნებით. სულიწმიდის ეს გიგანტური ქმედებები, - აგრძელებენ თავიანთ აზრს ახალსამოციქულო ეკლესიის მიმდევრები, - დიდი მადლიერებითა და რწმენით აღიქვეს ნათელმოფენილმა ღვთისმსახურებმა და სხვადასხვა ეკლესიისა თუ რელიგიური თემის წევრებმა. თავისი დამოწმებით ისინი აღაფრთოვანებდნენ ირგვლივ მყოფთ, ზოგჯერ მთელ სამწყსოებს, რათა ისინი გამოხმაურებოდნენ ღვთის მიერ მოცემულ ნიშანს. ასე ერთიანდებოდნენ მორწმუნე ადამიანები სამწყსოებში. მათი უწმინდესი მისწრაფებანი მიმართული იყო ღმერთის მიერ ხელახლა ნაბოძები მადლის და სულიწმიდის ხელახალი გარდმოვლენისაკენ, რაც ნაანდერძევია საღმრთო წერილში “გვიანდელი წვიმის" სახით...

ახალსამოციქულო ეკლესიის მესვეურთა მტკიცებით, ამ ვედრების განსახორციელებლად ღმერთმა ადამიანებს მოუვლინა მოციქულები. 1832 წლის 31 ოქტომბერსა და 7 ნოემბერს მძლავრი წინასწარმეტყველების შედეგად გამომჟღავნდა პირველი მოციქული - ჯონ ბეიტს კარდეილი ლონდონიდან. ამის შემდეგ, 1835 წლამდე ღმერთმა უხმო დანარჩენ 12 მოციქულსაც. სულიწმიდამ თავისი წინასწარმეტყველებით ნათელი მოჰფინა მოციქულთა მაღალ დანიშნულებას და ვინაიდან მოციქულები ისევე, როგორც ადრინდელ ქრისტიანობაში, წარმოადგენდნენ პირველ და უმაღლესი თანამდებობის პირებს სულის ხსნის საქმეში, რომლებსაც უნარი ჰქონდათ ლოცვით და ხელის შეხებით გადმოეცათ ადამიანებისთვის სულიწმიდის ძალა, მათ უნდა დაენიშნათ სხვა სასულიერო პირებიც.

სულიწმიდის მადლით მოფენილმა პირველმოციქულმა კარდეილმა ჯერ კიდევ 1832 წლის დეკემბერში დაიწყო პირველი სასულიერო პირების დანიშვნა. თანდათანობით, ღვთის სურვილის შესაბამისად, მან დანიშნა: ევანგელისტები, მოძღვრები, წინასწარმეტყველები, ეპისკოპოსები, ხუცესები, მღვდლები და დიაკვნები, მათ განემარტათ თანამდებობრივი მოვალეობანი, დაევალათ ზრუნვა სამწყსოებზე, რათა გაემრავლებინათ ისინი. ასეთი გზით შეიქმნა რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსით თავდაპირველ ეკლესიას მოგვაგონებდა.

ახალსამოციქულო ეკლესიის ჩამოყალიბების მომდევნო ეტაპი გახდა 1835 წელს ღვთის მიერ ნაკურთხი მოციქულების შეკრება ალბარში. აქ მათ იდღესასწაულეს კურთხევის წლისთავი და დასახეს გეგმები ახალი მაღალი ამოცანების შესასრულებლად.

როგორც შეკრების მონაწილენი გადმოგვცემენ, ალბარში ისინი ყოველდღე ატარებდნენ ერთობლივ ღვთისმსახურებას, რისთვისაც გამოყოფილი ჰქონდათ ლოცვის საათები. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ ჩასწვდომოდნენ ღვთის სურვილს, დაწვრილებით სწავლობდნენ საღმრთო წერილს, ითვალისწინებდნენ ახალ ღვთაებრივ გამოცხადებებსაც. მსოფლიოს ქრისტიანული სამყაროს საერო და სასულიერო ხელმძღვანელებს მოუმზადეს და დაუგზავნეს ეპისტოლე სამოციქულო

დამოწმების სახით. ასეთი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ მათ გაშალეს მუშაობა ჯერ წინასწარმეტყველებით მინიშნებულ ადგილებში, ხოლო 1847 წლიდან უკლებლივ ყველა არსებულ სამწყსოში დაიწყეს სულიწმიდით იმ სულების აღბეჭდვა, რომლებიც კი ამისთვის მზად იყვნენ.

ახალსამოციქულო ეკლესიის გერმანელი წარმომადგენლების მტკიცებით, პირველი მოციქულები ინგლისში დიდი ენერგიით იღწვოდნენ, რათა სათანადო დონეზე მიეწვდინათ ღვთის სიტყვა ქრისტიანი ხალხებისთვის; მაგრამ თანდათანობით, რამდენიმე მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, ხარვეზებმა იჩინა თავი. 1860 წლისათვის პირველმოციქულისა და თორმეტი მოციქულისაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ ექვსი. ისინი, ბუნებრივია, სათანადოდ ვეღარ უძღვებოდნენ დაკისრებულ საქმეს. ამიტომ ღმერთმა 1863 წელს მოუწოდა მოციქულებს და მათ სამწყსოებს გერმანიაში, ხელში აეღოთ ღვთის საქმე და გაეგრძელებინათ იგი. გერმანელთა აზრით, ინგლისელი მოციქულები შეცდნენ იმაში, რომ უარყოფდნენ მოციქულთა რანგში აყვანის ახალი მოწოდების შესაძლებლობას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოესწრებოდნენ ქრისტეს ამქვეყნად მეორედ მოვლინებას. ასეთმა პოზიციამ ახალსამოციქულო ეკლესია მიიყვანა განხეთქილებამდე და მის წიაღში ორი შტოს აღმოცენებამდე. აქედან ინგლისური შტო უკანასკნელი ადგილობრივი მოციქულის გარდაცვალებასთან ერთად სრულიად ჩაკვდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღარავინ დარჩა, ვინც სულიწმიდით აღბეჭდვას მოახდენდა, ან ვინც სასულიერო პირებს სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნავდა. სამაგიეროდ, უკეთ წავიდა საქმე გერმანიაში. ღმერთმა კეთილგანწყობით მიიღო გერმანელ მოციქულთა საქმიანობა და ამიტომ ღვთის საქმე მათ მიერ წარმატებით გავრცელდა როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

ამჟამად, ახალსამოციქულო ეკლესიის პირველმოციქულია რიჰარდ ფერი, რომლის რეზიდენცია შვეიცარიაშია. მის გარდა მსოფლიოში მოღვაწეობს 200-ზე მეტი მოციქული. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მორწმუნეთა რაოდენობა 8 მილიონამდეა. ახალსამოციქულო ეკლესია მიიჩნევს, რომ მისი ვალია, დაასრულოს ღვთის ნაკარნახევი საქმე და სულიწმიდით აღბეჭდოს დარჩენილი უკანასკნელი სულები.

2. მოძღვრება

“ახალსამოციქულო ეკლესია. რა არის ეს?" - ამ სახელწოდებით ციურიხში დაიბეჭდა და მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა დოკუმენტი, რომელშიც მოკლედ არის ჩამოყალიბებული ახალი მიმდინარეობის ძირითადი დოგმატები. ეს დოკუმენტი ქართულ ენაზეც არის თარგმნილი. ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრების ნათლად წარმოსადგენად აჯობებს სრულად მოვიყვანოთ იგი, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე გამართული ქართულით არის თარგმნილი: პირველმოციქულთა თანადროულ თემთა მსგავსად.

ახალსამოციქულო ეკლესია ქადაგებს ქრისტესა და მის მოციქულთა ჭეშმარიტ მოძღვრებას.

ახალსამოციქულო ეკლესია წარმოიშვა სამოციქულო მსახურების აღდგენის შედეგად.

ახალსამოციქულო ეკლესია თავის ამოცანას ხედავს უშუალოდ სულის გადარჩენაში და სახარების ქადაგებაში.

ახალსამოციქულო ეკლესია თავს იკავებს ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობისგან, თანახმად ქრისტეს სიტყვებისა - "მეფობა ჩემი არაამქვეყნიურია".

ახალსამოციქულო ეკლესიას ბუნებრივად მიაჩნია, რომ მის წევრებს ახსოვთ ქრისტეს სიტყვები: "მიეცით კეისარს კეისრისა!" და ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას. ყოველ ახალმოციქულურ ქრისტიანს უფლება აქვს, მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალსამოციქულო ეკლესია თავისი ყოველი წევრისგან ელის საზოგადოებაში, ოჯახში თუ სამსახურში თავის თავზე აღებულ, თუ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა მიმართ კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას.

ახალსამოციქულო ეკლესია არ იღებს შენატანებს ან საეკლესიო გადასახადებს და არ ელის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსაგან. ყველა ხარჯი, მათ შორის ახალ ტაძართა მშენებლობისათვის, იფარება მის წევრთა ნებაყოფლობითი შემოწირულობით.

ახალსამოციქულო ეკლესია მთელს მსოფლიოში აერთიანებს ახალსამოციქულო თემებს. მთავარი ახალსამოციქულო ეკლესიისათვის არის პირველმოციქული, რომელსაც ყველა საეკლესიო საქმეში ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა. მისი რეზიდენცია იმყოფება ციურიხში (შვეიცარია). ახალსამოციქულო მრევლი, იქნება ეს ქვეყნის თუ რეგიონის, წარმოქმნის სამოციქულო ოლქს, რომელსაც ხელმძღვანელობს საოლქო მოციქული. საოლქო მოციქულის დავალებით ცალკეულ ადმინისტრაციულ სამრევლო ერთეულებს სათავეში უდგანან, ხელმძღვანელობენ მოციქულები, ეპისკოპოსები ან რაიონის ზედამხედველები. ყოველი მრევლის საქმეებს მართავს ზედამხედველი, რომელიც აღჭურვილია მღვდელმსახურის ხარისხითა და უფლებამოსილებით. მღვდელმსახურებს წარმოადგენენ: ეპისკოპოსები, პრესვიტერები, მოძღვრები, ევანგელისტები და მქადაგებლები. მათ ეხმარებიან დიაკვნები და უმცროსი დიაკვნები, რომლებიც მრევლის ყოველი წევრის სულზე ზრუნავენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ბავშვებზე და მოზარდებზე ზრუნვას.

ისევე, როგორც პირველსამოციქულო ეკლესიაში, მღვდელმსახურები აქაც არიან სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოსული, ყოველგვარ რელიგიურ განათლებას მოკლებული ადამიანები. ისინი ასევე სხვადასხვა პროფესიის მქონენი არიან. სამსახურს ეწევიან უანგაროდ - გამონაკლისები აქ, ამ მხრივ, ძალიან ცოტაა.

ახალსამოციქულო ეკლესიამ, ისევე, როგორც პირველმოციქულთა დროს, იცის სამი წმინდა საიდუმლოება: წყალკურთხევა, წმინდა სული, წმინდა ზიარება.

წმინდა წყლით ნათლისღება პირველი ნაბიჯია ღმერთთან მიახლოების, მასთან შეერთების გზაზე. მოციქულის დავალებით ის შეიძლება ჩატარდეს მღვდელმსახურის მიერ.

წმინდა სულთან ზიარება - ეს არის წმინდა სულის მიღება მოციქულის წევრის ხელშეხების მეშვეობით.

წმინდა ზიარება იდღესასწაულება ყოველ კვირა დღეს. მას წინ უძღვის ცოდვათა მონანიება იესო ქრისტეს სახელითა და მოციქულის დავალებით.

გარდა ამისა, ახალსამოციქულო ეკლესიაში ლოცვა -კურთხევა სრულდება კონფირმაციის, ჯვრისწერის, დანიშვნის და ჯვრისწერის იუბილეებთან დაკავშირებით. ყოველივე ამის, ისევე, როგორც პანაშვიდის გადახდა ეკისრება მღვდელმსახურებს. მშობლების სურვილით ლოცვა -კურთხევის წეს-ჩვევა შეიძლება შესრულებულ იქნას ბავშვზე ჯერ კიდევ დაბადებამდე.

ახალსამოციქულო ეკლესიის ქრისტიანებს სწამთ:

“ყოვლისშემძლე ღმერთის, რომელმაც შექმნა ქვეყანა და სუფევს მარად, სულის უკვდავების, სიცოცხლის არსებობისა ამ ქვეყნად სიკვდილის შემდეგ, ადამიანის თავისუფლებისა, მისი არჩევანისა - იწამოს თუ არა ღმერთი. ღვთის აღთქმის, ყოველი ადამიანის შესაძლო გადარჩენის შესახებ. ღვთის გადაწყვეტილებისა, რომ შეუნდობს და დაიფარავს ცოდვის ჩამდენს. ღმერთის გამოცხადებისა, მისი შვილის იესოს კაცის სახით მოვლენისა. ღვთის შვილის ჯვარზე გაკვრისა, თავისი თავის მსხვერპლად შეწირვისა, რითაც იესომ მისცა ხალხს საშუალება ღმერთთან შერიგებისა. ქრისტეს აღდგომისა და ამაღლებისა და მისი მითითება (ბრძანება) იქადაგონ მოციქულებმა ქრისტეს მოძღვრება და სახარება. წმინდა სულის მიღებისა მოციქულთა საშუალებით, როგორც წინაპირობა მამა ღმერთისა და მისი ძის(ძე ღვთისა) ერთიანობისა. ქრისტეს მოსვლისა, პირველის აღდგომისათვის, როცა ის წაიყვანს ყველა იმათ, ვინც იცხოვრა იესოს მოძღვრებით (იოანე 14,3). იესო ქრისტეს მიერ ათასწლოვანი მშვიდობიანი სამეფოს შექმნისა, სადაც ყველა ადამიანს საიქიოს და სააქაოს ექნება სიკეთე ბოროტების მოსპობის შედეგად. განკითხვის დღისა, როცა ყველას, ვინც არ მონაწილეობდა პირველ აღდგომაში, განკითხული იქნება თავისი საქმით. შეწყალებისა ღმერთთან მუდმივი სიახლოვის გზით."

3. ახალსამოციქულო ეკლესია საქართველოში

ახალსამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1994 წლის მარტში გამოჩნდნენ. მანამდე ისინი უკვე მოღვაწეობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში - მოსკოვიდან დაწყებული, ციმბირითა და იაკუტიით დამთავრებული, უკრაინაში, ყაზახეთში, ლიტვაში, ესტონეთში და სხვა. 1992 წლის 10 იანვარს ახალსამოციქულო ეკლესია რეგისტრირებულ იქნა აზერბაიჯანში. ამავე წლის 22 იანვარს იუსტიციის მინისტრმა ორუჯევმა ჩრდილოეთ რაინ - ვესტფალიის მიწის მოციქულს კლაუს დიტერ კიონიგს, რომელიც ხელმძღვანელობს მისიონერულ საქმიანობას

აზერბაიჯანში, გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა. ამჟამად ბაქოში ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართება ღვთისმსახურება. 1992 წლის მარტ-თებერვალში აქ სულიწმიდით აღბეჭდილ იქნა 83 სული.

ნებისმიერ ქვეყანაში ახალსამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლების შესვლისა და გავრცელების სცენარი საოცრად ჰგავს ერთმანეთს. მათი აქტივისტები შემთხვევით გაიცნობენ ხოლმე ამა თუ იმ ქვეყნის რომელიმე მოქალაქეს, მისი მეშვეობით ამყარებენ კავშირს ადგილობრივ საზოგადოებასთან და ასე ავრცელებენ თავიანთ რჯულთმოძღვრებას. ასე მოხდა, მაგალითად, სომხეთში, სადაც 1990 წელს ახალსამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მივლინებით იყო ერევანში. აქ მან გაიცნო პიროვნება, რომელსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა თავის ქვეყანაში და ფლობდა გერმანულ ენას. შემდეგში, 1992 წელს, ამ პირმა ერევანში ძალზე სტუმართმოყვრულად მიიღო მოციქული ბერნდ კლიპერტი და ევანგელისტი ფლასნეკერი. გერმანელმა სტუმრებმა ისარგებლეს ამ კავშირით, იმოგზაურეს სომხეთში და მომხრეებიც გაიჩინეს. მათ შორის აღმოჩნდა იმ მანქანის მძღოლიც, რომელიც მოგზაურობაში თან ახლდა. იგი შემდეგში ახალსამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. მათ აქტივში შევიდა ლინგვისტი პროფესორი ქალი, რომელიც გერმანიაში მოგზაურობისას გაიცნეს ამ ეკლესიის წარმომადგენლებმა და სხვა. როგორც მოციქული კუსერლოუ წერდა: “ამ დაქუცმაცებული და დაგლეჯილი ძაფებისაგან ღვთაებრივი გარკვეულობით მოიქსოვა შესანიშნავი ქსოვილი, მხსნელი საქმისა სომხეთის მისიონერულ ქვეყანაში. ჩვენ მადლობელი ვართ ციური მამისა, რომლის საქებრადაც აღვავლენთ ლოცვას." ახალსამოციქულო ეკლესია სომხეთში რეგისტრირებულია 1994წელს.

საქართველოში ასეთივე ფუნქცია შეასრულა გერმანისტმა ზაზა კორსაველმა, რომლის ხელშეწყობითაც 1994 წლის მარტში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სალექციო დარბაზში, რომელიც მათ იქირავეს (შემდეგში იგი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გადაიტანეს), გაიმართა პირველი წირვა - ლოცვა. მრევლი გასაგები მიზეზების გამო თავდაპირველად ძალზე მცირე იყო. ის შედგებოდა უმეტესად გერმანული კულტურით დაინტერესებული პირებისგან, შემთხვევით შემოსწრებული ცნობისმოყვარე ადამიანებისაგან, რომელთაც ყველგან შეხვდებით, ახალგაზრდებისაგან, რომელთაც უცხოელებთან ურთიერთობა იტაცებთ და ცუდი ყოფისა და უკიდურესი გაჭირვებისაგან თავმობეზრებული პირებისაგან, რომელთაც აღარ იციან, რა მოიმოქმედონ ან ხსნის რომელ ნაპირს მიადგნენ.

შემდგომში მათ შეკრებებზე ხალხმა იმატა. უფრო გვიან გამოჩნდნენ ახალსამოციქულო ეკლესიის მიერ მონათლული პირებიც. იმავე წლის ბოლოს სომხეთში და შემდეგ საქართველოში იმოგზაურა ამ ზონის მოციქულმა ბერნდ კლიპერტმა, რომელმაც ღვთისმსახურებასთან ერთად ნათლობაც შეასრულა. ღვთისმსახურებისას უხვად რიგდება სხვადასხვაგვარი ლიტერატურა, ლოცვები, საგალობლები, ფოტოები. ყველაფერი ეს ხდება გერმანულ, რუსულ, ინგლისურ ენებიდან მთარგმნელთა გამოყენებით. ბევრი ბროშურა და ლოცვა გადმოთარგმნილია ქართულ ენაზეც.

შავ კოსტუმებში, თეთრ პერანგებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული ახალსამოციქულო ეკლესიის ღვთისმსახურები მუსიკალური

ინსტრუმენტების თანხლებით წარმართავენ ლოცვა-ვედრებას, ქადაგებას და სხვა რელიგიურ რიტუალებს. ჩამოსული მქადაგებლები შესაშური ენერგიით ამყარებენ კონტაქტს მოსახლეობასთან, დადიან ოჯახებში, ნათლავენ ბავშვებს, ცდილობენ ფართოდ გაავრცელონ თავიანთი მსოფლმხედველობა.

რაოდენობით ისინი, რასაკვირველია, ძალზე ცოტანი არიან, მაგრამ, მათი თქმით, თავდაპირველად იესო ქრისტესაც ძალიან ცოტა მომხრე ჰყავდა და მან ხომ ასეთი უზარმაზარი რელიგია შექმნა.

როგორც კი შეაგროვებენ მორწმუნეთა სათანადო რაოდენობას საქართველოში და საჭირო დოკუმენტაციას გააფორმებენ, ისინი აპირებენ, თხოვნით მიმართონ მთავრობას ოფიციალური რეგისტრაციის შესახებ, როგორც ეს სხვა რესპუბლიკებში გააკეთეს.

რა გამოვა ამ წამოწყებიდან, ახლა ძნელი სათქმელია. დამკვიდრდება თუ არა კიდევ ერთი უცხო რელიგიური მიმდინარეობა ადგილობრივ გაწამებულ, გასავათებულ და შეჭირვებულ მოსახლეობაში, ამის წინასწარმეტყველება აშკარად მიძნელდება. ჩემი აზრით, ეს სხვა ფაქტორებთან ერთად ალბათ იმაზეც იქნება დამოკიდებული, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ასე უხმოდ და უბრძოლველად დაუთმობს თუ არა მათ თავისი მრევლის ნაწილს, როგორც ეს ადრე არაერთხელ მომხდარა.

გაზეთი “კავკასიონი” 21. 03. 1995 წ.

ჟურნალი “პოლიტიკა” #1-2, 1996 წ.

III. მოციქული ბერნდ კლიპერტი საქართველოში

საქართველოს რელიგურ რუკაზე ახალი კონფესიის - “ახალსამოციქულო ეკლესიის"- გამოჩენის შესახებ ჩვენ ერთხელ უკვე ვწერდით გაზეთ “კავკასიონში" (21. 03. 1995 წ.) და ჟურნალ "პოლიტიკაში"(#1-2, 1996 წ.). სადაც აღვნიშნავდით, რომ ეს ქრისტიანული მიმდინარეობა თავისი მოძღვრებით და კულტით პროტესტენტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება და რომ იგი ჩვენში 1994 წლის მარტში შემოვიდა გერმანიიდან.

“ახალსამოციქულო ეკლესია" XIX საუკუნის პირველ მესამედში წარმოიშვა ინგლისში, შემდეგ გადავიდა გერმანიაში, აქედან კი გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ეს მიმართულება იყო კიდევ ერთი ცდა, ქრისტიანული ეკლესია დაბრუნებოდა თავის თავდაპირველ სახეს, განთავისუფლებულიყო გვიანდელი დანაშრევებისაგან

და, პირველ რიგში, აღედგინათ “მოციქულობა", როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი ქრისტიანობისათვის, როგორც ეს იესოს დროს იყო და რის აღდგენაც რეფორმაციამაც კი ვერ მოახერხა.

“ახალსამოციქულო ეკლესია" დღეისათვის უკვე გარკვეულ ძალას წარმოადგენს. მას მსოფლიოში 8 მილიონამდე მიმდევარი ჰყავს. ამჟამად მთელი დედამიწა დაყოფილია სამოციქულოებად, ხოლო მისი მისიონერები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მოქმედებენ, აქტიურად ცდილობენ თავისი მოძღვრების გავრცელებას. საქართველო, ისევე, როგორც სომხეთი, ბრაზილია და ალბანეთი ბერნდ კლიპერტის სამოციქულოში შედის. და აი, მოციქული თავის სამწყსოს 1995 წლის მიწურულს მეორედ ეწვია.

ეს ჩვენი მეორე შეხვედრა იყო. პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, რომელიც თბილისში “ახალსამოციქულო ეკლესიის" სამლოცველოში შედგა მარჯანიშვილის მოედანზე, მეორე, ფილარმონიის პირდაპირ მდებარე პატარა სასტუმრო “მუზაში" გაიმართა. ჩამოსულთა შორის თვით მოციქულ ბერნდ კლიპერტის გარდა იყვნენ მღვდელი ფრანკ შაუერტე და მათი სტუმარი, აწ გადამდგარი (პენსიაზე მყოფი) მოციქული კუსელროუ.

მაგიდასთან, რომელთანაც ჩვენ ვისხედით, მოიტანეს ყავა, მოციქული თვითონ ეწეოდა და მეც შემომთავაზა სიგარეტი “ელემი". ყოველივე ეს ნიშნავდა იმას, რომ “ახალსამოციქულო ეკლესია", რომელსაც იგი წარმოადგენდა, არ აწუხებს თავის მრევლს ათასგვარი შეზღუდვებით და მკაცრი რეგლამენტაციით, იზუვერული წესებით თუ ფანატიზმით, რაც ესოდენ დამახასიათებელია ბოლო ხანს მთელ მსოფლიოში და ჩვენშიც გავრცელებული ბევრი რელიგიური მიმდინარეობისათვის, რომ იგი დემოკრატიული, მარტივი და ადვილად მისაღებია ყველასათვის.

ჩვენი საუბარი ურთიერთმოკითხვისა და ურთიერთთავაზიანობის გამოჩენის შემდეგ უშუალოდ საქმეს შეეხო. მოციქული ბერნდ კლიპერტი საქართველოში ჩამოსვლამდე ბრაზილიაში იყო. იგი ბევრს ლაპარაკობდა ამ ვიზიტის შესახებ და ჩიოდა იქაური მოსახლეობის დაბალი სულიერების გამო. მისი თქმით, საქართველოში და სომხეთში განუზომლად მაღალია სულიერება, ხოლო ხალხის მენტალიტეტი დაახლოებით ისეთივეა, როგორც თვით გერმანიაში. ჩემი ნება რომ იყოს, თქვა მოციქულმა, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში ვიმუშავებდიო.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორი წარმატებები აქვს “ახალსამოციქულო ეკლესიას" საქართველოში იმ წელიწად-ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში, რაც იგი ჩვენში არსებობს, მოციქულმა მიპასუხა, რომ შედეგები მაინცდამაინც ძალზე დიდი და შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ მაინც არის. ესაა, პირველ რიგში, მონათლული რამდენიმე ათეული ადამიანი, შექმნილია გარკვეული აქტივი, მათ შორის არიან ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებიც მონაწილეობენ ახალი მოძღვრების და კულტის პროპაგანდაში, გახსნილი აქვთ სამი საკვირაო სკოლა ბავშვებისათვის ვერცხლის ქუჩაზე, ე.წ. “აფრიკაში" და სან-ზონაში. გარკვეულ დახმარებას უწევენ გაჭირვებულ ადამიანებს, დაინტერესებულ მოზარდებს თუ უფროსებს ურიგებენ რელიგიურ ლიტერატურას და ა.შ. როგორც თვით გერმანელებმა აგვიხსნეს, ისინი არ ჩქარობენ თავისი რჯულთმოძღვრების სწრაფ

გავრცელებას; ამჯობინებენ, რომ იყოს მცირე, მაგრამ თავის რწმენაში მტკიცედ დაჯერებული მრევლი, ვიდრე ბევრი, მაგრამ მერყევი ადამიანი. ჩვენ საერთოდ არა ვართ მრავალრიცხოვანი მიმდინარეობა მსოფლიოში და ალბათ არც ახლო მომავალში ვიქნებითო, დაასკვნა ბერნდ კლიპერტმა.

ნომერ პირველი ამოცანა “ახალსამოციქულო ეკლესიისათვის" საქართველოში, რასაკვირველია, ეს მისი დაკანონება და რეგისტრაციაა. აქამდე, მოციქულის თქმით, ამის საშუალებას არ იძლეოდა კონსტიტუციის მიუღებლობა. ახლა კი, ვინაიდან პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია და მასში არის მუხლი სინდისის თავისუფლების შესახებ, ეცდებიან, ეს პროცესი დააჩქარონ; საკანონმდებლო ორგანოები ჰპირდებიან მათ ამ საქმეში ხელის შეწყობას.

საქართველოში “ახალსამოციქულო ეკლესიის" მიერ მონათლულთა ეროვნული შემადგენლობა ჭრელია. მათ შორის არიან: ქართველები, რუსები, სომხები, გერმანელები და ა.შ. აქედან ზოგ მათგანს წმინდა რელიგიური მომენტი იზიდავს, ზოგს კი გაჭირვება და რაიმე დახმარების მიღების სურვილი უბიძგებს.

კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მათი მუშაობა მუსლიმ მოსახლეობასთან საქართველოში და მთელ კავკასიაში, ბერნდ კლიპერტმა მიპასუხა, რომ თავდაპირველად მუსლიმებთან მუშაობა ძალზე კარგი და შედეგიანი იყო, განსაკუთრებით აზერბაიჯანში, მაგრამ ბოლო წლებში, ყველგან აშკარად შეიმჩნევა ისლამის როლის გაძლიერება, პანისლამისტური იდეების პოპულარობა და ასეთ პირობებში ის ადამიანებიც კი, რომლებიც დაახლოებულნი იყვნენ “ახალსამოციქულო ეკლესიის" მისიონერებთან, ახლა ღიად გაურბიან მათთან კონტაქტს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, იქ იმდენად დაძაბული, რთული და სპეციფიკური ვითარებაა, რომ ჯერჯერობით ჩვენ არ გადაგვიდგამს რაიმე რეალური ნაბიჯი მუშაობის გასაშლელადო... სომხეთში, მოციქულის თქმით, დაახლოებით ისეთივე პრობლემებია, როგორც საქართველოში, იქაც დგას ჩვენი ეკლესიის დაკანონების და რეგისტრაციის საკითხი, რაც, ვფიქრობ, მალე დადებითად უნდა გადაწყდესო.

ჩვენი საუბარი შეეხო ეკუმენიზმსაც, სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიების გამაერთიანებელ მოძრაობას. როგორც ცნობილია, ეკუმენისტურ მოძრაობას დასაბამი ჯერ კიდევ 1910 წელს მიეცა ქალაქ ედინბურგში მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე. მისი მიზანი იყო, ქრისტიანული ეკლესია უფრო ეფექტურად დაპირისპირებოდა იმ დროისათვის საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ თავისუფალმოაზროვნულ და ათეისტურ იდეებს, განემტკიცებინა ქრისტიანული რწმენა. ეკუმენისტური მოძრაობა თავდაპირველად დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ამ მოძრაობამ ფართო ნაბიჯები გადადგა წინ. მის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს არა მარტო პროტესტანტულმა, არამედ სხვა მიმართულების ქრისტიანულმა ეკლესიებმაც.

ჩემი შეკითხვის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გამერკვია, თუ როგორ უყურებს შედარებით გვიან წარმოქმნილი "ახალსამოციქულო ეკლესია", ასევე საკმაოდ გვიან შექმნილ გამაერთიანებელ მოძრაობას. ჩემს ამ შეკითხვაზე

მოციქულმა მოკლედ მიპასუხა, რომ, სამწუხაროდ, ეკუმენიზმის ბევრი მონაწილე ამ მოძრაობაში საკუთარი რელიგიური ორგანიზაციების გამაგრებაზე და ინტერესებზე უფრო ზრუნავს, ვიდრე საერთო, გამაერთიანებელ იდეაზე. ამიტომ, მისი მისამართით ბერნდ კლიპერტს დიდი იმედები არ გამოუთქვამს.

ჩვენი შეხვედრის და მსჯელობის მთავარი თემა მაინც ეროვნულის და რელიგიურის ურთიერთმიმართების გარკვევა გახდა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ზოგადად ნებისმიერმა რელიგიურმა კონფესიამ, კერძოდ კი “ახალსამოციქულო ეკლესიამ", ამა თუ იმ ერის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. დაისვა კითხვა ე.წ. “ნაციონალური რელიგიების" შესახებ (მაგალითად დასახელდა იუდაიზმი), რელიგიურისა და ეროვნულის პირველადობის შესახებ და ა.შ.

ამ შეკითხვებმა მოციქულ ბერნდ კლიპერტის გაკვირვება გამოიწვია. მან მიპასუხა, რომ ის და მისი ეკლესია ცდილობენ ზეეროვნული პოზიციებით გამოვიდნენ და გაათავისუფლონ მორწმუნენი ნაციონალური შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობისაგან. რაზეც მე ვუპასუხე, რომ ზეეროვნული პოზიცია, სხვაგვარად ნეიტრალობა, ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში ისეთი ფუფუნებაა, რომლის უფლება ალბათ შეიძლება თავის თავს მისცეს დიდმა ერმა, დიდმა სახელმწიფომ, იმათ, ვისაც თავისი ეროვნული მეობა და სახელმწიფოებრივი ინტერესები დაცული და დაბალანსებული აქვთ. მაგრამ ასეთი ფუფუნების უფლება აშკარად არა აქვთ პატარა ერებს, რომლებიც იბრძვიან თავისი ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის და რომ, რელიგია ამ საქმეში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და მომავალშიც უნდა შეასრულოს; რომ იგი იყო და არის ის დროშა, რომლის ირგვლივაც ირაზმებოდა მთელი ერი.

ბერნდ კლიპერტმა ყურადღებით მოისმინა ჩემი მოსაზრება და მიპასუხა, რომ იცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მის თანამედროვე პრობლემებს და კარგად ესმის ის, რასაც მე ვამბობ, მაგრამ ამით თავისი სათქმელი ამოწურა, რადგან “ახალსამოციქულო ეკლესიის" მოძღვრება ამ საკითხების შესახებ არაფერს ამბობს.

მოციქული ბერნდ კლიპერტი დაახლოებით ორმოცი წლის, მაღალი, წარმოსადეგი და სიმპათიური მამაკაცია. იგი უფრო მეტად სპორტსმენს ჰგავს, ვიდრე სასულიერო პირს. მოციქული ძალზე გასაგებად და გონივრულად მსჯელობს, კარგად ერკვევა თეოლოგიის საკითხებში. ერთი სიტყვით, იგი “ახალსამოციქულო ეკლესიის" ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. მხოლოდ ეს არის, რომ ჩვენი საუბარი გერმანულად მიმდინარეობდა და იესოს იმ თორმეტი მოციქულისაგან განსხვავებით, რომლებზედაც სულიწმიდა იყო გადმოსული და სხვადასხვა ენებზე შეეძლოთ ქადაგება, მოციქული ბერნდ კლიპერტი ქართულად ვერ ლაპარაკობს...

გაზეთი “ლიტერატურული საქართველო”

19-26 იანვარი, 1996 წ.

IV. კრიშნაიზმი

“ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა, ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა." - ასეა ნათქვამი ბიბლიაში, მაგრამ ახლა პოპულარულია არამზადების ფილოსოფია, რომლებიც აცხადებენ, რომ თითოეული არის ღმერთი და მაშ რატომ იყოს ის ღვთის მოშიში და მორჩილი?

შრილა პრაბჰუპადა

მე მათ აღვუთქვი, რომ მხოლოდ სიმართლეს დავწერდი. მხოლოდ შიშველ ფაქტებს, შეულამაზებელ ამბებს აღვწერდი. თუმცა, არც ის დამიმალავს, რომ ჩემს შეხედულებებსაც მათი მოძღვრების შესახებ დაუფარავად გამოვთქვამდი. ვაიშნავთა ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც ჩემთან სრულიად შემთხვევით, თავიანთი რელიგიური წიგნების გასავრცელებლად მოვიდა და შემდეგ საუბარში ჩაება, ამ ამბავს მოწონებით და იმედით შეხვდა. მეორე ნაწილი კი, რომელსაც თავის თავზე ჰქონდა გამოცდილი საბჭოთა ხელისუფლების “ზრუნვის" მთელი “მშვენიერება", აკრძალვა, დევნა და ციხეებში ჯდომაც, ამ დაპირებას სკეპტიკურად შეხვდა.

ისინი აღელვებულნი ლაპარაკობდნენ თავის პრობლემებზე, იმ უსამართლო დევნაზე, რომელსაც მიმართავდნენ მათი ორგანიზაციის მიმართ არა მარტო ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ უკანასკნელ ხანს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნიც.

იმ დროისათვის, მე ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცოდი “კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" შესახებ. წაკითხული არ მქონდა მათი მოძღვრების უმთავრესი წიგნები. ჩემთვის გაუგებარი იყო ის ზეაწეული, აღტყინებული ტონი, ის ენთუზიაზმი და თავისი მოძღვრების უპირატესობის რწმენა, რომელსაც ისინი დაუფარავად და ხაზგასმით გამოთქვამდნენ. ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებით მათი აღგზნებული ენთუზიაზმი მივამსგავსე პირველ ქრისტიანთა ენთუზიაზმს, ხოლო მე, როგორც გვიან მივხვდი, ალბათ გამოვდიოდი რომაელი ხელისუფლის როლში, რომელიც გაოცებით უყურებდა პირველ ქრისტიანთა საოცარ მოქმედებას და მათი ქადაგება სრულ უაზრობად და სიმახინჯედ მიაჩნდა. მათი შემხედვარე გაკვირვებული ვფიქრობდი, თუ როგორ შეიძლებოდა მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილ კაცს ერთბაშად დაევიწყებინა თავისი რწმენა, მამაპაპური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ასეთ დონეზე ეერთგულა ჩვენთან ახლადმოვლენილი რელიგიური მოძღვრებისათვის.

გარეთ ოთხმოციანი წლების დასასრული იდგა, საბჭოთა კავშირში უკვე დაწყებული იყო გორბაჩოვისეული “პერესტროიკა", რომელმაც საფუძვლიანად, დადებითად შემოატრიალა დამოკიდებულება რელიგიისადმი. ფაქტობრივად აკრძალული და ფარულად მოქმედი რელიგიური ჯგუფები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ. რწმენისათვის დევნილი ადამიანები ციხეებიდან გაათავისუფლეს. უკვე

ნაკლებად იყო მათი ხელახლა დარბევისა და დაჭერის საშიშროება. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად შეიქმნა რელიგიის აღორძინებისათვის ხელსაყრელი სიტუაცია.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მიმდინარე სხვა პროცესებთან ერთად, ეროვნული მოძრაობაც იკრებდა ძალას, რომელსაც რელიგიური შეფერილობა ჰქონდა. ხშირად იმართებოდა მიტინგები, შიმშილობები, სხვადასხვა გამოსვლები. ძირითადად დომინირებდა იმპერიისაგან გამოყოფის და საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგები. მომიტინგეებისა და მოშიმშილეების უმრავლესობას სანთლები ეჭირა ხელში. რეფრენად ჟღერდა: "ჩვენთან არს ღმერთი!", რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ საქართველოში მიმდინარე ამბები, მომიტინგეთა აზრით, უფლის სასურველი საქმე იყო და ვინაიდან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა იყო, მასზე ღმერთი განსაკუთრებით ზრუნავდა. საქართველოს განთავისუფლების საქმეში ეროვნულ მოძრაობას მართლმადიდებელი ეკლესია დასაყრდენად მიაჩნდა. თავის მხრივ, აქამდე სხვებზე შევიწროებულმა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც ხმა ამოიღო, იგი ერთგვარად შეეცადა, დაეკავებინა ის პოზიცია, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე ეკავა - ეროვნული იდეოლოგიისა და ერის გამაერთიანებლისა. და ამ დროს, სხვა არატრადიციული რელიგიების გამოჩენამ, რომლებმაც მისი მორწმუნეების გადაბირება დაიწყეს, მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მალე თავი იჩინა ურთიერთდაპირისპირებების ფაქტებმა. რელიგიურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქამდე ურთიერთმტრობისაგან აკავებდა საერთო მტრის - ათეისტური მსოფლმხედველობის არსებობა, ახლა ეს წინაღობა მოეხსნათ და ისინი აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თითოეული მათგანი ხომ საკუთარ მსოფლმხედველობას და ცხოვრების წესს აცხადებდა ერთადერთ სწორ და ჭეშმარიტ გზად. ახალ პირობებში რელიგიურმა ორგანიზაციებმა დაუფარავად მიიტანეს იერიში ერთმანეთზე.

პირველ გაცნობას ჩემი პირველი მოწვევა და ვიზიტი მოჰყვა ვაიშნავთა სამლოცველოში. სამლოცველო ალბათ ძალზე ხმამაღლაა ნათქვამი. ცხადია, იგი ნაკლებად ჰგავდა ვაიშნავთა მიერ ინდოეთში - ბომბეიში, მაიპურში (კალკუტის მახლობლად) და ვრინდავანდში აშენებულ ტაძრებს, რომლებიც ათეულობით მილიონი დოლარი დაჯდა. მაშინდელი თბილისური სამლოცველო წარმოადგენდა მორწმუნეთა მიერ დაქირავებულ პატარა კერძო სახლს ვეძისის უბანში, რომელიც შემოსასვლელის, ორი ოთახისა და სარდაფისაგან შედგებოდა.

შესასვლელში ფეხსაცმელები გავიხადეთ. ოთახებში ნოხები იყო დაგებული. ისმოდა ინდური მუსიკა. წინა ოთახში შეგეძლოთ შეგეძინათ ვაიშნავთა წიგნები, ჟურნალები, კალენდრები კრიშნას გამოსახულებით, ინდური ვეგეტარიანული სამზარეულოს რეცეპტები, ქვემოთ კი, სარდაფში - მზადდებოდა “პრასადი", “ღვთის წყალობა", სპეციალური რეცეპტით შემზადებული საჭმელი, რომელიც ხორცეულის, თევზეულის, კვერცხისა და ვაიშნავთათვის აკრძალული სხვა პროდუქტების გარეშე იყო გაკეთებული და შედგებოდა ბრინჯის, ბოსტნეულის, უმეტესად ჭარხლის, სტაფილოსა და ხილისაგან. ხილისაგან იყო დამზადებული წვენიც. მეორე, უფრო მოზრდილ ოთახში თვით სამლოცველო იყო მოთავსებული. საკურთხეველზე ფარდა იყო ჩამოფარებული და იქვე იყო კრიშნას, პრაბჰუპადას და სხვა ჰურუების

სურათები. სამლოცველოში საკმევლის მძაფრი სუნი იდგა. ლოცვის დაწყების წინ ისმოდა ჩვეულებრივი საუბარი. რომელიღაც სტუმარი ცდილობდა ეკამათა “ერთგულებთან." როგორც გავარჩიე ბიბლიიდან მოტანილი სიუჟეტით ის ცდილობდა რაღაცის დამტკიცებას, გარკვეული პარალელების გავლებას. მეორე კუთხეშიც ისმოდა კითხვები, მასზე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი და პასუხები ... შემდეგ დაიწყო ლოცვა, რომელშიაც მონაწილეობდა მუსიკალური ინსტრუმენტები: ინდური გარმონი - ვინა, კარატალები (ხელის პატარა, სპილენძისაგან გაკეთებული თეფშები), მრიდანგი (დოლი), ლოცვას უძღვებოდა ერთ-ერთი ინიცირებული, როგორც შემდეგ ამიხსნეს, სოხუმიდან ჩამოსული ბერძენი, სახელად ადიტი, მასაც დხოტი (ინდური ტანსაცმელი) ეცვა, კისერზე კრიალოსანი ჰქონდა, ხელში მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა. იგი თავის ერთგულებს სთავაზობდა ქადაგების თემას, ლოცვის რიტმს, მანტრების წარმოთქმის რიგს, დანარჩენები მიჰყვებოდნენ მას. ლოცვა შედგებოდა ღვთის სახელის გაუთავებელი ხსენებისაგან:

“ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა,

კრიშნა, კრიშნა, ჰარე, ჰარე!

ჰარე რამა, ჰარე რამა,

რამა, რამა, ჰარე, ჰარე!”

ლოცვას თან სდევდა დამსწრეთა რიტმული ტაში. ერთგულები თანდათან ექსტაზში შედიოდნენ. მათი აღგზნებული სახეები სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა ...

მე დამაინტერესა ვაიშნავთა ეროვნულმა შემადგენლობამ. იგი საკმაოდ ჭრელი აღმოჩნდა. მათ შორის იყვნენ: რუსები, ბერძნები, სომხები, ნაწილი ქართველი იყო, თუმცა აქ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. მთავარი მათთვის კრიშნას უმაღლეს ღვთაებად აღიარება და თაყვანისცემა იყო.

გაკვირვებით ვუყურებდი ქართველ ჭაბუკებსა და გოგონებს, რომელთა წინაპრებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, როგორი თავდადებით, ენთუზიაზმითა და ერთგულებით ემსახურებოდნენ კრიშნას, მათთვის და მათი მამა-პაპისთვის უცხო რწმენას, ტრადიციებსა და ადათებს. საოცარი ის იყო, რომ კრიშნას თაყვანისცემით გართულები არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ იმას, რაც იმ დროს თბილისის ქუჩებში და საერთოდ, მთელ საქართველოში ხდებოდა. მათთვის ეროვნული მოძრაობა თითქოს საერთოდ არ არსებობდა. უფრო გვიან, ერთმა ერთგულმა, რომელიც 1990 წლის 23 ივნისს (მთვარის კალენდრით) სოხუმში გამართულ რათაიატრას დღესასწაულის შესახებ მიყვებოდა, მითხრა, რომ შეტაკება ჰქონდათ “არაფორმალებთან", რომლებიც მათ კოსმოპოლიტობას აბრალებდნენ. მისივე თქმით, მათთან ინდოეთიდან ჩამოსული იყო ჰურუ - ჰოპალა კრიშნა გოსვამი, რომელმაც არ გვირჩია საბჭოთა კავშირიდან გასვლა, სულერთია თქვენ რუსეთი არ

გაგიშვებთ და ამას დიდი სისხლისღვრა მოჰყვებაო. ჩემს შენიშვნაზე - ვაიშნავთა მოძღვრების გავრცელებისათვის ალბათ უკეთესია ერთიანი დიდი ქვეყანა იყოსთქო - ერთგულმა დადებითად მიპასუხა: “ამ ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ საჭიროა ვაიშნავას მოძღვრების გავრცელება და სწრაფადაც ვრცელდება კიდევაცო. ახლა ჩვენ არ ვჩანვართ, მაგრამ მომავალში გამოვჩნდებითო," - დაამატა მან.

შესვენებისას, ლოცვასა და ლოცვას შორის მოიტანეს პრასადი. ხელის წრიული მოძრაობით იგი ჯერ კრიშნას შესთავაზეს, მერე ჩვენ მოგვაწოდეს. არ დავმალავ, ძალზე უგემური მეჩვენა. დამამშვიდეს, შეუჩვეველი ხარო. დატოვებაც არ შეიძლებოდა. თუ დატოვებ, სახლში უნდა წაიღო და ფრინველებს უწილადოო. დიდი გაჭირვებით შევჭამე.

ლოცვა 4 საათს გაგრძელდა. ფეხზე წამომდგარმა მუხლები ძლივს გავმართე. ერთგულები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ქუჩაში ხალხს შეერივნენ. ვხედავდი, როგორი საოცარი უპირატესობის გრძნობით მიდიოდნენ, რადგან დღეს მათ კარგად ასიამოვნეს კრიშნა თავისი ლოცვით, ეს კი ერთგულის ყველაზე დიდი მოვალეობაა.

შთაბეჭდილებით დატვირთულმა მე დიდხანს ვიბორიალე ქუჩებში, ვეცადე, გავრკვეულიყავი ჩემს გრძნობებში, გამეანალიზებინა ახლახან ნანახი და განცდილი. ის ბიბლიური დებულება, რომ ამქვეყნად ყველაფერი ადამიანისთვის არის შექმნილი - ცხოველიც, ფრინველიც, მცენარეც, ადრევე მაფიქრებდა. ბევრი მიტეხია თავი ვაჟა-ფშაველაზე, მის მინდიაზე, მიფიქრია სულთა გადასახლების შესაძლებლობაზე. ის აზრი, რომ ცხოველებიც ისეთივე ნაწილი არიან ღმერთისა, როგორიც ადამიანები, ვაიშნავებთან კატეგორიულად ჟღერდა. ისინი ვერაფრით ვერ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ იესო ქრისტე ხორცს ჭამდა. მათი აზრით, ის, ვინც ხორცს ჭამს, წარმოადგენს მოსიარულე გასტრონომს, რომელიც შთანთქავს უამრავ ცხოველს, რომელთაც ადამიანივით სული გააჩნიათ და რომელიც წინა გარდასახვაში, შეიძლება, სულაც მისი ნათესავი ყოფილიყო.

მეორე მხრივ, თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ თუ ეს ასეა, მაშინ ღმერთი რატომ უშვებს იმას, რომ ერთი სახეობის ცხოველები მეორეთი იკვებებიან. ამასთან დაკავშირებით ასეთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ჩემმა მეგობარმა უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში შემიყვანა, სადაც ქვეწარმავლებზე ატარებდნენ ცდებს და მაჩვენა უზარმაზარი მახრჩობელა გველი. მის გვერდით გალიაში ცოცხალი კურდღელი იყო მოთავსებული. ჩემი მეგობრის თქმით, იგი მეორე დღეს უნდა ჩაეყლაპებინათ გველისათვის, რათა მისი შიმშილი კარგა ხნით დაეკმაყოფილებინათ. იმ დღის შემდეგ სულ იმ კურდღლის ბედზე ვფიქრობ...

უფრო გვიან მე წავიკითხე იური ნაგიბინის მშვენიერი მოთხრობა “პატარა ლურჯი ბაყაყის ნაამბობი", სადაც ლაპარაკია სულთა გადასახლებაზე. მოთხრობილია მომდევნო გარდასახვაში ბაყაყად ქცეული ადამიანის ტრაგედია, რომელსაც ადამიანური ცნობიერება შერჩა. მისი შეხვედრა ცოლთან, რომელიც შემდგომ ცხოვრებაში შვლად იქცა, მათი ურთიერთშეხვედრით გამოწვეული სიხარული და ბოლოს ორივეს საშინელი სიკვდილი. ერთისა ბრაკონიერების ტყვიით, მეორისა კი - ცეცხლზე შამფურზე აგებული მწვადის სახით. სულ ბოლოს

მწერლის მიერ გამოთქმული საყვედური ღმერთის მიმართ: “ვის სჭირდება სისასტიკე განწმენდის გარეშე? რა შეუძლია ასწავლოს მან მსოფლიო სულს? რას ფიქრობდა ღმერთი, როდესაც ჩამჩით ურევდა თავისავე ადუღებულ წვნიანს. თუკი შენ არ გინდა, ან არ შეგიძლია გაიმეორო იობის სასწაული, მაშინ, ღმერთო, განარიდე შენი ხელი სამყაროს, მხეცობა აქ უშენოდაც ეხერხებათ."

კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო. მე კიდევ დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ ვაიშნავთა მოძღვრებაში ასე თუ ისე გავრკვეულიყავი. ამ შეხვედრიდან რამდენიმე წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე უფრო საფუძვლიანად გავეცანი ვაიშნავთა სარწმუნოებას, მის რელიგიურ წიგნებს და ასევე იმ დოკუმენტებს მათ შესახებ, რომლებიც ჩემს ხელში სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით მოხვდა, მაგრამ ამაზე უფრო ქვემოთ. ახლა კი თვით “კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" შექმნის შესახებ.

1. ცოტა რამ ისტორიიდან

“კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" დამაარსებელი ე.ჩ. ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა დაიბადა 1896 წელს ინდოეთში, კალკუტაში. 1922 წელს იგი პირველად შეხვდა თავის სულიერ მოძღვარს, შრილა ბჰაქტისიდჰანტა სარასვატი გოსვამის. ეს უკანასკნელი ცნობილი მეცნიერი და მრავალი ვედური ინსტიტუტების დამაარსებელი იყო. შრილა პრაბჰუპადა მალე მისი მოწაფე ხდება. 1933 წელს იგი ინიცირებულ იქნა ქ. ალაჰაბადში. მომდევნო წლებში დიდ მუშაობას ეწევა ვედური სიბრძნის ინგლისურ ენაზე გავრცელებისათვის, წერს თავის კომენტარებს უძველეს ინდურ რელიგიურ წიგნებზე. 1944 წელს შრილა პრაბჰუპადა იწყებს ინგლისურენოვანი ორკვირეული ჟურნალის, “უკან, ღმრთეებასთან", გამოცემას (ჟურნალი დღესაც გამოდის დასავლეთში 50-ზე მეტ ენაზე).

1950 წელს იგი ტოვებს ოჯახს და სახლდება წმინდა ქალაქ ვრინდავანდში, სადაც ცხოვრობს ტაბარ რადჰა - დამოდარაში და ეწევა სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ცხრა წელი ვანაპრასთჰას (ოჯახიდან განდგომილის) წესით ცხოვრობდა, ხოლო 1959 წელს მან მიიღო სრული აღკვეცის აღთქმა (სანიასა), რის შემდეგაც იგი აგრძელებს მუშაობას “შრიმად - ბჰაგავიტამის" მრავალტომეულის თარგმანზე, სხვა ნაწარმოებებზე, თარგმანებსა თუ კომენტარებზე.

1965 წელს შრილა პრაბჰუპადა ჩადის აშშ-ში, ნიუ-იორკში. როგორც მისი ბიოგრაფოსები აღნიშნავენ, მას იმ დროისათვის არავითარი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ, მან მაინც შეძლო დაეარსებინა “კრიშნას ცნობიერების საზოგადოება". მის ქადაგებას ამერიკაში სრულიად მოულოდნელად დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი დარჩა ამერიკაში 1977 წლის 14 ნოემბრამდე. ამ დროის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით “კრიშნას ცნობიერების საზოგადოება" მსოფლიო გაერთიანებამდე გაიზარდა. მასში უკვე შედიოდა ასზე მეტი აშრამი, სკოლა, ტაძარი, ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ერთობა.

გარდა აშშ-სა, აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა თვით ინდოეთში, სადაც რამდენიმე დიდი საერთაშორისო კულტურული ცენტრი შექმნა, კერძოდ, დასავლეთ ბენგალიაში, ბომბეიში, ხოლო ვრინდავანდში აშენდა კრიშნა -ბალარამის მშვენიერი ტაძარი და სასტუმრო.

ბიოგრაფოსები განსაკუთრებით აღნიშნავენ მის მრავალრიცხოვან წიგნებს ვედური ფილოსოფიის, რელიგიისა და კულტურის დარგში, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა, მან მოასწრო 12 წლის მანძილზე მსოფლიოსთვის თოთხმეტჯერ შემოევლო ლექციებითა და თავისი მოძღვრების ქადაგებით.

1977 წელს შრილა პრაბჰუპადა გარდაიცვალა. მას შემდეგ “ჰარე კრიშნას" მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა მისი მიმდევრების ხელში. მათ მთელი მსოფლიო 11 ზონად დაყვეს. თითოეულ ზონას გამოცდილი ჰურუები ჩაუყენეს სათავეში. დააარსეს 108 მონასტრის ტიპის დასახლება, გამოსცეს რჯულთმოძღვრების 80 წიგნი, რომლებიც ეყრდნობოდა ძველინდური “ბჰაგავატ-გიტას" კომენტარს.

გაიჩინეს ათასობით მიმდევარი და მოწაფე. ევროპულ ზონას სათავეში ჩაუდგა სულიერი მასწავლებელი ხარიკეშა სვამი ვიშნუპადა, სხვაგვარად რობერტ კომპანიოლა, იტალიური წარმოშობის აშშ-ს მოქალაქე, რომელსაც რეზიდენცია შვეიცარიაში აქვს.

საბჭოთა კავშირში “კრიშნას ცნობიერების საზოგადოების" წარმომადგენლები 1971 წელს გამოჩნდნენ. ეს ფაქტიც დაკავშირებულია სვამი პრაბჰუპადას მოგზაურობასთან მოსკოვში, სადაც იგი პროფესორ გ. კოტოვსკის შეხვდა. მისი საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ინდოელი დიპლომატის შვილმა 22 წლის მთარგმნელი ანატოლი პინაევი გააცნო პრაბჰუპადას მოსამსახურეს შიამასუნდრას. უფრო გვიან პინაევი შეახვედრეს პრაბჰუპადასაც. განსაზღვრული დროის შემდეგ პინაევი ინიცირებულ იქნა და მიიღო სასულიერო სახელი ანანტა შანტი (რაც სანსკრიტზე “ანანტა" - ნეტარებას, “შანტი" - მშვიდობას, მშვიდობიანს ნიშნავს). ინიცირების შემდეგ ანატოლი პინაევი ამტკიცებდა, რომ მთელი მისი ადრინდელი ცხოვრება წარმოადგენდა მხოლოდ მზადებას ამ უდიდესი მოძღვრების აღქმისათვის.

1978-82 წლებში ვიშნუპადას და მისი მდივნის კირტირაჯის აქტიური საქმიანობის შედეგად ვაიშნავთა ჯგუფები შეიქმნა მოსკოვში, კიევში, ტალინში, ერევანში, თბილისში, სოხუმში, კრასნოდარში. ამ ჯგუფების მეთაურები იყვნენ: კრიატსკი, კურკინი, კიტანინა, კისლოვა, ლერნერი, ლევისი, რომლებიც გასამართლებულ და დასჯილ იქნენ 1982-1983 წლებში რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლით.

როგორც ვარაუდობენ, პირველი კრიშნაიტური ჯგუფები იქმნებოდნენ ბიოველების შემსწავლელი წრეების, იოგთა სექციების, ა. სპირკინის ბიოელექტრონიკის ლაბორატორიის და ჯანმრთელობის ზოგიერთი ჯგუფის ბაზაზე. საბჭოთა კავშირში მათ საოცრად ნოყიერი ნიადაგი პოვეს და კრიშნაიზმი (ვაიშნავთა მოძღვრება) სწრაფად გავრცელდა.

უკვე 1988 წლის მაისში მოსკოვში რეგისტრირებულ იქნა საბჭოთა კავშირში პირველი ოფიციალური “კრიშნას ცნობიერების საზოგადოება", 1989 წელს - რიგასა და ვილნიუსში, 1990 წელს - სოხუმში, კაუნასში, ლენინგრადში. ზოგიერთი მონაცემით, კრიშნას ერთგულთა რაოდენობა 400 ათას კაცს უდრის, ზოგი ცნობით, უფრო ნაკლებს - 150 ათასს. ზუსტი ციფრი დღესაც არ არსებობს.

1991 წლის 4 ივლისს “კომსომოლსკაია პრავდა" იტყობინებოდა, რომ საბჭოთა კავშირში სულიერი ურთიერთობისათვის თავის მოწაფეებთან ჩამოვიდა “კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო ორგანიზაციის" ჰურუ ხარიკეშა სვამი შრი ვიშნუპადა, რომ ენთუზიაზმით სავსე საბჭოთა კრიშნაიტების 150 ათასიანი არმიის წარმომადგენლებმა გაარღვიეს ბარიერი აეროპორტ “შერემეტიევო 2-ში". ის, ვინც სასტუმროში ვერ მოხვდა, დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთის ტყეებს მოედო. სამი დღის შემდეგ იგივე გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს ჩამოსულ სტუმართან, სადაც ვიშნუპადა ამბობს, რომ საბჭოთა კავშირს “კრიშნას ცნობიერება" ხანძარივით მოედო. ამას მოწმობს განდობილთა 150 ათასიანი არმია.

“დასავლეთის სამყარო, - თქვა მან, - შენდება მატერიალურ ღირებულებებზე. ადამიანები ცხოვრობენ უფრო მშვიდი, დინჯი და ზომიერი ცხოვრებით, ვიდრე სსრკ-ში და ამჯობინებენ იფიქრონ არა ღმერთზე, არამედ თავის თავზე.

საბჭოთა ადამიანებს კი არაფერი არ აკავშირებთ მატერიალურ ცხოვრებასთან, მათ არ სჯერათ, რომ შეუძლიათ მისი გაუმჯობესება, ამიტომ სულიერად ისინი უფრო მდიდრები არიან.

მე ვფიქრობ, რომ ისინი, ვინც იღებენ "კრიშნას ცნობიერებას", შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად: ერთნი უხერხულობას განიცდიან ამ მეტად მატერიალურ სამყაროში, სხვები თავს ვერ ართმევენ სხვადასხვა პრობლემებს, ან ავად არიან და დახმარების იმედი დაკარგეს, მაგრამ მთავარი მათ შორის ჩვენთვის არიან ისინი, ვინც ეძებს სულიერი ცხოვრების გზას და ცოდნას."

კითხვაზე - თუ რით შეუძლიათ მათ დაეხმარონ ადამიანს - ჰურუმ უპასუხა: “ჩვენ შეგვიძლია, გავუწიოთ ადამიანებს გარკვეული მატერიალური დახმარება, მივცეთ მათ საცხოვრებელი ჩვენს ერთ-ერთ ცენტრში, ვუზიაროთ მათ საკვები და ტანსაცმელი და, რაც მთავარია, გავხადოთ ისინი ღმერთისადმი მიმართული მსახურების მონაწილე, რათა ადიდონ კრიშნა და იფიქრონ კაცობრიობის ხსნისათვის. ჩვენ ამით ადამიანს თვითრეალიზაციის საშუალებას ვაძლევთ."

კიდევ ერთ კითხვაზე, თუ საიდან აქვთ მათ ამდენი ფული, რითაც 400-მდე ქალაქში გახსნეს თავისი ცენტრები, მილიონიანი ტირაჟებით გამოუშვეს წმინდა ლიტერატურა და პლაკატები, ვიშნუპადამ პასუხის გაცემას თავი აარიდა. მან განაცხადა, რომ იგი მოძღვარია და არა ეკონომისტი.

ვაიშნავთა მოძღვრება საქართველოში 1982 წელს შემოდის და ასევე სწრაფად ვრცელდება. საქართველოში კრიშნაიზმის გავრცელების სურათს ნათლად გვიხატავს ერთი ცნობა, რომელიც ამოღებულია ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოზე განხილული სისხლის სამართლის საქმიდან: ‘1986 წლის 3 თებერვალს, - ნათქვამია

მასში, - ქ, სოხუმის სახალხო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებული - მოქ. ი. ე. ჯიჯავაძე, დაბადებული 1956 წ. ქ. ბათუმში, ქართველი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, უცოლო, მცხოვრები ქ. სოხუმის ჯღუბურიას ქ. #8-ში. გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლის II ნაწილით.

წინასწარი გამოძიებით და საქმის მასალებით, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლო სხდომაზე, დადგინდა, რომ ქ. სოხუმში 1982 წლიდან მოქმედებდა არალეგალური რელიგიურ-სექტანტური ჯგუფი, რომელშიც აქტიურ როლს თამაშობდა ბრალდებული ი. ე. ჯიჯავაძე. ეს ჯგუფი წარმოადგენდა ვიშნუიტური მიმართულების ნეოინდური სექტის ფილიალს საზელწოდებით “კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება."

კრიშნაიტური ჯგუფი ქ. სოხუმში შეიქმნა საზღვარგარეთის ცენტრის, მისი ხელმძღვანელის ვიშნუპადას მითითების შესაბამისად და საბჭოთა კავშირის სექტის ფილიალის აქტიური წევრის ე. ა. ლერნერის მონაწილეობით. ეს უკანასკნელი გასამართლებული იყო 1983 წელს რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლით. ასრულებდა რა მისიონერულ ქმედებას ვიშნუპადას მითითებით, იგი 1981 წლის დეკემბერში მოსკოვიდან გადავიდა სოხუმში, სადაც გაიცნო ბრალდებული ი. ე. ჯიჯავაძე, ო. მ. ნაჭყებია, რ. ვ. რუხაძე, პაპასკირი და სხვები. ლერნერმა მათ გააცნო კრიშნაიტების სარწმუნოება და კულტი, ასწავლა მანტრების (ლოცვების) კითხვა, აჩვენა კრიშნაიტური რიტუალები, გადასცა კრიშნაიტური რჯულთმოძღვრული და საკულტო ლიტერატურა, პრაბჰუპადას, ვიშნუპადას, კრიშნას და სხვების საკულტო გამოსახულებები. ამის შემდეგ ნაჭყებიამ, ჩარგაზიამ, შახლაჯიანმა და ჯიჯავაძემ, რომლებიც შედიოდნენ სოხუმის კრიშნაიტურ ჯგუფში, თვითონ დაიწყეს ზემოხსენებული ლიტერატურისა და რწმენის გავრცელება აფხაზეთში. კრებები იმართებოდა მათ ბინებზე.

სასამართლო სხდომებზე განხილული მასალები მოწმობენ, რომ კრიშნაიტების სოხუმის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ე. ჯიჯავაძე, ახორციელებდა თავის მოღვაწეობას საზღვარგარეთის ცენტრის, მისი ხელმძღვანელების ვიშნუპადასა და კირტირაჯის საინსტრუქციო წერილების შესაბამისად.

სასამართლო სხდომაზე ექსპერტის სახით დაკითხულ იქნა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ფ. ი. გარკოვენკო, რომელმაც აჩვენა, რომ ჯიჯავაძისგან ამოღებული ლიტერატურა და პროკლამაციები, რომელთაც ის ავრცელებდა, მიეკუთვნება კრიშნაიტურს და ატარებს ანტისაზოგადოებრივ ხასიათს, გარდა ამისა მავნეა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

ბრალდებულმა ჯიჯავაძემ აჩვენა, რომ ის დააკავეს ქ. კიევში ვ. ა. პეტრენკოსთვის ლიტერატურის გადაცემის დროს.

ამგვარად, - ნათქვამია ცნობაში, - გამოძიებით შეგროვილი მასალებით სავსებით დამტკიცებულია ი. ე. ჯიჯავაძის დანაშაული და ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს განაჩენით, მას მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

ამასთან, ქ. სოხუმის სახალხო სასამართლომ თავისი განსაზღვრებით საჭიროდ ჩათვალა აღეძრა საქმე საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 233-ე მუხლის ნიშნებით აქტიური მონაწილეების, კრიშნაიტური კრებების ორგანიზატორების ო. შ. ნაჭყებიას, ნ. ა. ჩარგაზიას, ა. შ. შახლაჯიანის მიმართ. გამოძიების ჩატარება დაევალა აფხაზეთის ასსრ-ს პროკურატურას.

სასამართლო გამოძიების დროს ცალკეული პირების მიმართ არ იქნა მოპოვებული საკმარისი სამხილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადასაცემად, როგორც სექტანტური ჯგუფის ორგანიზატორები და კრიშნაიტური იდეოლოგიის გამავრცელებლები.

მაგრამ, სასამართლომ თავისი კერძო განჩინებით აცნობა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, სადაც აღნიშნული კრიშნაიტური სექტის წევრები მუშაობდნენ იმ მიზნით, რომ ჩატარებულიყო პროფილაქტიკური ღონისძიებები."

ეს დოკუმენტი კარგად გვიჩვენებს, თუ საიდან, როგორ, რა გზებით შემოვიდა კრიშნაიზმი სოხუმში. აღსანიშნავია, რომ კრიშნაიზმი ასეთივე გზებით ვრცელდებოდა საქართველოს სხვა მხარეებში და მის დედაქალაქ თბილისშიც.

იმ მიზეზებისა და სულისკვეთების გასაგებად, რომლის მეოხებითაც ვაიშნავთა რიგებში ხვდებიან ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები, აუცილებელია, ზოგიერთ მათგანს მაინც მოვუსმინოთ.

თ. ბურდული, 31 წლის მხატვარი:

“მატერიალური სამყაროს კანონზომიერებათა შესაბამისად, ადამიანი ხან ბედნიერად გრძნობს თავს, ხან უბედურად, ზოგჯერ კი დეპრესიაშია და იტანჯება მატერიალურ სამყაროში არსებული ტკივილებით. ეს ტკივილები განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება ობლობისა და გაჭირვების ჟამს. ეს კი, ჩემი აზრით, ის მამოძრავებელი საფუძველია, რომელიც ადამიანს მძებნელის მდგომარეობაში აყენებს.

ასეთი მძებნელი კაცის მდგომარეობას საკმაოდ ადრე ვეზიარე. მართალია, სრულყოფილად არ მქონდა გარკვეული საძებარი ობიექტი, მაგრამ ვიცოდი, სიმართლე და ჭეშმარიტება უნდა დამედგინა: ვინ ან რამ შექმნა ყველა და ყველაფერი? რა ხდება სიკვდილის მერე? და სხვა.

ბევრი ქექვისა და წიგნების შრიალის შემდეგ მივადექი ინდოეთს. იოგას, ბუდიზმს და სახარებას თითქმის ერთდროულად დავეწაფე. მივხვდი იმას, რომ ყოველივე სწავლება პრაქტიკისათვის არსებობდა. პრაქტიკით სადამდე მივიდოდა კაცი, ესეც რომ გამეგო და დავრწმუნებულიყავი, დავადექი რაჯა-იოგას გზას. გარკვეული დროის შემდეგ სხვა სახის იოგაც მოვსინჯე, შემდეგ კიდევ სხვა სისტემას გავეცანი. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ჰურუს, ანუ სულიერი მოძღვრის აუცილებლობის საკითხი არ დადგა, სამწუხაროდ, ჩემთვის ჰურუ არსად იყო.

ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდი ბეთანიაში. ვიფიქრე ქრისტიანულ მოძღვრებას ჩავუღრმავდები და მოძღვარსაც ვნახავ-მეთქი. ისე მოხდა, რომ ზუსტად იმ დღიდან, როცა მე მივედი, ათონის ტიპიკონით დაიწყეს წირვა-ლოცვის დაყენება ბერებმა. იოგაში ნავარჯიშევს თავიდან არ გამჭირვებია, მაგრამ შემდეგ გამიჭირდა, რადგან სულიერი მოძღვარი ვერ აღმოვაჩინე და მონასტრის სიტუაციამაც არ დამაკმაყოფილა. გადავწყვიტე, ჩუმად უკანვე დავბრუნებულიყავი სახლში. მით უმეტეს ვიგრძენი, რაღაცას ვაშავებდი დედაჩემისა და ჩემი ახლობლების წინაშე. თითქოს რაღაც ვალს სჭირდებოდა მოცილება მათ წინაშე და შემდეგ ალბათ უნდა შევდგომოდი ამ გზას.

ასე მოვხვდი რაჯნეშის მიმდევართა რიგებში. საკმაოდ ეფექტური მედიტაციური სისტემებიც მოვსინჯე და არც ამას მოუცია ჩემთვის საჭირო შედეგი. რაჯნეშისაგან დაღლილი და დანგრეული ბოლოს ვაიშნავებს მივადექი. პირველ დღესვე ვიგრძენი კრიშნას ძალა და მადლი. ყველაფერი შეიცვალა ჩემ სასიკეთოდ..."

ზაზა გაბათაშვილი - თბილისელი, წარმოშობით დიდი ლილოდან, 22 წლის, დაამთავრა თბილისის 166-ე საშუალო სკოლა, დიდუბის პანთეონის წინ, დაამთავრა თოიძის სამხატვრო სასწავლებელი. ძმა - ჯიმშერ გაბათაშვილი, ასევე ვაიშნავი, სწავლობს ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში.

“...მართალი გითხრათ, არ მომწონდა საეკლესიო შეკრებები, რადგან ეს მხოლოდ ნიღაბი იყო. დღესასწაულის დროს თითქოს სალოცავად მიდიან, სინამდვილეში კი ღრეობენ. ამ ამბავმა გამრიყა ამ ხალხისგან, მათთან ურთიერთობისაგან. საზოგადოების ასეთ ნიღაბს ვერ ვიტანდი, ინტუიციით ვხვდებოდი, რომ ეს იყო თავის მოტყუება, ერთი ამხანაგის როლს თამაშობს, მეორე ახლობლისა... დავიწყე ლაო-ძის კითხვა. ბევრი რამ ვერ გავიგე, ახლა ვიცი, რომ ასეთ რამეს აუცილებლად სჭირდება სულიერი მასწავლებელი. შემდეგ ხელში ჩამივარდა “ბჰაგავატ-გიტა", მოვისმინე ჰარე კრიშნა მაჰამანტრა. როგორც პრაბჰუპადა ამბობს, ყველა პიროვნებამ თავის თავზე უნდა გამოცადოს მისი ეფექტი - თუ რაოდენ სასიამოვნოა, სასიკეთოა ადამიანისთვის, როგორ ცვლის იგი მას. ეს მე ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე."

თ. ბ. (მხატვარი): “დედა ეკლესიაში მუშაობდა, მაგრამ, სამწუხაროდ ვერ ვნახე მღვდლებში სიწმინდე, ვეღარ წარმომედგინა, სადღა უნდა მეძია ღმერთი. დავიწყე ძიება... ვფიქრობდი, ნუთუ მარტო კუჭის მსახურებისთვის მოვედით ამქვეყნად? მრავალი კითხვა მებადებოდა. სამხატვრო აკადემიაში რომ შევედი ჯარში სამსახურის შემდეგ, იქ ვერავინ გამცა ჩემს კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი. მეტი გაგება, სითბო და სიყვარული მწყუროდა. აკადემიის მეექვსე კურსზე მივხვდი, რომ დიდ სიკეთეს ვერ მოვუტანდი საკუთარ თავს. დავიწყე იოგური კვება და ვარჯიში. ბინას ვქირაობდი. ერთი დიასახლისი მყავდა, კარგი ჭამა უყვარდა, კარგ ხორცსა და კარგ საჭმელს აკეთებდა. ვეღარც უარს ვეუბნებოდი, ხორცი შემზიზღდა, მარხვის პერიოდი გავიხსენე. 40 დღე ვიმარხულე. ვნახე, რომ თავი გამისუფთავდა. უკვე ათი წელია, ხორცი არ მიჭამია. ამასობაში ყველა სახის მედიტაცია მოვსინჯე. მრავალ რელიგიურ წიგნსაც გავეცანი და მივხვდი, რომ მატერიალური სამყაროს იქით, მართლაც, არსებობს რაღაც. ერთი წელია, რაც ვაიშნავებთან მოვედი, დავმშვიდდი, ცხოვრებას აზრი მიეცა და ახლა ისე მგონია, რომ აქ ძალზე დიდხანს ვარ."

ნუკრი ჩიკვაიძე - თბილისელი, დაიბადა 1961 წელს, დაამთავრა 156-ე საშუალო სკოლა: “ვმუშაობდი მშენებლობაზე, მერე სკოლაში, დარაჯად. იმას, თუ რაზე მუშაობ, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ თავისუფალი დრო გქონდეს, რომ იცხოვრო ნამდვილი სულიერი ცხოვრებით. ამის გაგება და შესაძლებლობა მხოლოდ კრიშნას რწმენამ მომცა."

კიდევ ბევრი აზრის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ეს ჩვენს თვითმიზანს არ წარმოადგენს. საერთოდ ვაიშნავებთან სხვადასხვა მიზეზებითა და სურვილებით მოდიან. ბევრ მათგანს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ცხოვრება აქვს გავლილი, მაგრამ მათ ყველას აერთიანებს ერთი სურვილი - ჩასწვდნენ და გაერკვნენ იმ უცნაურ სამყაროში, რომელშიც ისინი დაიბადნენ და ცხოვრობენ, გაიგონ სიცოცხლის აზრი და უფრო ზნეობრივად იცხოვრონ. არის სხვა მიზეზებიც, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ და ზოგსაც შემდეგ ვიტყვით, მაგრამ მანამდე გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ ვაიშნავთა მოძღვრებას.

2. მოძღვრება

რას ეყრდნობა ვაიშნავთა მოძღვრება? რა არის მისი ფილოსოფიური საფუძველი? იგი უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა უძველეს ინდურ “საღმრთო წერილს" - ვედებს და მათში გამოთქმულ სიბრძნეს. როგორც თვით კრიშნაიზმის მიმდევრები თვლიან, “ვედები მსოფლიოში ყველაზე აღიარებული “წმიდა წერილია". ის ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: სამა, იაჯურ, რიგ და ათჰარვა ვედა. ვედების შინაარსი ჩვეულებრივი ადამიანისათვის ძნელი შესაცნობია, ამიტომ ოთხი ვედა “მაჰაბჰარატად" წოდებულ ისტორიულ ეპოსსა და თვრამეტ პურანაშია განმარტებული. “რამაიანაც" ისტორიული ეპოსია, რომელიც ყველა საჭირო ცნობას გვაწვდის ვედებიდან. ამრიგად ოთხი ვედა, თავდაპირველად ვალმიკისეული “რამაიანა", "მაჰაბჰარატა" და პურანები, ვედურ ლიტერატურად არის კლასიფიცირებული. უპანიშადები - ოთხი ვედის ნაწილებია. მთელი ვედური ლიტერატურა შეჯამებულია “ბჰაგავად - გიტაში", რომელიც ყველა უპანიშადის კვინტენსენციად და ვედანტა - სუტრების" წინარე განმარტებად არის მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ვედების არსის შესწავლა შეიძლება მხოლოდ “ბჰაგავად - გიტადანაც", ვინაიდან მისი მთხრობელია ღმერთების უზენაესი პიროვნება, უფალი შრი კრიშნა, რომელიც ანტიმატერიალური სამყაროდან ეშვება მატერიალურ სამყაროში, რათა უმაღლესი სახის ენერგიაზე სრული ცნობები მოგვაწოდოს."

კრიშნაიზმის მიმდევრებისათვის ფუძემდებლურია ვედური ლიტერატურის შრილა პრაბჰუპადას მიერ გაკეთებული კომენტარები. როგორც ამ დარგის მკვლევარები მიუთითებენ, შრილა პრაბჰუპადამ უარყო ცნობილი მოაზროვნეების ტილაკის, აურობინდო გხოშის, მაჰათმა განდის და სხვათა ადრინდელი კომენტარები. ასევე მან უარყო ახალი დროის კომენტარებიც და თავის წიგნში “ბჰაგავატ - გიტა, როგორც ასეთი" მან მოგვცა ამ წიგნის გააზრების თავისი ვარიანტი, ცადა თანამედროვე ჟღერადობა მიეცა ძველი ვედური სიბრძნისათვის, პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებიც ადამიანებს ებადებათ ჩვენს დროში.

ვაიშნავთა მოძღვრების მიხედვით, სამყაროს შემოქმედი და უმაღლესი პირი არის ღმერთი კრიშნა. იგი არის უმაღლესი დამატკბობელი ღმერთი, რომელიც ყველა ცოცხალი არსების მეგობარია. ყოველივე ირგვლივ მისი ენერგიებისაგან არის შექმნილი: “ო, არჯუნა! - ნათქვამია ბჰაგავატ _-გიტაში 7;7, - მე ვარ ტრანსცენდენციის უმაღლესი პრინციპი და არაფერი არ არსებობს, რომ აღმემატებოდეს, ყოველივე ძევს ჩემს ენერგიებზე ისე, ვით ძაფზე ასხმული მარგალიტები."

ბიბლიაში, პრაბჰუპადას აზრით, ღმერთი დახასიათებულია, როგორც დიდი, მრისხანე, შეუბრალებელი არსება, ის ვისიც უნდა გეშინოდეს, ყოვლადძლიერი, მარადიული მამა, ალფა და ომეგა და ა.შ. მაგრამ არსად არ არის პირადად ღმერთის აღწერა. მაშ ვინ არის ღმერთი? - კითხულობს ვაიშნავთა მოძღვრების შემქმნელი, - რაში მდგომარეობს მისი დიდება, როგორი ნიშნები აქვს, როგორია მისი გრძნობები? როგორ გამოიყურება მისი სამეფო, თვითონ როგორ გამოიყურება, როგორი თვისებებისა და ხასიათისაა, როგორ ქმნის იგი, როგორ შედის იგი თავის ქმნილებებში, როგორია ღმერთისა და ცოცხალი არსებების ურთიერთობა, რა როლს ასრულებენ ეს არსებები, როგორ მოევლინა ღმერთი მატერიალურ სამყაროს და როგორ გამოიყურება იგი მის საზღვრებს გარეთ? - ყველა ეს კითხვა და ბევრი სხვაც, პრაბჰუპადას აზრით, ბიბლიაში ან ღიად რჩება, ან მათზე დამაჯერებელი პასუხი არ არის გაცემული იმის გამო, რომ ძველი ებრაული კულტურა არ იყო სათანადოდ მომზადებული და საკმაოდ პროგრესული. ამის დასტურად შრილა პრაბჰუპადას მოაქვს ადგილი იოანეს სახარებიდან(16;12), სადაც იესო ქრისტე მიმართავს თავის მოწაფეებს: “კვლავ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ." ძველ აღთქმაში, - აგრძელებს პრაბჰუპადა, აღწერილია, რომ იუდეველებს ესმით ღმერთის ხმა, იგი ეცხადება მათ ხან სული წმიდის (მტრედის), ხან ღამით ცეცხლოვანი სვეტის სახით, ხან დღე - ღრუბლის სახით, მაგრამ იგი არასდროს სჩვენებია ხალხს თავისი ნამდვილი სახით. მართალია, ქრისტე მოევლინა ხალხს, მაგრამ იგი გამოეცხადა მათ როგორც ღმერთის ერთგული, მისი საყვარელი შვილი, მაგრამ როგორც შვილი და არა როგორც მამა, რომლის მძლავრი ხმა ზეციდან ისმის.~

პრაბჰუპადას აზრით, რაზეც ბიბლია დუმს, იმაზე პასუხს გვაძლევს ვედური ნაწერები. ვედები, რომელნიც მაღალგანვითარებული სულიერი კულტურის საფუძველზე, ბიბლიაზე გაცილებით უფრო ადრე წარმოიქმნა, ამ უკანასკნელს იმით სჯობს, რომ იგი გვიხსნის ღმერთის სახეს, მის ნიშნებს და ტრანსცენდენტურ თამაშებს, თვით პიროვნებას, ღმერთის თვისებებს. რასაკვირველია, სიტყვები უძლურია, მთლიანი წარმოდგენა მოგვცეს ღმერთის დიდებაზე, მაგრამ ვედები სთავაზობენ ადამიანს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვოს მან ჭეშმარიტი თავისუფლება... ამრიგად, ვედებში არის ჭეშმარიტი ღმერთის - კრიშნას - აღწერილობა და მისი ტრასცენდენტური მოღვაწეობა. ვედები არ ისაზღვრებიან მხოლოდ ცარიელი მტკიცებით, რომ ღმერთი - ეს შრი კრიშნაა, არამედ აღწერენ, თუ როგორ გამოიყურება იგი და როგორია მისი საქმეები. ინდოეთის ტაძრებში თაყვანს სცემენ ღმერთის ტრანსცენდენტურ გამოსახულებას.

ბიბლია, - წერს პრაბჰუპადა, - იეღოვას და ქრისტეს უწოდებს უმაღლეს ღმერთს, ხოლო ვედური ლიტერატურა (ბჰაგავატ-გიტა, ბრაჰმა-სამხიტა, შრიმად-ბჰაგავატამი)

მიუთითებს, რომ უფალს ჰქვია კრიშნა, რაც ნიშნავს ყოვლის მიმზიდველს, რამა ნიშნავს სიხარულით სავსეს, ხოლო ჰარე ნიშნავს სიხარულის ენერგიას.

კითხვაზე, თუ რატომ ეძლევა ღმერთის ყველა სახელიდან უპირატესობა კრიშნას, პრაბჰუპადა პასუხობს: თუმცა ღმერთის ყველა სახელი ერთნაირად კარგია, მაინც კრიშნას სახელი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი ნიშნავს თავდაპირველს, საწყის პიროვნებას. თუმცა ღმერთი ერთია, მაგრამ მისი გარდასახვები უამრავია. ისევე, როგორც ერთ სანთელს შეუძლია აანთოს უამრავი სანთელი, მაგრამ პირველი მაინც რჩება პირველად.

კრიშნა, ვაიშნავთა მიხედვით, ყოვლადძლიერი და ყველაფრის შემძლებელია. მისი ენერგია არასოდეს ილევა, არც დედამიწა არსებობს კრიშნას გარეშე, ისიც მისი ენერგიაა, ენერგია კი არ უნდა დააშორო მის წყაროს, ისევე როგორც არ შეიძლება სითბო დააშორო ცეცხლს. კრიშნა გვაძლევს ყველაფერს, ჩვენც განუყოფელი ნაწილები ვართ ღვთაების, ამიტომ ღმერთის გარეშე არაფერს წარმოვადგენთ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და მხოლოდ ამით შევიძენთ ღირებულებას.

კრიშნა არის მატერიალურ და სულიერ ენერგიათა განმგები.

თვით სიტყვა “კრიშნაც" უმაღლეს გამგებელს ნიშნავს. მის მიერ შექმნილი სამყაროც ორი ნაწილისაგან - მატერიალურისა და სულიერისაგან - შედგება. მატერიალური სამყარო შედგება ხარისხობრივად უდაბლესი ენერგიისაგან, რაც რვა მატერიალურ პრინციპად იყოფა: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, ჭკუა, გონება და ეგო.

რაც შეეხება სულიერს, იგი ანტიმატერიალური, ხარისხობრივად უმაღლესი ენერგიისაგან არის წარმოქმნილი. ეს არის სასიცოცხლო ძალა, სული ცხოველი, ადამიანის არსი, რომელსაც სანსკრიტზე “ჯივა" ჰქვია. როგორც ვაიშნავები თვლიან, სწორედ ეს “ჯივა" არის მარადიული სული, რომელიც არასოდეს არ ქრება. როგორც “ბჰაგავატ-გიტაშია" ნათქვამი: “ისე, როგორც სული გადასახლდება ბავშვის სხეულიდან ყმაწვილის, იქიდან კი მოხუცის სხეულში, ასევე ის სიკვდილისას გადადის სხვა სხეულში. ეს ცვლილება არ აწუხებს იმას, ვინც გააცნობიერა თავისი სულიერი ბუნება."

ამ პროცესს ინკარნაცია ჰქვია. პრაბჰუპადას მიხედვით, როდესაც სული შეიძენს სხეულს, მაშინ ხდება იგი მისაწვდომი ჩვენი გაგებისათვის. ჩვენ ვხედავთ, როგორ შედის იგი დედის საშოში. როგორც კი სული შედის საშოში, ბავშვის სხეული ვითარდება. ამიტომ გასაგებია, რომ ბავშვი იბადება არა მარტო სექსუალური ურთიერთობისაგან (სხვაგვარად ქალი დაორსულდებოდა ყოველი სქესობრივი აქტის შემდეგ). სანამ არ არის სულიერი ნაწილი, მატერიალური სხეული არ ვითარდება. ძნელი არ არის, გაიგო, რომ სულიერი ნაწილი ავითარებს სხეულს, ძვლებს და საერთოდ, მთლიანად მატერიალურ სხეულს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინკარნაცია _ შემდგომი გარდასახვა, - შესაძლებელია არა მარტო ადამიანის სახით, არამედ ცხოველთა სახითაც. ტანჯვის ზომა გამოიხატება დაბადებაში, ავადმყოფობაში, სიბერეში, სიკვდილში. ეს ცხოვრების

ტანჯვაა. თავიდან რომ ავიცილოთ ტანჯვის ეს ოთხი ფორმა, უნდა განვშორდეთ სხეულს. ამაშია პრობლემა.

თუკი სული ღმერთის ნაწილია, მაშ, როგორ მოხვდა იგი მატერიალურ სამყაროში? ამ კითხვაზე ვაიშნავები ასე პასუხობენ: სულს გააჩნია გარკვეული თავისუფლება. ამ თავისუფლებით ცუდად ისარგებლა "ჯივამ", მოინდომა დამოუკიდებლობით დატკბობა, ასე მოხვდა იგი მატერიალურ სამყაროში. მისი სხვადასხვა გონის მოდუსის - სატვას (სათნოების), რაჯას (ვნების) და ტამასი (უგუნურების) - გავლენის ქვეშ "ჯივა" სრულიად ივიწყებს თავის ღვთაებრივ საწყისს და ხვდება კარმის გავლენის ქვეშ, შედის მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირში, ბედის ტრიალში. ვაიშნავთა აზრით, სამყაროში არსებობს 8 400 000 ბიოლოგიური სახე (აქედან 900 000 მოდის წყლის ცხოველებზე, 2 000 000 - მცენარეებზე და ა.შ.) და დაცემული სული თითოეულ მათგანში უნდა დაიბადოს.

ადამიანის ფორმას მიღწეულ "ჯივას" უჩნდება შანსი განთავისუფლდეს ამქვეყნიური უბედურებისაგან, სანსარისაგან და დაუბრუნდეს ღმერთს, მოხვდეს უმაღლეს სულიერ პლანეტაზე ვაიკუნთხზე (კრიშნალუკა). მაგრამ იქ რომ მოხვდე, ამისათვის აუცილებელია ვაიშნავი, კრიშნას ერთგული იყო.

ადამიანის სული ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ ამავე დროს ინდივიდუალურიცაა. რაც შეეხება ადამიანის სხეულს, ისიც ქმნილებაა, ისიც შექმნილია იმ პრინციპით, რითაც მთელი სამყარო. ვაიშნავთა აზრით, ეს მექანიზმი მოქმედებს ყველგან, ცხოველისა თუ ადამიანის სხეულში, თვით კოსმიურ გამოვლინებაშიც. ვიმეორებ, ეს მექანიზმი ყველგან ერთგვარია. ვინაიდან ადამიანის გრძნობები სრულყოფილი არ არის, ამიტომ მათ არ შეუძლიათ მოგვცენ სრულყოფილი ცოდნა.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება განკუთვნილია განწმენდისათვის. თუკი გინდა გახდე კეთილმორწმუნე, უნდა განავითარო ტრანსცედენტური თვისებები. მაგრამ რაკი თქვენ გაქვთ დემონური თვისებები, მაშინ კიდევ უფრო გაიხლართებით მატერიალურ არსებობაში. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში ჩვენმა ცივილიზაციამ არ იცის თუ რა არის განთავისუფლება და რას ნიშნავს გახლართვა მატერიალურ სამყაროში.

კითხვაზე, თუ რა არის ადამიანის ცხოვრებაში ჭეშმარიტი აზრი და მიზანი, პრაბჰუპადა პასუხობს: "...დაბრუნდე სახლში, უკან ღმერთთან, ეს არის ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი. წყალი, - განაგრძობს იგი, - რომელიც ორთქლდება ზღვისაგან, წვიმად იღვრება მიწაზე და მისი ჭეშმარიტი მიზანია შეუერთდეს მდინარეს და მის წყლებთან ერთად დაუბრუნდეს ზღვას. მაგრამ ჩვენ ისე დავშორდით ღმერთს და ისე გავიხლართეთ მატერიალურ სამყაროში, რომ გვიჭირს თავი დავაღწიოთ ასეთ მდგომარეობას. ამიტომ, მართალია, სიცოცხლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ შევიცნოთ ღმერთი, მაგრამ ჩვენ გამოვიგონეთ იმდენი დამატებითი ამოცანა, რომ ჭეშმარიტი მიზანი გვერდზე გადავდეთ. ამაშია ჩვენი ცივილიზაციის შეცდომა.

დიდი სულები, იოგი - ერთგულები, არასოდეს არ უბრუნდებიან ამ წარმავალ ცხოვრებას, რომელიც ტანჯვით არის სავსე, იმიტომ რომ მათ მიაღწიეს უმაღლეს

სრულყოფილებას. “ის, ვინც მოდის ჩემთან უკან აღარ ბრუნდება. სად? - ამ სამყაროში, ეს ყველამ იცის, მაგრამ ხალხი გასულელებულია თავისი ლიდერებისა და ბელადების მიერ. მატერიალური სიცოცხლე - ეს არის ტანჯვით სავსე ცხოვრება. ღმერთი ამბობს, რომ ეს სამყარო ტანჯვის ადგილია და რომ იგი გარდამავალია. მაშ, რა უნდა ვქნათ? “ბჰაგავატ-გიტაში" ნათლად არის ამის შესახებ თქმული: “ის ბრძენნი, ვინც ჩვენში (კრიშნაში - თ. ფ.) ხედავს ყოველგვარი მსხვერპლშეწირვისა და ასკეზის საბოლოო მიზანს, ყველა პლანეტისა და ნახევრადღმერთის მბრძანებელს, ყველა ცოცხალი არსების კეთილისმყოფელს, მფარველსა და მწყალობელს, თავისუფლდება მატერიალური ტანჯვისაგან."

ვაიშნავთა მოძღვრებაში მთავარი მოქმედი პირი არის ის, ვინც ამქვეყნად უნდა ადიდოს კრიშნას სახელი. ეს არის მორწმუნე, რომელსაც ვაიშნავები ერთგულს ეძახიან. ერთგული, მათი განმარტებით, არის ის, ვინც ყოველთვის ასიამოვნებს კრიშნას. ეს არის მისი ერთადერთი საზრუნავი, ერთადერთი საქმე. სრულყოფილი სული აქვს მხოლოდ სრულყოფილ ერთგულს. სრულყოფილი სული, პრაბჰუპადას განმარტებით, ეს არის ის, “...ვინც მთელ თავის დროს უძღვნის კრიშნას ცნობიერების საქმიანობას. ამაშია სრულყოფილება, ესაა ტრანსცენდენტური მდგომარეობა. იყო სრულყოფილი - ნიშნავს, იმოქმედო შენი საკუთარი საწყისის შესაბამისად. როგორც “ბჰაგავატ-გიტაშია" ნათქვამი, “თითოეულს შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას, თუკი შეასრულებს მისთვის გათვალისწინებულ მოვალეობას." ეს არის სრული სრულყოფილება - სამსიდხი. “სიდხი" ნიშნავს “სრულყოფილებას", “სამ' ნიშნავს ‘მთლიანად". “ბჰაგავატ-გიტაში" ნათქვამია, რომ ის, ვინც უკან ბრუნდება სახლში, აღწევს აბსოლუტურ სრულყოფილებას მაშინ, როცა ის აცნობიერებს, რომ ის მატერიალური სხეული კი არ არის, არამედ - სულიერი სული. ამას ჰქვია ბრაჰმაბხუტა-ბრაჰმანის შეცნობა, ესაა სრულყოფილება, ხოლო შემდგომი საფეხურია სამსიდხი. მას შემდეგ, რაც ადამიანი მიუძღვნის თავის თავს ერთგულ მსახურებას, ვინც დაკავებულია ერთგული სამსახურით, მან უკვე შეიცნო ბრაჰმანი და ეძახიან სამსიდხს."

კრიშნას ყველაფერი აქვს, მას არაფერი სჭირდება, მაგრამ იმისათვის, რომ მისდამი სიყვარული გამოიხატოს, ერთგული ვალდებულია, სანამ საკვებს მიიღებდეს, მანამდე უფალს შესთავაზოს პრასადი.

ერთგულმა კრიშნას უნდა შესთავაზოს საუკეთესო საჭმელი. თუკი მას შესთავაზებს მესამეხარისხოვან რაიმეს, ამით ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას. ვაიშნავთა აზრით, ეს პროდუქტები სიფრთხილით უნდა შეირჩეს. სასურველია რძის ნაწარმი, შაქარი, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი და მარცვლეული. მიუღებელია ხორცი, კვერცხი, თევზი, ხახვი, ნიორი, სოკო, ყავა, კაკაო, შოკოლადი და კოფეინის შემცველი ჩაიც. სასურველია, საკვები კრიშნას ერთგულმა მოამზადოს. უნდა დაცულ იქნას სისუფთავე, რადგან ბინძური რაიმეს შეთავაზება კრიშნასათვის წარმოუდგენელია. კეთების პროცესში არ შეიძლება საჭმლის გასინჯვა, რადგან ის კრიშნასთვის მზადდება, ამიტომ პირველად მან უნდა გასინჯოს. კრიშნასთვის საჭმლის შეთავაზების წესი ასეთია: უნდა გადმოიღო თითოეული კერძის მცირე ულუფა თეფშზე, ხოლო წვენი - ჭიქაში. ყველაფერი ეს კრიშნას სურათის წინ უნდა დაიდოს და ერთგულმა უნდა წარმოთქვას: "ჩემო ძვირფასო უფალო კრიშნა, გთხოვ, მიიღე

ჩემი მოკრძალებული ძღვენი". თუ საჭმელს სიყვარულითა და ერთგულებით არ შევთავაზებთ, უფალი მას არ მიიღებს.

საკვების აღების წინ სამჯერ უნდა წარმოითქვას ჰარე კრიშნა მაჰამანტრა, ლოცვის წარმოთქმის შემდეგ საჭმელი საკურთხეველზე კიდევ უნდა იდგეს 10-15 წუთი, სანამ მას უფალი არ მიირთმევს. ეს დრო ერთგულმა კირტანასათვის უნდა გამოიყენოს. შემდეგ შეიძლება ჭამო პრასადი. ამ საკვებს სულიერი თვისებები აქვს.

სანამ მორწმუნეს ერთი პრასადი მოსწონს, მეორე კი არა, მანამ ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ერთგული. სრულყოფილი ერთგული არ ირჩევს პრასადს. ის, რაც შეთავაზებულია კრიშნასთვის, ყველაფერი ნექტარივითაა.

იმისათვის, რომ ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს სულიერ წინსვლაში, ვაიშნავთა აზრით, აუცილებელია ოთხი პრინციპის დაცვა:

1. არ ვჭამოთ ხორცი, თევზი, კვერცხი (ხახვი, ნიორი, სოკო);

2. უარი ვთქვათ ინტოქსიკაციის ყველა სახეობაზე (ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკები, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი):

3. მონაწილეობა არ მივიღოთ აზარტულ თამაშებში;

4. სქესობრივი კავშირი დასაშვებია მხოლოდ კანონიერ მეუღლესთან შთამომავლობის გაჩენის მიზნით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეოთხე პრინციპი, ვაიშნავთა დამოკიდებულება ოჯახის, ქალის, სექსისადმი. ვედური სისტემის მიხედვით, მამაკაცისა და ქალის კავშირი მატერიალური ცხოვრების ძირითადი პრინციპია. ეს კავშირი იზრდება და აიძულებს ადამიანს, ააშენოს სახლი, შეიძინოს მიწა, გააჩინოს შვილები, იყოლიოს მეგობრები და ნაცნობები, იშოვოს ფული. ყოველივე ეს ქმნის მატერიალურ სხეულთან მჭიდრო კავშირის ილუზიას, რომ ის, რაც დაკავშირებულია სხეულთან, თვით ადამიანისაა. და თუკი ადამიანებს სურთ, თავი დააღწიონ ამ ილუზიას, განშორდნენ მატერიალურ სამყაროს, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა ნულამდე უნდა დაიყვანონ. ეს არის იდეალი. ამიტომ ვედური სისტემის მიხედვით, სექსზე საერთოდ უნდა ავიღოთ ხელი. მთელ ამ სისტემას ჰქვია ვარნაშრამა-დხარმა. “სოციალური სისტემა, - წერს შრილა პრაბჰუპადა, - რომელიც მიღებულია ინდოეთში ვარნებისა და აშრამების სახელწოდებით დაყოფილია ოთხ კლასად და სულიერი განვითარების ოთხ სტადიად: ბრახმაჩარია (მოწაფეობა უცოლობის დაცვით), გრხასტხა (ოჯახური ცხოვრება), ვანაპრასტხა (საერო ცხოვრებაზე უარის თქმა) და სანნიასა (სრული განდგომა), ხოლო საზოგადოების ოთხი კლასია - ბრაჰმანები (ინტელექტუალური კლასი), ქშატრიები (ადმინისტრატორების), ვაიშები (ვაჭრები და ფერმერები), შუდრები (მუშები).

ამრიგად, - აგრძელებს პრაბჰუპადა, - ამ სისტემით ის პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას, იმდენად სრულყოფილია, რომ თუკი ადამიანს აქვს მისწრაფება მატერიალური ტკბობისაკენ, ამის მიუხედავად, იგი, ბოლოს და ბოლოს, მაინც აღწევს განთავისუფლებას და ბრუნდება სახლში, უკან, ღმერთთან.

ასეთია ეს მეთოდი. სექსი საჭირო არ არის, მაგრამ რამდენადაც ჩვენ დაკავშირებული ვართ მასთან, არსებობს მისი განმსაზღვრელი მარეგულირებელი პრინციპები."

პრაბჰუპადას თქმით, სექსი საჭიროა მხოლოდ ბავშვების გასაჩენად და არა იმისათვის, რომ შევისწავლოთ სქესობრივი ურთიერთობის ფსიქოლოგია.

როდესაც მთავრდება ოჯახური ცხოვრების პერიოდი, ვაიშნავთა აზრით, დგება ვანაპრასტხი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მიდის ოჯახიდან. ცოლი და ქმარი ცალცალკე ცხოვრობენ. მათ შორის აღარ არის ფიზიკური სიახლოვე. შემდეგ, როდესაც სრულიად განთავისუფლდება ოჯახური ცხოვრებისგან, ადამიანი ღებულობს სანნიასას."

3. მედიტაცია

ვაიშნავთა სულიერ ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია მედიტაციას. მათივე განმარტებით, მედიტაცია არის კრიშნას ცნობიერებაში ჩაძირვა რათა მიაღწიო ოთხხელიანი ფორმის ვიშნუს გულამდე. ისინი მიუთითებენ წყაროსაც - “ბჰაგავატ-გიტას" თავს, სადაც ეს პროცესი ასეა აღწერილი:

“ჯერ უნდა მონახო განმარტოებული, განათებული ადგილი, დაჯდე იქ განსაკუთრებულ პოზაში, შემდეგ უნდა განთავისუფლდე ყველა სურვილისაგან, ყოველგვარი აზრობრივი ტკბობისაგან, პირველ რიგში სექსუალურისაგან და ჩაიძირო მედიტაციაში... ჭეშმარიტი მედიტაცია ძალიან ძნელი შესასრულებელია ჩვენს - კალის - საუკუნეში. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ სატია-იუგას პერიოდში, როდესაც ადამიანები 100 000 წელს ცხოვრობდნენ. მაგალითად ვალმიკი მუნი - “რამაიანას" ავტორი, მედიტირებდა 60 000 წელი, სანამ სრულყოფილებას არ მიაღწია. დღევანდელ კალი-იუგას ეპოქაში, შეცდომების ოკეანის ეპოქაში, რომელიც 5 000 წლის წინ დაიწყო, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ზოგჯერ 60 წელსაც კი არ აღწევს, არ არსებობს განთავისუფლებისა და თვითშემეცნების სხვა გზა, გარდა უფლის სახელის გალობისა. ვაიშნავთა ფილოსოფიით, ღმერთის სახელი თვით ღმერთის ტოლფასია. ამიტომ მისი წარმოთქმით ვაიშნავი უშუალოდ ღმერთს მიმართავს და უკავშირდება.

უფლის სადიდებლად უხსოვარი დროიდან არსებობდა მრავალი მანტრა, მათ შორის აღსანიშნავია “მაჰა-მანტრა" - “დიადი საგალობელი", ან სხვაგვარად “განთავისუფლების დიდი სიმღერა". იგი სრულდება ნებისმიერ მარტივ მელოდიაზე და ასე ჟღერს:

“ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა,

კრიშნა, კრიშნა, ჰარე, ჰარე!

ჰარე რამა, ჰარე, რამა,

რამა, რამა, ჰარე, ჰარე!"

არსებობს მანტრების კითხვის ორი სახე: კოლექტიური და ინდივიდუალური, ამ უკანასკნელს ჯაპა მალაზე (კრიალოსანზე) მანტრის კითხვას უწოდებენ. კრიალოსანს 109 მძივისგან აკეთებენ(108 ჩვეულებრივი და 1 დიდი მძივისგან, იგი კრიშნას განასახიერებს). მძივებს გამძლე ძაფზე ააცვამენ. ყოველი მძივის შემდეგ ძაფს გაკვანძავენ. თითო მანტრის წაკითხვის შემდეგ თითო მძივს ჩამოდიან. ერთგული ვალდებულია 16 წრე გააკეთოს კრიალოსანზე (16X108-ჯერ წარმოთქვას მაჰა-მანტრა), დაიცვას ოთხი მარეგულირებელი პრინციპი და რეგულარულად იკითხოს "ბჰაგავატ-გატა როგორც ასეთი". ვაიშნავთა აზრით, მაჰა-მანტრა ამშვიდებს ადამიანს, ათავისუფლებს მას არასასურველი აზრებისგან, იგი მიმართულია კრიშნასკენ და ამით სრულდება მედიტაციის ძირითადი მიზანი. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მედიტაციის სხვა სახეებიც (ხატხა-იოგა, რაჯა-იოგა და ა.შ.), მაგრამ, დღეისათვის, ყველაზე მარტივ და ამავე დროს ეფექტურ მეთოდად ითვლება მაჰა-მანტრის ჰარე-კრიშნას წარმოთქმა.

კითხვაზე, თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე მაჰა-მანტრის წარმოთქმა, ვაიშნავები პასუხობენ, რომ არის მისი ზემოქმედების სამი საფეხური:

1. პირველ საფეხურზე იწმინდება გონების სარკე. გონების აქტიურობა გამოიხატება იმაში, რომ ასახავს შთაბეჭდილებას და ფიქრის შემდეგ რაღაცას იღებს ან უარყოფს. გონება უხსოვარი დროიდან კონტაქტშია მატერიასთან, შერყვნილია მის მიერ და მოგვაგონებს დამტვერილ სარკეს, რომელსაც დაკარგული აქვს უნარი ნათლად ასახოს ყველაფერი...

2. მეორე საფეხურზე ადამიანი თავისუფლდება მატერიალური არსებობის სიმპტომებისგან: სურვილებისა და ჩივილებისგან. თითოეული ჩვენი წამი ხომ მოშხამულია რაიმე სურვილით ან შეძენილის დაკარგვით...

3. ამ საფეხურზე ადამიანის გონება გამსჭვალულია მუდმივი ბედნიერების შეგრძნებით. მას უკვე აღარაფერი უშლის ხელს. ეს ასეა აღწერილი “ბჰაგავატ-გიტაში": “სრულყოფის სტადიაში, რომელსაც ტრანსი ან სამადხი ჰქვია, ადამიანის გონება იოგას ვარჯიშების წყალობით მთლიანად ეთიშება მატერიალურ გონებრივ მოქმედებას. ეს საფეხური ხასიათდება ადამიანის უნარით შეიცნოს თავისი არსი სუფთა გონებით, იხაროს და ინეტაროს საკუთარ თავში. ამ სასიხარულო მდგომარეობაში ადამიანი განიცდის უსაზღვრო ტრანსცენდენტურ გრძნობას. ამ დონეზე განმტკიცებული, ის არასოდეს არ გადაიხრება ჭეშმარიტებისაგან და როდესაც მიაღწევს მას, ხვდება, რომ არ არის ამაზე უფრო დიდი მოგება. ის, ვინც ასეთ მდგომარეობაშია, არასოდეს შედრკება თვით უმძიმესი უბედურების წინაშე. ჭეშმარიტად, ეს არის ნამდვილი თავისუფლება ყოველგვარი ტანჯვისაგან, რომელიც წარმოიქმნება მატერიალურთან შეხებისას."

ასეთ როლს თამაშობს ღვთის სახელი ადამანის ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვების საქმეში.

4. კრიშნაიზმი და სხვა რელიგიები

ერთი შეხედვით კრიშნაიზმი შემწყნარებლურად ეკიდება სხვა რელიგიებს, ცნობს მათ არსებობას, მათ დამაარსებლებს თუ შემქმნელებს ღვთის მიერ გამოგზავნილებს უწოდებს. ასე მაგალითად, როდესაც შრი პრაბჰუპადას ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს ის იესო ქრისტეზე, მან უპასუხა: “ის ჩვენი ჰურუა, იგი ქადაგებდა ღმერთის ცნობიერებას, ამრიგად ის ჩვენი სულიერი მასწავლებელია... მართლაც, - აგრძელებს იგი, - ნებისმიერი, ვინც ღმერთის დიდებას ავრცელებს, მიღებულ უნდა იქნას როგორც ჰურუ. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ მასზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ პიროვნებაზე. საღმრთო წერილები ამბობენ, რომ თითოეული, ვინც სულიერ მასწავლებელს განიხილავს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, აქვს ჯოჯოხეთური აზროვნების წესი. იესო ქრისტე რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, ის ვერ გაავრცელებდა ღმერთის ცნობიერებას."

პრაბჰუპადას აზრით, ბუდა, ქრისტე მუჰამედი - ყველა ისინი ღმერთის მიერ არიან გამოგზავნილები და მის დავალებას ასრულებენ. მათ უკან უფალი დგას და ეს უფალი კრიშნაა.

თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პრაბჰუპადა, ერთის მხრივ, თითქოს ქება-დიდებას ასხამს იესო ქრისტეს და, მეორე მხრივ, კი აკრიტიკებს მის მიერ ნაქადაგებ რელიგიას. პრაბჰუპადას მიხედვით, ქრისტე, მართალია, შეეწირა ადამიანთა ცოდვებს, მაგრამ ამან ნაყოფი არ გამოიღო, ვინაიდან: “ვინც თავის თავს ქრისტიანებს უწოდებს, დაადგინეს: დაე, ქრისტემ იტანჯოს, ჩვენ კი ამ დროს ყოველგვარ სისულელეებს გავაკეთებთ. ასეთი “ჭკვიანები" არიან: მათ შესთავაზეს იესო ქრისტეს, ხელი მოეწერა კონტრაქტისათვის, რომლის მიხედვითაც ის თავის თავზე აიღებდა მათ შეცდომებს, ისინი კი რაც უნდა, იმას გააკეთებდნენ. ქრისტემ, მართლაც თავის თავზე აიღო მათი შეცდომები, მაგრამ ამან მისი მიმდევრები ცოდვისაგან ვერ შეაჩერა. ისინი ისევ ისე სცოდავენ!"

მეორე ადგილას პრაბჰუპადა წერს: “იესო ქრისტე მზადაა წარუძღვეს ადამიანებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არავის სურს, წაყვეს მას. ისინი თვლიან, რომ იესო ქრისტემ ხელი მოაწერა კონტრაქტს მათ ცოდვებზე. ასეთია მათი ფილოსოფია. ისინი ყოველნაირად სცოდავენ, მათ ნაცვლად კი საწყალმა იესო ქრისტემ უნდა გასცეს პასუხი. ასეთია მათი რელიგია. ამიტომ ისინი ამბობენ: “ჩვენ ძალიან კარგი რელიგია გვაქვს, ჩვენი ცოდვებისთვის მოკვდება იესო ქრისტე." მართლა კარგია ასეთი რელიგია? მათ ხომ ერთი წვეთი სიბრალული არა აქვთ იესო ქრისტესადმი. იგი მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, მაგრამ კვლავ რატომ უნდა შევცოდოთ?"

ვაიშნავთა მტკიცებით, ქრისტე მოგვიწოდებდა, თავი აგვერიდებინა მკვლელობებისათვის, მისმა მიმდევრებმა კი რა ქნეს? მათ მეცნიერულად მოწყობილი სასაკლაოები მოაწყვეს, სადაც მილიონობით ცხოველს უღებენ ბოლოს. ისინი ფიქრობენ, რომ ცხოველებს არა აქვთ სული და ამაში ცუდი არაფერია და თუ ეს მაინც ცოდვა არის, სულერთია, იესო ქრისტე გვიხსნისო თავისი მსხვერპლით. ის დაიტანჯება ჩვენთვის, ჩვენი შეცოდებისათვის. ფაქტობრივად, - აგრძელებენ ვაიშნავები, - ის, ვინც ხელმძღვანელობს იესო ქრისტეს მაგალითით, აუცილებლად მიაღწევს განთავისუფლებას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ძალიან ძნელია, ნახო ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ასრულებდეს მის დარიგებებს.

მე აქ არ შევუდგები იმის ჩვენებას, თუ როგორ ამახინჯებენ და საოცრად ამარტივებენ ვაიშნავები ქრისტიანულ მოძღვრებას, როგორ ცდილობენ, აჩვენონ ქრისტიანობის უეფექტობა, უშედეგობა, აჩვენონ, რომ თავისი არსებობის ოცი საუკუნის მანძილზე მან ზნეობრივად ვერ გარდაქმნა ადამიანი, რომ მისი მიმდევრები მხოლოდ სიტყვით არიან იესო ქრისტეს ერთგულები და ა.შ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ისინი ასევე ექცევიან სხვა რელიგიებსაც, ამასთანავე მიუთითებენ თავისი მოძღვრების უნიკალურობაზე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. და ბოლოს, ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომელზედაც უნდა მისულიყვნენ: “კრიშნა, - წერს შრილა პრაბჰუპადა, - ღმერთია და მოითხოვს: “დატოვე ყველა სხვა რელიგია და მიერთგულე მე", მაგრამ ადამიანებმა ვერ გაუგეს მას.ამიტომ კრიშნა კიდევ მოვიდა ჰურუს როლში და ასწავლიდა, თუ როგორ გამხდარიყვნენ მისი ერთგულები..."

და თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ რაღა გზა რჩებათ ქრისტიან მღვდლებს? პრაბჰუპადას თქმით, “ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი - მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ კრიშნას მოძრაობასთან. ამისთვის კი საჭიროა, რომ ქრისტე ძველებურად ადიდონ, მაგრამ შეწყვიტონ ცხოველთა კვლა, რაც შეესატყვისება ქრისტიანულ მოძღვრებასაც. თუ ამასაც გააკეთებთ, - აგრძელებს შრილა პრაბჰუპადა, - ნახავთ, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება.."

*

* *

რა არის კრიშნაიზმი, რატომ გაჩნდა იგი? კანონზომიერი მოვლენაა თუ შემთხვევითი მოძრაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოდამ შემოაგდო; რა ფესვები გააჩნია მას, რელიგიაა თუ რაიმე ეგზოტიკური ახალგაზრდული მოძრაობა, როგორი მომავალი აქვს მას? ეს და მრავალი სხვა კითხვა ისმის ამ მოძრაობის მიმართ არა მარტო სხვაგან, არამედ ჩვენშიც - საქართველოში.

მართალია, ბევრი მეთვალყურე თვლის, რომ არ შეიძლება ჰარე კრიშნას მოძრაობის გადაჭარბებული შეფასება არც დასავლეთში და არც ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ მონაცემები მის შესახებ ძალზე გაზვიადებულია, მაგრამ ის ფაქტი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ძალზე სწრაფად და ხმაურით გავრცელდა მრავალ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც.

თუკი მაინც მოვძებნით მისი ესოდენ სწრაფი გავრცელების მიზეზებს, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ღრმა იდეოლოგიური კრიზისი, არსებული რელიგიური ორგანიზაციების ავტორიტეტის დაცემა, ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება, სულიერი დაუკმაყოფილებლობა, ყოფითი სახის პრობლემები და სხვა.

მე ამ წერილში მაზნად არ დამისახავს, შემეფასებინა კრიშნაიზმი, გამერკვია მისი ჭეშმარიტება თუ მცდარობა, მე არ ვაქებ და არც ვლანძღავ ამ მოძღვრებას, არც

ვაიშნავთა მიერ სხვა რელიგიათა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორ ინტერპრეტაციათა მხილებას ვცდილობ; როგორც შესავალში ვთქვი, მე მათ წარმომადგენლებს აღვუთქვი, ობიექტურად, პოზიტიურ პლანში გადმომეცა ვაიშნავთა მოძღვრება, რომლის შესახებაც მოსახლეობაში ათასი უაზრობა და ლეგენდა დადის. შევეცადე ვაიშნავთა მოძღვრება ძირითადად მათივე წიგნების (პრაბჰუპადას თუ სხვა ერთგულების), მათი მიმდევრების აზრებით გადმომეცა. რამდენად შევძელი მცირე მასალაში ამის გაკეთება, თვითონვე განსაჯონ. მე მხოლოდ ერთი კუთხიდან, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მკითხველებს და თვით ვაიშნავებს მინდა გავუზიარო კითხვები, რომლებიც გამიჩნდა ამ მოძღვრების რიტუალური მხარეებისა და თვით მორწმუნეებზე დაკვირვებისას:

1. რამდენად მისაღებია ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, საქართველოსათვის, რომელიც ოდითგანვე იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, რომლის საუკეთესო შვილები ამ მიზნისათვის ბრძოლაში დაეცნენ, მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეროვნულობას, რომ მსჯელობა: “მე სხეული ვარ, რამდენადაც იგი გარკვეულ ადგილას იმყოფება, შესაბამისად ეს ჩემი სამშობლოა. მე ამერიკელი ვარ, მე - ინდოელი, მე - გერმანელი, მე ესა ვარ, მე სხეული ვარ. ეს ჩემი ქვეყანაა. მე ყველაფერს შევწირავ ჩემს სამშობლოს და საზოგადოებას, ეს ილუზიაა. ადამიანი, რომელიც ასეთი ილუზიის ქვეშ იმყოფება, სიკვდილის მომენტში ღებულობს სხვა სხეულს. ახალი სხეული უკეთესი იქნება, თუ უარესი, განსაზღვრულია კარმით".

ამ დებულებიდან გამომდინარე ლოგიკურია ასეთი მსჯელობა: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქართველობას, ჩვენს ბრძოლას, ჩვენს ისტორიას, თუკი ხვალ მე არ ვიცი ვინ ვიქნები, კორეელი თუ ვიეტნამელი, რუსი თუ გერმანელი? თუ ეს მართლა ასეა, რა მნიშვნელობა აქვს მთელ ჩვენს ისტორიას, შრომას და გარჯას?

2. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ჩვენმა ხალხმა უღალატოს თავისი არსებობის წესს, საუკუნეების მანძილზე დადგენილ სარწმუნოებას, ადათებსა და წეს-ჩვეულებებს, ვაზის კულტურას, ქართულ სუფრას და გადავიდეს ცხოვრების გაცილებით ასკეტურ წესზე, უარი თქვას ერთი ჭიქა ღვინის, თვით ჩაის და ყავის დალევაზეც?

3. როგორ შეეგუება ჩვენი ხალხი ოჯახზე ამა თუ იმ სახით უარის თქმას (ვანაპრასტხა, სანნიასა); ბერ-მონაზვნობა რასაკვირველია, ქრისტიანობაშიც არის, მაგრამ ლაპარაკია მასობრივ მოვლენაზე, როდესაც ადამიანი მიდის ოჯახიდან, ტოვებს ცოლს, შვილებს შვილიშვილებს?

4. რამდენად შეესატყვისება საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებს ესოდენი რელიგიური დაქუცმაცება. ახლა ხომ ქართველი მართლმადიდებელიც არის, კათოლიკეც, ბაპტისტიც, იეღოველიც, ძველმართლმადიდებელიც, ადვენტისტიც, მუსლიმი და ახლა ვაიშნავიც. თუ მათთვის რელიგია პირველ პლანზეა, ვის ერთგულებენ ისინი?

5. ჩვენი შეხედულებით ვაიშნავთა მოძღვრება მნიშვნელოვნად ანელებს მოქალაქეობრივ-პატრიოტულ აქტიურობას და ეს ფაქტი თუ მეტ-ნაკლებად ასატანია

დიდი ერებისათვის, იგი მთლიანად ხომ არ დაღუპავს საქართველოსთანა პატარა ქვეყანას?

კიდევ მრავალი კითხვა ჩნდება, მაგრამ ამჯერად ამით მინდა დავკმაყოფილდეთ და სანამ ამ კითხვებზე პასუხს მივიღებდე, პატარა დასკვნის სახით ასეთი რამ მინდა გავახსენო ამ მოძღვრების თავგადადებულ ქართველ მიმდევრებს: ერთხელ რუსეთიდან ამერიკაში ემიგრირებულ ცნობილ ებრაელ რუსულენოვან პოეტს ბროდსკის, რომელიც ძალზე გატაცებული იყო აღმოსავლური სარწმუნოებით, ჰკითხეს აზრი ამ რელიგიების შესახებ. ბროდსკიმ უპასუხა, რომ ეს გატაცება დიდი ხანია უკვე წარსულს ჩაბარდა, რომ იგი დაუბრუნდა იუდაიზმს, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს თუმცა ვიწრო, მაგრამ ძლიერ ნაკადს მსოფლიო კულტურაში. იოსებ ბროდსკის პასუხში ნათლად ჩანს პოეტის შემობრუნება და ერთგულება ებრაული ეროვნული სახელმწიფოს იდეისადმი, რომელიც იუდაიზმის გარეშე წარმოუდგენელია. ხომ არაფერს გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი?

და კიდევ ერთი: ძალიან მიჭირს, შევეგუო იმას, რომ მცხეთაში, რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით სვეტიცხოვლის ტაძრიდან, სადაც ჩემი ნაცნობი ვაიშნავის ოჯახში დაიბადა ბიჭი, რომელსაც ბალარამა (კრიშნას ძმის სახელი) დაარქვეს; სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ ბებია და პაპა მას ოჯახში გურამს ეძახიან...

*

* *

ეს წერილი რამდენიმე წლის წინ დაიწერა. მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოში. ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზას. საქართველო ცდილობს დაიცვას რელიგიურ უმცირესობათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული კანონები. ჩვენში ახლა აღარ არიან აკრძალული სექტები. ამ პირობებით კარგად ისარგებლეს დევნილმა რელიგიურმა დენომინაციებმა და აქტიური საქმანობა გააჩაღეს, მრავალი ფილიალიც გახსნეს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. გაცხოველდა ურთიერთობა რელიგიურ ცენტრებთან. საქართველოში ახლა სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის უამრავი სასულიერო პირი ჩამოდის.

თბილისში, კაჭარავას ქუჩის #16-ში, შამპანური ღვინის ქარხნის მახლობლად, ვაიშნავებმა ააშენეს ვედური კულტურის დიდებული სამსართულიანი ცენტრი, რომელშიც კრიშნას ერთგულები ყოველდღე ორჯერ აღავლენენ ლოცვას თავისი ღვთაებისადმი. ვაიშნავთა სხვა საქმიანობიდან, ვედური ცოდნის გავრცელებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს აფხაზეთში მიმდინარე სამწუხარო ამბების დროს გაჭირვებულთათვის სოხუმში უფასო სასადილოს გახსნა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ლტოლვილთათვის - თბილისში. ასეთი ღონისძიება მათთვის ახალი არ არის; ასე გააკეთეს მათ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც კი გაჭირვება იყო, ასევე მოიქცნენ ისინი სომხეთში დიდი მიწისძვრის შემდეგაც. ამ უკანასკნელ ხანს აჟიოტაჟი მათი

მოძღვრების შესახებ საქართველოში ერთგვარად ჩაცხრა. იგი ერთგვარად გადაფარა “იეღოვას მოწმეების" დენომინაციის კიდევ უფრო ხმაურიანმა კამპანიებმა. მაგრამ საქართველოს ცის ქვეშ დღესაც გასაგონად გაისმის ვაიშნავთა მაჰა-მანტრა - ჰარე კრიშნა.

“ფილოსოფიური ძიებანი", კრებული I, თბილისი, 1997წ.

V. ბაპტიზმი

“თუკი ჩემს ქრისტიანობას იმ სახით არ დამანებებ, როგორც აქამდე მიცვნია, შემიძლია სულაც ათეიზმისკენ გადავიხარო”.

გოეთე

იმ მძიმე, უკომპრომისო და უშეღავათო ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს პოსტსაბჭოურ სივრცეში ადამიანთა გონებისა და რწმენისათვის, გავლენის გავრცელების არეალისათვის მონაწილე რელიგიურ მხარეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა დენომინაციას, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან გავრცელდა.

ბოლო რამდენიმე ათწლეულში საქართველოში კრიშნაიტურმა, შემდეგ კი იეღოველთა ხმაურიანმა შემოსვლამ, ერთი შეხედვით, თითქოს გადაფარა და გააფერმკრთალა ბაპტისტ მქადაგებელთა ენერგიული ხმა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე სულაც არ არის. ბაპტისტთა რაოდენობას მისი მომხრეები 100 მილიონამდეც კი ვარაუდობენ, საქართველოში კი ზუსტ ციფრს, 17 000- ს, ასახელებენ. 5 მილიონიანი საქართველოსათვის ეს ციფრი თითქოს დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ თითოეული ბაპტისტი მოქმედი მორწმუნეა, თავისი მოძღვრების აქტიური დამცველი და გამავრცელებელი, მაშინ ეს ციფრი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

ბაპტიზმი ჩვენში თითქოს კარგად არის ცნობილი და შესწავლილი. თავის დროზე მისი მოძღვრების, კულტის და მქადაგებლური საქმიანობის შესახებ საბჭოურ ლიტერატურაში უამრავი სამეცნიერო და პოპულარული მასალა იყო გამოქვეყნებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენც მოგვეპოვება ქართულ ენაზე გამოცემული რამდენიმე ბროშურა. ათეიზმის ბატონობის ხანაში კი მისი მოძღვრების კრიტიკის პოზიციებიდან დაცულ იქნა რამდენიმე დისერტაციაც, მაგრამ დღეს, ცხადია, საქართველოში ბაპტიზმი ის აღარ არის, რაც იყო. რელიგიურმა თავისუფლებამ ჩვენს რესპუბლიკაში და მისგან მომდინარე სარწმუნოებრივმა პლურალიზმმა ბევრი რამ შეცვალა.

მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ კომუნისტური წესწყობილების დროს ბაპტისტებს ჰქონდათ 13 რეგისტრირებული სამლოცველო, დღეს კი მათი რიცხვი 60-ს უდრის, ის ფაქტი, რომ მათ აქვთ ბიბლიის შემსწავლელი კოლეჯი 2 წლიანი პროგრამით, სემინარია 6 წლიანი პროგრამით, რომელიც უკვე 5 წელია, რაც არსებობს, გაზეთი “უფლის ხმა", ჟურნალი “ბეთლემი", ახალგაზრდული გაზეთი “ჩვენ ", ბიულეტენი “ექო", რადიო “მეგობარი", ძალზე გააქტიურებული საერთაშორისო ურთიერთობანი, სხვა უამრავი რამ, მათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ბაპტისტები ადგილზე არ დგანან და საკმაოდ მიზანსწრაფულად მიიწევენ წინ.

რა იქნება შემდეგ, რა პერსპექტივები აქვს ბაპტიზმს საქართველოში? რა ადგილს დაიკავებს იგი ქართველთა თუ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხის ცნობიერებასა და ცხოვრებაში? სანამ ამ საკითხების შესახებ ვრცლად ვისაუბრებდეთ, მანამ ერთი წუთით მაინც თვალი გადავავლოთ ბაპტიზმის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, მის მოძღვრებას, დოგმატურსა და რიტუალურ თავისებურებებს. ვნახოთ მოსახლეობაში მისი გავრცელებისა და პოპულარობის მიზეზები.

1. ბაპტიზმის ისტორიიდან

სახელწოდება “ბაპტიზმი" წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან “ბაპტიზო", რაც ქართულად ნიშნავს “ვნათლავ წყლით". ქრისტიანობის ეს მიმართულება რეფორმაციული ქრისტიანობის რადიკალური ფრთის ნაირსახეობას წარმოადგენს. მისი პირველი ორგანიზაცია 1609 წელს შეიქმნა ჰოლანდიაში ანგლიკანური ეკლესიისაგან დევნილ კონგრეგაციონალისტ ინგლისელ პირებს შორის. აქედან იგი სწრაფად გავრცელდა თვით ინგლისში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. როგორც რელიგიის მკვლევარები აღნიშნავენ, ბაპტიზმის წარმოშობა, თეოლოგიური მოტივების გარდა, განპირობებული იყო წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილის მისწრაფებით სახელმწიფოსაგან გამოეყო ეკლესია და გამოეცხადებინა რჯულთშემწყნარებლობა.

პროტესტენტული სარწმუნოების მიმდევართა ტრადიციის მიხედვით, ბაპტისტურ რჯულთმოძღვრებას საფუძვლად უდევს მხოლოდ საღმრთო წერილი. კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საღმრთო გადმოცემა და სხვა გვიანდელი თეოლოგიური თხზულებანი მასში მთლიანად უარყოფილია.

ინგლისელ ბაპტისტთა შორის გამოყოფენ ორი ტიპის მორწმუნეებს: კერძო და საერთო ბაპტისტებს. პირველთა აზრით, იესო ქრისტეს მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვა შეეხო ადამიანთა მხოლოდ რჩეულ ნაწილს, მეორეთა რწმენით კი - ყველას.

წარმოდგენა ღმერთზე, ამ კონფესიის თეორეტიკოსთა მსჯელობით, ორთოდოქსულია. ისინი აღიარებენ სამების დოგმატს და იესო ქრისტეს უფლობას და მაცხოვარებას.

ადამიანთა ცხოვრება კი ორი ნაწილისაგან შედგება: ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრებისაგან. აქედან პირველი დროებითი, ხანმოკლე და სწრაფად წარმავალია, მეორე კი - მარადიული. პირველი მხოლოდ მოსამზადებელი ადგილია, მეორე კი - საბოლოო მიზანი.

მათი მოძღვრების მიხედვით, ადამიანი დახსნილია ღვთის მადლით, რწმენის მეშვეობით. ამდენად, ადამიანი მართლდება არა საქმით, არამედ რწმენით, მაგრამ საქმესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ბაპტიზმში მორწმუნის პირად რწმენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იესო ქრისტეს გამომსყიდველ მსხვერპლს. მათ სწამთ იესო ქრისტეს მეორედ მოვლინება და საშინელი სამსჯავრო, რომლის მეოხებითაც მართლმორწმუნენი სამოთხეში მოხვდებიან, ცოდვილნი კი - ჯოჯოხეთში.

2. ბაპტიზმის თავისებურებანი

კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით ბაპტიზმმა მნიშვნელოვნად გაამარტივა თავისი რჯულთმოძღვრება და კულტი. უარყო საღმრთო ტრადიცია, უარი თქვა სამღვდელოებაზე, როგორც შუამავალზე ღმერთსა და ადამიანს შორის და გამოაცხადა საყოველთაო მღვდლობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყოველი მორწმუნე მღვდელია. მან მნიშვნელოვანწილად უარი თქვა მდიდრულ წირვა-ლოცვაზე და მის ნაცვლად სამლოცველოში ღმერთის თაყვანსაცემად პოპულარულ მელოდიებზე რელიგიური ჰიმნების გალობა შემოიღო იონიკის, აკორდეონის, ორღანის თუ სხვა ინსტრუმენტების თანხლებით. ამ დენომინაციის ღვთისმსახურებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქადაგებას. მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმისაგან განსხვავებით ბაპტიზმმა 7 საიდუმლო 2-მდე - ნათლობასა და ზიარებამდე - დაიყვანა. დენომინაციის რიტუალებიდან ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათვლას, რომლის მეოხებითაც მორწმუნე ეკლესიის წევრი ხდება. ბაპტისტები თავის ხალხს მოწიფულ ასაკში ნათლავენ. ეს ტრადიცია მათ გადმოტანილი აქვთ მენონიტებისაგან. ასეთ ნაგვიანებ ნათლობას ისინი იმ მოტივით ამართლებენ, რომ ეს რიტუალი შეგნებულად და ნებაყოფლობით უნდა შესრულდეს და არა მექანიკურად.

ბაპტისტები მორწმუნეს ნათლავენ ბუნებრივ პირობებში: ოკეანეში, ზღვაში, მდინარეში. თუ ასეთი რამ მათ სიახლოვეს არ არის, მაშინ ისინი აკეთებენ ხელოვნურ წყალსაცავს, რომელსაც ბაპტისტერიას (ბაპტისტერიუმს) უწოდებენ.. ნათლობის შემდეგ მონათლულს ეძლევა მონათვლის დამადასტურებელი მოწმობა და თუ იგი სხვა ადგილას გადავიდა საცხოვრებლად, მან იქაურ თანამორწმუნეებს უნდა წარუდგინოს ეს მოწმობა.

მორწმუნე ბაპტისტების უპირველეს მოვალეობად ითვლება თავისი რელიგიის გავრცელება. ამ მიმართულებით ისინი აქტიურად მუშაობენ. წელიწადში თითოეულმა მორწმუნემ დენომინაციას უნდა შემატოს ერთი ან ორი ახალი წევრი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ისინი თავიანთ თავს ადამიანთა “სულებზე მებადურებს” უწოდებენ.

ქრისტიანობის ეს მიმდინარეობა თავისი მრევლისგან მოითხოვს უარის თქმას თამბაქოს მოწევაზე, სპირტიან სასმელებზე. ისინი ერთმანეთს ძმებსა და დებს უწოდებენ; ამავე დროს ერთმანეთს თვალს ადევნებენ და ცდილობენ გაარკვიონ, რამდენად შეესატყვისება მათი ძმებისა და დების ქცევა იმ იდეალს, რომელსაც ბაპტისტები უხატავენ თავიანთ მრევლს.

მართლმადიდებლური და კათოლიკური დღესასწაულებიდან ისინი ზეიმობენ მხოლოდ იმ დღესასწაულებს, რომლებიც ბიბლიიდან მომდინარეობენ: შობას, აღდგომას, ხარებას, ფერისცვალებას, ამაღლებას, სულთმოფენობას. გარდა ამ დღეებისა მათ აქვთ საკუთარი დღესასწაულებიც. ესაა ერთობის დღე, სამკლის დღე, განსაკუთრებით ზეიმით აღინიშნება ნათლობა.

ბაპტისტურ თემს სათავეში უდგას პრესვიტერი, რომელსაც ირჩევენ თემის კრებაზე. იგი, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს თემის წინამძღოლმა. სრულდება ხელდების, ანუ ხელდასხმის რიტუალი. გარდა ამისა მათ რწმენაში დიდ როლს, ასრულებს მართლმადიდებლური და კათოლიკური ზიარების ნაირსახეობა - პურისტეხა.

მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმისაგან განსხვავებით წესჩვეულებათა შესრულებას ქრისტიანობის ამ მიმდინარეობაში ავტომატურად არ მოაქვს იმქვეყნიური ნეტარება. იგი მხოლოდ ეხმარება მორწმუნეებს განუმტკიცოს ღვთისადმი რწმენა.

ბაპტისტები მრევლის დაინტერესებისა და ახალი მორწმუნეების შესაძენად აწყობენ სიყვარულის საღამოებს (სერობებს), ქმნიან ახალგაზრდულ ჯგუფებს, აწყობენ საბავშვო ბანაკებს, ფართო ყურადღებას უთმობენ თვითშემოქმედებას და ა.შ.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ბაპტიზმი გერმანიიდან რუსეთში გავრცელდა. მისი პირველი მიმდევრები გერმანელი კოლონისტები იყვნენ. ნიადაგი მისი გავრცელებისათვის მომზადებული იყო შტუნდისტების (პროტესტანტი მქადაგებლების მიერ რუსეთის გერმანელ კოლონისტებში 1861 წლის შემდეგ გავრცელებული არატრადიციული მიმდინარეობების საერთო სახელწოდება) საქმიანობით. თავდაპირველად ახალი მიმდინარეობა უკრაინასა და კავკასიაში გავრცელდა, შემდეგ კი სხვა მხარეებშიც. ბაპტისტების სოციალურ შემადგენლობაში შედიოდა სოფლის შეძლებული ფენები, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. მათ მომხრეები ჰყავდათ ღარიბ გლეხობასა და მეშჩანთა ფენებშიც.

დენომინაციის ძლიერმა ორგანიზაციამ, ფართო მისიონერულმა მუშაობამ, რელიგიური სასწავლებლების გახსნამ, სპეციალური კურსების შექმნამ, ჟურნალებისა თუ სხვა ლიტერატურის გავრცელებამ, მალე ბაპტიზმი რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს მიმდინარეობად აქცია.

დენომინაციას სათავეში ჩაუდგნენ მდიდარი ვაჭრები, რომლებიც თანხებს არ იშურებდნენ თავისი რჯულთმოძღვრების გავრცელებისათვის.

თანამედროვე სახარებისეული ქრისტიან-ბაპტისტთა ორგანიზაცია თანდათან ჩამოყალიბდა. 1944 წელს ბაპტისტებს შეუერთდნენ სახარებისეული ქრისტიანები,

1945 წელს ორმოცდაათიანელების ნაწილი, ხოლო 1963 წლიდან მენონიტების ნაწილი.

1961 წელს ბაპტიზმს გამოეყო ე.წ. “საინიციატივო ჯგუფები", რომელთაც იმდროინდელი ხელისუფლების მიმართ აშკარა მტრული პოზიცია დაიკავეს.

ბაპტიზმი საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, XIX საუკუნიდან ვრცელდება. თავდაპირველად მისი წევრები უმეტესად მალაკნები - რუსები და უკრაინელები - იყვნენ. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მის შემადგენლობაში ჩვენ ვხვდებით ადგილობრივ მოსახლეობასაც: ქართველებს, სომხებს, ოსებს. თბილისი იქცა ბაპტიზმის ამიერკავკასიის ცენტრად. ბაპტისტური ეკლესიები იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში, წირვა-ლოცვაც სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობდა.

3. ბაპტისტთა პრობლემები საქართველოში

გორისკენ მიმავალ “რაფის" ტიპის ათკაციან მანქანაში მძღოლის გარდა ოთხი კაცი ვიჯექით. აქედან ერთი თვით მასპინძელი იყო. სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა პრეზიდენტი საქართველოში, ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, ორი სტუმარი ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტიდან - ღირსი პროფესორი გრენვილ ოვერტონი, პროფესორი, დოქტორი ივან ჯონსონი და მე, რომელსაც ქრისტიან-ბაპტისტთა კონფესია პროვინციაში კარგა ხანს არ მენახა.

ჯერ კიდევ თბილისში შეხვედრისას, საუბარი გვქონდა რელიგიის მდგომარეობაზე მსოფლიოში, ინგლისში, სხვადასხვა დენომინაციებზე, მათ როლზე კაცობრიობის ცხოვრებაში, შემდეგ ეს საუბარი მანქანაში გაგრძელდა, რომლის მთავარი თემა უკვე უშუალოდ ბაპტიზმი იყო. ვილაპარაკეთ მის მიზანსა და დანიშნულებაზე, გავრცელების არეალზე და ბოლოს ამ დენომინაციის ადგილზე საქართველოში.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რაში მდგომარეობს ბაპტიზმის ძალა, მსოფლიოში მისი პოპულარობის მიზეზი, პროფესორმა გრენვილ ოვერტონმა მიპასუხა, რომ ეს ერთობ ძნელი კითხვაა, იგი დიდ დროს და ვრცელ პასუხს მოითხოვს, მაგრამ, თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ, პირველ რიგში ის პრინციპები უნდა გავიხსენოთ, რასაც სახარებისეულ-ქრისტიან ბაპტისტთა კონფესია მთლიანად ეფუძნება. ესაა: ბიბლიის ავტორიტეტი, მორწმუნეთა ნათლისღება, საყოველთაო მღვდლობა, ადგილობრივი ეკლესიის ავტონომია, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა. აქედან გამომდინარე ჩვენს მოძღვრებაში მთავარია მორწმუნეთა უშუალო კავშირი უზენაესთან, ფიქრი და ზრუნვა ადამიანთა ამქვეყნიურ სოციალურ პრობლემებზეც და ბოლოს, ცდა, ეკლესიას დავუბრუნოთ ის სურნელი, რომელიც თავდაპირველ ქრისტიანულ ეკლესიას ჰქონდა.

უმთავრესი, რისი შეთავაზებაც შეუძლია ჩვენს ეკლესიას მორწმუნეთათვის, ეს არის უფრო მეტი სიახლოვე მაცხოვართან, მისი უკეთ შეცნობა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ტრადიციული ეკლესია ისე გაება დოგმატების ლაბირინთებში, რომ

მათში იესოს ჭეშმარიტი სახის დანახვა ერთობ გაძნელდა. თავის მხრივ, ჩვენი ეკლესია თავისუფალია ბევრი დოგმისაგან, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს ადამიანის უშუალო კონტაქტს იესოსთან.

შემდეგი ჩემი შეკითხვა უკვე ტრადიციული იყო, რასაც საქართველოში თავისი მოძღვრების საქადაგებლად ჩამოსულ ყველა არატრადიციული დენომინაციის წარმომადგენლებს ვუსვამ ხოლმე: ითვალისწინებენ თუ არა ისინი, თუ როგორ ქვეყანაში მოხვდნენ, აცნობიერებენ თუ არა ტრადიციული მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციას პატარა ქვეყანაში, მის როლს ქვეყნის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის საქმეში. ითვალისწინებენ თუ არა იმას, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველობა და ქრისტიანობა (ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობა) იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა, რომ იგი იყო ის ფარი, რომელიც საუკუნეების მანძილზე იცავდა ქართველთა ეროვნულ მეობას და ცნობიერებას გადაგვარებისა და გაუცხოებისაგან. ითვალისწინებენ თუ არა ისინი მტრული ქვეყნების და ქრისტიანობისადმი დაპირისპირებული რელიგიების გარემოცვაში მოხვედრილი პატარა ქვეყნის მენტალიტეტს, და ბოლოს, იციან თუ არა მათ, რომ ქრისტიანობა(მართლმადიდებლობა) მათთვის მარტო რელიგია კი არ იყო, არამედ ყოველივე ის, რასაც ქართველობა ერქვა...

ჩემს ამგვარ შეკითხვა-მტკიცებაზე სტუმრებმა საკმაო ცოდნა და ინფორმირებულობა გამოამჟღავნეს. ძირითადად დამეთანხმნენ საქართველოში მართლმადიდებლობის როლის ასეთ შეფასებაში, აღნიშნეს, რომ მათ ესმით ეს პრობლემები, მაგრამ ახლა სხვა დროა, მსოფლიო სხვა პირობებში ცხოვრობს. თანამედროვე პლურალურ საზოგადიებაში კი, სადაც პიროვნების თავისუფლება პირველ პლანზე იწევს, ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება განახორციელოს თავისი უფლებები, აირჩიოს მისთვის შესაფერისი და მისაღები რწმენა, რომ ამ საკითხში არავითარი ძალდატანება არ უნდა იყოს...

ჩემს შენიშვნაზე, რომ ძალდატანება სხვადასხვა სახით შეიძლება იყოს შეფარული, ეკონომიკური, პროპაგანდისტული თუ სხვა, სტუმრებმა გვიპასუხეს, რომ ბაპტისტებს ეს არ ეხებათ, რადგან ისინი პროზელიტიზმს (სხვა სარწმუნოების თუ მიმდინარეობის მორწმუნეების გადმობირებას) არ მიმართავენ. ამ პასუხზე მე გამეღიმა, მაგრამ ამჯერად აღარაფერი მითქვამს... სინამდვილეში რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაპტისტური კონფესია საქართველოში აღმავლობის გზაზეა. მორწმუნეთა რაოდენობა აშკარად იზრდება. მათ მოახერხეს რელიგიური სწავლების სათანადო დონეზე დაყენება, ფართოდ გაშალეს პროპაგანდისტული მუშაობა. მართალია, ისინი ირწმუნებიან, რომ არ მიმართავენ პროზელიტიზმს, სხვისი სამწყსოდან “ცხვრის გატაცება" მათთვის თითქოს მიუღებელია, რომ ბაპტისტური დენომინაცია, მათი მტკიცებით, ყველა მიმდინარეობის ეკლესიებთან და მორწმუნეებთან მშვიდობიან თანაარსებობას ქადაგებს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ბაპტისტთა რიგების ზრდა ყოველთვის როდი ხდება მხოლოდ ამ მიმდინარეობის მაღიარებელი ოჯახების წევრთა გამრავლების ხარჯზე, და ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის, რადგან ისინი, როგორც ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობა, თვლიან, რომ ნაპოვნი აქვთ ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ხსნისაკენ,

ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იპოვოს და აღიაროს ეს გზა, მოიპოვოს მარადიული სასუფეველი. აქედან გამომდინარე, სადაც არ უნდა იყოს ბაპტისტი, რა მდგომარეობაში და ვითარებაში, ყველგან ცდილობს თავისი მოძღვრების გავრცელებას, ახალი წევრებისა და თანამოაზრეების შემომატებას.

ბაპტიზმის პოპულარობას მთელ მსოფლიოში და ჩვენთანაც, ალბათ, ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ ისინი თავისებურად წყვეტენ ეროვნული კუთვნილების საკითხს. მათ ერთიან ორგანიზაციასთან ერთად ეროვნული ნიშნით ჰყავთ დაჯგუფებული ხალხი. თითოეულ ეროვნებას (ან ამ ეროვნების ენაზე მოლაპარაკე ადამიანს) საშუალება აქვს, თავის ენაზე შეასრულოს ღვთისმსახურება, იკითხოს რელიგიური ლიტერატურა, მიმართოს მაცხოვარს. ამ მხრივ, საქართველო თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ბაპტისტური ორგანიზაცია მრავალეროვან სახელმწიფოში. საქართველოში არის ბაპტისტთა ქართული, რუსული, სომხური, ოსური ჯგუფები. თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი საშუალება თავის მშობლიურ ენაზე იქადაგოს, შეასრულოს რელიგიური რიტუალები და იკითხოს სათანადო ლიტერატურა. ცხადია, ყოველივე ეს არ გამორიცხავს ზოგად რელიგიურ იდეალებსა და მისწრაფებებს. საერთო მიზანი კი ღმერთის თაყვანისცემა, მისი პატივისცემა და ადამიანთა სულიერი ხსნაა...

ახალ ვითარებაში საქართველოში მოქმედი ყველა არატრადიციული დენომინაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ურთიერთობა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ჩვენი საუბარი ამ თემაზე სტუმრებმა ღიმილით, დასავლეთში გავრცელებული ანეკდოტით დაიწყეს, მკითხეს – “ვიცი თუ არა მე, რა განსხვავებაა ტერორისტებსა და მართლმადიდებლებს შორის?” ჩემი უარყოფითი პასუხის შემდეგ, მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ, კითხვას თვითონვე უპასუხეს – “ტერორისტებთან მოლაპარაკება და შეთანხმება შეიძლებაო”...

ამ მოკლე, მაგრამ გესლიან ანეკდოტში ნათლად ჩანს მათი წარმოდგენა მართლმადიდებლობაზე, როგორც უკიდურეს კონსერვატიულ ძალაზე, რომელთანაც მოლაპარაკება, საერთოს ნახვა ან რაიმეს შეთანხმება ძალიან ძნელია ან თითქმის შეუძლებელია. ის, რასაც მართლმადიდებლები თავის ღირსებად და უპირატესობად თვლიან, კერძოდ, შეუვალ ერთგულებას იმ მემკვიდრეობისადმი, რაც მაცხოვარმა, მოციქულებმა და ეკლესიის მამებმა ერთხელ და სამუდამოდ დაგვიტოვეს, მათ მის დამღუპველ ნაკლად მიაჩნიათ.

ეს ყველაფერი მაინც ხუმრობით ითქვა, მაგრამ შემდეგ მათ სერიოზულად გამოთქვეს თავისი შეშფოთება მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ბაპტისტთა მიმართ გამოხატული მტრული პოზიციის გამო...

მათ, ცხადია, აწუხებთ მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთი დამოკიდებულება. აწუხებთ, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II ისინი, ბევრი სხვა არატრადიციული დენომინაციის მსგავსად, სექტად მოიხსენია. ცხადია, არ სიამოვნებთ, რომ მართლმადიდებლურ პრესაში მათზე იწერება და ქვეყნდება მასალები, როგორც ანტიქრისტიანულ სექტაზე. მათ საყოველთაო აღშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ბაპტისტებს აყენებენ ისეთი აბეზარი და ბევრისათვის მიუღებელი დენომინაციის გვერდით, როგორიცაა “იეღოვას მოწმეები”.

ბაპტისტთა მტკიცებით: “არ შეიძლება სექტად იწოდებოდეს ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელსაც 100 მილიონამდე ერთმორწმუნე ჰყავს და ფაქტობრივად რომის კათოლიკური ეკლესიის შემდეგ, გავრცელების არეალის მიხედვით, მეორე ადგილი უკავია ქრისტიანულ სამყაროში”. გარდა ამისა, განაგრძობენ ისინი, “ჩვენ ტრადიციული ქრისტიანული მოძღვრების ერთგულები ვართ. ის, რაც ქრისტიანობაში მთავარია – სამების დოგმატი, იესო ქრისტეს ღვთაებრიობა – არის ჩვენი მიმდინარეობის საძირკველი. ასე რომ, ვერც ღვთისმეტყველების მიხედვით და ვერც რაოდენობის მიხედვით სექტას ვერ ვუწოდებთ ჩვენს ეკლესიას. ვერც კარჩაკეტილობაში დაგვდებს ვინმე ბრალს. ჩვენი მორწმუნეები დედამიწის ყველა კუთხეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში”.

სხვათა თქმით – ადრინდელ გამოჩენილ ბაპტისტ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, უხერხულია ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტის ქლინთონისა და ვიცე-პრეზიდენტის ელ გორის სექტანტებად გამოცხადება.

მიუხედავად იმისა, რომ თავის გამოსვლებში და ინტერვიუებში ბაპტისტთა ხუცესები არაერთხელ მიუთითებენ, რომ მათ და მართლმადიდებლობას საერთო მიზნები აქვთ, პირველ რიგში კი ის, რომ “გავაცნოთ ხალხს ღმერთი, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენ ხალხს შორის იყოს მშვიდობა, სიტკბო, სიყვარული”, ისინი მაინც თავგამოდებით იცავენ იმ თავისებურებებს, რომელიც მათ მოძღვრებას გააჩნია.

მათი თქმით, ბაპტისტები ძირითადად სახარებების შინაარსს ეყრდნობიან, მის გარეგნულ მხარეს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, რადგან ეს უფრო შეესატყვისება თავდაპირველი ეკლესიის სულისკვეთებას. მათივე მტკიცებით, სამოსელი, რომელსაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები იცვამენ, ისეთია, როგორც ეს ძველ აღთქმაში არის აღწერილი, ხოლო ახალ აღთქმაში ასეთი ტანსაცმლის შესახებ არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, ბაპტისტებიც ახალი აღთქმის მიხედვით იცვამენ. იესო ქრისტეც ხომ ჩვეულებრივი ტანსაცმლით დადიოდა და არავისაგან განირჩეოდა...

“ჩვენ, ბაპტისტები, - ამბობენ ისინი, - თაყვანს ვცემთ ჯვარს არა როგორც საგანს, არამედ როგორც ჯვარცმულ იესო ქრისტეს, რადგან სწორედ იესო ქრისტეა ჩვენი მხსნელი და არა ჯვარი. ამდენად ჩვენ პატივს ვცემთ ჯვარს, მაგრამ არ ვატარებთ. თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს იესო ქრისტეს მიერ ჯვრიდან ნათქვამი სიტყვები, ვინაიდან ისინი და არა ჯვარია ადამიანის მხსნელი”.

საგურამოში, ერთი ახალგაზრდა ბაპტისტის თქმით, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ინახება ის ტყვიები, რომლითაც საქართველოს მამა მოკლეს, და განა შეიძლება ეს ტყვიები, რომლებმაც სიცოცხლე მოუსწრაფეს და დაეობლეს საქართველო, თაყვანისცემის საგანი გახდეს? “ჩვენ არც სანთლის დანთებას ვუშლით ვინმეს, - აღნიშნავენ ისინი, - და ღმერთმა დაგვიფაროს იმის მტკიცებისაგან, თითქოს ეს ცოდვაა. მათეს სახარებაში წერია: “შენ ხარ სანთელი ამა ქვეყნისა”. და ჩვენი

აზრით, თითოეული ადამიანი უნდა ანათებდეს სანთელივით და იწვოდეს სხვათა ბედნიერებისათვის”.

“გთხოვთ ცუდად ნუ გაგვიგებთ, ჩვენ ყველა წმინდანს: ნინოს, პეტრეს, პავლეს, დედა ღვთისმშობელ მარიამს... დიდ პატივს მივაგებთ, მაგრამ თაყვანს არ ვცემთ. ათ მცნებაში ხომ ნათქვამია: “მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემს გარეშე”.

როგორც აღვნიშნეთ, ამ განსხვავებებს ბაპტისტთა ლიდერები “მცირეოდენს” უწოდებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს “მცირეოდენი” რამ, დაუძლეველი და გადაულახავი ზღუდე შეიქმნა მათ შორის.

თავისი კათალიკოსობის პირველ წლებში, თავის ქვეყანაზე შეყვარებული, პატრიოტულად განწყობილი ილია მეორე შეეცადა ერთიანი რწმენის ქვეშ გაეერთიანებინა ქართველები, მათ შორის ქართველი ბაპტისტებიც. მაგრამ ეს ცდა, სამწუხაროდ, წარუმატებლად დამთავრდა.

რელიგიურმა დოგმებმა, როგორც მართლმადიდებლების, ისე ბაპტისტების მხრიდან, იმძლავრეს და ეს გაერთიანება არ მოხერხდა, თუმცა სურვილი ორივე მხრიდან იყო. მე თვითონ მოწმე ვარ ბაპტისტი მქადაგებლის ბოლღაშვილის გამოსვლისა სიონის ტაძარში, მახსოვს გამოხმაურებები მის გამოსვლაზეც, მაგრამ ერთიან შეხედულებამდე ისინი ვერ მივიდნენ. ეროვნულმა ინტერესმა ამ ვითარებაშიც ისევე უკან დაიხია მძლავრი რელიგიური ფაქტორის წინაშე. სარწმუნოებრივი ნიუანსები მაინც უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ეს სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. როგორც შემდგომმა პროცესებმა გვიჩვენა, ზედმიწევნით ერთგულება რელიგიური დოგმებისადმი სულის ხსნის აუცილებელ პირობად გამოცხადდა, ხოლო მისგან ოდნავ გადახვევაც კი მკრეხელობად ჩაითვალა. არც ერთი მათგანი არ შეელია, არ დათმო თავისი შეხედულებები. თითოეულმა მათგანმა ახალი აღთქმის დოგმების თავისებური განმარტებები შემოგვთავაზა და თავისი ინტერპრეტაცია ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოაცხადა.

4. ცვლილებები ქართულ ბაპტიზმში

უკვე ვთქვით, რომ ბაპტიზმი დღეს ის აღარ არის საქართველოში, რაც ადრე იყო. რასაკვირველია, ეს განცხადება რელიგიური დოგმატების შეცვლას არ გულისხმობს, არამედ შეგუებას ახალ გარემოსა და პირობებისადმი. პოსტსაბჭოურ სივრცეში რელიგიის მდგომარეობის სასიკეთოდ და სასარგებლოდ შეცვლამ ახალი მიზნები და ამოცანები დაუყენა ბაპტისტ დენომინაციას და საბრძოლველად განაწყო.

რა იქნება მომავალში, რა პერსპექტივები აქვს სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა მიმდინარეობას საქართველოში?

მათ კარგად აუღეს ალღო იმ ფაქტს, რომ ისინი ადამიანის გონებისა და გულებისათვის დაწყებულ ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწევენ, თუკი არ დაუახლოვდებიან და არ შეეგუებიან იმ ტრადიციებს, ადათ-წესებს, ჩვეულებებს,

რომელიც ამა თუ იმ ხალხშია გავრცელებული. ამ მხრივ, აღსანიშნავია, საქართველოში მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი ადგილობრივი ტრადიციების გაზიარებისათვის. ასე მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელი იყო ბაპტიზმის წარმატება ვაზისა და ღვინის ქვეყანაში, თუკი იგი გამოვიდოდა ყოველგვარი სპირტიანი სასმელის აკრძალვისა და ქართული სუფრის ტრადიციის უგულვებელყოფის მოწოდებით. ამიტომ, დენომინაცია, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გარკვეულ დათმობაზე წავიდა. ცხადია, აქ ლოთობის დაშვებაზე არ არის საუბარი, მაგრამ ისინი რომ არ უგულვებელყოფენ ქართულ სუფრას, სადღეგრძელოებს და მასზე შესმული სასმელიც არ მიაჩნიათ ცოდვად, უკვე ფაქტია. ბაპტისტები ასევე ცდილობენ მეტ-ნაკლებად დაიცვან სხვა ტრადიციებიც, რომელიც ჩვენი ხალხისათვის არის დამახასიათებელი. ყოველივე ეს მიზნად ისახავს იმას, რომ ვინც ამ სარწმუნოებას პირველად შეუდგება, ერთბაშად გაუცხოებულად არ იგრძნოს თავი.

ის ფაქტიც, რომ ბაპტისტებმა თავისი ცენტრალური ეკლესიის თავზე თბილისში ჯვარი აღმართეს, ძალზე ბევრის მთქმელია... ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბაპტისტთა განათლების დონეც. თუკი ადრე ეს დენომინაცია უმეტესად თვითნასწავლ ენთუზიასტებს ეყრდნობოდა, ახლა მათ თანდათანობით ცვლის თეოლოგიურად განსწავლული, უცხო ენათა მცოდნე ხალხი. ამ მხრივ, მარტო სახარებისეულ ბაპტისტთა პრეზიდენტის მალხაზ სონღულაშვილის დასახელებაც იკმარებდა. 1963 წელს დაბადებული ეპისკოპოსი ჯერ კიდევ 1994 წლის 28 ოქტომბერს აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო 1998 წელს მეორედ. მან განათლება, თბილისის გარდა, შვეიცარიასა და ინგლისში მიიღო. ამჟამად, ოქსფორდში ემზადება სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ მან თანამედროვე უცხო ენების ცოდნასთან ერთად, შესანიშნავად იცის ე. წ. მკვდარი ენები – ძველი ებრაული და ძველი ბერძნული, რომელიც ესოდენ საჭიროა თეოლოგიური მოღვაწეობისათვის. იგი ბიბლიის თანამედროვე ენაზე ამეტყველების ერთ-ერთი ავტორია. ამავე დროს არის მსოფლიო ბიბლიური საზოგადოების წევრი და ცდილობს თავისი აქტიური წვლილი შეიტანოს მოსახლეობის ევანგელიზაციის გზაზე. ჩვენში უკვე ცნობილია მის მიერ პოპულარულად გადმოცემული ბიბლიური მოთხრობები, რომელშიაც იგი ახალგაზრდა თაობას გასაგებ ენაზე განუმარტავს ძველი აღთქმის შინაარსს. გამოსაცემად მზადა აქვს ახალი აღთქმის შინაარსიც.

ასევე ახალგაზრდაა და პერსპექტიული სახარებისეულ ბაპტისტთა გენერალური მდივანი მერაბ გაფრინდაშვილი. მწყობრშია ძველი თაობაც, რომლებმაც თავის მხრებზე მოიტანეს ბაპტიზმი. მათ შორის არის ხუცესი გურამ ქუმელაშვილი, რომელიც ბაპტისტურ გაზეთს რედაქტორობს. უნდა ვახსენოთ აწ გარდაცვლილი ხუცესი ნოდარ კვირიკაშვილიც, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ამიერკავკასიის სახარებისეულ-ბაპტისტთა თემს ხელმძღვანელობდა.

5. ღვთისმსახურება

გორში ვართ. სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა სამლოცველო აქ, ცხადია, ისე შთამბეჭდავად და მდიდრულად არ გამოიყურება, როგორც, ვთქვათ, თბილისის

ცენტრალური ეკლესია, რომელიც დიდუბეში კედიას (ყოფილი კახოვკის) ქუჩაზე მდებარეობს. აქ, გორის გარეუბანში, ადრე რომელიღაც ქარხნის თუ ფაბრიკის (რომელიც ახლა არ მოქმედებს) ადმინისტრაციული შენობა ყოფილა და ბაპტისტებს შეუძენიათ. გარემო ძალზე უბრალო და ღარიბულია, მაგრამ მორწმუნეთათვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია იყოს რწმენა, ღვთის შეცნობის ჭეშმარიტი სურვილი და ერთგულება მაცხოვრისადმი, სიყვარული თანამორწმუნე დებისა და ძმებისადმი.

დარბაზში ასიოდე ადამიანი გველოდება. უმეტესად თავწაკრული ქალებია, შედარებით მცირეა მამაკაცთა რიცხვი, არიან ახალგაზრდებიც. კედლებზე არის წარწერები: “იესო დღეს ცოცხალია”, “იესო დღეს აღსდგა”, “ის ჩვენთან არის”, “იესო ცხოვრობს ჩვენში”. მორწმუნენი სკამებზე სხედან. ცოტა წინ საქადაგებელი კათედრაა. მარცხნივ, ცალკე ზის 17-18 ადამიანისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც ღვთის სადიდებელ სიმღერებს ასრულებს.

ჩვენი შესვლისას ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მოწიწებით მიესალმნენ თავის ეპისკოპოსსა და პრეზიდენტს, სტუმრებს, რომლებიც ჩვენს გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც იყვნენ ჩამოსულები! ეროვნული შემადგენლობა ძირითადად ქართულია. ადრე აქ საკმაოდ ყოფილან ოსები, მაგრამ ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ მათი რიცხვი ძალიან შემცირებულა. დარბაზში არ არის არც ორღანი, არც იონიკა, ერთი უბრალო, საკმაოდ შელანძღული პიანინო დგას, რომლის თანხლებითაც სრულდება მთელი ღვთისმსახურება. ფეხზე წამომდგარი გუნდი პროფესიულ დონეზე ასრულებს მაცხოვრის სადიდებელ სიმღერებს, მაგრამ მთავარი მაინც ქადაგება და რწმენის გამამაგრებელი ცხოვრებისეული მაგალითების მოტანაა. აქ ქადაგებს ყველა, უბრალო მორწმუნედან და ადგილობრივ პრესვიტერიდან დაწყებული, ეპისკოპოსით და სტუმრებით დამთავრებული. როგორც წესი, მოქადაგენი ასახელებენ ახალი აღთქმის რომელიმე თავს და მუხლს – რომაელთა მიმართ 12: 12,18 – აცხადებს ხანში შესული მამაკაცი: “იხარეთ იმედში, მომთმენნი იყავით გასაჭირში, ლოცვაში მდგრადნი”. “თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით”.

ებრაელთა მიმართ 13:14, – აცხადებს მეორე მორწმუნე, - “ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმინდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს”.

შემდეგ ამას მოჰყვება მარკოზის სახარება 16:15;

“გადით მთელ წუთისოფელში და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება” და ა. შ.

თითოეულ ამ დებულებას მოჰყვება შესატყვისი კომენტარი, ახსნა-განმარტება და ცხოვრებისეული მაგალითები, საჭირო შეგონებანი, მოწოდება - ყოველმხრივ გამოხატონ დიდი სიყვარული მაცხოვრისადმი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ინგლისელი სტუმარი. იგი მიესალმება დებსა და ძმებს, ისიც მიუთითებს მაცხოვრის თაყვანისცემის აუცილებლობაზე. დიდი სიმპათიით ლაპარაკობს თავის შთაბეჭდილებებზე საქართველოში. სათანადო პარალელებს

ავლებს ქართველი და ინგლისელი ბაპტისტების ცხოვრებას შორის, მადლობას იხდის მათ პატივსაცემად გუნდის მიერ ინგლისურ ენაზე ქრისტეს სადიდებელი საგალობლების შესრულების გამო.

სულ ბოლოს ქადაგება წარმოთქვა სახარებისელ ქრისტიან-ბაპტისტთა ეპისკოპოსმა და პრეზიდენტმა, რომელმაც თავის შთამბეჭდავ სიტყვაში მოიწონა გორელ ბაპტისტთა საქმიანობა, მათი მზადყოფნა მარადჟამს მისდიონ მაცხოვრის მაგალითს, სათანადოდ დააფასონ ქრისტეს მიერ ადამიანთათვის შეწირული მსხვერპლი, უყვარდეთ მოყვასი, რის დასტურადაც შეკრების შემდეგ მოინახულეს კიდეც ლოგინად ჩავარდნილი თანამოძმე.

შეკრებაზე საინტერესო იყო ერთი ნიუანსიც; ბაპტისტებმა გვერდი ვერ აუარეს რეალობას, ხალხის სიმპათია-ანტიპათიებს, ადგილზე გავრცელებულ ღირებულებებს. მართლაც, გორი ხომ სტალინის გარეშე არ მოიაზრება. ის არის მრავალი აქ მცხოვრებისათვის სიამაყის საგანი. ეს ყველასათვის არის ცნობილი, მაგრამ თუ მორწმუნეთა შეკრებაზე მას ასეთი აპლომბით ახსენებდნენ, ნამდვილად არ ველოდი: “გორელებო! – მიმართა მორწმუნეებს ქუთაისიდან ჩამოსულმა ბაპტისტმა, – თქვენთან დაიბადა დიდი პიროვნება, იოსებ სტალინი”. შემდეგ მქადაგებელმა ამ პიროვნების საქმიანობის და დიდების თავისებური გაშიფვრა სცადა, მაგრამ მთავარი მაინც ნათქვამი იყო – “დიდი პიროვნება”.

სტალინისადმი ინტერესს ვერც უცხოელები გადაურჩნენ. დიდი ყურადღებით დაათვალიერეს მისი სახლ-მუზეუმი, მისთვის იუბილეზე მირთმეული საჩუქრები, მათ შორის სასულიერო პირებისაგანაც. სარკინიგზო ვაგონი, რომლითაც იგი მგზავრობდა, სხვა ექსპონატები. ჩვენს ხუმრობაზე: “აი, როგორ კადრებს უშვებდნენ ჩვენთან სასულიერო სასწავლებლები და თქვენთან როგორ არის საქმე ამ მხრივო”? – სტუმრებმა ღიმილით მიპასუხეს - “მოვიფიქრებთ და გეტყვითო”. მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღე. ალბათ, შესატყვისი შემთხვევა მათ არ ჰქონიათ...

სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა ქადაგებიდან იმ ფიქრით გამოვედი, თუ რა უნდა ირწმუნოს, რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი დღევანდელ საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც ესოდენ რელიგიურმა ქაოსმა მოიცვა. თითოეულ რელიგიურ მიმდინარეობას თუ დენომინაციას თავისი მოძღვრებისა და ცხოვრების წესის განუსაზღვრელი რწმენა აქვს. მართალია, ზოგი მათგანი ხანდახან ლაპარაკობს ერთიან ქრისტიანობაზე, ეკლესიაზე, როგორც ქრისტეს ერთიან სხეულზე ამქვეყნად, ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ გამარჯვება რომელიმე ერთ მიმდინარეობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს, არამედ ერთიან ქრისტიანობასაო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაფრის დათმობას არავინ არ აპირებს. რაც შეეხება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მან ხომ კატეგორიულად შეაქცია ზურგი ეკუმენურ მოძრაობას, რადგან მასში საკუთარი, ჭეშმარიტი რწმენის შერყევის საფრთხე დაინახა.

საინტერესოა, ამ მხრივ, თვითონ რას ფიქრობენ, რა გამოსავალს ხედავენ სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა მესვეურები საქართველოში, ისინიც ხომ ქართველები არიან და არც მათთვის არის უცხო ეროვნული სულისკვეთება.

მათი ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცებით: “ქრისტიანობა არის ერთი და განუყოფელი, რომელიც აღიარებს წმიდა სამების დოგმატს, იესო ქრისტეს ღვთაებრიობას, მის დამხსნელ და მაცხონებელ როლს. ამას აღიარებს თითქმის ყველა ეკლესია. არსებობს განსხვავებული ტრადიციები, რომელიც სამების დოგმატის ერთგვარ სამოსელს წარმოადგენს. ჩვენს წინაშეა კათოლიკური ეკლესია, რომლის დოგმატია სამება კათოლიკური სამოსელით. მართლმადიდებლური, რომლის დოგმატია ასევე სამება, მხოლოდ მართლმადიდებლური სამოსელით, ასევე ბაპტისტური და სხვა”.

გარდა ამისა, თავის ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში (გაზ. “მაცნე” 17-23 დეკემბერი 1977 წელი) სახარებისეულ-ბაპტისტთა ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი იმოწმებდა თბილისში სტუმრად მყოფი მართლმადიდებელი თეოლოგის და მეცნიერის, ეპისკოპოს კალისტო ვეარის თბილისის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ “მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა უნდა იმეგობრონ და ითანამშრომლონ იმ პროტესტანტულ ეკლესიებთან, რომელნიც სამების დოგმატს და იესოს ღვთაებრიობას აღიარებენ”.

თუკი ის, რასაც თავის დროზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ცდილობდა – გაეერთიანებინა ყველა ქართველი ერთი რწმენის ქვეშ, არ ხერხდება, ეგებ ღირდეს ვიფიქროთ ასეთ ალიანსზე მაინც, ვიფიქროთ იმ ადამიანებთან კავშირზე, რომელთათვისაც ქართული სიწმინდეები მართლმადიდებლებივით ძვირფასია.

როგორც იგივე ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი წერდა: “ბაპტისტისათვის მართლმადიდებლური ეკლესია ისეთივე წმინდაა, როგორც საკუთარი. მისთვის სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სიონი მშობლიურია და ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში შედიან სალოცავად. ასე რომ, მათთვის მთავარია ქრისტიანობა და მის დაყოფა-დანაწევრებას არ ცნობენ”.

რა შეფასება შეიძლება ასეთ განცხადებას მიეცეს? რამდენად გულწრფელია ეს სურვილი, სწრაფვა ასეთი ალიანსისადმი? ეგებ ეს, უბრალოდ, შიშია იმის გამო, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში სულაც სახელმწიფო რელიგიად არ გამოცხადდეს და სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა მრევლი მეორეხარისხოვან მოქალაქეებად არ იქცნენ. ან ეგებ ეს გავლენის შესუსტების შიშია? მოსაზრებები ამ მოვლენის შესახებ ალბათ ბევრნაირი შეიძლება იყოს. მაგრამ როგორი პასუხიც არ უნდა გაეცეს ამ კითხვას, მისი სათანადოდ შეუფასებლობა და გაუთვალისწინებლობა არასგზით არ შეიძლება. რა მოხდება მაშინ, თუკი ასეთი ურთიერთდაახლოების სურვილს მართლმადიდებელი ეკლესია ხელს ჰკრავს და წინ აღუდგება? ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი არასასურველი შედეგის გათვალისწინება ძნელი არ არის. ჩვენი უცხოელი სტუმრების სიტყვებით რომ ვთქვათ: “თუ მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ტერიტორიაზე იქნება ყველას მიმართ ისეთი შეურიგებელი, როგორიც ახლა არის (უმეტესად იგულისხმება არატრადიციული დენომინაციები – თ. ფ.), იგი დაბადებს საშინელ ოპოზიციას, რომელიც, საბოლოო ჯამში, წალეკავს კიდეც მას. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი, საკითხს ასე დააყენებენ, რომ ჩვენ ვართ მთავარი რელიგიური ორგანიზაცია

საქართველოში, მაგრამ თქვენც გაქვთ არსებობის უფლება ამ ქვეყანაში, ჩვენ მას მხარში ამოვუდგებით...”

მე სასულიერო პირი არა ვარ. ალბათ, უფლება არა მაქვს ამ საკითხებზე კატეგორიულად ვიმსჯელო და ვილაპარაკო, მაგრამ, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებების შედეგები მთელ ჩვენს მოსახლეობაზე ახდენს გავლენას, ჩემს მოსაზრებასაც გამოვთქვამ. დღევანდელ ვითარებაში გამოსავალი მეც ასეთი ალიანსების შექმნაში უფრო მეხატება...

მე კარგად მესმის, რომ ასეთი წინადადებებითაც კი, ზომაზე მეტად თავგადადებული მართლმადიდებლის რისხვას დავიმსახურებ, რადგან მათ ასეთ თანამშრომლობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდათ, მაგრამ რა ვუყოთ სინამდვილეს, რომელიც სხვაგვარ მოქმედებას გვაკარნახობს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი რეალისტურად მოაზროვნე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ასეთი ალიანსის საჭიროებას აღიარებს. იქნებ ეს მართლაც გამოსავალი იყოს, თუნდაც იმ მტრული დენომინაციებისაგან თავდასაცავად, რომელთაც არაფერი ეროვნული და არაფერი ქართული არ გააჩნიათ. ეგებ ვიფიქროთ, ხომ არაა ეს გზა რელიგიური თანხმობისაკენ და ხელისშემწყობი ქართველთა ერთიანობისათვის.

ჩვენ დავიღალეთ კუთხეებად, პარტიებად და რელიგიურ კონფესიებად დაყოფილი საქართველოსაგან. ჩვენ დავიღალეთ რელიგიური შუღლისა და გათიშულობისაგან, თვით შიდა საკონფესიო ბრძოლებისაგან, რითაც მტერი შესანიშნავად სარგებლობს. ალბათ უკვე დროა, გაცილებით აჯობებს, გაერთიანებასა და კავშირებზე ვიფიქროთ...

ამოსავალი წერტილი ყოველი ჩვენთაგანისათვის ამ საქმეში, ალბათ, ის უნდა იყოს, თუ ვის და როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი გაჭირვებული და გაუბედურებული სამშობლოსათვის, მისი ხალხის გადარჩენისათვის. საქართველოს საკეთილდღეოდ რატომ არ უნდა ვისარგებლოთ იმ არხებით, რომლებიც თუნდაც ბაპტისტებს გააჩნიათ...

სახარებისეულ – ქრისტიან ბაპტისტთა 17 ათასიანი კონფესია საქართველოში წარმოადგენს ძალას, რომელსაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

“ფილოსოფიური ძიებანი” კრებული N3, 1999 წ

VI. “იეღოველობა”

ახლა ისინი ყველგან არიან, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში, ქალაქებსა თუ სოფლებში, უბნებსა თუ ქუჩებში, ბაღებსა თუ სკვერებში, სასტუმროების თუ საცხოვრებელი სახლების წინ... ხელში ლამაზად გაფორმებული, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნები, ჟურნალები, ალბომები თუ ბროშურები უჭირავთ და გამვლელებს უფასოდ სთავაზობენ. დროდადრო სახლშიც მოგიკაკუნებენ, დაუპატიჟებლად გეწვევიან, საათობით დაგიჯდებიან და დაუღლელად დაგიწყებენ ლაპარაკს სამყაროს მოახლოებულ დასასრულზე... თუ

ინტერესი შეგატყვეს, კიდევ ბერვჯერ მოვლენ და მანამდე არ მოგშორდებიან, სანამ შენც ერთი მათგანი არ გახდები...

ისინი "იეღოვას (იეჰოვას) მოწმეების" მოძღვრების პროპაგანდისტები არიან, რელიგიური დენომინაციისა (სექტის), რომელიც საკმაოდ გვიან, მე-19 საუკუნის შუა წლებში წარმოიშვა რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მას შემდეგ აქტიურად იბრძვის მსოფლიოში თავისი რწმენის გავრცელებისათვის.

"იეღოველთა" ენთუზიაზმი მართლაც საოცარია. მათ ამ მხრივ მხოლოდ ადრინდელ ქრისტიანებს ან პირველ კომუნისტებს თუ შევადარებთ. თავისი ენერგიით, ხმაურით და საკუთარი რწმენისადმი ფანატიკური ერთგულებით "იეღოველებმა" ჩვენში უკან ჩამოიტოვეს თვით ისეთი აქტიური დენომინაციებიც კი, როგორიც არიან: "ბაპტისტები", "ორმოცდაათიანელები", "კრიშნაიტები". მათი საქართველოში შემოსვლაც რელიგიურ აფეთქებას ჰგავდა, რომლის მსგავსი თითქმის არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას. ადგილზეც, როგორც ჩანს, მოძღვრების გავრცელებისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები დახვდათ, რადგან ის იდეური ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის და კომუნისტური იდეოლოგიის დანგრევის შემდეგ, ის ქაოსი, ომი, შიმშილი და გაჭირვება, უმძიმესი კრიმინოგენური ვითარება, იმის გაურკვევლობა, თუ საით მივდივართ, რა საზოგადოებას ვაშენებთ, რა ღირებულებებს ვცემთ პატივს, რასაც დაემატა ჩვენი ხალხის უმეტესი ნაწილის რელიგიური უწიგნურობა, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა "იეღოველთა" მოძღვრების წინსვლისა და გავრცელებისათვის.

სხვადასხვა კონფესიები, მათ შორის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც, თავდაპირველად გაოგნებული და თავზარდაცემული შესცქეროდნენ, თუ როგორ ნთქავდა ეს ახლადშემოსული რელიგიური მიმდინარეობა მათ ისტორიულ მრევლს. ისინი უმწეოდ ასავსავებდნენ ხელს და დახმარებისათვის მთელ საზოგადოებას უხმობდნენ, ზოგჯერ კი ხელისუფლებას მიმართავდნენ თხოვნით, რომ მათ მიეღოთ ასეთი რელიგიური ინტერვენციის ამკრძალავი და ჩვენი ისტორიული ტრადიციული მართლმადიდებლობის დამცავი კანონები; მაგრამ ის, ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული რელიგიაში, იცის მისი ისტორია, ალბათ დაგვეთანხმება, რომ ასეთ აკრძალვებს არასოდეს მოუტანია სიკეთე რომელიმე კონფესიისათვის, საწინააღმდეგო ეფექტის ფაქტები კი ხშირად გვხვდება. ამის მაგალითად თვით ქრისტიანობის ისტორია გამოგვადგება.

დღეს მსოფლიოში აქტიურად მოქმედებს "იეღოვას მოწმეების" რელიგიური მიმდინარეობის მძლავრი მანქანა, რომელიც ნიუ-იორკიდან იმართება. ის უხვად არის დაფინანსებული და აქვს თავისი მოძღვრების გავრცელების შესანიშნავი საშუალებები: ტელევიზია, რადიოსადგურები, ბეჭდვითი ორგანოები. მისი პროდუქცია მსოფლიოს ორასზე მეტ ქვეყანაში გამოდის. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ჰყავთ პროპაგანდისტების უზარმაზარი არმია. მეტი რაღაა საჭირო მათი გაძლიერებისა და გავრცელებისათვის...

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, აქაც, ჯერჯერობით, გრძელდება "იეღოვას მოწმეების" აღმასვლა. მათ უკვე მრავალი ათასი მომხრე შეიძინეს, მაგრამ მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. რა იქნება მერე?... რა შედეგებს მოიტანს ეს

მოძრაობა ჩვენთვის?... ნუთუ მთელი საქართველო იეღოველი გახდება, ნუთუ გაჭირვებაში ჩავარდნილ სამშობლოში ყველა ყველაფერს მიატოვებს, ყველა პრობლემის გადაწყვეტას გადასდებს და მეორედ მოსვლას და არმაგედონს დაელოდება? აი კითხვები, რომლებიც ჩვენს წინაშე იბადება. სანამ ამ კითხვებზე გავცემდეთ პასუხს, მანამდე ცოტა ისტორიაში ჩავიხედოთ და ეგებ ვიპოვოთ პასუხი იმაზე, თუ ვინ არიან "იეღოველები", საიდან მოდიან, რას ქადაგებენ, რით მიიპყრეს ჩვენი ხალხის ყურადღება და საით მიდიან. ემთხვევა კი ჩვენი გზა მათ გზას?...

1. "იეღოვიზმის" რუსული ფრთა

"იეღოვიზმი" წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიის პროტესტანტული მიმდინარეობის მოდერნიზებულ ნაირსახეობას, რომელშიაც თავისებურად არის გადამუშავებული იუდაიზმისა და ქრისტიანობის დოგმები.

"იეღოვიზმი" მსოფლიოში ორი მიმართულებით არის წარმოდგენილი: რუსეთში – "ილინელებით", ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – "რუსელიტებით" (სახელწოდებები აღებულია დამაარსებლების გვარების მიხედვით).

რუსეთში "იეღოვიზმი" წარმოიქმნა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების პერიოდში და გასაკვირი არაა, რომ მის შემადგენლობაში უმეტესად ჭარბობდნენ არსებული ვითარებით უკმაყოფილო საზოგადოების დაბალ საფეხურზე მდგარი ადამიანები, ყმა მუშები ურალის მთიან საწარმოებში; შემდგომ მათ წვრილი ბურჟუაზიაც მიემხრო.

იეღოველთა რუსული ფრთის მოძღვრება გადმოცემულია მისი დამაარსებლის, შტაბს-კაპიტან ნ. ს. ილინის თხზულებაში "სიონის ამბავი", რომელიც 1846 წელს გამოქვეყნდა. ავტორი შეეცადა შეექმნა ახალი რელიგია, რომელიც ერთიანი იქნებოდა ყველა ერის, ხალხისა თუ ტომისათვის. ამისათვის მან ისარგებლა როგორც იუდაიზმისა და ქრისტიანობის, ისე წარმართული რელიგიური დოგმებითაც და შექმნა საკმაოდ წინააღმდეგობრივი რელიგიური სისტემა.

ნ. ს. ილინის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები გადმოცემულია მისსავე ტრაქტატში სახელწოდებით "ქრისტეს შვიდათასწლიანი ბრძოლა ბელიართან", რომელშიაც იგი გარკვეულ დათმობაზე მიდის მეცნიერებასთან და ტრადიციული ღვთისმეტყველებისაგან განსხვავებით, აღიარებს სამყაროს უსაზღვროებას. მისი აზრით, არსებობს მრავალი მზე, პლანეტა და კომეტა ჩვენი მზის, მთვარის და დედამიწის მსგავსად. თითოეული ეს პლანეტა ტრიალებს მზის ირგვლივ, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ აურაცხელი რაოდენობის სისტემების ცენტრებს. მისივე თქმით: - "...მზეების, პლანეტების და კომეტების ასეთ აურაცხელ სიმრავლეს, რომლებიც ტრიალებენ კვადრილიონ, ოქტილიონ, ბილიონ ვერსტულ მილს, არ შეიძლება ფლობდეს ისეთი არსება, რომელსაც, ადამიანის მსგავსად, ორი არშინი და 7 გოჯი სიმაღლე აქვს. ისეთი, როგორც ებრაელთა ღმერთი იეღოვაა, აბრაამის ღმერთი. მით უმეტეს, მას არ შეუძლია მათი შექმნა არა მარტო ექვს დღეში, არამედ თვით 6,666,666 ოქტილიონ ათასწლეულში"...

ილინის ასეთი განცხადება თითქოს მის სამყაროსადმი მატერიალისტურ მიდგომაზე უნდა მეტყველებდეს, მაგრამ ასე რომ არ არის, მისივე მეორე განცხადება მოწმობს:

“მთელი ამ ურიცხვი მირიადების ან მზის სისტემების პატრონს რუსულად ღმერთი (ბოგ) ჰქვია, ხოლო ცალკეული მირიადების მმართველს უფალი(გოსპოდ), ღვთაების მოწინააღმდეგეს და მტერს – სატანა, და თქვენ მიიღებთ მსოფლიოს (კოსმოსის) მოწყობის სურათს, რომელსაც აქამდე შეუგნებლად ვუმზერდით”.

როგორც მკვლევარები შენიშნავდნენ, რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოს ასეთი აზრობრივი შეუსაბამობა, რომელსაც ადგილი აქვს ილინის ნააზრევში, სწორედ იგი წარმოადგენს იმ შეხედულების ფილოსოფიურ საფუძველს, რომელზედაც არის აგებული “იეღოვისტი” “ილინელების” მთელი მოძღვრება. აქედანვე წარმოსდგება ის წინააღმდეგობანიც, რომელიც მათ მოძღვრებაში შეიმჩნევა. თუმცა, თვითონ ილინი, ასეთი შეხედულებების საფუძველზე ცდილობდა ერთმანეთთან მოერიგებინა იუდაიზმის 333 და ქრისტიანობის 666 მიმდინარეობა, რაზედაც, მისი აზრით, გაიყო კაცობრიობა პირველქმნილი ხილვის შემდეგ... მისი საბოლოო მიზანი მაინც ის იყო, რომ დაემორჩილებინა მეცნიერება გამოცხადებისათვის, სხვაგვარად რელიგიისათვის.

ნ. ს. ილინის აზრით, “მიწიერი განათლება”, რომელიც მხოლოდ ადამიანის გონებას ეყრდნობა, გვაძლევს ურიცხვ მეცნიერულ და ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და შეაქვთ ადამიანებში უთანხმოება და ქიშპი, მათგან მომდინარე აზრთა სხვადასხვაობა... და მხოლოდ “სულიერ განათლებას”, სხვაგვარად რელიგიას, მისი დოგმების გათვალისწინებას შეუძლია მისაღები და სასარგებლო გახადოს “მიწიერი განათლება”, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს რელიგია ყველასათვის მისაღები და ერთიანი იქნება. წინაამდეგ შემთხვევაში, ჩვენ უკუეფექტთან გვაქვს საქმე. ამ პოზიციიდან გამომდინარე, იგი აკრიტიკებდა როგორც მსოფლიო რელიგიებს, ისე მათგან გამოყოფილ ცალკეულ სექტანტურ მიმდინარეობებს.

ნ. ს. ილინის იდეები არ გამოირჩეოდა ორიგინალობით, ისინი აშკარად ნასესხებია დასავლეთევროპელი მისტიკოსებისაგან, კერძოდ, იუნგშტილინგისაგან, ეკარჰაუზენისა და სექტანტ-ჰილიასტებისაგან. როგორც მკვლევარები შენიშნავენ, მას, ასევე ფართოდ უსარგებლია მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთში გამომავალი მისტიკური ჟურნალით - “სიონის მოამბით”, საიდანაც მთელი გვერდები აქვს გადაწერილი... მიზნის მისაღწევად ილინმა სცადა შეექმნა ბიბლიის თავისებური მოდელი, რომელიც უნდა დახმარებოდა მას ახალი რელიგიური სისტემის ჩამოყალიბებაში.

ნ. ს. ილინმა იუდაურ ღმერთს იეღოვას უწოდა ქრისტე, ხოლო ქრისტეს – იეღოვა. შემდგომ იგი აერთიანებს ამ ატრიბუტებს ერთ სახელში - “იეღოვა” და უწოდებს მას ჩვენი მზის სისტემის “ადამიანღმერთების კრებულის თავმჯდომარეს”. მისი მიხედვით, “არ არის არც იუდეველობა, არც ქრისტიანობა. არამედ იყო, არის და იქნება “ღმერთადამიანების საზოგადოება”. ამიტომ, ვინც ახლა იუდეველია, ის უნდა სწრაფად გახდეს ქრისტიანი, თუმცა უარი არ უნდა თქვას კანონზე (იგულისხმება

“სინაის კანონი”), ხოლო ვინც იუდეველი ან წარმართი არ არის, ის სწრაფად უნდა გახდეს იუდეველი, თუმცა უარი არ უნდა თქვას ქრისტეზე და მის მთავარ მცნებაზე – ძმურ ერთობაზე და სიყვარულზე.

მართლმადიდებელი სამღვდელოება ასეთი მსჯელობის გამო უწოდებდა “იეღოვიზმს” “ახალი აღთქმის იუდაიზმს” ან “ძველი აღთქმის ქრისტიანობას”.

ნ. ს. ილინის აზრით, არსებობს ერთიანი, ყოველივეს შემოქმედი, რომელსაც ბევრი ვაჟიშვილი ჰყავს. ისინი მზის სხვადასხვა სისტემებს მართავენ, ამიტომ არც ყოვლის შემოქმედს და არც მის სხვა შვილებს ადამიანი არ უნდა ეთაყვანოს, რადგან მათთან არავითარი კაშვირი არა აქვს. ადამიანი უნდა ეთაყვანოს მხოლოდ ჩვენი სისტემის “ღმერთადამიანს” – იეღოვა – ქრისტეს.

ნ. ს. ილინის მოძღვრებაში დიდი ადგილი უკავია მამაღმერთის ერთ-ერთ შვილს - ლიუციფერს (სატანას), რომელიც განუდგა მამას, ძალით ჩაიგდო ხელისუფლება ჩვენი მზის სისტემაზე, მაგრამ იგი უკვე ჩამოგდებულია ზეციდან მიწაზე იეღოვას მიერ. იეღოვას და სატანას შორის განუწყვეტლივ მიდის ფარული ომი, რომელიც დამთავრდება დიდი ბრძოლით - არმაგედონით და ამ ბრძოლაში, იეღოვა, თავისი ანგელოზებით და მიწიერი მიმდევრებით, დაამარცხებს სატანას და ქვეყანაზე დაამყარებს ათასწლიან მეუფებას, რომელშიაც მხოლოდ იეღოველები იქნებიან უკვდავი და ნეტარნი.

რაც შეეხება ილინის სოციალურ პოზიციას, იგი ქადაგებდა შერიგებას, მშვიდობასა და ძმურ სიყვარულს კლასთა შორის. იგი ცდილობდა ემსახურა ორი მეფისათვის - ციური და მიწიერისათვის და ამის შესახებ საჯაროდ სწერდა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ს.

იმ დროს, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოაღწია იეღოვიზმის ამერიკულმა ტალღამ, ილინელების სექტა რუსეთში უკვე აღარა ჩანს.

2. იეღოველთა ამერიკული ფრთა

ყველაფერი მხოლოდ 1870 წელს დაიწყო, სწორედ მაშინ, როცა აშშ-ს პენსილვანიის შტატის პატარა ქალაქ ალეგეინში (ამჟამად ქ. პიტსბურგის ნაწილია) ადამიანთა პატარა ჯგუფმა, ჩარლზ ტეიზ რასელის მეთაურობით, დაიწყო ბიბლიის შესწავლა. 9 წლის შემდეგ მათ უკვე ჟურნალი გამოსცეს სახელწოდებით: “სიონის საგუშაგო კოშკი და ქრისტეს მოსვლის მაცნე”. კიდევ ერთი წლის შემდეგ, ამ პატარა ჯგუფმა იბარტყა და მეზობელ შტატებში, იგივე მიზნით, ათობით ორგანიზაცია (კრებული) გახსნა. ხოლო 1881 წელს მათ ბაზაზე იქმნება საზოგადოება (ძიონს ჭატცჰ თრაცტ შოსიეტყ), რომელიც 3 წლის შემდეგ რეგისტრირებული იქნა ხელისუფლების მიერ.

ამ საზოგადოების პრეზიდენტი, რომელსაც შემდგომში დაერქვა ჭატცჰ თოწერ ბილლე ანდ თრაცტ შოსიეტყ, იგივე რასელი გახდა.

საზოგადოების მიზანი იყო, თავისებური ახსნა-განმარტება მიეცა ბიბლიის ტექსტისათვის და თავისი დასკვნები გაევრცელებინა მოსახლეობაში. თავდაპირველად ასეთი პროპაგანდისტები ბევრნი არ იყვნენ, სულ რაღაც ორმოცდაათამდე კაცი, მაგრამ შემდგომ მათმა რიცხვმა სწრაფად იმრავლა. 1909 წლისათვის ორგანიზაცია უკვე საერთაშორისო ხასიათს იღებს და მისი მთავარი განყოფილება მისამართს იცვლის, სამუშაოდ ნიუ-იორკში (ბრუკლინში) გადადის, სადაც დღესაც ფუნქციონირებს. იზრდება გამოცემული ლიტერატურის რაოდენობა. ჯერ კიდევ 1913 წლისათვის მისი პროდუქცია მსოფლიოს 4 ენაზე მილიონიანი ტირაჟით გამოდიოდა როგორც ამერიკასა და კანადაში, ისე ევროპაშიც, ხოლო იეღოვისტური გაზეთების რაოდენობამ ამ დროისათვის 3 ათასს მიაღწია.

როგორც თვით იეღოველი მიმომხილველები აღნიშნავენ, ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამყაროს შექმნის "ფოტოდრამის" შექმნას, რომელიც 1912 წელს დაიწყო. სლაიდებისა და ხმოვანი კინოფილმების დახმარებით ისინი თვალსაჩინოდ აშუქებდნენ სამყაროს შექმნის თავის ვერსიას დასაბამიდან ქრისტეს ათასწლოვან მეუფემდე, რასაც დიდი წარმატება მოჰყვა.

"იეღოვიზმის" განვითარების გზაზე ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რასელის სტატიას: "წარმართების ჟამი, როდის მთავრდება იგი?" რომელიც 1876 წელს გამოქვეყნდა ბრუკლინში, ჟურნალ "ბიბლიის მკვლევარში". მასში ნათქვამი იყო, რომ ეს დრო მთავრდება 1914 წელს.

"იეღოველები", მართალია, აღიარებენ იმას, ამ წელიწადს არ შესრულდა ყოველივე ის, რასაც წინასწარმეტყვლებდნენ, მაგრამ ეს თარიღი მაინც გარდატეხის დროდ უნდა ჩაითვალოსო.

1916 წელს გარდაიცვალა ჩ. რასელი. მისი მემკვიდრე გახდა ჯოზეფ ფ. რუტერფორდი. მის დროს დაიწყო კიდევ ერთი ჟურნალის "ოქროს საუკუნის" გამოცემა (ახლა ამ ჟურნალს ჰქვია "გაიღვიძეთ", რომელიც 60-ზე მეტ ენაზე გამოდის და ტირაჟი 12 მილიონს აჭარბებს).

ახალი პრეზიდენტის დროს ყურადღება გამახვილდა მორწმუნეებთან სახლებში სიარულზე და ინდივიდუალურ მუშაობაზე. მისივე დროს, მისმა მიმდევრებმა მიიღეს "იეღოვას (იეჰოვას) მოწმეების" სახელწოდება, რაც აღებული არის ბიბლიური წინასწარმეტყველის ესაიას წიგნიდან, სადაც ნათქვამია:

"თქვენ ხართ მოწმენი, ამბობს უფალი და ჩემი მორჩილნი, რომელნიც ავარჩიე, რომ გცოდნოდათ და გერწმუნათ ჩემი, მიმხვდარიყავით, რომ მე ვარ ეს. ჩემამდე არ გამოსახულა ღმერთი და ჩემს შემდეგაც არ იქნება. მე ვარ, მე ვარ უფალი და არავინაა ჩემს გარდა მაცხოვარი! მე ვთქვი და ვიხსენი და გამოვაცხადე, რომ არ არის თქვენს შორის უცხო ღმერთი, თქვენ ხართ ჩემი მოწმენი, ამბობს უფალი, და ღმერთი ვარ" (ეს. 43: 10-12). "ნუ შიშობ, ნუ თრთი, განა თავიდანვე მე არ გამცნე, მე არ

გამოგეცხადე? თქვენა ხართ ჩემი მორწმუნე, განა არის ჩემს გარდა ღმერთი? არ არის სხვა კლდე, არავინ ვიცი” (ეს. 44:8).

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში იეღოვას მოწმეების დენომინაცია აღმავლობას განიცდის, ბიბლიური თემების პოპულარიზაციისათვის მათ მსოფლიოში უკვე 403 რადიოსადგური აქვთ. გარდა ამისა, მათ დაიწყეს გრამფირფიტებზე ქადაგებების ჩაწერა და მოსახლეობაში გავრცელება. მათი მოსმენისას თუ ადამიანს ინტერესს შეატყობდნენ, მასთან აგრძელებდნენ მუშაობას. იეღოველთა გზა, რასაკვირველია, ყოველთვის ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. ჩვენი საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში რელიგიური საქმიანობის გამო მათ საკმაოდ დევნიდნენ და ბევრი მათგანი ციხეშიც მოხვდა. იმ პერიოდში გამართულ სასამართლო პროცესებზე მათ, მართალია, სასამართლოს დაბალ ინსტანციებში თავი ვერ იმართლეს, მაგრამ აშშ-ს უმაღლეს სასამართლოში, გასაჩივრების შემდეგ, 43 პროცესი მოიგეს. “იეღოვას მოწმეების” აპოლოგეტების მტკიცებით, ამ პროცესებმა ხელი შეუწყვეს ზოგადად დემოკრატიის და ქვეყნის უმცირესობათა ინტერესების დაცვას.

პრეზიდენტი ჯ. ფ. რუტერფორდი 1942 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ პრეზიდენტი გახდა ნ. ხ. ნორი, რომლის დროსაც 1943 წელს შეიქმნა სპეციალური სკოლა-გალაადი მისიონერთა მოსამზადებლად, ამ სკოლადამთავრებულნი თითქმის მთელ მსოფლიოს მოედვნენ და 140 ქვეყანაში შექმნეს თავისი ფილიალები.

პერიოდულად, ამ მისიონერებისათვის, რომლებსაც პიონერებს უწოდებენ, იმართება კურსები, რათა მოხდეს მათი გადამზადება.

ნ. ხ. ნორის მმართველობის ბოლო წლებში გაფართოვდა ხელმძღვანელთა კორპორაცია. 1976 წელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განაწილდა სხვადასხვა კომიტეტზე.

ნ. ხ. ნორი გარდაიცვალა 1977 წელს. მის ნაცვლად აირჩიეს ფრედერიკ უილიამ ფრენცი, ხოლო მისი 1992 წელს გარდაცვალების შემდეგ, 1993 წელს, კორპორაციის პრეზიდენტი გახდა მილტონ ჯ. ჰენშელი.

თუ როგორი სწრაფი ტემპით მრავლდებოდა იეღოველთა ორგანიზაცია, ამას ნათლად გვიჩვენებს მათი ბეჭდვითი პროდუქციის ზრდა. თუ თავდაპირველად ისინი თავის ლიტერატურას 4 პატარა სტამბაში ბეჭდავდნენ, 1927 წლიდან მათ გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა და ერთ დიდ, 8-სართულიან შენობაში მოუყარეს თავი, რომელიც “სადარაჯო კოშკის” საზოგადოებას ეკუთვნოდა. ამჟამად კი

იეღოველთა გამომცემლობას 7 შენობა უკავია. აქვეა დიდი კანტორის კომპლექსი, მათ გვერდით კი მოთავსებულია სხვა შენობები, სადაც ცხოვრობს მომსახურე პერსონალი (დაახლოებით 3000 კაცი). ასობით ადამიანი ცხოვრობს პეტერსონში (ნიუ-იორკის შტატი) არსებული განათლების ცენტრში. გარდა ამისა, უოლკილში (ნიუ-იორკის შტატი), სადაც იბეჭდება ჟურნალები: “სადარაჯო კოშკი” და “გაიღვიძეთ” არის ფერმა, რომელშიაც ათასობით მოხალისე დიდი ენთუზიაზმით ამზადებს პროდუქტებს გამომცემლობის პერსონალისათვის. ყოველი ასეთი

მოხალისე, მორალურ კმაყოფილებასთან ერთად, ღებულობს მცირეოდენ თანხას პირადი საჭიროებისათვის.

იეღოვას მოწმეების შეხვედრის ორგანიზაციული ფორმები არის საერთაშორისო კონგრესები, რომელიც პირველად 1893 წელს ჩატარდა ჩიკაგოში, რომელსაც სულ 360 კაცი დაესწრო და 70 მოინათლა.

მაგრამ უკვე 1958 წელს, იმისათვის, რომ ასეთი კონგრესი მოეწყოთ, დაიქირავეს ორი სტადიონი. კონგრესს დაესწრო 253922 ადამიანი და მოინათლა 7136 კაცი. ამის შემდეგ საერთაშორისო კონგრესები სერიებად ტარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენს დროში ასეთი სერიები ასზე მეტ ქვეყანაში ჩატარდა.

3. მოძღვრება

იეღოველთა მოძღვრებით ყოველივეს შემოქმედი არის ერთიანი და ყოვლადძლიერი ღვთაება იეღოვა (იეჰოვა). სწორედ მან შექმნა ცა და მიწა. მის ქმნადობას განსაკუთრებული გონი, გეგმა და მიზანი ჰქონდა. როგორც ამ დენომინაციის ადეპტები წერენ: "ადამიანები არ გამოძერწავენ თიხის ჭურჭელს, არ გააკეთებენ ტელევიზორებს თუ კომპიუტერებს საჭიროებისა და დანიშნულების გარეშე. და რამდენად უფრო მნიშვნელოვანია დედამიწა თავისი ქმნილებებით, მცენარეთა საფარველით და ცხოველთა სამყაროთი, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანების ორგანიზმის სტრუქტურაზე მილიარდობით უჯრედით, რომელიც აღემატება ჩვენს გაგებას. მარტო ერთი ორგანო – ადამიანის ტვინი – რომ ავიღოთ, რომლითაც ჩვენ ვფიქრობთ, იგი ხომ წარმოუდგენლად შესანიშნავია და თუკი ადამიანებს თავისი შედარებით უმნიშვნელო აღმოჩენისათვის აქვთ განსაზღვრული მიზანი და რა გასაკვირია, რომ იეღოვას ჰქონდა გრანდიოზული და აუცილებელი ჩანაფიქრი, რომელიც ჭეშმარიტად აღტაცებას და მოწიწებას იწვევს.

მიზანი ამ დიდებული ქმნადობისა, კერძოდ, დედამიწის შექმნისა, მდგომარეობს იმაში, რომ მასზე გამრავლებულიყვნენ ადამიანები, დაეფარათ მიწა და ებატონათ ზღვის თევზებზე, ცის ფრინველებზე, ყოველგვარ ცხოველებსა და ქვეწარმავლებზე (შესაქმე. 1:28).

მართალია, ადამიანთა გაუგონრობისა და შეცოდების გამო პირველმა წყვილმა ვერ შესძლო დაეფარა დედამიწა მართლმორწმუნე ოჯახებით, რომლებიც სიყვარულით იზრუნებდნენ მიწაზე, მცენარეებსა და ცხოველებზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ უფლის ჩანაფიქრმა მარცხი განიცადა. დედამიწა არ განადგურდება; იგი, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, (ეს. 45:18; ეკლ. 1:4; ეს. 40:10) მუდამ დარჩება. აქედან გამომდინარე, "იეღოვას მოწმეებს" სწამთ, რომ ყველა ადამიანს – ცოცხალს თუ მკვდარს, რომელიც ერწმუნება იეღოვას განზრახვას, გაალამაზოს დედამიწა, შეუძლიათ მარადიულად იცხოვროს.

მართალია, ყველა ადამიანზე გადმოვიდა ადამისა და ევას პირველქმნილი ცოდვა, მაგრამ ისინი ცხონდებიან იესო ქრისტეს გამოსასყიდი მსხვერპლის

მეოხებით. როგორც იოანეს სახარებაშია ნათქვამი: “მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე; ჩემი მორწმუნე კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს.

“ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე”... (იოანე 11:25-26).

“ნუ გაიკვირვებთ ამას, რადგან მოდის ჟამი, როდესაც ყველანი ვინც სამარხებში არიან, მის ხმას მოისმენენ.

კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისათვის გამოვლენ, სიავეს ქმნილნი კი სამსჯავროს აღდგომისათვის” (იოანე 5:28-29).

როდის მოხდება ეს? კითხულობენ იეღოველები და პასუხისათვის ისევ სახარებას მიმართავენ: “მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვებულია ცათა სასუფეველი” (მათ. 4:17). ჯერ კიდევ მაშინ, როცა იესო ქრისტე ამქვეყნად იყო, მას ჰკითხეს: “გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი?” მან უპასუხა: “ერი აღდგება ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, იქნება შიმშილი და მიწისძვრანი. მაგრამ ეს მხოლოდ მშობიარობის დასაწყისია. მაშინ ცდუნდებიან ბევრნი, ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ადამიანები. მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღსდგება და ბევრს შეაცდენს. გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. მხოლოდ ბოლომდის დამთმენი გადარჩება...”.

“ექადაგება ეს ქადაგება სასუფეველზე მთელ მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დასამოწმელად. აი, მაშინ დადგება აღსასრული” (მათ. 24:3-14).

იეღოველთა თქმით, თუმცა მსოფლიოში მომხდარი და მიმდინარე ამბები დამამწუხრებელია, მაგრამ ისინი მაინც კეთილის მომასწავებელია, რადგან მიგვითითებს ქრისტეს ამქვეყნიურ ყოფნაზე, რადგან, როგორც ლუკას სახარებაში არის გადმოცემული იგავი: “შეხედეთ ლეღვს და ყველა ხეს, როცა ისინი უკვე იფოთლებიან. შეხედავთ და თვითონ იცით, რომ უკვე ახლოა ზაფხული.

ასევე თქვენ, როცა იხილავთ ყოველივე ამის ახდენას, იცოდეთ რომ ახლოა ღვთის სასუფეველი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ გადაივლის ეს მოდგმა, ვიდრე ყველაფერი არ ახდება” (ლუკ. 21:29-32).

იეღოველთა მტკიცებით, ეს პროცესი ყველგან 1914 წელს დაიწყო. როგორც უკვე ვთქვით, ამ წელს დამთავრდა წარმართთა დრო და დაიწყო გარდამავალი პერიოდი ადამიანური მმართველობიდან ქრისტეს ათასწლოვან მეუფებაზე.

მათივე მტკიცებით, სანამ არ დადგება მისი მეორედ მოსვლის დრო, ქრისტე იქნება ცაზე ღმერთის მარჯვენა მხარეს (ფს. 109). შემდეგ ცაში მოხდება ომი, რომლის შედეგადაც სატანა ჩამოვარდება ციდან, რაც ქვეყანას მოუტანს მწუხარებას, ქრისტე დაიწყებს მეუფებას მტრებს შორის იმ დროის მანძილზე, რომლის ხანგრძლივობა არ გადააჭარბებს ადამიანთა ერთი თაობის სიცოცხლეს. ბოროტება განადგურდება მაშინ, როცა თავის აპოგეას მიაღწევს ბრძოლა არმაგედონში, რომლის შედეგადაც დადგება ქრისტეს ათასწლოვანი მშვიდობიანი მეუფება.

“ეს კი იცოდე, - ნათქვამია პავლე მოციქულის მეორე წერილში ტიმოთესადმი, – რომ უკანასკნელ დღეებში საზარელი ჟამი დადგება. ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმინდურნი.

მოძულენი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის მოძულენი.

გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, უფრო სიამეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა.

რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ”... (II ტიმ. 3:1-5).

ასეთი მძიმე პერიოდი, იეღოველთა თქმით, ადრეც იყო, მაგრამ ახლა იგი ყვლაფერს გადააჭარბებს. ქვეყანა დანაგვიანდება. თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანა დაუსახლებელი დარჩება. მაგრამ იეღოვა არ დაუშვებს ქვეყნის ასეთ გაუკაცრიელებას. იგი დაღუპავს იმათ, ვინც ხელყოფს მიწას.

მილიონები, რომლებიც ახლა ცხოვრობენ და მილიონები, რომლებიც წვანან საფლავში, მარადიულად იცხოვრებენ მაშინ, როდესაც ქრისტეს ათასწლიანი მეუფება დამყარდება. ამ დროს განხორციელდება იეღოვას ის ჩანაფიქრი, რომელიც მას დედამიწის შექმნისას ჰქონდა.

ეს უნდა იყოს მიწიერი სამოთხე, რომელიც ადამიანებს არასოდეს მობეზრდებათ. ისევე, როგორც ადამს ჰქონდა დავალებული საინტერესო მუშაობა ედემის ბაღში... და რაც მთავარია “...აღარ იქნება სიკვდილი, გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, რადგან წინანდელნი გარდახდნენ” (გამოცხ. 21:4).

იეღოველთა თქმით, ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა (განუსაზღვრელი რაოდენობა) მიწაზე იცხოვრებს. მხოლოდ მათი მცირეოდენი ნაწილი – რჩეულები წავლენ ცაზე.

4. იეღოვიზმი საქართველოში

საქართველოში იეღოველები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ იეღოველთა რუსული ფრთის წარმომადგენლები. ზოგის აზრით, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. მაგრამ უფრო გვინდელ ეტაპზე, “ილინელთა” კვალი საქართველოში აღარა ჩანს. რაც შეეხება ამერიკულ მიმართულებას, მათ შემოსვლას აქ დიდი ხნის ისტორია არა აქვს და 3 ათეულ წელზე ოდნავ მეტს თუ ითვლის. როგორც ჩანს, იეღოველთა პირველი წარმომადგენლები რუსეთიდან შემოყვნენ მუშათა იმ ნაკადს, რომლებიც ენგურჰესს აშენებდნენ. იმ დროინდელი რელიგიურობის ამსახველ დოკუმენტებში ლაპარაკია ენგურჰესზე იეღოველთა 40-კაციანი ჯგუფის არსებობის შესახებ. ვინაიდან იმ დროისათვის ეს სექტა საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო, ამიტომ მათი შეკრებებიც ფარულად იმართებოდა. მნახველთა ცნობით, ჯერ კიდევ 1973 წლის აგვისტოში,

“იეღოვას მოწმეები” შეიკრიბნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის მახლობლად არსებულ ტყეში, რომელშიაც ასამდე იეღოველი მონაწილეობდა. დამსწრეთა ინფორმაციით, ამ შეკრების დროს, მათ გაითამაშეს ანგელოზისა და სატანას ბრძოლის სცენა. ანგელოზის როლს 11 წლის გოგონა თამაშობდა, ხოლო სატანისას 15 წლის ბიჭი. სცენარი ისე იყო შედგენილი და გადაწყვეტილი, რომ მნახველისათვის ეჩვენებინათ, თუ როგორ ამარცხებს სატანას ანგელოზი.

იეღოველთა სექტის აკრძალვა საბჭოთა კავშირში ახსნილი იყო ანტისაბჭოთა ქმედებით და ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდის ბრალდებით.

საქართველოში ცნობილია იეღოველთა პირველი ხელმძღვანელების გვარები. მათ შორის ასახელებდნენ ინჟინერ-კონსტრუქტორს გ. ა. ნიკოლაევსკის, ინჟინრებს: ა. ნ. კურდასს, ფ. ფ. ბუნგასს, ნ. დ. რადჩენკოს, 1977 წლიდან ნ. ლუცენკოს და ი. მატრაგუნს. იეღოველთა თავდაპირველი მრევლი საქართველოში მხოლოდ რუსულენოვანი იყო. ქართველთაგან ჯგუფებში თითქმის არავინ იყო, მაგრამ შემდგომ ხანაში, იეღოველებმა შესძლეს სხვა ხალხების წარმომადგენლების დაინტერესებაც, მათ შორის ქართველებისაც.

იეღოველთა ბუმი საქართველოში ჩვენი საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიწყო, როცა მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ. ამ პერიოდში მათ დიდძალი ლიტერატურა შემოზიდეს და თავისი მოძღვრება საქართველოს ყოველ კუთხეში გაავრცელეს. თანდათან იმრავლეს იეღოველთა კრებულებმაც. თვისებრივად შეიცვალა “იეღოველთა მოწმეების” ეროვნული შემადგენლობაც, მათ შორის პირველი ადგილი დაიკავეს ქართველებმა. მათ გარდა დენომინაციაში გაერთიანდნენ რუსები, უკრაინელები, სომხები და სხვ.

საქართველოში იეღოველთა გავრცელების დინამიკას და მდგომარეობას, მის გამომწვევ მიზეზებს კარგად ასახავს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის განყოფილების (ხელმძღვანელი დ. ყარაულაშვილი) მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც სიღნაღის რაიონში 1996 წლის მიწურულს ჩატარდა:

კითხვაზე, “რომელ რელიგიას აღიარებთ?” რაიონში გამოკითხულთა 9 პროცენტმა უპასუხა – “იეღოვას ქადაგებას”, ხოლო უშუალოდ ქალაქ სიღნაღში – 12-მა პროცენტმა. შეკითხვაზე – “თქვენი თანაქალაქელების უმრავლესობა რომელ რელიგიას აღიარებს?” გამოკითხულთა 13-მა პროცენტმა – “იეღოველობას”.

შეკითხვაზე: “თქვენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხართ. თქვენი აზრით, რა უწყობს ხელს იეღოველთა ქადაგების გავრცელებას თქვენს ქალაქში?”გამოკითხულთა 18-მა პროცენტმა უპასუხა: “მძიმე სოციალური პირობები”, 31 პროცენტის აზრით, “მოსახლეობის დაუსაქმებლობა”, ხოლო 47 პროცენტის აზრით, “მოსახლეობის დასაჩუქრება სურსათით და სხვა საგნებით”.

სოციოლოგიური გამოკითხვით გამოირკვა, რომ რაიონში იეღოვას მოძღვრების გავრცელება ძირითადად მოხდა ბოლო 3 წლის განმავლობაში. აქედან 3 პროცენტის

სტაჟი 1-დან 6 თვემდეა, 7 პროცენტის 6 თვიდან 1 წლამდე, 30 პროცენტის 1-დან 2 წლამდე, 38 პროცენტის 2-დან 3 წლამდე, ხოლო 21 პროცენტის 3 წელზე მეტი.

კითხვაზე "თუ რა პირობებში მოხდა თქვენს მიერ იეღოველთა ქადაგების აღიარება?" 16-მა პროცენტმა უპასუხა, რომ "იეღოველთა ჯგუფის ხელმძღვანელის რჩევით", 8 პროცენტმა "იეღოვას მოწმეების მომხრე საკუთარი ოჯახის წევრის მოთხოვნით", 60-მა პროცენტმა – "მეზობლების, ნათესავების, მეგობრების გავლენით". 16-მა პროცენტმა "გაჭირვების გამო".

სანამ იეღოველები გახდებოდნენ, მანამდე გამოკითხულთა 86 პროცენტი მართლმადიდებელი იყო, 11 პროცენტი ათეისტი, 3 პროცენტი სომხურ-გრიგორიანული რწმენის.

ძალზე ერთსულოვანი იყო პასუხი კითხვაზე: "თუ რა იზიდავთ მათ იეღოველთა ქადაგებაში?" ყველა გამოკითხულმა უპასუხა – "ღმერთის რწმენა".

მართლმადიდებლობისაგან ჩამოშორებას და ახალ რელიგიურ რწმენაზე გადასვლას გამოკითხულთა 65 პროცენტი გაჭირვებით ხსნის; 5 პროცენტი სულიერი დეპრესიით, 11 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა, 18 პროცენტს კი მოსწონს იეღოველთა რელიგიური რიტუალი.

ბოლო შეკითხვაზე, "თუ რა უნდა ვაკეთოთ ამ ახალ რელიგიურ სიტუაციასთან დაკავშირებით?" 25 პროცენტი თვლის, რომ არ უნდა შეიზღუდოს არც ერთი რელიგიური მიმდინარეობა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით ყველას თანაბარი არსებობის უფლება აქვს. 46 პროცენტს მიაჩნია, რომ ხელი უნდა შევუწყოთ მართლმადიდებლობის განმტკიცებას, 29 პროცენტი კი თვლის, რომ უნდა შეიზღუდოს სხვადასხვა სახის სექტანტობა.

5. იეღოველთა ორგანიზაცია და კულტი

იეღოველები გაერთიანებულები არიან კრებულებში. თითოეულ კრებულში 200-მდე, ზოგან კი 60-70 კაცია. მთლიანად დენომინაცია დაყოფილია ოლქებად და რაიონებად. მარტო თბილისში 5-მდე კრებულს ვარაუდობენ. შეკრების ადგილი ტრადიციულად კლუბი, დარბაზი ან კერძო სახლებია, სადაც კვირაში სამჯერ იმართება ღვთისმსახურება. კრებებს და მის დარბაზს ხელმძღვანელობს უხუცესთა საბჭო, რომელთა რიგებიდანაც ნიშნავენ კრების ზედამხედველს. ზედამხედველი განათლებული, ბიბლიაში და სხვა რელიგიურ წიგნებშიც კარგად ჩახედული ადამიანი უნდა იყოს. იერარქიულად უფრო მაღალი საფეხურია სარაიონო ზედამხედველის თანამდებობა, რომლის ფუნქციაშიც შედის თვალი ადევნოს ადგილობრივ კრებებს (შეკრებებს), სადაც ისინი სიტყვით გამოდიან. შემდგომი უფრო მაღალი საფეხური არის საოლქო ზედამხედველი, რომელიც იგივეს აკეთებს, რასაც რაიონის ზედამხედველი, მხოლოდ ოლქის მასშტაბით. კიდევ უფრო მაღალი საფეხურია მიმოსვლითი ზედამხვედველი. გარდა ამ სასულიერო თანამდებობისა, იეღოვიზმში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. "ცხებულებს", სხვაგვარად, იეღოვას მოწმეებში განსაკუთრებული ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს,

რომლებიც, მათი რწმენით, სიკვდილის შემდეგ ადგილს დაიკავებენ ახალ აღთქმაში ნახსენებ 144 ათას რჩეულში და ზეცაში იცხოვრებენ. ერთი სიტყვით, იეღოველთა იერარქია ასე გამოიყურება: უბრალო მორწმუნე (მოწმე), კრების ზედამხედველი, სარაიონო ზედამხედველი, საოლქო ზედამხედველი, მიმოსვლითი ზედამხედველი, "ცხებულები", მთელი საქმიანობის კოორდინაციას ახდენს ზონის ფილიალის კომიტეტი.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ორას ოცდაათზე მეტ ქვეყანაში იეღოველთა მოძრაობას თვალს ადევნებს ხელმძღვანელი კორპორაცია ნიუ-იორკიდან (ბრუკლინიდან). ეს კორპორაცია ყოველ წელიწადს მსოფლიოს სხვადასხვა ზონებში აგზავნის თავის წარმომადგენლებს, რომლებიც ხვდებიან ზონის ფილიალების ხელმძღვანელებს. თითოეულ ფილიალში არის 3-დან 9 კაცამდე შემდგარი კომიტეტი, რომელიც თვალყურს ადევნებს იმ ზონებს, რომლებიც მათ გამგებლობის ქვეშ იმყოფებიან. რაც შეეხება უბრალო მორწმუნეებს, მათგან ხელმძღვანელები მოითხოვენ სრულ მორჩილებას. იეღოვას მოწმე, სადაც არ უნდა იყოს იგი, თვითმფრინავში, ავტობუსში თუ ნაცნობებში, ქრისტეს მსგავსად, ყველგან უნდა ავრცელებდეს სახარისებულ ამბავს. გარდა ამისა, თითოეულ მათგანზე განპირობებულია გარკვეული ტერიტორია, სადაც მათ უნდა იმოქმედონ. ამ საქმიანობის ანგარიში ზუსტად აღინუსხება ყოველწლიურად მთავარ განყოფილებაში და მიღწეული შედეგების ცხრილები ქვეყნდება ჟურნალ "საგუშაგო კოშკში". ასე მაგალითად, 1994 წელს დაბეჭდილი ცნობის მიხედვით, 1993 წელს იეღოვას მოწმეებმა ქადაგებას დაუთმეს 1.057.000.000 საათი, რომ ამ წელს მოინათლა 250.004 ადამიანი და მსოფლიოში გაავრცელეს ბიბლიური პუბლიკაციების ასობით მილიონი ეგზემპლარი. და ყოველივე ეს მხოლოდ ერთ წელიწადს...

იეღოველთა შეკრება იწყება გალობით, რომელსაც თან ახლავს მუსიკა (მაგნიტოფონი ან ელექტროაპარატურა), ხოლო მლოცველები ხმას აყოლებენ. შემდეგ იწყება ლოცვა, რომლის მთავარი შინაარსი და მიზანია იეღოვას, როგორც სამყაროს შემოქმედისა და განმგების განდიდება. გალობის ტექსტები დგება ფსალმუნთა მიხედვით. მისი ავტორები არიან კორპორაციაში მყოფი "ცხებულები". ასე მაგალითად, ერთ-ერთ საგალობელს ჰქვია – "ყველა ქმნილებავ, განადიდე იეჰოვა", რომელიც 148-ე ფსალმუნზეა აგებული. ოთახში, სადაც ტარდება ლოცვა, არის მაგიდა და სკამები. მქადაგებელი მაგიდასთან გამოდის და იწყებს ლოცვას. ლოცვისას მიმართავს ქრისტეს, რადგან პირდაპირ იეღოვასადმი მიმართვა არ შეიძლება. მოწმეები ფეხზე მდგომი და თავდახრილნი იმეორებენ მქადაგებლის სიტყვებს. კედელზე ჰკიდია იეღოველთა კალენდარი, სადაც გამოსახულია სხვადასხვა ქვეყნებში იეღოვას მოწმეების მქადაგებლური საქმიანობის დიაგრამები.

შემოსასვლელში დგას ორი ყუთი ნებაყოფლობითი შესაწირავებისათვის, რომლიდანაც ერთი არის ადგილობრივი საჭიროებისათვის და მეორე საერთოდ მთელი იეღოვისტური მოძრაობისათვის. პირველს ჰქვია "ნებაყოფლობითი შესაწირი კრების საჭიროებისათვის", მეორეს - "ნებაყოფლობითი შესაწირი მსოფლიო საქმისათვის".

კრებებსაც თავისი სახელები ჰქვია: ერთია "საჯარო მოხსენება", მეორე "თეოკრატიული მსახურების სკოლა", მესამე "სამსახურებრივი შეხვედრა" და ა.შ.

აქვე წარმოდგენილია პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს უხუცესთა საბჭომ. ამ პროგრამას გამოსცემს საზოგადოება "საგუშაგო კოშკი", რომლის სათაურია "ჩვენი სამეფო მსახურება".

იეღოველები თავის სულიერ მოღვაწეობაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პირად მაგალითს, რადგან იგი, მათი აზრით, უფრო ეფექტურად მოქმედებს ადამიანებზე, ვიდრე საათობით ნაკითხი ქადაგება. ასევე, ცდილობენ პირად ცხოვრებაში იყვნენ კეთილი და ბიბლიური პრინციპის მიხედვით იმოქმედონ – მოექცნენ სხვებს ისე, როგორც თვითონ სურთ რომ მოექცნენ.

გარდა ამისა, იეღოველებს მიაჩნიათ, რომ მათ მოძღვრებას დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს, რადგან, ის აჩვევს თავის მორწმუნეს ქორწინების პატივისცემას, ბავშვების სამართლიანობის გრძნობით აღზრდას, გამორიცხავენ ყოველგვარ რასიზმს, ამზადებენ ადამიანებს მარადიული ბედნიერი ცხოვრებისათვის და ა.შ.

6. იქნება თუ არა არმაგედონი?

მართლა დადგება თუ არა "საშინელი სამსჯავროს", "შურისგების დღე", რომელსაც იეღოველები "არმაგედონს" უწოდებენ? აი, მთავარი კითხვა, რომელიც ადამიანს უჩნდება იეღოველთა მოძღვრების გაცნობისას. ამ დღეს ხომ, ამ დენომინაციის ადეპტთა მტკიცებით, დაიღუპება მთელი კაცობრიობა იეღოვას მოწმეების გამოკლებით.

"არმაგედონი" ბიბლიაში, კერძოდ იოანეს გამოცხადებაში (16,16) მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და წარმომდგარი უნდა იყოს ძველებრაული სიტყვისაგან, რაც ქართულად ნიშნავს მთას ქალაქ მეგიდოსთან, პალესტინის ჩრდილოეთით, სადაც ხშირად ხდებოდა ომები. შეიძლება ამ მოტივით იქცა "შურისგების დღე" "არმაგედონად".

მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროს და ქრისტეს ათასწლოვანი მეუფების ესქატოლოგიური იდეა, ცხადია, მარტო იეღოველებს არ ეკუთვნით, იგი ბევრი რელიგიური მიმდინარეობისათვის არის დამახასიათებელი. ამ რელიგიური იდეების ავტორები არა მარტო აბსტრაქტულად ამტკიცებენ ქრისტეს მეორედ მოვლინების და საშინელი სამსჯავროს აუცილებლობას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ასახელებენ ამ მოვლენის კონკრეტულ თარიღსაც. ასეთი კონკრეტული თარიღის დასახელება მეტად მომგებიანი იყო, რადგან იგი ზრდიდა მორწმუნეთა რიცხვს და აძლიერებდა მათ ფანატიზმს. ასე იყო რუს მოლოკნებთან, ვიურტემბერგელ ჰილიასტებთან გერმანიაში და ამერიკულ ადვენტისტებთან, რომლებიდანაც, ფაქტობრივად, სათავეს იღებენ იეღოვას მოწმეები.

ასე მაგალითად, ადვენტისტების სექტის დამაარსებელმა ვ. მილერმა იწინასწარმეტყველა, რომ ქრისტეს მეორედ მოვლინება მოხდება 1843 წლის 21 მარტს. ამ დღეს მისმა მიმდევრებმა მიატოვეს თავიანთი საქმიანობა, დაარიგეს ქონება,

შეიძინეს კუბოები და საყვირებით ხელში ელოდნენ ქრისტეს გამოჩენას – მაგრამ ქრისტე არ მოვიდა. მაშინ ვ. მილერმა განაცხადა, რომ ბიბლიის ტექსტის ანალიზისას ერთ წელში მოვტყუვდიო. ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგივე სურათი განმეორდა, მაგრამ ქრისტე ისევ არ მოვიდა. ცხადია, ასეთი ცრუწინასწარმეტყველების შემდეგ, სექტა კრიზისმა მოიცვა; მართალია, იგი გადარჩა, მაგრამ რამდენიმე მიმართულებად მაინც დაიშალა...

იეღოველებმა გაითვალისწინეს მოსალოდნელი მსგავსი მძიმე შედეგები და ისე, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის კონკრეტული თარიღის დასახელებაზე ხელი არ აუღიათ, გამოსავალი იმაში ნახეს, რომ გამოაცხადეს: ქრისტეს მეორედ მოვლინება უხილავად მოხდებაო. “ქრისტე უკვე აღარ წარმოადგენს ადამიანურ არსებას, წერდა თავის თხზულებაში “დრო მოახლოვდა” იეღოვიზმის ამერიკული ფრთის დამაარსებელი ჩ. რასელი, - და რაკი ეს ასეა, მაშინ იმას, რომ იგი ადამიანის ფორმით მოვა, ჩვენ არ უნდა ველოდოთ”. იმავე წიგნის მეორე ადგილას ჩ. რასელი აზუსტებდა თავის მოსაზრებას: “იესო ქრისტე მოვა არა როგორც ადამიანური არსება, არამედ როგორც სულიერი არსება და ადამიანის თვალი მას ვერ იხილავს”.

რას გააკეთებს იესო ქრისტე მეორედ მოსვლის შემდეგ? იგი მოამზადებს უნივერსალურ ბრძოლას - არმაგედონს, რომელიც უნდა მოხდეს “ახლანდელი გენერაციის სიცოცხლეში”, ე. ი. ამ თაობის დროს.

იეღოვა გაანადგურებს ყველა მოწინააღმდეგეს, ვინც კი მოძღვრების წინააღმდეგია, დარჩებიან მხოლოდ წმინდანები ცაზე და იეღოველები მიწაზე. პირველი და მეორე მსოფლიო ომი, იეღოველთა აზრით, ამ მხრივ მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპები არისო.

იეღოველების მიერ პირველად ქრისტეს მეორედ მოვლინების თარიღად დასახელებულ იქნა 1874 წლის ოქტომბერი, ხოლო 1914 წელს სამყარო უნდა განადგურებულიყო. ამ წელს მართლაც დაიწყო I მსოფლიო ომი, რაც ბევრმა იეღოველმა თავისი წინასწარმეტყველების აღსრულებად მიიჩნია. მაგრამ გავიდა 4 წელი, ომი დამთავრდა და სამყარო განადგურებას გადაურჩა. მაშინ იეღოველებმა 1914 წელი იესო ქრისტეს ზეცაში მოსვლის დროდ გამოაცხადეს.

ჩ. რასელის მემკვიდრეები იძულებულნი იყვნენ, მეორედ მოსვლის სხვა თარიღები დაესახელებინათ. ესენი იყო: 1925, 1940, 1958, 1960, 1961, 1975 წლები. არც ერთი ეს წინასწარმეტყველება არ ახდა.

როგორია იეღოველთა წინასწარმეტყველების ახლანდელი თარიღი? წინასწარმეტყველებების აუხდენლობით დაშინებული იეღოველები კონკრეტულ თარიღს ვეღარ ასახელებენ. მხოლოდ მიუთითებენ მათეს სახარებაზე, სადაც წერია: “არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე ეს არ ასრულდება” (მათე, 24:34); ხოლო კითხვაზე, თუ რომელ თაობას გულისხმობდა იესო ქრისტე ამ სიტყვებში, ამტკიცებენ, რომ ეს ის თაობაა, რომელიც 1914 წელს ცხოვრობდა. მართალია, ამ თაობიდან ბევრი უკვე აღარ არის, სხვები ძალზე ხანშიშესულები არიან, მაგრამ იეღოველებს მიაჩნიათ, რომ ისინი მაინც მოესწრებიან მეორედ მოსვლას და თუ

იმასაც ვივარაუდებთ, რომ ადამიანი არც თუ ისე დიდხანს ცოცხლობს, ყოველივე ეს ძალიან მალე უნდა მოხდეს...

რამდენად რეალურია ეს ამბავი? მართლა მოხდება არმაგედონი? დაჯერება გვიჭირს. ის, ვინც გაეცნობა იეღოველთა ისტორიას, სხვა ეჭვებთან ერთად, უთუოდ გაუჩნდება კითხვა: რატომ უნდა ვენდოთ იმათ წინასწარმეტყველებას, ვინც ამდენჯერ მოტყუვდა და ზუსტად ვერ განჭვრიტა მეორედ მოსვლის დრო? თავის მართლება მარტო იმ მოსაზრებით, რომ ჭეშმარიტება თანდათან იხსნებაო – ნაკლებად დასაჯერებელია...

X X X

ჩვენ შევეცადეთ ზუსტად და მიუკერძებლად გადმოგვეცა იეღოველთა ისტორია, მისი მოძღვრება, ორგანიზაცია და კულტი. ამისათვის ფართოდ ვისარგებლეთ თვით იეღოველთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურით, ამ თემაზე სხვადასხვა დროს მომუშავე ავტორთა პუბლიკაციებით და ჩემი სტუდენტების თ. სპანდერაშვილის და შ. ჩიბურდანიძის უშუალო დაკვირვებებით.

და მაინც, სანამ იეღოვას მოწმეების ორგანიზაციის შეფასებას შევეცდებით, მანამ არაობიექტურობაში რომ არავინ დაგვდოს ბრალი, შეჯამებული სახით მოვიტანოთ იეღოველთა ის ძირითადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ იეღოველთა მიმდევრების არსსა და სპეციფიკას.

რა სწამთ იეღოვას მოწმეებს

ბიბლია ღვთის სიტყვაა 2 ტიმ. 3; 16; 2 პეტ.

და ჭეშმარიტებაა. 1:20,21; იოან. 17, 17.

ბიბლია უფრო მეტ მათ. 15:3;

ნდობას იმსახურებს, კოლ. 2:8.

ვიდრე გადმოცემა.

ღვთის სახელი-იეღოვაა შესაქმე 22:14. გამოსვ. 3:14 6:3; 15:3, 33:19.

ქრისტე ღვთის შვილია

და მას ექვემდებარება მათ. 3:17, იოან. 8:42; 14: 28; 20:171 კორ. 11:3; 15:28.

ქრისტე იყო ღვთის კოლ. 1.15; .

ქმნილების დასაწყისი. გამოცხ. 3:14.

ქრისტე მოკვდა ბოძზე გალ. 3:13;

და არა ჯვარზე. საქ. 5:30.

ქრისტემ თავისი ადამიანური მათ. 20:28.

ცხოვრება მსხვერპლად გაიღო 1 ტიმ. 2:5;

მორჩილი ადამიანების ტიტ. 2:14;

გამოსასყიდად. 1 პეტრ. 2 34;

ქრისტეს მსხვერპლი რომ. 6:10;

საკმარისი იყო ებრ. 9:25;

ქრისტე აღდგენილი 1 პეტრ. 3; 18.

იქნა მკვდრეთით რომ 6:9;

როგორც სულიერი პიროვნება. გამოცხ.1:17-18.

ქრისტეს არსებობა იოან. 14:19; მათ. 24:3;

სულშია. 2 კორ. 5:16; ფს. 109:1,2.

ქრისტეს მეუფება ეს. 9:6-7; 11:1-5;
იქნება სამართლიანიდან. 7:13,14; მათ. 6:10.
და მშვიდობიანი.

მეუფება შექმნის ფს. 71:1-4; გამოცხ.
ქვეყნად შესანიშნავ 7:9-10; 13:17;
პირობებს.
21:3-4.
დედამიწა არასოდეს ეკლეს. 1:4; ეს. 45:18.
განადგურდება, მასზე ფს. 77:69.
ყოველთვის იცხოვრებს ხალხი.

არმაგედონის ბრძოლაში ღმერთი გამოცხ.16:14, 16.
გაანადგურებს ახლანდელ სოფ. 3:8;
საგანთა ბოროტ სისტემას. დან. 2:44; ეს. 34:2.

არამართლმორწმუნენი საბოლოოდ მათ. 25:41; 46;
იქნებიან განადგურებული. 2 თეს. 1:6-9.

ღვთისაგან მარადიულობას იოან. 3:16, 10:27, 28; 17:3;
ეზიარებიან. მარკ. 10:29,30.

სიცოცხლისაკენ მხოლოდ მათ. 7:13,14;
ერთი გზა მიდის. ეფ. 4:4,5.

ჩვენ ახლა ვცხოვრობთ მათ. 24:3-14;
“უკანასკნელ დღეებში”. 2 ტიმ. 3:1-5; ლუკ. 17:26-30.

ადამიანები კვდებიან რომ. 5:12;
ადამის ცოდვის გამო. 6:23.

ადამიანის სიკვდილისთანავე იეზ.18:4; ეკლეს. 9:10;
მისი სულიც კვდება. ფს. 6:6; 145:4; იოან. 11:11-14.

ჯოჯოხეთი კაცობრიობის ფს. 6:6;
საერთო საფლავია. გამოცხ. 20:13,14.

გარდაცვლილთათვის 1 კორ. 15:20-22;
იმედი აღდგომაა. იოან. 5:28,29; 11:25,26.

ადამის სიკვდილი 1 კორ. 15:26; გამოცხ. 21:4;
აღარ განმეორდება. ფს. 25:8; 1 კორ. 15:54

მხოლოდ “მცირე ფარა” ლუკ. 12:32; გამოცხ.
რიცხვით 144 000 მიდის 14:1,3; 1 კორ. 15:40-53;
ცაზე ქრისტესთან ერთად გამოცხ. 5:9,10.
ქვეყნის სამართავად.

144000 ადამიანი დაბადებულია 1 პეტრე 1:23;
ხელახლა როგორც ღვთაების იოან. 3:3;

ვაჟიშვილები. გამოცხ. 7:3,4.

ახალი კავშირი დადებულია იერ. 31:31;
სულიერ იზრაელთან. ებრ. 8:10-13.

ქრისტიანთა კრება ეფ. 2:20; ეს. 28:16;
აღმართულია თვით მათ. 21:42.
ქრისტეზე.

ლოცვით ქრისტეს მეოხებით იოან. 14:6, 13,14.
შეიძლება მიმართოთ 1 ტიმ. 2:5.
მხოლოდ იეღოვას.

თაყვანისცემის დროს გამ. 20:4,5; ლევიტ.
არ შეიძლება ისარგებლოთ 26:11 კორ. 10:14;
გამოსახულებებით. ფს. 113:12-16.

აუცილებელია თავი მეორე სჯ. 18:10-12;
ავარიდოთ სპირიტიზმს. გალ. 5:19-21; ლევ. 19:31.

სატანა ქვეყნის 1 იოან. 5:19; 2 კორ. 4:4;
უხილავი მმართველია. იოან. 12:31.

ქრისტიანი არ შეიძლება 2 კორ. 6:4-17;
მონაწილეობდეს კონფესიათ- 11:13-15; გალ. 5:9;

შორის ურთიერთობაში.	მეორე სჯ. 7:1-5.
ქრისტიანი განზე უნდა იდგეს ქვეყნისაგან (საერთო საქმისაგან).	იაკ. 4:4; 1 იოან. 2:15; იოან. 15:19; 17:16.
საჭიროა დაემორჩილო ყველა ადამიანურ კანონს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ღვთის კანონებს.	მათ. 22:20; 1 პეტრ. 2:12:4:15.
ორგანიზმში სისხლის მიღება პირიდან ან ვენაში შეშვების გზით არის ღვთის კანონის გათელვა.	შეს. 9:3,4; ლევიტ. 17:14; საქ. 15:28,29.
აუცილებელია დაემორჩილო ბიბლიის ზნეობრივ კანონებს.	1 კორ. 6:9,10; ებრ. 13:4; 1 ტიმ. 3:2; პრ. 5:1-23.
შაბათის დაცვის მოთხოვნა ეხებოდა მხოლოდ ებრაელებს და გაუქმებული იქნა მოსეს კანონთან ერთად.	მეორე სჯ. 5:15; გამ. 31:13; რომ. 10:4; გალ. 4:9,10; კოლ. 2:16,17.
სასულიერო პირების წოდებები და განსაკუთრებული ტიტულები არ	მათ. 23:8-12; მარ. 20:25-27; იობ. 32:21,22.

შეესატყვისება წმინდა წერილს.

ადამიანი არ განვითარებულა ეს. 45:12; შეს. 1:27.

ევოლუციური გზით, მაგრამ

იგი შექმნილ იქნა.

ქრისტემ უჩვენა 1 პეტრ. 2:21; ებრ. 10:7;

მაგალითი, რომელსაც იოან. 4:34; 6:38.

უნდა მივდიოთ ღმერთის

თაყვანისცემისას.

ნათლობა –წყალში სრული ჩაშვებაა, მარკ. 1:9,10; იოან. 3:23;

რომელიც სიმბოლურად ღვთისადმი საქ. 19:4,5.

მიძღვნას მოასწავებს.

ქრისტიანები ღიად უნდა რომ. 10:10; ებრ. 13:15;

მოწმობდნენ ბიბლიურ ეს. 43:10-12.

ჭეშმარიტებაზე.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები გვიჩვენებს, იეღოველთა მოძღვრება მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ორთოდოქსულ ქრისტიანობას, მის დოგმატებს, კულტსა და სიმბოლიკას. მთავარი და განმსაზღვრელი ამ წინააღმდეგობაში არის ის ფაქტი, რომ იეღოველები

რწმენისა და ჭეშმარიტების ერთადერთ წყაროდ ასახელებენ მხოლოდ “საღმრთო წერილს” და კატეგორიულად უარს ამბობენ “საღმრთო გადმოცემაზე”; შესაბამისად უარყოფენ ეკლესიის მამათა ავტორიტეტს, მათ მიერ “საღმრთო წერილის” ინტერპრეტაციის ჭეშმარიტებას. უფრო მეტიც, იეღოველები არა თუ არ ცნობენ ეკლესიას, როგორც შუამავალს ღმერთსა და ადამიანებს შორის, არამედ მას სატანის იარაღადაც აცხადებენ. იეღოველები მორწმუნეებს ხშირად სთავაზობენ არა მარტო ბიბლიის თავისებურ, დამახინჯებულ განმარტებას, არამედ ხშირად

უყურადღებოდ ტოვებენ იგივე “საღმრთო წერილში” არსებულ სხვა ადგილებს, რომლებშიაც ამ დებულებათა საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული. ამ მხრივ, აღსანიშნავია მათ მიერ სამების ტრადიციული გაგების უარყოფა. იეღოველთა აზრით, იესო ქრისტე არ არის მამა ღმერთის თანაბარი ღმერთი, იპოსტასი, არამედ უბრალოდ შვილია და მას ექვემდებარება. შესაბამისად, იეღოვა განუზომლად მაღლა დგას თავის შვილზე.

ასევე თავისებურად ესმით მათ სულიწმინდის ცნებაც. ის გამოცხადებულია იეღოვას განსაკუთრებულ ნიჭად. იეღოველთა მიერ სამების წინააღმდეგ მიტანილი იერიში და სხვაგვარი ინტერპრეტაცია ახალი როდია. სამების დოგმატი ქრისტიანობაში არაერთხელ ყოფილა განხეთქილების ვაშლი. თუ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სწორედ მისი სხვადასხვაგვარი გაგება იყო ათასგვარი მიმდინარეობების, ერესების თუ განსხვავებული შეხედულებების წარმოშობის ძირითადი წყარო. ქრისტიანობის ისტორიამ ისიც კარგად იცის, რომ არაფერზე არ დახარჯულა იმდენი დრო, სისხლი და ენერგია, როგორც ამ დოგმატის გაგებაზე. გამონაკლისი არც იეღოველობაა...

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, სამების დოგმატის ბუნდოვანებამ და ძნელად აღსაქმელობამ გარკვეულად შეუშალა ხელი ქრისტიანობის გავრცელებას მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში. ასე მაგალითად, არაბეთში, სანამ ისლამი გავრცელდებოდა, უკვე იცნობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ სხვა მიზეზებთან ერთად, სწორედ სამების სირთულემ და გაურკვევლობამ გააძნელა მისი გავრცელება და ამის გამო, იქ ისლამმა იმძლავრა.

გარდა სამების დოგმატის ორთოდოქსული გაგების უარყოფისა, იეღოველები უარს ამბობენ ისეთ უმნიშვნელოვანეს დოგმებზე, როგორიცაა იმქვეყნიური სამყაროს, ჯოჯოხეთისა და სამოთხის არსებობა, სულის უკვდავება, იმქვეყნიური მისაგებელი და ა.შ.

იმ დებულებებისა და დოგმატების ჩამოთვლა და შედარება, რაც განასხვავებს იეღოველობას ორთოდოქსულ ქრისტიანობისაგან, ძალზე შორს წაგიყვანს.

როგორ უნდა მოვიქცეთ?

კაცმა რომ თქვას, - შეიძლება ვინმემ ასეც დასვას კითხვა, - თუკი ქვეყანაში სინდისის თავისუფლებაა, რელიგიათა თანასწორუფლებიანობაა გამოცხადებული. ვისი რა საქმეა, მის მოქალაქეს თუ როგორ სწამს ღმერთი, ან როგორ ესმის სამება. მიაჩნია მას იესო ქრისტე მამა ღმერთის თანასწორ იპოსტასად თუ დაქვემდებარებულ შვილად, ჯვარზე გააკრეს იგი თუ ძელზე გასვეს, სწამს ჯოჯოხეთისა და სამოთხის არსებობა თუ არა? თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ეს, მართლაც, არავის საქმე არ უნდა იყოს.

ჩვენ რომ ამაზე მკაცრი რეაგირება მოვახდინოთ, მაშინ რა ვუყოთ სხვა რელიგიებს, მათ მოძღვრებებს, რომლებიც სულაც არ აღიარებენ იესო ქრისტეს ღვთაებრიობას?

მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც მისი მიმდევრები უარს აცხადებენ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე და ქვეყნის დაცვაზე.

სულ სხვა საქმეა, როდესაც ამ მოძღვრებას შეუძლია ადამიანების ჯანმრთელობას დიდი ზიანი მოუტანოს. მხედველობაში გვაქვს სისხლის გადასხმის აკრძალვა, რაც ხშირად დამთავრებულა ტრაგედიით.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ასეთ ეროვნულ პოზიციას მოკლებული, ზენაციონალური რელიგიური მიმდინარეობები მეტნაკლებად მოსათმენია დიდ, მოწესრიგებულ ქვეყნებში, მაგრამ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და თავისი დამოუკიდებლობა ჯერაც ვერ განუმტკიცებია, დამღუპველია. სწორედ ამიტომ, საქართველოში ახლა ბევრი არის შეშფოთებული იეღოველთა მოძრაობის ასეთი გაქანებით და მასშტაბებით, შეწუხებული მართლმადიდებელი სამღვდელოებაც ძალზე წუწუნებს. ეს ფაქტი არაერთხელ აღინიშნა სამღვდელოების წარმომადგენლების სხვადასხვა გამოსვლაში. ამ მხრივ თავისი გულისტკივილი არ დამალა კათალიკოს-პატრიარქმაც, რომელიც ამ მოვლენაში მართლმადიდებელთა ტრადიციული მრევლის ხელყოფას ხედავს. ბევრი ადამიანი, მათ შორის საზოგადოების საერო წევრებიც მოითხოვენ კანონმდებლობის გამკაცრებას და ასეთი სექტების მოქმედებათა შეზღუდვას. ზოგი თავგადადებული მართლმადიდებელი მორწმუნე უკიდურესი ზომების მომხრეა და თვლის, რომ ეს სექტები უნდა აიკრძალოს, ხოლო მათ მიერ შემოტანილი ლიტერატურა დაიწვას.

ფსიქოლოგიურად ამ ადამიანებს შეიძლება გაუგო, მაგრამ ასეთი ნაბიჯი რომ გადავდგათ, ხომ უნდა ვიფიქროთ, თუ რას მოგვიტანს ასეთი ქმედება, რა საბოლოო შედეგს მივიღებთ ასეთი ადმინისტრაციული ღონისძიებებისაგან? მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იმათ, ვინც ასე კატეგორიულად მოითხოვს მკაცრ ზომებს, ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი და გათვლილი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ აკრძალვას. შედეგი კი ასეთი იქნება:

1. დაირღვევა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები რელიგიურ უმცირესობათა შესახებ, რაც ძალზე ცუდად იმოქმედებს ჩვენს პრესტიჟზე საზღვარგარეთ, საიდანაც საქართველო მნიშვნელოვან პოლიტიკურსა და ეკონომიკურ დახმარებას ღებულობს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელ ქვეყანაშია ასეთი რელიგიური სექტების ცენტრები განთავსებული და ამ ქვეყნის გავლენა ჩვენს სამშობლოზე;

2. ასეთ ქმედებას შედეგად მოჰყვება არამართლმადიდებელთა გაღიზიანება (ისინი კი ცოტა როდი არიან), რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ქართველთა გათიშვას ცალკეულ დენომინაციათა მიხედვით;

3. ასეთი აკრძალვა ვერ შეაჩერებს ამ სექტათა მოქმედებას. ისინი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავლენ და კიდევ უფრო დაირაზმებიან. რწმენისათვის დევნილის და ტანჯულის შარავანდედი მათ კიდევ უფრო მეტი ფანატიზმისაკენ უბიძგებს. აკრძალული ხილის სინდრომი კი საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს. ეს ნათლად დადასტურდა კომუნისტური რეჟიმის დროს, როდესაც მიუხედავად დიდი

ძალისხმევისა, 7 ათეული წლის მანძილზე ვერაფერი მოუხერხეს სექტანტობას. არის სხვა გარემოებებიც...

VII. ებრაელთა თალმუდზე, რუსეთის რაბინ შტაინზალცზე, ეროვნულ იდეოლოგიასა და ქართველი ხალხის პრობლემებზე

"არ ენდო წარმართს (უცხოტომელს) – თუნდაც საფლავში".

ახლა, როდესაც ქართველი ხალხი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის, საკუთარი მეს და თავისი ფუნქციის პოვნისათვის იბრძვის, სულ უფრო ხშირად ისმის ლაპარაკი ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების და განხორციელების აუცილებლობაზე. სხვაგვარად, იმ რეალური მიზნების და ამოცანების გააზრებაზე და გათავისებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს გასავლელი, მისაღწევი და გადასაჭრელი. ეს უაღრესად საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენ ნორმალურ, სიცოცხლისუნარიან ქვეყანად ვიქცეთ.

ასეთი იდეოლოგიის შექმნისა და ჩამოყალიბების გზაზე, ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ იმათი გამოცდილებაც, ვინც ასეთი იდეოლოგიით ათეულობით საუკუნე იცხოვრა, უმძიმეს პირობებს გაუძლო და დღემდე მოვიდა...

ძნელი მისახვედრი როდია, რომ ეს სიტყვები ებრაელთა სახელმწიფოს, ებრაელი ხალხის ბედს, მის ხანგრძლივ ისტორიას ეხება, რომელიც, ამავე დროს, მისი რელიგიის და ეროვნული იდეოლოგიის – იუდაიზმის ისტორიაცაა.

ესაა მართლაც თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გაუძლოს ხალხმა ათასგვარ გასაჭირს და შეინარჩუნოს თავისი ეროვნული მეობა ურთულეს პირობებში: ერთიანი სამშობლოს, ენის, მეფის, მღვდელმთავრის არ არსებობის შემთხვევაში.

ებრაელებმა თავისი "უბის სამშობლოს" – თორასა და თალმუდის მეოხებით, რომელთა შესწავლაც სინაგოგებში იყო რეალიზებული, შესძლეს თავისი ეროვნული სახის შენარჩუნება, არ დაკარგეს საკუთარი კულტურა, ტრადიციები, წესჩვეულებანი. და აი, მრავალი საუკუნის შემდეგ, რაც მათ თავისი სახელმწიფო დაკარგეს, უსაშინლესი დევნა და ტყვეობა გამოსცადეს, სხვადასხვა ქვეყნებში დაიქსაქსნენ, შესძლეს თავისი ქვეყნის აღდგენა, მისი დაცვა, შემდეგ კი უხმეს მრავალ ქვეყანაში გაფანტულ შვილებს. მართალია ყველა ვერ ან არ ჩამოვიდა, მაგრამ ბევრი მაინც დაბრუნდა; ხოლო იმათ, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოახერხა ისრაელში დაბრუნება, სხვადასხვა საშუალებით გადაწყვიტეს მხარში ამოდგომოდნენ აღორძინებულ სამშობლოს...

იუდეველებმა, თავისი ეროვნულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, მართლაც ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო შექმნეს. შესანიშნავად შეიარაღდნენ, თავისი სამშობლოს დაცვა ქალმაც და კაცმაც იკისრეს. მართალია, ეს ქვეყანა

ისლამურ სამყაროში ალყაშემორტყმული კუნძულივით არის, მაგრამ ებრაელები არ უშინდებიან ასეთ საფრთხეს და მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ.

ის ფაქტი, რამაც ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა, სამი წლის წინ მოხდა, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვნად და შთამბეჭდავად მეჩვენა, რომ მასზე ხელი დღესაც ვერ ავიღე...

საქმე ეხება რუსეთის სულიერი რაბინის ადინ ეევენ – ისრაელის (შტაინზალცის) სამდღიან ვიზიტს საქართველოში. ეს ვიზიტი, თავის დროზე, სათანადოდ იქნა გაშუქებული, მაგრამ მან უმეტესად ებრაელ და ქართველ სპეციალისტთა ვიწრო წრის ინტერესი უფრო გამოიწვია... არადა ამ ვიზიტში ქართველთათვის მეტად საყურადღებო და ჭკუის სასწავლი მომენტები იყო.

მიზანი რაბინ ადინ შტაინზალცის ისრაელიდან რუსეთში ჩამოსვლისა და იქ მოღვაწეობისა, მისივე არაერთგზის განცხადებით, მდგომარეობს იმაში, რომ: “დაეხმაროს ებრაელებს დაუბრუნდნენ თავის ებრაელობას”, რათა ისინი არ გადაგვარდნენ, არ გადაჯიშდნენ, არ იქცნენ რუსებად ან სხვა ეროვნების ხალხად.

და თუ ეს პრობლემა აწუხებთ ებრაელებს, ხალხს, რომელთაც უმდიდრესი, ძლიერი და მოწესრიგებული ქვეყანა აქვთ, მაშინ რაღა უნდა ვქნათ ჩვენ, ქართველებმა? ეს პრობლემა ჩვენში ხომ უფრო აქტუალურია, რადგან, როგორც ცნობილია, უკიდურესი გაჭირვების გამო უამრავმა ჩვენმა თანამემამულემ დატოვა სამშობლო და სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი. ცხადია, ყველა იქ არ დარჩება, ბევრი უკან დაბრუნდება, მაგრამ იქ დარჩენილთათვის დგება იგივე უმწვავესი საკითხი, თუ რით უნდა დაიცვან მათ თავისი ეროვნულობა? რა თავდაცვის იარაღი გააჩნიათ, როგორ უნდა შეირაჩუნონ თავისი ქართველობა?

მათ რომ რაიმე ძლიერი ეკონომიკური შესაძლებლობა ჰქონდეთ, ეს კიდევ სხვა იქნებოდა, მაგრამ ქართველები ამ ქვეყნებში უმეტესად შინა მოსამსახურეებს, მოხუცთა, ბავშვთა ან ავადმყოფთა მომვლელებს, მეძავეებს, ერთი სიტყვით, სოციალურ კიბეზე ყველაზე დაბლა მდგომ პირებს წარმოადგენენ.

“უკვე არსებობენ, - წერდა გერმანელი კლემენს აიხი, - შეძლებული, ლიბერალური და თანამედროვე მოქალაქენი გერმანიაში, რომლებსაც ქართველები სახლის ეგზოტიკური ცხოველებივით ჰყავთ...” (იხ. ახალი საქართველო N 29 (74), 22 – 27 VII. 1999 წ.).

და ამ, ძნელბედობის ჟამს სამშობლოდან გარიდებულ ადამიანებს, ხალხს, რომელთა უმრავლესობისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება და ამ ფაქტიდან გამომდინარე შეღავათების მიღება ოცნებად ქცეულა, უნდათ კი საერთოდ ქართველობა? ან თუ უნდათ ვინ და როგორ დაიცავს მათ ქართველობას? ვინ ჩააკითხავს მათ რაბინ შტაინზალცივით, რომ თავისი სამშობლო და ეროვნულობა გაახსენოთ?....

ყოველივე ამის შესახებ უფრო ქვემოთ ვიტყვი; ახლა კი საუბარს იმდროინდელი საგაზეთო ქრონიკით დავიწყებთ (იხ. გაზ. “შალომ”, ებრაული გაზეთი საქართველოში N 5, ოქტომბერ-დეკემბერი, 1996 წ.):

1996 წლის დეკემბერში საქართველოს სამდღიანი ვიზიტით ეწვია გამოჩენილი თალმუდისტი, რუსეთის სულიერი რაბინი ადინ ევენ-ისრაელი (შტაინზალცი). ავტორი უამრავი წიგნისა და სტატიის, რომელიც ეძღვნება იუდაიზმის, მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის, მისტიკის საკითხებს და რაც მთავარია, არის მთარგმენლი თალმუდისა თანამედროვე ებრაულზე უნიკალური ათტომიანი გამოცემისა და მისი კომენტარებისა, ადამიანი, რომლის შრომაც ისრაელში სახელმწიფო პრემიით შეფასდა...

ადინ შტაინზალცი არის უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, რომელსაც შეტანილი აქვს დიდი წვლილი ებრაელთა სულიერ ცხოვრებაში და რომელთანაც ურთიერთობას დიდ პატივად თვლიან მსოფლიოს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

ეს ვიზიტი მომზადებული იქნა ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის “ჯოინტის”, ქართულ-ებრაული ურთიერთობათა შემსწავლელი ასოციაციის და ცალკეული ცნობილი ებრაელი საზოგადო მოღვაწეების მიერ.

მიზანი შტაინზალცის მისიისა რუსეთში, როგორც უკვე ვთქვით, მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს “...ებრაელებს დაუბრუნდნენ თავის ებრაელობას, ხოლო თუ რას უზამენ ისინი შემდეგ ამ ებრაელობას, დაე შემდეგ თვითონ მათ გადაწყვიტონო...”

ამ მიმართულებით იგი რუსეთში ახორციელებს მთელ რიგ საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ მიზნით გახსნა მან დსთ-ში იუდაიზმის შემსწავლელი ინსტიტუტი, ატარებს უამრავ სხვა ღონისძიებას.

იგი საქართველოშიც ამ მიზნით ჩამოვიდა, თუმცა ქართველ ებრაელებს ასეთი საფრთხე არასოდეს ჰქონიათ. რაბინი შტაინზალცი აქ უამრავ ადამიანს შეხვდა, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარეს, კულტურის მინისტრს, თბილისის მერს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელთანაც შეხვედრისას კმაყოფილებით განაცხადა: “საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ებრაელებისადმი არის მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა ქრისტიანულსა და იუდეურ სამყაროთა შორისო”.

ადინ შტაინზალცი დაინტერესდა ქართველ ებრაელთა ცხოვრებით და ეს არც არის გასაკვირი, “იგი ხომ ჩამოვიდა ებრაული დიასპორის ერთ-ერთ უძველეს თემში, - შენიშნავდა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში (იხ. გაზეთი “ახალი 7 დღე” 18–24 IX. 1998 წ.) ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და მეცნიერი ჯემალ აჯიაშვილი, - იქნება ყველაზე ძველ თემში, მეტიც: ბევრი რამის აღდგენა, რაც ებრაელობამ დაკარგა თავის დაფანტულობით, შესაძლებელია ქართველ ებრაელთა ტრადიციებზე დაყრდნობითაცო”.

ადინ შტაილნზალცი ვიზიტის სამივე დღეს უშურველად გასცემდა იმ ცოდნას, რომელიც მას უხვად აქვს მომადლებული. მან წაიკითხა ლექცია თემაზე “თანახის ფილოსოფია” (ებრ. “ძველი აღთქმა”). თორა, ნევიიმ, ქ(ხ)-ეთუვიმ=თორა,

წინასწარმეტყველები, წერილები (ïèñ‌ǂíèÿ), მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე, რომელიც იმ დღეებში მიდიოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მოინახულა გორი.

როგორც ვთქვი, რაბინი მრავალ ოფიციალურ პირს შეხვდა, მაგრამ პირველ რიგში იგი მაინც თავის მრევლთან ჩამოვიდა, როგორც სასულიერო პირი. ამიტომაც, მან მონაწილეობა მიიღო დილის ლოცვებში აშკენაზურ და ქართველ ებრაელთა სინაგოგებში.
ძალზე საყურადღებო იყო ვიზიტის ის დღე, როდესაც იგი შეხვდა ქართველ და ებრაელ საზოგადოებას. ამ დროს მოხდა მისი წიგნის "დიალოგი თალმუდზე" პრეზენტაცია.

კითხვაზე, თუ რატომ მოჰკიდა ხელი მან ასეთ მძიმე საქმეს, მას ადრეც აქვს გამოთქმული აზრი:

"რელიგიურ ებრაელს ეს თარგმანი არ სჭირდება, ხოლო არარელიგიური ებრაელისათვის, თუნდაც ისრაელში ცხოვრობდეს, თალმუდი ნაკლებად ხელმისაწვდომია. შედგენილია ისე რთულად, რომ ტექსტის წაკითხვისათვის სპეციალური მასალებია საჭირო," ხოლო კითხვაზე, თუ რისთვის განახორციელა რაბინმა შტაინზალცმა ეს მძიმე შრომა? იგი პასუხობს:

"...მეორე მსოფლიო ომში ებრაელობის თავს გადამხდარი კატასტროფის შემდეგ ჩვენ ვერ დავუშვებთ ებრაელობის მასიდან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის მოწყვეტას, სხვა მხრივ რელიგიური ებრაელები გადაიქცევიან სექტად. ჩვენ მცირერიცხოვანი დავრჩით. ყველა მოვლენას აქვს თავისი კრიტიკული მასა, რომლის შემცირებისას მოვლენა აღარ იქნება"...

ფართო მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს თუ რაზეა ლაპარაკი, ცოტა რამ მაინც უნდა ვთქვათ თალმუდის წარმოშობის, ჩამოყალიბების და მნიშვნელობის შესახებ.

1. მცირეოდენი ინფორმაცია თალმუდზე

სიტყვა თალმუდი ძველ ებრაული ლამედისაგან წარმოდგება და ქართულად სწავლებას, შესწავლას, მოღვაწეობას ნიშნავს. იგი, სპეციალისტთა თქმით, ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებულია, რომელიც შედგენილია ძველი აღთქმის წიგნების განმარტებათა საფუძველზე.

თალმუდი წარმოადგენს რელიგიური ტრაქტატების უზარმაზარ კრებულს, რომელშიაც დაფიქსირებულია იუდეველთა ფეოდალური პერიოდის რელიგიური – სამართლებრივი და კულტობრივი წარმოდგენები. თალმუდი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი უძველესი ნაწილია მიშნე, რომლის ზეპირ გადმოცემებსაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ვხვდებით. ისინი შეაგროვა და ჩაიწერა ჩვენი წელთაღრიცხვით 210 წელს იეჰუდა ჰა-ნასიმ. სახელწოდება მიშნე კანონის (თორის) განმეორებაა (თვით სიტყვა "მიშნე" ებრაულად მეორეულს (განმეორებულს) ნიშნავს). კანონის

განმეორება, უფრო სწორად, განახლება და ახალ პირობებთან მისადაგება გამოწვეული იყო ებრაელთა ისტორიული პირობების შეცვლით, მათ დიასპორაში (გაფანტულობაში) ცხოვრებით და შესაბამისად მოსეს კანონის განახლების აუცილებლობით. მიშნე შედგება 63 ტრაქტატისაგან. ეს ტრაქტატები ეხება ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: მიწათმოქმედებას, დღესასწაულებს, მორწმუნეთა ქცევის წესებს, ქორწინებას და საქორწინო სამართალს, სამოქალაქო და სისხლის სამართალს, მსხვერპლშეწირვას, რიტუალური სიწმინდის დაცვას და ა. შ.

შედარებით უფრო გვიან კომენტირების ობიექტი იყო არა თორა, არამედ მიშნე. მიშნეს კომენტირებას ახდენენ ამორაები. ამ განმარტებას უწოდეს გემარა (სასრული, დასასრული). მიშნეს და გემარას გაერთიანებით მიღებულ იქნა თალმუდი. ცნობილია თალმუდის ორი რედაქცია: პირველი არის იერუსალიმის თალმუდი "იერუშალმი", რომელიც III საუკუნეში იქნა შესრულებული და იგი უკავშირდება იოქანან ბარ ნაპახის სახელს. მეორე რედაქცია უფრო გვიან, V საუკუნეში შესრულდა ბაბილონში. ამ თალმუდს ებრაულად "თალმუდ ბავლი" (ბაბილონური თალმუდი) ეწოდება. ამ ვარიანტში მიშნე და გემარა შეერთებულია. იუდაურ თეოლოგიურ ლიტერატურაში უპირატესობას ამ უკანასკნელს, ბაბილონურ თალმუდს ანიჭებენ.

თალმუდი უზარმაზარ მასალას მოიცავს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ვინაიდან, იგი სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა პირების მიერ არის შექმნილი ძველი აღთქმის მსგავსად, მასში ბევრი ურთიერთგანსხვავებული აზრი და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაც გვხვდება. თალმუდი გარეგნულად ყოველთვის ეყრდნობა თორის ამა თუ იმ ლექსს, მაგრამ თალმუდისტებმა შეიმუშავეს ამ ლექსების კომენტირების ისეთი ხერხები, რისი მეოხებითაც თორაში გადმოცემულ შინაარსს სასურველ მიმართულებას აძლევენ.

თალმუდში ლაპარაკია მონათმფლობელობაზე, ახლად ჩასახულ ფეოდალურ წყობაზე, მსჯელობაა იუდაიზმის დოგმატიკასა და კულტზე, წეს-ჩვეულებებზე. მასში ხშირად გვხვდება წარმოდგენები, რომლებიც ყოველთვის ორიგინალობით როდი გამოირჩევიან. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ისინი სხვა ხალხების წიგნებიდან არიან ნასესხები. მასში ლაპარაკია სამყაროს შექმნაზე, პირველი ადამიანების გაჩენაზე, ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლებაზე და ა. შ.

თალმუდში ნათლად არის გამოკვეთილი სოციალური პოზიციაც. იგი მოთმინებისა და მორჩილებისაკენ მოუწოდებს ხალხის მასებს. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მეამბოხეებს იმქვეყნიური ტანჯვით აშინებდნენ, ხოლო მორჩილთ ბედნიერებას აღუთქვამდნენ.

თალმუდის მიხედვით სიცოცხლე ადამიანს მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდად ეძლევა. თალმუდი სკეპტიკურად არის განწყობილი მეცნიერების და საერო ფილოსოფიის მიმართ. იგი, ბუნებრივია, ამკვიდრებს რელიგიურ წარმოდგენებს. დასამალი როდია, რომ თალმუდის კატეგორიული ხასიათი უკმაყოფილებას იწვევდა ბევრ ადამიანში შორეულ შუა საუკუნეებშიც კი, ამიტომ მისი ავტორიტეტის წინააღმდეგ მრავალი მოაზროვნე ადამიანი იბრძოდა.

როგორი იყო სხვა რელიგიების ან სხვა ხალხების დამოკიდებულება ამ წიგნისადმი? უნდა ითქვას, რომ საკმაოდ აგრესიული და მტრული.

საერთოდ, ყველასათვის ცნობილია ის ბრალდებები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გაისმოდა ებრაელთა და მასონთა მიმართ. ებრაელების, იუდეველების, როგორც ქრისტეს მესიად არ მიმღებთა და ჯვარმცმელების უარყოფითი ხატი საუკუნეთა მანძილზე იხატებოდა, მათ დასცინოდნენ, დევნიდნენ, პოგრომებს უწყობდნენ, ბრალს სდებდნენ რიტუალურ მკვლელობებში, ქრისტიანთა სისხლის გამოყენებაში. ჩვენს მეხსიერებას კარგად შემორჩა ის უსაშინლესი სურათები ებრაელთა დევნისა, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა მოაწყვეს და მილიონობით ებრაელი იმსხვერპლეს. ანტისემიტური განწყობილებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყო და დღესაც არის გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ისევ განახლდა და გაძლიერდა ასეთი ბრალდებები ებრაელ – მასონებზე, მათ დამანგრეველ როლზე ქვეყნების ცხოვრებასა და ეკონომიკაში. ეს პროცესი განსაკუთრებით რუსეთში შეიმჩნევა, სადაც ყოველი უბედურება ქვეყნის ცხოვრებაში აღიქმება ებრაელთა ზეწოლით მთავრობაზე, მათი მომრავლებით საბანკო და საინფორმაციო საშუალებებში. ყველაფერი ბრალდება მრავალსაუკუნოვან თალმუდურ საფუძვლებს, ებრაელთა მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას, რომელიც, მათი აზრით, ეყრდნობა ადამიანთა მოძულე მოძღვრებას სინაგოგაზე.

ის, რაც თავის დროზე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იქნა ხმარებიდან ამოღებული როგორც ანტისემიტიზმის, ველიკორუსული შოვინიზმის, შავრაზმელური აზროვნების გამოხატულება, დღეს ისევ ამოდის მზის სინათლეზე და თავისუფლად იწყებს სეირნობას სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტის საშუალებითაც.

ასე ამოქექეს ებრაელთა მოძულეებმა ჯერ კიდევ 1913 წელს რუსეთში, ჟურნალ “საეკლესიო უწყებათა დამატებაში” N 44, 1913 წ. სარატოვის და ცარიცინის არქიეპისკოპოსის ალექსის მიერ გამოქვეყნებული სტატია “თალმუდის მორალი”, სადაც ეს უკანასკნელი დახასიათებულია როგორც უაღრესად რეაქციული, სხვა ხალხების მოძულე იდეოლოგია, რომლის მხილებაც აუცილებელ საქმედ მიაჩნიათ. ინტერნეტში გავრცელებული შემოკლებული ტექსტის ავტორები ირწმუნებიან, რომ პირველწყაროში მოტანილ არქიეპისკოპოს ალექსის ყველა დებულებას თან ახლავს სათანადო არგუმენტირება და მეცნიერული აპარატი, ხოლო აქ შემოკლებული სახით იმიტომაა წარმოდგენილი, რომ მკითხველს არ გაუჭირდეს მისი წაკითხვა...

მაინც რა წერია ამ სტატიაში, რის დარწმუნებას ცდილობს მისი ავტორი:

“თალმუდი კაცობრიობას ორ ნაწილად ყოფს, ებრაელებად და არაებრაელებად. ამ უკანასკნელთ ისინი გოის, გოიმებს (მრავლობითში) უწოდებენ...

ყოველი წინდაუცვეთავი არის უცხოტომელი, ხოლო უცხოტომელი და წარმართი ერთიდაიგივეა...

მხოლოდ ებრაელები წარმოიშვნენ ღმერთისაგან. ყველა სხვა ადამიანი ეშმაკისაგანაა...

ებრაელები უფრო ესიამოვნება ღმერთს ვიდრე ანგელოზები,... ის ვინც თავისი მოქმედებით შეურაცხყოფას აყენებს ებრაელს (მაგალითად ურტყამს ლოყაში), ის შეურაცხყოფს ღვთის დიდებას, ამიტომ "ის გოი, ვინც ებრაელს დაარტყამს, უნდა მოკვდეს"...

რამდენადაც ადამიანები მაღლა დგანან ცხოველებზე, ამდენად ებრაელები მაღლა დგანან სხვა ადამიანებზე. ეს უკანასკნელნი, ფაქტობრივად, ცხოველური თესლია; მაშასადამე, ებრაელები რომ არ იყვნენ დედამიწაზე არ იქნებოდა არც მადლი, არც კურთხევა, არც მზის სხივები, არც წვიმა, და საერთოდ ადამიანები ვერ შესძლებდნენ არსებობას.

ყველა რაბინი ეთანხმება იმ აზრს, რომ არაიუდეველებს ცხოველური ბუნება აქვთ, მათ შორის რაბი მოსე ბენ ნახმანი, რაბი რაში, რაბი აბრაბანელი, რაბი ჟალკიუ და სხვები გოიმებს ადარებენ ძაღლებს, ვირებს და ბოლოს ღორებს. "მხოლოდ ერთი ხალხი – ებრაელები არის ღირსი მარადიული ცხოვრების" – ამბობს რაბი აბრაბანელი. "თქვენ იუდეველები, სრულიად სხვა ხალხი ხართ, სხვა ადამიანები არსებითად ადამიანები არ არიან, რადგან მათი სულები წარმოდგებიან უწმინდური ძალისაგან, მაშინ, როდესაც იუდეველთა სულები ღვთის წმინდა სულისაგან წარმოდგებიანო", - უმტკიცებს თავის თანატომელებს რაბი მენახემი. იგივეს ამტკიცებს რაბი ჟალკიუ: "მხოლოდ ებრაელებს აქვთ უფლება ერქვათ ადამიანები, ხოლო გოიმებს, რომლებიც უწმინდური ძალისაგან მომდინარეობენ, მათ უნდა ეწოდოთ ღორები".

ის აზრი, რომ ღმერთს სძულს გოიმები, თალმუდის მიხედვით ამართლებს იმ სიმკაცრეს, რასაც ისინი იჩენენ გოიმების მიმართ. მართლაც როგორ უნდა გიყვარდეს ის, ვისაც ღმერთი სწყევლის? ამგვარ საფუძველზე დაყრდნობით თალმუდი შემდეგ დარიგებებს გვთავაზობს: "თქვენ არ უნდა აღმოუჩინოთ დახმარებ გოიმებს", "იკრძალება სიბრალულის გამოჩენა იმათ მიმართ, ვისაც არა აქვს გონება", "არ შეიძლება მართლმორწმუნე ადამიანი იყოს გულმოწყალე არაწმინდის მიმართ".

"გოიმები, - ნათქვამია თალმუდში, - არ შეიძლება ბოროტები არ იყვნენ. თუკი ისინი მაინც აკეთებენ სიკეთეს, ან მოწყალებას არიგებენ... მაინც დაიწყევლებიან და მათ მიერ გაკეთებული საქმე ცოდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან ისინი ამას პატივმოყვარეობისთვის აკეთებენ".

მაგრამ, როგორც გამოცდილებამ ასწავლა ებრაელებს, არ შეიძლება გოიმების ასე აშკარა ლანძღვა, ამიტომ, თალმუდი რეკომენდაციას უწევს ებრაელებს იყვნენ პირფერები მათ მიმართ: "მიესალმე გოის, რათა მასთან მშვიდობიანად იცხოვრო, განხეთქილება აიცილო და მისთვის სასურველი გახდე".

რაბი ბახაი ამას ამატებს: "პირმოთნეობა დასაშვებია იმ აზრით, რომ იუდეველმა თავი ზრდილობიანად, თავაზიანად აჩვენოს არამართლმორწმუნე გოის, რათა მისგან პატივისცემა დაიმსახუროს და ათქმევინოს: "მე თქვენ მიყვარხართ".

მაგრამ იგივე რაბი ბახაი გვიხსნის, რომ ეს წესი იუდეველმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ებრაელს სჭირდება გოი, ან არის იმის საფრთხე, რომ გოის შეუძლია ზიანი მიაყენოს მას. სხვა შემთხვევაში ეს ცოდვა იქნებაო".

იმისათვის, რომ ებრაელმა უკეთესად მოატყუოის გოი, მას შეუძლია მოინახულოს მისი ავადმყოფი, დაასაფლავოს მისი მიცვალებული, დაეხმაროს ღარიბებს, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ იმისათვის, რომ მშვიდობა ჰქონდეს გოისთან, რათა ამ უკანასკნელმა ბოროტება არ უყოს ებრაელს. მაგრამ ეს მითითება მარტო ამით არ ისაზღვრება... შეიძლება მოვიტანოთ მთელი რიგი სხვა დარიგებები თალმუდის, რომელიც ეხება იმას, თუ როგორ უნდა მოეპყრას ებრაელი გოის სიცოცხლესა და ქონებას. და ყველაფერ ამაში ნათლად შეიმჩნევა ღრმა განსხვავება დამოკიდებულებასა და მოქცევაში ებრაელისა და არაებრაელისადმი.

მიწის სიკეთე ადამიანისთვისაა, წერია წმინდა წერილში, მაგრამ ეს ადამიანი მხოლოდ ებრაელიაო – გვიხსნის თალმუდი. არაებრაელს არა აქვს უფლება ფლობდეს ამ სიკეთეს, რადგან იგი მხოლოდ ცხოველია, ამიტომ იგი შეიძლება სუფთა სინდისით მოკლა ან გააგდო თავისი საცხოვრისიდან და ისარგებლო მისი ქონებით. – "არაებრაელის სიმდიდრე – ეს იგივეა, რაც დაკარგული ნივთი, მისი ჭეშმარიტი მფლობელი ებრაელია, რომელიც უწინარეს ყოვლისა უნდა ფლობდეს მას".

და თუკი გოი მოპარავს ებრაელს რაღაც სულ მცირედს, იგი სიკვდილის ღირსია, მაგრამ ებრაელს შეუძლია აიღოს მისგან რამდენიც შეუძლია. არის შეგონება, რომ ადამიანმა თავის მოყვასს ბოროტება არ უნდა გაუკეთოსო, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს გოისაც ეხება. ამიტომ ის ებრაელი, ვინც რაიმეს მოპარავს ებრაელს, ქურდად ითვლება, მაგარმ თუკი იგი რაიმეს მოპარავს გოის, ითვლება, რომ მან მხოლოდ თავისი კუთვნილი აიღო.

რაბი რაში ეუბნება თავის მსახურს: "მომიტანე მე ეს ყურძენი, რომელიც ეკუთვნის გოის, მაგრამ ხელი არ ახლო იმას, რაც ებრაელს ეკუთვნის".

ებრაელის ეს ყოვლისმომცველი უფლება ვრცელდება თვით ცხოველებზეც. თალმუდი ამბობს: თუკი ებრაელის ხარი მოკლავს გოის ხარს, მაშინ ებრაელი თავისუფალია სასამართლოსაგან, მაგრამ თუკი გოის ხარი მოკლავს ებრაელის ხარს, მაშინ გოიმ უნდა ზღოს ზარალი.

რადგან ღმერთმა "როდესაც მიუზომა მიწა ისრაელს, გოიმებიც მათ გადასცა".

თალმუდი ასევე აძლევს ებრაელს რჩევას თუ როგორ უნდა მიაღწიოს თავის მთავარ მიზანს და საბოლოოდ, მატერიალურად, როგორ დაიმორჩილოს გოიმები. ამის უმთავრესი საშუალებებია მევახშეობა და ტყუილი. "ღმერთმა, - ნათქვამია თალმუდში, - ბრძანა სარგებლის აღება გოიმებისგან და მასზე ფულის გადაცემა მხოლოდ პროცენტებით. ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ მას დახმარება გაუწიო, ჩვენ მას ზარალი უნდა მივაყენოთ, თუკი ეს ჩვენთვის სასარგებლოა, მაგრამ, ებრაელის მიმართ ჩვენ ასე არ უნდა მოვიქცეთ". განთქმული რაბი ბახაი ამბობს: "გოის სიცოცხლე შენს ხელშია, ო იუდეველო! მით უმეტეს შენ გეკუთვნის მისი ოქრო".

მევახშეობის ასეთი დოქტრინის წყალობით, რომელიც აუცილებელი იყო ებრაელებისთვის, როგორც მათი რელიგიური წესი, მათ ხელში თავი მოიყარა უზარმაზარმა სიმდიდრემ, ზოგჯერ მევახშეობა წარმოუდგენელ ზომებსაც აღწევდა. იანსენის თხზულებაში მოტანილია მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ებრაელები სარგებელში 300, 400 და ზოგჯერ 600 პროცენტსაც კი იღებდნენ წელიწადში.

გარდა მევახშეობისა თალმუდი ურჩევს ებრაელებს გოიმების მიმართ გამოიყენონ მოტყუების და ქურდობის ყველა საშულება. მაგალითად, თუკი გოიმ დაკარგა რაიმე საგანი ან ქისა, ებრაელმა მას არ უნდა დაუბრუნოს იგი, რადგან: “ის ვინც დაუბრუნებს გოის იმას, რაც მან დაკარგა, ვერ ჰპოვებს ღვთის მოწყალებას”.

რაბი რაში კი ასე მსჯელობს: “დაუბრონო გოის ის, რაც დაკარგა, ეს იმას ნიშნავს, რომ არამართლმორწმუნე ურჯულო შეადარო ებრაელს, ეს კი ცოდვაა”. “ის ვინც უბრუნებს არაებრაელს დაკარგულ ნივთს, - მსჯელობს მაიმონიდი, - სცოდავს, რადგან იგი ხელს უწყობს მის გაძლიერებას”. რაბი ჟერუხამი კი ამას ამატებს: “თუკი გოის ჰქონდა იმის საბუთი, რომ ფული ასესხა ებრაელს, თუ ეს საბუთი დაკარგა და იგი ებრაელმა იპოვა, მან არ უნდა დაუბრუნოს იგი გოის, რადგან მისი ძმის ვალდებულებამ მაშინ დაკარგა ძალა, როდესაც იგი სხვამ იპოვა, და თუკი მაინც ებრაელი იპოვნის ვექსილს და გადაწყვეტს დაუბრუნოს იგი გოის, მაშინ საკუთარმა ძმამ უნდა აუკრძალოს ამის გაკეთება და უთხრას: “თუკი შენ გინდა პატივი სცე ღვთის სახელს, ნუ იზამ ამას”.

ეს რჩევა მთლიანად ემთხვევა თალმუდის მორალს, რადგან გოის, თალმუდის მიხედვით, არა აქვს უფლება ჰქონდეს საკუთრება, რომელიც მხოლოდ ებრაელებს ეკუთნით; აქედან გამომდინარე, ებრაელი, რომელიც სესხს იღებს, ღებულობს იმას, რაც მას ეკუთვნის.

იგივე წესები ვრცელდება ვაჭრობაზეც: “დასაშვებია, - ამბობს თალმუდი, - აიღო პროცენტები გოისაგან და ამავე დროს მოატყუო რაიმე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ თუკი თქვენ რაიმეს მიჰყიდით თქვენს მოყვასს, ე. ი. ებრაელს, ან თუკი მისგან ყიდულობთ რაიმეს, მაშინ იგი თქვენ არ უნდა მოატყუოთ”.

რაბი მოსე ნათლად ამბობს: “თუკი გოი ანგარიშის გასწორებისას მოტყუვდება ფულის თვლაში, დაე ებრაელმა თქვას: “მე არაფერი არ ვიცი”. მაგრამ მე არ გირჩევთ შეაცდინოთ გოი, რადგან მან შეიძლება ეს შეცდომა განგებ დაუშვას, რათა ებრაელი გამოსცადოს”.
ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება ის, რასაც რაბი ბრენცი წერდა: “თუკი ებრაელი მთელი კვირის განმავლობაში მოგზაურობდა და ამ დროის მანძილზე ატყუებდა ქრისტიანებს მარჯვნივ და მარცხნივ, მაშინ შაბათს ისინი შეიკრიბებიან და მადლობას შესწირავენ უფალს სიტყვებით: “საჭიროა გული ამოვგლიჯოთ გოიმებს და მოვკლათ საუკეთესო ქრისტიანთაგანი”..

სახელმწიფო კანონებით ებრაელმა, თალმუდის მიხედვით, ისე უნდა ისარგებლოს, რომ გამოიტანოს იქიდან სარგებელი საკუთარი ხალხისთვის. ამაზე თალმუდი ძალზე ნათლად გამოთქვამს თავის პოზიციას: “თუკი ებრაელს

სასამართლო აქვს არაებრაელთან, შენ ყველაფერი ისე უნდა მოიმოქმედო, რათა დავა შენმა ძმამ მოიგოს, ხოლო თქვენ უნდა უთხრათ უცხოტომელს: “ასე სურს თქვენს კანონს”.

თუკი ქვეყნის კანონები კეთილგანწყობილია ებრაელის მიმართ, თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ იმას, რომ დავა თქვენმა ძმამ მოიგოს, ხოლო უცხოტომელს კი ასე უნდა უთხრათ: “ასე თხოულობს თქვენი კანონიო”. მაგრამ თუ არცერთი ასეთი შემთხვევა არ მოგეცემა, მაშინ საჭიროა ათასგვარი ხერხი გამოიყენო და ისე მოუგო საქმე უცხოტომელს”. რაბი აკიბა, რომელსაც ეკუთვნის ეს წესი, უმატებს, რომ ებრაელმა ისე ფრთხილად უნდა იმოქმედოს, რომ დისკრედიტირებული არ აღმოჩნდეს.

იგივე განსხვავება, რაც არსებობს იუდეველ ადამიანს და გოი – ცხოველს შორის, უფლებას აძლევს ებრაელს არა მარტო განაგოს გოის ქონება, არამედ ნებას რთავს გადაწყვიტოს მისი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაც. რაბი მაიმონიდი ასე ამბობს ამის შესახებ: “მართალია, ნათქვამია – “არა კაც კლა”, მაგრამ ეს ნიშნავს არ მოკლა ებრაელი, ისრაელის შვილი, მაგრამ გოიმები ხომ ისრაელის შვილები არ არიან, ამიტომ მათი მოკვლა დამშვიდებული სინდისით შეიძლება, და ეს სასურველია გააკეთო მაშინ, როდესაც შენს უშიშროებას არავითარი განსაცდელი არ ემუქრება. საჭიროა მოკლა ყველაზე პატივცემული კერპთაყვანისმცემლებს შორის”.

და კიდევ, “თუკი ორმოში ჩავარდნილ გოის ამოიყვან მიწისპირზე, ამით შენ სამსახურს უწევ კერპთაყვანისმცემლებს”. რაბი მაიმონიდი ამბობს: “აკრძალულია შეიწყალო კერპთაყვანისმცემელი: როდესაც იგი მდინარეში ან სხვა ადგილას იღუპება, არ უნდა უშველოთ”.

ასეთნაირადვე ასწავლიან თალმუდს სხვა ცნობილი ინტერპრეტატორებიც, განსაკუთრებით რაბი აბრაბანელი. ეს უკანასკნელი მოგვიწოდებს გვძულდეს, გვეზიზღებოდეს და გავანადგუროთ ნებისმიერი, ვინც არ ეკუთვნის სინაგოგას ან მოკვეთილია მისგან.

“თუკი ერეტიკოსი ჩავარდება ორმოში, - ამბობს იგი, - ნუ ამოიყვან მას ზედაპირზე, პირიქით, თუკი ორმოში არის კიბე, ისიც ამოიღე იქიდან, ხოლო თუკი ორმოს მახლობლად არის ქვა, ისიც ჩააგდე მასში”. და ბოლოს, თალმუდში არის წესი, რომელიც თავისი სიმკაცრით ძველი მოლოხის თაყვანისმცემლების წესებს გვაგონებს და რომლებიც საკმაო დოზით გვიხსნიან იმ რიტუალურ დანაშაულებს, რომელთაც ასე ხშირად ჰქონდათ ადგილი ამ ხალხის ისტორიაში: “ის, ვინც დააქცევს გოის სისხლს, იგი ღმერთს სწირავს მსხვერპლს”.

გოის მოკვლას დიდ დამსახურებად თვლიან, და იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოხდა შეცდომა და ებრაელმა გოის ნაცვლად ებრაელი მოკლა, მას ეს არ უნდა ჩაეთვალოს დანაშაულად, რადგან თალმუდის მიხედვით, თვით სურვილიც კი მოკლას გოი, დიდ დამსახურებად ითვლება.

“ის ვინც აპირებს ცხოველის მოკვლას, შემთხვევით კი შემოაკვდება ადამიანი ან ის, ვისაც უნდა გოის მოკვლა და შემთხვევით ებრაელს მოკლავს, არ უნდა დაისაჯოს.

მაგრამ ის გოი, რომელიც შეგნებულად, განზრახვით კლავს ებრაელს, ისევე დამნაშავეა, თითქოს მან მთელი სამყარო გაანადგურა. სამაგიეროდ, გოი, რომელიც მოკლავს სხვა გოის, უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ მკვლელობით იგი ხდება იუდაიზმის პროზელიტი. მაგრამ, თუკი მან ებრაელი მოკლა, მაშინ იგი უნდა მოკვდეს, წინდაცვეთაც რომ ჩაიტაროს".

ისევე, როგორც გოის ქონება და სიცოცხლე არის ებრაელის განკარგულებაში, ასევე მის ხელშია მისი ოჯახი, ცოლი და ბავშვები. მართალია, მოსეს კანონში წერია შენი მახლობლის ცოლი არ ინდომოო, მაგრამ მახლობლის ცოლი ეს მხოლოდ ებრაელის ცოლია.
თალმუდის ყველაზე ცნობილი ინტერპრეტატორი რაბინები რაში, ბახაი, ლევი, გერშონი ერთსულოვანი არიან, რომ მრუშობა არ არის იქ, სადაც არ არის ქორწინება, რადგან გოი არის მხოლოდ ცხოველი, მათ არც შეიძლება ღვთისგან დაწესებული ქორწინება ჰქონდეთ. ამის საფუძველზე რაბინი მაიმონიდი გვასწავლის: "დასაშვებია შეცოდება არაებრაელის ცოლთან". მართლაც, თალმუდში მრუშობას სჩადიან ცნობილი რაბინები: ელიაზარი, ნახმანი, აკიბა, მეირი, ტარფონი და სხვა...

თალმუდის მიხედვით ყველა ქრისტიანი კერპთაყვანისმცემელია, შესაბამისად მათზე უნდა გავრცელდეს ყველა ის სასტიკი ზომა, წესები, რაც კერპთაყვანისმცემლებზე.

ქრისტიანები მით უფრო არიან დამნაშავე კერპთაყვანისმცემლობაში, რომ ისინი ღმერთად ღებულობენ ცოდვილ "რენეგატ იუდეველს", რომლის თვით ხსოვნაც უნდა განადგურდეს. ამიტომ არის, რომ განრისხებული რაბი რაში რისხვით წამოიძახებს: "უნდა დაკლა საუკეთესო ქრისტიანთა შორის", მის აზრს მთლიანად იზიარებს რაბი მაიმონიდი "სინაგოგის ეს "არწივი", როდესაც ამბობს, რომ "ბრძანებაა მოვკლათ, მოვაკვლევინოთ და ჩავმარხოთ მოღალატეები ებრაელთა წრიდან და ისეთი ერეტიკოსები, როგორიც იყო იესო ნაზარეველი და მისი მიმდევრები".

ტავოტა ზარას ("უცხო მსახურება", "კერპთაყვანისმცემლობა") ტრაქტატში ნათქვამია, რომ თითოეულ იუდეველს აქვს უფლება დაუპირისპირდეს ქრისტიანს და მოკლას იგი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი იუდეველები მიაღწევენ პოლიტიკურ სიძლიერეს და თავის ხელში აიღებენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა ფუნქციას, მათ ამა თუ იმ საბაბით მაინც უნდა დახოცონ ყველა ქრისტიანი.

თავისი მიზნის მისაღწევად თალმუდი ნებას რთავს მორწმუნეებს დაარღვიონ ფიცი. რაბინი აკიბა რეკომენდაციას უწევს ებრაელებს, როდესაც ისინი ფიცს სდებენ არაებრაელთან, შეუძლიათ თავისთვის თქვან: "ამ ფიცს არა აქვს მნიშვნელობა" და მათი სინდისი სუფთა იქნება.

აი ასეთია ქრისტიანთა წარმოდგენა თალმუდზე. ამიტომ შემთხვევით როდი წერდა ფლავიანე ბრანე: "ქრისტიანის მოვალეობაა წინ აღუდგეს არა ებრაელთა ტომს, რომელმაც ცოცხალ ღმერთს მისცა პატრიარქები, მოციქულები და წამებულები, არამედ იმ ებრაელს, რომელმაც შექმნა თალმუდი. ეს არის ფარისეველთა აზრის უმაღლესი პროდუქტი".

“ღვთის წინააღმდეგ მებრძოლი ებრაელი, ცრუ, ქურდი და მკვლელი” ... აი ასეთია ეს წარმოდგენები თალმუდის მიმართ. რამდენად სწორია, რამდენად შეესატყვისება ისინი სინამდვილეს?

ამ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ, ცხადია, კარგად უნდა გვახსოვდეს თუ რა პირობებში იწერებოდა ეს წიგნი, მისი ტრაქტატები, როგორ იქმნებოდა მისი იდეოლოგია. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო სახელმწიფოდაკარგული, დევნილი ხალხის, უცხო ტომებში მოქცეული ხალხის იდეოლოგია, გამსჭვალული იმ აზრით, რომ საერთოდ არ გამქრალიყვნენ უცხო, მტრული გარემოს უკიდეგანო ოკეანეში. ამიტომ, ამ წიგნში მართლა არის ის შეხედულებები თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ებრაელებს ირგვლივ მყოფ ხალხთან, ვისთან ემეგობრათ, ვისთან ემტროთ, როგორ შეენარჩუნებინათ თავისი თავისთავადობა და სიამაყე. მათ კარგად ესმოდათ, უცხო ხალხში რომ გასძლო უფრო მეტი უნდა მოიმოქმედო ვიდრე სხვამ, ცოტათი მაინც უნდა აჯობო იმას, ვინც შენს გვერდით ცხოვრობს და თავს შინაურად თვლის. ეს ჯობნა შეიძლება ჭკუით მოახერხო ან შრომით. თუ ამანაც არ გიშველა, მაშინ ეშმაკობას უნდა მიმართო.

ეს ბედისაგან დაჩაგრული, დევნილი ხალხის ფსიქოლოგიაა. თუ ასეთი შედარება უხერხული არ იქნება – ეს არის გარეული ცხოველის ფენომენი, რომელიც ყოველთვის, ყოველ წუთს მზად უნდა იყოს განერიდოს საფრთხეს, დაიცვას თავისი თავი, მოიპოვოს საკვები; განსხვავებით შინაური ცხოველისაგან, რომელიც დამშვიდებულია, მოშვებულია და სხვის ხელს შეჰყურებს...

შექმნილ უმძიმეს პირობებში ჩვენ აღარც ის გვიკვირს, თუ რამ წარმოქმნა ესოდენი სიფრთხილე უცხოტომელთა მიმართ. არც ის ებრაული გამოთქმა: “ლო ემუნა ბა გოიმ, აფილუ ბაკებაროთ” (“არ ენდო წარმართს (უცხოტომელს, არამართლმორწმუნეს) თუნდაც საფლავში”). თუ არა უკიდურესი, უმძიმესი პირობები, სხვა რით უნდა ავხსნათ სხვათა მიმართ ასეთი დამოკიდებულება?...

ზემოთქმულს, ერთი რამეც უნდა დავუმატოთ, ჩვეულებრივ, რაც უფრო ძლიერია ზეწოლა, მით უფრო ძლიერია წინააღმდეგობა. ალბათ ამიტომაც არის, რომ იმ ებრაელებმა, რომელთაც ცხოვრებაში მეტი წინააღმდეგობა შეხვდათ, შესაბამისად უფრო დაძაბეს თავისი ენერგია, ნიჭი, შესაძლებლობები, მეტი ენერგია და შეუპოვრობა გამოიჩინეს. ამიტომაც მეტსაც მიაღწიეს ცხოვრების ყველა სფეროში, ვიდრე იმ ებრაელებმა, რომელთა სიცოცხლესაც არაფერი ემუქრებოდა და რომლებსაც არავინ ჩაგრავდა. ამის მაგალითად თუნდაც საქართველო გამოდგება...

და აი, ასეთი რუსულ-მართლმადიდებლურ ინფორმაციით დატვირთული მივედი სასტუმრო “მეტეხის” საკონფერენციო დარბაზში, სადაც მიმიწვია ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა, თუმცა, კარგად მახსოვდა ებრაელი სწავლულების აღშფოთება ამ ფაქტების სიყალბის გამო და მათი მკაცრი გაფრთხილებაც – არ ავყოლოდით აშკარად ბოროტი განზრახვით ხელახლა აგორებულ, ქართული საზოგადოებისთვის სრულიად უცხო, მტრულ ინფორმაციებს. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იუდეველთათვის წაყენებულ ასეთ ბრალდებებზე მსოფლიოში ათასჯერ არის დამაჯერებელი პასუხები გაცემული, რომლებიც ცალკეულ წიგნებსა თუ ენციკლოპედიებშიც აისახა, ნაჩვენებია ამ

ბრალდებების სრული უსაფუძვლობა, არასერიოზულობა და სიცრუე. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ინფორმაციები მაინც ინტენსიურად ვრცელდება და ინერგება ადამიანთა თავებში საერთო ვითარების აშკარა დესტაბილიზაციის მიზნით.

ჩემს ცნობისმოყვარეობას ისიც აძლიერებდა, თუ როგორი სახე მისცა თალმუდს მისმა ახლანდელმა კომენტატორმა. ადინ შტაინზალცის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ხომ იმასაც თვლიან, რომ თალმუდი მისი კომენტარებით გახდა სწორედ ის შეხების წერტილი, რამაც დააკავშირა ფუნდამენტური წყაროები თანამედროვეობასთან, რის გამოც იგი ისევ გახდა ღია წიგნი, რომელიც ასაზრდოებს ისრაელის შვილებს...

*
* *

თითქმის მთლიანად ჩაბნელებულ თბილისში განათებული მეტეხის სასტუმრო თეთრ გედს ჰგავდა. მის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა რუსეთის მთავარ რაბინს, ადინ შტაინზალცს. სწორედ აქ უნდა მომხდარიყო მისი წიგნის "საუბრები თალმუდზე" პრეზენტაცია. დარბაზში მართლაც რომ რჩეულ ებრაულ საზოგადოებას მოეყარა თავი. აქ იყვნენ მეცნიერები, მწერლები, სასულიერო პირები, ხელოვნების წარმომადგენლები. მათთან ერთად მოსულიყო ქართველი საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც ებრაელთა ისტორიით და იუდაიზმით არის დაინტერესებული.

აი, ისიც გამოჩნდა, თანმხლები პირებით, მეუღლით და მთარგმნელით. შესახედავად იგი თავის ასაკზე გაცილებით უფროსად გამოიყურებოდა. ალბათ ამის შთაბეჭდილებას მისი გრძელი, ჭაღარა წვერი უფრო ახდენა.

შეხვედრა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, ძალზე საინტერესოდ წარიმართა.

შესავალში რაბინმა საერთო პრობლემებზე ისაუბრა: ისრაელზე, იუდაიზმზე, მსოფლიო ებრაელობის მისიაზე, სხვა ქვეყნებში დარჩენილ თანამოძმეთა პრობლემებზე, იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს და როგორ უნდა იქნეს შენარჩუნებული მათი ებრაელობა, განსაკუთრებით ილაპარაკა რუსეთის ებრაელობის პრობლემებზე, და ბოლოს, რაც მთავარია, თალმუდზე, იუდეველთათვის თორასთან ერთად ამ უმნიშვნელოვანეს წიგნზე, მისი თარგმანის მნიშვნელობაზე.

რაბინი ივრითზე საუბრობდა. ვინც ეს ენა არ ვიცოდით, ყოველთვის ვერ ვახერხებდით მთარგმნელის სწრაფი საუბრის აღქმას, ამიტომ, მის შეხედულებებს იუდაიზმის და ისრაელის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სიზუსტის და მეტი სისრულისათვის მე შევავსებ სხვადასხვა დროს უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული რაბინის შეხედულებებით და ასევე ფრაგმენტებით ადინ შტაინზალცის იმ პატარა წიგნიდან, რომელსაც "ადამიანის მისია და ადგილი სამყაროში" ჰქვია და რომელიც ალა ისაკოვას კომენტარებით და ბოლოსიტყვაობით გამოვიდა, შემდეგ კი "ჯოინტის" შემწეობით ქართულად ითარგმნა, ასევე მისივე წიგნით "ნაბიჯი წინ", რომელიც გურამ ბათიაშვილმა შეადგინა და გამოსცა.

VIII. ისლამი, ქართული სახელმწიფოებრიობა და დეპორტირებულ “თურქ-მესხთა”

დაბრუნების პრობლემები

1944 წელს საქართველოდან სამშობლოს ღალატის ბრალდებით დეპორტირებული ე.წ. “თურქი-მესხების” უკან დაბრუნება, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემა და დიდი გამოცდაა ქვეყნისათვის, რომელმაც არმცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, რომლის სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ ძალზე სუსტია, საზღვრები მორღვეული და დაუცველი, ხოლო ირგვლივ გარემოცულია ნაკლებად საიმედო მეზობლებით.

ამ რთული ამოცანის შესახებ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, ბევრი პროექტიც შექმნილა, მაგრამ ეს საკითხები დღესაც დიდ კამათს იწვევს როგორც პოლიტიკოსებსა და მეცნიერებში, ისე ფართო მოსახლეობაშიც. ამ პრობლემას მრავალი მხარე და ასპექტი გააჩნია, მაგრამ ჩვენ გვინდა მას მხოლოდ ერთი – რელიგიური კუთხით შევხედოთ, რადგან საქართველოდან გასახლებული “თურქი-მესხები” მუსლიმები არიან.

ჩვენი პრობლემა ძირითადად იმაში მდგომარეობს, თუ როგორ იმოქმედებს ქრისტიანობაზე და დასავლეთის ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყანაზე 300 ათასი მუსლიმის დაბრუნება. ხომ არ შეუქმნის იგი საქართველოს მძიმე, გამოუსწორებელ შედეგებს, ხომ არ დაიწყება მასში ცენტრიდანული ძალების გააქტიურება, სხვაგვარად, მათი კომპაქტური ჩასახლება ხომ არ გამოიწვევს ჩვენში კიდევ ერთი ცხელი წერტილის გაჩენას.

ბოლო ხანს ეს საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა იმ საერთაშორისო ტერორისტულმა აქტმა, რომელიც აშშ-ში – ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მოხდა, რადგან მისი ორგანიზატორები მუსლიმები იყვნენ, მათ თავშესაფარი მისცა ავღანეთმა, მუსლიმანურმა ქვეყანამ, მისმა ხელმძღვანელობამ კი ისლამური საღვთო ომი – ჯიჰადი გამოუცხადა დასავლეთის ცივილიზაციის დამცველებს. უკანასკნელ წლებში კი სულ უფრო ხშირად გაისმის საუბარი ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციების მოსალოდნელი შეჯახების შესახებ.

*

* *

საქართველო თითქმის მთლიანად ისლამური ქვეყნების გარემოცვაშია მოქცეული. ერთი მხრივ – ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები

– დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღე, ჩერქეზეთი ირგვლივ მჭიდრო ზოლად ეკვრის ჩვენს პატარა ქვეყანას, მაგრამ მუსლიმები მარტო ჩვენს საზღვრებს როდი არტყიან გარს. ისინი თვით საქართველოშიც მრავლად სახლობენ. მათ შორის არიან: აზერბაიჯანელები, ქისტები, ლეკები და აფხაზები (ნაწილობრივ). მუსლიმანურ სარწმუნოებას მისდევენ ქართველებიც – ნაწილობრივ აჭარლები და ინგილოები. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყეს, რომ ალაჰის თაყვანისმცემელია ქართველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა ირანსა და თურქეთში (თუკი საერთოდ შეიძლება ეწოდოს დიასპორა იმ ხალხს, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობს). ისლამს აღიარებენ და ერთგულობენ "თურქი-მესხებიც", რომლებიც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ.

ქართველ მუსლიმთა ასეთი დიდი ოდენობით ჩაფიქრებული ზოგი მკვლევარი ასე სვამს ხოლმე კითხვას – ქართველთა შორის რაოდენობრივად ვინ უფრო მეტია – მუსლიმი თუ ქრისტიანი?

თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ისლამი საქართველოს (ან საქართველოების) ურთიერთობებში მის მეზობლებთან. საუკუნეთა მანძილზე, ალაჰის დროშით და ისლამური იდეოლოგიით შეიარაღებული დამპყრობთა უზარმაზარი ურდოები აწყდებოდნენ ჩვენს საზღვრებს, რომლებიც ჩვენს დაჩოქებას და დამონებას ლამობდნენ. ჩვენი ქვეყნის საბოლოო დამორჩილებისათვის მათ, უწინარეს ყოვლისა, ორი წინაპირობა უნდა გადაეწყვიტათ: წაერთმიათ ქართველთათვის ენა და სარწმუნოება. თუკი ამას მოახერხებდნენ, პრობლემაც საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნებოდა. მართალია, დამპყრობლებმა ენის წართმევა ყველგან ვერ მოახერხეს, მაგრამ სამაგიეროდ, ძლიერი და მრავალრიცხოვანი მუსლიმური ქვეყნებისაგან (განსაკუთრებით თურქეთისა და ირანისაგან) დამარცხებული საქართველოს მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა, დამპყრობთა რელიგია მიეღო და მისი წესითაც ეცხოვრა ასწლეულების მანძილზე. ასე იყო მესხებთან მიმართებაშიც. ამიტომაც ისლამმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე.

ჩვენ ახლა და ცხადია მომავალშიც, არაერთგზის მოგვიწევს შეხვედრა ისლამთან, მის სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან, მჭიდრო ურთიერთობა არა მარტო უცხო ისლამური სახელმწიფოების ხალხებთან, არამედ საკუთარ მოსახლეობასთან, როგორც სხვა ეროვნების, ასევე ქართველებთან, რომლებიც ბედის უკუღმართობამ ისლამის მხარეზე ან ძალით გადაიყვანა, ან სხვა საშუალებით გადაიბირა. ყოველ შემთხვევაში, ალაჰის თაყვანისმცემლად აქცია.

საქართველოში არაბების შემოსვლის დროიდან ყოველთვის იყო და ახლაც მრავლად არის მეჩეთები, მუსლიმური სალოცავები, მინარეთები, საიდანაც მართლმორწმუნე მუსლიმები წყალობას შესთხოვენ დიდ ალაჰს.

მით უმეტეს, დღეს ერთხელ კიდევ საფუძვლიანად უნდა დავსვათ კითხვა და ნათლად გავცეთ პასუხი იმაზე, თუ რა არის დღეს ისლამი საქართველოსათვის, რა როლს ასრულებს მის ცხოვრებაში? როგორც ცნობილია, ისლამისადმი დამოკიდებულება ჩვენში ყოველთვის ორგვარი იყო: ერთი მხრივ, იგი

მრავალსაუკუნოვანი სულიერი იარაღია, რომლის მეოხებითაც მომხდური მტერი ჩვენს საბოლოო დაპყრობასა და დამორჩილებას ლამობდა, რითაც ჩვენს გადაგვარებას და გადაჯიშებას ცდილობდა... მაგრამ, მეორე მხრივ, ისლამი არის მძლავრი მსოფლიო რელიგია, საკაცობრიო ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავის სარწმუნოებად თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი აღიარებს.

ვინაიდან ჩვენ დიდმნიშვნელოვან და რთულ ფენომენთან გვიხდება შეხვედრა, ნათლად უნდა გავარკვიოთ, თუ რა გვინდა, რას ველით ისლამისაგან, რადგან ერთია ისლამური მოძღვრება არაბისათვის, თურქისათვის, ირანელისათვის, პაკისტანელისა თუ ავღანელისათვის, და სხვაა იგი ქრისტიანობანაზიარებ ქართველისათვის.

ჩვენს ისტორიაში, ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებში, ქალაქურ მუსიკასა თუ ცეკვაში, ენაში, ყოველდღიურ ყოფაში, აშკარად შეიმჩნევა ისლამური ხალხის გავლენა, მათი კულტურის ანარეკლი და მართლაც, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, წარმოუდგენელია ამდენი ხნის მანძილზე მთელი ჩვენი ტერიტორია, ან მისი ცალკეული ნაწილები მტრის გარემოცვაში ყოფილიყო მოქცეული და მასზე რაიმე სერიოზული კვალი არ დაეტოვებინა.

ყველაფერი ეს ცალკე კვლევისა და ძიების საქმეა, მაგრამ ამჟამად, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, ყველაზე მეტად ის გვაშფოთებს, რომ ქართველთა ამ უზარმაზარ (ჩვენი მასშტაბებით) გამუსლიმანებულ დიასპორებს თურქეთსა და ირანში რატომ არაფერი შეუქმნიათ ისეთი, რაც ოდნავ მაინც რამეს შემატებდა და გაამდიდრებდა ქართულ კულტურას. იგივეს თქმა შეიძლება “თურქ-მესხებზე”, რომელთაც ნაკლებად შერჩათ ეროვნული თვითშეგრძნება, ხოლო ქართული კულტურის წინ წაწევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს ფაქტიც ნათლად მიუთითებს ისლამის გავლენის სიძლიერეზე, რომელიც იმდენად თრგუნავს და იმდენად თავის ყალიბში აგდებს ადამიანს, რომ სულ უკარგავს თავის ეროვნულ თავისებურებებსა და თვითშეგნებას.

რა პრობლემები გვაქვს ჩვენ ამჟამად საქართველოში ისლამთან მიმართებაში და რამდენად უკავშირდება იგი ეროვნულ ურთიერთობებს? რას უნდა ველოდოთ “თურქი-მესხების” დაბრუნებასთან დაკავშირებით, როგორი იქნება ყოველივე ამის რელიგიური ფონი? სანამ ამ საკითხის შესახებ ჩვენ ვარაუდს ვიტყოდეთ, მანამ გავიხსენოთ, თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში საბჭოურ პერიოდში.

ალბათ, ძველ თაობას ემახსოვრება, რომ ამ დროს, მატერიალიზმისა და ათეიზმის ბატონობის პერიოდში, საქართველოში სულ რაღაც ორიოდე მეჩეთი თუ ფუნქციონირებდა. მათ შორის – ერთი თბილისში იყო, მეორე ბათუმში. ზოგს, ალბათ, ეს უქმნიდა იმის ილუზიას, რომ საზოგადოება გამთლიანებული იყო ერთი იდეოლოგიით – მარქსიზმით, რომელსაც, საბოლოო ჯამში, უნდა ჩამოეყალიბებინა ერთიანი საბჭოთა ხალხი კომუნისტური რწმენით და სულისკვეთებით, რომელშიც რელიგიურ შეხედულებებს უმნიშვნელო, პრაქტიკულად მხოლოდ გადმონაშთის როლი ეკისრებოდა, ხოლო მარქსიზმი, ფაქტობრივად, ფსევდო-რელიგიის ფუნქციას ასრულებდა.

მაგრამ, სინამდვილეში, ეს სულაც არ იყო ასე; ის, ვინც ასეთ დასკვნებამდე მიდიოდა, ალბათ, არ ითვალისწინებდა ისლამის სპეციფიკას, რადგან იმისათვის, რომ მუსლიმური იდეოლოგია გავრცელებულიყო, სულაც არ იყო აუცილებელი მეჩეთის არსებობა და მოქმედება. მათ საკმაოდ წარმატებით ცვლიდნენ ე.წ. “მოხეტიალე მოლები”, რომლებიც იმ დროისათვის უხვად იყვნენ ჩვენში და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც შემოდიოდნენ. გარდა ამისა, ამ პროცესს ხელს უწყობდა თვით საუკუნეების მანძილზე ხალხში დამკვიდრებული და განმტკიცებული ისლამური ყოფა, თავისი ტრადიციებით, დღესასწაულებით, ადათ-წესებით. ფაქტობრივად, ჩუმად და უხმაუროდ ყველგან სრულდებოდა ისლამური რიტუალი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა რელიგიური წესით, ზოგან კი შარიათის (მუსლიმური სამართალი) ნორმებით ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, იმდროინდელი კომუნისტური სოციოლოგიური გამოკვლევები, თუკი ისინი სადმე ტარდებოდა, ობიექტურ და ნათელ სურათს ვერ იძლეოდა რელიგიურობის რეალური ვითარების ასასახავად. ამით არც იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ობიექტური სურათის ჩვენება, მით უმეტეს მოსახლეობაში რელიგიურობის მაჩვენებლების ზრდა ამა თუ იმ სოფელში, რაიონში თუ ქალაქში, იდეოლოგიური მუშაობის ჩავარდნის ტოლფასად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ყველა პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელი მუშაკი ცდილობდა, ეს ციფრები რაც შეიძლება დაბალი ყოფილიყო, ამიტომაც ხდებოდა რეალური ფაქტების მიჩქმალვა. მათი მტკიცებით, ყველგან ათეიზმი ზეიმობდა და რელიგიური გადმონაშთები კი თანდათან, ცხოვრებისა და პროგრესის წინსვლასთან ერთად, განუხრელად მცირდებოდა...

როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და რელიგიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ყველა რელიგიურ კონფესიას მიეცა საშუალება, ღიად ექადაგა საკუთარი შეხედულებები, თავისუფლად გაევრცელებინა თავიანთი მოძღვრება, ამის შემდეგ ისლამის მდგომარეობა სქართველოში რადიკალურად შეიცვალა.

თუკი ჩვენ გვინდა ისლამის მდგომარეობის ახლანდელ ვითარებაში, მის ცვლილებებში გავერკვეთ, ამისათვის აუცილებელია საქართველოში ისლამის გავრცელების 5 ზონაზე ვილაპარაკოთ, რადგან თითოეულ მათგანს თავისი თავისებურება გააჩნია.

ჩვენი ჩამოთვლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ, სადაც მოსახლეობის ერთი ნაწილი მუსლიმია. ჩვეულებრივ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამბების გარკვევისას რელიგიურ ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში აფხაზებს ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმური ხალხები ეხმარებოდნენ, ის ფაქტი, რომ სოხუმი მთიელთა კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადეს, ძალზე მრავლისმეტყველია. ისევე ანგარიშგასაწევია ის გეგმებიც, რასაც რელიგიური ორგანიზაციები თუ სექტები გეგმავენ აფხაზეთის მიმართ.

მეორე რეგიონია ქვემო ქართლი, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობს. ლაპარაკია გარდაბანზე, რუსთავზე, ბოლნისზე, მარნეულზე, წალკაზე, ნინოწმინდაზე. აქ, ისევე როგორც სხვა ტრადიციულად

მუსლიმებით დასახლებულ რაიონებში, აღდგა ყველა აქ არსებული მეჩეთი თუ სხვა ტიპის სალოცავი, ხოლო, თუ არ იყო – ახლა აშენდა.

ამჟამად, აზერბაიჯანთან ჩვენი ტრადიციული კარგი ურთიერთობების გამო, აქ ჯერჯერობით რაიმე პრობლემის არსებობა არ შეინიშნება, მაგრამ გვახსოვს ცოტა სხვა პერიოდიც, კერძოდ, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლო, როდესაც იგივე მოსახლეობა სხვადასხვა, და მათ შორის, ავტონომიის მოთხოვნითაც გამოდიოდა.

მესამე რეგიონი არის კახეთის მუსლიმური სოფლები, სადაც აზერბაიჯანული და დაღესტნური (ავარული) მოსახლეობა ცხოვრობს. აზერბაიჯანულ სოფლებში მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ქვემო ქართლში. რაც შეეხება დაღესტნელებს, რომელთაც ჩვენში ლეკებს უწოდებენ, მათთან ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს იყო პრობლემები, რომლებიც ბოლომდე დღესაც არ არის გადაწყვეტილი.

მეოთხე – განსაკუთრებული რეგიონია პანკისის ხეობა ახმეტის რაიონში, თავისი ქისტური მოსახლეობით. როგორც ცნობილია, აქ ქისტებს გარდა ცხოვრობენ ქართველები და ოსები. ბოლო პერიოდამდე აქ რაიმე გაუგებრობა არ შეიმჩნეოდა, ხალხი ცხოვრობდა მეგობრულად, სერიოზული პრობლემა თითქოს არ იყო, თუმცა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც კი შეიმჩნეოდა მუსლიმი ღვთის მსახურების ხშირი მიმოსვლა ჩეჩნეთსა და პანკისის ხეობას შორის, რაც, მაინცდამაინც, გასკვირი არ უნდა ყოფილიყო. ალბათ, იყო ზოგიერთი სხვა წვრილმანი პრობლემაც, რომელიც თვალნათლივ არ ჩანდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ხანს წარმოჩენილი ამბები მთლად ახალი არ არის და ადრეც არსებობდა. როგორც დამკვირებლები აღნიშნავდნენ: “აქ თავს იყრიდა რელიგიური, ეროვნული, ოჯახური, სოფლური და თემობრივი, ფსიქოლოგიური, ზოგჯერ ეკონომიკური, ასაკობრივი და ა.შ. ფაქტორები”... დღემდეა შემორჩენილი ე.წ. შარიათული და ადათობრივი სამართალი, რომელიც მტკიცედაა დაკავშირებული რელიგიასთან, რაც გავლენას ახდენს ეროვნებათშორის ურთიერთობებზე, რადგან ისლამი, მისი იდეოლოგია და ყოფითი ნორმები, ისლამიზებული ადათები, თემობრივი სამართალი თU სხვა გარემოებები, გარკვეულ ბარიერს ქმნიან ამ მიმართულებით.

აქაური სიტუაცია, ერთი შეხედვით, თითქოს ბევრი არაფრით განსხვავდება საქართველოში სხვა მუსლიმურ რაიონებში არსებული ვითარებისაგან. ყველგან, ყველა სოფელში, აღდგა სალოცავები, სადაც არ იყო, აშენდა, მაგრამ პანკისის ხეობაში მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის სიმძაფრე, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ამბებს მოჰყვა. კერძოდ, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში განვითარებულ პროცესებს, რუსულ-ჩეჩნურ ომს, ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლას საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვას.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე – რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის, ვაჰაბიზმის გამოჩენა ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კი საქართველოში.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ვაჰაბიზმი ნაკლებად ჩანდა, ისევე როგორც ბევრი სხვა რელიგიური მოძრაობა, მაგრამ იმპერიის დაშლის შემდეგ, საკმაოდ ნათლად

იჩინა თავი. მის გამოჩენას ჩვენში ზოგიერთი მკვლევარი იეღოველების გამოჩენას ადარებს, მაგრამ ეს შედარება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან ვაჰაბისტებისგან განსხვავებით, იეღოველებს გამოკვეთილი რაიმე პოლიტიკური მიზნები არ გააჩნიათ; ვაჰაბისტები კი ცდილობენ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს ყველა მუსლიმანს, რომლებიც იცხოვრებენ ისლამის კანონებით, რომელიც ღმერთმა გადმოგვცა წინასწარმეტყველ მუჰამედის მეოხებით.

და აი, ასეთმა რელიგიურმა მოძრაობამ თუ სექტამ შემოაბიჯა საქართველოში. ვაჰაბისტების ინტერესების სფეროში საქართველოც არის მოქცეული, როგორც მთავარი დამრტყმელი ძალა რუსეთის წინააღმდეგ, აუცილებელი დერეფანი შავ ზღვაზე გასასვლელად. ზოგის აზრით, ამ ამბებს შეიძლება საქართველოში ომი მოჰყვეს ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, რადგან კავკასიაში უკვე დაიწყო დიდი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. როგორც სხვა ექსპერტები გვაფრთხილებენ, საქართველო თანამედროვე გეოპოლიტიკით პირდაპირ არის ჩართული საერთაშორისო სისტემის ყველაზე ცხელ წერტილში. ამიტომაც, სავარაუდოდ, წარმოქმნილ საშიშროებას სჭირდება გააზრებული და დელიკატური საგარეო პოლიტიკა.

ისლამის გავლენის მეხუთე, განსაკუთრებული რეგიონი საქართველოში აჭარაა, სადაც, უმეტესად, მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ. ბედის უკუღმართობამ, ისტორიულმა ქარტეხილებმა მოსახლეობა ამ რელიგიის მიმდევრად აქცია. ისლამი მყარად ჩაჯდა აქაური ხალხის ცხოვრებაში, ტრადიციებში, ადათ-წესებში. მართალია, აჭარაში მტერმა ქართველი კაცის გადაგვარება, მისი ცნობიერების მთლიანი შეცვლა ვერ მოახერხა, ვერ დაავიწყა მას მშობლიური ენა, მაგრამ ისლამის დოგმებისა და რიტუალების ერთგული მაინც გახადა. დიდხანს იყო აჭარა ჩამოცილებული დედასამშობლოსაგან, მთელი სამი საუკუნე ელოდა მასთან დაბრუნებას და როდესაც ეს დაბრუნება მოხდა, მას უკვე მძიმე ისლამური ტვირთი ჰქონდა აკიდებული. ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, ასოც წელზე მეტი. ეს დიდი დრო მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხალხს დაევიწყებინა მისთვის ძალით თავსმოხვეული რელიგიური რწმენა, მისი ტრადიციები და ადათ-წესები. რატომღაც, საოცრად უერთგულა ჩვენმა ხალხმა ამ უცხო, სხვა ნიადაგზე და საფუძველზე აღმოცენებულ, დამპყრობლის მიერ ძალით დანერგილ რელიგიას. ამ გავლენის დაძლევისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა თვით 70-წლიანი კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმიც კი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა იმპერიის საზღვრები ისე იყო ჩაკეტილი, რომ ჩიტსაც კი უჭირდა გადმოფრენა, თურქეთი მაინც ცდილობდა გარკვეული გავლენა მოეხდინა აჭარის მოსახლეობაზე. ახლა კი, როდესაც საზღვრები გაიხსნა და თურქეთთან გაცხოველებული ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ტიპის ურთიერთობები გვაქვს, მას ამ მხრივ ფართო შესაძლებლობები მიეცა. საქართველოში შემოსულ უამრავ სამრეწველო ნაწარმს და სასურსათო პროდუქტს ე.წ. “სულიერი” ტვირთიც შემოჰყვა. მხედველობაში გვაქვს ის უამრავი რელიგიურ-ისლამური თუ პოლიტიკური ლიტერატურა, რომელიც საქართველოში სწორედ თურქეთიდან მოედინება. სხვა ცნობით, საქართველოში თურქეთიდან შემოდის ისეთი წიგნები და ბროშურები, რომლებშიც დამახინჯებულად არის გადმოცემული ჩვენი ისტორია, თანამედროვეობა, დემოგრაფიული მონაცემები, ხოლო აჭარლები სულაც ცალკე ეთნოსად არიან გამოცხადებული.

როგორც ცნობილია, თურქი პოლიტიკოსები, თავიანთი დიპლომატიის უდიდეს შეცდომად და მარცხად თვლიან იმას, რომ რუსეთმა შეძლო ამიერკავკასიაში შემოღწევა და მათი ქვეყნის სამოქმედო ასპარეზის მნიშვნელოვნად შეზღუდვა. და ახლა, როცა ამ დიდი შეცდომის გამოსწორების საშუალება მიეცათ, ისინი მეორედ იგივე შეცდომას აღარ გაიმეორებენ, თავიანთ შანსს ხელიდან აღარ გაუშვებენ. ამ საქმეში კი რელიგიას უაღრესად სერიოზულ როლს აკისრებენ.

ბოლო ხანს აჭარის ხელისუფალნი რელიგიის მიმართ ისეთ პოლიტიკას დაადგნენ, რომელიც შეესატყვისება როგორც საერთაშორისო უფლებრივ სამართლებრივ ნორმებს რელიგიურ კონფესიათა შესახებ, ისე საქართველოს კონსტიტუციასაც, რეალურად სრულდება ცხოვრებაში სინდისის თავისუფლება. ყველა იქ არსებულ რელიგიურ მიმდინარეობას მიეცა საშუალება, დაიკმაყოფილოს მისთვის სასურველი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, იქადაგოს თავისი მოძღვრება, შეასრულოს მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი და რიტუალები.

ასეთი პოლიტიკის შედეგად, უკანასკნელ წლებში, აჭარაში საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა კონფესიის, მათ შორის მართლმადიდებელ ეკლესიათა რაოდენობა, მაგრამ ბევრად უფრო გამრავლდა მუსლიმთა სამლოცველოები. ისევე, როგორც ისლამის გავრცელების საქართველოს სხვა რეგიონებში, აქაც მრავალ ადგილს აღდგა და ამოქმედდა მეჩეთები, ხოლო იქ, სადაც ისინი არ იყო, ახალი ააშენეს. აჭარაში ამჟამად სპეციალისტები დაახლოებით 130 მეჩეთის არსებობას ვარაუდობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სამლოცველოები გაიხსნა არა მარტო აჭარაში, არამედ ოზურგეთის რაიონშიც, იმ სოფლებში, სადაც აჭარლები არიან ჩამოსახლებულები.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რა შეიძლება ყოველივე ამას მოჰყვეს აჭარისათვის, მთელი საქართველოსათვის, მისი სახელმწიფოებრიობისათვის? ამას ჩვენ, ალბათ, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გავიგებთ, როცა ამ მეჩეთების მუშაობის შედეგები თავს შეგვახსენებენ.

არაერთხელ გვითქვამს, ჩვენ რომ ნორმალური, ძლიერი, შეკრული და დაცული სახელმწიფო გვქონდეს, ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობა რომ არ იყოს დარღვეული, რასაკვირველია, ასეთი რამეები სულაც არ უნდა გვაწუხებდეს. უკლებლივ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ნებისმიერი, მისთვის მისაღები რწმენა და კონფესია აირჩიოს, მაგრამ ახლანდელ უმძიმეს პირობებში, როდესაც საქართველოს ყველა მუშტრის თვალით უყურებს და მის ხელში ჩაგდებას თუ არა, უკეთეს შემთხვევაში, გავლენის სფეროს მოპოვებას ლამობს, ქართველთა შორის ამდენი მეჩეთისა თუ სალოცავის აღდგენა-აშენება რა შედეგს მოგვიტანს?

ხომ არ გახდება იგი სულიერი იარაღი სხვა სახელმწიფოს ხელში და სერიოზულად ხომ არ დაემუქრება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. აი, ეს არის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი. ასეთია ვითარება მთელ საქართველოში, მის ცალკეულ რეგიონებში ისლამთან მიმართებაში. რა გველის აქედან?

თუ დავაკვირდებით, ისლამის მიმდევრები ძირითადად საქართველოს საზღვრებზე არიან განლაგებული. ასეთ პირობებში, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ,

იმის ცდა, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარზე კომპაქტურად შეიქმნას კიდევ ერთი ისლამური დასახლება, რომლის მოსახლეობის ერთ ნაწილს აქვს შეუფარავი მისწრაფება - შექმნას ახალი ავტონომია ან რაიმე პოლიტიკური წარმონაქმნი, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

მეორე მხრივ, ჩვენ, რასაკვირველია, პატივს უნდა მივაგებდეთ საერთაშორისო სამართალს. პატივს უნდა ვცემდეთ დეპორტირებული ადამიანების უფლებას, დაუბრუნდნენ იმ ადგილებს, საიდანაც ისინი გაასახლეს, მაგრამ ეჭვს იწვევს ის ვადები, რომელიც ამ საქმისათვის არის გამოყოფილი.

ის სიძნელეები, რომელიც ამ საქმეს წინ ეღობება, კარგად არის ცნობილი, მაგრამ მე მაინც ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენება:

1. თბილისი და საქართველოს ბევრი სხვა ადგილი სავსეა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოდევნილი მოსახლეობით. მათი პრობლემების მოუგვარებლობა უდიდეს სიძნელეებს უქმნის ქვეყანას;

2. უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი ჯერჯერობით არ გვაძლევს საშუალებას, სერიოზულად ვიფიქროთ დეპორტირებული მოსახლეობის ერთბაშად დაბრუნებაზე, მათ რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე;

3. დეპორტირებულთა უკან დაბრუნებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მათი ეროვნული ცნობიერება. საქართველოში უნდა დაბრუნდეს ის ხალხი, ვინც თავის თავს ქართველად თვლის და აქვს ქართული ორიენტაცია, ხოლო მათ, ვინც თავის თავს თურქად თვლის და სხვაგვარი მიზნები აქვს, ალბათ, თურქეთს უნდა მიაკითხონ;

4. არ შეიძლება შეილახოს იმ მოსახლეობის ინტერესებიც, რომელნიც იმ ტერიტორიაზე სახლობენ, სადაც ადრე დეპორტირებულნი ცხოვრობდნენ.

ზემოჩამოთვლილი და სხვა სიძნელეებიდან გამომდინარე, გამოსავალი, ალბათ, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ დეპორტირებულთა უკან დაბრუნება, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია დროში უფრო უნდა გაიწელოს და მოხდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სათანადო პირობების შექმნისა და მომზადების შემდეგ. მხოლოდ ასეთ შემთხევაში შეიძლება ამ მოსახლეობის დაბრუნება მშვიდობიანად, რაიმე სერიოზული კონფლიქტების გარეშე.

მოხსენება, გაკეთებული II სამეცნიერო-საზოგადოებრივ კონფერენციაზე: “1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის, რეაბილიტაციის და ინეგრაციის პრობლემები”

IX. ბაჰაის რწმენა

ჭეშმარიტების გულწრფელი ძიება ადამიანისაგან
გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე ბრმა რწმენა."

ბაჰაის ძირითადი პრინციპებიდან

იმ რელიგიურ ლონფესიებს, დენომინაციებს, სექტებს თუ რელიგიურ ჟგუფებს შორის, რომლებიც მეოცე საუკუნის ბოლო წლებში შემოვიდნენ საქართველოში საკუთარი მოძღვრების საქადაგებლად და გასავრცელებლად, ბაჰაის რწმენა აშკარად გამოირჩევა თავისი თავისებურებებით და მრავალმხრივობით. მისმა მიმდევრებმა, რომლებიც არცთუ დიდიხნის წინ ჩვენს დედაქალაქშიც გამოჩნდნენ, მეტად აქტიური საქმიანობა გააჩაღეს და გარკვეული მრევლიც შეიძინეს. ამდენად, ბაჰაის რწმენის შესახებ ჩვენს ხალხს მეტ-ნაკლებად ზედაპირული წარმოდგენა აქვს, მაგრამ მისი საქმიანობის, მოძღვრებისა და კულტის შესახებ ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული. ბაჰაის რწმენა, როგორც თვით მისი ადეპტები განმარტავენ: "ეს არის ღვთაებრივი, ყოვლისმომცველი თავისი მაშტაბით, დამოუკიდებელი მსოფლიო რელიგია. ეს არის რელიგია ფართო შეხედულებებით, მეცნიერული მეთოდებით, ჰუმანიტარული პრინციპებით, რომელიც დინამიურად მოქმედებს ადამიანების გულსა და გონებაზე. იგი გამოდის ღმერთის ერთობიდან, ცნობს წინასწარმეტყველთა და კაცობრიობის რასის ერთობას."

ბაჰაის რელიგიის მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ მათმა რწმენამ მსოფლიოში საკმაოდ მოიკიდა ფეხი. სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც გამოქვეყნებულია "ბრიტანიკის" ენციკლოპედიის ყოველწელიწადეულში, ბაჰაის მოძღვრება გავრცელებულია 232 ქვეყანაში. ეს მეორე მონაცემია ქრისტიანობის (254) შემდეგ. უფრო ნაკლები რაოდენობის ქვეყნებშია გავრცელებული ისლამი (172), იუდაიზმი(125), ინდუიზმი (88), და ბუდიზმი (88). ამავე მონაცემებით ბაჰაის რწმენას აღიარებს 2100 ეროვნების ადამიანი. თუმცა მომდევართა რაოდენობა დიდ რელიგიებთან შედარებით მრავალრიცხოვანი არ არის – სულ 6 მილიონი ადამიანი.

გვაქვს სტატისტიკური მონაცემები დსთ-ს მაშტაბითაც. 2002 წლისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 300 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს დაახლოებით 9 ათასი მორწმუნე. აქედან თვით რუსეთის, 120 ქალაქში 3000-მდე მორწმუნეა. რაც შეეხება საქართველოს, აქ მორწმუნეთა რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ სამაგიეროდ მეტად აქტიური.

ბაჰაის რწმენის მიმდევართა მტკიცებით, მათი რელიგიის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ წინ წასწიონ ცივილიზაცია, რომელიც ადამიანთა ერთობას, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას, რასობრივ ჰარმონიას, ეკონომიკურ სამართლიანობას, საყოველთაო განათლებას, მეცნიერებისა და რელიგიას შორის თანხმობას დაეყრდნობა.

ბაჰაის რწმენით, ღმერთი ერთია, მსოფლიოს რელიგიები კი არის გამოსახულება მისი ურყევი რწმენისა, როგორც წარსულში, ისე მომავალშიც. ხოლო კაცობრიობა კი არის ერთიანი რასა, რომელმაც მშვიდობასა და თანხმობაში უნდა იცხოვროს. სხვა გამოსავალი ადამიანებს უბრალოდ არ აქვთ.

თავის მოსაზრებებს რელიგიის დამაარსებელი უგზავნიდა სხვადასხვა ქვეყნის მონარქებს, მთავრობათა მეთაურებს, რელიგიურ ლიდერებს, ყველას აგებინებდა თავის მისიის შესახებ და მშვიდობისაკენ მოუწოდებდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა, მსოფლიოსათვის გაეცნო ღვთის ეპისტოლე, რითაც ყველას სნეულებისაგან განკურნავდა ღვთის ძალით და ხმით. იგი ასწავლიდა ხალხს, თუ როგორ ყოფილიყვნენ სრულყოფილნი და ბედნიერნი.

1. ბაბი და ბაჰაულა

ყველაფერი ეს მხოლოდ 1844 წლის 23 მაისს დაიწყო, როდესაც ირანელმა ვაჭარმა სეიდ ალი-მუჰამედმა (1819-1850 წწ), რომელსაც უფრო გვიან ბაბი (არაბულად – კარიბჭე) ეწოდა, გამოაცხადა, რომ მალე მოხდება აღთქმულის ასრულება, ქვეყანას წინასწარმეტყველი მოევლინება, და რომ მისი (ბაბის) ვალია, მოამზადოს კაცობრიობა მისი მოსვლისათვის.

ისევე როგორც ქრისტიანობაში იოანემ იწინასწარმეტყველა იესო ქრისტეს მოვლინება ამქვეყნად, ასევე ბაბიმ იწინასწარმეტყველა ბაჰაულის გამოგზავნა ღვთისაგან, რომელსაც ისეთივე თვისებები მიეწერებოდა, როგორც სხვადასხვა რელიგიის ადრინდელ წინასწარმეტყველებს კრიშნას, მოსეს, ბუდას, ქრისტესა და მუჰამედს.

"ღმერთის რელიგიის, - წერენ ბაჰაის რწმენის მიმდევარნი, - ამ სულიერი საფუძვლების გაუქმება, რომლებიც კაცობრიობის ღირსებებს წარმოადგენენ, შეუძლებელია; ისინი მუდმივნი და შეუცვლელნი არიან და მხოლოდ განახლდებიან ყოველი წინასწარმეტყველის მომდევნო ციკლში...

ჯერ ბაბის, შემდეგ კი ბაჰაულას გამოჩენა დაემთხვა იმ პერიოდს მსოფლიოში, როდესაც მრავალი მორსმუნე სხვადასხვა ქვეყნებში ელოდა ზეციურ მოვლენებს. ქრისტიანები იესო ქრისტეს მეორედ მოვლინებას, მუსლიმები – მუჰამედის მიერ აღთქმული დაპირების შესრულებას,. ირანშიც სჯეროდათ ამ წინასწარმეტყველებებისა და გულმოდგინედ ეძებდნენ ასეთ ადამიანს მთელ ქვეყანაში. მალე ასეთი პიროვნებაც გამოჩნდა. იგი პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ ღვთის მიერ იყო გამოგზავნილი, რათა ადამიანები მოემზადებინა წინასწარმეტყველთა შესახვედრად. ამ კაცს, როგორც ზემოთ ვთქვით, ბაბი ერქვა. მან აქტიურად დაიწყო ქადაგება, მისი რწმენა და ქმედება ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ ბევრმა ადამიანმა ირწმუნა და გაიაზრა მისი შეხედულებანი. მალე ირანში დიდი მოძრაობა დაიწყო. ბაბის მომხრეებს, დამაარსებლის სახელის მიხედვით, ბაბები ეწოდათ. ეს მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ ირანის ხელისუფლება შეშფოთდა. მათ დაგმეს ბაბის მოძღვრება, ხოლო მის მიმდევრებს ფიზიკურად გაუსცორდნენ. თავისი რსმენის გამო ათასობით ადამიანი სიკვდილით იქნა დასჯილი. თვით ბაბი 1850 წლის 9 ივლისს შეიპყრეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

ბაბის მიმდევრებიდან ახალი რსმენის გავრცელებაში გამორჩეული როლი შეასრულა ირანელმა კეთილშობილმა მირზა ჰუსეინ ალიმ (1817-1892), რომელსაც ბაბიმ ბაჰაულა (არაბულად "ღვთის დიდება") უწოდა. ბაჰაულა მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ამას მისთვის არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბაბის ქადაგების მოსმენის შემდეგ იგი მის მხურვალე თაყვანისმცემლად იქცა. მართალია, მას ახალი სარწმუნოების მიღებისათვის ქონება ჩამოართვეს, დააპატიმრეს, გაროზგეს, თეირანის ციხეში დაამწყვდიეს და ყველაზე მძიმე ჯაჭვი დაადეს, მაგრამ ამას იგი არ შეუშინებია. მან თავი უყოყმანოდ გადადო უფლისათვის.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ირანის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ ბაჰაულა მძიმედ იყო ავად, გადაწყვიტა მისი ქვეყნიდან გაძევება. იგი ბაღდადში (ერაყში) გადაასახლეს, რომელიც იმ დროს ოტომანთა იმპერიაში (თურქეთი) შედიოდა. 1863 წელს აქ, ქალაქგარეთ მდებარე დიდ ბაღში, რომელიც ცნობილია რიდვანის (რაც სამოთხეს ნიშნავს) სახელით, მან გამოუცხადა ხალხს, რომ სწორედ ის არის ღმერთის მიერ ყველა რელიგიისთვის აღთქმული მოვლინებული ადამიანი, ის პიროვნება, რომელიც იწინასწარმეტყველა ბაბიმ.

ხალხისთვის ეს ამბავი უკვე ცნობილი იყო, მაგრამ მათ მაინც დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით მიიღეს ეს ცნობა. საყოველთაო სიხარულს

ანელებდა მხოლოდ ის გარემოება, რომ ბაჰაულა და მისი მიმდევრები უფრო შორს უნდა გადაესახლებინათ, რადგან სპარსეთის მთავრობა მათ საშიშად მიიჩნევდა. მათი აზრით, ბაღდადი ტერიტორიულად ძალზე ახლოს იყო ირანთან და მის ქადაგებას შეეძლო ქვეყნისათვის დიდი ზიანი მიეყენებინა. ირანის მთავრობის ზეწოლით თურქებმა ბაჰაულა და მისი მიმდევრები ჯერ კონსტანტინოპოლში გადააგზავნეს, შემდეგ კი ადრეანეპოლში. აქ, მან და მისმა ოჯახმა 5 წელი დაჰყო.

1868 წელს ბაჰაულა ადრეანეპოლიდან გადაასახლეს ქალაქ აკაში, რომელიც მთლიანად ციხე იყო. მისი ოჯახი და 70-ზე მეტი მიმდევარი მოთავსებული იქნა 2 ოთახში, სადაც მას რამდენიმე ხნის შემდეგ შვილიც დაეღუპა. ორი წლის შემდეგ ისინი გადაიყვანეს სხვა სახლში, სადაც ოდნავ მეტი სივრცე ჰქონდათ, მაგრამ სახლის დატოვების ნება მაინც არ მისცეს. ბოლოს, როდესაც ხელისუფლება დარწმუნდა, რომ მას არავითარი ზიანის მიყენება არ შეეძლო, ქალაქგარეთ დაასახლეს.

ბაჰაულა შესანიშნავად აღწერს საკუთარი ცხოვრების პერიპეტიებს, განცდებს და განწყობილებებს:

"მე ვიყავი ისეთივე ადამიანი, - წერდა იგი, - როგორც ყველაა. ერთხელაც, როდესაც მეძუნა, ვიგრძენი უცაბედად მჩატე სიო ყოვლად წმინდისაგან მონაბერი, რომელიც თავზე სასიამოვნოდ დამტრიალებდა და ჩამბერა ის ცოდნა ყოველივესი, რაც არის. ეს ჩემგან გამომდინარე არ ხდებოდა. ეს იყო მხოლოდ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნისაგან გამომდინარე და მან მომმართა, მომიწოდა, რათა მე მეთქვა ჩემი სიტყვა სააქაოსა და სამოთხეს შორის, და ამ დროს ვიგრძენი როგორ წამომივიდა ღვარად ცრემლი".

მეორე ადგილას ბაჰაული მადლიერების სიტყვებით მიმართავდა უფალს: "ო, ჩემო საყვარელო: შენ ცამბერე სული და გამყავი ჩემს თავთან". ხოლო ადამიანებს აფრთხილებდა: "ო, ადამიანებო, თქვენ ფიქრობთ, რომ დაუფლებული ვარ იმ შესაძლებლობებს, რომ კონტროლი გავუწიო და ვმართო ღმერთის სურვილები და მიზნები? შორს ჩემგან ის, რომ მე წინ გავუსწარი ასეთ მოთხოვნებს".

რაც შეეხება მის როლს და მისიას ამქვეყანაზე, იგი აქაც ნათლად გამოხატავს თავის პოზიციას: "ღვთის სიმართლით, ჩემო საყვარლებო! მე არასოდეს მივისწრაფოდი ვყოფილიყავი ლიდერი მსოფლიოში. ჩემი სულიერი განზრახვები გადაეცემოდა ხალხს, რაც ნაბრძანები მქონდა გადმომეცა ღვთისაგან. ეს იყო სილამაზე, შეუდარებლობა, რასაც შეუძლია გამოყოს ხალხი ამ სამყაროდან, გააერთიანოს და მიაღწიოს განდიდებას. ეს შეუძლია არამორწმუნემაც გაიგოს და ურჩმაც წარმოიდგინოს"...

"იცი შენ, რომ არავისი არ მეშინია ღმერთის გარდა. მის გარდა არავისში არ ჩამიდევს ჩემი ნდობა. მხოლოდ მისი ერთგული ვიქნები და ვისურვებდი, არ ამარიდოს ის, რაც ადრე მისურვა მე. ეს, რასაკვირველია, არის ჩემი გულის თხოვნა, იცოდე ამის შესახებ. მე შევთავაზე ღმერთს ჩემი სხეული, როგორც მსხვერპლი, უფალს, მთელი მსოფლიოს პატრონს"...

როგორც ბაჰაულას მიმდევრები წერენ, იგი "ანტიკური სილამაზით და სიმშვიდით დათანხმდა, ყოფილიყო ბორკილებში, რათა კაცობრიობა გათავისუფლებულიყო თავისი მონობისაგან. და ეს იყო შინაგანად ძალიან ძლიერი საყრდენი, რათა მსოფლიოს, მთელს კაცობრიობას მიეღწია ნამდვილი თავისუფლებისათვის. ის იმ დარდისა და სურვილისაგან დაიტანჯა და გამოიფიტა, რომ როგორმე ყველა ხალხს მიეღწია სიხარულისა და სიმშვიდისათვის.

თუმცა, მიუხედავად ასეთი ტანჯვისა და მძიმე ცხოვრებისა, იგი მაინც ბედნიერი იყო, რადგან მას ჰქონდა საშუალება შეესრულებინა ღვთის სურვილიდა მოეტანა ადამიანებისათვის ბედნიერება.

"მე არ ვდარდობ, - წერდა იგი, - ჩემი მძიმე პატიმრობის გამო. არც იმიტომ, რომ მამცირებენ მტრები... როგორ ტკბილად მაგონდება ის სიმწარე სიკვდილისა, რომელიც გადავიტანე წარსულში და რა ძვირფასია ჩემს გაგებაში ის ისრები მტრებისა, რომლებიც მესობოდნენ, ძვირფასია ღვთის გულისთვის და მის განსადიდებლად! ო, ღმერთო, გამომიგზავნე სიყვარული რათა დავარიგო იგი. მადლისთვის მე გისურვებ მხოლოდ იმას, რასაც ისინი მოითხოვენ და გიჩურჩულებ, რასაც ისინი გიჩურჩულებენ. მე შენში მაქვსყოველთვის იმედი და ნდობა".

ბაჰაულას პიროვნების და საქმიანობის უკეთ დახასიათებისათვის ძალზე საინტერესოა ინგლისელი პროფესორის ედუარდ ბრაუნის მოგონებები, რომელიც სპეციალურად ჩავიდა თურქეთში, აჯაში, რათა ახალი დროის წინასწარმეტყველს შეხვედროდა:

"მისი სახე, - წერდა იგი, - არასოდეს დამავიწყდება, თუმცა მიჭირს, ზუსტად აღვწერო. მის მრავლისმთქმელ და გამჭრიახ თვალებში ძლიერი სული იგრძნობოდა, შუბლზე სიბრძნე აღბეჭდილიყო. მან ოდნავ გასაგონი ხმით მთხოვა დავმჯდარიყავი, შემდეგ კი განაგრძო: "შენ ტუსაღის სანახავად ხარ ჩამოსული... ჩვენ მხოლოდ მსოფლიოს, ყველა ერის კეთილდღეობა და ბედნიერება გვინდა... და რომ ყველა ერს ჰქონდეს ერთი რწმენა და ყველა ადამიანი ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან; სიყვარულისა და ერთობის კავშირი ხალხთა შვილებს შორის უნდა გაძლიერდეს... ასეც იქნება; ეს უნაყოფო ბრძოლები, ეს დამანგრეველი ომები გაივლიან და დაისადგურებს ძალიან დიდი და ხანგრძლივი მშვიდობა. არ გნებავთ იგივე ევროპაში? ქრისტეც ამას არ წინასწარმეტყველებდა?... ნუ შეაქებ კაცს იმისათვის, რომ მას სამშობლო უყვარს, უმჯობესია იგი შეაქო იმაში, რომ მას უყვარს თავისი მოდგმა"...

აკაშ ბაჰაულამ დაწერა თავისი თხზულების უმეტესი ნაწილი, რომელიც დაახლოებით 100 ტომს შეადგენს. მათ შორის გამოირჩევა "კოტაბ-ი-აგდასი", უწმინდესი წიგნი, რომელშიაც გადმოცემულია ბაჰაულას ძირითადი კანონები.

ბაჰაულა 1892 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავისი რელიგიური მიმდინარეობის მეთაურად და წმინდა წერილების მთავარ ამხსნელად დანიშნა თავისი უფროსი ვაჟიშვილი აბდულ-ბაჰი (1844-1921 წ.წ.), ამან, სპეციალისტთა აზრით, ბაჰაის რწმენას მისცა საშუალება შეენარჩუნებინა ერთობა წინასწარმეტყველის სიკვდილის შემდეგაც...

აბდულ-ბაჰის სიკვდილის შემდეგ ბაჰაის მიმდევართა ხელმძღვანელობა გადავიდა მის შვილიშვილზე შოგი-ეფენდიზე (1897-1957 წ.წ.), ხოლო 1963 წლიდან იგი ხორციელდება სამართლიანობის მსოფლიო სახლის მიერ. რომლის შექმნა ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ ბაჰაულას.

2. ბაჰაის მოძღვრება

"ყველა ხალხი გაერთიანდება და
იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი".
ბაჰაულა

ბაჰაის მოძღრება გადმოცემულია ბაჰაულას წმინდა წიგნებში. ამ წმინდა წიგნებს შეადგენს ბაბის, ბაჰაულას და აბდულ – ბაჰის მიერ დაწერილი შრომები, რომლებიც ღვთით შთაგონებულად არიან გამოცხადებული. ეს წიგნები ჩვენამდე მოვიდნენ ხელნაწერების სახით და უმეტესად ეკუთვნიან ბაჰაულას, ან მისი მდივნის (ბაჰაულას კარნახით) კალამს. მისი ნამდვილობა კი დადასტურებულია თვით ბაჰაულას მიერ.

ბაჰაის მოძღვრებით სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, რომელიც მომდინარეობს მარადიული ყოფიერებიდან. იგი არის ერთადერთი, მარტოსული, უბადლო და სწორუპოვარი. იგი მარადიულია როგორც წარსულში, ისე მომავალში. იგი ყოველი საგნისაგან განცალკევებულია, ყოვლად მომთმენია, უცვლელია და თვითარსია. როგორც ბაჰაის წმინდა წერილშია გადმოცემული: "იყო მისი სამეფოს შეუცნობელ სიღრმეთა შხეფვა და სრული არარაობიდან იქმნა ყოველგან მსუფევი ნება მისი, ყოფიერებაში ქმნილებად წოდებული, განუსაზღვრელი თავის შესაძლებლობებში და უკვდავი დროში. მისი სიუხვის საოცრებანი არასოდეს შეწყდება და მისი გულთბილი მოწყალების ნაკადი არასოდეს შეჩერდება, მის შემოქმედებას არც დასაწყისი ჰქონია და არც ბოლო ექნება".

ღმერთის სამყაროები უთვალავია რიცხვით და უსაზღვროა შესაძლებლობებში. ვერავინ შეიცნობს და აღიქვამს მათ, გარეშე ღვთისა, ყოვლისმცოდნისა და ყოვლად ბრძენისა.

მთელი სამყარო, ბაჰაის მიხედვით, გამოსახავს მის დიდებას, რადგან ის თავად თვითმყოფადია, უბადლო მის ქმნილებათა შორის... ყოველგვარი არსებობა მასზეა დამოკიდებული და მისგან მოედინება ყოველივეს მასაზრდოებელი წყარო. ხოლო ყოველი ქმნილება მთელს მსოფლიოში სხვა არაფერია თუ არა კარი მისი შემეცნებისაკენ:

"... ყოველი ქმნილება ნიშანია ღმერთის გამოცხადების. თითოეული საგანი, - არის უფლის შესაძლებლობის, უფრო სწორედ ყოვლისშემძლეობის ნიშნის გამომხატველი. რადგან მბრძანებელმა ისურვა თავისი მეუფება სახელთა და თვისებათა სამეფოში გამოეხატა ღვთიური ნების მეოხებით, ყოველი ქმნილება მისი დიდების ნიშნად იქცა".

შემდეგ ბაჰაულა აგრძელებს საუბარს ღმერთის სიძლიერისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ: "მთელს სამყაროში ერთი ატომიც კი არ მოიძებნება, რომელიც მის ძლიერებაზე არ მიანიშნებდეს. რომელიც მის წმინდა სახელს არ ადიდებდეს და მისი ერთადერთობის სხივოსან ნათელს არ აფრქვევდეს. მის მიერ ქმნილი იმდენად მშვენიერი და ყოვლის მომცველია, რომ ვერც გული და ვერც გონება, რაც არ უნდა სუფთა იყოს იგი, ვერასოდეს ჩასწვდება მის თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ქმნილებათა ბუნებას; მიუწვდომელია საიდუმლო მისი, ვინც არის სიმართლის ცისკრის ვარსკვლავი, ვინც უხილავი და შეუცნობი რაობაა. ყველაზე კეთილშობილ მისტიკოსთა თეორიები, ყველაზე სრულყოფილ პიროვნებათა მიღწევები, უდიდესი ფასეულობანი, რომელთა შექმნა შეუძლია ადამიანის ენას თუ კალამს. ეს ყველაფერი გარკვეულ ზღვრებში მოქცეული გონების ნაყოფია და განპირობებული მისი შეზღუდვებით".

შეცნობადია თუ არა ღმერთი? ამ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე ბაჰაულა უარყოფითად პასუხობს, თუმცა მეორე მხრივ მის რეალობასა და ჭეშმარიტებაზე საუბრობს: "როგორ გავბედავ, - წერს იგი, - ვთქვა, რომ შეგიცან, როცა შენს მიერ შექმნილი მთელი სამყარო განცვიფრებულია შენი საიდუმლოებით და როგორ

ვიტყვი, რომ არაფერი ვიცი შენს შესახებ, როცა მთელი სამყარო შენს არსებობაზე მიუთითებს და შენს ჭეშმარიტებაზე მეტყველებს?".

ისევე როგორც სხვა ტრადიციულ მსოფლიო რელიგიებში ბაჰაიზმშიც ყოველივე ირგვლივ, ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნება, ღვთის შემოქმედების ნაყოფია, მისი ნება და განგებაა, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი, რასაკვირველია, თვით ადამიანია.

"რა ბრწყინვალეა ცოდნის ლამპარი, - ამბობს ბაჰაულა, - თითოეულ ატომში რომ კაშკაშებს და რა ვრცელია სიბრძნის ოკეანე, წვეთში რომ ღელავს! ყველაზე უფრო ეს ითქმის ადამიანზე, რომელიც ყველა ქმნილებათა შორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვდა და ამ ღირსებით გამორჩეული იქნა დიდებისათვის, რამეთუ მასში მჟღავნდება ღმერთის ყველა თვისება და სახელი იმ ზომით, რომლითაც სხვა არცერთი ქმნილება არ გამოირჩევა". (შეადარე ბიბლიურ დებულებას "ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი სახისა და ხატის მსგავსად").

"როდესაც შექმნა სამყარო და ყოველივე, რაც მასში ცოცხლობს და მოძრაობს, - ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, - უფალმა თავისი თავისუფალი და მეფური ნებით განსაჯა, რომ კაცთათვის მიენიჭებინა უნიკალური ღირსება და შესაძლებლობა, რომელსაც მოვლაგაფრთხილება სჭირდება, როგორც მაცოცხლებელ იმპულსს და პირველად მიზანს, საფუძვლად რომ უდევს ყოველივე ქმნილს... თითეული და ყოველი ქმნილების არსი ღმერთმა ჩადო თავის ერთ-ერთი თვისების დიდების მფლობელად. ხოლო ადამიანის არსში მან თავი მოუყარა თავისი სახელისა და თვისების ბრწყინვალებას და ჰქმნა იგი თავის საკუთარი თავის სარკედ. ყოველ ქმნილთა შორის მხოლოდ ადამიანი იქნა გამორჩეული ასეთი დიდი უპირატესობისათვის, ასეთი უსასრულო სიუხვისათვის".

როგორც ვნახეთ, ბაჰაის მოძღვრებით, მართალია, ადამიანი ყველა ქმნილთა შორის გამორჩეულია (უნიკალური მოვლენაა), ქმნადობის გვირგვინია, უფლის სარკეა, მას აქვს უფლის ნიშანი – სული, მაგრამ მისი შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია. ადამიანის გონება ვერ გადააჭარბებს იმ ფარგლებს, რომელსაც მკაცრად ექვემდებარება ზღვარდადებული აზროვნება: "რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიოს კაცის ამაღლებულმა გონებამ, რარიგ ღრმაც არ უნდა იყოს მიუკერძოებელი გონებისა და მიხვედრილი გულის განჭვრეტა, - ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, - ვერც ასეთი გონება და ვერც ასეთი გული ვერასოდეს გაცდებიან მათს მიერვე შექმნილ წარმოდგენებს და მათივე აზრების ნაყოფს... უზომოდ მაღლა დგას იგი ადამიანის გონების სწრაფვაზე – ჩასწვდეს მის არსს, ანდა ადამიანის ენის მცდელობაზე – აღწეროს მისი იდუმალება. ვერავითარი პირდაპირი ურთიერთობის ძაფი ვერ დააკავშირებს მას თავის ქმნილებებთან..."

მაშ გამოსავალი სად არის, როგორ უნდა შეიცნოს ადამიანმა უფალი, როგორ უნდა შეაღწიოს მის საუფლოში? ამისათვის ღმერთი ადამიანებს დროდადრო უგზავნის თავის მოციქულებს, წინასწარმეტყველებს. ისინი გარკვეულად ღმერთის განსახიერებები არიან. ასეთი მოციქული სულ რამდენიმე იყო: კრიშნა, მოსე, ბუდა, ქრისტე, მუჰამედი და სულ ბოლოს ბაჰაულა.

მიზანი მათი გამოგზავნისა, ბაჰაის რწმენის მიხედვით, არის გაათავისუფლონ ადამიანის ნაშიერნი უმეცრების სიბნელისაგან და გაუძღვეს მათ ღვთის ნათლისაკენ. გარდა ამისა, იგი გარანტიაა კაცობრიობისათვის მშვიდობისა და სიწყნარის უზრუნველყოფისათვის, იმ საშუალებებით აღჭურვისა, რომლითაც ამის მიღწევაა შესაძლებელი:

"შეცნობა უძველესი არსებისა, - ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, - რომელიც მარად იყო და იქნება, შეუძლებელია კაცთათვის. ვერარა ადამიანის გაგება

ვერასოდეს მოიპოვებს მის წმინდა საუფლოში შეღწევის ნებას. თუმცა კი, ნიშნად მისი მოწყალებისა და მისი კაცთმოყვარული სიკეთის დადასტურებისა, მან ადამიანებს მოუვლინა თავის ღვთიური ერთობის სიმბოლოები და ამ კურთხეულ სულთა ცნობა თავისი საკუთარი თავის ცნობის ტოლფასად გახადა. მან, ვინც შეიცნო ისინი – შეიცნო ღმერთი. ვინც ყური დაუგდო მათს მოწოდებას, ყური დაუგდო ხმას ღვთისას და ვინც დაადასტურა მათი გამოცხადების ჭეშმარიტება. მან თავად ღმერთის ჭეშმარიტება დაადასტურა... თითოეული მაღგანი არის გზა ღვთისა, რომელიც აკავშირებს ამ ქვეყანას ზეციერ სასუფეველთან და არის ღვთიური სიმართლის საზომი თითოეულისათვის, მიწიერ და ზეციურ სამეფოებში. ისინი არიან ღმერთის განსახიერებანი კაცთა შორის. მისი სიმართლის საბუთნი და მისი დიდების ნიშანი".

ბაჰაის რწმენით, ადამიანს ღმერთის სხვა ქმნილებებისაგან განსხვავებით აქვს სული, რომელიც არის ღმერთის ნიშანი, როგორც თვითონ ამბობენ: "ზეციური ძვირფასი ქვა, რომლის არსებობისათვის ჩაწვდომა ბევრი განსწავლული ადამიანისათვის მიუწვდომელია და რომლის საიდუმლოებას ვერანაირი გონება, როგარც არ უნდა მახვილი იყოს, ვერასოდეს ვერ ამოიცნობს. ის არის პირველ შექმნილი არსთაგან, რომელმაც აღიარა თავისი შემქმნელის სრულყოფილება, პირველმა შეიცნო მისი დიდება, აღიარა მისი ჭეშმარიტება და მის წინაშე თაყვანისცემით მოიყარა მუხლი."

თუ ყველაფერს ზემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნა ასე გამოიყურება: არის დიდი უფალი ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, ხილული თუ უხილავი. სხვა ქმნილებებთან ერთად მან შექმნა ადამიანი, რომელსაც ადევს ღმერთის ნიშანი, გვირგვინი მისი ქმნადობისა. მას აქვს მარადიული სული. იმისათვის, რომ ადამიანთა მოდგმამ სწორი გზით იაროს, დედამიწაზე იგი დროდადრო აგზავნის თავის მოციქულებს. ასეთი მოციქულები იყვნენ: კრიშნა, მოსე, ბუდა, ქრისტე, მუჰამედი, ბაჰაულა. მოციქულები შემდეგაც მოვლენ, მაგრამ, სანამ მოვლენ, მანამ ადამიანებმა ბაჰაულის მოძღვრებით უნდა იხელმძღვანელონ. საბოლოო მიზანი ადამიანისა მდგომარეობს იმაშ, რომ დაუბრუნდნენ ღმერთს და შეუერთდეს მის დიდებას.

ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცხოვრებაში სწორი, ღმერთის გზით ივლის. როგორც ბაჰაის წმინდა წერილშია ნათქვამი:

"...თუ კაცის სული ღვთისგზებით ივლის, ისუეჭველად დაუბრუნდება დაშეუერთდება მეუფის დიდებას... სული... მისი ამაღლების შემდეგ შეიძლება ფლობდეს ისეთ ძალას, რომ მისი სარგებლობა ყოვლისშემძლის მიერ შექმნილ ყველა სამყაროს შეეძლება...

სწორედ ისევე, როგორც სარწმუნოება არსებობდა იმ დროიდან, რომელსაც საწყისი არა აქვს და იარსებებს ბოლომდე, რასაც ბოლო არა აქვს, ისევე ჭეშმარიტი მორწმუნეც მარად იცოცხლებს და იარსებებს. მისი სული სამუდამო ბრუნვაში იქნება ღვთის ნების გარშემო. ის იარსებებს მანამ, სანამ თავად ღმერთი იარსებებს.

რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, მან უნდა მოიშოროს ყოველგვარი მანკიერება და დაუცხრომლად ისწრაფვოს სიკეთისაკენ. სხვაგვარად იგი მთლიანად გაინადგურებს თავის თავს, უნდა განახლდეს როგორც თითეული ადამიანი, მისი პირადი ზნეობრივი ნორმები, ასევე საზოგადოება თვით სახელმწიფო მმართველობის სისტემაც. მთავარი თემა ბაჰაის მოძღვრებისა იყო კაცობრიობის ერთობა, რომელიც უნდა გაერთიანდეს ერთიან თანამეგობრობად. ასეთი გაერთიანება, მათ აზრით, არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელია, რადგან ცხოვრება და ისტორიის წინსვლა თანდათან შლის ტრადიციულ წინაღობებს რასებსა

და რჯულთმოძღვრებებს შორის, ერებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. ის, რაც დღეს ხდება, განპირობებულია იმ წინააღმეგობებით, რომელიც არსებობს ახალი ეპოქის მოთხოვნებს და საზოგადოების ორგანიზაციის მოძველებულ ფორმებს შორის, ბაჰაიზმს ჩამოყალიბებული აქვს ის პრინციპები, რომლებმაც უნდა დაამყარონ და უზრუნველყონ ადამიანთა ერთობა. რადგან "დედამიწა მხოლოდ ერთი ქვეყანაა, კაცობრიობა კი მისი მოქალაქე". აი ზოგიერთი მათგანი:

1. უნდა დაიძლიოს რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, კლასობრივი თუ სხვა ცრუ რწმენები.
2. მამაკაცების და ქალების სრული თანაბარუფლებიანობა.
3. ყველა რელიგიის არსებითი ერთობის ცნობა.
4. სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურესობის გამორიცხვა საზოგადოებაში.
5. საყოველთაო განათლება.
6. ქცევის უმაღლესი სტანდარტი და ოჯახის სიმთელე.
7. რელიგიას და მეცნიერებას შორის ჰარმონია.
8. მისაღები თანასწორობა ტექნიკური განვითარების და ეკოლოგიას შორის.

ამ, და ზოგიერთი სხვა პრინციპზე უნდა აშენდეს ახალი საზოგადოება, ასე უნდა იქნეს მიღწეული ერთობა, შეწყდეს ყოველგვარი უსარგებლო ომები და მტრობა ხალხებს შორის. ვინაიდან, - ასკვნიან ბაჰაის რწმენის მიმდევრები, - ღმერთი ერთია, ყველა ადამიანი მის მიერ არის შექმნილი და ყველა წინასწარმეტყველიმისი გამოგზავნილია, ამიტომ, კაცობრიობის მიზანი უნდა იყოს პრინციპი: "ერთ ფარას ერთი მწყემსი უნდა ყავდეს".

ვინაიდან ბაჰაის რწმენის მიხედვით ღმერთი ერთია, ხოლო ყველა რელიგია არის ნაწილი ერთიანი ღვთის განგებისა, რომელიც მიმართულია ცივილიზაციის სულიერი და მატერიალური განვითარებისათვის, ხოლო თვით ბაჰაის მოძღვერბა აღასრულებს ყველა ძირითადი რელიგიების აღთქმას, იგი თავისთავში უნდა მოიცავდეს ამ რელიგიათა ძირითად და საკვანძო მომენტებს. ასე მაგალითად:

1. იუდაიზმიდან გამოსული ბაჰაის მიმდევართათვის, ბაჰაულა არის მოვლინება აღთქმული ღვთიური ძალისა, რომელიც ჩამოვიდა ათი ათასი წმინდანით. ბაჰაულა არის აბრაამის შთამომავალი და "შტო ესავის ფესვიდან", რომელიც მოვიდა იმისათვის, რათა ეჩვენებინა გზა ხალხისათვის, თუ როგორ გამოეჭედათ მახვილისაგან სახნისი. ბაჰაულას იძულებითი განდევნის ბევრი მომენტი წმინდა მიწაზე, ისრაელში და ასევე სხვა ისტორიული ფაქტები მისი ცხოვრებიდან წარმოადგენს ბიბლიური წინასწარმეტყველების ასრულებას.
2. იმ ბაჰაელთათვის, ვინც ბუდიზმიდან არიან გამოსულნი, ბაჰაულა წარმოადგენს ბოდა მაიტრეას, საყოველთავო ძმობის ბუდას, რომელიც ამ რელიგიის ტრადიციის თანახმად მთელ კაცობრიობას მშვიდობასა და განათლებას მოუტანს. ერთ-ერთი ასეთი წინასწარმეტყველება ამბობს, რომ ბუდა მაიტრეია მოვა "დასავლეთიდან". ირანი კი ინდოეთიდან მართლაც დასავლეთით მდებარეობს.
3. იმ ბაჰაელთათვის, რომელნიც გამოსული არიან ინდუიზმიდან, ბაჰაულა არის კრიშნას ახალი ინკარნაცია, მეათე ავათარა და "უდიდესი სული", არაშობილი და უკვდავი. "როცა რწმენა უფლისადმი კლებულობს, ბრუნდება დედამიწაზე, რათა თითოეულ ეპოქაში აღადგინოს სიწმინდე".
4. იმ ბაჰაელთათვის, რომლებიც გამოსული არიან ქრისტიანობიდან, ბაჰაულა არის ქრისტეს დაპირების აღსრულება მამა – ღმერთის სადიდებლად. ბაჰაის

რწმენის 1844 წელს წარმოშობა მრავალმხრივ ეხმაურება ქრისტიანულ წინასწარმეტყველებებს, რომელიც შეიცავდა ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინს ამ პერიოდში. ბაჰაულას სწავლება არის წინასწარმეტყველების ასრულება, რომ ყველა ხალხი გაერთიანდება და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი.

5. და ბოლოს, იმ ბაჰაელთათვის, რომლებიც მუსულმანობიდან არიან გამოსული, ბაჰაულა არის ყურანის წინასწარმეტყველების შესრულება ღვთის დღისა და დიდი გამოცხადების შესახებ, როცა უფალი ჩამოვა ღრუბელთა საბურველში. იმ დრამატულ მოვლენებში რაც თავს გადახდათ ბაბის და ბაჰაის მომხრეებს, ისინი ხედავენ აღსრულებას მუჰამედის ბევრი გამოთქმისა, რომელნიც გამოცანად რჩებოდნენ, საუკუნეთა მანძილზე".

ბაჰაის მიმდევრები, ბევრი სხვა რელიგიისაგან განსხვავებით, არ თვლიან, რომ სულიერება უნდა მოასწავებდეს "ამქვეყნიურობისათვის ზურგის შექცევას". პირიქით, ბაჰაულამ აკრძალა ასკეტიზმი და თავის მიმდევრებს დაუწესა, რომ გულით ეზრუნათ იმ წუთისოფლის საჭიროებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

3. ორგანიზაცისა

ბაჰაის რწმენის ადმინისტრაციულ ცენტრს ისრაელის ქალაქი ხაიფა წარმოადგენს. აქ, წმინდა მიწაზე, დასაფლავებულია ამ რწმენის 3 მთავარი ხელმძღვანელი. აქვე შეიქმნა რწმენის სულიერი ცენტრი, სადაც ჩამოყალიბდა მსოფლიო ბაჰაიათა მართვის მთავარი ორგანო. აქედან სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება რწმენის გავრცელება და მისი პრინციპების ცხოვრებაში დანერგვა.

ხაიფაში არის მოთავსებული სამართლიანობის მსოფლიო სახლი, რომელსაც ხელმძღვანელობს 9 ადამიანი, რომელნიც 5 წლის ვადით არიან არჩეული. ისინი წარმართავენ ბაჰაის საქმიანობას მსოფლიოში. რაც შეეხება ეროვნულ დონეს, აქ მოქმედებს ნაციონალური სასულიერო კრება. მისი მმართველი ორგანოც 9 არჩეული პიროვნებისაგან შედგება. ისინი წარმართავენ თემის საქმეებს. ყოველ წელს ბაჰაის მიმდევრები ირჩევენ ნაციონალური ყრილობის დელეგატებს, რომელთაგანაც ხდება ნაციონალური კრების დაკომპლექტება. ნაციონალური სულიერი კრება კი წარმართავს და კორდინაციას უწევს ამ ქვეყანაში ბაჰაის რწმენის გაცრცელებას. ასევე ხდება ბაჰაის რელიგიური მიმდინარეობის მართვა ადგილობრივ დონეზე. აქაც ირჩევენ 9 კაცს, რომელნიც ხელმძღვანელობენ რელიგიური თემის საქმიანობას კონკრეტულ ადგილებში.

ბაჰაის თემს ფართო კონტაქტები აქვს მსოფლიოში. იგი აკრედიტებული არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. აქვს სათათბირო ხმა გაეროს სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოსა და ბავშვთა ფონდში.

ბაჰაის რწმენის საუკუნენახევარი ისტორიის მანძილზე ენერგიული მოღვაწეობისა და აქტიური საქმიანობის შედეგად შეიქმნა ახალი მსოფლიო თემი, რომელშიაც შედის 1820 ეთნიკური ჯგუფი 360-ზე მეტ ქვეყანაში. მისი ლიტერატურა გადათარგმნილია 740-ზე მეტ ენაზე. ასეთ წარმატებას ისინი მიაწერენ მათი მოძღვრების ღვთითშთაგონებულობას და ადმინისტრაციის ეფექტურ საქმიანობას. ბაჰაის რწმენის იმ ზემოთჩამოთვლილ პრინციპებიდან, რომელიც ჩვენ უკვე მოვიტანეთ, როდესაც განვიხილავდით ბაჰაის მოძღვრებას, ძალზე მნიშვნელოვანია ზოგიერთი სხვა პრინციპიც:

1. საყოველთაო ენის მიღება.

2. უკიდურესობების მოსპობა სიღარიბისა და სიმდიდრის გამოვლინებებში.
3. მსოფლიო ტრიბუნალის გამოყენება ერთა შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად.
4. სამართლიანობის ამაღლება, როგორც საზოგადოების მართვის განმსაზღვრელი პრინციპისა.
5. კეთილსინდისიერი შრომის ლოცვის რანგში აყვანა.
6. რელიგია, როგორც საფუძველი ყველა ხალხებისა და ნაციების.
7. ეკონომიკური პრობლემების სულიერი გადაწყვეტა.
8. საკუთარი ქვეყნის მიმართ ლოიალურობა.

ამასთანავე, ისინი თვლიან, რომ პოლიტიკის ჩვეულებრივი მეთოდები, აუცილებლად არიან დაკავშირებული ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან, ეს კი ეწინააღმდეგება მიზანს წინ წასწიონ კაცობრიობის ერთობა. თუკი ბაჰაის მიმდევარი სამსახურის გამო იძულებული დაიცვას სახელმწიფოს ინტერესი მეორის წინააღმდეგ ან ადამიანთა ერთი ჯგუფის მეორის წინააღმდეგ, მაშინ მისი საქმე წინააღმდეგობაში ვარდება მის რწმენასთან. ამიტომ, ბაჰაის მიმდევარნი არ თანხმდებიან შეთავაზებულ წინადადებაზე დაიკავონ პოლიტიკური პოსტები, ან მონაწილეობა მიიღონ არჩევით თუ სხვა პოლიტიკურ კამპანიებში. თუმცა ისინი მხარს უჭერენ იმ საზოგადოებრივ მოძრაობებს, რომლებიც ახლოს არიან მათ მიზნებთან და თვითონ ეწევიან აქტიურ საქმიანობას იმ მიმართულებით, რომელიც შეესატყვისება მათ რწმენას – მათ შორის: ადამიანთა უფლებების დაცვას, ქალთა დაწინაურებას, კეთილდღეობის მიღწევას, მორალურ ლიდერობას და ა.შ.

ბაჰაის მიმდევარი უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს კანონებს, ამისათვის მას შეუძლია შეელიოს ყველა გარეგნულ ასპექტს მისი რელიგიური საქმიანობისა – ადმინისტრაციას, შეკრების ჩატარებას და თავასი შეხედულებების ქადაგებას, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს შინაგანი ფასეულობები – ღმერთისადმი რწმენა, პატიოსნება, ადამიანისადმი სამართლიანი დამოკიდებულება.

არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს პირადი სურვილის მიხედვით, და თუკი ამას სახელმწიფო ავალდებულებს, მაშინ უნდა მიიღოს, მაფრამ ხმა მისცეს კანდიდატის პირადი თვისებების გათვალისწინებით. ბაჰაი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უჭერს მხხარს.

სამხედრო სამსახურში ბაჰაის მიმდევარნი ცდილობენ ითხოვონ ალტერნატიული სამსახური ან იმსახურონ არასაბრძოლო ნაწილებში. თუკი ამაზე უარს ეტყვიან – ბაჰაის მიმდევარი ვალდებულია დაემორჩილოს სახელმწიფოს კანონს და გაიაროს სამსახური შეიარაღებულ ძალებში.

4. ბაჰაის რწმენა საქართველოში

ბაჰაის რწმენა საქართველოში მთლად ახალი მოვლენა არ უნდა იყოს. თუ ამ რელიგიის მიმდევრებს დავუჯერებთ, იგი სპარსეთიდან და ოტომანთა იმპერიიდან ჯერ კიდევ ბაჰაულას სიცოცხლეშივე გავრცელებულა თურქესტანში, ინდოეთში, ბოირმაში, ეგვიპტეში, სუდანაში და კავკასიაში. ბაჰაის თემის ისტორიაც ამავე პერიოდიდან იწყება. ჩვენს წვეყანაშ და მეზობელ რეგიონებშიც, ბაჰაულას მსახურების (1853-1893 წ.წ.) დროს ბაჰაის მორწმუნენი საქართველოში უკვე საკმაო რაოდენობით ყოფილან.

ბაჰაის მიმდევრები ყვებიან ამაღელვაბალ ამბავს ამ რელიგიის პირველი ქართველი მორწმუნის, სპარსეთში ისპაჰანის გუბერნატორის მანუჩარ-ხანის შესახებ, რომელიც, ზოგის აზრით, ბაგარტიონთა გვარიდან იყო. ირანის შაჰის კარზე დაწინაურებულიეს ქართველი დაჯილდოებული ყოფილა დიდი ადამიანური თვისებებთ. მას დახმარების ხელი გაუწვდია საფრთხეში ჩავარდნილი ბაბისათვის, როდესაც იგი შირაზიდან გამოაძევეს თავისი მოძღვრების ქადაგებისათვის. დევნილი ბაბი მას თავის სახლშიმიუღია და მისი რწმენაც უღიარებია. მანუჩარ- ხანს ბაბისათვის შეუთავაზებია, რომ ახალ რწმენას მოახმარდა მთელ თავის ქონებას, რომელიც ადრე არ იცოდა რაში დაეხარჯა. მანუჩარ-ხანს უთხოვია ბაბისათვის ნებართვა წასულიყო თეირანში, მისულიყო შაჰთან, რომელიც მას ძალიან ენდობოდა, გაეცნო მისთვის ახალი რწმენა, რომელიც მას ალბათ ძალიან მოეწონა და დაგვეხმარა კიდევაცო. ამასთანავე, მანუჩარ-ხანს შეუთავაზებია: ვიშუამდგომლებ, რომ შაჰმა თავისი ერთ-ერთი და ცოლად გამოგაყოლოს, ქორწილის ხარჯებსაც მე გადავიხდიო, ახალი რწმენის შემოსავლით კი დამთავრდება შავი და მძიმე პერიოდი ირანის ისტორიაშიო.

ბაბი ამაზე პასუხობს: ძალიან კარგი და კეთილშობილურია შენი განზრახვა, ასეთი სიქველისათვის ღმერთი აუცილებლად დაგაჯილდოვებს ან აქ, ან საიქიოშიო, მაგრამ შენ ამქვეყნად დიდი სიცოცხლე არ დაგრჩენია, სულ 3 თვე და 9 დღე (ამ დროისათვის მანუჩარ-ხანი 40 წლისა იყო.) და თანაც, ღვთის განგებით, ჩემი რწმენა ამ გზით ვერ გავრცელდება. ეს მეფეების თუ სახელმწიფოს მეთაურების საქმე არ არის. ღვთის ნებაა, რომ იგი უბრალო ხალხიდან გავრცელდეს და მისთვის წამებულთა სისხლით გაიდგას ფესვებიო...

მანუჩარ-ხანი მართლაც ბაბის მიერ ნაწინასწარმეტყველებ დროს გარდაიცვალა. მას უნდოდა მთელი თავისი ქონება ახალი რელიგიის წარმომადგენლებისათვის დაეტოვებინა, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა.

მანუჩარ-ხანი ისპაჰანშია დასაფლავებული და მის საფლავთან მოსალოცად მოდის მრავალი ადამიანი. გადმოცემით, თუკი ვინმე მის საფლავთან რაიმეს ითხოვს, ღმერთი აუცილებლად შეუსრულებს. ეს ამბავი 1846-47 წლებში უნდა მომხდარიყო. როგორც ვთქვით, ბაჰაის მიმდევართა მტკიცებით, მანუჩარ-ხანი ქართველთაგან პირველია, ვინც ბაჰაის მოძღვრება აღიარა. ამ ფაქტზე ვრცლად არის საუბარი სპარსულ წყაროებში.

ბაჰაის მიმდევართა ცნობით, 1925 წელს კავკასიაში ბაჰაითა ეროვნული საკრებულო შექმნილა, მაგრამ, უკვე სამი წლის შემდეგ, ისინი სერიოზულ სიძნელეებს წაწყდომიან თავისი სარწმუნოების გამო. კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკრებულოები დაშალა და განდევნა, დამსწრეები დააპატიმრა და დაკითხა, დოკუმენტები და წიგნები ამოიღო, ზედამხედველობა დააწესა მათ მიმოწერაზე; მაგრამ ხანგრძლივმა ძიებამ დაადასტურა, რომ ამ რწმენის მიმდევრები არ იყვნენ გარეული არანაირ ძირგამომთხრელ, ანტისაბჭოურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, ბაჰაითა შეკრებები მხოლოდ პოლიციის სპეციალური თანხმობით ტარდებოდა.

საბოლოოდ, კავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივი საკრებულოების არჩევისთანავე, 1928 წლის აპრილში მთავრობამ გააუქმა თავისი დადგენილება და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიიღო ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბაჰაის ყველა თემი დაშალა.დადგენილებაში მითითებული იყო, რომ სხდომის ოქმის რუსული თარგმანი ხელისუფლებისათვის უნდა წარედგინათ, აკრძალული იყო ბაჰაელთა ბავშვებისათვის 18 წლამდე ესწავლებინათ საკუთარი

სარწმუნოება. მთავრობის სხვა ბრძანებულება საკულტო შენობებს სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა.

საკუთარი უფლებების აღსადგენად და დასაცავად ბაჰაის მიმდევარნი მიმართავდნენ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ხელისუფლებას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 1938 წლისათვის კავკასიის ბაჰაიათა თემი მინიმუმამდე შემცირდა და ასეთ მდგომარეობაში დარჩა მომდევნო 50 წლის მანძილზე.

ბაჰაის თემის აღორძინება დაიწყო მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცათ თავისუფალი მოქმედების საშუალება.

ამჟამად საქართველოში 1000-დან 2000-მდე ბაჰაის მიმდევარნი უნდა იყოს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, რუსეთში, ბათუმში, ქუთაისში. ქალაქებს გარდა ეს მოძღვრება გავრცელებულია სოფლადაც – კასპში, ყაზბეგში, არაგვისპირში, აჭარაში და ა.შ. საქართველოში ჯერ ბაჰაის ტაძარი არ არის (მსოფლიოში ბაჰაის მხოლოდ 7 ტაძარია: ჩიკაგოში, ნიუ-დელში, პანამაში, მაინის ფრანკფურტში, სიდნეიში, უგანდაში (შენდება ჩილეში). ბაჰაის მიმდევრები გეგმავენ, რომ მომდევნო 20 წელიწადში ყველგან აშენდეს ტაძრები. ამჟამად სხვა ქვეყნებში არის მხოლოდ სამლოცველოები, სადაც იმართება ბაჰაიათა კრებები. ითარგმნება და ვრცელდება ქართულ ენაზე რელიგიური ლიტერატურა, სრულდება რელიგიური დღესასწაულები. არის 5-10 კაცისაგან შემდგარი წრეები, რომლებიც შეისწავლიან ბაჰაის მოძღვრებას. ისწავლება ისეთი თემები როგორიცაა:სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა, რა არის სული, ადამიანი და მისი დანიშნულება და ა.შ. აქამდე, თბილისში ბაჰაის მიმდევრები იკრიბებოდნენ დიდუბეში, წერეთლის #13-ში, ახლა თავისი სამლოცველოს გადმოტანას ვაკის რაიონში გეგმავენ.

ბაჰაისმიმდევრები საქართველოში სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან, მათ შორის ქართველებიც. უმეტესად კი მაინც შერეული ქორწინების შთამომავალნი არიან.

5. ბაჰაის კულტი

ბაჰაის რწმენას სამღვდელოება არ ჰყავს. ცხადია, ეს განაპირობებს მისი კულტის თავისებურებასაც. შესაბამისად, ღვთისადმი მიმართული ლოცვებიც უმეტესად ინდივიდუალურია:

"კურთხეულია მიდამო და სახლი და ადგილი და ქალაქი და გული და მთა და თავშესაფარი და გამოქვაბული და ხეობა და მიწა და ზღვა და კუნძული და მდელო, სადაც ახსენეს და განადიდეს ღმერთი მაღალი", - მიმართავს ბაჰაულა თავის მრევლს, - ხოლო ბაბი მიუთითებს ლოცვის ზუსტ მისამართსა და დანიშნულებაზე: "ო ღმერთო, ჩემო ღმერთო, ჩემო სანუკვარო და ჩემო გულის წადილო."

ბაჰაის რწმენით არის სავალდებულო ლოცვები, რომლებიც აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ისინი უძღვებიან ადამიანებს თავმდაბლობისა და მორჩილებისაკენ, ღმერთისაკენ სახეშებრუნებულებს მისადმი ერთგულების გამოხატვის საშუალებას აძლევენ. "...ამ ლოცვების საშუალებით ადამიანი, - ამბობს აბდულ ბაჰა, - ღმერთთან კავშირს ინარჩუნებს, ეძიებს მასთან სიახლოვეს. თავის ჭეშმარიტ გულის სწორთან საუბრობს და სულიერ სამყაროში უერთდება".

ბაჰაის რწმენაში სამ განსაკუთრებულ ლოცვას გამოყოფენ: მოკლე, საშუალო და ვრცელს. ითვლება, რომ აქედან შერჩეული ნებისმიერი მათგანი და სათანადოდ წაკითხული თავის დანიშნულებას მიაღწევს.

მოკლე სავალდებულო ლოცვა, რომელიც ტრადიციულად დღეში ერთხელ, ნასამხრევს იკითხება ბაჰაულას ეკუთვნის და ასე ჟღერს:

"ვადასტურებ უფალო, რომ შენ შემქმენი მე, რათა შეგიცნო და თაყვანი გცე შენ. ვადასტურებ ამ წუთში ჩემს უძლურებას და შენს ძლევამოსილებას, ჩემს სიღატაკეს და შენს სიუხვეს.

არ არის სხვა ღმერთი შენს გარდა, მფარველისა და თვით არსისა".

მეორე მიმართვა უზენაესისადმი არის საშუალო სავალდებულო ლოცვა, რომელიც ასევე ბაჰაულას მიეწერება და იკითხება სამჯერ დღეში: დილით, ნასამხრევს და საღამოს. არსებობს ლოცვის წაკითხვის დადგენილი ზუსტი წესებიც:

"მან, ვისაც სურს ლოცვის წაკითხვა, უნდა დაიბანოს ხელები და ერთდროულად აღავლინოს შემდეგი სიტყვები:

"სიმტკიცე მიანიჭე უფალო ჩემს მარჯვენას, რათა ისეთი რწმენით აღვმართო შენი წიგნი, რომ მთელი ქვეყნის ძალებიც ვერ აღმიდგნენ წინ. დაიფარე იგი ყოველი ზეგავლენისაგან, რომელიც მისი საკადრისი არ არის. შენ ჭეშმარიტად ხარ ყოვლისშემძლე უძლიერესი".

პირის დაბანისას უნდა ითქვას:

"სახე ჩემი შენსკენ მოვაბრუნე უფალო, გაასხივოსნე იგი შენი სახელის ნათელით და დაიცავი სხვა ხატების თაყვანისაგან".

შემდეგ უნდა ადგეს და სახით ყიბლისაკენ (თაყვანისცემის წერტილი, კარმელის მთასთან, ბაჰჯში, სადაც ბაჰაულა არის დასაფლავებული) აღავლინოს:

"ღმერთი მოწმობს იმას, რომ არ არს სხვა ღმერთი მის გარდა, მისია გამოცხადების სასუფეველი და შემოქმედების არსი. ჭეშმარიტად მან მოავლინა ის, ვინც მისი გამოცხადების განთიადია, ვინც სინონის მთიდან იქადაგა, ვისი მეშვეობითაც გაცისკროვნდა ღვთიური ჰორიზონტი და ლოტოსის ხე, რომლის მიღმაც ქვეყნიერების კიდეა – ამეტყველდა, და აღმართა შეძახილი, რომელიც მიწვდა ყოველს: ზეცასა და დედამიწაზე: ისმინეთ, რადგან მოგევლინათ ყოვლადმფლობელი, ხმელეთი და სამოთხე, დიდება და ძალაუფლება ღმერთის არსია, იგი არს კაცთა მეუფე და მპყრობელი ციური ტახტისა და მიწისა მის ფეხქვეშ!".

შემდეგ მლოცველმა ხელები მუხლებზე უნდა დაიწყოს და თაყვანისცემის ნიშნად თავი დახაროს:

"შენ აღემატები ჩემსა და ჩემს გარშემო მყოფთა ქება-დიდებას, მიუწვდომელი ხარ ჩემი და არა მიწაზე მყოფთა აღწერილობისათვის!".

შემდეგ მლოცველმა ხელისგულები სახესთან უნდა მიიტანოს და ფეხზე მდგომმა წარმოთქვას:

"ჰოი უფალო, ნუ დაანაღვლიანებ მას, ვინც მავედრებული ხელებით შენი წყალობისა და ნეტარების ნაწიბურებს შეეხო, ჰოი, შენ, მოწყალეთა შორის უმოწყალესო!".

ამის წარმოთქმის შემდეგ მლოცველი უნდა დაჯდეს და თქვას:

"ვადასტურებ უფალო შენს ერთობას და ერთადერთობას. შენ ხარ ღმერთი და არა არს სხვა ღმერთი შენს გარდა. შენ მოგვივლინე ჭეშმარიტად საქმე შენი, აღასრულე აღთქმა შენი და შენი წყალობის კარიბჭე ართოდ გააღე ცისა და მიწის ბინადართათვის. კურთხევა და მშვიდობა, თანხმობა და დიდება მოუვლინე შენზედ მლოცველებს, რომლებმაც მიუხედავად მიწიერი ამაოებისა პირი შენსკენ იბრუნეს და გასცეს ყოველი შენთან თანდასწრების მოპოვების იმედით. შენ ჭეშმარიტად ხარ ყოვლის მიმტევებელი ყოვლადუხვი".

შემდეგ, როგორც ბაჰაის ლოცვების კრებულშია ნათქვამი: თუკი მლოცველი ისურვებს გრძელი სტროფის ნაცვლად შეუძლია წარმოთქვას:

"ღმერთი მოწმე, რომ არა არს სხვა ღმერთი მის გარდა, დამხმარე გაჭირვების ჟამს, თვითარსისა".

ასევე საკმარისი იქნება თუკი დამჯდარი წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს:

"ვადასტურებ უფალო, შენს ერთობას და ერთადერთობას, შენ ხარ ღმერთი და არა არს სხვა ღმერთი შენს გარდა".

რაც შეეხება მესამე, ვრცელ სავალდებულო ლოცვას, იგი 24 საათში ერთხელ წარმოითქმის. ლოცვა მართლაც ვრცელია, ამიტომ მხოლოდ მის დასაწყისს და ბოლოს მოვიტანთ, ასევე გადმოვცემთ ამ ლოცვის წარმოთქმის წესსაც: ვისაც ამ ლოცვის წარმოთქმა სურს უნდა წამოდგეს და სახე ღმერთისკენმოაქციოს და თავის ადგილზე მდგომმა თავი შეაბრუნოს მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს თავისი მეუფის წყალობას მოელის – ყოვლადმოწყალის, შემწყნარებელის. შემდეგ კი დაიწყოს:

"ო, შენ, რომელიც ხარ სახელთა მეუფე და სამოთხის შემქმნელი! მე გევედრები იმათი სახელით, ვინც შენი უხილავი არსის ცისკარია; ყოვლად აღმატებულის, ყოვლად დიადისა, რომ ლოცვა ჩემი, ცეცხლად აქციო, რომელიც დაწვავს რიდეს, შენს სილამაზეს რომ მიფარავს; და სინათლედ შენი თანდასწრების ოკეანისაკენ რომ გამიძღვება".

შემდეგ, მკოცველებმა უნდა ვედრებით აღაპყროს ხელები ღმერთისაკენ და სთქვას:

"ჰოი, შენ ქვეყნიერების სურვილო და ერთა მიჯნურო... მე ვარ მსახური შენი, ჰოი, ჩემო, და ძე შენი მსახურისა, გადმომხედე, შენი ნებისა და სურვილის აღსასრულებლად მზადმყოფსა და არაფრის მოსურნეს... მე მსურს მხოლოდ ის, რაც შენ გწადია და მიყვარს მხოლოდ ის, რაც შენ შეგიყვარდა".

შემდეგ მლოცველმა მუხლი უნდა მოიხაროს, მუხლით მიწას შეეხოს და წარმოთქვას:

"შენ აღემატები ყოველთა აღწერილობას და ყოველთა წვდომას შენს გარდა თვინიერ". შემდეგ უნდა ადგეს და სთქვას:

"აქციე ჩემი ლოცვა, უფალო ჩემო, უკვდავების წყაროდ, რომლის მეოხებითაც ვიცხოვრებ იქამდე, სანამ შენი უზენაესობა იარსებებს და შენ სამყაროთა ყოველ სამყაროში, აღვავლენ შენ ხსენებებს".

მორწმუნემ კვლავ ვედრებით უნდა აღაპყროს ხელები და სთქვას: "ჰოი, შენ, ვისთან განშორებამაც გაალღვო გულები და სულები, და ვისი სიყვარულის ცეცხლმაც მთელი სამყარო ცეცხლში გახვია!... შენია მეუფება, ბრძანო ის, რასაც ინებებ. ვადასტურებ, რომ შენ უნდა შეგასხან ხოტბა შენ საქმეებში, დაგემორჩილონ შენს მცნებებში და რომ ხარ შეუზღუდავი შენს ბრძანებებში".

შემდეგ მლოცველი აღმართავს ხელებს და სამჯერ წარმოთქვამს ალა'უ'აბჰა (ღმერთი, ყოვლად დიდებული). შემდეგ მუხლებზე ხელებდაწყობილი უნდა დაიხაროს ღმერთის წინაშე და სთქვას:

"შენ სჭვრეტ, ჰოი, ჩემო ღმერთო, როგორ აღიგზნო ჩემისული, სხეულის ყოველ კიდურში შენი თაყვანისცემის სწრაფვაში; და შენი ხსენებისა და განდიდების ლტოლვაში;

...მე მსურს შეგავედრო ყოველივე, რაც შენ გახლავს, რათა გავამხილო ჩემი სიღატაკე და გავაზვიადო შენი სიუხვე და შენი სიმდიდრე, რათა განვაცხადო ჩემი უძლურება და მოვავლინო შენი ძალა და შენი ძლევამოსილება".

შემდეგ, მლოცველი უნდა გაიმართოს და ვედრებით ორჯერ აღაპყროს ხელები წარმოსათქმელად:

"არ არს სხვა ღმერთი შენს გარდა, ყოვლისშემძლის, ყოვლადუხვისა. არა არს სხვა ღმერთი, შენს გარდა მბრძანებლისა, დასაბამიდან დასასრულამდე... შენი არს მეუფება ოველ დროთა., ჰოი შენ, სახელთა მეუფევ, ჩემი კი მორჩილება და შენი ნებისადმი თვინიერების წადილი, ჰოი სამოთხის შემქმნელო!".

შემდეგ მლოცველი სამჯერ აღაპყრობს ხელებს და ამბობს:

"ღმერთია უდიდებულესი, ოველ დიდებულთა შორის!"

შემდეგ მუხლს მოიყრის, მუხლით მიწას შეეხება და წარმოთქვამს:

"ძალზედ ამაღლებული ხარ შენ... არ არს სხვა ღმერთი შენს გარდა., ყველაზე ამაღლებული უდიდებულესი".

შემდეგ უნდა დაჯდეს და სთქვას:

"მე დასტურ ვყოფ იმას... რომ შენ ხარ ღმერთი, რომ არა არს სხვა ღმერთი შენს გარდა... ვისი მეშვეობითაც ასოები სიტყვისა "იყავნ" შეერწყვნენ და გადაესკვნენ ერთმანეთს.

მე ვადასტურებ, რომ იგი არს ის, ვისი სახელიც ყოვლად დიდებულის კალმით იქნა მოვლენილი და ღვთის წიგნებში იყო მოხსენებული, მეუფე ცისა და დედამიწის ტახტრევანისა".

შემდეგ მორწმუნე უნდა გასწორდეს და წარმოსთქვას:

"ჰოი, უფალო, ყოველი არსისა და მფლობელო ხილულ და უხილავ საგანთა!... ჩემი შეცოდებანი მაბრკოლებენ მოგიახლოვდე შენ და ცოდვანი ჩემი სიწმინდის ზღურბლისაგან შორს მრიყავენ. შენმა სიყვარულმა, ჰო, ჩემო უფალო, გამამდიდრა, შენთან განშორებამ კი დამაქცია, და შენგან სიშორემ დამაუძლურა. შენ გევედრები... შემეწიო, რათა ვიხილო შენი სილამაზე და აღვასრულო ყოველივე ის, რაც შენს წიგნშია მოვლენილი".

შემდეგ მლოცველმა სამჯერ უნდა გაიმეოროს უდიდესის სახელი, მუხლებზე ხელდაწყობილი დაიხაროს და სთქვას:

"დიდება შენდა ჰოი, ჩემო ღმერთო..."

შემდეგ უნდა გაიმართოს და სთქვას:

"ო, ღმერთო, ჩემო ღმერთო! ჩემი ზურგი, ჩემს ცოდვათა სიმძიმემ მოხარა, დაუდევრობამ კი გამანადგურა. როდესაც ჩემს ცუდ საქციელთ და შენს კეთილგანწყობას ვსაზღვრავ... სირცხვილისაგან ვწითლდები, რათა სახე მოგაპყრო შენ, და ვერ გამიბედავს, სურვილით შეპყრობილი ჩემი ხელები, შენი სიუხვის ზეცისკენ გავაწვდინო... მე გევედრები, შენი სამეფოს ნიშნებითა და შენი უზენაესობის საიმედოობით, მოექცე შენს მსახურთ ისე, როგორც ეს შენ სიუხვეს შეეფერება...".

შემდეგ მლოცველმა სამჯერ უნდა გაიმეოროს უდიდესი სახელი, შუბლით მიწას შეეხოს და სთქვას:

"განდიდებული იყავ, ჰოი, ჩვენო ღმერთო, რადგან მოგვივლინე ის, რაც შენს არსებას გვაახლოებს, და ყოველი სიკეთით უზრუნველგყოფს, რომელნიც შენ გამოამჟღავნე შენს წიგნებსა და წერილში. დაგვიცავი, გევედრებით შენ, ჰოი, ჩემო უფალო, ფუჭ ზმანებათა და ამაო წარმოსახვათაგან, შენ ჭეშმარიტად, ხარ ძლევამოსილი, ყოვლისმცოდნე".

და ბოლოს, მლოცველმა თავი უნდა ასწიოს, დაჯდეს და სთქვას:

"ვადასტურებ, ჰოი, ჩემო ღმერთო, იმას, რაც შენს რჩეულთ მიერ იქნა დადასტურებული, და ვაღიარებ იმას, რაც უზენაეს სამოთხის მკვიდრთა და შენი

დიდების გარემომცველთა მიერ იქნა აღიარებული. მიწისა და ზეცის საუფლო შენ გეკუთვნის, ჰოი, ქვეყნიერების მეუფეო!".

როგორც ზემოთ ვთქვით, ეს არის სამი სავალდებულო ლოცვა, რომელთაგან ერთ-ერთის წარმოატქმა საკმარისია და იგი აუცილებლად აღწევს თავის დანიშნულებას. როდესაც ბაჰაის მიმდევრები შეკრებაზე ერთად იყრიან თავს მაშინ სხვა ლოცვებს კითხულობენ და გალობენ. არის საერთო და სპეციალური ლოცვები. ლოცვათა კრებულში, ტრადიციულად სამი აუცილებელი ლოცვის გარდა შეტანილია მრავალი სხვა ლოცვაც, რომელთაც ნაირნაირი დანიშნულება აქვთ. ასე მაგალითად: არსებობს ლოცვები განკუთვნილი ბავშვებისა და ყმაწვილებისადმი, მიცვალებულისადმი, ქორწინებისადმი, მარხვისადმი, განმარტოებულთათვის, მშობლებისადმი, მომლოდინე დედებისადმი, განკურნებისათვის, მიტევებისათვის, კაცობრიობისათვის, მოგზაურებისადმი და ა.შ. არის დილის, ღამის და შუაღამის ლოცვები. საწინამძღვარო ლოცვები გზააბნეულთათვის და ა.შ. აქვე მოთავსებულია ლოცვა და წესი ჰუყუყულას (შესაწირის) შესახებ, რომელიც ბაჰაელთა აზრით თვით უფალს აქვს დაწესებული.

ბაჰაის მიმდევრები ზეიმობენ ახალ წელს, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. ეს არის დღე მხიარულობისა და სტუმარ-მასპინძლობისა. ბაჰაის ერით ახლა 159-ე წელია, წელიწადი შედგება 19 თვისაგან, თვეში 19 დღეა. ფართოდ აღინიშნება მე-19-ე დღის დღესასწაული. არის ასევე აიამიჰას ანუ ჩასმული დღეები – ეს არის ბაჰაის კალენდრით მულკისა და ალას თვეებს შორის, 26 თებერვლიდან 1 მარტამდე. ბაჰაის მიმდევრები მარხულობან 2 მარტიდან 20 მარტამდე (ჩათვლით). მათთვის, ამის გარდა წმინდა დღეებად ითვლება: პირველი დღე რიზვანისა – 21 აპრილი, მე-9 დღე რიზვანისა – 29 აპრილი, მე-12 დღე რიზვანის დღესასწაულისა – 2 მაისი, ბაბის დეკლარაციის დღე – 23 მაისი, ბაჰაულას ზეცად ამაღლების დღე- 29 მაისი, ბაბის მოწამეობრივი სიკვდილი – 9 ივლისი, ბაბის დაბადების დღე – 20 ოქტომბერი, ბაჰაულას დაბადების დღე – 12 ნოემბერი, აღთქმის დღე – 26 ნოემბერი, აბდულ ბაჰას ზეცად ამაღლება – 28 ნოემბერი.

6. ბაჰაის რწმენის შეფასება

როგორც ვნახეთ, ბაჰაის მოძღვრება საკმაოდ თავისებური რელიგიაა. იგი, როგორც ნებისმიერი სხვა რელიგია, თავის განსაკუთრებულობას, უპირატესობას და ჭეშმარიტებას უსვამს ხაზს. მათი აზრით, ღმერთის შეცნობის დიდ გზაზე სხვა რელიგიები, მათ შორის იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი თუ ისლამი, თავის დროზე უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ უკვე განვლილი ეტაპებია. ახლა ბაჰაის ჯერია და სანამ სხვა წინასწარმეტყველი მოვიდოდეს მანამდე მის მოძღვრებას უნდა მივდიოთ.

ბაჰაის რწმენისმიმდევარნი ცხადია არ შეიძლება "იეღოვას მოწმეებს" შევადაროთ. ისინი ქუჩებში, ბაღებსა თუ სკვერებში არ უსაფრდებიან ადამიანებს, სახლებში არ ეჭრებიან უცხო ოჯახებს და ასეთი გზით არ ცდილობენ საკუთარ რწმენაზე მათ გადმობირებას. ბაჰაის მიმდევარნი არც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ახდენენ ცოდ გავლენას და თუ ხელისუფლებამ მოითხოვა არც ჯარის საბრძოლო ნაწილებში წასვლაზე აცხადებენ უარს. სახელმწიფოსადმიც უფრო ლოიალურნი არიან ვიდრე იეღოველები, მაგრამ ინდივიდუალურ პროზელიტიზმს სხვაგან თუ ჩვენში მაინც მიმართავენ. სხვაგვარად, საიდან გაჩნდებოდა მსოფლიოში 6 მილიონი და თუნდაც საქართველოში 2000-მდე ბაჰაი?

ეწინააღმდეგება თუ არა ბაჰაელთა რწმენა სხვა რელიგიურ რწმენას და მოძღვრებას? რასაკვირველია ეწინააღმდეგება: იუდეველები ისევე ელიან თავისი მესიის გამოჩენას, ქრისტიანები ქრისტესმეორედ მოვლინებას, ხოლო მუსლიმები მაჰდის მოსვლას და აზრადაც არ მოსდით მათ შემცვლელ წინასწარმეტყველად ბაჰაულას აღიარება.

როგორი უნდა იყოს მართლმადიდებელი ქვეყნის დამოკიდებულება ამ რელიგიისადმი? რასაკვირველია ცივილური. ორი აზრი არ აარსებობს იმაზე, რომ მართლმადიდებელ ქვეყანაში მოსახლეობა უნდა გაუფრთხილდეს თავის ტრადიციულ ქრისტიანობას, დაიცვას ის სხვა დენომინაციების ხელყოფისაგან, როგორც სხვაგვარად ამბობენხოლმე, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმისაგან; მაგრამ თუკი ისინი მაინც არსებობენ ჩვენს ქვეყანაში, მაშინ როგორ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ? რასაკვირველია შეწყნარებლური, რადგან, თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ ევროპული, დემოკრატიული და ტოლერენტული ქვეყანა ვართ, ალბათ უნდა წავბაძოთ კიდევაც ასეთი სახელმწიფოების ქმედებას. ამ მხრივ თუნდაც ისრაელი ავიღოთ, სადაც იუდაიზმი გაბატონებული და პრივილეგირებული რელიგიაა, მაგრამ ლოიალურად და პატივისცემით ექცევა ბაჰაიზმს, რომლის სასულიერო ცენტრი სწორედ მათ ქვეყანაში, ქალაქ ხაიფაშია. იგი ხომ მრავალრიცხოვანი ადამიანების თავშეყრის და თაყვანისცემის ადგილს წარმოადგენს. აქ უამრავი მორწმუნე მოდის და მათ არავინ ზღუდავს, არავის აზრად არ მოსდის ებრძოლოს მის მოძღვრებას.

ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელი რელიგიის მიმდევარიც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად საქართველოს პატრიოტი, მისი ფასეულობათა აქტიური დამცველი და დამფასებელი იყოს.

გაზეთი "სრულიად არასაიდუმლოდ" #89-90,
2002 წ. ოქტომბერ-ნოემბერი.

X. ბიბლია, იოანე ზოსიმე, ქართული ანბანი

და ცოტა ფანტაზია

(ანუ მართლა მოხდა თუ არა ქრისტეს მეორედ მოსვლა საქართველოში)

ამ გამაოგნებელი ამბის შესახებ ბევრს არაფერი გაუგია, არც პოზიციას და არც ოპოზიციას. თუ გაუგიათ – არ სჯერათ და უბრალოდ იცინიან. სანამ პრეზიდენტი “ტრუბით” არის გართული, პარტიები ადგილობრივი თვითმმართველობის თუ მომავალი საპარლამენტო არჩევნებით, მართლმადიდებელი ეკლესია ბეჯითად ასრულებს ოდითგან დაწესებულ წეს-ჩვეულებებს და რიტუალებს, საბიუჯეტო თუ სხვა კრიზისის გამო ულუკმაპუროდ დატოვებული, “ტრუბაში” გატარებული ხალხი მოუთმენლად ელოდება ხელფასებს, ამასობაში, ყველასაგან მოულოდნელად, იესო ქრისტე მეორედ გამოგვცხადებია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობა “ახალი სიტყვა”...

ყველაფერი ეს, თუ ამ ახალი ღვთაებრივი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და დამაარსებელის, მწერალ აკაკი ჯორჯაძის სიტყვებს ვირწმუნებთ, 1994 წლის 26 მარტს, საღამოს 4-7 საათის ფარგლებში დაიწყო. შემდეგ კი, 1995 წლის 9 იანვარს, თბილისის დროით ზუსტად 2 საათზე – "სულით მოსულმა სიტყვამ მყისიერად დაიწყო ფიზიკურში შობა-დაბადება, იესო ქრისტეს სხეულებრივი შობიდან ზუსტად 2000 წლის თავზე".

სხვაგვარად, სწორედ ამ დროს დაიწყო ის, რასაც საუკუნეები მოუთმენლად ელოდა ხალხი – ქრისტეს მეორედ, ამჯერად სულიერი მოსვლა.

"მეორედ მოსული ქრისტე – სიტყვა, ნათქვამია "ახალი მოძრაობის" მიმართვაში ქართველი ერისადმი, - მოვიდა – და მოდის ჩვენს – ადამიანთა გადასარჩენად! მაგრამ გადარჩენა ჩვენზეა დამოკიდებული – ჩვენ უნდა ვისურვოთ გადარჩენა, რისთვისაც საჭიროა მოსული ქრისტეს – სიტყვის რწმენით მიღება და აღიარება, ცხოვრებაში მისით ხელმძღვანელობა.

მეორედ მოსული ქრისტე – სიტყვა - გვამცნობს, რომ ღმერთის საუფლოში – სულიერ სამყაროში, დედამიწაზე სიცოცხლის დაღუპვა უკვე გადაწყვეტილია, დამღუპველი ერები, პიროვნებები უკვე შერჩეულია, დრო განსაზღვრულია. ახლა მხოლოდ ჩვენ – ქართველებს (ღმერთის რჩეულებს) შეგვიძლია შევცვალოთ ეს წინასწარ განსაზღვრული ბედისწერა სიცოცხლის გახანგრძლივებით, მხოლოდ ქართველებს ხელგვეწიფება მსოფლიო მხეცისა და სატანის ძლევა.

სანაცვლოდ ჩვენი ქვეყანა არა მარტო თავს დააღწევს მოსპობასა და განადგურებას, არამედ სამარადჟამოდ გავბრწყინდებით, რომლებთანაც ყველა ქვეყნის "მეფენი" მოიტანენ თავიანთ დიდებას და პატივს!"

როგორ თუ 2000 წელს, პირველ რიგში ამას იკითხავს ალბათ გაკვირვებული და გაოცებული მკითხველი, განა ახლა რომელი წელია? და მართალიც იქნება, მაგრამ, საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევართა მიხედვით ახლა 1998 წელი კი არ არის, არამედ 2004 წელია. ამ მოძრაობის ადეპტთა მტკიცებით: "მაცხოვარი დაბადებულა არა ახალი წელთაღრიცხვის 1 წელს, არამედ ძვ. წ. აღრიცხვის 6 წელს. ეს კი ადასტურებს ახალი სიტყვის ცნობას, რომ კალენდარულ 1995 წელს ქრისტეს შობიდან 2000 წელი გასულა. წელს 1998 წელი კი არ არის, არამედ 2004 წელია ქრისტეს პირველი მოსვლიდან, ხოლო მეორედ მოსვლის დაწყებიდან 4 წელი" (გაზ. "ახალი იერუსალემი" №1).

ყოველივე ამის დასამტკიცებლად "ახალი სიტყვის" მიმდევრები, სხვა არგუმენტებთან ერთად, იშველიებენ საქართველოს საპატრიარქოს გამოცემულ ბიბლიაში 1215-ე გვერდზე მოტანილ ცნობას, სადაც წერია, რომ: "მაცხოვარი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს ძვ.წ.აღ. 4 წლისა, რადგანაც სწორედ ამ წელს გარდაიცვალა ჰეროდე დიდი. აქ ნაჩვენები თარიღი 7/6 ეფუძნება ახალი აღთქმის მეცნიერების უახლოეს გამოკვლევებს".

ასეა ეს თუ არა, მოდით ჩვენ 1994 წლის 26 მარტს დავუბრუნდეთ. მაინც რა მოხდა ღირსშესანიშნავი ამ დღეს, რა მოხდა შემდეგ და რა ხდება დღეს? როგორც

ღვთაებრივი მოძრაობა “ახალი სიტყვის” მიმდევრები ამტკიცებენ, ამ დღეს დიდი სასწაული მომხდარა, მწერალ ბატონ აკაკი ჯორჯაძეს დამატებითი არხი, უზენაესთან უშუალოდ დამაკავშირებელი ხაზი გახსნია და იგი ადამიანურ ცნობიერებაზე ამაღლებულა, რის შემდეგაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: ამ დღეს “უფალი გაენდო მართლმადიდებელი ცნობიერების ქართველს, ვისაც მამისაგან ეწოდა სასძლო ადამიანი (კაცი), ხოლო ქართველ ერს უწოდა მამამ სასძლო ერი, რაც ღვთაებრივი პასუხისმგებლობის უშველებელი ტვირთის ზიდვაა”.

ამ ამბის შემდეგ ბატონმა აკაკიმ გამოაცხადა:

“დღეს მეორედ მოსვლაა! მეორედ მოსვლა მოხდა სულში და ხდება სულში – სულით – სიტყვის სახით, ანუ მეორედ მოსვლა სულიერი მოვლენაა – დროში გადაწყვეტილი! იგი მოხდა და ხდება, ანუ გრძელდება განსაზღვრულ დრომდე აქ, ჩვენთან, საქართველოში, კავკასიონზე! იგი ეხება დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს განურჩევლად, ანუ მეორედ მოსვლა ზოგად-საკაცობრიო ღვთაებრივი მოვლენაა!

მეორედ მოსვლა მსგავსია იესო ქრისტეს სხეულებრივად პირველი მოსვლისა, მსგავსია დედის საშოში ბავშვის ჩასახვის, ზრდა-განვითარების და დაბადებისა. მეორედ მოსვლა მკაცრად არის განსაზღვრული დროში, დროში განივთებული ყველა ღვთაებრივი საიდუმლო, დროში ხდება ყველა ღვთაებრივი საკითხის გადაწყვეტა?

ბატონი აკაკი ჯორჯაძის ეს სიტყვები, მისივე თქმით, ეფუძნება იმ ბიბლიურ დებულებას, რომლის მიხედვითაც ქრისტე არის სამყაროს, კოსმოსის, მაღალი ღმერთის გონში დაბადებული სიტყვა.

ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მოთავეთა აზრით, ქრისტეს მეორედ მოსვლით დასრულდა “კლდის” – პეტრეს ერა და დაიწყო “სიტყვის” – იოანეს ერა: მეორედ მოსვლით დასრულდა “თევზების” – პეტრეს ერა და დადგა “მერწყულის” – იოანეს ერა. მეორედ მოსვლის მიზანი დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენა და გახანგრძლივებაა და არა ქვეყნის აღსასრული...”

მეორედ მოსვლა ხდება (მოხდა!) აქ, საქართველოში. კითხვაზე – თუ რატომ იქნა არჩეული მაინცდამაინც საქართველო? თუ რით დავიმსახურეთ ეს დიდი პატივი ჩვენ, ამის შესახებ ბატონი აკაკი ვრცლად საუბრობს.

მისი აზრით, ახლა ებრაელები კი არა, ქართველები არიან ღვთის რჩეულები, ხოლო “საქართველო არის ქვეყანა, სადაც მამა – მაღალი ღმერთი უშუალოდ უკავშირდებოდა ზოგადად ადამიანს; საქართველოა მისი “სასძლო ქალაქი”, სადაც დგას მამის “ტახტი” სულში, რომელსაც ირგვლივ აკრავს 12 ბჭე... 12 ბჭე საქართველოს 12 კუთხეა”.

ე. ი. ჩვენ, აგრძელებს ბატონი აკაკი, “გიორგისთან” – ქართველ ერთან გვაქვს საქმე – ქართველმა ერმა უნდა გაიგოს და ირწმუნოს, რომ მას ღვთაებრივი მისია აკისრია ოდითგანვე და ეს ცნობიერება განივთებულია ბიბლიურ წყაროებში...

ეს მხსნელი სიტყვა, - იმეორებს სხვა ადგილას ბატონი აკაკი, - აქ არის ჩვენთან, საქართველოში, ქართველებთან და ახლა მისი შეცნობა, შემდგომ კი “განათვლა” –

რწმენით აღიარება და მისით ახალი ყოფითი ცხოვრების შესაქმენლად პირველი ნაბიჯების გადადგმა გვმართებს; უწინარესად უნდა შევიგნოთ, რომ ჯერ საკუთარი თავი გვყავს შესაცნობი! ეს არის ზოგადი განსაზღვრება, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ნების მიუხედავად, ამ ყოფით, მოქმედი სისტემებით, რომლებიც ეყრდნობა არსებულ (ევ-ას) ცნობიერებას, სიცოცხლე დედამიწაზე დასასრულს უახლოვდება და გადარჩენისათვის ჩვენ ბიბლიური ნინეველების მაგალითი თუ გვიშველის.

ყველას ახსოვს, რომ ღმერთმა ნინეველების დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ ნინეველები არ დაიბნენ, მათი იწამეს ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან-პატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ. ეს ამბავი რომ შეიტყო ნინეველთა მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალო ჩაიცვა და ნაცარზე დაჯდა... შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ და აღარ უყო... "ნინეველები დღეს უწინარეს ყოვლისა ჩვენა ვართ, - აცხადებენ ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევრები, – ქართველი ერი! ქართველები თუ დავაგდებთ ბოროტების გზას, გადარჩენის შანსიც გვეძლევა. "ბოროტების გზის დაგდება" აბსტრაქტული ცნებაა – მოწოდებაა, რაც ფაქტიურად ნიშნავს არსებულისაგან სრულიად განსხვავებულ ახალ ქმნადობას, რომელიც საფუძველშივე ცვლის ყოფას და ამ ყოფის განმსაზღვრელ სისტემებს".

რაკი ქრისტეს მოვლინება საქართველოში ხდება, შესაბამისად, ქართველ ხალხს უდიდესი მისია ეკისრება – აღადგინოს ოდესღაც მის აზროვნებაში მოკლული და ამგვარად დაკარგული ღვთაებრივი ჭეშმარიტება, ამავე დროს, მეორედ მოსვლა ზნეობრივი მოვლენაა, ლაზარეს აღდგენა-აღდგინება დღემდე დაკარგული ღვთაებრივი ზნეობრიობის აღდგენა-დაბრუნებაა.

სხვაგვარად, ღვთაებრივი ზნეობრიობის დაბრუნება-აღდგენა გულისხმობს ფიზიკური ძალის – ძალადობის გამოყენებაზე რწმენით უარის თქმას და ცხოვრებაში მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით ხელმძღვანელობას.

ბატონ აკაკი ჯორჯაძის მიერ ჩამოყალიბებულ სწავლებაში და არგუმენტირებაში ძირითად როლს ასრულებს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი და იდუმალებით სავსე ლიტერატურული ძეგლი იოანე ზოსიმეს "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", მისი გაშიფრვა და მასში ჩადებული საიდუმლოს გამომზეურება. ამ ძეგლის ტექსტზე, როგორც ცნობილია, მრავალ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ავტორს უმუშავია და მასზე მრავალი, ურთიერთგამომრიცხავი აზრიც არის გამოთქმული. ბატონი აკაკი თავის ვერსიას გვთავაზობს და მას მნიშვნელოვან "შიფრად", "კოდად" თვლის ბიბლიური საიდუმლოების გარკვევისათვის.

მისი აზრით, მეორედ მოსვლა სულიერი მოვლენაა, რომელიც მხოლოდ ქართული ენით შეიცნობა, გაინათლება... მეორედ მოსული ქრისტე – ახალი სიტყვა გვიხსნის, რომ ქართული ანბანი სხვა ანბანებთან შედარებით სრულყოფილია და მისი ყოველი ასო-ნიშანი არის წმინდა ქართული წარმოშობის, ჩვენი ანბანიდან არის სხვათა ანბანები შექმნილი და ჩვენ სხვისაგან არაფერი გვაქვს აღებული. ამ გაგებით ჩვენს მეცნიერებს შესაცვლელი ექნებათ "აქცენტი" და ახლა იმის მტკიცება მოუწევთ, ჩვენგან ვის, როდის და რა აქვს წაღებული. ჩვენი ანბანი მამისაა, დასაბამისეული... "ჩვენი ანბანიც (მსოფლიოში ერთადერთი!), – აგრძელებს თავის მსჯელობას ბატონი

აკაკი, - შედგება 37 ასო-ნიშნისაგან! ესე იგი, ჩვენმა ქართულმა ანბანმა (როგორც ქრისტემ, ქრისტეს ცნობიერების შემცველ-მატარებელმა), ოდითგანვე მამისაგან იცოდა და დღესაც იცის ის საიდუმლო, რითაც ადამიანს შეუძლია თავის შემქმნელ ღმერთს – მამას დაუკავშირდეს, - დაბრუნდეს "ედემის ბაღში", საიდანაც იქნა გამოგდებული.

როგორ გამოვიყენებთ ამ ცოდნას დღეს, ამას მომავალი გვიჩვენებს, დღითიდღე გამოჩნდება, საიდუმლოს ამოხსნა-გახსნა, ჩვენგან თქმული მამის სიტყვის, ზოგადად – მეორედ მოსვლის რწმენით მიღებასა და აღიარებაშია.

რწმენით მიღება და აღიარება კი, საქმით (ნიშნებით!) უნდა დადასტურდეს – ღმერთის სიტყვასთან ჭიდილი, ვაჭრობა, უმოქმედოდ ჯდომა და ლოდინი არ ნიშნავს რწმენით მიღებას და აღიარებას.

არადა, მძლეველი ერისათვის სამოთხის კარი გაიღო, იღებაო! გვინდა შესვლა, თუ არ გვინდა!.. და ბოლოს, მისი აზრით, მხოლოდ ქართველმა იცის, რომ ლაზარე არის ქართული ენა... "ლაზარე" ქრისტეს მოსვლამდე "დაწუნებულია", დამცრობილია, მკვდარია, ქრისტეს მოსვლის შემდეგ კი იგი უნდა აღდგეს, მოხდეს მისი აღდგინება.

აქ უკვე იკვრება წრე და ახალი მოძრაობის მიმდევართა აზრით ნათელი ხდება ის დიდი მისია, რომელიც ქართველმა ხალხმა უნდა შეასრულოს.

მეორედ მოსვლისათვის, ამ ახალი მოძრაობის მოთავეთა აზრით, განსაზღვრულია 7 წელიწადი. თუ ქრისტე-სიტყვის მეორედ მოსვლა-შობა ემთხვევა ქრისტეს პირველი სხეულებრივი შობიდან ზუსტად 2000 წლისთავს, მეორე მოსვლისათვის და ჩვენთვის სამოქმედოდ დრო მთლიანად მთავრდება არსებული კალენდრით: 2001 წლის 9 იანვარს, თბილისის დროით დღის 2 საათზე.

რა უნდა გაკეთდეს, რა უნდა მოვასწროთ ამ დროის მანძილზე – პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ვძლიოთ მხეცი და სატანა. ვინაიდან ქართველი ერი სასძლო ერია, იგი უნდა განემზადოს სიძის შესახვედრად, რომლისგანაც მან უნდა შვას-ძე, სხვაგვარად, მძლეველობა უკავშირდება სასძლო-ერისაგან, "გიორგისაგან" მეორედ მოსვლის რწმენით მიღებას და აღიარებას.

თუ "ნინეველებივით" მოვიქცევით და ეს "ნინეველები", როგორც უკვე ითქვა, დღეს უწინარეს ყოვლისა ჩვენა ვართ, ქართველი ერი, ქართველები თუ დავაგდებთ ბოროტების გზას, გადარჩენის შანსიც გვეძლევა. "ბოროტების გზის დაგდება" აბსტრაქტული ცნებაა – მოწოდებაა, რაც ფაქტიურად ნიშნავს არსებულისაგან სრულიად განსხვავებულ ახალ ქმნადობას, რომელიც არსებულზე დაყრდნობით, საფუძველშივე ცვლის ყოფას და ამ ყოფის განმსაზღვრელ სისტემებს.მოსული სიტყვის – ქრისტეს აღიარებით და ლაზარეს აღდგინებით, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, "ახალი სიტყვის" მიმდევართა აზრით, "გიორგი" – ქართველი ერი ჭეშმარიტად გაბრწინდება და მამის "ტახტი" ჩვენთან – "ახალ იერუსალემში" დაიდგმება, სადაც "ქვეყნის მეფენი მოიტანენ თავიან დიდებას და პატივს (გამოცხადება 21, 24). ეს გახლავთ მამისაგან ბოძებული გვირგვინი!..

*

* *

.ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად ობიექტურად და კორექტულად გადმოგვეცა ბატონ აკაკი ჯორჯაძის და მისი მომხრეების მიერ შექმნილი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობა “ახალი სიტყვის” ძირითადი დებულებები, რისთვისაც გამოვიყენეთ გაზეთ “მეტი სინათლის” ნომრები, მისი დამატება “ახალი იერუსალემი”, ამავე მოძრაობის წევრის, მათემატიკოს გურამ ფანჩვიძის ბროშურა, რომელშიაც “ახალი სიტყვის” ძირითადი შინაარსი არის გადმოცემული. გამოვიყენეთ ასევე პირადი საუბრები მოძრაობის მომხრეებთან, ამასთანავე, შევეცადეთ, მათი აზრები და შეხედულებანი ძირითადად მათივე სიტყვებით გადმოგვეცა.

ჩვენ გავითვალისწინეთ ისიც, რომ ბატონ აკაკის განცხადებით, ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილია, მხოლოდ ნაწილი არის გადმოტანილ ქაღალდზე, დანარჩენი კი ჯერ კიდევ “მის თავშია” და მომავალში გადმოსატანია ქაღალდზე და მისაწოდებელია ერისათვის. ან როგორც თვითონ აცხადებს:

“ახლა მხოლოდ პირველ საფეხურს გავდივართ, ამდენად მნიშვნელოვანია ვაღიაროთ და ვირწმუნოთ ქრისტეს მეორედ მოსვლა და ახალი სიტყვა მოწოდებული ღმერთისაგან “კოდებით” “ლაზარეს ანბანის” გახსნილ-გაშიფრული დღემდე, ბიბლიაში ჩამალულ საიდუმლოებაზე, ბევრს ისეთს გვპირდება, რაც დღემდე არ სმენია და არ გაუგია მსოფლიო ადამიანს”...

*

* *

კი მაგრამ, იკითხავს გულწრფელად გაკვირვებული მკითხველი, თუკი ასეთი რამ მართლა მოხდა და ხდება, ასეთი საოცარი და დიდხანს ნანატრი ამბავი, ეკლესია რატომ სდუმს, რატომ არაფერს ამბობს, მას ხომ პირველს უნდა გაეგო, თუკი ასეთი სასწაული მოხდა. ტყუილად ხომ არ არის იგი შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის. განა სხვა, ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი ამბავი რა ევალება და ეკისრება მას? ამ კითხვაზე ღვთაებრივი მოძრაობა “ახალი სიტყვის” მიმდევრებს ასეთი პასუხი აქვთ – ჩვენი ეკლესია დაბერდა, ხელი აქვს გაწვდილი და მისგან სიკეთეს არ უნდა ველოდოთო. მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: “... ნუ ველით “დაბერებული” და ხელებგაწვდილი “პეტრესაგან” – ჩვენი ეკლესიისაგან, ამ ეკლესიის მსახურ მღვდელმთავრებისაგან მეორედ მოსვლის სიხარულის აღიარებას. ისინი, ამ დროს კაიფას მღვდელთმთავრები მსგავს მოქმედებას არჩევენ (სულით მოსულ ქრისტეს

ამჯერად ჯვარზე ვეღარავინ გააკრავს!). ისინი ჩვენ, ხალხმა, უნდა “წავიყვანოთ”, ვაღიარებინოთ, ვათქმევინოთ, რისი თქმაც არა ნებავთ – ანუ ჯერ ხალხმა უნდა ვირწმუნოთ ღმერთი, ქრისტეს სიტყვის მეორედ მოსვლა, რომ შემდეგ, როცა შეიტყობს ამას “მეფე”, ნებით და რწმენით “ტახტიდან” ჩამოვიდეს... ე.ი. ხალხს – ერს, “გიორგის” გვმართებს სათანადო რწმენით მოქმედება, რომ ღმერთისკენ გადავადგმევინოთ ნაბიჯი დაბერებულ “პეტრე” ეკლესიასაც და ქვეყნის მმართველ “მეფესაც”!.. სხვანაირად ეს სასწაული არ მოგვეცემა ჩვენ – საამისოდ სხვა ერიც მზადდება (იხ. გურამ ფანჩვაძე – ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდა და ხდება).

ყოველივე ზემოთქმულის დადასტურებას ისინი ცდილობენ იოანეს სახარებიდან მოტანილი ციტატით, სადაც ნათქვამია: “... სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა. როდესაც მოხუცდები, გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არა გსურს” (იოანე 21:18).

თუმცა შემდეგ მუხლში იოანე განმარტავს: “ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს”. ასეა თუ ისე, ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევართა აზრით, უნდა გადადგეს არა მარტო ეკლესია, არამედ თვით ქვეყნის მმართველი “მეფეცო”, ხელისუფლებაც, მაგრამ ისინი განსაკუთრებით ილაშქრებენ სამღვდელოების წინააღმდეგ, რომელიც მათ დრომოჭმულად მიაჩნიათ. გაზეთ “მეტი სინათლეს” ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ასეთი ლანძღვის ნიმუშებს არა მარტო დაბალი რანგის სამღვდელოების მიმართ, რომელთაც “ლიფსიტა წვეროსნებს” უწოდებენ, არამედ თვით კათალიკოს-პატრიარქის მიმართაც. ამის დასტურად გამოდგება გაზეთის 27-ე ნომერში გამოქვეყნებული ლექსები ვინმე თინა ბეჟანიშვილისა, რომელიც თითქოსდა სულით არის მიღებული და პირდაპირ ილია II ეხება:

“არა გვგონია ილია, მომხრე არ იყო კრავისა,ამავ დროს შენი გარემო ჭაობი არის ავისა...”

ან მეორე ადგილი ამავე ლექსიდან:

“შენს ცხოვრებას, კი იცი, მეცხვარის ყოფა სჯობია. –

იგი ლაღდება ველებზე მიმოფანტული ცხვარითა,

ტკბება მზის ჩასვლით, ამოსვლით და ანარეკლი სხივითა,

დილით ცისკრისა მშვენებით, სიცოცხლის მახარობლისა,

კლდეზე შემომდგარ ირემის ყელმოღერილი მშვენებით...

შენ კი ამ სამწყსოს შემყურეს, დუმილით რა გეშველება?

თითქოს ნამიან ბალახზე შენ ფეხი არ შეგიხია,

“გლესავ და გლესავ, ნამგალო”, ყანაში არ გიმღერია,

ურმის კოფოზე შემომჯდარს ურმული არ გიღიღინია, -

ქართველი ერის ტკივილი დღეს არად მიგიჩნევია?!”

ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევრები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, ცდილობენ “ახალი სიტყვის” ყველგან გავრცელებას, იმ აზრის დამკვიდრებას, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც იესო ქრისტე უკვე მეორედ, ამჯერად სულიერად მოევლინა ამ ქვეყანას, კერძოდ, საქართველოს. ცდილობენ შეაგნებინონ ქართველ ხალხს მასზე დაკისრებული უდიდესი სულიერი მისია.

ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევრები აქტიურად აკრიტიკებენ იმ ადამიანებს, ვინც ასეთ გამოცხადებას არა სცნობს, ლანძღავენ ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის წარმომადგენლებს, რომლებსაც ქრისტეს მეორედ ასეთი მოსვლისა არა სწამთ რა. ამ გაუთავებელი ლანძღვის გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესცენტრი იძულებული გახდა პასუხი გაეცა ამ ახლადდაბადებულ რელიგიური მოძრაობის მტკიცებებსა და ბრალდებებზე.

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

ბოლო წლებში გამოვიდა გაზეთი “მეტი სინათლე”. ამ გაზეთის სარედაქციო კოლეგიის უმთავრესი იდეა, რომელსაც ისინი ხშირად უბრუნდებიან, არის ის, რომ თითქოს მეორედ მოსვლა უკვე მოხდა (!). “იდეები” ამის გარდა უამრავია ამ ნაბეჭდ ორგანოში და მათ შესახებ ყურადღების გამახვილება საჭირო არც იქნებოდა ისეთი უძველესი ქვეყნის მცხოვრებლებისათვის, როგორიც საქართველოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ერის სარწმუნოებრივი გაუთვითცნობიერებლობის გამო საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას ზემოაღნიშნულის თაობაზე.

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში სრულიად მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ სამყაროს აღსასრულისას ქრისტეს მოსვლა იქნება მთელი სამყაროსთვის ხილული და დიდებით მოსული მაცხოვარი დასანახი იქნება ყველასთვის. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ქრისტე უკვე მოვიდა სულით, უხილავად, უჩუმრად, სრული გაუგებრობაა. ეს ის შემთხვევაა, რომლის საწინააღმდეგოდ თვით სახარება გვაფრთხილებს: “მაშინ, უკეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა თუ იქი, ნუ გწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტეს მტყუარნი და

ცრუწინასწარმეტყველნი...” (მთ. 24: 23-24). კიდევ ერთი თეზა გაზეთისა გახლავთ შეხედულება “პეტრე-ეკლესიის დაბერების” თაობაზე. ეკლესია მარადიულია, ის ადამიანი არ არის, რომ დაბერდეს და “ასაკის” გამო თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი სავსეა არალოგიკური აზრებით. მაგალითად: “სმენა გვეუბნება, რომ საქმე გვაქვს სმენასთან; სან-ის, მან-ის ენა არისო სმენა... “ხედვა” ეს არის: ხე-დვა; ანუ “ხე”-დვ არს, არისო არსის არისო...” მსგავსი ეტიმოლოგიური წიაღსვლები ამ გაზეთში მრავლადაა. სექტანტებში გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ მეორედ მოსვლისას ზუსტად 144000 კაცი გადარჩება, რედკოლეგია მართლმადიდებელ ეკლესიას მიაწერს. ეკლესია არასოდეს არ იაზრებდა ამ რიცხვს პირდაპირი მნიშვნელობით და მას სიმბოლურად განიხილავდა.

გაუგებარია N26 გაზეთის დასაწყისი: “გთავაზობთ საუბარს სასძლო კაცთან აკაკი ჯორჯაძესთან”. რას ნიშნავს “სასძლო კაცი”? ან როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები, რომელთაც გაზეთის ავტორები მეორედ მოსვლას უკავშირებენ: “ყოველივე წყდება აქ... კავკასიონზე, კავკასიონით!” ან რა აზრი უნდა გამოვიტანოთ სიტყვებიდან: “გიორგი, დედამიწა (!) თავის სხეულზე (!) იგრძნობს ამ გაცემა-გაყიდვის ფასს”. გაზეთის გამომცემლები წერენ: “ჩვენ გვავალებს ღმერთი ამ სიტყვის ადამიანებამდე მიტანას...” სხვა ადგილას კი გვხვდება ამგვარი სიტყვები: “ვაგრძელებთ ქალბატონ ლიას მიერ სულით (!) მიღებული ცნობების – სიტყვის “ჩაურევლად” ბეჭდვას”. ე.ი. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ღვთისგან ეუწყებათ ჭეშმარიტება.

ეკლესია ოდითგანვე განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ყოველგვარ გამოცხადებებს. ვინაიდან, გარდა ჭეშმარიტი გამოცხადებისა, არსებობს არაჭეშმარიტი, ეშმაკეული გამოცხადება. სატანას შეუძლია ნათლის ანგელოზის სახე მიიღოს და ადამიანი აცდუნოს. გაზეთ “მეტი სინათლის” შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, საუბარი რაიმე ჭეშმარიტ გამოცხადებაზე, თუკი “გამოცხადებები” საერთოდ აქვთ ამ გაზეთის მესვეურებს – შეუძლებელია.

განა ქ-ნი ლია, რომელიც იქვე წერს: “რას ითხოვს სამყარო-ოთხყარო (!), დედამიწა, ჩემი ოჯახი, ოჯახის უთვალავი წევრი ჩემგან? ჩვენგან?” შეიძლება კეთილი სულით შთაგონებული იყოს?

ხე ნაყოფით იცნობა. როგორი ნაყოფი და რა სული მოქმედებს ამ გაზეთში, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: “ადამიანი, რომელიც რწმენით არ შეიცვლის თავის მოსაზრებებს და ძველით განაგრძობს წირვა-ლოცვებს, ძალით “წასაყვანი”, გამოსაყვანი იქნება იმ ეკლესიიდან!” წირვა-ლოცვის “ძველით გაგრძელება” ნიშნავს მართლმადიდებელ ეკლესიაში ლიტურგიაზე დასწრებას.

გაზეთის მესვეურთა აზრით, ქართველებმა ეკლესიას თავი უნდა დავანებოთ და “სასძლო კაცის”, “სამყარო-ოთხყაროს”, “გიორგი-დედამიწა” და სხვა მსგავსი იდეების ავტორებს უნდა გავყვეთ. ნუ იყოფინ!

ჩვენ მცირე წერილს დავასრულებთ წმ. კვიპრიანე კართაგენელისა და წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით ეკლესიის შესახებ: “ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება...”, “გინდა ცხონება? – იყავი ეკლესიაში და იგი არ გაგცემს შენ. ეკლესია ზღუდეა. თუ ამ ზღუდის შიგნით იმყოფები, მგელი ვერ შეგეხება, ხოლო თუ გარეთ გახვალ, ნადირი მოგიტაცებს. ნუ განეშორები ეკლესიას, ქვეყნად მასზედ ძლიერი არაფერია. ის არის შენი იმედი, მასშია შენი ცხონება”.

2. შეხვედრა უნივერსიტეტში.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობის “ახალი სიტყვის” წარმომადგენლები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. აქ, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი უბანია იმისათვის, რათა ხალხს ერთხელ კიდევ ემცნოს ქრისტეს მეორედ, ამჯერად სულიერი მოვლენა. ამავე დროს, ეს ვიზიტი მიზნად ისახავდა გაეფრთხილებინა ხალხი მოსალოდნელი დიდი უბედურების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ხალხი არ გაითვალისწინებს და არ გაითავისებს მაცხოვრის სურვილს და ვერ შეიგნებს მასზე დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას.

“ამჯერად, - ამბობენ ისინი, - ქართველ ხალხს უნდა ვკითხოთ, - არ გვინდა ჩვენგან თქმულის გაგონება და შესმენა?.. მაშინ, სხვას უნდა და ეგერ, იქით რუსეთია, იქით კათოლიკური სამყარო – რომის პაპი, იქით – მასონობა... აბა, ვნახავთ რას მივიღებთ”...

ასეთი ფიქრებით და იდეებით აღელვებული, თვალანთებული, ქართველი ხალხის მოსალოდნელი დიდი მისიით ატაცებული, ახალი ღვთაებრივი მოძრაობის ექვსი წარმომადგენელი გაზეთ “მეტი სინათლის” რედაქტორის გიორგი-ლაშა ლომიძის მეთაურობით მოადგა უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტს. მათ შორის იყვნენ განათლებით ისტორიკოსები, ფილოლოგები, არქიტექტორი და მათემატიკოსი. ასაკი - სტუდენტურიდან დაწყებული, შუა ხნის ასაკამდე. ყველა ისინი შეპყრობილი იყვნენ ერთი დიდი სურვილით – რაც შეიძლება მალე ემცნოთ ყველასათვის ქრისტეს მეორედ მოვლინების, საქართველოსათვის დაკისრებული დიდი მისიის შესახებ. მათი აზრით, თუკი ისინი დაარწმუნებდნენ ხალხს ერწმუნათ ქრისტეს მეორედ მოსვლა, საქართველო აუცილებლად გაბრწყინდებოდა.

სტუმრებმა თან მოიტანეს გაზეთები, ბროშურები, მათი აზრების დამადასტურებელი ფაქტების ამსახველი წიგნები. ფაკულტეტის ხელმძღვანელები ყურადღებით უსმენდნენ მათ. საკმაოდ ვრცელი საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ სტუმრები დასტოვებდნენ ახალი ღვთაებრივი მოძრაობის სწავლების ამსახველ მასალებს, რის გაცნობის შემდეგაც, ორი კვირის თავზე, შეხვდებოდნენ ფაკულტეტის ამ დარგში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს.

როდესაც ეს დრო გავიდა, სამშაბათ დღეს, უნივერსიტეტის II კორპუსის ერთ მოზრდილ აუდიტორიაში შეიკრიბნენ რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები, თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, მოწვეული

ადამიანები, მათ შორის უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მღვდელი მამა ილია (წერეთელი). ამ აუდიტორიას, რომელსაც მრავალი კონფესიის, მიმდინარეობის, დენომინაციის თუ სექტის წევრებისათვის მოუსმენია, უნდა განესაჯა, რამდენად სარწმუნო და მისაღები იქნებოდა ხალხისათვის მოძღვრება. “ახალი სიტყვის” დელეგაცია, რომელსაც ისევ გაზეთ “მეტი სინათლეს” რედაქტორი გიორგი-ლაშა ლომიძე ხელმძღვანელობდა, ამჯერად 3 კაცისგან შედგებოდა.

თუ მოკლედ და გულახდილად ვიტყვით, მოხსენებებმა ვერ გამოიწვია დამსწრეთა აღფრთოვანება და ენთუზიაზმი, მათ ვერ დასძლიეს მსმენელთა სკეპსისი ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, ხოლო ადგილობრივმა მღვდელმა, როცა მომხსენებლებმა ლაპარაკი დაიწყეს ეკლესიის მოძველება-დაბერებაზე, თავისი გულისწყრომა და აღშფოთება ვეღარ დამალა და მოტანილი დებულებების არგუმენტირება მოსთხოვა. მდგომარეობა დაიძაბა, აუდიტორია ახმაურდა. ის ფაქტები, არგუმენტები და მტკიცებანი, რაც მომხსენებლებმა მოიტანეს, მსმენელთათვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. აუდიტორიამ ვერა და ვერ ირწმუნა, რომ იესო ქრისტე მეორედ, თუნდაც სულიერად მოევლინა ამ ქვეყანას...

სტუმრები უკმაყოფილო და განაწყენებული წავიდნენ, უმეტესად ალბათ თავისი თავის.

3. ის, რაც საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადებაში არ იყო ნათქვამი

ისევ პრესცენტრის განცხადებას დავუბრუნდეთ. როგორც ვნახეთ, პრესცენტრის განცხადება საქმიანი და თეორიულად გამართული იყო.

მისი ავტორი საღმრთო კანონების სრული დაცვით პასუხობს ახალი ღვთაებრივი მოძრაობის ლიდერებს. იგი ნათლად და გარკვეულად ამბობს, რომ არ შეიძლება ქრისტე ისე ჩუმად და უხილავად მოვიდეს, ქრისტეს მოვლინება დასანახი იქნება მთელი სამყაროსათვის. ქრისტე აუცილებლად მოვა დიდებით მოცული, მისი მოსვლა ხილული იქნება, მაგრამ არავინ იცის როდის...

რაც შეეხება ახალი ღვთაებრივი მოძრაობის ლიდერების უსწორობას, პრესცენტრი რელიგიურ გაუთვითცნობიერებლობას უფრო აბრალებს და იქვე ურჩევს მათ სათანადო პატივით მოექცნენ ეკლესიას, რომელიც ის ზღუდეა, რაც საიმედოდ იცავს ადამიანს ცდომილებისაგან. თუ მას მოშორდები, შეიძლება ნადირმაც მოგიტაცოს, და ბოლოს, შეგონება, რომ ეკლესიაზე ძლიერი არაფერია და სწორედ მასშია ადამიანის ცხოვრებაო...

სამწუხაროდ, პრესცენტრი ძირითადად მხოლოდ ამით იფარგლება და მის პასუხში არაფერია ნათქვამი ამ მოვლენის სიღრმისეულ მიზეზებზე. იმის შესახებ, თუ რატომ გახდა ასე ხშირი ეკლესიის ორთოდოქსული ხაზიდან გადახვევის შემთხვევები, რატომ აივსო ჩვენი ქვეყანა ათასი ჯურის რელიგიური მიმართულებებით, დენომინაციებით, სექტებით, რელიგიური ჯგუფებით, რატომ იმატა იმ ხალხის რაოდენობამ, რომელსაც ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესია აღარ აკმაყოფილებს და სულიერი ხსნის სხვა გზას ეძებს... არაფერია

ნათქვამი ჩვენი ცხოვრების სოციალურ მხარეზე, რადგან ყველაფერი ეს, თუ ობიექტურნი ვიქნებით, ალბათ, სხვა მიზეზებთან ერთად, უმეტესად სოციალური უკუღმართობის, დაუკმაყოფილებლობის და მიწიერი ტკივილების ასახვა უფროა.

დღევანდელი მასიური გაჭირვება, შიმშილი, უექიმობა, უწამლობა, ეპიდემიები, მუდმივი სტრესული ვითარება წარმოშობდა და წარმოშობს ათასგვარ დამახინჯებულ, ხშირ შემთხვევაში რელიგიურ ძიებებს.

წარსულისაგან განსხვავებით, ახლა ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თანასწორობის იდეა აბსურდი იყო, რომ რეალური თანასწორობა არასოდეს არც არსებულა და არც იარსებებს, რომ მუდამ იყვნენ, ახლაც არიან და მომავალშიც იქნებიან მდიდრები და ღარიბები.

მართლმადიდებელი ეკლესიის ცდა – ნაკლებად ჩაერიოს ასეთ პრობლემებში და იზრუნოს მხოლოდ იმქვეყნიური, მარადიული ცხოვრებისათვის, მომგებიანი არ არის ეკლესიისათვის. ამ პრობლემებისათვის გვერდის ახვევა ან მიფუჩეჩება ხშირად ადამიანებს უბიძგებს ეკლესიიდან გაქცევისა და ახალი გზების ძიებისკენ.

ის, რასაც ახალი ღვთაებრივი მოძრაობის მიმდევრები ამტკიცებენ და გვთავაზობენ (თუ მეორედ მოსვლის უკვე მომხდარ ფაქტად ჩათვლას, იოანე ზოსიმეს “ქებაი და დიდებაის ქართულისა ენისაის”... ბიბლიის “შიფრად” და “კოდად” გამოცხადებას, ზოგიერთ სხვა რამეს არ ჩავთვლით) მიწიერი, ადამიანური პრობლემებია, რომელიც ყველა ადამიანს აწუხებს, განსაკუთრებით პატრიოტებს, თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანებს, რომელთაც ძალზე სურთ სამშობლოს გაბრწყინება და გაბედნიერება.

რაც შეეხება ქართული ენისათვის, მისი ანბანისათვის ასეთი დიდი ფუნქციების მინიჭებას, მსგავს რამეს მე წავაწყდი სომხეთშიც. რიფსიმეს ტაძარში შევხვდი ადამიანებს, რომლებიც იგივეს ამტკიცებდნენ, რასაც ახალი ღვთაებრივი მოძრაობის ავტორები. მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ყველაფრის ამხსნელად და განმსაზღვრელად ისინი სომხურ ანბანს აცხადებდნენ. როგორც ჩანს, ასეთი ამბიციები მარტო ჩვენში არ არის და უმეტესად მცირერიცხოვანი ერებისათვის არის დამახასიათებელი...

გაზეთი “ახალი საქართველო” 41 - 42,

3-9; 10-16 დეკემბერი, 1998 წელი.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

მიმდინარე რელიგიური ცხოვრებათ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

მიმდინარე რელიგიური ცხოვრება

I. დიდი რელიგიური მარათონი

არაერთხელ მითქვამს, ახლაც გავიმეორებ: მას შემდეგ, რაც ჩვენ უარი ვთქვით კომუნისტურ მსოფლმხედველობაზე და რელიგიურ ორგანიზაციების თავისი რჯულთმოძღვრების ღიად ქადაგების საშუალება მიეცათ, რელიგიური კონფესიების საქმიანობა დაემსგავსა დიდ სპორტულ მარათონს, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მორწმუნის მოპოვება, გავლენის სფეროს გაფართოება, რასაც მატერიალური შესაძლებლობების გაზრდა მოჰყვება.

ამ დიდ მარათონში ყველა რელიგიური ორგანიზაცია მთელ თავის ნიჭს, ენერგიას და უნარს აქსოვს. ყველას თავისი მოსაზრებები, მტკიცებულებანი და "ურყევი არგუმენტები" აქვს. თუკი მართლმადიდებელი ეკლესია, ამ მხრივ, წინ წამოსწევს მთავარ არგუმენტს, რომ სწორედ იგია ქართველთა ძირძველი, ტრადიციული რელიგია, რომ მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა გამოიარა ურთულესი გზა, დაძლია ათასგვარი ხიფათი და უბედურება, შეუნარჩუნა ჩვენს ხალხს თავისი ენა, ეროვნული თვითმყოფადობა; რომ ის არის ერთადერთი ნათელი და ჭეშმარიტი მოძღვრება, რომელმაც უცვლელად შეინარჩუნა ღმერთის მიერ შთაგონებული რჯულთმოძღვრება, კულტი, დღესასწაულები, ცხოვრების წესი... მისი მოწინაამდეგენი პირიქით – სწორედ მართლმადიდებლობის ამ ღირსებას აცხადებენ ნაკლად და სისუსტედ. მათი აზრით, მართლმადიდებლობა არის ერთ ადგილას გაქვავებული, სხვათა მიმართ შეურიგებელი და ერთგვარად სამუზეუმო სარწმუნოება, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში მოხდა. მათ უკვირთ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ოცდამეერთე საუკუნის ადამიანმა მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში ჩამოყალიბებული წესებით...

მართლმადიდებლები, თავის მხრივ, ამ ბრალდებაზე ასე პასუხობენ: ღვთის სიტყვა, ჩვენში გაცხადებული ჭეშმარიტება, ერთხელ და სამუდამოდ გადმოეცა კაცობრიობას და იგი არასოდეს არ უნდა შეიცვალოს.

ზოგიერთი მართლმადიდებლის მტკიცებაზე, რომ იგი არის ქართველთა ეროვნული რელიგია, მოწინააღმდეგენი პასუხობენ, რომ არ არსებობს არავითარი ქართული მართლმადიდებლობა, რომ ეს მიმდინარეობა ერთია ყველასთვის (ბერძენისთვის, რუსისთვის, სერბისთვის...), რადგან მას ერთნაირი დოგმატიკა, ტიპიკონი, დღესასწაულები აქვს.

პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ბრძოლა კონფესიებს შორის განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც რელიგიურ ორგანიზაციებს გზიდან ჩამოშორდა მთავარი მოწინააღმდეგე – მატერიალისტურ-ათეისტური მოძღვრება, რომელიც მთლიანობაში უარყოფდა რელიგიურ მსოფლმხედველობას და სარწმუნოებას მხლოდ წარსულის მახინჯ გადმონაშთად აღიქვამდა.

მაგრამ, საინტერესოა, როგორი იყო ამ დიდი მარათონის დასაწყისი, სასტარტო მდგომარეობა. რასაკვირველია, იგი ყველასთვის ერთნაირი არ გახლდათ, რადგან, ერთი მხრივ, იყო რელიგიური ორგანიზაციები, რომელთა უკან მძლავრი რელიგიური ცენტრები იდგა (ძირითადად, საზღვრებს მიღმა), ხალხის გადაბირების დიდი გამოცდილებით და დიდი მატერიალური საშუალებებით, მეორე მხრივ კი – ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ჯერ რუსული "სამოდერჟავიეს" და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან დაწიხლული, ხოლო შემდეგ – კომუნისტების ბატონობისგან დათრგუნული.

ასეთ არათანაბარ მდგომარეობას აშკარად მოჰყვა ზოგიერთი დენომინაციის აღმასვლა, რომელთა ორგანიზაციებშიც ბევრი ქართველი გაერთიანდა. საკუთარ "სამბრძანებლოში" "სხვათა" ასეთი წარმატებით გაღიზიანებულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოსავალი იმაში იპოვა, რომ ხელისუფლებისგან მოითხოვა მისი განსაკუთრებული როლის დაფიქსირება და სპეციალური ხელშეკრულების დადება სახელმწიფოსთან, რომლის მეოხებითაც დაცული უნდა იყოს მისი პრიორიტეტი ქართულ სახელმწიფოში.

მართლმადიდებელი ეკლესიის ბევრმა წარმომადგენელმა სწორედ ამ პოზიციებიდან სცადა გააქტიურებული სხვა დენომინაციებისგან თავის დაცვა და მათ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლაც. ხოლო ზოგიერთი (ზედმეტად საშიში და აბეზარი) დენომინაციის (მაგ. "იეღოვას მოწმეების") აკრძალვა მოითხოვა.

ასეთი რადიკალური და მტრული ნაბიჯებისგან თავის დასაცავად ბევრმა რელიგიურმა დენომინაციამ საერთაშორისო სამართლის პრაქტიკას მიმართა და რელიგიურ უმცირესობათა შესახებ არსებული დოკუმენტები წინ აიფარა. სხვებმა იჩივლეს საქართველოს დონორ ქვეყნებთან (აშშ, ინგლისი, გერმანია...). ამ უკანასკნელებმა, გამორიცხული არ არის, დახმარების შეწყვეტით უპასუხონ საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს.

ცხადია, არც რელიგიურ უმცირესობათა დენომინაციები არიან ბოლომდე გულწრფელნი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ სხვა სარწმუნოების მიმდევართა თუ ათეისტურად განწყობილი მოქალაქეების გადაბირებას. ცდილობენ ყველგან, ყოველ ნაბიჯზე: ქუჩაში, ბაღში, ეზოში, ხოლო იეღოველები ბინებშიც აკითხავენ ადამიანებს და მათ მოსალოდნელ არმაგედონზე მოუთხრობენ...

არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად ასუსტებს მართლმადიდებელთა პოზიციებს; მათ არა აქვთ სოციალური პროგრამა. ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ქონება ერთი მუჭა ხალხმა ჩაიგდო ხელში, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შია, სცივა და სწყურია, როდესაც ხალხისათვის ნორმალურად აღარც ხელფასია, აღარც პენსია, აღარც ექიმი და აღარც წამალი, როდესაც ხორციელდება გაუგებარი რეფორმები, როდესაც ძალზე გაძვირდა და ხარისხობრივად კი დაქვეითდა სწავლების დონე, უსახსროდ და უნუგეშოდ დაგვრჩა ადამიანების მთელი არმია. იმის გამოცხადება, რომ სოციალური სფერო ეკლესიის საქმე არ არის, იგი მხოლოდ ადამიანის იმქვეყნიურ ცხონებაზე ფიქრობს და აგებს პასუხსო, ნამდვილად წამგებიანია.

“სხვა” კონფესიები უფრო მეტ დროს და ყურადღებას უთმობენ ამქვეყნიურ “წუთისოფელს” და ცდილობენ, თავის მრევლს ამქვეყნიური ტვირთი ერთგვარად შეუმსუბუქონ. ეს თვალნათლივ გამოჩნდა ისეთი ორგანიზაციების საქმიანობაშიც, რომელნიც ამა თუ იმ სახით ეწევიან ქველმოქმედებას (“ხსნის არმია”, “იეღოვას მოწმეები”...).

დაპირისპირებამ მართლმადიდებელ ეკლესიასა და შემოსულ დენომინაციათა შორის ისეთ დაძაბულობას მიაღწია, რომ მართლმადიდებლებში გამოჩნდნენ რადიკალური ზომების მიღების მომხრეები. ისინი ცდილობენ, ძალის გამოყენებით გადაწყვიტონ პრობლემები, დაიცვან “ჭეშმარიტი სარწმუნოება”. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბასილ მკალავიშვილის ჯგუფი, რომელიც სხვაგვარად, ღია ცის ქვეშ გლდანის ეპარქიადაც არის ცნობილი. მის ანგარიშზეა სხვა ონფესიათა (იეღოველების) რელიგიური წიგნების დაწვა, ქუჩაში ჯვრებით და ლოზუნგებით სვლა, საპატრიარქოსადმი დაუმორჩილებლობა, არასასურველი გაზეთებისა და რადიოარხებისთვის კარის აჭედვა და ასე შემდეგ.

არიან სხვებიც, რომლებიც ოფიციალურად განუდგნენ საპატრიარქოს, თავის თავს უწოდებენ მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში, მაგრამ პატრონი შორს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონში გამონახეს...

რელიგიური ბუმი და მარათონი გრძელდება. არავინ უწყის, სად, როდის და როგორ დამთავრდება ეს სრბოლა. ყოველ შემთხვევაში, შუქი გვირაბის ბოლოს ჯერ არ ჩანს. ასეთ ფონზე ძალზე გულუბრყვილოდ მეჩვენება ზოგიერთის ვარაუდი უახლოეს წლებში საქართველოს გაბრწყინების შესახებ. რატომ, რისთვის, რა დამსახურებისთვის უნდა გაბრწყინდეს, ამას, რატომღაც, არავინ კითხულობს...

გაზეთი “ახალი ეპოქა” 27-30 ოქტომბერი, 2000 წ.

II. ბოიფრენდებზე, გერლფრენდებზე,

უმანკოებასა და გახუნებულ

ღირებულებებზე

რა ქნას ყოველმხრივ ალყაშემორტყმულმა ქართულმა ცნობიერებამ, ვის მიენდოს, რით იხელმძღვანელოს, რა ღირებულებებს სცეს პატივი?

პირველად მეგონა, რომ ყური მატყუებდა. მერე ვიფიქრე, თვალი მაცდენდა. უფრო გვიან დავრწმუნდი, არც ერთი მატყუებდა და არც მეორე...

საქართველოს ტელევიზიაში მორიგი გადაცემა იყო ახალგაზრდობის სექსუალური აღზრდის თემაზე. ეკრანზე ჩანდნენ თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები. სკოლის ნომერიც მახსოვს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა – ეს

შეიძლება ნებისმიერ სკოლაში მომხდარიყო. მოსწავლეების გარდა, იყვნენ მასწავლებლები, მშობლები და სტუმრებიც. რაც ყველაზე გასაკვირი იყო, ბავშვები თავისუფლად მსჯელობდნენ და ოპერირებდნენ ისეთი ცნებებით, როგორიცაა "ბოიფრენდი", "გერლფრენდი". მათ შორის, რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ერთი ბიჭი გამოვიდა კატეგორიული განცხადებით, რომ მხოლოდ ქალწულს შეირთავდა ცოლად. სხვები უფრო დამთმობნი და შემწყნარებელნი აღმოჩნდნენ...

კარგად მახსოვს, ასე 23-25 წლის წინათ ჩვენს კინოეკრანებზე გადიოდა რუსული ფილმი "თუკი ეს სიყვარულია", რომელიც სკოლის მოსწავლეთა დიდ სიყვარულზე მოგვითხრობდა. ნაჩვენები იყო, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მათ დიდ გრძნობას დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები; რა უკიდურესობამდე მიიყვანეს შეყვარებულები და როგორ ათქმევინეს ერთმანეთზე უარი.

გავიდა ოცი წელი. ეს ფილმი ისევ აჩვენეს ეკრანზე. როდესაც ახალგაზრდებს მის გაბედულებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, სიცილად არ ეყოთ, გულწრფელად გაუკვირდათ, თუ რა იყო ამ ფილმში თამამი, ან ისეთი, რაც ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე არ გვხვდება.

მართლაც, ცხოვრება წინ მიდის, იცვლება ღირებულებები, წარმოდგენები მათზე. წინანდელი შეხედულებები რბილდება, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებშიც აღარ არის ძველი სიმკაცრე. ახლა, მგონი, ქორწინების მეორე დღეს აღარც იმ ქვეყნებში ფენენ ზეწრებს იმის დასტურად, რომ პატარძალი უმწიკვლოდ და შეურცხვენლად ჩაბარდა პატრონს, სადაც ამის ტრადიცია იყო. ის დრო, როგორც ჩანს, მართლაც წავიდა. ახლა ჩვენი გოგონების დიდი ნაწილი უმანკოების დაკარგვას ისე ტრაგიკულად აღარ აღიქვამს, როგორც ადრე. მის დაცვას კატეგორიულად აღარც ბიჭები ითხოვენ. თუმცა, ცხადია, ეს ყველას არ ეხება. თანამედროვე ოტელოები ახლაც მრავლად არიან. სხვები ერიდებიან "ნახმარი ჭურჭლის", "ჩაფურთხებული წყაროს", "გატეხილი ქოთნის" (მიხეილ ჯავახიშვილი) შეძენას. მაგრამ, ამის საწინააღმდეგოდ, ხშირად გაიგონებთ დასავლეთიდან მომდინარე აზრსაც, რომ ქალწულობა ზედმეტი ბარგია და თუ დიდხანს ხარ ქალწული, ეს იმას ნიშნავს, რომ შენით არავინ დაინტერესდა. ეს კი სულაც არ არის საჭრაბახო.

დღეს ჩვენს ახალგაზრდებს ტელევიზორის ეკრანიდან, კინოდან, თეატრიდან, პრესიდან, ლიტერატურიდან თავს ატყდება უზარმაზარი ინფორმაცია სექსუალური თავისუფლების შესახებ, უჩვენებენ პორნოგრაფიულ ფილმებს, სექსს, ეროტიკას...

რა ქნას ყოველმხრივ ალყაშემორტყმულმა ქართულმა ცნობიერებამ, ვის მიენდოს, რით იხელმძღვანელოს, რა ღირებულებებს სცეს პატივი? როდესაც ირანში, უკანასკნელი შაჰის დროს, დასავლეთის ცხოვრების წესის გავრცელების საფრთხე დაინახეს, მაშინვე გადატრიალება მოახდინეს, ისლამს მიმართეს და თავიანთ ქალებს ჩადრები ჩამოაფარეს. ცხადია, ჩვენთვის ეს გამოსავალი არ არის.

ქრისტიანული სამღვდელოება ტრადიციულად ისევ "საღმრთო წერილიდან" ამოდის და ძველებურად, მკაცრად მოითხოვს, შევასრულოთ ღვთის მცნება და არ ვიმრუშოთ, რადგან ეს უდიდესი ცოდვაა. უფრო მეტიც, ცოდვაა არა მარტო მრუშობა,

არამედ ნდომით შეხედვა სხვა ქალისადმი. ქალწულობა ხომ ყველაზე დიდ განძად და ღვთის სასურველ მოვლენად ითვლება. მაგრამ რა უნდა ქნა მაშინ, როცა სხეული "განხურდება?" მაშინ, თუ ქალი ხარ, უნდა გათხოვდე, თუ კაცი ხარ, ცოლი უნდა შეირთო, - პასუხობს ეკლესია. მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ რაღა უნდა ქნა?

სწორედ ესაა პრობლემა, რომელიც მთელ ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს: ადამიანის სქესობრივი მომწიფება ჩვენში ძალზე წინ უსწრებს ადამიანის სოციალურ მომწიფებას. ეს სირთულე სქესთა შორის ურთიერთობაში კომუნისტური ხელისუფლების დროსაც დიდ პრობლემად ითვლებოდა. მაგრამ, ახლა, როდესაც ადამიანს საკუთარი თავის რჩენა უჭირს, საკვებით და ტანსაცმლით ვერ უზრუნველუყვია, იგი დაქორწინებაზე, ოჯახზე, შვილების გაჩენაზე ფიქრსაც ვერ ბედავს. ყველაფერი ეს ნამდვილ საშინელებად იქცა. რა ქნას ადამიანმა, როცა ერთი მხრივ, არის ასეთი აუტანელი, გლობალური გაჭირვება, მიუსაფრობა, მეორე მხრივ კი – სრულიად ბუნებრივი სქესობრივი მოთხოვნილება. სწორედ აქედან ჩნდება ჩვენში "ბოიფრენდების" და "გერლფრენდების" იდეა. თუმცა, დასავლეთში ამის წარმოშობას და პრაქტიკას სულ სხვა საფუძველი და მიზეზები აქვს...

დღევანდელი სოციალური ყოფა საქართველოში ადამიანს აიძულებს, გაყიდოს ყველაფერი, რაც გააჩნია. როდესაც გასაყიდი სხვა აღარაფერი აქვს, იგი საკუთარ სხეულს სთავაზობს გამვლელ-გამომვლელს. როცა ადგილობრივ ბაზარზე ამ "საქონელს" ფასი არა აქვს, ეს ადამიანები უცხოეთში მიდიან და საოცარი დამცირების ფასად მცირეოდენ ფულს შოულობენ.

რასაკვირველია, ჩვენს გაუსაძლის ცხოვრებაშიც არის რწმენის ერთგულების მაგალითები, მაგრამ უბრალო ადამიანებს, ჩვეულებრივ მოკვდავებს, თუ ხელი არავინ შეაშველა, ძალზე გაუჭირდებათ საუკუნო სასუფეველის მოპოვება.

გაზ. "ახალი ეპოქა", 12-14 დეკემბერი, 2000.

III. ჩეჩენი ლტოლვილები საქართველოში

ეს არაორდინალური ღონისძიება ქრისტიან-ბაპტისტთა მთავარ სამლოცველოში, თბილისში, კედიას (ყოფილ კახოვკის) ქუჩაზე მიმდინარე წლის 24 იანვარს ჩატარდა. მისი ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ ქრისტიან-ბაპტისტთა თემი და მისი ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი. მათ, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, საღამო გაუმართეს თავის ცეცხლმოდებულ და დანგრეულ სამშობლოდან თავდაღწეულ ჩეჩენ ლტოლვილებს; უმეტესად ქალებს და ბავშვებს, რასაც წინ უძღოდა ამავე თემის მიერ გაწეული ქველმოქმედება: ჩეჩენ ბავშვებს უყიდეს წიგნები, რვეულები, კალმისტრები, სხვა საჭირო სასწავლო ნივთები...

შეიძლება რაოდენობრივად ეს დიდი დახმარება არ იყო, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თვითონ ჰყავს უამრავი საკუთარი ლტოლვილი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ამის გაკეთება შედარებით მცირერიცხოვანი ბაპტისტური თემისაგან ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო.

შეხვედრისვის დიდი რუდუნებით მომზადდა დევნილი ბავშვების სამხატვრო გამოფენა, რომელშიც ასახული იყო ჩეჩენთა ცხოვრება, ბუნება, ყოფა, ოცნებები, ბავშვთა თვალით დანახული ომის საშინელებანი. იყო დიდი ფოტოგამოფენაც, რომელსაც ამშვენებდა ახალგაზრდა სანდომიანი ჩეჩენი ქალის მარხას პორტრეტი, შეჭირვებული ომის ტრაგედიით და თავს დამტყდარი უბედურებებით. ეს ქალბატონი შემდგომში ცხადშიც ვიხილეთ და მისი გამოსვლაც მოვისმინეთ...

საღამო, რომელსაც ჩეჩენი ლტოლვილების და ადგილობრივი მრევლის გარდა მრავალი სტუმარიც (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, პრესის, ტელევიზიის, ინტელიგენციიც წარმომადგენლები) ესწრებოდა, გახსნა საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეპისკოპოს-პრეზიდენტმა მალხაზ სონღულაშვილმა, რომელიც ინგლისურად და ქართულად მიესალმა სტუმრებს, მოკლედ ახსნა ამ ქველმოქმედების ძირითადი აზრი. ამის შემდეგ იყო გამოსვლები, როგორც ქართველთა მხრიდან, რომლებიც გულით თანაუგრძნობდნენ გასაჭირში ჩავარდნილ ჩეჩნებს, ისე ლტოლვილთა მხრიდანაც, რომლებიც დიდ მადლობას უხდიდნენ მასპინძლებს, მთელ ქართველ ხალხს, მის პრეზიდენტს იმის გამო, რომ მათ, რუსეთის ძლიერი ზეწოლის მიუხედავად, კარი გაუღეს და შეიფერეს დევნილი რამდენიმე ათასი ადამიანი.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ბავშვების გამოსვლები, მათ მიერ წაკითხული ლექსები ჩეჩნურად, ქართულად, რუსულად, რომელთაც ცრემლის გარეშე ვერ მოისმენდით. მათ მიერ ბავშვური გულწრფელობით გადახდილი მადლობაც ასევე მეტად გულის ამაჩუყებელი იყო.

მეოცე საუკუნის მიწურულს განახლებული ჩეჩენთა ოთხასწლიანი ბრძოლა მართლმადიდებელი რუსეთის წინააღმდეგ, ბევრმა ჩეჩენმა და არა მარტო მათ, აღიქვა, როგორც კონფლიქტი ორი რელიგიის – ქრისტიანობას და ისლამს შორის. ახლა, ბევრი მიმომხილველი, რომელიც აშუქებს ამ კონფლიქტს, ხაზს უსვამს ამ ბრძოლის რელიგიურ შეფერილობას. ცხადია, ასეთი ტენდენციის ჩამოყალიბება კავკასიაში არც თუ ისე სახარბიელოა საქართველოსათვის, რომელიც მთლიანად ისლამური ქვეყნების გარემოცვაში არის მოხვედრილი.

ასეთი რელიგიური დაპირისპირების ფონზე, მით უფრო გაბედული და არაორდინალური იყო ბაპტისტთა ეპისკოპოს-პრეზიდენტ მალხაზ სონღულაშვილის გადაწყვეტილება ეჩვენებინა ჩეჩენი ლტოლვილებისათვის ნამდვილი ქრისტიანული სათნოება და ის, რომ ომსა და ძალადობას არავითარი კავშირი არა აქვს ქრისტიანულ მოძღვრებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენმა "ბოევიკებმა", რბილად რომ ვთქვათ, ბევრი რამ შესცოდეს, დააშავეს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, მაინც დახმარების ხელი გაეწვდინათ მოხუცების, ქალებისა და ბავშვებისათვის, ეჩვენებინა მათთვის ქრისტიანის უნარი მიუტევოს დანაშაული თვით თავის მტერს, და რომ ახალი აღთქმის მოწოდება "გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა" ცარიელი ლოზუნგი სულაც არ არის.

ჩემი აზრით, ეს მართლაც მეტად თამამი (ზოგისათვის საკამათო) გადაწყვეტილება იყო, გამაგრებული ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით და მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით.

ამ გამოსვლების შემდეგ გაიმართა ერთობლივი ლოცვა კავკასიაში მშვიდობისათვის. ეს ძალზე უცნაური რელიგიური მსახურება იყო, რადგან ერთ მხარეს ბაპტისტები სწირავდნენ, მეორე მხარეს ლოცვას აღავლენდა კათოლიკე მღვდელი, ენთო სანთლები, ხოლო შუაში, საპატიო, ამაღლებულ ადგილზე იჯდა

ორი მუსლიმი მოლა თავისი ტრადიციული ფაფახებით და ცნობისმოყვარედ, ჩუმად ადევნებდნენ თვალს ამ ერთობლივ ლოცვას. აქ, ასეთ ერთობლივ მიმართვაში უზენაესისადმი, დაეცვა მშვიდობა ჩეჩნეთში, არ იგრძნობოდა რაიმე რელიგიური დაპირისპირება ან ურთიერთწინააღმდეგობა; ყველანი, მიუხედავად აღმსარებლობის განსხვავებისა, ერთხმად ერთი და იგივეს შესთხოვდნენ უფალს. მართლაცდა, რა უნდა იყოს იმაზე უფრო საჭირო და სასურველი ხალხისათვის, რომ იყოს მშვიდობა, რომ გადაარჩინო მრავალთა სიცოცხლე დაღუპვისაგან, დაამყარო მშვიდობა ამ მრავალტანჯულ მიწაზე...

ასეთი ერთობლივი, ძალზე შთამბეჭდავი ლოცვის შემდეგ, რომელშიც მგალობელთა გუნდიც მონაწილეობდა, გაიმართა ბანკეტი. ეს იყო ჩვეულებრივი, ევროპული ფურშეტი, უხვი პურმამილით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებდა იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ღონისძიებას მისი ორგანიზატორები. ფურშეტი იმითაა კარგი, რომ მოძრაობის, მიმოსვლის და საინტერესო ხალხთან გასაუბრების საშუალებას იძლევა, თუმცა მე, ისევე როგორც ღონისძიების დაწყებამდე, ისე მის შემდეგაც, მხოლოდ ერთ მოსაუბრესთან – მოლა საიდ-აბდულასთან ერთად ვიყავი და მისგან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც მივიღე.

1. მოლა საიდ-აბდულა

საიდ აბდულა ტანმორჩილი, გამხდარი, საშუალო ხანს მიტანებული კაცია. მან თავისი ცოლ-შვილი ჩამოიყვანა პანკისის ხეობაში, შემდეგ დიდთოვლობისა და უგზოობის გამო უკან ვეღარ გაბრუნდა. ამ ღონისძიებასაც ამიტომ დაესწრო. როგორც თვითონ თქვა, იგი თავდაპირველად სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი იყო, მაგრამ შემდეგ ეგვიპტეში წავიდა, იქ ისევე, როგორც რუსულ-ჩეჩნური ომის ყველა მომსწრე და მონაწილე, აგზნებული ლაპარაკობს:

- ჩეჩნეთში დიდი, არნახული, სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს და უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მარტო ჩეჩნეთის ბედი არ წყდება. აქ მთელი კავკასიის ბედი უნდა გადაწყდეს, რუსები აუცილებლად უნდა წავიდნენ კავკასიიდან...

- რატომ არავინ გეხმარებათ? – ვეკითხები მე.

- ვინ უნდა დაგვეხმაროს? – ყრუდ მიბრუნებს კითხვას აბდულა.

- თუნდაც იგივე დაღესტნელები, ან კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, - ვაზუსტებ ჩემს კითხვას მე.

- დაღესტნელები არ დაგვეხმარებიან, ისინი ყოველთვის ასე იქცევიან, კონფედერაცია კი რუსების სპეცსამსახურების შექმნილია და მათ მიზნებს ემსახურება, სოსლანბეკოვიც მათი კაცი იყო.

- აზერბაიჯანელები? – ისევ ჩავეკითხე მე.

- ისინი თავისიანებს არ ეხმარებიან, ჩვენ როგორღა უნდა დაგვეხმარონ.

- კი, მაგრამ ამ ომს ხომ დიდი ფული, იარაღი, საკვები, ტანსაცმელი უნდა, - ისევ ვეკითხები მე.

- ფულადი დახმარება, როგორც ჩანს, მოდოს მუსლიმური სამყაროდან, გვაწვდიან მედიკამენტებსაც, რაც შეეხება იარაღს, მას უმეტესად ან რუსებისაგან ვყიდულობთ, ან ბრძოლაში ვართმევთ. რუსები ბევრს ხმაურობემ ჩამოსულ "ბოევიკებზე", მაგრამ ეს მართალი არ არის, სულ რამდენიმე კაცია, არიან არაბები, ავღანელები... მაგრამ ძალიან ცოტა...

რუსებმა მოახერხეს ჩვენი დისკრედიტირება, თუ სადმე რამე ცუდი მოხდა ყველაფერი ჩეჩნებს დააბრალეს, მსოფლიოც თითქმის დააჯერეს, ბევრის თვალში ჩვენ მართლა ტერორისტები ვართ. დააჯერეს, ბევრის თვალში ჩვენ მართლა ტერორისტები ვართ. ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ მცირერიცხოვანი მოღალატეების (თუნდაც განტემიროვის ხალხი) გარდა მთელი ერი იბრძვის თავისუფლებისათვის. ამას ტერორიზმს ვერ დაარქმევ. მარტო ბრძოლა, ცხადია, გვიჭირს ამ უზარმაზარი ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. ბევრი შეეწირება ამ ბრძოლას, ხომ ვხედავთ ათ წელზე მეტი ხნის ბავშვებიც კი ტერორისტებად გამოაცხადეს, მაგრამ მაინც მთელ ერს ვერ მოსპობენ.

რუსებს ჰგონიათ, რომ ამ ომს მალე დაამთავრებენ, გროზნოში შევლენ და ყველაფერი დამშვიდდება. ეს ასე არ იქნება. ცოტა ხანში მდგომარეობა შეიცვლება. ჩვენები კონტრიერიშზე გადავლენ. ჩვენ ადრეც და ახლაც ასე ვიქცევით: რუსების ჯარის ნაწილს გავატარებთ, მერე ძირითადი ნაწილისაგან ვწყვეტთ, ალყაში ვაქცევთ და ისე ვანადგურებთ. ასე რამდენჯერმე მოვიქეცით და ყოველთვის წარმატებით.

- ვაჰაბიტებზე ვეკითხები.

- ისინი ცოტანი დარჩნენ, მათი უმეტესობა ბრძოლაში დაიღუპა, ახლა ყველა ერთნაირად იბრძვის, ყველას ერთი მიზანი – სამშობლოს გათავისუფლების იმედი აქვთ.

კიდევ ბევრი რამის კითხვას ვაპირებდი. განსაკუთრებით მინდოდა მისი აზრი გამეგო ჩეჩენთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე. კერძოდ კი იმაზე, რომ რამდენიმე წლის წინ მომხდარ პირველ რუსულ-ჩეჩნური ომის შემდეგ ვაინახებმა ძალიან მალე ხომ არ ირწმუნეს თავისი გამარჯვება და უძლეველობა, ან რამდენად იყო გათვლილი მათი აქციები დაღესტანში, ერთიანი ისლამური ქვეყნის შექმნის მცდელობა, ან საერთოდ რამდენად სწორად შეაფასეს საკუთარი და რუსეთის ძალები?

იმ პერიოდში, როდესაც ამ ორ ომს შორის მშვიდობა იყო, დრომ რუსების სასარგებლოდ უფრო იმუშავა. ისინი უკეთ მოემზადნენ ახალი კომპანიისათვის, ხოლო ჩეჩნეთში შექმნილმა მძიმე კრიმინოგენურმა ვითარებამ, ადამიანის გატაცების ფაქტებმა, მათ შორის ევროპელი ჟურნალისტების, ძალიან ცუდი იმიჯი შეუქმნა მათ გამათავისუფლებელ ბრძოლას, საშუალება მისცა რუსებს ელაპარაკათ ამ ბრძოლაზე როგორც ტერორიზმზე, რაც ძალზე აწუხებთ თვით დასავლეთის სახელმწიფოებსაც და მათთვის უფრო მისაღები და ასატანი გახადა ბრძოლა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მოტივით.

მე აღარაფერს ვამბობ იმ შეცდომებზე, ჩეჩნებმა რომ დაუშვეს საქართველოსთან მიმართებაში და ქართული სისხლით დაისვარეს ხელები.

ცხადია, ყველაფერი ეს ძალზე მაინტერესებდა, მაგრამ როცა შეცხედე საიდ-აბდულას აღგზნებულ, აფორიაქებულ თვალებს თავი შევიკავე, გავჩუმდი, თანაც გავიფიქრე: მანაც ხომ ყველაფერი არ იცის, მისთვისაც უცნობია ბევრი ფაქტი და ნიუანსი, ხოლო თუ რა მოხდება მომავალში, მუსლიმების გამოთქმის არ იყოს, ჭეშმარიტად მხოლოდ ალაჰმა უწყის...

შეხვედრიდან დაბნეული და გაორებული წამოვედი. ცხადია, ძალიან შემეცოდნენ ლტოლვილი ქალები და ბავშვები. ლტოლვილი, ყველგან, სადაც არ უნდა იყოს, დევნილია, უსახლკაროდ დარჩენილი და მიუსაფარი. მაგრამ, მეორე მხრივ გამახსენდა ჩვენი საკუთარი ლტოლვილები, ისინი ხომ არა მარტო რუსების და აფხაზების, არმედ იგივე ჩეჩნების გამო, რომლებმაც ძალზე უაზროდ აკეთეს რუსების საქმე, აღმოჩნდნენ გამოდევნილნი საკუთარი მიწა-წყლიდან.

ცხადია, დიდ აღტაცებას იწვევს ჩეჩენთა თავდადებული ბრძოლა, მათი შემართება, ყურანზე დადებული ფიცი დამარცხებულნი არ წავიდნენ ბრძოლის ველიდან. მათ კარგად იციან, რომ თავისუფლება მეტად ძვირი ღირს და ბოლომდე თავგანწირვას მოითხოვს. მათი ერთ-ერთი ლიდერი შამილ ბასაევი თავის დროზე ამ ბრძოლისათვის რომ მომზადებულიყო და კარგად შეესწავლა რუსთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ნებაყოფლობით ავღანეთში წავიდა და იქ იბრძოდა. იქიდან დაბრუნებული ჩეჩნები კარგად იყენებენ ამ ომში მიღებულ გამოცდილებას.

საქართველოში ბევრი თანაუგრძნობს ჩეჩენთა ამ გმირულ ბრძოლას, ისევე როგორც თავის დროზე ჩვენში თანაუგრძნიბდნენ იმამ შამილის გამათავისუფლებელ ბრძოლას რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

მაგრამ არის მეორე მხარეც: რამდენად სწორი და მართებულია მთელმა ერმა შეაკლას თავი ამ უთანასწორო ბრძოლას, მთლიანად დაანგრევინოს მოწინააღმდეგეს საკუთარი ქვეყანა, დაღუპოს თავისი გენოფონდი? ძალები, ხომ აშკარად არათანაბარია. ამასთან, მე მახსენდება ფინელების გამოთქმა, რომლებიც ასევე თავდადებით იბრძოდნენ რუსთა ბატონობის წინააღმდეგ: "ერთი ფინელი დაამარცხებს ათ რუსს, მაგრამ რა უყოს მეთერთმეტეს?.."

თუმცა, ასეთ საკითხებზე რომ იმსჯელო, ალბათ უნდა შეგეძლოს ამ შედარებით მცირერიცხოვანი ხალხის ტყავში წარმოიდგინო საკუთარი თავი: ბოლომდე აღიქვა და გაითავისო მათი ტკივილი, გაიხსენო ჩეჩენთა 400 წლიანი ბრძოლა, არ დაივიწყო მათი დეპორტაცია შუა აზიაში და ყველაფერ ამას მუსლიმური ფაქტორიც მიუმატო. აქ ხომ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი დიდი სიმწარე და უბედურებაა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც მათ მენტალიტეტს. ცხადია, არის ბევრი სხვა ფაქტორიც, რომელიც ჩვენთვის, განსხვავებული ისტორიის, ყოფის, კულტურის და ცხოვრების წესის გამო გაუგებარია...

წამოსვლისას კიდევ ერთ, უმთავრეს პრობლემაზე ვფიქრობდი: რას მოიტანს ეს ომი საქართველოსათვის? არტილერიის ბათქაბუთქი ხომ სულ ახლოს, ქედის გაღმიდან ისმის, ტუსთა თვითმფრინავები კი ძალიან ხშირად არღვევენ ჩვენ საჰაერო სივრცესაც. საშიშროება ორივე მხრიდან გვემუქრება: თუ ჩვენ ამ ომში ჩაგვითრევენ რა გველის რუსეთის მხრიდან ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს და მის დამოკიდებულების დაკარგვის სუნი უდის, ხოლო თუ რუსეთი წავიდა ამ რეგიონიდან, გასარკვევია, თუ რა უფრო იმძლავრებს კავკასიელ ხალხებში: კავკასიური ერთობა თუ მუსლიმური იდეა. ეს უკანასკნელი, მის უკიდურეს ვაჰაბიტურ კონტექსტში გადაწყვეტილი, კარგს არაფერს გვიქადის.

რაც შეეხება ჩეჩნებისათვის აშკარად თანაგრძნობის გამოცხადებას, ესეც, ალბათ, ძალზე სახიფათოა, რადგან პანკისის ხეობა მართლა ჩეჩნეთის ფილიალად არ იქცეს, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი ექსპერტი გვიწინასწარმეტყველებს. გარდა ამისა, ახლა რომ ბევრი ჩეჩენი ამბობს აფხაზეთის კონფლიქტში ჩვენ შევცდით, იმ მხარეს არ ვიბრძოდით სადაც საჭირო იყოო, ეს არავითარ გარანტიას არ გვაძლევს მომავლისათვის. ჩვენ ამ მხრივ არაერთი სამწუხარო გამოცდილება გვაქვს. არაერთ ხალხს შემოუფარებია თავი საქართველოსათვის. მადლობის სიტყვებიც უთქვამთ სანამ უჭირდათ, მაგრამ როცა გათბებოდნენ, დანაყრდებოდნენ და გაძლიერებოდნენ მერე დიდ პრობლემებს უქმნიდნენ იმათ, ვინც ისინი ასე უანგაროდ შეიფარა.

და აი, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით დატვირთული და დამძიმებული წამოვედი სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა სამლოცველოდან. საღამო ხომ მართლაც არაორდინალური იყო, მაგრამ როდესაც ყველაფერი ეს გავაანალიზე და გადავხარშე, მაინც კმაყოფილი დავრჩი ამ მეტისმეტად გაბედული

საქველმოქმედო საღამოთი. რადგან საქართველომ, თუმცა ერთ პატარა დენომინაციის სახით, მისი წინამძღოლის მეოხებით, მაინც შესძლო ზნეობის მაგალითი ჩაეტარებინა იმათთვის, ვინც შეცდა და ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლა. შესძლო მიეტევებინა მათთვის დანაშაული და ქრისტიანულ სათნოებაშიც ჩაეხედინებინა. ბიბლიური სიბრძნეც ხომ ამას გვასწავლის: "ნუ იძლევი ბოროტისაგან, სძლიე კეთილითა მით ბოროტსა მას". (რომაელთა მიმართ 12: 21).

საქართველო ალბათ იმიტომაც გადაურჩა ჟამთა სიავეს, ათასგვარ მომხდურებს და დამპყრობლებს, რომ უფრო მასშტაბურად აზროვნებს, წინ უკეთესად იხედება, მომავალს უკეთესად საზღვრავს და თავის ადგილსაც კარგად ხედავს საერთო კავკასიურ სახლში.

გაზეთ "სრულიად არასიდუმლოდ" #2, 2000 წ.

IV. თანამედროვე საზოგადოება და მართლმადიდებელი სამღვდელოება

ახლა, პოსტსაბჭოურ საქართველოში, როდესაც 70 წლიანი კომუნისტური ბატონობის შემდეგ რელიგიურ ორგანიზაციებს კვლავ მიეცათ თავისუფლად მოქმედებისა და ქადაგების საშუალება, როდესაც მნიშვნელოვნად იმატა ეკლესიათა და შესაბამისად სასულიერო პირთა რაოდენობამ, ისევ აქტუალური გახდა საზოგადოებისა და სამღვდელოების ურთიერთობის საკითხი.

როგორი უნდა იყოს მართლმადიდებელი სასულიერო პირი, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რამდენად შეესატყვისება ის იმ იდეალს,რომელსაც თვით მაცხოვარი და მისი მოციქულები სახავდნენ? თანამედროვე სამღვდელოებამ რამდენად გადალახა მატერიალიზმისა და ათეიზმის ბატონობით გამოწვეული რელიგიური რწმენის კრიზისი, რა სიძნელეები დახვდა ახალ პირობებში, რა პრობლემები აქვს სხვა კონფესიებთან, მათ სასულიერო პირებთან თუ მრევლთან მიმართებაში, რით უნდა განსხვავდებოდნენ XXI საუკუნის სასულიერო პირები ადრინდელი სამღვდელოებისგან, კონკრეტულად რას ითხოვს საზოგადოება მათგან, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ხალხის მოთხოვნებს, თავის მხრივ, სასულიერო პირები რას ითხოვენ საზოგადოებისგან, საკუთარი მრევლისგან?

აი, ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მწვავედ დგება დღეს, როგორც საერო ადამიანების, ისე სასულიერო პირების წინაშე. მათი შესწავლა-გააზრება საჭირო და აუცილებელია საზოგადოების შემდგომი პროგრესისთვისაც.

გარდა ამისა, იმ ურთულეს პირობებში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა პოსტსაბჭოურ პერიოდში, როდესაც დაირღვა მისი ერთიანობა და საზღვრები, ასევე მწვავედ დგება საკითხი, თუ რა როლი უნდა შეასრულოს სამღვდელოებამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, საქართველოს აღორძინებისა და მისი მოქალაქეების სულიერი ერთობის საქმეში.

1. როგორი უნდა იყოს ღვთისმსახური

სანამ ზემოთ ჩამოთვლილ უმნიშვნელოვნეს კითხვებზე გავცემდეთ პასუხს, მანამ გარკვევით უნდა ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ სასულიერო პირები, მღვდელმთავრები თუ რიგითი ღვთისმსახურები. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ და რასახით უნდა წარუდგნენ ისინი საზოგადოებას.

ამ კითხვებზე ნათლად არის პასუხი გაცემული საღმრთო წერილში და სამოციქულო წესებში, რომლებიც შედგენილია მოციქულთა ნაწერებისა და სამოციქულო გადმოცემების მიხედვით. მათზე ბევრია დაწერილი სხვა რელიგიურ ლიტერატურაშიც.

მღვდელმთავარი, მოწოდებულია ღმერთისაგან. იგი ცხებულია ღმერთის სამსახურისთვის, ის ღმერთის მღვდელმთავარია, ხალხისთვის კი მთავარი. მღვდელმთავრის თანამდებობა მემკვიდრეობითია, მღვდელმთავარი მეორე პირია მეფის შემდეგ, იგი ისტორიულად ხშირად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს.

რაც შეეხება მღვდელმსახურთ, ისინი უნდა იყვნენ საყვარელი და სარწმუნო, წმინდა, უბიწო, უმანკო, გულწრფელი თავის ყოფაქცევაში, აღსავსე ძმური სიყვარულით, აღსავსე თავისი სამწყსოს სიყვარულით. სიხარულით უნდა აღასრულებდნენ თავიანთ საქმეს, იყვნენ უანგარონი, თავიანთი თავის უარმყოფელნი, წყნარი ყველას მიმართ, მომთმენი, სტუმართმოყვარე, მზრუნველი თავიანთი შვილების აღზრდისათვის, სწავლულნი, მაგალითი სიყვარულში, სარწმუნოებაში, სიწმინდესა და კეთილ საქმეებში, მოწონებული ყველას სინდისით, ქებული ღმერთისაგან, უნდა ეძიებდნენ სიმართლეს, ღმრთისმსახურებას, სარწმუნოებას, სიყვარულს, მოთმინებას, სიმშვიდეს, უნდა ჰქონდეს მღვდელმსახურის ნამდვილი თვისებები, მის ცოლ-შვილს - განსხვავებული თვისებები.

მღვდელმსახურნი არ უნდა იყვნენ ქედმაღალნი, ანგარებისმოყვარენი, ძუნწნი, მოჩხუბარნი, ღვინის მოყვარულნი. მღვდელმსახურნი მორწმუნეთა სულებისთვის უნდა ფხიზლობდნენ, უვლიდნენ ეკლესიას, განამტკიცებდნენ მორწმუნეთა სარწმუნოებას, ლოცულობდნენ მორწმუნეთათვის, შრომობდნენ მორწმუნეთა დამოძღვრისათვის, მათი სულის ხსნისათვის, მორწმუნეთა ნუგეშისცემისათვის, გასცემდნენ მოწყალებას, ისინი პასუხს აგებენ ღმერთის წინაშე სულთათვის.

მღვდელმსახურებმა უნდა შთააგონონ მორწმუნეებს, რომ დაიცვან თავი ცოდვისაგან, განიწმინდონ ხორცთა და სულის ყოველგვარი შეგინებისაგან, ჩაიდინონ კეთილი საქმეები, ჰქონდეთ ძმათა სიყვარული, მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზე, სახარებაზე, რომ არ იყოს მათ შორის განხეთქილება და დავა.

მღვდელმსახურებმა უნდა ამხილონ ცოდვილნი ღმრთის მიმართ ურჩობაში, დაარწმუნონ ისინი განშორდნენ ცოდვას და მოექცნენ, დაარწმუნონ ისინი,

შეურიგდნენ ღმერთს, დაგმონ მოუქცეველი ცოდვილნი, განშორდნენ იმათ, ვინც არ მიიღებს ღმერთის სიტყვას.

მღვდელმსახურნი ვალდებულნი არიან იქადაგონ სახარება სიწმინდით და სიწრფოებით, აუწყონ ადამიანებს ღმერთის სიტყვა, ასწავლონ სიტყვა ნამდვილად, ასწავლონ კეთილი მოძღვრება, იქადაგონ სახარება აშკარად, არ დაირცხვინონ სახარებისათვის, იქადაგონ სახარება უანგაროდ, დამოძღვრონ და დაარწმუნონ, იქადაგონ სიტყვა ყოველ დროს, ასწავლონ მშვიდად, ამხილონ წყნარად, ამხილონ უფლებითა და მკაცრად, ჩააქრონ განხეთქილებანი, ჩააქრონ ფუჭი დავიდარაბანი, გაშორდნენ ფუჭ და უპატიოსნო დავას, დაარიგონ მოკამათენი, დადგნენ სიმტკიცით სიტყვაზე და კეთილის მოძღვრებაზე, დაიცვან კეთილი წინდი, არ ასწავლონ სხვა მოძღვრება, არავინ აცდუნონ, აიტანონ შრომა, კეთილად იღვაწონ, მორწმუნეთათვის მოითმინონ მწუხარებანი.

მღვდელმსახურნი უნდა ქადაგებდნენ ქრისტეს, ღმერთის სიტყვას კადნიერებით, კაცთა მუქარის უშიშრად, თუნდაც ყურს არ უგდებდნენ მათ, ყველგან და ყოველთვის უტყუარად, არა ადამიანთა სიბრძნის სიტყვით, არ გულისხმობდნენ თავის განდიდებას, არა შურით, სახარების ქადაგება შეადგენს მღვდელმთავართა აუცილებელ მოვალეობას.

თავის მხრივ, მორწმუნეებმა უნდა მიიღონ მღვდელმსახურნი როგორც ღვთისაგან გამოგზავნილნი, ყურად იღონ და გაჰყვნენ მათ დარიგებას, მათ მაგალითს, მიჰბაძონ მათ სარწმუნოებას, პატივს სცემდნენ, უყვარდეთ ისინი, ლოცულობდნენ მათთვის. სამართლიანია, რომ მღვდელმსახურნი იღებდნენ საჩუქარს მორწმუნეთაგან.

მაგრამ, საღმრთო წერილის მიხედვით, სამწუხაროდ, არიან უსჯულო მღვდელმსახურებიც, რომლებიც ასწავლიან სიცრუეს, ასწავლიან მხოლოდ სიტყვით, აცდუნებენ მრავალთ, არ მწყსიან, არამედ ღუპავენ სამწყსოს, არიან ანგარებისმოყვარულნი, არა აქვთ პატიოსნება, არიან გარყვნილნი და განდგომილნი, თავს აჩვენებენ ქრისტეს მსახურებად, წარმოდგენილნი არიან უხმო და გაუმაძღარ ძაღლებად, მტაცებელ მგლებად, ასეთები გამრავლდებიან უკანასკნელ დღეებში. ვაი, უსჯულო მღვდელმსახურთ.

ის, თუ როგორი უნდა იყოს ეპისკოპოსი, პრესვიტერი თუ დიაკვანი, კარგად აქვს ჩამოყალიბებული მოციქულ პავლეს თავის ეპისტოლეებში ტიმოთესა და ტიტესადმი. მისი სამოციქულო მითითებანი შემდგომში ეკლესიისათვის იქცა იმ წესებად, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა იერარქიული თანამდებობების არჩევისასაც.

“ეპისკოპოსი, - წერს მოციქული პავლე, - უნდა იყოს უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ზომიერი, აზრიანი, სტუმართმოყვარე, დამმოძღვრავი, არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არამედ შემწყნარე, უშარო და ვერცხლის უყვარული, თავისი სახლის კარგი განმგებელი, რომელსაც შვილები მორჩილებაში ჰყავს ყოველგვარი ღირსებით.

ვინაიდან, თუ ვინმემ საკუთარი სახლის განმგებლობა არ იცის, როგორ იზრუნებს ღვთის ეკლესიაზე. ნურც ახლადმოქცეული იქნება, რათა არ გაკადნიერდეს და ეშმაკის სამსჯავროში არ აღმოჩნდეს, სირცხვილისა და ეშმაკის მახეში არ გაებას."

“დიაკვნებიც პატიოსნები უნდა იყვნენ, არა ორპირნი, ღვინოს ნაკლებად მიძალებულნი, არა ანგარნი. რათა წმინდა სინდისით ინახავდნენ რწმენის საიდუმლოებას. ესენიც წინასწარ უნდა გამოიცადონ და შემდეგ, თუ უბიწონი იქნებიან, იმსახურონ. ასევე მათი ცოლებიც უნდა იყვნენ პატიოსნები, არა მაბეზღარნი, კდემამოსილნი და ყველაფერში ერთგულნი. დიაკვანიც ერთი ცოლის ქმარი უნდა იყოს, შვილებისა და თავისი სახლის კარგი განმგებელი. ვინაიდან კეთილად მსახურნი თავიანთთვის იმზადებენ კეთილ პატივს და სიმტკიცეს ქრისტე იესოს რწმენაში"(I ტიმოთე, 3;8-13).

პრესვიტერს დაახლოებით ისეთივე მოთხოვნები წაეყენება, როგორიც ეპისკოპოსს: “თუ არის ვინმე უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ჰყავს მორწმუნე შვილები, გარყვნილებასა და ურჩობაში ბრალდაუდებელნი"(ტიტე 1;5-9).

ამას ემატება შემდეგი მოთხოვნები: ეპისკოპოსი არ შეიძლება იყოს ყრუ და ბრმა (მოციქულთა წესები 78-ე მუხლი), შმაგი, ეშმაკეული (79-ე მუხლი), მონა ბატონების ნებართვის გარეშე, არ უნდა იყოს დაქორწინებული ქვრივზე, ქორწინებიდან გამოგდებულზე, მეძავზე ან მსახიობზე(მე-18 წესი).

2. რას ელის და თხოულობს საზოგადოება

სასულიერო პირისაგან

უკვე 10 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოტრიალება დაიწყო რელიგიისა და რწმენის საქმეში. უკან დარჩა ის დრო, როდესაც სასულიერო პირებს არავითარ უფლებებს არ აძლევდნენ და ისინი ფაქტიურად იზოლირებულნი იყვნენ საზოგადოებისაგან. თუ მათ მცირე ნაწილს ოფიციალურად, კონსტიტუციის დონეზე, ჯერ კიდევ ითმენდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილში შემორჩენილი იყო გარკვეული რწმენა, რომელიც კომუნისტ იდეოლოგთა აზრით, თანდათან, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლასთან ერთად, უნდა აღმოფხვრილიყო.

მძიმე ჟამი ედგა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. იმ ძნელბედობის ჟამს ბევრმა უღალატა საკუთარ მრწამსს, თავი დაანება სასულიერო კარიერას, ზოგი მღვდელი ძალით “გაკრიჭეს", ზოგი "გააციმბირეს", ზოგიც დახვრიტეს. ასეთ პირობებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ძლივს ინარჩუნებდა თავის არსებობას. სასულიერო პირთა რაოდენობა დროდადრო უკიდურესად დაბალ დონეზე ეცემოდა, მაგრამ მაინც, ვინც რჩებოდა, მათ შორის ყოველთვის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მეტნაკლებად უახლოვდებოდნენ მაცხოვრისა და

მოციქულების ნაჩვენებ იდეალებს. სწორედ ასეთი ღვთისმსახურების ზურგზე გადაიარა კომუნისტური რეჟიმის მძიმე პერიოდმა, სწორედ მათ არ გააქრეს სანთელი ეკლესიაში, რწმენა ადამიანთა გულებში. ქება და დიდება მათ, ვინც ამ მძიმე დროს არ დაეცა და რწმენას არ უღალატა, შეუნარჩუნა საზოგადოებას ქრისტიანული ეკლესია. მაგრამ, მათ შორის ბევრი ისეთიც ერია, ვინც თავისი განათლებით, ზნეობით და ცხოვრების წესით ძალზე შორს იდგა ქრისტიანული იდეალისაგან. მათ სახელის გატეხის გარდა არაფერი მოჰქონდათ ეკლესიისათვის.

ამიტომ, როცა ქვეყანაში 70 წლიანი კომუნისტური ბატონობა დამთავრდა, ეკლესია საოცრად მძიმე დღეში აღმოჩნდა არა მარტო მატერიალურად და სულიერად, არამედ კადრების მხრივაც. მისი შემადგენლობა სულ რაღაც რამდენიმე ათეული ადამიანით თუ განისაზღვრებოდა, აქედან უმრავლესობა ხანშიშესული იყო. საჭირო იყო ახალი კადრები...

ახალმა დროებამ, მართლაც რომ, სულზე მოუსწრო ქართულ ეკლესიას, ნანატრი სინათლე გამოჩნდა გვირაბის მეორე მხარეს. მაგრამ ეკლესიას წინ არანაკლები განსაცდელი ელოდა. მართლაც, როდესაც სასულიერო პირებს ეგონათ, რომ ყველაფერი ცუდი უკვე დამთავრდა, რომ მათ უკვე მიაგნეს მდინარეში გასასვლელ ფონს და ახლა ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს ეკლესიის აღორძინებას და წინსვლას, ყველასთვის მოულოდნელად სრულიად სხვაგვარმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის ერთ ნაწილს სხვა კონფესიები დაეპატრონებოდნენ და მისი ისტორიული ადგილის დაკავებასაც ცდილობდნენ. ეს “სხვები" სხვადასხვა დენომინაციები და სექტები იყვნენ.

სამღვდელოება ერთბაშად დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მას მრავალ ფრონტზე უნდა ებრძოლა საკუთარი არსებობისათვის, წართმეული მრევლის დასაბრუნებლად, დაკარგული ავტორიტეტის აღსადგენად. ამისათვის კი საჭირო იყო, გაეხსნა სასულიერო სასწავლებლები, გამოეცა ჟურნალ-გაზეთები, სათანადო ლიტერატურა, გაეზარდა ახალი კადრები, აეშენებინა ახალი ეკლესიები, შეეკეთებინა ძველი სამლოცველოები, დაემყარებინა კონტაქტი ეკლესიისადმი გულგრილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან, განსაკუთრებით ინტელიგენციასთან, რომელიც ყოველთვის შედარებით თავისუფალი აზროვნებით გამოირჩეოდა საქართველოში.

ცხადია, ასეთი ამოცანის შესრულება იოლი როდი იყო; იგი თხოულობდა დიდ ძალისხმევას, ცოდნას, რუდუნებას, პატიოსნებას, ფულს, და ამავე დროს სიწმინდეს. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სათანადო კადრების შერჩევა და აღზრდა. ეს კი, მართლაც, უძნელესი საქმე იყო.

კითხვაზე, თუ რას ელის და რას თხოულობს თანამედროვე საზოგადოება სასულიერო პირებისაგან, ვუპასუხებთ: პირველ რიგში ყველაფერ იმას, რაც საღმრთო წერილსა და სხვა რელიგიურ წიგნებში არის გადმოცემული სამღვდელოების შესახებ. გარდა ამისა, ყოველ დროსა და ეპოქას თავისი სპეციფიკური მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული სამღვდელოებისადმი. განსხვავებულ პერიოდებში დროის შესატყვისი გარკვეული ფასეულობები იწევდა წინა პლანზე. ჩვენი დროც ხომ დიდი სირთულითა და თავისებურებით გამოირჩევა. ახლაც, ბევრი ნიუანსის გათვალისწინებაა აუცილებელი დროის შესაბამისად.

დღევანდელი სასულიერო პირი საგრძნობლად უნდა განსხვავდებოდეს შუა საუკუნეების სამღვდელო პირისაგან.

ქრისტიანობის მიხედვით, სასულიერო პირი შუა კაცია ღმერთსა და ადამიანს შორის, ამიტომ მასთან უნდა მივიდეს ადამიანი ყველა თავისი საიდუმლოებით, წუხილით, დარდით, ტკივილით, შეცოდებით. მორწმუნე ადამიანი სასულიერო პირისაგან ელის ცოდვათა მიტევებას და ღმერთთან შერიგებას. შესაბამისად, მას ბოლომდე უნდა მიენდოს, გაუზიაროს ყველაზე უფრო პირადული, რასაც სხვასთან ვერ იტყვის, უნდა თქვას აღსარება და თანაც დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მისი საიდუმლოება არასოდეს გამჟღავნდება.

აქედან გამომდინარე, სასულიერო პირი უნდა იყოს სანდო, ყოველმხრივ მისაღები, გულითადი, განათლებული, ყურადღებიანი, კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი. ამასთანავე, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაშიც.

სოციალური უკუღმართობის, ძნელბედობისა და მწუხარების ჟამს განსაკუთრებით მატულობს სასულიერო პირის მნიშვნელობა, რადგან ადამიანი სწორედ მაშინ საჭიროებს მეტ თანადგომას და სულიერ მხარდაჭერას. ამიტომ, ის სასულიერო პირები, რომლებიც გაურბიან ან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მორწმუნეთა ამქვეყნიურ პრობლემებს, მათ ჭირსა და ვაებას, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმქვეყნიურ სასუფეველზე ზრუნვით, თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებულ წარმატებას ვერ აღწევენ. ვერც გაქსუებული, გაამპარტავნებული, ძვირფას მანქანაში წამოჭიმული მღვდელი ახდენს დიდ გავლენას გაძვალტყავებულ და მშიერ ხალხზე, ვერ იწვევს მათ თანაგრძნობას და საჭირო რელიგიურ ენთუზიაზმს.

ახალ ვითარებაში არის ერთი სერიოზული საშიშროება, რომელიც ადრინდელ საუკუნეში იყო, კომუნისტების დროს გასაგები მიზეზების გამო არ ჩანდა და ახლა კი მოსალოდნელია კვლავ იჩინოს თავი. ესაა ახალ პირობებში გამდიდრებული და გაძლიერებული ფენების მიერ სამღვდელოების გამოყენების შესაძლებლობა თავისი სოციალური მიზნებისათვის. ისინი, როგორც ადრინდელ საუკუნეებში, შეეცდებიან, ჩაუნერგონ გაღატაკებული ხალხის მასებს, არ შეშურდეთ მათი და არ გამოვიდნენ ერთი მუჭა, უმეტესად არაკანონიერი გზებით გაძლიერებული ადამიანების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ ყველაფერი ამქვეყნიური მაინც დროებითი და წარმავალია, ხოლო ნამდვილ ფასეულობას მხოლოდ მარადიული, იმქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს.

არის მეორე საშიშროებაც: არ დაინერგოს რელიგიისადმი ცუდი, მომხმარებლური დამოკიდებულება, არ აქციონ იგი ბიზნესის ნაირსახეობად, ეკლესიები არ დაამსგავსონ საამქროებს მომგებიან ადგილებში, საიდანაც შემოსავალი არის დაგეგმილი.

საქართველოში სასულიერო პირთა რაოდენობა ამჟამად ათასს მიუახლოვდა. ე.ი. ძნელბედობის ჟამთან შედარებით თითქმის ათჯერ გაიზარდა. რასაკვირვალია ამდენი ღირსეული, განათლებული, კეთილი, სულიერად მდიდარი და

სრულყოფილი ადამიანის ასე მოკლე დროში მოძებნა ძალზე გაჭირდა. ამიტომ, ბუნებრივია, მათ რიგებში გაიპარა ზოგი უღირსი, ნაკლებად მრწმენი, მხოლოდ მატერიალურ სიკეთეს გამოკიდებული ადამიანი, რაც უარყოფითად მოქმედებს სამღვდელოების იმიჯზე.

თვით იმათ შორისაც, ვინც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მაინც ჭირს ისეთი დახვეწილი და სრულყოფილი კადრების მოძებნა, რომლებიც მთლიანად შეესატყვისებიან მოძღვრის ბიბლიურ იდეალს.

სამწუხაროდ რეალურ ცხოვრებაში მოქმედებს ცნობილი გამოთქმა: “რაც ერიო, ის ბერიო", სხვაგვარად, “რა დონისაცაა საზოგადოება, ზუსტად იმ დონის სასულიერო პირები ჰყავს მას". ამიტომ, ჩვენს არცთუ ისე ზნეობრივ საზოგადოებაში, გასაგებად ჟღერს ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მღვდლის მიერ პირად საუბარში თავმდაბლურად და გულისტკივილით გამოთქმული აღიარება: “ჩვენ არც ერთი არა ვართ მისაშვები საკურთხეველთანო." სამწუხაროდ დღეს ასეთი შორი და მიუწვდომელი ჩანს სასულიერო პირის ბიბლიური იდეალი.

მოძღვრის არჩევისას ყველა დეტალს, ყველა ნიუანსს აქვს მნიშვნელობა. არავის არ მოსწონს გაბურძგნული და ჭუჭყიანი ღვთისმსახური. სათანადო მოძღვრის მოძებნა განსაკუთრებით უჭირს ინტელიგენციას, რადგან ხშირად ვერ პოულობს თავისი დონის, მენტალიტეტის და განათლების სასულიერო პირს. ამიტომ, ისინი, უმეტესად, ან ათეისტურ პოზიციებზე რჩებიან ან ზებუნებრივთან ურთიერთობის სხვაგვარ ფორმებს ამჯობინებენ.

სამწუხაროდ, ბოლო ჟამს სარწმუნოებრივი აღმავლობით გათამამებულმა ზოგმა სასულიერო პირმა შეურიგებელი, მტრული პოზიცია დაიკავა ყოველგვარი სხვა აზრისა და განსხვავებული რწმენისადმი. ზოგიერთმა ეკლესიიდან განკვეთილმა, მაგრამ მართლმადიდებლობასთან ასე თუ ისე დაკავშირებულმა ადამიანმა, უკიდურეს ზომებს მიმართა და სხვა რწმენის ხალხთან ცემა-ტყეპა გამართა, მათი წიგნები კი საჯაროდ ცეცხლს მისცა.

ზოგმა სასულიერო პირმა განხეთქილების შემოტანა სცადა თვით ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიაში, რის შედეგადაც ახლა აღარავის აკვირვებს ისეთი ცნებები, როგორიცაა: განკვეთილი მოძღვარი, განდგომილი ბერი და ა.შ. აღარც საპატრიარქოს და ცალკეული სასულიერო პირების ლანძღვა-გინება არის იშვიათი ხილი ჩვენს სინამდვილეში.

სამწუხაროდ, ყველაფერი ეს რეალობაა თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი ფაქტები ჩვენ ალბათ მაინც დროებით მოვლენად, ზრდის სიძნელეებად უნდა ჩავთვალოთ.

ამასობაში, ჩვენ გვინდა, თუ არ გვინდა, ცხოვრება წინ მიდის, ჩნდება ახალი პრობლემები, ახალი მიზნები და სიმაღლეები, რომელსაც დაძლევა უნდა. შესაბამისად, სამღვდელოებაც სათანადო დონეზე უნდა იდგეს, რათა ამ გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს გაუმკლავდეს. ამისათვის კი მან ბევრი უნდა ისწავლოს, ბევრი იშრომოს და გაისარჯოს, რაც მთავარია, ჰქონდეს ღვთისა და ადამიანის დიდი

სიყვარული, სათანადოდ ჩასწვდეს ხალხის გულისთქმას, სწორი, ნათელი გზისა და იდეალებისაკენ გაუკვალოს გზა მორწმუნეებს.

ამასთანავე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა პირველ რიგში სიყვარულის რელიგიაა, იგი სიკეთეს ქადაგებს და ცხადია, ნაკლებად ეგუება ძალადობას, შუღლსა და მტრობას.

სასულიერო პირი დღეს ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფიგურაა, იგი საზოგადოების ცენტრში დგას და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. რამდენადაც მაღალ დონეზე იდგება სასულიერო პირი, რამდენ სიყვარულსაც გასცემს, იმავე დოზით დაუბრუნდება მას სიყვარულიცა და პატივისცემაც, შესატყვისი დონის იქნება მისი ავტორიტეტი და გავლენა საზოგადოებაზე. ასეთივე დოზით გაჰყვება ხალხი მის მოწოდებას, პატივი სცენ და იცხოვრონ ჭეშმარიტი ქრისტიანული ფასეულობებით.

საბედნიეროდ, ბოლო წლებში, ამ მხრივ დამაიმედებელი ტენდენცია გაჩნდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში საკმაოდ საინტერესო პიროვნებები გამოჩნდნენ. მათი განათლების დონე უწინდელთან შედარებით მაღალია, ზნეობრივი სახე კი - უკეთესი. სასულიერო პირები უფრო ბრძოლისუნარიანნი და კონკურენტუნარიანნი გახდნენ, რაც აუცილებელია დღევანდელი კონფესიური დაპირისპირების პირობებში. ზოგი მათგანი კი აღარ უშინდება უცხო კონფესიების შემოტევას და მათ თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებასა და ქართული ეკლესიის ეროვნულ წარსულს უპირისპირებს. შესაბამისად, მათ მარტო სახელმწიფოს იმედი არა აქვთ, რომელიც ქვეყანაში მართლმადიდებლობის პრიორიტეტულ მდგომარეობას დააფიქსირებს. ისინი სხვა, ჭეშმარიტად ქრისტიანული გზებით და საშუალებებით ცდილობენ თავისი მოძღვრების უპირატესობის დამტკიცებას.

გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა» 7. 09. 2002 წ.

V. ფული მევახშეობა და რელიგია

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველო აუშენებელი კომუნიზმიდან კაპიტალისტურ ფორმაციას დაუბრუნდა. საზოგადოებას, რომელშიც ფული თითქმის ყველაფერსნიშნავს, ხოლო მევახშეობა ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად იქცა...

მევახშეობა (გამსესხებელნი), ფულის გასესხება პროცენტებით და მისგან სარგებლის მიღება ოდითგანვე იყო გავრცელებულიადამიანთა საზოგადოებაში. ამან გარკვეული ასახვა ჰპოვა როგორც თითოეულ რელიგიაში, ასევე რელიგიურ ურთიერთობებსა და რელიგიურ წიგნებშიც.

ფულის გასესხებას სამარცხვინოდ არ თვლიდნენ წარმართული ტაძრები და მისგან გარკვეულ შემოსავალსაც იღებდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითადშეიძლება დავასახელოთ ძველბერძნული წარმართული ტაძრები, რომლებიც საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდნენ, მათ შორის მამულებს, სადაც მეურნეობას ეწეოდნენ, ჰყავდათ

მონები, მსახურები, ჰქონდათ განძეულობა და რაც მთავარია, ჰქონდათ ფული, რომელსაც პროცენტებით ასესხებდნენ.

უფრო გვიან, მონოთეისტური რელიგიების ჩამოყალიბებისას, მევახშეობა, თითქმის ყველგან არის დადასტურებული, როგორც რეალური ფაქტი, როგორც საზოგადოების ცხოვრების შემადგენელი, აუცილებელი კომპონენტი. მაგრამ, ადრინდელისაგან განსხვავებით, მევახშეობა აქ უკვე დაგმობილია. რელიგიურ წიგნებში კი არის მცდელობა რათა ფულის გასესხებას, თუკი ეს მაინც მოხდებოდა, ზნეობრივი ხასიათი მისცემოდა. ფულის გამსესხებელს არ უნდა დაეჩაგრა მოყვასი, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკი ადამიანი.

მევახშეებზე (ფულის გამსესხებლებზე) საკმაოდ ბევრია საუბარი ბიბლიაში: როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში. ორივე ამ ნაწილში მევახშეობა მოიხსენიება ტერმინით გამსესხებელი (გამსესხებელნი). ამ ცნებას ორი მიმართულებით ახსენებდნენ: მევახშეობისას ფულის გამცემს თუ რისი მოთხოვნა შეუძლია და რისი გაკეთება არის აკრძალული.

ბიბლიაში გადმოცემულია ფულის გასესხების ტექნოლოგიაც, კერძოდ ლაპარაკია ფულის სანაცვლოდ გირაოს, წინდის მიცემის შესახებ: "თუ შენ მოყვასს რამეს ასესხებ, - აფრთხილებს მეორე რჯულის წიგნი გამსესხებელს, - ნუ შეხვალ მის სახლში წინდის ასაღებად. გარეთ დადექი და კაცი, რომელსაც სესხს აძლევ გარეთ გამოგიტანს წინდს" (2 რჯ. 24;10-11).

ბიბლიის ამ ფრაგმენტს კომენტატორები ასე განმარტავენ: თუ ფულის გამცემი სახლში შევა, შეიძლება იქიდან ისეთი ნივთი წამოიღოს გირაოთ (წინდად), რომელიც ღირებულებით მიცემულ სესხს აღემატება.

"საღვთო წერილი" განსაკუთრებული თანაგრძნობით მოიხსენიებს ღარიბ-ღატაკ მოყვასს, რომელიც ზოგჯერ გაჭირვების გამო, იძულებულია თავისი საუკეთესო სამოსი ან ქვეშაგები დააგირაოს. "თუ ღარიბია კაცი, - ასევე აფრთხილებს 2 რჯულის წიგნი გამსესხებელს, - ღამე არ დაიტოვო მისი წინდი. დაუბრუნე წინდი მზის ჩასვლისას, რომ დაიძინოს თავის სამოსელში და დაგლოცოს, კეთილ საქმედ ჩაგეთვლება უფლის, შენი ღმერთის წინაშე (2 რჯ. 24;10-13)".

ამავე საკითხის შესახებ ლაპარაკია იგავნის წიგნში: "როცა გადასახდელი არაფერი გექნება, რისთვის უნდა გამოგაცალონ ქვეშაგები?" (იგავნი 22; 27).

ბიბლიაში ყურადღება მახვილდება ფულის გასესხებისას სხვისი თავდებობის შესახებ. "იგავნის" წიგნში ლაპარაკია თუ რამდენად მიზანშეწონილია თავდებად დაუდგე ადამიანს ვალის აღებისას: "შვილო, - ნათქვამია მასში, - თუ თავდებად დაუდგენბი შენს ახლობელს, ხელი ხელს დაჰკრავ უცხოს გულისთვის, მახეში ხარ გაბმული შენი ბაგის ნათქვამით, დაჭერილი ხარ შენი ბაგის ნათქვამით.

ამ დროს ასე მოიქეცი, შვილო, და იხსენი თავი, რადგან შენი ახლობლის ხელში ხარ ჩავარდნილი, მიდი, თავი შეაცოდე შენს ახლობელს და შეევედრე". (იგავნი 6:1-3).

ან კიდევ უფრო გასაგები მოსაზრება: "ნუ იქნები იმათთაგანი ვინც ვალს იღებს და გადახდის პირობას დებს" (იგავნი 22; 26).

საღვთო წერილის ნეემიას წიგნში ლაპარაკია საკუთრებაზე გირავნობის სიგელის გაცემის პირობების შესახებ:

"იყვნენ ისეთებიც, - ნათქვამია მასში, - რომელნიც ამბობდნენ: ჩვენი ყანების და ვენახების დაგირავებით, ვერცხლს ვსესხულობთ მეფის ხარჯის გადასახდელადო.

ახლა ჩვენს მოძმეთ ისეთივე ხორცი აქვთ, როგორც ჩვენ, მათ ისეთივე ვაჟები ჰყავთ, როგორც ჩვენ. ჩვენი ვაჟები და ასულები მონებად უნდა მივცეთ, ზოგიერთი

ჩვენი ასულთაგანი კი უკვე დამონებულია, ძალა აღარა გვაქვს ხელებში. ჩვენი ყანები და ვენახები სხვებს ეკუთვნის.

ძალიან მეწყინა, როდესაც მათი დრტვინვა და ასეთი სიტყვები მოვისმინე.

მაგრამ, გულმა მიკარნახა და დავა დავუწყე დიდებულებს, თავკაცებს და ვუთხარი თქვენსმოძმეთაგანს ვახშს იღებთ – მეთქი, მათ წინააღმდეგ დიდი კრებული მოვიწვიე" (ნეემია 5:3-7).

როგორც ვხედავთ, აქ მოყვასზე, თავის მოძმებზე, სხვანაირად ებრაელზეა ლაპარაკი, სხვა ეროვნების ადამიანს ეს არ ეხება, მოყვასზე კი კეთდება მოწოდება გამოუვალ მდგომარეობაში სულაც აპატიოს ეს ვალები:

ე, ჩემი ძმებიცა და ბიჭებიც, ვალად ვაძლევთ ვერცხლს და ხორბალს, მოდით, მივუტევოთ მათ ეს ვალი.

დღესვე დავუბრუნოთ მათ ყანები, ვენახები, ზეთის ხილის ბაღები, სახლები, ასეულობით ვერცხლი, პური, ღვინო და ზეითუნის ზეთი, სარგებელში რომ აიღეთ მათგან" (ნეემია 5:10-12).

ღარიბი მოყვასის მიმართ ფულის სარგებელში გაცემაზე და ვახშის აღებაზე უფრო კატეგორიულია, წინასწარმეტყველი იეზეკიელი:

სარგებელში გასცემდეს და ვახშს იღებდეს და ცოცხლობდეს? არ უნდა ცოცხლობდეს! ყველა ამ სისაძაგლის ჩამდენი სიკვდილით უნდა მოკვდეს; მის თავზე უნდა იყოს მისი სისხლი" (ეზეკ. 18:13).

ეს აზრი არაერთხელ მეორდება ბიბლიის სხვადასხვა წიგნებში, ყველგან არის მკაცრი მოთხოვნა არ შელახონ მოყვასის, თავისი თანატომელის ინტერესები.

"თუ ვინმეს, - ნათქვამია გამოსვლათა წიგნში, - ჩემი ერისაგან, ღარიბ – ღატაკს ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, სარგებელს ნუ დაუწესებ" (გამ. 22:24).

ან კიდევ: - "თუ შენი მოძმე გაღარიბდება და გაჭირვებაში ჩავარდება შეეშველე მას, "ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს – შენი ღვთის გაშინოდეს! – და იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან.

ვერცხლს სავახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისთვის ნუ გასცემ შენ საჭმელს". (ლევიანნი 25:36.37).

ასევე დაგმობილია სარგებლის გაცემა მოძმისთვის 2 რჯულის კანონში: "არ მისცე სარგებელში შენს მოძმესარც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამენივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს.

უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკურთხოს ყფალმა, შენმა ღმერთმა. მთელი შენი აამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ (2რჯული 23:19-20).

საღმრთო წერილში ხშირადაა საუბარი მოყვასისათვის (მოძმისათვის) ვალის პატიების აუცილებლობის შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს ყოველ მეშვიდე წლისთავზე; უნდა აპატიოს ყოველმა მევალემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისათვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე. "უცხოელს მოსთხოვე, - ნათქვამია 2 რჯულის წიგნში (15.1-2), - მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი იქნება". ვალების პატიების შესაძლებლობის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვრცლადაა საუბარი ნეემიას წიგნში (5:10-12) და მათეს სახარებაში (18:27-35), იგივე თემა გაჟღერებულია იგავში "ბოროტი მონის" შესახებ, რომელსაც ბატონმა ათი ათასი ტალანტის ვალი აპატია, მან კი 100 დინარის გულისათვის კინაღამ დაახრჩო თავისი ამხანაგი მონა და საპყრობილეშიც ჩააგდო, რისთვისაც შემდგომ დაისაჯა კიდეც.

ახალ აღთქმაში, კერძოდ ლუკას სახარებაში (16:6-7) ლაპარაკია ხელწერილზე (ანგარიშზე), სხვადასხვა თამასუქის გაცემის შესახებ, რომელიც მოხერხებულმა, მაგრამ ორგულმა მოურავმა გაუფორმა თავისი ბატონის კრედიტორებს. ამდენად, გამსესხებელნი იტყუებოდნენ კიდევაც...

მიუხედავად იმისა, რომ საღმრთო წერილში ბევრგანაა ლაპარაკი ვალების პატიების შესახებ, არის შემთხვევები (მათე 18:25), როცა ბატონის ბრძანებითუნდა გაეყიდათ იმ მონის ცოლ-შვილი, რომელსაც ვალის გადახდის საშუალება არ ფქონდა, უნდა გაყიდულიყო მისი ქონებაც. მსგავსი ამბავი მოთხრობილია მეფეთა მე-4 წიგნში (4:1).

იყო შემთხვევები, როცა ვალს მოვალის ნაცვლად ახდევინებდნენ თავმდებს. (იგავნი 22:26-27).

საღმრთო წერილის მიხედვით აკრძალული იყო გირაოში დაეტოვებინათ ისეთი აუცილებელი ნივთი, როგორიცაა ხელსაფქვავი ანუ დოლაბი, რადგანაც ეს იგივეა სიცოცხლე რომ დააგირავო (2 რჯული 24:6). ასევე იკრძალებოდა გირაოს (წინდის) ძალით წაღება (2 რჯული 24:10) და ღარიბისაგან ვახშის აღება.

ბიბლია ასევე აფრთხილებდა ადამიანებს მორიდებოდნენ ვალის ამღებთა თავმდებად დადგომაშიც.

ძველი აღთქმის ტექსტებში აშკარად გამოსჭვივის სურვილი, რომ დაცული ყოფილიყო მოყვასის, მოძმის, სხვაგვარად ებრაელის ინტერესი. თუკი ებრაელი ვერ შეძლებდა ვალის, ან ვახშის გადახდას, ასეთ შემთხვევაში მისთვის გარკვეული დროის გავლის შემდეგ ეს ვალი უნდა ეპატიებინათ. ცხადია, ასეთი შეღავათები სხვებზე, სხვა ეროვნების ხალხზე არ ვრცელდებოდა.

მევახშეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კარგად ჩანს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ღვთისმეტყველთა შრომებშიც, განსაკუთრებით კი კესარია – კაბადოკიის მთავარეპისკოპოსის წმინდა ბასილ დიდის ნაწერებში. მის ფსალმუნთა განმარტებაში[1], შრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია მე-14 ფსალმუნზე (ქართულ ბიბლიაში 14/15), კერძოდ, მევახშეებზე, ღვთისმეტყველი ყურადღებას ამახვილებს ფსალმუნის ბოლო, მე-5 ლექსზე: "ვერცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად", სიტყვა აღნადგინება ნიშნავს ვახშს, პროცენტიან სარგებელს, ეს მუხლი თანამედროვე ენაზე თარგმნისას ასე ჟღერს: "ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოზე არ აიღებს, ამის მოქმედი არასოდეს წაფორხილდება".

როგორც ბასილ დიდი აღნიშნავს, ამ თითქოსდა უმნიშვნელო გამონათქვამს, ცხოვრებისეული საქმეებისათვის დიდი ძალა აქვს. ღვთისმეტყველი შეგვახსენებს, რომ მევახშეობა წმინდა წერილის მრავალ ადგილას არის გაკიცხული, რომ წინასწარმეტყველი იეზეკიელი ვახშისა და სარგებლის აღებას უდიდეს ბოროტებათა რიცხვს მიაკუთვნებდა (იეზ. 22:12). ბიბლიის სხვა ადგილას ამის გაკეთებას გვიკრძალავს მე-2 რჯულის წიგნიც, სადაც ნათქვამია: "არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რაიმე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს" (2 რჯული 23:19). იგივე აზრია გამოთქმული იერემია წინასწარმეტყველის და ფსალმუნთა წიგნშიც.

მართლაც რომ დიდი სისასტიკეა, - წერდა ბასილ დიდი, - როცა ერთი, ვისაც აუცილებელი რამ უჭირს ვალს იღებს, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს, ხოლო მეორე გასესხებულის უკან დაბრუნებით არ კმაყოფილდება და იმაზე ფიქრობს, როგორ აქციოს ღარიბების გასაჭირი შემოსავლისა და მოგების წყაროდ. ამიტომ გვიბრძანა

უფალმა: "ვინც გთხოვს მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგანსესხება სურს". (მათე 5,42).

ბასილ დიდი მძაფრად და დიდი სიმართლით აღწერს გამსესხებლის და ვალის აღების მოსურნის ურთიერთობას. თავდაპირველად გამსესხებელი, იფიცება რომ გროშიც არ გააჩნია, ამიტომ ვერ ასესხებს, მაგრამ როდესაც მსესხებელი სიტყვას ჩამოუგდებს ვახშზე და გირაოსაც (წინდი) დაუსახელებს, მაშინვე მოლბება. იტყვის, მახლობელმა მას მოსაგებად მიაბარა თავისი სიმდიდრე, მართალია მძიმე ვახში დააწესა, მაგრამ ის შეეცდება, რომ ეს ვახში შეამციროს და შეამსუბუქოს.

"ამგვარი გამონაგონებითა და სიტყვებით მოხიბლავს და შეაცდენს გაჭირვებულს, - აგრძელებს ბასილ დიდი, - ხელწერილსაც მოსთხოვს და ამით არა მხოლოდ მტანჯველი სიღატაკისათვის სწირავს, არამედ თავისუფლებასაც ართმევს, რადგანაც ის, ვინც ისეთი ვახშის მიცემაზე თანხმდება, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ გადაიხდის, ნებაყოფლობით ხდება მონა. მითხარი, - მიმართავს იგი მდიდარს, - რად ეძებ ფულს და მოგებას იმისგან, ვისაც იგი არა აქვს? მას რომ შენი სიმდიდრის გამრავლება შესძლებოდა ტატომღა მოადგებოდა შენს კარებს სათხოვნელადო?".

ბასილ დიდი ვალის ამღებს ადარებს იმ ადამიანს, რომელიც სხვასთან შემწეობისათვის მოვიდა და მტერი კი იპოვა, სენის განკურნებას ეძებდა და საწამლავი კი მიიღო. მისი მიხედვით, ვინც ცდილობს ვახშით სიმდიდრის გაზრდას, უცილობლად ცოდვებს იმრავლებს.

თავის მხრივ, უმწეო მდგომარეობაში ვარდება სესხის მძებნელიც, რადგან ერთხანს, ვალის აღების შემდეგ, იგი სხვისი ყვავილით ტკბება და ხარობს, სუფრა გაშლილი აქვს, მაგრამ ნასესხები ფული თანდათან დნება და დროის მდინარება კი ვახშს ზრდის. ცხოვრება მძიმდება. მას უკვე სძულს დღეები, რომელნიც დათქმულ ვადას აახლოვებენ, ეშინია თვეებისა, რადგანაც ისინი მშობელთია ვახშისა, როგორც საღმრთო წერილშია ნათქვამი: სესხის მიმცემი და მოვალე ერთმანეთს ხვდებიან, უფალი ორივეს უყურებს, ერთი, როგორც ძაღლი ნადავლისაკენ გარბის, ხოლო მეორეს, ვითარცა გამზადებულ მსხვერპლს, ეშინია შემთხვევით შეხვედრისა. სიტყვის თავისუფლებას მას სიღარეზე ართმევს. ორივე თითებით ანგარიშობს; ერთი ხარობს ვახშის გაზრდით, ხოლო მეორე – კვნესის გასაჭირის გამრავლების გამო.

ამიტომ, ბასილ დიდი მოუწიდებს ადამიანებს, სხვისი იმედი ნუ ექნებათ, სვით წყალი თქვენი ჭურჭლებიდან და ცხოვრების სახსარი შენი საკუთარი წვეთებიდან შეაგროვე, ნუ მიადგები სხვის კარებს, რადგან მართლაც რომ ვიწროა სხვისი ჭა, უმჯობესია თვითონვე მოიფიქრო რითი შეეწიო საკუთარ გაჭირვებასო.

ღვთისმეტყველი აფრთხილებს ვალის ამღებს: ნუ შეხედავ იმედით სესხის მიმცემელს, რომელიც ალყას გარტყამს შენ, ნუ მისცემ უფლებას, რომ ვითარცა მსხვერპლი მოგძებნოს კვალში ჩაგიდგეს. ვალის აღება დასაბამია სიცრუისა, უბედურებისა, უსამართლობი და ფიცის დარღვევისა. ... შენ ღარიბი, მაგრამ თავისუფალი ხარ, ხოლო როცა ვალს აიღებ, ვერც გამდიდრდები და თავისუფლებასაც დაკარგავ. ვინც ვალი აიღო მონა გახდა სესხის მიმცემის, დაქირავებული მონა, რომელიც იძულებულია ბატონს ემსახუროს.

ბასილ დიდი სესხის მიმღების, სურათსაც ხატავს და მოუწოდებს ადამიანებს დაითმინონ მძიმე გაჭირვება; ოღონდ ნუ აიღებენ ვალს, რადგან თუ ვალს არ აიღებ ერთნაირად ღარიბი იქნები დღესაც და შემდეგშიც, ხოლო სესხის აღებით კი კიდევ უფრო დაუძლურდები, რამეთუ თუ ვახში ზრდის სიღატაკეს, ახლა შენ არავინ

გადანაშაულებს სიღარიბის გამო, რადგანაც იგი შენი ბრალი არ არის, "ხოლო უკეთუ თავს იდებ ვახშის გადახდას უგუნურებისათვის ყველა გაგკიცხავს".

"ვალს რომ იღებ, - გვაფრთხილებს ბასილ დიდი, - წინასწარ უნდა განსაჯო თუ საიდან გადაიხდი, იმ ფულიდან ხომ არა სესხად რომ იღებ? მაგრამ იგი ხომ ორივესათვის: გასაჭირის დასაფარადაც და გადასახდელადაც არ გეყოფა? ხოლო უკეთუ ვახშსაც მიუმატებ, საიდან გაგიმრავლდება ფული ისე, რომ ცალკე გაჭირვებისაგან იხსნა თავი, ცალკე თავნი შეასრულო და ცალკე კიდევ ვახშიც იხადო? მაგრამ სარგებელს იმ ფულიდან მისცემ, რომელიც ვახშით არ აგიღია? განა გაქვს სხვა წყარო ფულის ასაღებად?".

"ნუ გაიხდი საქმეს ისე, - განაგრძობს ბასილ დიდი, - რომ ბოლოს ინანო და ნეტარად ჩათვალო ის დღეები, როცა ვახშს არ აძლევდი. ღარიბები ამ ერთით განვირჩევით მდიდრებისაგან – უზრუნველყობით, როცა ჩვენ გვძინავს მათ უძოლო ღამეებს დავცინით, ჩვენ უშფოთველნი და თავისუფალნი ვართ, ისინი პირქუშნი და შეფიქრიანებულნი. ვალის ამღები კი ღარიბიც არის და საზრუნავით დამძიმებულიც... თუ კარზე დაუკაკუნებენ, ვალის ამღები საწოლის ქვეშაა, ვიღაცა წამით შემოირბენს და გული შიშისაგან აუძგერდება, ძაღლი დაიყეფებს და ოფლად იღვრება, შინაგანი ბრძოლით იტანჯება და იმაზე ფიქრობს საით გაიქცეს. როცა დათქმული დრო მოახლოვდება, ახალი საზრუნავი უჩნდება, კერძოდ, რა მოიტყუოს, რა მიზეზი მოიგონოს, რათა მოვალეს თავი დააღწიოს".

ბასილ დიდი ვახშს (ბერძნულად ტოკო, რომელიც წარმომდგარია სიტყვა "ტიკტო"-საგან, რაც ქართულად ნიშნავს "ვშობ") ადარებს იმ ტკივილსა და მწუხარებას, რომელიც მშობიარობის ტკივილებს ედრება.

"არცერთი მოკრივე, - აზუსტებს ბასილ დიდი, - ისე არ გაურბის მოწინააღმდეგის დარტყმებს, როგორც ვალის ამღები შეხვედრას ვალის მიმცემთან, ცდილობს რა დაიმალოს, სვეტებს და კედლებს ეფერება".

მძიმე და მტანჯველ კითხვაზე - თუ არ ვისესხეთ რა ვჭამოთ? – ბასილ დიდი პასუხობს: - "მრავალი რამის მოფიქრება შეიძლება ცხოვრებისათვის, სხვას რომ თავი დავანებოთ, ხელები რომ გაქვთ, ხელობა იცით, სულაც შეიძლება ვინმეს დაექირავოთ და თუ ამ გზით ვერაფერს მოახერხებთ მაშინ ითხოვეთ, სთხოვეთ მათ, ვისაც აქვს, მართალია თხოვნის გრცხვენიათ, მაგრამ კიდევ უფრო სასირცხვილოა, რაც ისესხე ის რომ ვეღარ დააბრუნო".

"ამასთან, - ამატებს ბასილ დიდი, - ისინი კი არ მიდიან ვალის ასაღებად, რომელთაც აუცილებელი რამ უჭირთ, არამედ უფრო ხშირად ის ადამიანები სესხულობენ, რომლებიც უანგარიშო მფლანგველობას და უსარგებლო ფუფუნებას ეძლევიან, ემონებიან რა ახირებულ ქალურ სურვილებს...

იმასაც ამბობენ, ვალების აღებით მრავალი გამდიდრდაო, მე კი ვფიქრობ, - ამბობს ბასილ დიდი, - რომ ამ გზამ უფრო მეტი ყულფამდე მიიყვანა. შენ ხედავ გამდიდრებულებს და არ გახსენდება ვინც თავი ჩამოიხრჩო, რადგან ვერ აიტანა სირცხვილი, როცა ვალი უკან მოსთხოვეს, უქონლობის გამო ვერ მისცა და შერცხვენილ სიცოცხლეს ყულფით სიკვდილი ამჯობინა".

შემდეგ, ბასილ დიდი აგრძელებს იმ საშინელებათა ჩამოთვლას, რაც შეიძლება მოჰყვეს ვალის აშებას, განსაკუთრებით შვილებისათვის, შთამომავლობისათვის: "მე მინახავს სიბრალულის აღმძვრელი სანახაობა, - ამბობს ბასილ დიდი, - როცა თავისუფალი ბავშვები მამის ვალის გამო გასაყიდად მიჰყავდათ, არა გაქვს ფული შვილებს რომ დაუტოვო? კეთილშობილებას მაინც ნუ წაართმევ, განძი თავისუფლებისა – ეს საწინდარი, რომელიც მშობლებისგან გადმოგეცა მაინც

შეუნახე. არასოდეს არავისთვის დაუყვედრებიათ სიღარიბე მამისა, მაშნ როცა მამის ვალს კაცი საპყრობილესკენ წაუყვანია. ნუ დატოვებ შენს შემდეგ ხელწერილებს, რომელიც მამისგან წყევლის დარი იქნება და შვილებს და შვილიშვილებზე გადავა".

შემდეგ ბასილ დიდი მიმართავს მდიდრებს: "ომჯობესია ღარიბებმა თქვენი სისასტიკის გამო სხვა უბედურებანი მოითმინოს, ვიდრე ისინი, რომელიც ვახშს მოჰყვება შედეგად, მაგრამ თქვენ რომ უფალი გვირჩევს: "ასესხეთ მათ, რომელთაგან უკან მიღების იმედი არ გექნებათო (ლუკა 6:34,35). იკითხავთ ეგ რაღა სესხია, თუკი მას უკან მიღების იმედიც არ შეუუღლდაო?

მოიაზრე ძალა ნათქვამისა და გაგაოცებს კაცთმოყვარეობა რჯულისმდებელისა. რასაც ღარიბს უფლის გულისათვის აძლევ, ის საჩუქარიც არის და სესხიც, საჩუქარია იმიტომ, რომ არ არსებობს იმედი მისი უკან მიღებისა, სესხი კი უფლის გულუხვობის წყალობითაა, რომელიც იღებს რა მცირეს ღარიბის მეშვეობით, სანაცვლოდ უფრო დიდს მოგანიჭებს, რადგანაც "ღარიბ-ღატაკის გამკითხავი სესსხს აძლევს უფალს (იგავნი 19:17). ნუთუ არ გინდა, რომ სამაგიეროს მოგებისათვის შენს წინაშე თვით ყოველთა უფალი იყოს პასუხისმგებელი?".

უფრო ქვევით, ღვთისმეტყველი ასაბუთებს ვერცხლის უვახშოდ გაცემის აუცილებლობას და ამ საქმეში უფლის თავდებობის მიღებას: თუკი ქალაქის რომელიმე მდიდარი დაგპირდება სხვის მაგივრად გადავიხდიო და მისი გჯერა, ყფლის რატომ არ უნდა გჯეროდესო. მიეცი ვერცხლი, - ამბობს ბასილ დიდი, - რომელიც უქმად გიწყვია, ნუ დაამძიმებ ღარიბს ვახშით და ორივესთვის კარგი იქნება: შენთვისაც, რადგანაც ვერცხლი საიმედოდ შეგენახება და იმისთვისაც, ვისაც მისცემ, რადგან მისი გამოყენებით სარგებელს ნახავს. ხოლო უკეთუ მოგებას ეძებ, ისიც იკმარე, რასაც უფალი მოგანიჭებს. იგი ღარიბთათვის ნამატსაც გადაიხდის, რადგან იმისაგან, ვინც ჭეშმარიტად კაცთმოყვარეა, კაცთამოყვარეობას უნდა ელოდო. ხოლო თუკი ნამატს ღარიბისაგან მიიღებ ეს კაცთმოძულეობის უმაღლესი გამოხატულება იქნება, რადგან სხვათა უბედურების ხარჯზე მოგებას ნახულობ, ფულს ცრემლებისგან კრეფ, ტიტველს აღრჩობ და მშიერს ურტყამ.

უწყალო ხარ და არ ფიქრობ იმაზე, რომ ტანჯული შენი ნათესავია და შენ ასე მიღებულ მოგებას კაცთმოყვარეობად მოიხსენიებ? "ვაი, მათ ვინც სიმწარეს სიტკბოდ სახავს და სიტკბოს - სიმწარედ!" (ესაია 5,20).

"ასპროცენტიანი და ათასპროცენტიანი ვახშის ამღებნი, - აგრძელებს ღვთისმეტყველი გამსესხებელთა და სარგებლის ამღებთა კაცთმოძულეობის დასაბუთებას, - ტომელთა სახელების მოსმენაც კი შიშისმომგვრელია და ისინი, ვინც ნამატს ითხოვენ, ბნელის წარმომშობ დემონთა მსგავსად მთვარის მიმოქცევის მიხედვით ესხმიან თავს ღარიბებს. ვახშის გადახდა ორივე მხარისათვის უკეთურებაა, იმისთვისაც, ვინც აძლევს და იმისთვისაც ვინც იღებს, ერთისათვის ფულის დაკარგვა მოაქვს სასჯელად, ხოლო მეორისას სულს ვნებს".

დასასრულს, ბასილ დიდს, ისევ მოაქვს ციტატა ახალი აღთქმიდან, კერძოდ მათეს სახარებიდან, სადაც ნათქვამია; მთხოვნელს მიეცი და სესხების მსურველს ზურგს ნუ შეაქცევო". (მათე 5,42).

აქ პოზიცია სავსებით ნათელია, ადამიანს, რომელსაც ლუკმაპური უჭირს, ფული უნდა ასესხო, მაგრამ მისგან ვახში არ უნდა აიღო, მის უბედურებაზე არ უნდა ააგო შენი კეთილდღეობა, ძველი საქმეებისათვის კი ვახშს იქ საიქიოში ჩვენი უფალი იესო ქრისტესგან მიიღებ, რომლის არს დიდება და ძლიერება უკუნით-უკუნისამდეო.

და მაინც, ჩვენი თხრობა ახალ აღთქმაში გამსესხებელთა და ვახშის ამღებთა შესახებ სრული არ იქნება თუ ხაზს არ გაუსვამთ ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს, ძველ აღთქმაში ეს დარიგებები ვახშის ამორალობის შესახებ ეხებოდა მხოლოდ მოყვასს, თავის თანამოძმეს და თანატომელეს, ებრაელს,. ახალ აღთქმაში კი, ეს წარმოდგენები ყველაზე უნდა გავრცელებულიყო, იგივე მათეს სახარებაში ამის შესახებ ნათლად და ხაზგასმით არის ნათქვამი:"

"თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის.

რათა იყოთ თქვენ შვილნიმამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც.

რადგანაც თუ გეყვარებათ თქვენ მოყვასნი, რა იქნება თქვენი საზღაური? განა ასევე არ იქცევიან მებაჟენიც?

ანდა თუ მოიკითხავთ მხოლოდ თქვენს მოძმეთ უჩვეულოს რას სჩადიხართ? განა ასევე არ იქცევიან წარმართნიც?

მაშ, იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილნია მამა თქვენი ზეციერი" (მათე 5:43-48).

ამ სიტყვებში ზუსტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული მთელი ქრისტიანული კრედო, რომელიც გმობს მევახშეობას, მაგრამ ფართო გზას უხსნის მოწყალების გაცემას.

*

* *

მკაცრი და კატეგორიულია ვახშის აღებასთან და საერთოდ მევახშეობასთან მიმართებაში მეორე მსოფლიო რელიგია ისლამიც. მის მოძღვრებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ალაჰმა მართალია დაუშვა ვაჭრობა, მაგრამ აკრძალა ვახში.

მუსლიმანთა წმინდა წიგნის ყურანის მეორე სურის 275-ე აიათში ნათქვამია: "ვინც ვახშის მონაგებს ეტანება, აღდგომის დღეს აღსდგეს მისებრ, რომელიც სატანამ შეხებით გაამწიკვლიანა. ისიც იმტომ, რომ ამბობს: "ვახში იგივეა, რაც გაყიდვაო. ღმერთმა გაყიდვა ინება ვახში კი აკრძალა. ვისაც ეს გაფრთხილება უფლისა შეეხო და ამ უსამართლობას ბოლო მოუღოს, ნამყოსათვის მიტევება მიიღოს; მისი ბედი მაშინ ეკიდოს ღმერთზე". ამ სიტყვებს ყურანში მოსდევს მრისხანე გაფრთხილება; ვინც დაუბრუნდეს ვახშსა ჩავარდეს ცეცხლში, სადაც საუკუნოდ დაემკვიდროს".

ისლამის მიხედვით ალაჰი სპობს ვახშს და მის ადგილზე ამკვიდრებს მოწყალებას. ყურანის მე-2 სურის 278-ე აიათში გვხვდება მოწოდება მორწმუნეებისათვის; ღვთისა გეშინოდეთ და დანარჩენი ვახში შეარჩინეთ თუ მისანდო ხართ". სხვაგვარად, თუ ღმერთი გწამთ და ჭეშმარიტი მორწმუნეები ხართ, დაუტოვეთ მოვალეებს ის ნაწილი მაინც, რომელიც მათ ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ.

და თუ ამას არ იზამთ... ელოდეთ ბრძოლას ღმერთთან და მის მოვლინებულთან. ხოლო, თუ არ შეინანოთ თქვენი თავნი თქვენვე დაგრჩეთ. არავინ შეურაცხჰყოთ და შეურაცხყოფილ არც თქვენ იქმნეთ" (II,279).

საინტერესო და ჭკუისასწავლია ყურანის მომდევნო აიათიც; თუ თქვენი მოვალე გასაჭირში ჩავარდეს, მოითმინეთ ვიდრე ღონე იძიოს. ხოლო თუ ვალი აპატიოთ, უმეტესი დაიმსახუროთ, თუ გესმით" (II,280).

ყველაფერ ამას, ყურანის მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან გათვალისწინებული იქნება იმ დღეს, როცა თქვენ ღვთისადმიმიიქცევით:

გეშინოდეთ დღისა, როცა ღვთისადმი მიიქცეთ, როცა ყოველსავე სულსა მის საქმეთაებრ მიეგოს; დამცირებულ არავინ იქნეს" (II,281).

ყურანის II სურის 282-ე აიათში გადმოცემულია ვალის გაცემის მთელი ტექნოლოგია:

"მორწმუნენო! როცა პირობას ჰსდებდეთ ვალისათვის, რომელიც უნდა გადახდილ იქმნას გადაჭრილ დროზე, წერილით დასდებდეთ. მწერალმა ნამდვილად აღნიშნოს წერილით, მწერალმა უარი არ სთქვას და დასწეროს, ცოდნისამებრ; რაც ღმერთს მისთვის უსწავლებია; დასწეროს, ხოლო მოვალემ უთხრას; უფლის ეშინოდეს და არაფერი დააკლოს. თუ მოვალეს ამაში ხელ გამომაცლობა არა აქვს, თუ იგია უძლურთაგანი ამა სოფლისა, და თუ არ შეუძლია თვითონ უთხრას, - მისმა პატრონმა (ანუ მისმა მეგობარმა) უთხრას სარწმუნოდ მის მაგიერ. თქვენს შორის არჩეულს ორს მოწმეს მოუწოდეთ; თუ ორი კაცი ვერა ჰპოვოთ, მოუწოდეთ მოწმობა, რო შეესძლოსთ ერთს კაცსა და ორ ქალსა, რათა თუ ერთს დაავიწყდეს, მეორემ შეიძლოს საქმის მოგონება. მოწმეთა უარი არ უნდა სთქვან ჩვენებისა, როცა საჭირო შეიქმნენ. არ ითაკილოთ ვალის აღება წერილით, დიდი იქმნეს, თუ პატარა, ხოლო გადახდის ბორჯსა დასდებდეთ. ასეთი წარმოება უფრო სამართლიანია ღვთის წინაშე, უფრო მომარჯვებული სამოწმებლად და უფრო ცხადი ყოველგვარის ეჭვის ასაცილებლად, თუ მხოლოდ სავაჭრო არ გექმნესთ რამე და ხელთაგან ხელში არ გადაეცით: მაშინ ცოდვა არ იქმნეს, თუ პირობა წერილით არ შეჰკრათ. მოწმეებს მოუწოდეთ პირობისათვის და ნუ დააძალებთ ნურცა მწერალსა, ნურცა მოწმესა; ხოლო თუ ჰყოთ, ცოდვა ჩაიდინოთ. გეშინოდესთ ღცთისა: იგი გასწავლისთ და მანვე უწყის ყველაფერი" (II,282).

იმ შემთხვევაში, აგრძელებს ყურანი საუბარს ამ საკითხზე, - "თუ გზად იყვნეთ და მწერალი ვერ ჰპოოთ, მაგიერობა საწინდარმა სწიოს, ხოლო თუ ერთმა მეორეს ნივთი რამ ჩააბაროს, ვისაც საწინდარი ჩაბარდეს, ხელუხლებლივ აღადგინოს იგი; ღვთის, თავისის უფლის ეშინოდეს. მოწმობის უარი არა სთქვათ; ვინც უარი ჰსთქვას გულ გარყვნილ იქმნეს. ხოლო ღმერთმა თქვენი საქმეები უწყის (II,283).

*

* *

თუ ყველაფერ ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ფულის გამსესხებელთა და მისგან სარგებლის მიმღებთა მიმართ მონოთეისტური რელიგიების: იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის დამოკიდებულება ურთიერთმსგავსი და მკვეთრათ უარყოფითი იყო. როგორც ჩანს, ადრეც და ამ რელიგიების შექმნის პერიოდშიც, მევახშეობა საკმაოდ ფართო გავრცელებული მოვლენა ყოფილა, მას ზოგი იძულებით, ზოგი კი სპეციალურად, გასამდიდრებლად მიმართავდა. ამიტომ, რელიგიური მოძღვრებები ცდილობდნენ ამ პროცესისათვის გულმოწყალე და ზნეობრივი სახე მიეცათ. მევახშეობა მანკიერ მოვლენად

გამოეცხადებინათ. მის სანაცვლოდ დაენერგათ ტვირთმძიმეთათვის მოწყალების გაცემა, ღარიბ-ღატაკთათვის დახმარება, ზოგჯერ მათთვის ვალის პატიებაც კი.

ასეთი ქველმოქმედებისათვის მდიდარ ადამიანებს ღვთის შეწყალებას და ღმერთის თანადგომას ჰპირდებოდნენ. ამ რელიგიათა მიხედვით, როცა ადამიანებს უფალთან წარდგომის ჟამი დადგება, ასეთი ქველმოქმედება გადამწყვეტ როლს შეასრულებს მათი სულების ხსნის საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენს რთულსა და ძნელ დროში, ცოტა ვინმე თუ უგდებს ყურს რელიგიურ წიგნებში დაფიქსირებულ ამ მნიშვნელოვან შეგონებას, მითუმეტეს, ნაკლებად ანხორციელებს მას რეალურ ცხოვრებაში.

გაზეთი "სრულიად არასაიდუმლოდ" #1, 2003 წ.

მოძრაობების თუ რელიგიური წარმონაქმნების წარმოშობისას სხვაგან თუ ჩვენში. ამის ახსნა და გარკვევა უაღრესად საჭირო და აუცილებელია, რადგან, არა მარტო ბატონ აკაკი ჯორჯაძეს, არამედ თითოეული ასეთი ორგანიზაციის მეთაურს აქვს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია და თანაც კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხალხმა მხოლოდ მისი აღმოჩენილი გზით იაროს, მხოლოდ მისი მოძღვრებით იხელმძღვანელოს. სხვა შემთხვევაში, მკაცრად გვაფრთხილებენ: ქვეყანა დაიღუპებაო...

ბატონ აკაკის ან არ უხდება, ან იშვიათად უხდება შეხვედრა ასეთი ტიპის ორგანიზაციების თუ მოძრაუბების ლიდერებთან, თორემ უმალ დარწმუნდებოდა, რომ მათი განცხადებანი ხსნის ერთადერთი ჭეშმარიტი გზის ფლობის შესახებ, კატეგორიულობით არაფრით გამოირჩევა მისი მტკიცებებისაგან. აი, თუნდაც საქართველოს სულიერი მისიის შემსწავლელი "ლაზარეს ინსტიტუტის" გაზეთი "დედანი ენის სასწაული" (იგივე "ლაზარეს აღდგინება", იგივე "სიტყვაი კეთილი") 1999 წ. #1 (16) ნომერი ავიღოთ, სადაც ნათქვამია:

"დიახ, ჩვენი გაზეთის ბოლო ნომერში გაცხადდა ძე კაცისას ხორციელად მოსვლის შესახებ (ხაზგასმა ჩვენია – თ.ფ.). ამ აზრის არმიმღებთა შესახებ იმავე ნომერში მოყანილი იყო იოანე ღვთისმეტყველის წერილზე აგებული მოსაზრება, რომ "ბოლო ჟამს, როდესაც ქრისტეს მეორედ ღმერთად მოვლინების წინა, ანტიქრისტეს ზეობის ხანა იქნება, არ შეგეშალოთ და მიხვდით, რომ ვინც უარყოფს ქრისტეს ხორციელად მოსვლას, იგი ღმერთისაგან არ იქნებაო".

როგორც ვხედავთ, აქ ჯორჯაძისა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით, ქრისტეს მეორედ მოსვლა სულიერად კი არა, ხორციელად არის დასახული. და ეს ცოდნა გაზეთის ავტორებს (მათივე მტკიცებით) სულით აქვთ მიღებული.

რა ქნას, რა მოიმოქმედოს უბრალო მოკვდავმა, ვის დაუჯეროს, ორივე მხარე ხომ თავგამოდებით ამტკიცებს, მხოლოდ ჩემი მტკიცებაა ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტი და სულიერი გზით გვაქვს მიღებულიო?..

ან იგივე გაზეთში, მე-12 გვერდზე ნათქვამია: "ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ ზვიად გამსახურდია იყო რეინკარნაცია ყოვლადწმიდა სამების იპოსტასის, მეორე წევრის – ძისა, ანუ იგი იყო კაცი სრული და არა ღმერთი...

ანუ მარადარსებულმა, ყოვლადძლიერმა, ყველაფრის მფლობელმა სულმა, ყოვლადწმიდა სამების მეორე წევრმა – ძემ, შეიმოსა ჩვეულებრივი მოკვდავის სხეული და განკაცდა ზვიად გამსახურდიაში"...

ან ახლა რა ვქნათ, მართლა დავიჯეროთ, რომ ზვიად გამსახურდია იესო ქრისტეს რეინკარნაცია იყო, სადაური ქრისტიანული ცოდნაა ეს?

ნაღდად აღარ მინდა ამაზე სიტყვის გაგრძელება...

ჩემს ცხოვრებაში არასოდეს გამჩენია ვინმეს გაქილიკების,

---

1 ფსალმუნთა განმარტებანი წმინდისა ბასილ დიდისა, კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსისა, ძველბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1995წ.).

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე
ი ნ ტ ე რ ვ ი უ ე ბ ი

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ი ნ ტ ე რ ვ ი უ ე ბ ი

I. თეიმურაზ ფანჯიკიძე: ჩემი პოზიცია იგივე დარჩა:

მე ვიყავი და ვარ რელიგიის ისტორიკოსი

(ინტერვიუ რელიგიათმცოდნესთან)

- ბატონო თეიმურაზ, საგანს, რომელსაც თქვენ უძღვებით კულტურის ინსტიტუტში, რელიგიის ისტორია ჰქვია. როგორც მე ვიცი, ეს დისციპლინა ცოტა ხნის წინათ შეიტანეს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაში...

- დიახ, ასეთი სახით ეს საგანი სულ რაღაც ორი-სამი წელიწადია იკითხება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რელიგიის ისტორიის საკითხებს ჩვენში ადრე არ სწავლობდნენ; საქმე ის არის, რომ, ერთ შემთხვევაში (კომუნისტები) მას შეისწავლიდნენ როგორც გადმონაშთს, რომელიც დროთა ვითარებაში აუცილებლად უნდა დაძლეულიყო, რათა მის ადგილას დამკვიდრებულიყო ახალი მატერიალისტურ-ათეისტური მსოფლმხედველობა. მეორე შემთხვევაში კი რელიგიის ისტორიის საკითხებს შეისწავლიდნენ ცალკეული რჯულთმოძღვრების წარმომადგენლები თავიანთი კონფესიური ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი მიდგომით, ბუნებრივია, მხოლოდ ერთადერთი რელიგიური მიმართულება ცხადდებოდა ჭეშმარიტად, ხოლო სხვები არასწორ, ცრუ და სატანისეულ

მოძღვრებებად. რასაკვირველია, არცერთ ამ შემთხვევაში არ იყო რელიგიის, როგორც მთლიანი მოვლენის, ობიექტურად შესწავლის საშუალება.

- თქვენ როგორ უდგებით ამ საგანს?

- რელიგიის ისტორიის შესწავლა-შეფასება ობიექტურად უნდა ხდებოდეს, რელიგიის ჩასახვის, განვითარების პროცესის ჩვენებით და მეცნიერული ანალიზით. უკვე აღვნიშნე, ის თავისუფალი უნდა იყოს როგორც ცალკეული რჯულთ-მოძღვრებების დიქტატისაგან, ასევე რელიგიური წარმოდგენებისა და ღირებულებების წინასწარ და ულაპარაკოდ უარყოფისაგან. ამასთანავე, რელიგიის ისტორია კულტურის ისტორიასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. ასეთი მიდგომის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნით რელიგიის წარმოშობისა და განვითარების სწორ სურათს.

- თვით რელიგიას როგორ აფასებთ?

- რელიგიის კვლევისას იმ მოსაზრებიდან გამოვდივარ, რომ იგი არის არსებითად კულტურის შინაგანი მხარე, რომ რელიგია გამოხატავს ადამიანთა ცხოვრების არსს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხალხებში. იგი მნიშვნელოვნად ასახავს ეპოქის ხასიათს, განწყობას, საზოგადოების მდგომარეობას, მის მიზანსა და პოლიტიკას. რელიგიის ისტორია გვიჩვენებს, როგორი იყო გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში ადამიანთა მისწრაფებები და იმედები. მე ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ რელიგიათა ისტორიის შესწავლა ეს არის მსოფლიო ისტორიის სულში ჩაწვდომა, ამ სულის მოძრაობის შესწავლა, ეს არის გაგება სულიერი კულტურისა, სურვილებისა თუ იმედებისა, რომლითაც ხალხი ცხოვრობდა, სულდგმულობდა და რითაც იგი ამაყობდა.

რელიგია კულტურის ელემენტია, შესაბამისად, ის ვითარდება კულტურის წინსვლასთან ერთად. როგორიც იყო კულტურა, ისეთივე იყო რელიგიის განვითარების დონეც. შესაბამისად, იგი ასახავდა იმ იდეალებს, რომლისკენაც მიილტვოდა და რაზეც ლოცულობდა საზოგადოება, აჩვენებდა ხალხის გაჭირვებასა თუ დალხინებას.

- რა ადგილი უჭირავს რელიგიის ისტორიას კულტურის ინსტიტუტის სასწავლო გეგმებში?

- მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას კარგად ესმის ამ საგნის საჭიროება სტუდენტებისათვის. მართლაც, ძალზე ძნელია, ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ლიტერატურაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, არქიტექტურაზე, საერთოდ კულტურაზე, თუ სათანადო ცოდნა არა გვაქვს რელიგიური ღირებულებების შესახებ, არაფერი გაგეგება იმ რელიგიური თუ მითოლოგიური სიუჟეტებისა, რომლებიც უამრავ მხატვრულ ნაწარმოებს უდევს საფუძვლად.

- ვინ უნდა ასწავლიდეს რელიგიის ისტორიას?

- ჩემი აზრით, მეცნიერი. ის ფაქტი, რომ ამ საქმისათვის თავდაპირველად ბევრ საერო სასწავლებელში სასულიერო პირები მიიწვიეს, იმით უნდა აიხსნას, რომ ზოგჯერ ერთმანეთში აურიეს რელიგიის ისტორია და საღმრთო სჯული.

- როგორ უყურებთ თქვენს ადრინდელ ნაწერებს: წიგნებს, ბროშურებს, სტატიებს?

- ჩემი პოზიცია, ფაქტობრივად, იგივე დარჩა. მე ვიყავი და ვარ რელიგიის ისტორიკოსი. ყოველთვის ვცდილობდი ობიექტური პოზიციებიდან მივდგომოდი რელიგიის საკითხებს. ასეთი პოზიციიდან არის დაწერილი 70-იან და 80-იან წლებში გამოქვეყნებული ჩემი შრომები. მათ შორის ჩემი წიგნი ბიბლიაზე, რომელშიაც საღმრთო წერილი განხილულია, როგორც შესანიშნავი კულტურულ-ისტორიული ძეგლი. იმ დროს, როდესაც რელიგიის შესახებ პოზიტიურად რაიმეს წერა, ფაქტობრივად, იკრძალებოდა, ამაზე უფრო გაბედული აზრის გამოთქმა ოფიციალურ პრესაში ძალიან ძნელი იყო.

- ახლა საქართველოში მრავალი რელიგიური კონფესიაა, რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

- თუმცა მე ყველა რელიგიას ობიექტურად ვუყურებ და ყველა მათგანი საინტერესოდ მეჩვენება, მაგრამ მაინც, გულის სიღრმეში, ძალიან მიჭირს საქართველოში რეკომენდაცია გავუწიო რომელიმე ისეთ რწმენას, რომელიც ქართველ კაცს ხელს ააღებინებს ჯვარსა და სიონზე, ატენსა და გელათზე, ბაგრატსა და ნიკორწმინდაზე, საერთოდ, ქართულ კულტურაზე, რომელიც წარმართობის შემდეგ ქრისტიანობასთან არის დაკავშირებული. ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი დიდი ხანია გააკეთა, ხოლო იმათ, ვინც სხვა რელიგიით იარა (კათოლიკურის გარდა), სამწუხაროდ, არაფერი შეუმატებიათ ქართული კულტურისათვის.

- ბატონო თეიმურაზ, მაინც რაში მდგომარეობს თქვენი რწმენა?

- ადამიანებმა ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ იციან სამყაროზე. ჩვენ მხოლოდ ოდნავ შევაღეთ კარი და აქედან ვუმზერთ უსასრულო სამყაროს. ამ პატარა ცოდნისაგან კატეგორიული დასკვნების გაკეთება უაზრობად მეჩვენება. ამიტომ მე ვამჯობინე ვყოფილიყავი რელიგიის ისტორიკოსი და მეკვლია მხოლოდ ის, რაც სინამდვილეში მართლა მოხდა.

- . მონათლული თუ ხართ?

- მონათლული ვარ. თუმცა მოვინათლე საკმაოდ გვიან, 1962 წელს, უკვე მოწიფულობაში, ქუთაისში, ჩემს მეგობართან რეზო ბალანჩივაძესთან (ამჟამად პროფესორთან და თეატრალური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგესთან) სტუმრობისას. ნათლიები, თვით რეზოს გარდა, მისი მეგობარი ქალიშვილები იყვნენ. მაშინ მე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ათეიზმის სპეციალობის ასპირანტი ვიყავი, ხოლო რეზო ბალანჩივაძე ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. ვინაიდან, იმდროინდელი გაგებით, ორივენი იდეოლოგიურ დარგს ვემსახურებოდით, ჩვენი ასეთი საქციელით გარკვეულ რისკს

ვეწეოდით, რადგან ამ საქმის გახმაურების შემთხვევაში მე უნივერსიტეტიდან და რეზოს ინსტიტუტიდან გაგდება გველოდა.

მონათვლით, ჩემი იმდროინდელი გაგებით, პატივი ვეცი ქართულ ტრადიციას, ადათს, ცხოვრების წესს და იმ რელიგიურ არჩევანს, რომელიც ქართველმა ხალხმა გააკეთა მრავალი საუკუნის წინ. ესაუბრა გვანცა ჩხეიძე, კულტუროლოგიის სპეციალობის სტუდენტი.

გაზეთი “ქართული კულტურა” 2 (38), 1994. ივნისი.

II. რელიგიათმცოდნეობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე.

- ბატონო თეიმურაზ, რის ბაზაზე შეიქმნა რელიგიათმცოდნეობის კათედრა და ფილოსოფიის ფაკულტეტის თეოლოგიის სპეციალობა?

- საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე, რელიგია ისწავლებოდა იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო ხალხის მასებიდან მისი გავლენის აღმოსაფხვრელად. ამიტომ რელიგიის ყოველგვარ კრიტიკას წინ უძღოდა გასაკრიტიკებელი ობიექტის ერთგვარი პოზიტიური დალაგება. ყველაფერი კეთდებოდა ლენინის იმ მითითების თანახმად, რომელიც მან ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს მისცა, დაეწერა რელიგიის ისტორიის პატარა ტომი, რომელიც, ამავე დროს, მიმართული უნდა ყოფილიყო რელიგიის წინააღმდეგ, რომელთან ერთადაც უნდა მიმოეხილა ათეიზმის ისტორია და ეკლესიის ბურჟუაზიასთან კავშირის მასალებიც. ეს მითითება ათეული წლების მანძილზე პრაქტიკულად ზედმიწევნით სრულდებოდა. რელიგიის მეცნიერულ კრიტიკას წინ უძღოდა რელიგიის ისტორიის მოკლე სახით გადმოცემა. მიუხედავად ასეთი მიზანდასახულობისა, ამ ფაქტმა გარკვეულად, მაინც დადებითი როლი შეასრულა რელიგიური პრობლემატიკის შესწავლის საქმეში. იმ პერიოდში რელიგიური გამოცემები ძალიან ცოტა იყო, მათი ტირაჟები კი – კატასტროფულად მცირე. ასეთ პირობებში, მეცნიერული ათეიზმის სახელმძღვანელოებსა თუ სხვა წიგნებში დალაგებული რელიგიის ისტორია, ფაქტობრივად, ერთადერთი მისაწვდომი წყარო იყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის, მიეღოთ ინფორმაცია რელიგიის შესახებ.

1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, შეიქმნა მეცნიერული ათეიზმის კათედრა (ეთიკასა და ესთეტიკასთან ერთად), რომელსაც თეორიულად იგივე მიზნები და ამოცანები ჰქონდა, რაც მისი

ტიპის სხვა კათედრებს მთელ საბჭოთა კავშირში – დაეძლიათ რელიგიური გადმონაშთები და ხალხისათვის ახალი შეხედულებები ჩაენერგათ. მაგრამ პრაქტიკულად, კათედრამ ბევრი რამ გააკეთა რელიგიური პრობლემატიკის შესასწავლად და გამოსაცოცხლებლად. განვლილი 36 წლის მანძილზე გამოვიდა რამდენიმე სახელმძღვანელო, დაისტამბა კრებულები, გამოიცა ცალკეულ ავტორთა წიგნები, გაიზარდა ახალი კადრები, დაცული იქნა დისერტაციები...

ოთხმოციანი წლების ბოლოს კათედრამ ოფიციალურად შეიცვალა თავისი სახელწოდება და მას რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრა ეწოდა. მოგვიანებით, კათედრის ინიციატივით, ფილოსოფიის ფაკულტეტზე თეოლოგიის სპეციალობა გაიხსნა.

თავდაპირველად ძალიან ბევრი სიძნელე იყო, ჩვენში ნაკლებად იყო ღვთისმეტყველების სწავლების გამოცდილება, საჭირო იყო ახლებური მიდგომა. რელიგიათმცოდნეობის კათედრა ნელ-ნელა შეივსო ახალი კადრებით. ძველ სპეციალისტებს მიეცათ საშუალება, მოემზადებინათ ღვთისმეტყველური კურსები. ამჟამად, კათედრაზე ასწავლიან მეცნიერები, რომლებმაც ისწავლეს და დისერტაციები დაიცვეს ვატიკანში, გერმანიაში, რუსეთში – ძველი და ახალი კადრების ნაზავმა, საბოლოო ჯამში, კარგი კოლექტივი შეკრა.

- რას სწავლობენ თქვენი სტუდენტები და სად შეიძლება გამოიყენონ მათ თავიანთი ცოდნა?

- ზოგად საუნივერსიტეტო საგნებთან ერთად, ისინი იღებენ ფილოსოფიურ განათლებას, ბაკალავარიატის ოთხი და მაგისტრატურის ორი წლის მანძილზე მათ ეკითხებათ – ფილოსოფიის ისტორია, სისტემატური ფილოსოფია, სოციალური ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, სოციოლოგია, კულტურის ფილოსოფია, აქსიოლოგია, სხვადასხვა ფილოსოფიური სპეკკურსები. ამასთანავე, თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები ინტენსიურად სწავლობენ უცხო ენებს, როგორც თანამდეროვე, ისე ძველ ენებს.

რაც შეეხება მათ უშუალო სპეციალობას, ისინი ფართოდ გადიან რელიგიათა ისტორიას, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას, ძველ და ახალ აღთქმას, აღმოსავლურ რელიგიებს, რელიგიურ უმცირესობებს, საკულტო ხელოვნების ისტორიას, ქართულ წარმართობას, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას, დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას, რეფორმაციის ისტორიას, დოგმატურ, ძირითად, შედარებით, ზნეობრივ ღვთისმეტყეველებებს, პატროლოგიას, საეკლესიო სამართალს, ჰომილეტიკას, ლიტურგიკას, ეგზეგეტიკას და ისაგოგიკას, რელიგიურ ანთროპოლოგიას და ბევრ სხვა საინტერესო საგანს. ჩვენი სასწავლო გეგმა შეჯერებული გვაქვს გერმანიის, დანიის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების თეოლოგიური ფაკულტეტების გეგმებთან და პროგრამებთან.

რაც მთავარია, ჩვენ უკვე გვყავს ამ რთული საგნების წამკითხველი კვალიფიციური ლექტორები. ჩვენს კურსდამთავრებულთ, რომელთაც ფართო თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლება აქვთ, შეუძლიათ მრავალ ადგილას გამოიყენონ თავიანთი ცოდნა. გარდა საშუალო სკოლისა, სადაც ისწავლება საგანი

“რელიგია და კულტურა”, მათ შეუძლიათ სამსახური იპოვონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, მუზეუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტენიკუმებში და თვით დიპლომატიურ ასპარეზზეც, ზოგს კი სულაც სასულიერო კარიერა შეუძლია აირჩიოს...

- რა ურთიერთობა გაქვთ სასულიერო აკადემიასთან?

- ზოგიერთი ჩვენი მეცნიერ-მუშაკი ლექციებს კითხულობს სასულიერო აკადემიაში. თავის მხრივ, აკადემიის ზოგი ლექტორი ან კურსდამთავრებული ჩვენთან თანამშრომლობს. ვვარაუდობ, რომ ახლო მომავალში ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაიზრდება. გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტის თეოლოგიის სპეციალობა საერო სასწავლებლის დარგია. ამიტომ, მისი მიზნები, ამოცანები და პროგრამები არ შეიძლება იდენტური იყოს სასულიერო აკადემიის მიზნების, ამოცანების და პროგრამებისა.

- რა კავშირი და დამოკიდებულება გაქვთ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან და როგორ გესახებათ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, ეკლესიის მონაწილეობა საერო საქმეებში, თუნდაც სასკოლო განათლებაში?

- ჩვენს პირველ გამოშვებაში მონაწილეობდა და თეოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა მომზადებით კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. თბილი და საქმიანი ურთიერთობა ყალიბდება კათედრასა და უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, დეკანოზ ბასილთან და მამა ილიასთან, ორივე სასულიერო პირი უნივერსიტეტელია და მათ კარგად ესმით ჩვენი პრობლემები. ისინი ახალი სასწავლო წლიდან მონაწილეობას მიიღებენ ფაკულტეტის მუშაობაში.

ეკლესია გამოყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან. ხელის შეწყობა ჩვენი ტრადიციული რწმენისათვის არ უნდა ნიშნავდეს მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ასეა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. დაუშვებელია, რომ სასულიერო პირნი სახელმწიფო მოხელეებად იქცნენ და ხელისუფალთა ნებისმიერი შეკვეთა შეასრულონ.

რაც შეეხება რელიგიის სწავლებას სკოლებში – ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიფიქროთ თუ რა დოზით, რა ფორმით, რა ხერხებით მივაწოდოთ ეს ცოდნა ახალ თაობას... დღეს არსებული სწავლების ფორმები, ჩემი აზრით, აშკარად დახვეწას მოითხოვს...

ესაუბრა ლელა დონაძე

გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” 191 (2564), 9 აგვისტო, 1997 წ.

III. პასტორი ჰორსტ ნისენი: რწმენა თავისუფალი უნდა იყოს

საქართველოში სტუმრად იყვნენ სასულიერო პირები გერმანიიდან: პასტორი ჰორსტ ნისენი – აღმოსავლეთ ევროპაში დიაკონისელთა ორდენის წარმომადგენელი და ღირსი დოქტორი კარლ ჰაინც ვალტერი – ევროპის ბაპტისტთა ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი. მათ შეხვდა და პასტორ ჰორსტ ნისენს ესაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტის რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგე, რელიგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე

დემოკრატიაზე იმას უნდა ელაპარაკო,

ვისაც ნამდვილად უნდა დემოკრატია.

იეღოველები კი თვითონ ახორციელებენ

შინაგან დიქტატს.

ჰორსტ ნისენი

თემურ ფანჯიკიძე. – ბატონო ჰორსტ, საქართველოში ბოლო წლებში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი რელიგიის შესახებ კანონის თაობაზე. მოსახლეობის აზრი მკვეთრად გაიყო: ერთნი ამტკიცებენ, რომ უნდა იყოს ასეთი კანონი, მეორენი კმაყოფილდებიან მხოლოდ სათანადო მუხლით კონსტიტუციაში სინდისის თავისუფლების შესახებ, მესამენი თვლიან, რომ უნდა დაიდოს ხელშეკრულება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (როგორც ქვეყნის ძირძველ და ძირითად რელიგიასთან), მეოთხენი თვლიან, რომ ასეთი ხელშეკრულებები უნდა დაიდოს საქართველოში არსებულ ყველა კონფესიასთან, ხოლო ყველაზე უფრო რადიკალურად განწყობილი ადამიანები მოითხოვენ, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე, როგორია, ამ მხრივ, ევროპისა და, კერძოდ, გერმანიის გამოცდილება?

- გერმანიაში არც ლუთერანობა და არც კათოლიციზმი არ არის სახელმწიფო რელიგია, მაგრამ, ფაქტობრივად, ასეთ როლს ასრულებენ. ასეთმა პოზიციამ მათ დიდი სიკეთე ვერ მოუტანა, რადგან ამ ეკლესიებმა უკვე ბევრი მორწმუნე დაკარგეს, რის გამოც ფინანსურმა შემოსავალმაც იკლო. ახლა ისინი იძულებულნი არიან, შეამცირონ სასულიერო პირთა რაოდენობა და ცალკეული რელიგიური ორგანიზაციები გააუქმონ კიდეც.

ყველა რელიგიური კონფესია, ევანგელიკური ეკლესია იქნება თუ სხვა მიმდინარეობა, გარკვეულ გადასახადს უხდის სახელმწიფოს. ეს გადასახადი, სამწუხაროდ, სახელმწიფოს კი არა, მხოლოდ ამ ორ ეკლესიას – ლუთერანულს და კათოლიკურს, მათ საქმიანობას ხმარდება.

მაგრამ ახლა, როდესაც მნიშვნელოვნად დაჩქარდა ევროპის გაერთიანების პროცესი, ეს ეკლესიები გათავისუფლდებიან ამ გადასახადებისაგან... ეს კი შეზღუდავს იმ ფინანსურ ბაზას, რითაც ეს ორი ეკლესია იკვებება. შესაბამისად, ეს პროცესი გამოიწვევს ამ ორი ეკლესიის გავლენის შემცირებას და, გარკვეული თვალსაზრისით, დაცემას. ამის ნიშნები უკვე შეიმჩნევა. მაგალითად, ჰამბურგში მოსახლეობის მხოლოდ მესამედი დადის ეკლესიაში, ბერლინში – 22 პროცენტი და ეს ასეა გერმანიის ბევრ მხარეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთით.

თ. ფ. – რელიგიურობა საერთოდ დაეცა ევროპაში, თუ ეს მხოლოდ გერმანიაში შეიმჩნევა?

- ეს პროცესი აშკარად შეინიშნება ინგლისში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, იტალიაში. ცხადია, იგივეს ვერ ვიტყვით აღმოსავლეთ ევროპაზე, რაც იმითაა განპირობებული, რომ აქ კარგა ხანს ბატონობდა კომუნისტური რეჟიმი, რელიგია კი აკრძალული ხილი იყო. თუმცა, ისეთ ძლიერ კათოლიკურ ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია, ბოლო ინფორმაციით, ბევრი აღარ დადის ეკლესიაში. რაც შეეხება ბულგარეთს, მართალია, აქ მოსახლეობის 89-90 პროცენტი ამა თუ იმ რელიგიურ კონფესიას ეკუთვნის, მაგრამ მხოლოდ 1 პროცენტი დადის ეკლესიაში.

თ. ფ. – რა აზრის ბრძანდებით კონკორდიუმზე (ხელშეკრულება სახელმწიფოსა და რელიგიურ კონფესიას შორის)?

- არცთუ ისე მაღალი აზრის. გაუმართლებელია, როცა ერთი რელიგიური კონფესია ამ გზით ცდილობს მეორეზე უპირატესობის მოპოვებას. თუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ გზით შეეცდება სხვა ეკლესიებზე უპირატესობის მოპოვებას, თქვენი ქვეყანა ვერასოდეს მოხვდება ევროკავშირში. ცხადია, ეს მარტო საქართველოს არ ეხება. ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რის გამოც აქამდე თურქეთი ვერ შევიდა ევროკავშირში, სწორედ რელიგიური ფაქტორი გახლავთ. სანამ იქ ყველა რელიგიას თანაბარ მდგომარეობაში არ ჩააყენებენ, თურქეთს ევროკავშირში არ შეუშვებენ.

თ. ფ. – კი მაგრამ, ხომ არსებობს ასეთი კონკორდიუმები საბერძნეთში, ესპანეთში?..

- საბერძნეთზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით. იქაურ ვითარებას ცუდად ვიცნობ. რაც შეეხება ესპანეთს, აქ კონკორდიუმი საკმაოდ დემოკრატიული ხასიათისაა. მართალია, იქ ლაპარაკია კათოლიკური ეკლესიის მაიორეტეტზე, მაგრამ სხვა კონფესიები ნაკლები უფლებებით არ სარგებლობენ.

მთავარი და მნიშვნელოვანი მოთხოვნა გერმანიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც არის, დამკვიდრდეს ჭეშმარიტი რელიგიური თავისუფლება, რადგან ესაა ადამიანის უპირველესი უფლება. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რაც უნდა და როგორც უნდა, ისე იწამოს.

ცოტა უფრო რთულია საკითხი იურიდიული სტატუსის შესახებ. ჩემი აზრით, ყველა ქრისტიანულ ეკლესიას ერთნაირი სტატუსი უნდა ჰქონდეს. მაგრამ სექტები ასეთ სტატუსს ვერ იღებენ და არც შეიძლება მიიღონ. ასეთები არიან: “იეღოვას

მოწმეები”, “კრიშნაიტები”, “მორმონები”. და ეს ასეა არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისში, საფრანგეთში...

თ. ფ. – როგორ უყურებს პასტორი “იეღოვას მოწმეებს”?

- ეს არის ავტოკრატიული სექტა და მე ბევრი ადამიანი ვიცი, რომელიც იქიდან გამოვიდა.

თ. ფ. – ჩაითვლება თუ არა ის ტოტალიტარულ სექტად?

- ისინი, მართლაც რომ, ტვინს ურეცხავენ ადამიანებს. ამ სექტის ბევრი წევრი წლების განმავლობაში ფსიქიატრიულ მკურნალობას გადის. მე ვესაუბრე ჟურნალისტებს ევროპაში გამართული რელიგიური თავისუფლების ფორუმზე და განვაცხადე, რომ დემოკრატიაზე იმას უნდა ელაპარაკო, ვისაც ნამდვილად უნად დემოკრატია. იეღოველები კი თვითონ ახორციელებენ შინაგან დიქტატს. ამის დადასტურებაა თუნდაც მათი ორგანიზაციული სტრუქტურა. ამიტომ ასეთ სექტებს უფლება არა აქვთ, ისაუბრონ ჭეშმარიტ დემოკრატიაზე. სხვა მხრივ, ყველა ქრისტიანულ ეკლესიას ერთნაირი სტატუსი უნდა ჰქონდეს.

თ. ფ. – “იეღოვას მოწმეებსაც” მათ შორის მიიჩნევთ?

- “იეღოვას მოწმეებს” არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ განიხილავენ, როგორც ეკლესიას. ეკლესიასა და სექტას შორის კი დიდი განსხვავებაა. ამიტომ, სასურველია, მისგან გარკვეული დისტანცია დავიკავოთ.

თ. ფ. – იქნებ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ თანამედროვე ეკუმენისტური მოძრაობის შესახებ, რომელსაც რამდენიმე წელია, რაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გამოეთიშა?

- ეს ფრიად სამწუხაროა. ქრისტიანულ ეკლესიებს ამქვეყნიურ წუთისოფელში უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ურთიერთობა. ეს აუცილებლად მიმაჩნია. ჩვენ, გერმანელი ბაპტისტები, არა ვართ ჟენევის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი, მაგრამ ცხოვრებაში ეკუმენურად ვაზროვნებთ და გვინდა ყველა ქრისტიანულ კონფესიასთან ურთიერთობა. ცხადია, მართლმადიდებლურ სამყაროსთანაც.

გაზეთი “ახალი ეპოქა”, 14-16 ნოემბერი, 2000

IV. რელიგიის პროფესორი როჯერ კრუკი: ”იეღოველებისა” ჩვენც გვეშინია, მაგრამ მაინც ვამჯობინებთ, ხალხს თავისუფალი სულიერი არჩევანის უფლება მივცეთ”

საქართველოში უამრავი სტუმარი ჩამოდის. მათ შორის ბევრი სასულიერო პირიც. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ ჩვენს ძირძველ ქრისტიანულ ქვეყანას, ეცნობიან მის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურას.

მიმდინარე წლის ივნის–ივლისში საქართველოს ესტუმრნენ აშშ-ს ჩრდილოეთ კაროლინის შტატის კემპბელის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და რელიგიის პროფესორი როჯერ კრუკი და მისი მეუღლე ლიტერატორი მერი რუდ კრუკი, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ როლის კოლეჯში მუშაობს.

სტუმრებს შეხვდა და ესაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგე, რელიგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე.

ბევრი ადამიანი თვლის, რომ სწორედ კაპიტალიზმია ქრისტეს ნაოცნებარი საზოგადოება. ზოგი სოციალიზმს ამჯობინებს. მაგრამ არცერთი ეს შეხედულება არ არის მართალი.

ყველა ადამიანს აქვს ბიბლიის დამოუკიდებლად ინტერპრეტაციის უფლება. ვთვლით, რომ მთავარია არა თეოლოგიური ფორმულირებები, არამედ პირადი რწმენა და ურთიერთობა ღმერთთან.

რ. კრუკი

- ბატონო როჯერ, საქართველოში სოციალიზმის იდეებზე უარის თქმასა და რელიგიის აღორძინებასთან ერთად ბევრი ადამიანი იმედოვნებდა, რომ ქვეყანაში აღდგებოდა ქრისტიანული ზნეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდი მოხდა. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მდგომარეობა აშკარად გაუარესდა. როგორაა საქმე ამ მხრივ თქვენთან, ამერიკაში?

– თქვენ მეტად რთული და ძნელი კითხვა დამისვით, თუმცა ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე ეთიკის პრობლემატიკაზე მუშაობს, უნდა ჰქონდეს ამ საკითხებზე თავისი მოსაზრებები. დაბეჯითებით მხოლოდ ერთს გეტყვით: პრობლემები, რომლებზეც ლაპარაკობდით, მარტო საქართველოსათვის არ არის დამახასიათებელი. იგივე პროცესები შეიმჩნევა მთელ მსოფლიოში: ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სხვაგან, იცვლება პრაქტიკული შეხედულებები და ჩვეულებები, მაგრამ არა მორალი. ავიღოთ, მაგალითად, თანამედროვე მუსიკა, რომლითაც გატაცებულია ახალგაზრდობა. ძველი თაობის ბევრი წარმომადგენელი მას ამორალურს უწოდებს, თუმცა, ცხადია, ამით ადამიანის მორალის შეფასება არ შეიძლება.

ქრისტეს დაბადებიდან განვლილი 2000 წლის მანძილზე ადამიანის ბუნება ბიოლოგიურ დონეზე დარჩა, თუმცა იცვლება პირობები, გარემოებები.

ჩემი აზრით, უმთავრესი ისაა, რომ რელიგია ეხმარება ადამიანს, შეეგუოს ახალ გარემოებებს და ცდილობს, გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა.

ბევრი ადამიანი თვლის, რომ სწორედ კაპიტალიზმია ქრისტეს ნაოცნებარი საზოგადოება. ზოგი სოციალიზმს ამჯობინებს. მაგრამ არცერთი ეს შეხედულება არ არის მართალი. მე ვთვლი, რომ ადამიანთა წინაშე მდგარი ამ პრობლემების გადაჭრა თანდათან უნდა ხდებოდეს. ეს პროცესი მუდმივი უნდა იყოს და ყოველთვის უკავშირდებოდეს ადამიანის ინდივიდუალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოების კეთილდღეობას და პიროვნების უფლებების დაცვას. ამერიკულ საზოგადოებაში რელიგიური აზრი მუშაობს იმ მიმართულებით, რომ შეიცვალოს სისტემა, რის შედეგადაც, ადამიანი, ვინც უნდა იყოს – ამერიკელი თუ ემიგრანტი, დაცული იქნება, თითოეულ მათგანს მიეცემა სრული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქვეყნო გადაწყვეტილებებში.

– არიან თუ არა აშშ-ში ათეისტები და როგორ უყურებს მათ საზოგადოება?

– რასაკვირველია არიან, მაგრამ ძალიან ცოტა ვინმე თუ აცხადებს ოფიციალურად თავის თავს ათეისტად. გაცილებით მეტია ადამიანი, რომელიც უბრალოდ, არარელიგიურად ცხოვრობს. თუმცა, ქვეყნის მოსახლეობის 2/3 რომელიღაც რელიგიური ორგანიზაციის წევრად თვლის თავს და მათში ყოფნის გადაწყვეტილება თვითონ, სხვის დაუძალებლად მიიღო. ყოველკვირეულად მათი ნახევარი მაინც მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში. თუმცა, ასეთი პროცენტით ვერ გავზომავთ, თუ რამდენად იცვლება მათი ცხოვრების წესი, როგორ ზემოქმედებს იგი საზოგადოების ცხოვრებაზე და რამდენად უკეთესნი ხდებიან ადამიანები. ჩვენ მრევლთან მუშაობისათვის სხვადასხვა პროგრამა გვაქვს, მათ შორის არის სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამები. ყველა ისინი მიმართულია ადამიანის ზნეობრივი აღზრდისაკენ. ცხადია, ძალიან გვინდა, რომ ამან შედეგი გამოიღოს და ადამიანები უფრო კეთილნი და ზნეობრივნი გახდნენ.

საუბარში ერთვება პროფესორის მეუღლე, ლიტერატორი მერი რუდ კრუკი:

- ისტორიამ გვიჩვენა, რომ ყოველი ომის შემდეგ კაცობრიობა კარგავს ინტერესს რელიგიისადმი. ასე დაიკარგა ინტერესი რელიგიისადმი საფრანგეთში I მსოფლიო ომის შემდეგ. ამას მოწმობს ნიცშეს ფილოსოფიაც გერმანიაში. ეს არის გამოხატულება იმ უიმედობისა და ეჭვისა, რაც გაჩნდა რელიგიის ქმედითუნარიანობის მიმართ. იმ პერიოდში ხალხს, უბრალოდ, აღარ სჯეროდა, რომ რაიმე შეიცვლებოდა ადამიანთა საკეთილდღეოდ. ჩვენში, ამერიკაში ეს პროცესი დაკავშირებულია ვიეტნამის ომთან, შემდეგ კი ქუვეიტის კონფლიქტთან...

მორალის დაცემა ამ დროს უმეტესად დაკავშირებულია იმასთან, რომ ხალხს გული უტყდება, როცა ხედავს თავისი ქვეყნის მონაწილეობას უსამართლო ომში. მე მახსენდება ერთი პოეტის გამონათქვამი, რომლის გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, რაც დაახლოებით ასე ჟღერს: ჩვენ სულ ვიმღერეთ და ვილოცეთ, მაგრამ 2000 წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ისე შორს წავედით, როგორც მოწამლული გაზი...

ისევ როჯერ კრუკს მივმართავ:

– თქვენ, ალბათ, რაიმეს გეტყოდნენ იმ სასამართლო პროცესებზე, რომლებიც ბოლო ხანს გაიმართა თბილისში “იეღოვას მოწმეების” დენომინაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით?

– დიახ, ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდეს. მართალი რომ გითხრათ, “იეღოველების” აქტიურობისა და პროზელიტიზმის ჩვენც გვეშინია, მაგრამ მაინც ვამჯობინებთ, ადამიანს იმის უფლება მივცეთ, თავისუფლად აირჩიოს სასურველი სარწმუნოება. ჩვენი რწმენის ძირითადი არსი ხომ ამაში მდგომარეობს. ყველა ადამიანს აქვს ბიბლიის დამოუკიდებლად ინტერპრეტაციის უფლება. ვთვლით, რომ მთავარია არა თეოლოგიური ფორმულირებები, არამედ პირადი რწმენა და ურთიერთობა ღმერთთან. ვგულისხმობ ინდივიდუალურ კონტაქტს უზენაესთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაში შესაძლებელია მრავალი რწმენა და პრაქტიკა შეგხვდეს, მაგრამ ეს საერთო რწმენის ერთიანობას ხელს არ უნდა უშლიდეს.

ჩვენს ეკლესიაში არა გვყავს ადამიანთა ჯგუფი ან ცალკეული ინდივიდი, რომელიც გვეტყვის, თქვენ აუცილებლად ასე და ასე უნდა ირწმუნოთო. ვერც მე გეტყვით, რომ, ვინაიდან თქვენ ასე და ასე გწამთ, ამიტომ ქრისტიანი არა ხართ. მიუხედავად იმისა, რომ მე პატივს ვცემ მართლმადიდებლობას, თქვენს უძველეს ეკლესიას, ჩემთვის მაინც დიდ პრობლემად რჩება მისი ავტორიტარიზმი. ამასთან, მე მახსენდება დიდი თეოლოგის კარლ ბარტის სიტყვები: მნიშვნელოვანი მარტო ის კი არ არის, რაც “საღმრთო წერილიდან” მოდის, არამედ ის, რასაც მე უშუალოდ აღვიქვამ ბიბლიიდან...

– თქვენ სახარებისეული ქრისტიანი ბაპტისტი ბრძანდებით, ამიტომ გვაინტერესებს თქვენი აზრი ქართველი ბაპტისტების სამლოცველოში არსებულ სიახლეებზე, კერძოდ, იმაზე, რომ ეკლესიას თავზე უკვე ჯვარი ადგას, რაც ადრე არ იყო, ღვთის მსახურები სპეციალურ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, სუფრაზე მიირთმევენ ღვინოს, რაც ადრე კატეგორიულად იყო აკრძალული, არის სხვა სიახლეებიც, როგორ უყურებთ ყოველივე ამას?

– ცხადია, დადებითად ვაფასებ. ის რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც არ ითალისწინებს ეროვნულ სპეციფიკას, განწირულია დასაღუპად. ამ სიახლეებს, როგორც აქ მითხრეს, ერთხმად უკავშირებენ საქართველოს სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა ეპისკოპოსისა და პრეზიდენტის მალხაზ სონღულაშვილის სახელს. მან თანამდებობაზე მოსვლისთანავე თამამად გადაწყვიტა, ეროვნული იერი მიეცა ბაპტისტური სარწმუნოებისათვის, უფრო ახლო მიეტანა ხალხთან, მის ტრადიციასთან, კულტურასა და წეს-ჩვეულებებთან. მე ვიცი, ამ საქმეში მას ოპონენტებიც ჰყავს, მაგრამ, დამიჯერეთ, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა, რათა ეს რელიგიური ორგანიზაცია სექტად არ დარჩეს და ნამდვილ ეკლესიად იქცეს...

ბატონო თეიმურაზ, სანამ საუბარს შევუდგებოდით, მანამდე თქვენ გაკვრით ახსენეთ შვეიცარიელ-გერმანელი თეოლოგი ჰანს კიუნგი. ეს მართლაც გამოჩენილი მოაზროვნეა კათოლიკეთა შორის. გულწრფელად მიკვირს, თუ როგორ შერჩა იგი ამდენ ხანს კათოლიციზმს. მას ძალზე კარგად ესმის მსოფლიოს თანამედროვე რელიგიური პრობლემები. გამიხარდა, როცა მითხარით, რომ მისი “მსოფლიო ზნეობა” (პროექტი) ქართულადაც უთარგმნიათ. მას მართლაც რომ სწორი აღქმა აქვს

თანამედროვეობისა. ამიტომაც, სამართლიანად დაასკვნის, რომ მსოფლიოს ერთიანი ზნეობის გარეშე გადარჩენა არ უწერია, არც მშვიდობა დაისადგურებს ქვეყნად რელიგიათა დაზავება-შერიგების გარეშე, და არც რელიგიათა შერიგება მოხდება მათი წარმომადგენლების რელიგიური დიალოგის გარეშე...

*

* *

– ჩემი შეხვედრა ამ ორ სიმპათიურ ადამიანთან სამ საათს გაგრძელდა. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. საოცარი შთაბეჭდილებები აქვთ საქართველოზე, დარწმუნებულნი არიან, რომ ის სიძნელეები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, მალე დაიძლევა. როჯერ და მერი კრუკებმა უკვე მოასწრეს ემასპინძლათ და ხელი გაემართათ ბევრი ქართველისათვის. ამის გაკეთებას მომავალშიც გეგმავენ, როგორც მათმა თბილისელმა მასპინძლებმა ეკა, ლუნაზი და ზურაბ ლომიძეებმა მითხრეს, ხუთშაბათს, 13 ივლისს, ისინი სამშობლოში გაფრინდნენ.

გაზეთი “ახალი ეპოქა” 2000 წლის 21 ივლისი.

V. საეჭვო და დამაფიქრებელი ის არის, რომ “იეღოველთა” საქმის ექსპერტიზისას რელიგიათმცოდნეობის კათედრას გვერდი აუარეს...

სამგორ-ისნის რაიონულ სასამართლოში უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს დეპუტატ გურამ შარაძის მიერ აღძრული სასამართლო პროცესი, რომელიც “იეღოვას მოწმეების” დენომინაციის რეგისტრაციას კანონიერებას აპროტესტებს საქართველოში. ეს სასამართლო პროცესი, როგორც ცნობილია, რამდენჯერმე გადიადო. ბოლო დროს კი ისევ შეწყდა და “იეღოველთა” საქმიანობის შეფასებისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სოციოლოგიის კათედრას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს გადასცეს. თსუ-ს რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრის გამგის, რელიგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ თეიმურაზ ფანჯიკიძის განცხადებით, “ყველაზე საეჭვო და დამაფიქრებელი ამ ფაქტში ის არის, რომ გვერდი აუარეს მის კათედრას, სადაც თავმოყრილია ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების უმრავლესობა”.

მკითხველს ვთავაზობთ ფრაგმენტს პროფესორ თეიმურაზ ფანჯიკიძის ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც ამ საკითხზე რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა გაზეთ “სრულიად არასაიდუმლოში” (10, 1999 წ.) და მისივე ახლანდელ კომენტარს ჩვენს გაზეთში.

- რას იტყვით იეღოველთა წინააღმდეგ პარლამენტარ გურამ შარაძის მიერ წამოწყებული სასამართლო პროცესის შესახებ?

- ზემოთაც აღვნიშნე, რომ იეღოველთა ესოდენი გააქტიურება იწვევს როგორც სასულიერო, ასევე საერო პირთა შეშფოთებას. მეც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესიის გამო ობიექტური უნდა ვიყო ყველა რელიგიური მიმდინარეობის მიმართ, ვერ ვიკავებ თავს ასეთი შეშფოთებისაგან. ძნელად წარმომიდგენია იეღოველი ხევსური, იეღოველი სვანი, იეღოველი რაჭველი თუ საქართველოს ნებისმიერი კუთხის წარმომადგენელი. როდესაც ქვეყანა ასეთ დღეშია, როცა იგი დიდხანს ნანატრი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, როცა ჩვენი საზღვრები დაუცველია, ტერიტორიალური მთლიანობა აღსადგენია, ისეთი რელიგიური მიმდინარეობა, რომლის მიმდევრები უარს აცხადებენ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე, იარაღის აღებასა და ქვეყნის დაცვაზე, რასაკვირველია, ძნელი ასატანია.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ჩვენ რომ დიდი, მოწესრიგებული და დაცული ქვეყანა გვქონდეს, მაშინ ეს საკითხი ნაკლებად აგვაღელვებდა, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ამიტომ ბატონ გურამ შარაძის შეშფოთება კარგად მესმის.

სხვა საქმეა, რამდენად ეფექტური იქნება ასეთი ნაბიჯი. უკვე ვწერდი, კაცი რომ გადახტება, მან კარგად უნდა იცოდეს, თუ სად ხტება-მეთქი. სხვაგვარად, კარგად უნდა განისაზღვროს, თუ როგორი იქნება ასეთი სასამართლო პროცესის შედეგი. ახლა ხომ სხვაგვარ მსოფლიოში და სხვაგვარი ღირებულებების პირობებში ვცხოვრობთ.

რაც შეეხება თვით სასამართლო პროცესს, უნდა ითქვას, რომ იეღოველებს ასეთი სასამართლო პროცესების დიდი გამოცდილება აქვთ. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში, როცა აშშ-ში იეღოველებს დევნიდნენ, ბევრი მათგანი ციხეშიც კი მოხვდა. მართალია, მათ სასამართლოს დაბალ ინსტანციებში თავი ვერ იმართლეს, მაგრამ აშშ-ს უმაღლეს სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, 43 პროცესი მოიგეს. “იეღოვას მოწმეების” აპოლოგეტების მტკიცებით, ამ პროცესებმა ხელი შეუწყო ზოგადად დემოკრატიისა და ქვეყნის უმცირესობათა ინტერესების დაცვას.

30-40-იანი წლების ამერიკაში იეღოველები დიდ ძალას არ წარმოადგენდნენ. დღეს კი ეს ანგარიშგასაწევი, მძლავრი მოძრაობაა, რომელიც მთელ მსოფლიოს არის მოდებული. იგი ერთიანი ცენტრიდან იმართება, უზარმაზარი სახსრები და პროპაგანდის მრავალფეროვანი, მათ შორის ზეწოლის საშუალებებიც გააჩნია.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ რომ აბსოლუტურად დამოუკიდებელი, წელში გამართული ქვეყანა ვიყოთ და სამათხოვროდ ხელი არ გვქონდეს გაწვდილი, არ ვუყურებდეთ, თუ ვინ რას გვიწყალობებს, რა დახმარებას და კრედიტს გამოგვიყოფს, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ვართ, როდესაც ნებისმიერი რელიგიური შევიწროებისათვის, პიროვნების უფლებების დარღვევისათვის შესაძლებელია “დაგვსაჯონ”, ცხადია, მეტი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არსებობს მსოფლიოში რელიგიურ

უმცირესობათა შესახებ. განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ის “აქტი საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების შესახებ”, რომელიც აშშ-ს სენატმა მიიღო:

“აშშ-ს სენატმა, - ნათქვამია ამ დოკუმენტში, - ერთხმად დაამტკიცა “აქტი საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების შესახებ”, რომელიც მიმართულია რელიგიური დისკრიმინაციის, სინდისის თავისუფლების პრინციპების დარღვევისა და რელიგიური დევნის წინააღმდეგ. კანონი მოითხოვს სხვადასხვა სახის სანქციების განხორციელებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც რელიგიურ სფეროში დისკრიმინაციის პოლიტიკას ატარებენ. გათვალისწინებულია არა მხოლოდ დიპლომატიური პროტესტი, არამედ ეკონომიკური სანქციების შემოღება, ინვესტიციებისა და დახმარების შეწყვეტა. აშშ-ს იმ ფირმებისათვის, რომლებიც ამ კანონს დაარღვევენ, გათვალისწინებულია სუბსიდიების მოხსნა, საექსპორტო უფლებების ჩამორთმევა და სამთავრობო კონტრაქტების აკრძალვა, დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა და კონგრესისათვის შედეგების ყოველწლიური მოხსენება”.

კანონის მთავარი ინიციატორის, სენატორ დონ ნიკოლსის აზრით, “აქტი საერთაშორისო რელიგიური თავისუფლებების შესახებ” არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წინაამდეგ. მისი მიზანია დაიცვას ადამიანის უფლებები რელიგიურ სფეროში, მთელ მსოფლიოში რელიგიური ტოლერანტობა დანერგოს”.

ასეთია ამერიკელთა, და არა მარტო მათი დამოკიდებულება ყოველგვარი რელიგიური შეზღუდვის მიმართ. თუკი გვინდა, რომ ცივილიზებული სამყაროს წესებით ვიცხოვროთ, ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. ახლაც, იეღოველებმა სასამართლო პროცესისათვის ადვოკატები დაიქირავეს და მთელ ამ ამბავს შეიძლება ძალიან ცუდი, ჩვენი ქვეყნისათვის არასასურველი რეზონანსი მოჰყვეს.

დასავლეთის პროტესტანტულ წრეებში ჯერაც გულისტკივილით აღნიშნავენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გამოსვლას მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან. ზოგი პოლიტიკოსი კი ასეც მსჯელობს, რომ არ შეიძლება ქვეყნის ორიენტაცია დასავლური იყოს, ხოლო ეკლესია – რუსეთისაკენ მიმართული... ასეა ყოველივე ეს, თუ არა, ამას მაინც სერიოზული ჩაფიქრება და გათვლა სჭირდება.

- ბატონო თეიმურაზ, თქვენ მეტად რთული სურათი დახატეთ. რა გამოსავალი შეიძლება იყოს აქედან?

- ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს. სამწუხაროდ, ცოტა ვინმე თუ გვისმენს. კანონით რომელიმე დენომინაციის (ამ შემთხვევაში “იეღოვას მოწმეების”) აკრძალვა მისაღებად არ მიმაჩნია. ამას უკუეფექტი შეიძლება მოჰყვეს. უნდა გვახსოვდეს, რომ აკრძალული ხილი მეტად ტკბილია, და მეორეც, რწმენისათვის ტანჯულის შარავანდედი ყოველთვის მიმზიდველი იყო.

მე გამოსავალს რამდენიმე საკითხის გადაწყვეტაში ვხედავ: ჯერ ერთი, ჩვენმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ რელიგიური მოტივაციით ადამიანებმა უარი თქვან თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება სამხედრო სამსახურს. მართალია, უნდა არსებობდეს ალტერნატიული

სამსახურიც,მაგრამ იგი ძალზე იოლი მოსახდელი არ უნდა იყოს... ცხადია, ხელი უნდა გამოიღოს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც და კიდევ უფრო გააქტიურდეს, რადგან ბევრი ადამიანი იეღოველებთან სწორედ რელიგიური უწიგნურობის გამო მოხვდა. ბოლო ხანს ქართული ეკლესიის მამები ასეც იქცევიან. სამღვდელოებაში მოსული ახალი თაობა უფრო მეტი ერუდიციით, სითამამითა და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. ისინი სულ უფრო და უფრო გაბედულად უწევენ წინააღმდეგობას სექტანტთა ქადაგებებს. წინა თაობასთან შედარებით მათ პროპაგანდის უკეთესი საშუალებებიც გააჩნიათ. აქვთ ჟურნალები, გაზეთები, რადიო და სატელევიზიო არხი, წიგნები და ბროშურები.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შესანიშნავი ხელმძღვანელი, კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II უდგას სათავეში, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ცდილობს ერის გამთლიანებას. საჭიროა, მას მხარში ამოვუდგეთ და ჩვენი ეროვნულობაც დავიცვათ, რაშიც მართლმადიდებლობას დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამასთანავე საჭიროა თავი ავარიდოთ ფუნდამენტალიზმის გამოვლინებებს, რაც ესოდენ აფრთხობს ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ინტელიგენციას...

დაბოლოს, განსაკუთრებით უნდა ითქვას ამ მოვლენათა სოციალური მიზეზების შესახებ. როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ჩვენს მოსახლეობას ნაირ-ნაირი დენომინაციების, სექტების თუ რელიგიური ჯგუფებისაკენ ძირითადად უკიდურესი გაჭირვება მიერეკება. ამიტომ, აუცილებელია მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს ახსოვდეთ, რომ ისინი უნდა ზრუნავდნენ ხალხის არა მარტო იმქვეყნიურ, არამედ ამქვეყნიურ გადარჩენაზეც. ცხადია, რწმენა მარტო ეკლესიის კედლებს არ მოაქვთ, საჭიროა პირადი ზნეობრივი მაგალითი და მრევლზე, მის ყოველდღიურ პრობლემებზე ზრუნვაც. ამის გარეშე მეტად ძნელი იქნება წარმატების მიღწევა და მამაპაპური რწმენის სათანადო დონეზე შენარჩუნებაც.

“ახალი საქართველო” – ბატონო თეიმურაზ! ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვე გავიდა, მას შემდეგ სასამართლო პროცესი ახალ ფაზაში შევიდა და მოსამართლემ მეცნიერ-ექსპერტთა დასკვნა მოითხოვა, მაგრამ თქვენ კათედრას არ მიმართეს. იცოდნენ კი თქვენი პოზიციის და ზემოთმოტანილი ინტერვიუს შესახებ იმათ, ვინც ასეთ ექსპერტებად სოციოლოგიის კათედრა და ფილოსოფიის ინსტიტუტი დაასახელა?

- დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, მე მხოლოდ მოსაზრება შემიძლია გამოვთქვა, მაგრამ სანამ ამ ვარაუდს გაგაცნობდეთ, მანამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ზემოთმოტანილი ჩემი ინტერვიუს ხასიათის შესახებ. როცა ის იბეჭდებოდა, სრულიადაც არ იდგა ამ მოსაზრების სასამართლოში წარდგენის საჭიროება.

ჩემს ინტერვიუში, როგორც ხედავთ, რაიმე კატეგორიული დასკვნები არ არის გამოთქმული. იქ რაიმეზე არც ჰოა ნათქვამი, არც არა. არამედ, უბრალოდ, ამ საკითხის გადაწყვეტის სირთულე არის ნაჩვენები ამ მეტად არაორდინალურ სიტუაციაში. ეს უფრო რჩევა იყო გამოთქმული ბატონ გურამ შარაძისადმი იმ ადამიანის მიერ, რომელსაც მრავალ რელიგიურ კონფესიასთან ჰქონია შეხების

წერტილები და მრავალი წელი მიუძღვნია მათი მოძღვრებისა და კულტის შესწავლისათვის.

თქვენს კითხვაზე, იცოდნენ თუ არა ჩემი ასეთი პოზიციის შესახებ თვით "იეღოველებმა", მათმა დამცველმა ან მოსამართლემ, ალბათ, ასე უნდა გიპასუხოთ: საფიქრებელია, რომ იცოდნენ. მართალია, გაზეთი "სრულიად არასაიდუმლოდ" არცთუ ისე დიდი ტირაჟით გამოდის, მაგრამ ჩემი აზრი მსგავს საკითხებზე უფრო ადრეც გამომითქვამს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში", ფილოსოფიური აკადემიის წელიწადწლეულში (იხ. "ფილოსოფიური ძიებანი", N 2, 1998 წ.) და ზეპირ გამოსვლებში (მათ შორის სატელევიზიოშიც).

ალბათ, ეს უნდა იყოს ჩვენი იგნორირების მიზეზი. სხვაგვარად, სრულიად აუხსნელია, თუ რატომ აუარეს გვერდი კათედრას, სადაც თავმოყრილია რელიგიათმცოდნეების დიდი ნაწილი, სპეციალობას, სადაც იკითხება რელიგიური უმცირესობების კურსი, მომზადდა დიპლომი "იეღოვას მოწმეების" მსოფლმხედველობაზე და პრაქტიკაზე, პრესაში გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიები, და მიმართეს იმათ, ვინც ამ მოძღვრებას მხოლოდ ახლა ეცნობა. აი, ეს იწვევს უნდობლობას და გაუგებრობას, ჩნდება ეჭვი, რომ ეძებენ სასურველ და არა ობიექტურ ექსპერტს.

- თქვენ გაქვთ რაიმე ახალი მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, ახალ გარემოებათა შესახებ?

- რასაკვირველია, მაქვს, საკმაოდ ბევრიც, მაგრამ მისი გამოთქმისაგან ამჯერად თავს შევიკავებ და მოთმინებით დაველოდები პასუხებს იმ ადრესატებიდან, სადაც ისინი გადააგზავნეს. ასევე, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ ბატონ გურამ შარაძის მრავალრიცხოვანი განცხადებების კომენტირებისაგან ამ საკითხზე, რომელიც სხვადასხვა გაზეთებში ქვეყნდება. შემდეგ კი ჩემს აზრს, თუკი დაგაინტერესებთ, დაწვრილებით მოგახსენებთ.

გაზეთი "ახალი საქართველო" N1 (97) 13-19 იანვარი, 2000 წელი.

VI. მოძრაობა "მძლეველის" საქმიანობა უსიამოვნო ფაქტია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის

- ბატონო თეიმურაზ, თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველო კრიზისულ მდგომარეობაში თუნდაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, და საჭიროებს თუ არა ქვეყანა ძირეულ ცვლილებებს საყოველთაო კრახის ასაცილებლად?

- საქართველო მართლაც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მის ისტორიაში ძალზე იშვიათად ყოფილა მსგავსი მძიმე და უიმედო დღეები. კრიზისული მდგომარეობა

არის როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაშიც. რასაკვირველია, საჭიროა დიდი ძალისხმევა, მთელი ერის ენერგიისა და ნების დაძაბვა, რათა თავიდან იქნას აცილებული კატასტროფა, შენარჩუნებული იქნას ესოდენ ტანჯვით მოპოვებული, დიდი ხნის მანძილზე ნანატრი დამოუკიდებლობა.

- მოდის თუ არა საქართველოს მდგომარეობა მხოლოდ ჩვენი შინაური ცხოვრებიდან, თუ ამავე დროს იგი მომდინარეობს ზოგადად მსოფლიოში შექმნილი სიტუაციიდან?

- საქართველოს ასეთ დღეში ჩავარდნის მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური, გარეგანი თუ შინაგანი მიზეზი არსებობს; დაიშალა უზარმაზარი იმპერია, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, მოიშალა ეკონომიკური კავშირები, დაიძაბა ურთიერთობა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. მწვანე გზა მიეცა სეპარატიზმს. რუსეთი ვერ ელევა თავისი ტრადიციული უფროსი ძმის პოზიციას. მსოფლიოში კი გავლენის სფეროების დიდი გადანაწილება მიმდინარეობს. ეს პროცესი საკმაოდ ნათლად ჩანს გავლენის სფეროების გადანაწილებისას, რასაც ადრეც არაერთხელ ჰქონდა ადგილი მსოფლიოს ისტორიაში.

გარდა ამისა, შეიცვალა წეს-წყობილება, კომუნიზმის აშენების წარუმატებელი ცდის შემდეგ ქვეყანა ისევ კაპიტალიზმს დაუბრუნდა, თავდაპირველ, ველურ კაპიტალიზმს, რამაც არნახული დაძაბულობა გამოიწვია.

- როგორ მიგაჩნიათ, ცნება “მეორედ მოსვლა” – მხოლოდ რელიგიურ მომენტს მოიცავს, თუ თავის თავში გულისხმობს არსებული ცხოვრების წესების და სისტემების შეცვლას?

- “მეორედ მოსვლის” ცნება, თუკი ადამიანი მორწმუნეა, ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს “საღმრთო წერილში” არის აღწერილი. ეს მოსვლა ყველამ უნდა გაიგოს. არავითარ ფარულ მოსვლაზე, ჩემი აზრით, ლაპარაკიც არ შეიძლება. გასაკვირია, რომ ამ საკითხში – (იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ) რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა “მძლეველს” და “იეღოვას მოწმეებს” გარკვეულად ერთნაირი პოზიცია უკავიათ.

- თუ საქართველო გამოვა მსოფლიო მასშტაბით კრიზისული სიტუაციის გამოსწორების ინიციატორად, თქვენ ამაში კარგს ხედავთ თუ ცუდს?

- იმაში, რომ თუკი საქართველო მსოფლიო მასშტაბით კრიზისული სიტუაციის გამოსწორების ინიციატორად მოგვევლინება, ცუდი, რასაკვირველია, არაფერი არ არის. პირიქით, ეს დიდი საქმე იქნება. მაგრამ მე პირადად ამის რეალურ შესაძლებლობას ნამდვილად ვერ ვხედავ. ჩემთვის გაუგებარია ისიც, თუ რატომ უნდა მოხდეს უახლოეს ხანში ივერიის გაბრწყინება, რისთვის, რომელი დამსახურებისათვის?

- და ბოლოს, პოლიტიკური გაერთიანება “მძლეველი” იმსახურებს თუ არა დევნა-შევიწროვებას ან დისკრედიტაციას კანონების სრული დაცვის შემთხვევაში?

- მოძრაობა “მძლეველს”, ცხადია, არ უნდა უკვირდეს, თუ მათი მოძრაობა მთავრობაში დიდ ენთუზიაზმს არ იწვევს, რადგან მათი მოძრაობა პრეზიდენტის გადაყენებას ისახავს მიზნად. პრაქტიკულად, გროვდება კიდეც ხელმოწერები მის გადასაყენებლად. თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელ მთავრობას შეიძლება ეს მოეწონოს?

მოძრაობა “მძლეველის” საქმიანობა, ცხადია, უსიამოვნო ფაქტია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, მისი საპატრიარქოსათვის. ერთხელ უკვე ვწერდი, ახლაც გავიმეორებ: თუკი მართალია მტკიცება, რომ იესო ქრისტე უკვე მეორედ მოევლინა ქვეყანას და ეს ეკლესიას, საპატრიარქოს არ გაუგია, დიდი ბრალდებაა, მაშინ როგორ უნდა ერწმუნოს ხალხი ასეთ ეკლესიას და საპატრიარქოს.

ეს სამღვდელოებას მშვენივრად ესმის. მიუხედავად ასეთი უსიამო განცდისა მთავრობისა და საპატრიარქოს მხრიდან, “მძლეველი” აგრძელებს თავის საქმიანობას, გამოსცემს თავის გაზეთებს, მართავს სხვადასხვა ღონისძიებას, აქტიურად მონაწილეობდა არჩევნებში, ჰყავდა თავისი პრეტენდენტი პრეზიდენტის პოსტზე. მაშ რომელი დევნა-შევიწროვების შესახებ არის ლაპარაკი?

- გაზეთის “კვირის პალიტრა” N 47-ში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პ. გ. “მძლეველის” საქმიანობა ფსიქოლოგების საკვლევია. ეს თქვენი სახელითაა დაბეჭდილი. გითქვამთ თუ არა ასეთი რამ?

- ჩემს გამონათქვამში, რომ “მძლეველის საქმიანობა ფსიქოლოგების საკვლევია”, მხედველობაში მქონდა შემდეგი: ყოველ მოვლენას, მათ შორის ისეთ პოლიტიკურ-რელიგიურ მოძრაობას როგორიც “მძლეველია”, აქვს როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური მხარეები, ასევე ფსიქოლოგიური მხარეც. მე სწორედ ამ მხარის შესწავლაზე ვამახვილებდი ყურადღებას, რადგან, ვიმეორებ ადრე ნათქვამ სიტყვებს, რომ ჩვენს სინამდვილეში პირველად გვაქვს საქმე ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობასთან.

დამოუკიდებელი გაზეთი “მძლეველი” N17 6 წ. (2000 – 2006).

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

პოლემიკური წერილები

I. ისევ კრიშნასა და ქრისტეს შესახებ

გაზეთ “7 დღეში” (11, 15. 03. 1991 წ.) გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის

მეცნიერი თანამშრომლის ნ. კენჭოშვილი სტატია: "კრიშტო" ნონსენსია და არა ქრისტე", რომელშიც გაზეთისა და ავტორის დაუსახელებლად გაკრიტიკებულია გაზეთ "შარავანდში" (1, 1991 წ.) თ. ივანიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ჩვენი სტატია: "ცხოვრობდა თუ არა ქრისტე ინდოეთში" (კრიშნაიტები იესო ქრისტეზე)".

ნ. კენჭოშვილის სტატია, სამწუხაროდ, შეიცავს მრავალ დაუსაბუთებელ ბრალდებას, შეცდომას და ბოლოს – ლანძღვას, რაც სრულია მიუტევებელია ყოველგვარი მეცნიერული დავისათვის.

ნ. კენჭოშვილი, სტატიის დასაწყისშივე, მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: "დარწმუნებულია იგი(ჩემზეა ლაპარაკი – თ. ფ.), რომ კრიშნაიტების აზრებს იესო ქრისტეს შესახებ რაიმე ღირებულება აქვს ქართული საზოგადოებისათვის"?

მოკლედ უნდა ვუპასუხო – დარწმუნებული ვარ! საქართველოსათვის კრიშნაიზმი უკვე კარგა ხანია აღარ არის ძალზე შორეული, ეგზოტიკური მოძღვრება, რომელსაც მკითხველს მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გასაღიზიანებლად ვაწვდიდეთ. კრიშნაიზმი საქართველოში, რუსეთში, სომხეთში და ბევრ სხვა რესპუბლიკაში უკვე კარგა ხნის ნაცნობი მოძღვრებაა. შეუძლებელია ნ. კენჭოშვილმა არაფერი იცოდეს ამ სექტის აქტიური პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მომხრისა და მორწმუნის შეძენა. აკი თვითონვე წერს, კრიშნაიტური ლიტერატურა ჩვენში "მამასისხლად" იყიდებაო. ჰოდა, ვინ ყიდის ამ წიგნებს ასეთ ფასებში, თუ არა კრიშნას "ერთგულები", რომლებიც აღებულ ფულს სექტის საჭიროებისათვის იყენებენ...

განა ნ. კენჭოშვილს არაფერი გაუგია მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოში (ჯერ კიდევ გორბაჩოვისეულ "რელიგიურ დათბობამდე") გამართული სასამართლო პროცესების შესახებ, რომლის დროსაც ბევრი კრიშნაიტი (მათ შორის ქართველიც) გაასამართლეს და კოლონიაში უკრეს თავი? ნუთუ მან არაფერი იცის კრიშნაიტთა სოხუმისა და თბილისის ჯგუფების შესახებ, რომლებიც ძალზე აქტიურ საქმიანობას ეწევიან? ნუთუ მან არაფერი უწყის სოხუმში გურუს გახშირებული ვიზიტების, ან კიდევ იქვე, სოხუმში, ქალაქის ცენტრში გამართული კრიშნაიტური დღესასწაულის შესახებ...

"მე დავიბადე თითქმის 80 წლის წინ, ინდოეთში, - წერდა თავის დროზე კრიშნას ცნობიერების მოძრაობის დამაარსებელი შრი პრაბჰუპადა, სადაც მივიღე ინდუსის სხეული. მე მაქვს მცდარი "მე", რომ ინდუსი ვარ... ასეთი შეგრძნება კი მცდარია"...

კრიშნას ქართველ თაყვანისმცემლებსაც შრი პრაბჰუპადას მსგავსად მიაჩნიათ, რომ აქვთ მცდარი ქართული "მე". აქედან გამომდინარე, მათთვის ჩვენი ეროვნული წუხილი არ არსებობს.

ბატონ ნ. კენჭოშვილს თავის სტატიაში ძალზე უცნაური ხერხი აქვს ნახმარი. იგი თანაბრად აკრიტიკებს ჩემს სტატიას და სტატიაში მოტანილ საინფორმაციო მასალასაც. თუმცა, მე არსად ვამტკიცებ ამ საინფორმაციო მასალის ჭეშმარიტებას.

ბატონ ნ. კენჭოშვილს ჩემი სტატიის დაწერის ტექნოლოგია დაახლოებით ასე აქვს წარმოდგენილი: ვიღაც კრიშნაიტმა ათასგვარი სისულელე გაანდო

გულუბრყვილო და არაკომპეტენტურ ავტორს. ამ უკანასკნელმა დაიჯერა სენსაციური ამბები და “აღფრთოვანებულმა” ამცნო მკითხველს. რატომ შეექმნა ავტორს ასეთი წარმოდგენა ჩემი უპრეტენზიო წერილის მიმართ, ძნელი ასახსნელია, მაგრამ ვინაიდან ასეთი პრეტენზიები მაინც არსებობს, ვალდებული ვარ ვუპასუხო: “ვინ არის ის, თბილისელი, რუსი თუ ინდოელი სექტანტი”, ვინც ასე მოატყუა ავტორი და აბსურდული აზრები გამოათქმევინა, რომელსაც იგი თავის მხრივ მკითხველს აწვდის?

გიპასუხებთ: ყველა იმ დებულების ავტორი, რომელიც ჩემს წერილში არის მოხსენიებული, გახლავთ უკვე ხსენებული ინდოელი თეოსოფი შრი პრაბჰუპადა. სწორედ ის შრი პრაბჰუპადა, რომელმაც საფუძველი დაუდო ინდოეთში “კრიშნას ცნობიერების” სახელით ცნობილ რელიგიურ-საზოგადოებრივ მოძრაობას და შემდგომ გაავრცელა მსოფლიოში. ჩემი ბრალი სულაც არ არის, რომ ამის შესახებ ბატონ ნ. კენჭოშვილს არაფერი მოახსენეს “ინდოეთში წლების მანძილზე ათასი ჯურის ინდოელთან” საუბრისას ინგლისურ და ჰინდურ ენებზე და არც ევროპელ კრიშნაიტებთან შეხვედრისას.

საგაზეთო წერილის ხასიათი, მისი მცირე მოცულობა, ცხადია, არ იძლეოდა დასახელებულ დებულებათა წყაროების მითითების საშუალებას. შრი პრაბჰუპადას იმ ორი წიგნის გარდა, რომელსაც ბატონი ნ. კენჭოშვილი ასახელებს (“ბჰაგავად-გიტა ისე, როგორც არის” და “მარადიული ნეტარების წყარო”), კიდევ ბევრი წიგნის დასახელება შეიძლება, რომელთა შოვნისათვის ინდოეთში წასვლა არ დაგვჭირდება. ასეთი წიგნებია: “შრი ჩაიტანიას მოძღვრება”, “იოლი მოგზაურობა სხვა პლანეტებზე”, “ერთგულების ნექტარი”, “შრიმად ბჰაგავიტამი”, “იოგის სრულყოფილება”, “შრი იშოპანიშადი” და სხვა. აქედან ერთი, “იოლი მოგზაურობა სხვა პლანეტებზე” ქართულადაც გამოვიდა, ზოგიერთი ახლა ითარგმნება.

ჩემს წერილში მოტანილი დებულებები ამოღებულია იმავე შრი პრაბჰუპადას წიგნიდან. იგი გამოცემულია კალკუტაში, ბჰაკტივედანტის ინსტიტუტში და ჰქვია “ქრისტოს-კრიშტო-კრიშნა”.

ყველა ის დებულება, რომელზეც ბატონი ნ. კენჭოშვილი დაობს, წიგნის შესავალშივეა გადმოცემული. კერძოდ ის, რომ “რასაც იესო ქრისტე ასწავლიდა 2000 წლის წინ, არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც კრიშნა ასწავლიდა 5000 წლის წინ”; “ქრისტოსი, მართალია, აღებულია ბერძნულიდან და ნიშნავს “ნათელცხებულს”, მაგრამ ფუძე ამ სიტყვისა მოდის სანსკრიტული “კრიშტო” ანუ კრიშნასაგან, რაც ღმერთის სახელია და ა.შ.

წიგნი წარმოადგენს გარკვეულ კვინტესენციას კრიშნაიტური მოძღვრებისა. შრი პრაბჰუპადა ცდილობს, ქრისტიან ავტორებს აუხსნას თავისი მოძღვრების ჭეშმარიტი არსი და უპირატესობა: ამავე დროს მისი შესატყვისობა ქრისტიანულ მოძღვრებასთან. როგორც ჩემს წერილში იყო მითითებული, “გზა გაუხსნას კრიშნას მოძღვრებას ქრისტიანულ სამყაროში”... ნ. კენჭოშვილს შეუძლია მოწოდებული ცნობები შეუდაროს შრი პრაბჰუპადას აზრებს და დარწმუნდება, რომ სულ ტყუილუბრალოდ დამდო ბრალი...

როგორც კრიშნაიტების სექტის კარგად მცოდნეს, მას უნდა სცოდნოდა შრი პრაბჰუპადას ქრისტიანულ სამყაროში მოგზაურობის შესახებ, მის შეხვედრებზე მაღალ იერარქიულ კიბეზე მდგარ ქრისტიან მღვდელმთავრებთან.

რასაკვირველია, ნ. კენჭოშვილს უფლება აქვს ეჭვი შეიტანოს შრი პრაბჰუპადას მოსაზრებათა ჭეშმარიტებაში, მაგრამ მე რა შუაში ვარ, მე ხომ შევეცადე მხოლოდ ის გადმომეცა, რასაც ინდოელი თეოსოფი უმტკიცებდა ქრისტან იერარქებს?

ახლა ორი სიტყვა ჩემი წერილის სათაურის შესახებ: “ცხოვრობდა თუ არა იესო ქრისტე ინდოეთში?” ამ სათაურის ნ. კენჭოშვილის მიერ სენსაციურად გამოცხადება მაფიქრებინებს, რომ მას ცუდი წარმოდგენა აქვს არამარტო კრიშნაიტების შეხედულებებზე მაცხოვრის შესახებ, არამედ იესო ქრისტეს ქაშმირული ლეგენდების შესახებაც. ღმერთმა ქნას, ეს ასე არ იყოს, მაგრამ მინდა ნ. კენჭოშვილს შევახსენო, რომ ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში თანდათან მატულობს ინდოეთის ხსენება, მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ქრისტოლოგიური ცენტრის წარმომადგენლები. ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა “ინდურ ქრისტოლოგიაშიც”.

ბ-ნი ნ. კენჭოშვილი შიშობს “...ქართულ ქრისტიანულ სამყაროში “ინდურმა ფენომენმა” უკუღმართად არ შემოაღწიოს, რადგან ამით შეიძლება დიდი ზიანის მიყენება ჩვენი სულიერი კულტურისადმი. ასეთი მიდგომა, ალბათ, სწორია. მაგრამ რაში გამოიხატება ამ კონკრეტულ შემთხვევაში “ინდური ფენომენის” უკუღმართად შემოღწევა? იმაში, რომ მოვიტანე ის აზრები, რომელიც დიდი ხანია ვრცელდება ჩვენს რესპუბლიკაში? განა დავამახინჯე და ისე წარვუდგინე მკითხველს ეს აზრები? განა ეს აზრები არ არის იმ უხვად შემოტანილ წიგნებში, რომელიც ესოდენ სწრაფად ვრცელდება საქართველოში.

განა ვინმე წინააღმდეგი არის იმისა, რომ “ინდური ფენომენი” წესიერად შემოვიდეს ჩვენს კულტურაში? რომ ითარგმნოს და გავრცელდეს აღმოსავლურ რელიგიათა წიგნები; რომ შეიქმნას სწორი ტერმინოლოგია და არ ვისარგებლოთ რუსული კალკებით? ათობით, ასობით თუ ათასობით აღმოსავლური რელიგიური თუ საერო ლიტერატურული ძეგლი ელის ქართულ ენაზე ამეტყველებას და კომენტირებას.

ჩემი პატარა წერილი, როგორც უკვე აღვნიშნე, ფრაგმენტია მოზრდილი შრომისა, რომლის მიზანი რელიგიური ვითარების ასახვაა საქართველოში და არა ინდური ყოფის კვლევა. მას არ ჰქონია მიზნად კრიშნაიზმის, როგორც მოვლენის ახსნა და გაშიფრვა. იგი არც ვინმეს გასაოცებლად არის დაწერილი – თავისი კონკრეტული მიზანი, მისამართი და დანიშნულება ჰქონდა.

ბ-ნი კენჭოშვილის საყურადღებოდ (რომელიც ახალბედა მკვლევარი არ ჩანს) მინდა განვაცხადო: როცა ასეთი კატეგორიული მტკიცებებით გამოდიხარ საზოგადოების წინაშე და საგნის კარგი მცოდნის პრეტენზიაც გაქვს, იმ ლიტერატურას მაინც უნდა იცნობდე, რომლებიც რიგითი მკითხველისთვისაც კი მისაწვდომია.

ინდური კულტურა, ფილოსოფია, რელიგია მართლაც ძალზე რთული ფენომენია. მის აღსაქმელად და ჩასაწვდომად არ არის საკმარისი ინდოეთში გატარებული თუნდაც რამდენიმე წელი. საქართველოში ინდური ფენომენის სწორად შემოსაღწევად ერთიანი ძალისხმევა და თანამშრომლობა უფროა საჭირო, ვიდრე მედიდურობა და სხვების ლანძღვა.

გაზეთი “7 დღე” 19 (37) 24 მაისი, 1991 წ.

II. გაზეთ “მადლის” რედაქტორს

(გვანცა კოპლატაძეს)

ქალბატონო გვანცა! რელიგიურ გაზეთს დიდხანს ელოდნენ საქართველოში. მოგეხსენებათ, რომ ათწლეულების მანძილზე, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მის გამოცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მართალია, კომუნისტური მმართელობის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოდიოდა რამდენიმე რელიგიური ჟურნალი (მათ შორის 1978 წლიდან “ჯვარი ვაზისა”), მაგრამ ამ ჟურნალების ტირაჟები, დამეთანხმებით, ისე მცირე იყო, რომ ისინი ფართო მკითხველამდე ფაქტიურად ვერც აღწევდა.

და აი, ეს თითქმის სამოცდაათწლიანი მდუმარების ეპოქა დამთარდა. ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი. გამრავლდა სასულიერო გამოცემები. რელიგიურ ჟურნალებს მხარში ამოუდგა რელიგიური გაზეთები. საქართველოში ჟურნალ “ჯვარი ვაზისას” პარალელურად გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს გაზეთი ლამაზი სახელწოდებით “მადლი”, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ.

მრავალ ათეულ წელს რელიგიურ საზრდოს მოწყვეტილი და მოწყურებული ხალხი დიდი ინტერესით და ხალისით დაეწაფა ადრე აქტიურად აკრძალულ ლიტერატურას. ჯერ კიდევ ჟურნალ “ჯვარი ვაზისაში” მკითხველთა ინტერესით და მოწონებით სარგებლობდა ჟურნალის ისეთი რუბრიკები, როგორიცაა ღვთისმეტყველება, კულტისა და ღვთისმსახურების საკითხები, რელიგიისა და ზნეობის პრობლემები, რწმენის საკითხები, ქადაგებები, საეკლესიო ცხოვრება, მშვიდობისათვის ბრძოლა და ა.შ. (ამის შესახებ მე უკვე ვწერდი ჟურნალ “ხელოვნებაში”, 1990 წ. 4-ში).

ასეთივე და კიდევ სხვა საინტერესო რუბრიკებმა გაზეთ “მადლშიც” გადმოინაცვლა, რასაც მკითხველი ასევე ყურადღებით და ინტერესით შეხვდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ თქვენს გაზეთში მრავალი საყურადღებო მასალა თუ კომენტარი იბეჭდება, რასაც უდავოდ სარგებელი მოაქვს მკითხველისათვის.

ამასთანავე, მომიტევეთ, თუ ვცდები, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ თქვენი გაზეთი უფრო წარსულისადმია მიმართული, უფრო ზუსტად, მასში აშკარად ჭარბობს ისტორიული მასალა. მართალია, გაზეთს დროდადრო აცოცხლებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის შესანიშნავი ეპისტოლეები, ქადაგებები, წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც წარსულთან ერთად ყოველთვის უკავშირდება თანამედროვეობას, მის აქტუალურ საკითხებს, იბეჭდება ზოგიერთი სხვა მასალც, მაგრამ ეს აშკარად არაა საკმარისი.

კიდევ ვიმეორებ, რასაკვირველია ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა ყველაფერი: ძველი თუ ახალი აღთქმის კომენტარები, წმინდანთა ცხოვრების ისტორიები, კულტის საკითხები, მშვენიერი თარგმანებიც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამათთან ერთად მეტი ადგილი უნდა დაეთმოს თანამედროვე საკითხებს. როდესაც თანამედროვეობასთან უფრო მეტ კავშირზე ვწერ, მე ეკლესიისა და მისი გაზეთის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვას როდი ვგულისხმობ, ან იმას, რასაც რომელიმე მხარეს დგომა ჰქვია, არამედ იმას, რასაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი თავის წარმოთქმულ ქადაგებებში (1992 წ. 12 იანვარი) ამბობდა: “...ჩვენ დღესაც უნდა განვსაჯოთ და გავიგოთ, სად არის სიკეთე და სად ბოროტება, რათა ვიცოდეთ როგორ მოვიქცეთ და რა ვაკეთოთ” (ხაზგასმა ჩემია – თ. ფ.).

სამწუხაროდ, გაზეთ “მადლში” მკითხველი ყოველთვის როდი იპოვის პასუხს მისთვის საჭირო კითხვებზე, რომელიც ძალზე აწუხებს თანამედროვე მორწმუნეს. მართლაც, როგორ იცხოვროს ქრისტიანმა ადამიანმა თანამედროვე ცხოვრებაში, რა ქნას ამ გაჭირვებულ ყოფაში, რა ღირებულებებს სცეს პატივი, რა ორიენტირს მისდიოს, ასეთი კატასტროფული დეფიციტის პირობებში როგორ გამოკვებოს ბავშვები, როგორ შეხვდეს ჭირს თუ ლხინს, როგორ გადაიხადოს ქორწილი, ნიშნობა, ქელეხი, ორმოცი, წლისთავი. გაზეთი, ალბათ, უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს ამ ამბებში და გმობდეს უშნოდ დამახინჯებულ, გაზვიადებულ ტრადიციებსა თუ წეს-ჩვეულებებს, ხელს უწყობდეს სადა, ეკონომიკურად ხალხისათვის მისაწვდომ, გონივრულ ადათ-წესებს თავის დროზე, როგორც ცნობილია, კომუნისტურმა ხელისუფლებამ სცადა ამ საკითხების მოგვარება, სათანადო დადგენილებაც გამოვიდა 1978 წელს ტრადიციების შესახებ, მაგრამ აქედან რეალურად ბევრი არაფერი გამოვიდა. ახლა, როდესაც ამ რიტუალებში დომინირებული მდგომარეობა ისევ ეკლესიამ და რელიგიურმა რიტუალებმა დაიკავა, როდესაც სასულიერო პირთა გარეშე იშვიათად ტარდება ეს წესები, ალბათ, დროა ეკლესიამაც და მისი იდეების გამომხატველმა გაზეთმაც, სათანადოდ იზრუნოს ამ მნიშვნელოვანი, ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაზე.

თუკი ეკლესია ყურადღების გარეშე დატოვებს მორწმუნეთათვის საჭირბოროტო საკითხებს, ისევ შორიდან დაუწყებს ცქერას თავისი მრევლის ცხოვრებას, დაკმაყოფილდება მხოლოდ აბსტრაქტული მოწოდებებით სიკეთისა და სათნოებისაკენ, იგი ისევ განზე აღმოჩნდება მრევლისაგან, მისი ჭირ-ვარამისაგან, რეალური ცხოვრებისაგან. მაშინ სწორი აღმოჩნდება სექტანტთა საყვედური ოფიციალური ეკლესიის მიმართ, რომ მორწმუნე ადამიანი მართლმადიდებლურ ეკლესიაში როგორც მარტო შედის, ისევე მარტოც გამოდის, რომ მასზე ფაქტიურად არავინ ზრუნავს. განსხვავებით იგივე სექტანტური თემის წევრებისაგან, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთის გვერდში იყვნენ ჭირსა თუ ლხინში.

რასაკვირველია, დიდი ცოდვა და უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდებოდეს. პირიქით, ბოლო წლებში ქართული მართლმლადიდებელი ეკლესია ფართო ქველმოქმედებას ეწევა, აქტიურად მონაწილეობს მიწისძვრისაგან, მეწყერისაგან, დიდთოვლობისაგან, წყადიდობისაგან თუ სხვაგვარად დაზარალებულთა დასახმარებლად. ქართული ეკლესიის ხაზით ჩვენ სოლიდური დახმარება მივიღეთ როგორც საზღვარგარეთიდან, ისე საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, თვით ეს მნიშვნელოვანი დახმარებაც კი წვეთია ზღვაში იმ კატასტროფულ მდგომარეობასთან, რომელსაც ჩვენი ხალხი მასობრივად განიცდის (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიცვალებულისათვის კუბოს შეძენაც კი ძალზე რთულ და მეტად ძვირადღირებულ პრობლემად ქცეულა). ამ მიმართულებით ჩვენს ტრადიციებზე, დამახინჯებულ წეს-ჩვეულებებზე მეტი ძალისხმევა და ზემოქმედებაა საჭირო, რათა ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ხალხს ცხოვრება. თუკი ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, საზოგადოების უქონელმა ნაწილმა (ასეთი კი, ფაქტიურად, ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ნაწილია) შეიძლება სულ დაკარგოს სასოება და იმედი. მათმა ნაწილმა კი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხელი მოჰკიდოს ქურდობას და ძარცვას (ამის აუარებელი მაგალითი გვაქვს).

ერთ რამეზეც გვინდოდა თქვენი ყურადღება გაგვემახვილებინა. ახლა რელიგიურ ჟურნალ-გაზეთებს ბევრი ისეთი ადამიანი კითხულობს, რომელთა რწმენის ხარისხიც სხვადასხვა არის, ზოგიც ისეთი – რომელსაც არავითარი რელიგიური რწმენა არ გააჩნია, მაგრამ თავის ცხოვრებაში ძირითადად ქრისტიანულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს მისდევს. ალბათ, გაზეთმა მათთანაც უნდა მონახოს საერთო ენა და დააინტერესოს ისინი, ჰქონდეს რუბრიკა არამორწმუნეებთან საურთიერთობოდ.

ეგებ გაზეთ “მადლს” თანამედროვე ეკლესიის ავ-კარგზეც ეთქვა თავისი სიტყვა, უფრო გაბედულად ეჩვენებინა ჩვენი სამღდელოების ღირსება-ნაკლოვანებანი, ობიექტურად შეეფასებინა ჩვენი “სულიერი სამსახური”. არც ის არის დასამალი, რომ ეკლესიას, ისევე როგორც სხვა სფეროებს, ზოგიერთი უღირსიც მიეტმასნა და მას აშკარად სახელს უტეხს. ეგებ იმაშიაც გაგვერკვია ხალხი, თუ რას აკეთებდა “ბუნკერში” ჩასაფრებულ ხალხთან ერთად ზოგიერთი სამღვდელო პირი, რომელიც ვიდეო კასეტაზე არის აღბეჭდილი...

არის ბევრი სხვა პრობლემაც, რომლის ჩამოთვლასაც ახლა არ შევუდგები. მე კარგად მესმის, რომ აქ დასმულ საკითხებს მარტო გაზეთის მცირერიცხოვანი კოლექტივი ვერ მოუვლის და ვერ გასცემს პასუხს (მით უფრო, რომ ამ მცირერიცხოვან კოლექტივს, სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევა სჭირდება იმ არაშემოქმედებითი საკითხების მოსაგვარებლად (ქაღალდის პრობლემა, დაფინანსება, ბეჭდვა და ა.შ.), რომელთაც მათი დრო, ენერგია და ნერვები მაიქვთ. ეს მთელი ეკლესიის, მისი მღვდელმთავრების საქმეა, რომლებმაც სწორად უნდა წარმართონ ერისა და მრევლის ინტერესები.

გაზეთმა კი მათთან ერთად თავისი საქმე უნდა აკეთოს. იგი უნდა ითვალისწინებდეს და გამოდიოდეს მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან.

იმედია, რომ გაზეთი “მადლი” ახლო მომავლაში უფრო აქტუალური გახდება, უფრო მეტ საჭირბოროტო საკითხებს დააყენებს, დაეხმარება ადამიანებს, უფრო უკეთესები გახდნენ, გადაატანინებს მათ ამ მძიმე პერიოდს, დააძლევინებს ბოროტებას და მიმართავს მრევლს სათნოებისა და სიკეთისაკენ.

გაზეთი “საქართველო” 10 (66)

13 მარტი, 1992 წ.

III. სჯობს ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის,

ვიდრე ერი – ერთი კაცისათვის

(იოანე 11:50)

ეს სათაური სახარებიდან არის აღებული და მღვდელმთავარ კაიაფას ეკუთვნის, რომელმაც თავის დროზე ქრისტეს სიკვდილით დასჯა მოითხოვა. არავინ არ ამართლებს კაიაფას, არავინ არ იცავს არც მის პიროვნებას და არც მის ზნეობრივ სახეს, მაგრამ ეს სიტყვები აქტუალური იყო ადრე და ახლაც. იგი აქტუალური იქნება ყველა დროში, როდესაც მთელი ერისა და პიროვნების ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება. ამ სიტყვებმა ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდი რისხვა გამოიწვია.

ეს რისხვა მთლიანად გადმოიღვარა მისი “წერილებისა და ესეების” წიგნში, რომელიც 1991 წელს დაისტამბა. მისი წერილი სათაურით: “თ. ფანჯიკიძის ტრაგედია” წარმოადგენს გამოხმაურებას ჩემი ჯერ კიდევ 1985 წლის 20 ნოემბრის გაზეთ “თბილისში” გამოქვეყნებული წერილისა “იესო ქრისტეს ტრაგედია”. როგორც ჩანს, ეს გამოხმაურება ჩემი წერილის გამოქვეყნებისთანავეა დაწერილი. მაშინვე ვერ დაუბეჭდავს, მაგრამ ეს წერილი ისე მოსწონებია, თავისი შემოქმედების ისეთ მნიშვნელოვან ფურცლად ჩაუთვლია, რომ იგი ვერ დაუთმია და ექვსი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ კრებულში შეუტანია.

მაინც რას გვიჩივა, რას გვაბრალებს ბატონი ზ. გამსახურდია. განა რა დავაშავეთ ასეთი, რატომ გვლანძღავს ასე შეუბრალებლად? სანამ უშუალოდ ამ კითხებზე ვუპასუხებდე, მანამდე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რატომ დაიწერა თავის დროზე ეს წერილი.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა კონფლიქტი ხალხსა და მის გაუცხოებულ, დაწინაურებულ შვილს შორის; შვილს, რომელსაც თავისი ქვეყნის საზღვრები ეპატარავება, უფრო ფართო სარბიელზე გასვლას ლამობს და თავისი კარიერისტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად არაფერს ერიდება,

სამშობლოს სასტარტო მოედნად იყენებს, საჭიროების შემთხვევაში საკუთარ ხალხს უპირისპირდება და მის ინტერესებს უღვთოდ სწირავს.

საქართველოს ისტორიაში ცოტა როდი იყო ასეთი პიროვნება. ამ მხრივ მარტო სტალინის, ორჯონიკიძის, ბერიას თუ სხვათა სახელები იკმარებდა. სტატიის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, მეჩვენებინა, რომ ადამიანი, რომელიც არ ითვალისწინებს თავისი ხალხის ბედს, ინტერესებს, მის მომავალს, რაც არ უნდა ძლიერი, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწე არ უნდა იყოს იგი, თავისი ხალხის თვალში მაინც მავნე და დაღუპული კაცია, ამდენად სრულიად მიუღებელიც.

კონფლიქტი ხალხსა და მისგან გამოსულ შვილს შორის საქართველოს ისტორიაში მარტო წარსულში როდი შეინიშნებოდა. მას ჩვენს პირობებშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. ამიტომ ასეთი წერილის გამოქვეყნება საჭიროდ და აქტუალურად ჩავთვალე.

მთელი სახარებისეული სიუჟეტი, მასში მომქმედი ძალები: ებრაელები, მათი მღვდელმთავრები ანა და კაიაფა, პილატე, რომაელი ჯალათები, თვით იესო, მისი ტრაგიკული ისტორიით, მე მხოლოდ ისტორიული პარალელის გავლებისათვის დამჭირდა, რომლის იქით გონიერ და გამგებ მკითხველს, რომელიც იმ რთულ პერიოდში მიჩვეული იყო სტრიქონებს შორის წაეკითხა დამალული აზრი, თანამედროვეობა უნდა დაენახა.

რასაკვირველია, ისტორიული პარალელები ყოველთვის მოიკოჭლებს, არც ჩემს მიერ მოხმობილი პარალელი გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით, სახარებისეულ სიუჟეტში სულ სხვაგვარ პირობებსა და ღირებულებებზეა ლაპარაკი, ბევრი განსხვავებული ასპექტი და ნიუანსია, მაგრამ ემთხვევა ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი – კონფლიქტი ხალხსა და მისგან გამოსულ შვილს შორის, რომელიც ჯერ შვილის სიკვდილით დამთავრდა, შემდგომ კი ხალხის დაწყევლით და მრავალსაუკუნოვანი დევნით.

მე ჩემებურად შევეცადე გავრკვეულიყავი ამ კონფლიქტში, გამერკვია, რატომ არ მიიღო ხალხმა თავისი დაწინაურებული შვილი, რომელიც სხვებისათვის საყოველთაო თაყვანისცემის საგანი შეიქმნა და თუკი ებრაელებმა არ აპატიეს იესო ქრისტეს საკუთარი ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლობა, როგორღა უნდა მოვიქცეთ დღეს ჩვენ, როდესაც მსგავს სიტუაციაში მოვხვდებით.

მე მშვენივრად მესმის, რომ ასეთი პარალელის გავლებით, მსჯელობით და თუნდაც გაფიქრებით, ფანატიკოსი მორწმუნის აზრით, საოცარ, უპატიებელ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ ბატონი პრეზიდენტი ხომ მარტო თავგადადებული მორწმუნე არ არის, არამედ კარგი მეცნიერის პრეტენზიაც აქვს. ამიტომ, იგი არ უნდა აღეშფოთებინა სახარებისეული სიუჟეტის ასეთ გამოყენებას, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ მიდგომაში მე არც პირველი ვარ და ცხადია, არც უკანასკნელი ვიქნები.

გარდა ამისა, ბატონ ზ. გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებული წერილი უბრალო, აღშფოთებული მორწმუნის აზრი რომ იყოს, რომელიც შეურაცხყოფილი იქნა თავის საუკეთესო, რელიგიურ გრძნობებში, გასაგები იქნებოდა, მაგრამ როდესაც ასეთ

კატეგორიულ სალანძღავ წერილს, განსხვავებული აზრის გამო, აქვეყნებს ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის თითოეული სიტყვა, განუსაზღვრელი უფლებების გამო, თითქმის კანონად ითვლება და რომელსაც თავის ქვეყანაში სინდისის თავისუფლება აქვს გამოცხადებული, ეს სრულიად გაუგებარია. შეიძლება ვინმე შემედავოს და თქვას, რომ ეს წერილი ალბათ ადრეა დაწერილიო – მართალიც იქნება, მაგრამ იგი ხომ მისი თანხმობით გამოქვეყნდა პრეზიდენტობის დროს, როდესაც წერილმა სულ სხვა ჟღერადობა და მნიშვნელობა შეიძინა.

მაგრამ დავუშვათ, რომ მე ის ზემოთ თქმული პარალელი არ გამომივიდა, მკითხველისათვის და თვით ბატონ ზ. გამსახურდიასათვისაც სრულიად გაუგებარი შეიქმნა ჩემი ჩანაფიქრი. ამის გარდა, სხვა რა ფაქტობრივი შეცდომა დავუშვი, რაში მედება კონკრეტულად ბრალი, ეგებ შეცდომები დავუშვი სახარებისეული სიუჟეტის ინტერპრეტაციაში? ეგებ სწორად ვერ გადმოვეცი მომხდარი კონფლიქტის არსი? მოკლედ, რას გვიჩივის ბატონი ზ. გამსახურდია?

როგორც უკვე ვთქვი, სამწუხაროდ, ბატონ ზ. გამსახურდიას წერილში უფრო მეტად ჭარბობს აღშფოთებული მორწმუნის ემოციები, ვიდრე მეცნიერული არგუმენტები, მაგრამ მაინც შევეცადოთ თანმიმდევრობით გავერკვეთ მის მიერ წამოყენებული ბრალდებების სისწორეში.

ბატონი ზ. გამსახურდიას აზრით, მე თვითონ ვერ გამირკვევია, თუ რა პოზიციაზე ვდგავარ: "...ქრისტიანულზე, იუდაისტურზე, ათეისტურზე, მუსულმანურზე, კომუნისტურზე თუ სხვ.". თუმცა სულ ცოტა ქვემოთ წერს, რომ "ავტორი თავისდაუნებლიედ გვესაუბრება როგორც პირწავარდნილი თალმუდისტიო". ე. ი. მე, თუმცა ჩემდა უნებლიედ, მაგრამ მაინც რაღაც პოზიცია მქონია და ეს ყოფილა "თალმუდისტის პოზიცია".

მკითხველი რომ არ დაიბნეს, გავარკვიოთ, რას ნიშნავს თალმუდისტური პოზიცია. ეს არის ბიბლიის იუდაური კაზუისტიკური ახსნა. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ებრაულ პოზიციაზე დგომა. რადგან ებრაელი მორწმუნე, თავის ნათქვამში რომ დაგარწმუნოს, პირველ რიგში თორასა და თალმუდს იფიცებს.

ჩემს წერილში იმ ფაქტის აღნუსხვა, რომ იესო ებრაელთა წრიდან გამოსული ადამიანი იყო, რომ მისი დედა ჩვეულებრივი ებრაელი ქალი იყო, ხოლო მოციქულთა უმრავლესობა ასევე ჩვეულებრივი ებრაელები იყვნენ, მე დიდ დანაშაულად და თალმუდისტობად ჩამეთვალა.

მინდა დავამშვიდო ბატონი ზ. გამსახურდია და ვუთხრა, რომ მე ჩემს პოზიციაზე ვდგავარ. იმ პოზიციაზე, სადამდისაც მიმიყვანა ისტორიულმა წყაროებმა, ქრისტიანულმა თუ საერო ლიტერატურამ, "საღმრთო წერილმა" და საკუთარმა დაკვირვებებმა.

ეს პოზიცია არცთუ ისე ახალი და ორიგინალურია. იმას რომ, იესო ქრისტე რეალური ისტორიული პიროვნება იყო, იზიარებს რელიგიის უამრავი მკვლევარი. ასეთ აზრს, როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნეში ავითარებდა ახალ ტიუბინგენის სკოლა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფ.კ.ბაური,

შვეგლერი, კესტლინი, გილგენფელდი, ცელერი, პლანკი, ფოლკმარი. ამავე სკოლას ეკუთვნოდა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში დ.შტრაუსიც, ავტორი გახმაურებული წიგნისა "იესოს ცხოვრება". როგორც ცნობილია, ტიუბინგენის სკოლის ტრადიციები შემდგომ გადაეცა ისტორიულ სკოლას, რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ვერნლე, ი.ველჰაუზენი, ა.ჰარნაკი, მისი მიმდევრები ა.ლუაზი, მ.გოგელი და სხვ. ასეთივე აზრს ავითარებდა ქრისტიანობის ცნობილი მკვლევარი ე.რენანიც, რომლის წიგნიც იესო ქრისტეზე ხუთასზე მეტჯერ გამოიცა. რასაკვირველია, შეიძლება დაეთანხმო ან უარყო ეს პოზიცია, მაგრამ, ეს შეხედულება ისე საოცრად არ უნდა გაგიკვირდეს და აღშფოთდე, როგორც ამას ბატონი ზ. გამსახურდია აკეთებს.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ მის შენიშვნებზე, რომელსაც იგი უხეშ შეცდომებს უწოდებს: ბატონ ზ. გამსახურდიას მოაქვს ჩემი სიტყვები: "იუდეველებმა ყური არ უგდეს ახალი აღთქმის მოწოდებებს, მათ არ ცნეს ქრისტეს მოვლინება". ჰო, მაგრამ რომელმა იუდეველებმა? იგი (ჩემზეა ლაპარაკი – თ. ფ.) რომ ოდნავ მაინც იყოს ჩახედული პალესტინის ისტორიაში ან ახალ აღთქმაში, ეცოდინებოდა, რომ ათასობით ებრაელმა მიიღო ქრისტიანობა, მოციქულთა მოღვაწეობის პირველსავე წლებში (იხ. "საქმე მოციქულთა"). ამიტომაც ამბობდა პასკალი: "ქრისტეს მოძღვრებას ებრაელთა შორის ღებულობდნენ წმინდა ადამიანები, ამქვეყნიურნი, გრძნობადნი კი – არა". საქმეც ის გახლავთ, რომ ებრაელი ხალხი კი არ იყო ქრისტეს წინააღმდეგი, არამედ მღვდელმთავრები და ფარისეველნი, რომელთაც იუდასთან ერთად ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდეს თავიანთი ერის სინდისი".

რა შეიძლება ითქვას ამ ბრალდებაზე: ჯერ ერთი, ზ. გამსახურდია განგებ ამახინჯებს ჩემს აზრს და მეორეც, ციტატა დამახინჯებულად მოაქვს. მე არსად არ ვამბობ, რომ ებრაელთა გარკვეული რაოდენობა არ გაჰყვა ქრისტიანობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამისათვის განა მისი მოწაფეების მაგალითი არ კმაროდა?! მაგრამ ვინ გაჰყვა იესო ქრისტეს, ესეც ხომ კარგად არის ცნობილი. აი, ქრისტიანობის ცნობილი მკვლევარის ე.რენანის სიტყვები ამის შესახებ:

"Правоверные евреи редко вступали в новую секту: люди пришлые, мало знавшие закон, не посещавшие больших иудейских школ, свободные от рутины и не знакомые с священным языком, - вот кто внимал апостолам и их ученикам"[1] .

ახლა კი სრულად მინდა მოვიტანო ჩემს წერილში გადმოცემული აზრი: "საბოლოო ჯამში კი იუდეველებმა ყური არ უგდეს ახალი აღთქმის მოწოდებებს. მათ არც პავლე მოციქულის ეპისტოლეს დაუჯერეს, სადაც იგი ებრაელებს აღუთქვამდა, რომ ღმერთი ისევ გაიხსენებდა მათ, ისევ დადებდა კავშირს ისრაელთან და იუდას სახლთან (ებრაელთა მიმართ 8,8).

ისინი ერთგულნი დარჩნენ თავიანთი ძველი მოძღვრებისა და უარი თქვეს ყოველგვარ სიახლესა და დამატებაზე. მათ არ ცნეს ქრისტეს მოვლინება. იუდეველთა რელიგიამ კედელივით აისხლიტა ახალი მოძღვრება.

თავის მხრივ, არც იესო ქრისტეს მოწაფეებმა და მიმდევრებმა აპატიეს ებრაელებს ქრისტეს ჯვარცმა. საუკუნეთა მანძილზე სდევნიდნენ და სჯიდნენ მათ,

როგორც მაცხოვრის სიკვდილში გარეულ ერს. ებრაელებს დასცინოდნენ, აწიოკებდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ...”

აი, სრული ციტატა, განსხვავებით ბატონ ზ. გამსახურდიას მიერ განგებ დამახინჯებული ციტატისაგან, აქ არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ქრისტეს მოძღვრება ებრაელებისაგან არავის მიუღიაო. აქ ლაპარაკია ერის საბოლოო არჩევანზე, რა გზა აირჩია მან და რა რელიგიით იცხოვრა საუკუნეთა მანძილზე. შემთხვევით როდი იწყება გამოთქმული შეხედულება ხაზგასმული სიტყვებით – საბოლოო ჯამში... თუ რისთვის დასჭირდა ბატონ ზ. გამსახურდიას ჩემი აზრის ასე დამახინჯება და ბრალის დადება, მისი სინდისისათვის მიგვინდია.

“ახლა ვნახოთ, - წერს ბატონი ზ. გამსახურდია, - კიდევ რომელ პუნქტებში ემთხვევა ფანჯიკიძის თვალსაზრისი ქრისტეს ჯვარმცმელ ფარისეველთა და მღვდელმთავართა თვალსაზრისს. იგი წერს: “ებრაელებმა, რომელნიც მისგან ღვთაებრიობის საბუთს მოითხოვდნენ, ასეთი საბუთი ვერ მიიღეს. ამიტომ მესიად არ ცნეს არც მაშინ და არც მერე, როდესაც ქრისტეს მოძღვრება მრავალმა მილიონმა ადამიანმა აღიარა და იგი მსოფლიო რელიგიად იქცა”. ე. ი. ავტორი გვეუბნება, რა ვქნათ, იმ კეთილშობილ და მართალ იუდეველებს, ისინი ღვთაებრიობის საბუთს, ე. ი. სასწაულებს მოელოდნენ ქრისტესაგან, მაგრამ ასეთი რამ ვერ მიიღეს და ამადაც ჯვარს აცვეს იგი”.

ამ დებულების სიცრუეს თავად ავტორმა (ჩვენ – თ. ფ.)ახადა ფარდა რამდენიმე აბზაცით ქვემოთ, როდესაც მოიტანა ციტატა იოანეს სახარებიდან: “შეიკრიბნენ ებრაელთა მღვდელმთავარნი და ფარისეველნი და ერთმანეთს შესჩივლეს: “რა ვქნათ, რა ვუყოთ, ეს კაცი მრავალ სასწაულს ჩადის, თუ ასე დავტოვეთ, ყველას თავის რწმენაზე მოაქცევსო”.

ასე რომ, იუდეველებსაც და თ.ფანჯიკიძესაც კარგად სცოდნიათ, რომ იესო ქრისტე მრავალ სასწაულს სჩადიოდა. მაგრამ რაღაც მიზეზით დაუხუჭავთ ორთავეს თვალი.”.

მართლა სამართალი აღარსად არის? ასე ურცხვად ბრალის დადება როგორ შეიძლება. შეიძლება ასე დაამახინჯო სხვისი აზრი, როგორც არ უნდა გეჯავრებოდეს ადამიანი, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შენს წარმოდგენებს და რწმენას?

ჯერ ერთი, ასეთ მტკიცებას წერილში წინ უძღოდა მესიის როლის ებრაული გაგება. “ებრაელები, - წერია ჩემს წერილში, - დიდხანს ელოდნენ მესიას, ზეციდან მოვლინებულ არსებას, რომელიც მათ იხსნიდა გაჭირვებისაგან, დაამარცხებდა მათს მტრებს.

მესიის სახე ასეული წლების მანძილზე იხატებოდა, ივსებოდა და ყალიბდებოდა. ხალხის წარმოდგენით იგი უნდა ყოფილიყო სახელოვანი, ძლევამოსილი, ყოვლის დამთრგუნველი და ღმერთის რჩეული ხალხის – ებრაელების განმათავისუფლებელი. ეს იყო ხანგრძლივი და მოუთმენელი მოლოდინი ჩაგრული ხალხისა, რომელიც დამპყრობლების უღელქვეშ მრავალი საუკუნის მანძილზე იტანჯებოდა.

მაგრამ მას, ვინც ებრაელებს მესიის სახელით გამოეცხადა და ვინც თავის თავს ძე ღვთისა უწოდა, საერთო არაფერი ჰქონდა ნანატრი მესიის სახესთან. ახლად მოვლენილი მესია ღარიბი დურგლის შვილი იყო, არაფრისმქონე, უიარაღო და უბრალო ტანსაცმელში გამოხვეული, დასაძინებლად თავის მისადები ადგილიც რომ არსად მოეძევებოდა. ქადაგების დაწყების შემდეგ იგი თვითონ იქცა დევნისა და სიძულვილის ობიექტად, ბოლოს კი გოლგოთაზე აიყვანეს. ასეთ მესიას როდი ელოდნენ იუდეველები, მეტიც, მათ არ სჭირდებოდათ ასეთი მესია. ეს იყო მათი დიდი ხნის ოცნებისა და ეროვნული იმედების დამსხვრევა. ებრაელებმა მას ვერ აპატიეს თავისი მოლოდინის გაცრუება.

იმ მძიმე და არეულ დროში, ისეთ ბუნაგში, როგორიც რომის იმპერია იყო, ებრაელთა გადარჩენა სასწაულს თუ შეეძლო. ამიტომ მოვლენილი მესიისგანაც ასეთ სასწაულს მოითხოვდნენ.

ამიტომ, სრულიადაც არ იყო გასაკვირი ერთ-ერთი იუდეველის სინანული იესოს ჯვარცმის შემდეგ – ჩვენ კი გვეგონა, რომ ეს იყო ის, ვისაც ისრაელი უნდა ეხსნაო (ლუკა, 24:21). უფრო ადრე კი, ჯვარცმამდე, უკვე შეპყრობილ იესო ქრისტეს ხალხი დასცინოდა: “თუკი შენ მართლა ქრისტე და ღვთის რჩეული ხარ, იხსენი შენი თავი (ლუკა 23:35) და მაშინ ვირწმუნებთ, რომ სწორედ ისა ხარ, ვისაც შენს თავს უწოდებო”.

მოყვანილი ტექსტიდან თვალნათლივ ხომ ჩანს, რა სასწაულზეა ლაპარაკი: აქ არ იგულისხმება არც მიცვალებულის გაცოცხლება, არც უსინათლოსათვის თვალის ახელა, არც კოჭლისათვის ფეხის მორჩენა. არამედ ებრაელი ხალხის ხსნა. ამიტომ უაზრობაა რაიმე წინააღმდეგობა აღმოაჩინო ჩემს მსჯელობაში. გარდა ამისა, ზ. გამსახურდია უკვე მერამდენედ შეგნებულად წყვეტს ჩემს ციტატს, იღებს იმ ნაწილს, რომელიც მეორის გარეშე ერთიან აზრს ამახინჯებს. ამიტომ ისევ ჩემი ტექსტიდან მოვიტან ადგილს:

“სახარებების მიხედვით იესო ქრისტეს სხვა მისია ეკისრებოდა. იგი სასწაულს კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვაში ხედავდა, განგების მიხედვით გოლგოთაზე მოკვდა კიდეც ორ ავაზაკთან ერთად” (განა აქ ნათელი არ არის, რა სასწაულზეა ლაპარაკი...).

ამიტომ, ებრაელები, რომლებიც მის დანიშნულებას ქვეყნის გადარჩენაში ხედავდნენ, იესოს ამ საქციელში ღვთაებრიობის ნიშანს კი არა, არამედ მის ადამიანურ უმწეობას ხედავდნენ. მათი წარმოდგენით, ძლევამოსილ მესიას თავისი თავი უნდა დაეცვა და არ მიეცა მტრისათვის მისი დასჯის საშუალება. კიდევ ვიმეორებ, მესიის სხვადასხვაგვარი გაგება განაპირობებდა იესოსადმი ასეთ მიდგომას. ამიტომ, სრულიად გაუგებარია, რაში მდებს ბრალს ბატონი ზ. გამსახურდია.

თავისი წიგნის 520-ე გვერდზე ზ. გამსახურდია წერს: “გარდა ამისა მან (ჩემზეა ლაპარაკი – თ. ფ.) უნდა იცოდეს, რომ თალმუდში ნახსენები იეშუა არ არის ქრისტე, არამედ იეშუა ბენ პანდირა, ესეველთა მოძღვარი, რომელიც ქრისტეზე ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდა”.

აქაც ბატონი ზ. გამსახურდია უწყალოდ ამახინჯებს სინამდვილეს. მე არსად არ ვწერ იეშუას, არამედ ვახსენებ “ქრისტეს, რომელსაც თალმუდი ძლიერ და ჭკვიან პიროვნებად აღიარებს, თუმცა მან თავისი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა და ამიტომ დაისაჯაო”. მეტი ამის შესახებ ჩემს წერილში არ წერია. ბატონ ზ. გამსახურდიას რომ კარგად სცოდნოდა თალმუდში ქრისტესა და ქრისტიანობაზე არსებული ტექსტები, ამას საერთოდ არ დაწერდა. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ ნაგულისხმევი ადგილი თალმუდიდან:

“Однажды он (Иешуа бен Перахая) стал читать утреннюю молитву, встретился ему (Иисус), он думал принять его, поманил его рукой. Тот подумал, что он его отталкивает. (Тогда) он пошел, установил черепицу и стал поклоняться ей. Сказал ему (Иешуа бен Перахая , пер) “Вернись”. Он сказал: “Так я принял от тебя: кто согрешил и соблазнил народ, тому не предоставляют возможность покаятся”. А учитель сказал: “Иисус назарянин занимался чародейством и свел Израиля с пути”.2

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია იოშუა ბენ პერახაიაზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა (და არა ბენ პანდირაზე) და იესო ნაზარეველზე. როგორც თვით ამ პირველწყაროების გამომქვეყნებელმა ა,ბ.რანოვიჩმა აღნიშნა:

“Только незнакомство с подлинными текстами могло внушить Древсу и другим представление об историчности Иисуса бен Пандира, или Иисуса бен Стады, о которых в Талмуде имеются явные несообразности”.2

ასეთია სიმართლე ამ საკითხის შესახებ.

ბატონი ზ. გამსახურდია წერს: “თ. ფანჯიკიძე ქრისტეს სახავს ძონძებში გახვეულ მაწანწალად. საინტერესოა, რომელ წყაროში ამოიკითხა მან ასეთი რამ, ან რომელ ფერწერულ ტილოზე ნახა ამგვარი გამოსახულება ქრისტესი”.

ჯერ ერთი, ჩემს ბრუშურაში “იესო ქრისტე – ლეგენდა თუ სინამდვილე”, რომელიც ჯერ კიდევ 1987 წელს გამოვიდა, წერია: “ახლად მოვლენილი მესია ღარიბი დურგლის შვილი იყო, არაფრისმქონე, უიარაღო და უბრალო ტანსაცმელში გამოხვეული...” (იხ. გვ. 59). რაც შეეხება ძონძებს, რომელიც გაზეთში იყო ნახსენები, იგულისხმება ის დაგლეჯილი ტანსაცმელი, რითაც იგი გოლგოთაზე მიჰყავდათ.

ბატონი ზ. გამსახურდია მე მაბრალებს თითქოს არაფერი ვიცოდე, ან ვჩქმალავდე თანამედროვე მეცნიერულ კვლევა-ძიებას ქრისტეს პრობლემასთან, მის სხვადასხვა რელიქვიებთან, უწინარეს ყოვლისა, ტურინის სუდარასთან; ეს სხვა არაფერია, თუ არა აშკარა ცილისწამება, რადგან მე ტურინის სუდარასთან დაკავშირებით 1987 წელს გამოვაქვეყნე ცალკე წერილი გაზეთ “სოფლის ცხოვრებაში” სათაურით “ლეგენდა თუ სინამდვილე, ანუ ცოტა რამ ტურინის სუდარის შესახებ” (იხ. გაზ. “სოფლის ცხოვრება”, 1987 წლის 1-2). აღნიშნული ტექსტი შემდგომში შევიდა ჩემს ბროშურაში “იესო ქრისტე – ლეგენდა თუ სინამდვილე” (იხ. გვ. 64-66), რომელიც როგორც აღვნიშნე, 1987 წელს არის გამოქვეყნებული, ხოლო ბატონ ზ. გამსახურდიას წიგნი 1991 წლით თარიღდება. რა ვუწოდო ასეთ ბრალდებას – უპასუხისმგებლობა თუ უდიერობა, აშკარა

ცილისწამება, თუ მეცნიერული არაკეთილსინდისიერება, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

გარდა ამისა, ბატონი ზ. გამსახურდია აშკარად ამახინჯებს ფაქტებს, როდესაც ამტკიცებს, თითქოს ტურინის სუდარამ ისეთი ჟურნალიც კი, როგორიც "ნაუკა ი რელიგიაა", აიძულა ემტკიცებინა იესო ქრისტეს ღვთაებრიობაო.

ჟურნალის 1984 წლის №9-ში არუთინოვის და ჟუკოვსკაიას მიერ გამოქვეყნებული მასალა რედაქციის განმარტებით (იხ. "ნაუკა ი რელიგია", 1989 წ. №6, გვ. 11) წარმოადგენდა ტურინის სუდარის შესახებ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული მასალების უფრო მიმოხილვას, ვიდრე საკუთარ აზრს.

მაგრამ, ამ ამბავთან დაკავშირებით, უფრო მნიშვნელოვანია იგივე ჟურნალის ცნობა იმის შესახებ, რომ როგორც ჩატარებული რადიაქტიული ანალიზით დამტკიცდა, ტურინის სუდარა არ წარმოადგენს ნამდვილს, რადგან ის ქსოვილი, რომელშიაც თითქოსდა იესო ქრისტეს სხეული იყო გახვეული, მხოლოდ XIII-XIV საუკუნეში არის დამზადებული და რომ ამ დასკვნას დაეთანხმა თვით ტურინის არქიეპისკოპოსი.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტურინის სუდარის ქსოვილი მხოლოდ XIV საუკუნეში არის დამზადებული, ჯერ კიდევ რადიაქტიულ ანალიზამდე გამოთქვა ამერიკელმა ექსპერტმა უოლტერ მაკკროუნიმ, რომელმაც, თავის მხრივ, აკადემიკოს ვ. გოლდენსკის თქმით, მხოლოდ დაადასტურა ის, რაც პირველად განაცხადა ტრუას ეპისკოპოსმა ამ სენსაციური აღმოჩენისთანავე, რომ ტურინის სუდარა დახატულია უცნობი მხატვრის მიერ 1356 წელს (იხ. "ნაუკა ი რელიგია", 1989 წ. 6, გვ. 11-14).

მართალია, ტურინის სუდარასთან დაკავშირებული ბევრი სხვა ამბავი ჯერ კიდევ აუხსნელია, არსებობს ბევრი სხვადასხვაგვარი მოსაზრება და ვარაუდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა მეცნიერული გამოკვლევა არ არსებობს. მით უფრო გასაკვირია ბატონ ზ. გამსახურდიას სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები ჩემს მიმართ.

ასევე სრულიად უსაფუძვლოდ, "წერილებისა და ესეების" 519-ე გვერდზე ზ. გამსახურდია გვაბრალებს თითქოს მე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს ვამტკიცებდე: მას მოაქვს ჩემი ციტატა: "იგი (იესო ქრისტე) უფრო იუდაური სარწმუნოების რეფორმატორი იყო და უნდოდა გაეწმინდა, გაენთავისუფლებინა ღმერთის მიერ ნაბოძები კანონი შემდეგდროინდელი ადამიანების მიერ დამატებული ზედმეტობებისაგან". ამ დებულებას იგი ეთანხმება და წერს, რომ "ეს სავსებით მართებული მსჯელობააო". მაგრამ არ ეთანხმება მეორე ციტატას: "მოსეს კანონი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც ამ კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იუდეველებმა კი სამართლიანად და გულახდილად უთხრეს პილატეს ამის შესახებ: "ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს". ზ. გამსახურდია ამ ორ ციტატას შორის წინააღმდეგობას ხედავს და კითხულობს, რომელ ფანჯიკიძეს ვენდოთო:

“...ქრისტე არ ებრძოდა მოსეს კანონს, უარს არ ამბობდა მასზე, თუ იმას, რომელიც გვიმტკიცებს, ქრისტე ილაშქრებდა მოსეს კანონის წინააღმდეგ და სავსებით მართალნი იყვნენ იუდეველნი რახან იგი დასაჯესო”.

ჯერ ერთი, ამ მსჯელობაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. იესო ქრისტე მართალია, არ ილაშქრებდა მოსეს კანონის არსის წინააღმდეგ, მაგრამ ებრძოდა მისი ცალკეული დოგმების იუდაურ გაგებას. გავიხსენოთ თუნდაც იესოს მიერ შაბათის დღესასწაულის მხოლოდ ლოცვის დღედ გამოცხადების წინააღმდეგ გალაშქრება. “...შაბათი კაცისათვის დაიბადა, და არა კაცი შაბათისათვის. ვინაიცა უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა” (მარკოზი 2, 27-28).

ებრაელ მღვდელმთავართა აზრით კი, ნებისმიერი გამოსვლა მოსეს კანონის წინააღმდეგ, მისი შეცვლა ან გაუმჯობესების ცდაც კი უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. გარდა ამისა, იესო ძე ღვთისად აცხადებდა თავის თავს, რაც სრულიად მიუღებელი იყო ებრაელი მღვდელმთავრებისათვის.

მეორეც, ზ. გამსახურდია თავის წერილში სრულიადაც არ აჩვენებს იმას, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი ე.რენანს ეკუთვნის, იგი წინწკლებშია ჩასმული და სათანადოდ მითითებულიც. უფრო მეტიც, ჩემს მიერ მოხმობილი ციტატა ზ. გამსახურდიას ჩვეული მეთოდით არის დაჩეხილი, გამოტოვებულია მისი პირველი ნაწილი, რომლის გარეშეც სწორი აზრის გამოტანის საშუალება იკარგება. ამიტომ, მე სრულად მოვიტან ჩემს წერილში გამოთქმულ აზრს და ე. რენანის დამადასტურებელ ციტატასაც:

“კითხვაზე, - ვწერდი მე ჩემს წერილში, - თუ რატომ ვერ იცნეს ებრაელებმა იესო ქრისტე, დღეს ბევრი, ძველისაგან განსხვავებული პასუხი არსებობს. მთავარი მათ შორის მაინც ის არის, რომ, თუკი იესო ქრისტეს ჯვარცმა ღვთის სურვილით მოხდა, თუკი ეს აუცილებელი იყო ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვისათვის, მაშინ ყველა მისი მონაწილე პერსონაჟი – იესო ქრისტე, ებრაელები და თვით რომაელი ჯალათებიც ღვთის განგების ბრმა შემსრულებელნი ყოფილან. ასეთ შემთხევაში ქრისტეს დასჯაში ებრაელებს ბრალი არ ედებათ. მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სწორია ის მოსაზრება, რომ ებრაელებს თავიანთი შვილი შემთხვევით არ დაუსჯიათ: ეს არ იყო შეცდომა ან აჩქარებული მოქმედება. სრულიად მართალი იყო რელიგიის ცნობილი მკვლევარი ე.რენანი, როდესაც წერდა:

“...არც ტიბერიუსს და არც პილატეს არ მიუსჯიათ სიკვდილი იესოსათვის, იგი გაწირა ძველმა იუდაურმა პარტიამ, მოსეს კანონმა... ეს სიკვდილი “კანონიერი” იყო იმდენად, რამდენადაც წარმოადგენდა შედეგს მათი კანონების მოქმედებისა, რომელიც ერის სულს გამოხატავდა... მოსეს კანონი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ქრისტე კი სწორედ ამ კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა. იუდეველებმა სამართლიანად და გულახდილად უთხრეს პილატეს ამის შესახებ: ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, რადგან თავის თავს ძე ღვთისა უწოდაო”.

როგორც ვხედავთ, ციტატაში სიკვდილის კანონიერება წინწკლებში არის ჩასმული. ეს იმას მოასწავებს, რომ იესოს სიკვდილის კანონიერება და

სამართლიანობა ებრაელთა გაგებიდან გამომდინარეობს და რენანის აზრს არ წარმოადგენს. მთელი ჩემი წერილიც ხომ ებრაელთა დამოკიდებულების გარკვევას ემსახურება თავისი სხვაგვარად მოაზროვნე შვილისადმი, ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, ეს მათი გაგებაა, მათი ურთიერთობაა და თავისი შვილისადმი და არა ჩემი. ამიტომ უაზრობაა, დიდი უსამართლობაა ამის გამო, მე პირწავარდნილი თალმუდისტობა დამაბრალო...

სულ ეს არის ზ. გამსახურდიას მიერ შენიშნული შეცდომები.

როგორც ვნახეთ, არც ერთი მისი შენიშვნა ოდნავ მაინც არ უახლოვდება ჭეშმარიტებას. მთლიანად ეს წერილი კი დემაგოგიურია და იგი მთლიანად ჯდება ზ. გამსახურდიას მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვების სტილში. დანარჩენი კი არის ლანძღვა, საშინელი ქუჩური ლანძღვა. თავისი "წერილებისა და ესეების" წიგნში 483-499 გვერდებზე გამოქვეყნებულ "რეცენზიასა თუ პასკვილში" იგი საშინლად არის აღშფოთებული, რომ ალ. ჭინჭარაული თავის წერილში მას "ურცხვსა" და "უდიერს" უწოდებს, რაც ყოვლად მიუღებელია ჟურნალში დაბეჭდილი სტატიის ტონისათვისო – დაასკვნის ზ. გამსახურდია. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, თავისი ეს დებულება ავიწყდება და უშვერად ილანძღება. მის წერილში ნიშანწყალსაც ვერ ნახავთ ისეთი ქრისტიანული თვისებებისა, როგორიცაა შემწყნარებლობა, მოყვასის სიყვარული, მიტევება, განსხვავებული აზრის პატივისცემა.

მე სათანადოდ არ ვიცნობ ბატონ ზ. გამსახურდიას მეცნიერულ შრომებს. ამიტომ მათ შესახებ არ შემიძლია რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება, მაგრამ ვაითუ ისინი ისეთივე საბუთიანობით არის დაწერილი, როგორც ჩემს წინააღმდეგ დაწერილი წერილი...

P. S. ეს წერილი მაშინვე დაიწერა, როგორც კი ბატონი ზ. გამსახურდიას წიგნი გამოქვეყნდა (1991 წ.), მაგრამ მისი დაბეჭდვა არც მიცდია იმის შიშით, რომ ოდნავი ჩრდილიც არ მიმეყენებია ეროვნული მოძრაობისათვის. ახლა, როდესაც მთლიანად გამოჩნდა ბატონ ზ. გამსახურდიას ჭეშმარიტი სახე, რომელმაც საქართველო ამდენ უბედურებას გადაჰყარა, ისევ ვიყოყმანე, ღირდა თუ არა დამხობილი პრეზიდენტის წინააღმდეგ რაიმე გამომექვეყნებინა, ხომ არ ჩამითვლიდნენ ამას გალაშქრებად განდევნილი კაცის მიმართ? მაგრამ მისი დაბეჭდვა მაინც გადავწყვიტე, რადგან დარჩა ის პრობლემები, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს და დარჩა ჩემი სრულიად დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება, რომელსაც ასევე პასუხი უნდა გაეცეს. ამიტომ აქ საქმე მარტო ზ. გამსახურდიაში როდი არის.

რასაკვირველია, ჩემი წერილი იმას როდი მოასწავებს, რომ კამათი იესო ქრისტეს შესახებ საბოლოოდ გადაწყდა. ასევე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი დღესავით ნათელი იყოს. მორწმუნეთ თავისი არგუმენტები გააჩნიათ მისი არსებობის დასამტკიცებლად – ათეისტებს კი უარსაყოფად. ეს კამათი მრავალი საუკუნე მიმდინარეობდა და ვფიქრობ, იგი მომავალშიც გაგრძელდება. აქედან გამომდინარე, მე იმის თქმა მინდა, რომ ბატონ ზ. გამსახურდიას მტკიცება უკვე გადაწყვეტილად გამოაცხადოს ეს საკითხები, აშკარად არ შეესატყვისება სინამდვილეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თემებზე მუშაობა მოგვიხდა მეტად რთულ პერიოდში. იმ დროს, როდესაც რელიგიის ყოველგვარი პოზიტიური ხსენება ოფიციოზის მხრივ სასტიკად იყო დაგმობილი. ვითომდა არსებობდა სინდისის თავისუფლება, მაგრამ რელიგიური ლიტერატურა ფაქტიურად იკრძალებოდა. უპირველეს ამოცანად ითვლებოდა ხალხის მასების განთავისუფლება რელიგიური შეხედულებებისაგან და მეცნიერულ-მატერიალისტური შეხედულებების ჩამოყალიბება. ასეთი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ყოფნის დროს ძალზე რთული იყო რაიმე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება შეფარვითაც კი. ასეთ პირობებში იესო ქრისტეს მითიურობის უარყოფა და რეალურ პიროვნებად გამოცხადება ოფიციოზის წინააღმდეგ გალაშქრებას და ერთგვარ გმირობასაც უდრიდა. ჩვენ კი ამის სანაცვლოდ ზ. გამსახურდიასგან ლანძღვა-გინება მივიღეთ.

და კიდევ ერთი: ჩემი წერილი იწყება სახარების სიტყვებით, რომ ჯობია ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე ერი დაიღუპოს ერთი კაცისათვის, მაგრამ მე ის ერთი კაციც, თუნდაც ძალზე ბოროტი, არ მემეტება, რადგან ეს ერთი კაციც ჩვენი ერის ნაწილი გახლავთ. მაგრამ მე ის ხალხიც ძალზე მენანება, რომელიც ასევე ჩვენი ერის ნაწილს წარმოადგენდა და ვინც ზ. გამსახურდიას გამო დაიღუპა... ძალზე ვწუხვარ, რომ საქართველოს ისტორიაში ისევ განმეორდა ის სიტუაცია, რომლის გულისთვისაც თავის დროზე დაიწერა ჩემი წერილი.

გაზეთი “საქართველო”

10.IV.1992 წ.

1 Эрнст Ренан. История первых веков христианства. Апостолы.. 1991 стр. 454

2). 219 С анг. 107 б. (вариант в трактате Сота 47а барайта); іх. А. Б. Ранович. Первоисточники по истории раннего христианства. М., 1990, стр. 210

2iqve. gv. 209.

IV. ჰაერში შუა საუკუნეების მძაფრი სუნი დგას!

ღია წერილი გაზეთ “ჯორჯიან თაიმსის გამომცემელს, ქალბატონ ნანა გაგუას

ქალბატონო ნანა! იძულებული ვარ მოგმართოთ იმ უხამსი და შეურაცხმყოფელი სტატიის გამო, რომელიც თქვენი გაზეთის 1997 წლის 23-ში (16-24

აპრილი) და 24-ში (24-30 აპრილი) გამოაქვეყნა ვინმე მ. გალდავამ სათაურით: “თეიმურაზ ფანჯიკიძე და მისი ფსევდოღვთისმეტყველება”.

განსხვავებული ან დაპირისპირებული აზრი ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის შესახებ როგორ არ შეიძლება ადამიანებს ჰქონდეთ და ისინი სათანადოდაც გამოხატონ, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, ყოველივე ამისათვის არსებობს გარკვეული, ცივილიზებული წესები, კამათის კულტურა, მიმართვის ფორმა, შესაფერისი ტონი და ბოლოს, ელემენტარული ზრდილობა. სამწუხაროდ, აღნიშნულ წერილში, ვერაფერი ამის მსგავსი ვერ აღმოვაჩინეთ. წერილი წარმოადგენს გაღიზიანებული, ბოღმისაგან დაბრმავებული ადამიანის ლანძღვა-გინებას, ფანატიკოსის ბოდვას, რომელიც თითქოსდა მართლმადიდებლობას იცავს, სინამდვილეში კი სახელს უტეხს მას.

ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო მძიმდება იმის გამო, რომ იგი იფრქვევა ადამიანისაგან, რომელიც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს და მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების შესწავლას შესდგომია. სამწუხაროდ, აქ კვალიც არ ჩანს იმ სიყვარულისა, მიმტევებლობისა და შემწყნარებლობისა, რითაც უნდა გამოირჩეოდეს თიოეული ქრისტიანი, არამცთუ მოყვასისა და თანამოაზრის, არამედ თვით მტრის მიმართაც კი.

პრესასთან ჩემი მრავალწლიანი თანამშრომლობის მანძილზე არასოდეს, არავისთვის მიმიმართავს შეურაცხმყოფელი სიტყვით, დამამცირებელი შედარებით ან გამოთქმით, მაგრამ ახლა, თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ასეთი უბოდიშო, უშვერი ლანძღვა-გინების შემდეგ სულაც არ ვთვლი თავს მოვალედ თავი შევიკავო და ამ წერილის დამწერს მისი დონისა და აზროვნების შესატყვისი ეპითეტი “ერთუჯრედიანი” არ ვუწოდო. მართლაც, ასეთი წერილის დაწერა, რომელიც მართლმადიდებლობის მომხრესა და მოწინააღმდეგეს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, მხოლოდ “ერთუჯრედიანს” შეეძლო.

დაინტერესებულ მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნდა ჩემი 4 ნაწილიანი წერილი სათაურით: “იეღოვა, სატანა, არმაგედონი” (1996 წ. 47; 1997 წ. 3, 10, 13), რომლის მიზანი იყო მეჩვენებინა საქართველოში, ბოლო ჟამს ძალზე მოძალებული და მომძლავრებული რელიგიური დენომინაციის “იეღოვას (იეჰოვას) მოწმეების” საქმიანობა; მისი წარმოშობის ისტორია, რუსული და ამერიკული მიმართულებები, მოძღვრება, კულტი და თანამედროვე მდგომარეობა. ამ წერილში, შეძლებისდაგვარად, შევეცადე ობიექტურად ამეწერა ამ დენომინაციის წარმოქმნის ისტორია, გადმომეცა მისი მოძღვრების ძირითადი არსი და სათანადოდ ჩავწვდომოდი ჯერ მსოფლიოში, შემდგომ კი საქართველოში, მისი სწრაფი გავრცელების მიზეზებს. ამასთანავე, ვცადე, ნათლად მეჩვენებინა – თუ რატომ არის მიუღებელი ჩვენი პატარა ქვეყნისათვის ასეთი ტიპის დენომინაციები.

თუ ვინმე ჭკვიანი, დაკვირვებული და გონებადამჯდარი მიუკერძოებლად წაიკითხავდა ამ წერილს, იოლად დარწმუნდებოდა, რომ იგი, ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვასთან ერთად, ქართველთა ტრადიციული რელიგიის – მართლმადიდებლობის წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ამ წერილისათვის,

მადლიერების ნაცვლად, ოპონენტმა ლამის ეშმაკად გამომაცხადა. ისე, რაოდენ ბრიყვი და სულელი უნდა იყო, რომ ბრძოლაში, რომელიც შენი უპირატესობით სულაც არ მიმდინარეობს, დასახმარებლად მოსულ კაცს ხელი ჰკრა, უშვერი სიტყვებით გალანძღო: ზუსტად ისე რატომ არ ირჯები, როგორც ამას მე ვთვლი საჭიროდო და, ამავე დროს, საჯაროდ მოსთქვამდე: საზოგადოება რატომ სდუმს, რატომ არ ეხმარება ჩვენს ეკლესიას შორიდან მოსული რწმენისაგან თავდასაცავადო...

ჩემი პროფესიით მე რელიგიათმცოდნე გახლავართ. ასევე ჰქვია იმ კათედრას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არსად, არცერთ ჩემს წიგნს, ბროშურასა თუ სტატიაში არ დამიწერია, არც ლექციასა და გამოსვლაში მითქვამს ორთოდოქსი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ვარ-მეთქი.

როგორც რელიგიათმცოდნე, ვალდებული ვარ, ნებისმიერი დენომინაცია ობიექტურად განვიხილო და მიკერძოების გარეშე მივუდგე; და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი არღვევს ქვეყნის კონსტიტუციას, ზიანს აყენებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ ინტერესებს ან ადამიანთა ჯანმრთელობას, გამოვიდე მის წინააღმდეგ.

ამიტომ, ჩემს წერილში მიზნად არ დამისახავს, და არც მქონდა ამის უფლება, მემტკიცებინა: “თუ რა ცუდია “იეღოველობა” და “რა კარგია მართლმადიდებლობა”. ვფიქრობ, წერილში ნათლად გამოვკვეთე ჩემი პოზიცია და გასაგებად ვთქვი: რით არის მიუღებელი საქართველოსთვის ეს დენომინაცია. რაც შეეხება იმ განსხვავებებსა და დაპირისპირებებს, რომელიც არსებობს “იეღოველობას” და ორთოდოქსულ რელიგიას შორის, ამის შესახებაც, ჩემი აზრით, გასაგებად დავწერე: მათი დაწვრილებით წარმოჩენა ღვთისმეტყველების საქმეა (თანაც მარტო მართლმადიდებლებს ხომ არა აქვთ პრეტენზიები “იეღოველთა” მიმართ) და რომ ისინი, ამ საქმეს, ჩემზე უკეთესად გაართმევენ თავს-მეთქი, რა არის ამაში ეკლესიის შეურაცხმყოფელი და მიუღებელი?

ანბანური ჭეშმარიტებაა: ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარე, პატივს უნდა ვცემდეთ ადამიანის უფლებებს და როდესაც, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტიც აცხადებს: “ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილიო (იხ. “საქართველოს რესპუბლიკა” 28.V. 97.), ეს ცარიელი სიტყვები არ უნდა იყოს.

ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ რთულ და ფაქიზ სფეროს, როგორიც არის სინდისის თავისუფლება. რელიგური რწმენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ის ადამიანები, რომელთაც სხვა რელიგიური რწმენა აქვთ არჩეული, მართლმადიდებლებივით ღრმად არიან დარწმუნებული თავისი მოძღვრების სისწორეში. თითოეულ მათგანს მტკიცედ სწამს, რომ სწორედ მას (და არა სხვას) აქვს ნაპოვნი ჭეშმარიტება, მხოლოდ მის გზას მივყევართ ხსნამდე და რომ სწორედ ისინი და არა ჩვენი “ერთუჯრედიანი” ცხონდებიან.

იგივე რწმენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი შერიგება რელიგიურ საფუძველზე (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე) არ ხერხდება. მაშ რა ვქნათ, ასე

დავყოთ და დავაქუცმაცოთ ისედაც დაშლილი და დაქუცმაცებული ერი? ასე დავყოთ ქართველობა რელიგიურ მიმდინარეობებად, დენომინაციებად, სექტებად და მათ შორის გავაჩაღოთ ომი? ვისი პოზიციაა ეს, გონიერი მტრის თუ უგუნური მოყვარის?

როგორც ჩანს, "იეღოვას მოწმეების" სწავლების ჩემებური ინტერპრეტაცია, მისი რუსული და ამერიკული მიმდინარეობების დახასიათება, მათი მოძღვრების, კულტის განხილვა და ანალიზი რაიმე პროტესტს არ იწვევს ჩვენს ოპონენტში. მის აღშფოთებას იწვევს მხოლოდ ის რამდენიმე სურვილი, რომელიც მე გამოვთქვი იმ ზოგიერთი (ვიმეორებ ზოგიერთი) ღვთისმსახურის მიმართ, რომლებიც მრევლის მდგომარეობას, მის ამქვეყნიურ გასაჭირს არ ითვალისწინებს. ეს სურვილებიც ნაკარნახევი იყო მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მათ ბოლომდე არ წაეგოთ სხვა დენომინაციებთან მრევლისათვის დაწყებული დიდი ბრძოლა.

და მეორე, რაც მის უკიდურეს წყრომას იწვევს, ესაა თუ რატომ ვამტკიცებ მე, რომ რელიგიურ უმცირესობათა აკრძალვა არ შეიძლება. როგორ თუ არ შეიძლებაო! – გაგულისებით წერს იგი, სწორედაც უნდა ავკრძალოთო! ამასთანავე, ოპონენტი განგებ ამახინჯებს ჩემს სიტყვებს და ამტკიცებს თ. ფანჯიკიძე გვაფრთხილებს - "იეღოველებთან" დაპირსიპირება არ შეიძლებაო. მაგრამ, მე ჩემს წეილში არსად არ მიწერია "იეღოველებს" არ დაუპირისპირდეთ-მეთქი.. განა ჩემი ხსენებული ოთხნაწილიანი წერილი ამ მოძღვრებასთან დაპირისპირება არ არის, ან ჩემი განცხადება: არავითარი არმაგედონი არ იქნებაო, დაპირისპირება არ არის, ან იმის თქმა, რომ "იეღოველთა" არსებობა ჩვენი ქვეყნისათვის არასასურველიაო, დაპირისპირება არ არის, ან ის უზარმაზარი კონფერენცია, გასული წლის მიწურულს რომ ჩატარდა სიღნაღში, სპეციალურად ამ საკითხზე ჩემი ხელმძღვანელობით და რომლის მუშაობაში უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად თორმეტამდე მართლმადიდებელი სასულიერო პირი რომ მონაწილეობდა, მეუფე დანიელისა და მეუფე ნიკოლოზის მეთაურობით, დაპირისპირება არ არის? მაშ რაღას მერჩის პასკვილის ავტორი? ალბათ იმას, რომ იგი დაპირისპირებას და აკრძალვას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს. მათ შორის კი დიდი ზღვარია.

დაპირისპირებით მართლაც უნდა დაუპირისპირდე ამ უცხო, სხვა საფუძველზე აღმოცენებულ დენომინაციას, მაგრამ უნდა დაუპირისპირდე არამარტო დოგმატების სწორი გაგებით, არამედ შენი ზნეობით, კაცთმოყვარეობით, ცხოვრების წესით, სათნოებით და არა სიძულვილით და სიხარბით.

ღვთის ზოგიერთი მსახურის ვერცხლისმოყვარეობას რომ წააწყდა, პოპულარული გაზეთის - "ასავალ-დასავალის" რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა 1997 წლის 16 მაისს უკან წამოიყვანა სვეტიცხოველის ტაძარში მოსანათლად მიყვანილი შვილი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, თავის გაზეთში (იხ. "ასავალ-დასავალი" 21, 1997 წ. 20-26 მაისი) გამოაქვეყნა სტატია სათაურით: "რატომ არ მოვნათლე შვილი სვეტიცხოველში", რომლის შესავალშიც ასეთი სიტყვები ეწერა: "...როცა "ასავალ-დასავალის" ეს ნომერი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, უფლისავე კარნახით განვმარტოვდი, რათა სამზეოზე გამომეტანა ეს სატანური ცოდვა, საქართველოს დედა ეკლესიას სიბინძურის მორევში რომ მიაქანებს, ცოდვა, რომელმაც ღვთის სახლი ლამის ავაზაკთა გამოქვაბულად აქციოს...". ეს ხომ თავის მოჭრა და დიდი სირცხვილია.

მეც მსგავს ფაქტებზე გავამახვილე ყურადღება და მოკრძალებულად გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომ ის, ვინც ღმერთს ემსახურება და რიგით მორწმუნეებს მაგალითს უჩვენებს, პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს შინაგანად მოწესრიგებული და ზნეობის დამცველი. განა თითოეულმა ჩვენთაგანმა არ იცის უზნეობის ასეთი გამოვლინების უამრავი ფაქტი?

ზოგიერთს ჰგონია, რომ აჯობებს ერთხელ და სამუდამოდ კანონით დავადგინოთ, რომ ისინი, ე.ი. არამართლმადიდებლები, მწვალებლები არიან. ასეთ შემთხვევაში, ხომ აღარ იქნება საჭირო რაიმეს მტკიცება, მაგალითის ჩვენება, შრომა და გარჯა. “თუ მწვალებელნი არ დაგვემორჩილებიან, - მსჯელობენ ისინი, - იმოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი რწმენისგან განდგომილთ დავსჯითო”. სამწუხაროდ, ასეთია ბევრის და მათ შორის ჩვენი მოწინაამდეგის ლოგიკაც. აქედან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რატომ იკლავენ მავანნი თავს: “მართლმადიდებლობა ჩვენში სახელმწიფო რელიგია უნდა გახდესო”.

ამ ზომაზე მეტად ორთოდოქს მართლმადიდებლებს უნდა გავახსენო მოსკოვის კოზმან და დამიანეს ტაძრის მღვდელმსახურის, მღვდელ გიორგი (ჩისტიაკოვის) სიტყვები: “როცა ჩვენ ვამბობთ – მართლმადიდებლობა წმინდა მამათა გადმოცემების ერთადერთი ერთგული აღმსარებლობაა და ერთადერთი სწორი წესი სარწმუნოებისა, მაშინ ჩვენ ტყვეები ვხდებით, ოღონდ ვაი, რომ წმინდა მამებისა კი არა, არამედ სუსლოვისა, ჟდანოვისა, ანდროპოვისა და სხვა პარტიული იდეოლოგებისა, იმათი, ვინც მარქსიზმს ნერგავდა და დაჟინებით ამტკიცებდა – ეს ერთადერთი სწორი და ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობაო. მონოპოლია ჭეშმარიტებაზე საერთოდაც მეტისმეტად სახიფათოა... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იგი უბრალოდ და უმალვე ჰკლავს ჭეშმარიტებას, რამეთუ ჭეშმარიტება მხოლოდ თავისუფალი შეიძლება იყოს” (იხ. გაზ. “ივერიის გაბრწინება”, 16, 1997 წ.).

მართალია, ამ სიტყვებს მღვდელ გიორგი ჩისტიაკოვს მკრეხელობაში უთვლიან ზომაზე მეტად ორთოდოქსი მამები, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მის სიტყვებს ჩავფიქრებოდით.

მე კიდევ იმას ვუბრუნდები, რომ დაპირისპირება სხვაა და აკრძალვა სხვა. რასაკვირველია, შეიძლება რაიმე აკრძალო, მაგრამ როდესაც რაიმეს აკრძალავ, სასურველ შედეგს ხომ უნდა მიაღწიო? ხომ უნდა იცოდე, რა მოჰყვება ამას? როდესაც გადახტები, ხომ უნდა იცოდე, სად დახტები? თუ რა მოჰყვება ამ აკრძალვას, მე ჩემს წერილში უკვე ვთქვი. ჩემი თანადგომა მართლმადიდებელი ეკლესიისადმი იმით გამოვხატე, რომ გულწრფელად ვურჩიე არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც მას (და არა მარტო მას) ზიანს მოუტანს და ამას გირჩევთ ადამიანი, რომელსაც მრავალი წელი მოუნდომებია რელიგიურ უმცირესობათა შესწავლისათვის, თვალყური უდევნებია მათი ჩასახვისა და განვითარებისათვის, იცის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ თქვენ მის რჩევას ანგარიშს გაუწევთ და გაითვალისწინებთ, კარგი იქნება, თუ არა, თქვენ იცით! ჯერჯერობით, ლანძღვა-გინების იმ გზას, ჩვენი სასულიერო პირთა უმრავლესობა რომ მიმართავს რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, წარმატება არ მოუტანია და საეჭვოა, მომავალშიც მოიტანოს.

ისე, როდესაც ამ საკითხებზე ვმსჯელობთ და ჩვენში სხვადასხვა ჯურის სექტების გავრცელებასა და აღმავლობაზე ვლაპარაკობთ, ერთხელ ხომ მაინც სერიოზულად უნდა დავსვათ კითხვა – საერთოდ რა არის სექტანტობა, საიდან მოდის, სად მიდის, რატომ გავრცელდა იგი ჩვენში, რატომაა იგი პოპულარული დღევანდელ პირობებში. ცხადია, ჩვენ აქ სექტანტობის საფუძვლიანი გარჩევის საშუალება არა გვაქვს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნოთ: სექტანტობის წარმოშობის მიზეზები უმრავლეს შემთხვევაში სოციალურია. ისინი, უმეტესად, გამოხატავდნენ პროტესტს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. თუკი გაბატონებული რელიგიები, ტრადიციულად, არსებულ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს, სექტანტური მოძღვრებები ოპოზიციური ძალების იდეოლოგიას წარმოადგენდა და რწმენის სხვა ფორმებს გვთავაზობდა. სხვა მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, ამის საილუსტრაციოდ, რუსეთში, მეთვრამეტე საუკუნეში, დუხაბორებისა და მალაკნების სექტების წარმოშობა გამოგვადგება.

მართალია, ის სექტები, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ და გავრცელდნენ, არცერთი არ არის ადგილობრივ ნიადაგზე წარმომდგარი, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ მათ საქართველოში ნოყიერი სოციალური ნიადაგი დახვდათ. ჩვენში, ბოლო ხანებში მომხდარი ამბების და უკიდურესი გაჭირვების გამო, ამ გზით, ზოგჯერ მისდაუნებურად, თავისი სოციალური პროტესტი ბევრმა მოქალაქემ გამოხატა. ჩვენს ოპონენტს განსაკუთრებით ის აღიზიანებს, რომ მე თითქოს არ ვკმაყოფილდები "იეღოველთა" სექტის ისტორიის მიმოხილვით და "ქართველი ერის მოძღვრისა და ჭირისუფლის პოზა მაქვს მიღებული..."

განა რა დიდი ერის მოძღვრობა და ჭირისუფლობა უნდა იმას, რომ გული შეგტკიოდეს მძიმე დღეში ჩავარდნილ, გამათხოვრებულ საკუთარ ხალხზე. განა თითოეულ ჩვენთაგანს, ყოველდღე, გულს არ გვიკლავს ყოველ კუთხეში ხელგაწვდილი ადამიანების ხილვა, უპატრონო, მიუსაფარი ქალებისა და მამაკაცების ნახვა, უმწეო და უნუგეშო მოხუცებთან შეხვედრა. გულს არ გვიკლავს, რომ საქართველოში ათასობით უპატრონო ბავშვია და იმისათვის, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ, იძულებულნი არიან ან იქურდონ, ან პროსტიტუციას მიმართონ. განა ღმერთი გვაპატიებს უსახსრობის გამო ბავშვების სხვა ქვეყნებში გაშვილებას? განა ენა იტყვის იმ უბედურებებს, რაც ჩვენ გვჭირს...? ან ვინც ხელგაწვდილი არა დგას, განა ის უკეთეს დღეშია? ყველას ხომ არ შეუძლია ხელის გაწვდა? ასე მოუვლელი, ნახევრადმშიერი, მკურნალობის საშუალებას მოკლებული, ყოველმხრივ შეჭირვებული ადამიანები უხმოდ იხოცებიან, ზოგი ბუნებრივ სიკვდილსაც აღარ ელოდება და თვითონ ისწრაფებს სიცოცხლეს... ახალგაზრდებს ოჯახის შექმნა აღარ უნდათ, ერი აღარ მრავლდება... კიდევ რამდენი საშინელების ჩამოთვლა შეიძლება.

როცა ყოველივე ამას ვწერ, ვინმეს კი არ "ვმოძღვრავ", არამედ ჩვენი ხალხის სხვადასხვა სექტისაკენ სწრაფვის მიზეზებს ვეძებ და თუკი მართლა გვინდა, რომ ამ საკითხში სიმართლეს ჩაწვდეთ, ასეთი ფაქტების უგულვებელყოფა არ შეიძლება!

და როდესაც, ასეთ გაჭირვებაში ვინმე ხელს გამოგიწოდებს, სურსათს მოგაწვდის, წამალს მოგაშველებს, შენს მშიერ ბავშვებს დააპურებს, ქალებს ანუგეშებს, მოხუცს დაუყვავებს, ელემენტარული მადლიერების გრძნობის გამო მის მიმართ კატეგორიული ვერ იქნები.

სწორედ ამაში მდებს ბრალს ოპონენტი: “დაშინებულია თ.ფანჯიკიძე, ვაითუ მსოფლიომ ზურგი შეგვაქციოსო მართლმადიდებლობისათვის, პურს არ მოგვცემენ, წყალს არ მოგვაწვდიან, ვაი და ვუიო...”

უსინდისოდ ტყუის და არც წითლდება ეს დემაგოგი. სინამდვილეში მართლმადიდებლობისათვის კი არ შეგვაქცევს ზურგს მსოფლიო, არამედ სხვათა უფლებების დარღვევისა და შევიწროებისათვის, იმისათვის, რომ ის და მისი მსგავსნი სხვათა რწმენას აბუჩად იგდებენ და დასცინიან, იმისათვის, რომ სხვა მიმდინარეობის მორწმუნეებს ნახირს უწოდებენ. ჰო, არ შემშლია, სწორედ ნახირს უწოდებენ.

აი ამისათვის, მართლა შეუძლიათ ზურგი შემოგვაქციონ. არადა, ეს დახმარება ჩვენი გაჭირვებული ხალხისათვის ცოტა როდია.

მაგალითისათვის, თბილისის ისნის რაიონის გამგებლის თ.ჩიქოვანის განცხადებით, მარტო მის რაიონში “ხსნის არმიის” დახმარებას 2600 ადამიანი ღებულობს. ეხმარებიან მოხუცებს, ავადმყოფებს, ინვალიდებს, უმწეო და შეჭირვებულ ოჯახებს (იხ. “ლიტერატურული საქართველო”, 28. III – 4. IV. 1997 წ.). ეს მხოლოდ ერთი რელიგიური ორგანიზაციის ქალაქის ერთი რაიონისადმი გაწეული დახმარებაა. ასეთი ორგანიზაციები ხომ მრავლად მოქმედებენ საქართველოში და რაიონებიც ხომ ბევრია საქართველოში.

ასეთი დახმარება ბევრ გაჭირვებულ ადამიანს, მათ შორის ლტოლვილს, სულის მოთქმის საშუალებას აძლევს. რასაკვირველია, გაცილებით აჯობებდა და უფრო ზნეობრივიც იქნებოდა, რომ დახმარების სანაცვლოდ ჩვენთვის ვინმეს უცხო რწმენა არ შემოეთავაზებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში უანგაროდ არავინ ირჯება. ამიტომ, საკუთარი რწმენის დასაცავად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ვიღვაწოთ. ოღონდ ესაა, რომ ამის გაკეთება მხოლოდ სხვისადმი სიძულვილის გამოხატვით და ლანძღვა-გინებით არ მოხერხდება.

ზოგს ასეც შეუძლია თქვას: “ახლა ქვეყანას უჭირს, ხალხმაც ხომ უნდა გაითვალისწინოს ეს გასაჭირი და გაგებით შეხვდესო მას”. მართალია, ქვეყანას მართლაც საოცრად უჭირს. ეს წლები უაღრესად მძიმე აღმოჩნდა ხალხისათვის. მაგრამ ყველასათვის არა...

ერთხელ უკვე ვწერდი ამის შესახებ: “ხანდახან ვფიქრობ, ჩვენ ხომ არ ვგავართ იმ უმადურ ებრაელებს, რომლებიც მოსემ და აარონმა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოიყვანა, გზაზე კი ისინი აუჯანყდნენ თავის წინამძღოლებს: “რატომ წამოგვიყვანე და გვაშიმშილებ ამ სახიფათო გზაზეო”. უკან დაბრუნება მოსთხოვეს. უთხრეს: “სჯობია უკან დავბრუნდეთ ეგვიპტეში, სადაც მართალია გვჩაგრავდნენ, მაგრამ, საჭმელ-სასმელი უხვად გვქონდაო”. დიახ, ჩნდება ასეთი ასოციაცია დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოში. მაგრამ, ერთი არსებითი განსხვავებით, იქ, უდაბნოში, ყველას ერთნაირად უჭირდა – წინამძღოლსაც და უბრალო ებრაელსაც... საქართველოში კი ერთნი რომ შიმშილობენ და იტანჯებიან, სხვები მათ ხარჯზე სუქდებიან და მდიდრდებიან. აი, ეს უსამართლობა არის ყველაზე მძიმე ასატანი. ამიტომაც გადაჭრით უნდა ვთქვათ: არ შეიძლება ხალხს ასე

უჭირდეს და მას დალხინებული მთავრობა ჰყავდეს, არ შეიძლება ქვეყანა შიმშილობდეს და მას მაძღარი პარლამენტი ჰყავდეს, არ შეიძლება მრევლი უკიდურეს გაჭირვებაში იყოს და მას შეძლებული სამღვდელოება ჰყავდეს. ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება...

რასაკვირველია, ყველა, ვინც ასეთ უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, "იეღოველებთან" არ გარბის. ბევრი ითმენს გაჭირვებას და თავის ტრადიციულ რწმენას არ ღალატობს. მაგრამ მორწმუნეების ნაწილი ბაპტისტებს, ორმოცდაათიანელებს, ხსნის არმიას, ადვენტისტებს, ახალსამოციქულო ეკლესიას და სხვა დენომინაციებს უერთდება. აი, რამოდენა წერილი დაწერა ოპონენტმა და მაინც ვერ თქვა და ვერ ახსნა: თუ რატომ სტოვებს ეს ხალხი საუკუნეთა მანძილზე ნალოლიავებ მართლმადიდებლობას.

ჩვენი კრიტიკოსი რომ უბრალო კრიტიკოსი კი არ არის, არამედ ბოროტი და ბინძური ხმების დამყრელი ადამიანია, იმაშიც ჩანს, რომ მე მაბრალებს, თითქოს ეჭვი შემქონდეს, სათუოდ ვხდიდე, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაინტერესებას ამ საკითხით და მის მიერ ერის ტკივილების გაზიარებას. მკითხველისათვის რომ ნათელი იყოს, თუ რაზეა ლაპარაკი, მოვიტან ციტატას ჩემი წერილიდან: "ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ასეთი, ეროვნულ პოზიციას მოკლებული, ზენაციონალური რელიგიური მიმდინარეობები (მხედველობაში მაქვს "იეღოველები") მეტნაკლებად მოსათმენია დიდ, მოწესრიგებულ ქვეყნებში, მაგრამ, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და თავისი დამოუკიდებლობა ჯერაც ვერ განუმტკიცებია, დამღუპველია. სწორედ ამიტომ, საქართველოში ახლა ბევრს აწუხებს იეღოველთა მოძრაობის ასეთი გაქანება და მასშტაბები. შეშფოთებულია მართლმადიდებელი სამღვდელოება, თავისი გულისტკივილი ვერ დამალა თვით კათოლიკოს-პატრიარქმაც, რომელიც ამ მოვლენაში მართლმადიდებელთა რადიციული მრევლის ხელყოფას ხედავს".

V. ცნობისმოყვარეობა მკლავს, როგორ აღმოაჩინა უზენაესმა აკაკი ჯორჯაძე

კაცი რომ გეტყვის, ქრისტეს მეორედ მოსვლა უკვე მოხდა და ამის შესახებ არავინ, არც ეკლესიამ და არც სხვა ვინმემ არაფერი იცისო, ცხადია, შეცბუნდები. და თუ ისევ, დაბეჯითებით გაგიმეორა ეს ამბავი, გონება გიკარნახებს, რომ აქ ყველაფერი მთლად რიგზე არ არის. ამიტომ სჯობია ქუდი დაიხურო და იქაურობას სწრაფად გასცილდე.

თავის დაღწევის ეს ბუნებრივი ინსტინქტი ხშირად მიჩნდება ხოლმე, როცა ჩემი პროფესიის გამო ხშირად მიწევს შეხვედრა ადამიანებთან, რომლებიც თავის თავს წინასწარმეტყველებად, ჰუმანოიდებად, ნათელმხილველებად და ღმერთთან სხვა დაახლოებულ პირებად აცხადებენ. ბოლო ჟამს, ჩვენს მეტად რთულ, ძნელ და არეულ დროში, საოცრად მომრავლდნენ ასეთი ადამიანები. ახლა ძალიან იოლად შეხვდები ადამიანს, რომელიც უბრალოდ, სასხვათაშორისოდ გეტყვის: სულ ცოტახნის წინ

უფალთან მქონდა კავშირიო, ან რაიმე მიმართვას გადმოგცემს – უფალთან კონტაქტისას ჩავიწერეო.

მარტო უკანასკნელ ხანს, ჩვენი პრესის ფურცლებზე ბევრ ასეთ ადამიანს წავაწყდი. ზუსტად ასე უწერიათ: “უფალთან კონტაქტისას ჩაიწერაო” – ისე უბრალოდ, თითქოს ეს ამბები ფაქსით ან ტელეფონით – მაგთით თუ ჯეოსელით მიეღოთ...

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრაზე კვირა არ გავა, რომ რამდენიმე ასეთი ადამიანი არ გამოგვეცხადოს. განსაკუთრებით ხშირად დადის (არცერთ ფილოსოფიურ კონფერენციას, იუბილეს თუ სტუდენტთა შეკრებას არ აცდენს) ერთი მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. მისი თქმით მოაზროვნე და პოეტი, საკმაოდ ზრდილობიანი, დახვეწილი მანერებით, რომლის ტიტულატურაც (მისივე მტკიცებით) ასე ჟღერს: იესო ქრისტეს უმცროსი ძმა, მამა ღმერთის მიერ ამქვეყნად გამოგზავნილი წარმომადგენელი, კაცობრიობის მხსნელი, ღმერთკაცი, უსაზღვროდ განვითარებული პიროვნება, არა ადამიანი, არამედ ადამმსგავსი ჰუმანოიდი (რომლის თავის ტვინის უჯრედები, როგორც ჰუმანოიდისა, მუშაობს 97 პროცენტით, იმ დროს, როდესაც კაცობრიობის აზროვნების ჭერია 2,7 პროცენტი და უსაზღვრო საუკუნეებით უსწრებს კაცობრიობას).

მისივე განცხადებით: “1994 წლის 25 მაისს, დღისით, მზისით, 12 საათზე, მთელ დედამიწაზე მამაღმერთს უნდა გამოეწვია უსაშინელესი მიწისძვრები, ვულკანების სასტიკი ამოფრქვევა, მსოფლიო წყლებისა და ჰავის გაცხელება. ვინაიდან მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით საქართველოში, არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც მძულდეს, მამაღმერთს, რომელსაც თავისუფლად ვხედავ ზეცაში, შეევედრე, შეეჩერებინა მეორედ მოსვლა, არმაგედონი. მან, როგორც ჭეშმარიტი, ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანი კაცი, იმავე წლის 13 ივნისს, ჩემივე სხეულით მომიხმო თავის ჭეშმარიტ დედამიწაზე, რომელიც ათიათასჯერ მეტია მთელ სამყაროზე და მდებარეობს ვარსკვლავთა მიღმა. მომცა შემდეგი დავალება: “2,5 თვეში კაცობრიობას ავუმაღლო გონი, სული და მივუახლოვო მის გონს, სულს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (98,2%) დაიღუპება სამუდამოდ!..

ყოველივე ამაში არ მეთანხმება დედამიწის მოსახლეობის 98,2%. ესენი ადამიანებია, ადამ და ევას, თიხის კაცისა და ქალის შთამომავალნი, 1,8% კი ჰუმანოიდებია, სხვადასხვა გალაკტიკებიდან, უმაღლესი ცივილიზაციებიდან მოსული ადამმსგავსნი... ესენი თავისუფლად მიგებენ...

...არ გეგონოთ განდიდების მანიით შეპყრობილი პარანოიკი, ჩემში უსასრულოდ უსაზღვრო დიდი უბრალოებაა. მე მამაღმერთის უტყუარი საბუთები გამაჩნია, ისეთი, რომლის უარყოფაც ყოვლად შეუძლებელია, მას არ გაუვა წყალი, გამოხდილიც კი... ჩემი იდეები ასტრონომიული სიზუსტით ემთხვევა მათ, ღმერთების და ანგელოსების იდეებს... მავანი და მავანი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გარდა პარანოიისა, მაბრალებს დემაგოგიას, იგი ხომ აშკარა ტყუილზე აგებულია... ეს ხალხი ავანტიურისტულ გზას ადგას, რის გამოც მათ ელოდებათ ძალიან ღრმა უფსკრული, ე. წ. “კურორტი” - ჯოჯოხეთი. ზევიდან ჩამოსვლის წინ

მამაღმერთმა მითხრა, გამიმეორა ჩემი აზრები: “დედამიწაზე ჩასვლისას გადაეცი ყველა ერს, ეროვნებას, რასას, თეისტებსა და ათეისტებს:

“ვისაც არ უნდა ვახო ჭკვიანი,

იმას ტვინი აქვს ნაღდად ჭიანი.

თუკი ვინმეს სძულს ვახუნი,

თავზე ექნება კაკუნი.

თუ არ ეყოფა კაკუნი,

მერე ექნება ბრახუნი”...

უსასრულოდ, უსაზღვროდ მართლმადიდებლური ქრისტიანული პატივისცემითა და ყარაჩოხული სიყვარულით

ვ. კ.”

ეს ვრცელი ამონაწერი ჩვენი ჰუმანოიდის ნაწერებიდან იმიტომ მოვიტანე, რომ მკითხველი მიხვდეს, რა დღეშიც ვართ. ამას წინათ, ჩვენთან მორიგი სტუმრობისას, ვ.კ.-ვამ თავი ნაღვლიანად გააქნია და შემომჩივლა:

“უნივერსიტეტში გამართულ ზ. გამსახურდიას 60 წლის იუბილეზე დარბაზში არ შემიშვესო. მითხრეს: “კანონიერ ხელისუფლებას არ უნდა, რომ შენ ამ დარბაზში იყო”. გული მეტკინა, აბა ის ვის რას უშავებს, იესო ქრისტეს უმცროსი ძმა რომ არის, იმიტომ ჩაგრავენ?!

ცხადია, იოლი არ არის ასეთ ხალხთან ურთიერთობა, რადგან მათ ყოველთვის განსაკუთრებული თანაგრძნობით და ყურადღებით უნდა მოუსმინო, მოეფერო, თანაც სულ თავი უნდა უქნიო. ამ გაუსაძლის ცხოვრებაში კი ყოველთვის ამის ნერვები, დრო და საშუალება არ არის. ამიტომ არავინ უნდა დაგვძრახოს, თუ ზოგჯერ ასეთ კონტაქტს თავს ვარიდებთ...

მაგრამ მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობის “ახალი სიტყვის” წარმომადგენლები მოვიდნენ, გაქცევა და თავის არიდება აღარ მიცდია; რადგან, ჯერ ერთი, მათთან შეხვედრის თხოვნა თვითონ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობიდან მოდიოდა. და მეორეც, თუ ბოლომდე მართალი ვიქნები, ეს შეხვედრა მეც მაინტერესებდა, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება სხვა ქვეყნებში, სხვა გარემოცვაში, სხვა საფუძველზე წარმოქმნილ და მერე საქართველოში შემოსულ რელიგიურ დენომინაციებს, სექტებს თუ მოძრაობებს ვსწავლობდი, მათ შესახებ ვწერდი და

ცხადია, მათი შემქმნელებისა და სულისჩამდგმელების ბიოგრაფიებსაც ვაშუქებდი. ახლა კი, პირველად ჩემს ცხოვრებაში, საქმე მქონდა სუფთა ქართულ მოვლენასთან, ქართულ გარემოში და პირობებში აღმოცენებულ მოძრაობასთან, ქართველ წინასწარმეტყველთან (მათი სიტყვებით - "სასძლო კაცთან"), რომელსაც, სხვებისაგან განსხვავებით (თუნდაც მოსესა და მუჰამედის მსგავსად), მთაზე კი არ უხდება ასვლა ღმერთთან კონტაქტისათვის, არამედ ხილვებს თუ გამოცხადებებს პირდაპირ ოჯახში, სახლიდან გაუსვლელად ღებულობს.

ასეთი უნიკალური რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის ხელიდან გაშვება არასგზით არ შეიძლებოდა. ამიტომ მისი აღნუსხვა, აღწერა და საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკურ რუქაზე დაფიქსირება საჭიროდ ჩავთვალე.

მკითხველს გავახსენებ, რომ მე ამ საკითხებს დიდი ხანია ვსწავლობ, ფილოსოფიურ კრებულებში, სხვა სამეცნიერო შრომებში, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, უკვე გამოვაქვეყნე წერილები საქართველოში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა შესახებ, მათ შორის: კრიშნაიტებზე, იეღოველებზე, ახალსამოციქულო ეკლესიაზე, ბაპტიზმზე, ისლამზე და ა.შ.

რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა "ახალი სიტყვა" რუბრიკის – "რელიგია და საზოგადოება" , რომელიც მე მიმყავს გაზეთ "ახალ საქართველოში", მორიგი, რიგითი თემა იყო ჩვენში გავრცელებულ რელიგიურ უმცირესობათა (ან რელიგიურ საბურველში გახვეულ პოლიტიკურ მოძრაობათა) დასაფიქსირებლად.

მართალია, ბატონი აკაკი კატეგორიულად ამტკიცებს: "ამ მოძრაობას არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიასთანო", მაგრამ ვერც იმას უარყოფს, რომ ამ მოძრაობის შექმნის საფუძველი სწორედ მის მიერ ქრისტეს მეორედ მოსვლის გამოცხადება არის (იხ. გაზ. "მეტი სინათლე" N 40). ხოლო ის ფაქტი (მისივე განცხადებით), რომ იგი ღვთის ნებით და განგებით მოქმედებს, რომ იგი არის ღვთის სიტყვის გადმომცემი, მისი მოსაზრების საწინაამდეგოდ მეტყველებს...

ჩემს ინტერესს ამ მოძრაობისადმი აძლიერებდა ის დიდი რეკლამაც, რომელსაც ბატონი აკაკი (უნდა ითქვას მეტად "თავმდაბლურად"), უკეთებს თავის ორგანიზაციას და აცხადებს: "ლაპარაკი გვაქვს მოვლენაზე, რომელიც უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე ჯერ არ მომხდარა!..

საქმე გვაქვს ორგანიზაცია – "ღვთაებრივ მოძრაობასთან", რომლის მსგავსი 2000 წლის მანძილზე ჯერ არსად შექმნილაო".

მოდი და, ყოველივე ამის შემდეგ, ასეთ მოძრაობას გვერდი აუარე და ნუ აღნუსხავ. მეტი რაღა დამრჩენოდა, გავეცანი და დავწერე კიდეც ამის შესახებ.

ამ მოძრაობის ერთ-ერთი წევრი შემდეგ მსაყვედურობდა: გაცნობის შემდეგ ასე სწრაფად რატომ დაწერე და გამოაქვეყნე ეს წერილიო, ვუპასუხე: იმისათვის, რომ ეს ამბები რუბრიკის მკითხველებისათვის ოპერატიულად მიმეწოდებინა-მეთქი. აკი თვითონაც ძალზე საშურად თვლიან ამ საქმეს...

წერილი კი დავწერე, ჩემი აზრიც გამოვთქვი, მაგრამ, ღმერთმანი, ცუდი არავისთვის არაფერი მიკადრებია, საგინებელი არაფერი წამომცდენია, არავიზე ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ მითქვამს, მით უმეტეს, პიროვნულ ლანძღვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გაზეთის თითქმის ერთი გვერდი ამ მოძრაობის მიზნებს, ამოცანებს, მოძღვრების პოზიტიურ დალაგება-გადმოცემას დავუთმე. ამასთანავე, ვეცადე, ყოველივე ეს მოძრაობის დამაარსებლის ან მისი მიმდევრების სიტყვებით გადმომეცა... ობიექტურობის დასაცავად მეტი რაღა უნდა მექნა...

შემდეგ, სიტყვა მეორე მხარეს, ბატონ აკაკი ჯორჯაძის და მისი მიმდევრების მიერ გადაბერებულად, ჩამოსაწერად გამოცხადებულ, ჩაწიხლულ და გალანძღულ ეკლესიას მივეცი.

რადგან, თუ ჯორჯაძის და მისი მიმდევრების მტკიცება ჭეშმარიტია, მაშინ რა აზრი უნდა ჰქონდეს იმ ეკლესიის არსებობას, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე ქრისტეს მეორედ მოვლენაც კი ვერ გაუგია? ან რა ფუნქცია და რა მოვალეობა უნდა ეკისროს მის სასულიერო პირებს?

ამიტომ, ყოველივე ამის გასარკვევად, საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება მოვიტანე, ობიექტურობისა და ჭეშმარიტების დასადგენად უკეთესად როგორ უნდა მოვქცეულიყავი? განა რა არის ამაში საწყენი და გულდასაწყვეტი? და თუ პრესცენტრის ტონი მკაცრი იყო ჯორჯაძის "წინასწარმეტყველური შემოქმედებისადმი" ეს ჩემი ბრალი სულაც არ არის, რადგან, ბატონმა აკაკიმ პირველმა აღმართა ხელი ოფიციალური ეკლესიის, მისი ავტორიტეტის წინააღმდეგ. განა მან და მისმა მიმდევრებმა არ მიმართეს საზოგადოებას მოწოდებით – აეძულებინათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ნებით გადამდგარიყო, ხოლო რიგით ღვთის მსახურებს "წვეროსანი ლიფსიტები" არ უწოდა? განა გაზეთ "მეტ სინათლეში" არ გამოქვეყნდა ვითომცდა სულით მიღებული ლექსები, რომლებიც უნიჭო, სოფლურ შაირებს უფრო ჰგავს და მასში კათალოკოს-პატრიარქი არის გალანძღული? განა მათ არ შეადარეს კაიაფას მთლიანად ჩვენი სამღვდელოება, რომელიც ხალხს სინამდვილეს უმალავს?..

ყოველივე ამის შემდეგ, ბატონი აკაკი ჯორჯაძე და მისი მომხრეები რაღას ელიან ეკლესიისაგან, იმას, რომ მათ აბსურდულ იდეებს სასულიერო პირები აიტაცებენ, გადადგებიან თავისი თანამდებობებიდან და "ახალ სიტყვას" გაჰყვებიან? ნუთუ სერიოზულად სჯერათ ასეთი შესაძლებლობის?..

ისე, ხომ უნდა გვახსოვდეს ძველი შეგონება: "როცა სხვის თავმოყვარეობას ურეთი სცემ, მის ნემსით ჩხვლეტაზე ყვირილი აღარ უნდა მორთო", ან კიდევ, სახარებას თუ დავესესხებით: "როცა სხვის თვალში ბეწვს ვხედავთ, საკუთარ თვალში დირე მაინც ხომ უნდა შევამჩნიოთ"...

თუმცა, ყველაფერი ეს, პირადად მე, ნაკლებად მეხება. ეს უშუალოდ ბატონ აკაკი ჯორჯაძის და მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ურთიერთდამოკიდებულების საქმეა. მე, მხოლოდ ობიექტური სიტუაცია დავაფიქსირე, რადგან, კიდევ ვიმეორებ, როცა რაიმე მოვლენაზე წერ, ყველა მასალა

უნდა მოიძიო და ყველა მხარეს უნდა მოუსმინო. ეს ნებისმიერი კეთილსინდისიერი ისტორიკოსისათვის ელემენტარული ჭეშმარიტებაა...

მაშინ მაინც, რამ გააგულისა და გაანაწყენა ბატონი აკაკი და მისი მიმდევრები? ნუთუ უნივერსიტეტში გამართულმა შეხვედრამ, რომელშიაც რელიგიურ-სახელმწიფოებრივი მოძრაობა "ახალი სიტყვის" წარმომადგენლები თეოლოგიის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შეხვდნენ? ან იმან ხომ არა, რასაც მე ამ შეხვედრის შესახებ ჩემს წერილში ვწერდი? შესაძლებელია, მაგრამ ღმერთმანი, ეს შეხვედრა ჩემს მიერ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალიან შერბილებულ ტონებში იყო აღწერილი. სინამდვილეში ვითარება გაცილებით უფრო მძიმე იყო: ტრადიციულ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველურ ტრადიციებზე და ღირებულებებზე აღზრდილი სტუდენტებისათვის (თეოლოგიის სპეციალობის ლექტორთა ერთ ნაწილს მართლმადიდებელი სასულიერო პირები შეადგენენ) ძალიან მძიმე მოსასმენი და დასაჯერებელი შეიქმნა ის დებულებები, რომელთაც ამ მოძრაობის მქადაგებელნი გვთავაზობდნენ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მღვდელი (რომელიც ამავე სპეციალობაზე კითხულობს ლექციებს) ჩვენთან დატოვებული გაზეთებით უკვე იცნობდა "ახალი სიტყვის" დებულებებს, მათ მიერ ეკლესიის "ჩამოწერილად" გამოცხადებას და სასულიერო პირების ლანძღვა-გინებას გულგრილად ვერ შეხვდა, თავისი ემოციები აშკარად ვერ მოთოკა და მომხსენებლებს თავისი მოსაზრებების უფრო ნათლად გამოხატვა და არგუმენტირება მოსთხოვა.

ამ დროისათვის, უკმაყოფილო აუდიტორია უკვე აშკარად ხმაურობდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მორწმუნეს, რომელსაც თავისი ეკლესია სწამს, უყვარს და აფასებს, როცა სულიერ მამებს გაუბაიბურებ და გადასაყენებლად გამოაცხადებ, ასეთი აუდიტორიისაგან დიდ კეთილგანწყობას, ბუნებრივია, არ უნდა ელოდო და რატომ უკვირს ბატონ აკაკი ჯორჯაძეს, რომ მისი მომხრეების, დამსწრეთა აზრით, მკრეხელურ და აბდაუბდა აზრებს, რასაც მათი მოხსენებები ერქვა, აღტაცებით არავინ შეხვდა?

ამ ამბების აღწერის შემდეგ, წერილის ბოლო ნაწილში, ორიოდე სიტყვით ჩემი ეჭვი და მოსაზრება მქონდა გამოთქმული (ნუთუ ამის უფლება არ მქონდა) ზოგადად საკითხის არსის შესახებ, სადაც ვამბობდი, რომ, რასაკვირველია, შესანიშნავია და იდუმალებითაა მოცული ქართული ლიტერატურული ნაწარმოები "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ბიბლიის შიფრად და კოდად გამოვაცხადოთ.

არასაკმარისად დასაბუთებულად მომეჩვენა მე და ეჭვი გამოვთქვი ჯორჯაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზეც ქართული ანბანის შესახებ (დაე, ამაზე სპეციალისტებმა იმსჯელონ და იდავონ).

ეს იყო და ეს. როგორც უკვე ვთქვი, ეს წერილი რუბრიკის ერთი ჩვეულებრივი, რიგითი თემა იყო, რომლის მიზანი საქართველოში არსებული რელიგიური მიმდინარეობების, მოძრაობების, სექტების თუ ჯგუფების აღნუსხვა-დახასიათება იყო.

ჩემი ამოცანა, ცხადია, იმაშიც მდგომარეობდა, რომ შეძლებისამებრ გამერკვია, თუ რა კანონზომიერება, რა მექანიზმი მოქმედებს ასეთი მოძრაობების თუ რელიგიური წარმონაქმნების წარმოშობისას სხვაგან თუ ჩვენში. ამის ახსნა და გარკვევა უაღრესად საჭირო და აუცილებელია, რადგან, არა მარტო ბატონ აკაკი ჯორჯაძეს, არამედ თითოეული ასეთი ორგანიზაციის მეთაურს აქვს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია და თანაც კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხალხმა მხოლოდ მისი აღმოჩენილი გზით იაროს, მხოლოდ მისი მოძღვრებით იხელმძღვანელოს. სხვა შემთხვევაში, მკაცრად გვაფრთხილებენ: ქვეყანა დაიღუპებაო...

ბატონ აკაკის ან არ უხდება, ან იშვიათად უხდება შეხვედრა ასეთი ტიპის ორგანიზაციების თუ მოძრაობების ლიდერებთან, თორემ უმალ დარწმუნდებოდა, რომ მათი განცხადებანი ხსნის ერთადერთი ჭეშმარიტი გზის ფლობის შესახებ, კატეგორიულობით არაფრით გამოირჩევა მისი მტკიცებებისაგან. აი, თუნდაც საქართველოს სულიერი მისიის შემსწავლელი “ლაზარეს ინსტიტუტის” გაზეთი “დედანი ენის სასწაული” (იგივე “ლაზარეს აღდგინება”, იგივე “სიტყვაი კეთილი”) 1999 წ. N1 (16) ნომერი ავიღოთ, სადაც ნათქვამია:

“დიახ, ჩვენი გაზეთის ბოლო ნომერში გაცხადდა ძე კაცისას ხორციელად მოსვლის შესახებ (ხაზგასმა ჩვენია – თ. ფ.). ამ აზრის არმიმღებთა შესახებ იმავე ნომერში მოყვანილი იყო იოანე ღვთისმეტყველის წერილზე აგებული მოსაზრება, რომ “ბოლო ჟამს, როდესაც ქრისტეს მეორედ ღმერთად მოვლინების წინა, ანტიქრისტეს ზეობის ხანა იქნება, არ შეგეშალოთ და მიხვდით, რომ ვინც უარყოფს ქრისტეს ხორციელად მოსვლას, იგი ღმერთისაგან არ იქნებაო”.

როგორც ვხედავთ, აქ ჯორჯაძისა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით, ქრისტეს მეორედ მოსვლა სულიერად კი არა, ხორციელად არის დასახული. და ეს ცოდნა გაზეთის ავტორებს (მათივე მტკიცებით) სულით აქვთ მიღებული.

რა ქნას, რა მოიმოქმედოს უბრალო მოკვდავმა, ვის დაუჯეროს, ორივე მხარე ხომ თავგამოდებით ამტკიცებს, მხოლოდ ჩემი მტკიცებაა ერადერთი სწორი, ჭეშმარიტი და სულიერი გზით გვაქვს მიღებულიაო?..

ან იგივე გაზეთში, მე-12 გვერდზე ნათქვამია: “ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ ზვიად გამსახურდია იყო რეინკარნაცია ყოვლადწმიდა სამების იპოსტასის, მეორე წევრის – ძისა, ანუ იგი იყო კაცი სრული და არა ღმერთი...

ანუ მარადარსებულმა, ყოვლადძლიერმა, ყველაფრის მფლობელმა სულმა, ყოვლადწმიდა სამების მეორე წევრმა – ძემ, შეიმოსა ჩვეულებრივი მოკვდავის სხეული და განკაცდა ზვიად გამსახურდიაში”...

ან ახლა რა ვქნათ, მართლა დავიჯეროთ, რომ ზვიად გამსახურდია იესო ქრისტეს რეინკარნაცია იყო, სადაური ქრისტიანული ცოდნაა ეს?

ნაღდად აღარ მინდა ამაზე სიტყვის გაგრძელება...

ჩემს ცხოვრებაში არასოდეს გამჩენია ვინმეს გაქილიკების, გალანძღვის და გაბაიბურების სურვილი. მით უმეტეს თუ ეს სხვა ადამიანის რწმენას უკავშირდება. ამიტომ ჩემს წერილშიც მოვერიდე შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ გამოთქმებს, რასაც, სამაგიეროდ, ჯორჯაძის და მისი ორგანიზაციის მიმართ მე სხვა გაზეთებში და სხვა ავტორთა წერილებში წავაწყდი.

აი, თუნდაც გაზეთ "ასავალ-დასავალში" გამოქვეყნებული ბატონ მალხაზ გველუკაშვილის წერილი "რას ნიშნავს რიცხვი 666" ავიღოთ, სადაც ჯორჯაძის და მის მიმდევრების შესახებ შემდეგია ნათქვამი:

"ეს ბნელი ორგანიზაცია ორ გაზეთს უშვებს - "მეტი სინათლე" და "ახალი იერუსალემი", რომლითაც ხალხს მოუწოდებს რაღაც აბსურდულ, ე. წ. "სიცოცხლის წიგნში" ხელის მოწერაზე, თანაც გვეუბნებიან: "კი ბატონო, ურწმუნოებით ვის გავაკვირვებთ, ღმერთს რას შევაცდენთ, მაგრამ არ ვცადოთ მაინც, თუ გვეშველება?! რას გვთხოვს ისეთს, რას გვთხოვს ღმერთი – მოსული სიტყვა, - "სიცოცხლის წიგნში" ხელის მოწერა გაუსაძლის ტკივილს, ოფლის ღვრას და ჯაფას მოითხოვს?!" ე.ი. გწამთ თუ არა გწამთ, ხელი მაინც მოაწერეთო ABRA CADABRA-ს. თუ ღმერთისადმია ეს ყველაფერი მიმართული, მაშინ ყალბი ხელის მოწერით ვის ვატყუებთ? რატომ ასეთი დაჟინება ხელის მოწერისადმი?"

შემდეგ, ბატონი მალხაზ გველუკაშვილი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ მან მრავალჯერ გამოიტანა საზოგადოების სამსჯავროზე "ამ კაცისა და მისი ორგანიზაციის იდეოლოგიის ანტი-საზოგადოებრივი და სატანური სახე" (იხ. გაზეთები: "ქალთა გაზეთი", N28 (122), "ახალი ერა" N2 და N3) და ბოლოს დაასკვნის, რომ "მთავარი ერთია: ბატონი აკაკი დამღუპველ ნაბიჯს დგამს უფსკრულისაკენ და შეგნებულად იმავე უფსკრულში გადასაჩეხად მასზე ბრიყვულად მინდობილ უბრალო და გაუნათლებელ ადამიანებსაც წირავს... და რომ მას, მალხაზ გველუკაშვილს, მრავალი მხრიდან შეუძლია მისი მხილება" (იხ. გაზ. "ასავალ-დასავალი" 1999 წ. 11-17 იანვარი N3 (231).

კიდევ ვიმეორებ, ასეთი რამ ბატონი აკაკისათვის არ მიკადრებია, მისთვის და არც მისი ორგანიზაციისათვის სატანისტი არ მიწოდებია. არც სხვა სალანძღავი სიტყვა მითქვამს, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ ჩემს მიმართ რატომღაც ძალიან ცუდი ტონი აირჩია და ლანძღვა-გინებას მოჰყვა. ეს მისი დიდი შეცდომა იყო, რადგან ძალაუნებურად, მეც ასე განმაწყო და მაიძულა ამავე ტონალობით მეპასუხნა. თანაც, ამით, მან მარტო ის კი არ დაამტკიცა, რომ მისთვის გაცილებით უფრო მახლობელია ძველი აღთქმის პრინციპი "თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ", და რომ, ქრისტიანულ მოძღვრებას მტრის სიყვარულისა და მეორე ლოყის მიშვერის შესახებ მხოლოდ ქაღალდზე აღიარებს, არამედ, ისიც გვიჩვენა, რომ ორგანიზაციულად ძალზე გამოუცდელი და უმწიფარია. თუ ბატონი აკაკი არ გაგვიჯავრდება, მის გასაგონად ერთ საგულისხმო ამბავს გავიხსენებ: ამ ორიოდე წლის წინ, სიღნაღში, ადგილობრივი გამგებლის თაოსნობით, სამღვდელოებისა და მეცნიერების მონაწილეობით, მოეწყო დიდი კონფერენცია იეღოველთა გააქტიურების და მოსახლეობაზე მზარდი გავლენის ნეიტრალიზებისათვის. კონფერენციიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, გამგებელმა დიდი მადლობის წერილი მიიღო იეღოველებისაგან, გამოჩენილი ყურადღებისათვის...

თუმცა რას იზამ, შემჩნეული მაქვს, რომ ამ ჯურის, ვითომ ძალზე ზნეობრივი და ღვთისმოსავი ადამიანები მათი მოსაზრებებისათვის წინააღმდეგობის ოდნავი გაწევისთვისაც კი, იმის ნაცვლად, რომ ქრისტეს მიბაძონ, შეცდომის შემთხვევაშიც კი სხვას მიუტევონ და სთქვან: "...აპატიე უფალო, არა უწყიან რას იქმიანო", უკანასკნელი, მიწიერი და ბიწიერი სიტყვებით ილანძღებიან. აი, რატომ მწამს ნაკლებად ამ ტიპის ადამიანების, მათი გულწრფელობის და მათი რელიგიურობის. სარწმუნოებამ ცოტა უფრო უკეთესი და მიმტევებელი მაინც ხომ უნდა გაგხადოს. სხვაგვარად, განა რა არის რელიგია ზნეობის გარეშე.

ბოზ ქალს რომ წამოსძახებენ: "შე ასეთო და შე ისეთოო" ისე წამომაძახა ჯორჯაძემ – "ხომ გახსოვს, ხომ რა დაგავიწყდა, ათეისტი რომ იყავიო"! – არც არასოდეს დამიმალავს, რაც მთავარია, ამ ეპოქის დამთავრების შემდეგაც არსად მითქვამს და არც ახლა ვამბობ: თავგადადებული მორწმუნე ვარ-მეთქი, მაგრამ ამას, არასოდეს შეუშლია ხელი ჩემთვის, რელიგიის საკითხებზე ობიექტურად მემსჯელა, რაც იმ რთულ დროში იოლი შესასრულებელი სულაც არ იყო, და ამის გაკეთება გარკვეულ მოქნილობას და შეფარვით მოქმედებას მოითხოვდა.

მკითხველს კი გავახსენებ, რომ იმ პერიოდში, ოფიციალურად, საერო დაწესებულებასა თუ სასწავლებელში რელიგიის შესწავლისათვის, მის ისტორიასა თუ ფილოსოფიაში მუშაობისათვის, სხვა საშუალება არ არსებობდა.

რაც შეეხება მარქსიზმს, როგორც არაერთხელ აღმინიშნავს, იგი სულაც არ ყოფილა სუფთა, წმიდაწყლის ათეიზმი, არამედ წარმოადგენდა სარწმუნოების რანგში აყვანილ იდეოლოგიას, რომელსაც რელიგიის თითქმის ყველა ატრიბუტი ჰქონდა, იმქვეყნიური რწმენის გარდა. ამ უკანასკნელს კი, ამ ქვეყნად ბედნიერი საზოგადოების აშენების იდეით ცვლიდნენ...

სამწუხაროდ, ბატონმა აკაკიმ ხეირიანად არც რელიგიები იცის, არც ქრისტიანული ღვთისმეტყველება და მით უმეტეს, არც ათეიზმი. სხვა შემთხვევაში იგი არ დაუშვებდა იმ ელემენტარულ შეცდომებს, რომლითაც სავსეა მისი ნაწერები. გარდა ამისა, იგი ზიზღით არ მოიხსენიებდა იმ მრავალ, თავისუფალ მოაზროვნეს, რომელთა ბევრი წარმომადგენელი წარსულშიც და ახლაც კაცობრიობის სიამაყეს წარმოადგენენ

ბატონ აკაკის უნდა ახსოვდეს ის, რომ ათეიზმი კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, ისიც მსოფლიოს ერთ ნაწილში, ისიც მოჩვენებით, მარტო 70 წელი იყო გაბატონებულ მსოფლმხედველობად გამოცხადებული, სხვა დროს, რელიგიის ჩასახვიდან დღემდე, ყოველთვის დევნილი იყო. და მას ყველა (მათ შორის, როგორც ვხედავთ, ჯორჯაძეც) დღესაც დევნის... საწყალი ათეისტები!...

ბატონი აკაკი ჯორჯაძე რომ ობიექტური ადამიანი ყოფილიყო, როდესაც ზვიად გამსახურდიას ჩემზე დაწერილ წერილს ახსენებდა, იქვე, როგორც წესია, უნდა აღენიშნა მასზე გაცემული პასუხიც, რომელშიც ნაჩვენები იყო ჩემს მიმართ გამსახურდიას მიერ გამოთქმული შენიშვნების და ბრალდებების სრული აბსურდულობა.

აღნიშნული პასუხი ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის რედაქტორობით გამომავალ, იმ დროისათვის მეტად პოპულარულ გაზეთ “საქართველოში” (იხ. “საქართველო” N14 (70), 10.IV.92 წ.) დაიბეჭდა და იგი მთელმა საქართველომ წაიკითხა.

სხვათა შორის, ეს პასუხი მაშინ გამოქვეყნდა, როცა გამსახურდია თუმცა განდევნილი, მაგრამ ცოცხალი იყო. მაგრამ, არც მაშინ და არც მერე, არც მას და არც მის მიმდევრებს, რომელთაც უამრავი ბეჭდვითი ორგანო ჰქონდათ (და აქვთ), საკითხის “თვალნათელობის და სიცხადის გამო აზრად არ მოსვლიათ საწინააღმდეგო რამ დაეწერათ.

რაც შეეხება ჩემი დოქტორობის ბრჭყალებში ჩასმას, სამწუხაროდ, გული უნდა დავწყვიტო ბატონ აკაკის. ჩემს სადოქტორო დისერტაციაში რელიგიაზე, როგორც ხალხის მასების ოპიუმზე ლაპარაკი არ არის (სხვათა შორის, ეს გამოთქმა ლენინს არ ეკუთვნის, ასეთი ყურმოკრული ცოდნა აქვს ყველაფერზე ბატონ ჯორჯაძეს), არამედ რელიგიების ისტორიის არსს, მის სტრუქტურას ეხება და იგი კომუნისტური რეჟიმის დამთავრების შემდეგაა დაცული.

ბინძური ბრალდებაა, თითქოს ეს სტატია ეკლესიის შეკვეთით იყოს დაწერილი. კატეგორიულად უარვყოფ. სხვას რომ თავი დავანებოთ, რა სჭირს ქართულ ეკლესიას ჩემი დასაცავი. ის დრო, როცა ამის საჭიროება იყო, კარგა ხანია წავიდა. ახლა მართლმადიდებელ ეკლესიას მძლავრი ორგანიზაცია აქვს თავისი აკადემიებით, სემინარიებით, კოლეჯებით, პრეს-ცენტრებით, გამომცემლობით, ჟურნალებით და გაზეთებით, რომელთაც, სხვათა დაუხმარებლად, შეუძლიათ სათანადო პასუხი გასცენ ყველა ეკლესიის მაგინებელსა და მლანძღველს, ნებისმიერ ახლადგამომცხვარ “პრაროკს”.

რაც შეეხება ჩემს სიმპატიებს ქართული ეკლესიისა და მისი ცალკეული მღვდელმთავრების მიმართ, იგი არაერთხელ გამომითქვამს ჩემს წიგნებში, ჟურნალებსა თუ გაზეთებში თვით ყველაზე გახურებული ათეიზმის ბატონობის ხანაშიც, რადგან, საღვდელოების მოწინავე ნაწილში ყოველთვის ვხედავდი და ახლაც ვხედავ თავის ქვეყანაზე შეყვარებულ, ეროვნულ და პატრიოტულ ძალას.

ამდენად, ასეთი ბრალდება სუფთა ცილისწამებაა, როგორც ჩემზე, ისე ეკლესიაზეც. გარედან მომზირალი ზოგი ადამიანი ასე მსჯელობს: “წეროს ბატონმა აკაკიმ, რაც გაუხარდება, ვის რას უშავებს, ის არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი იქნებაო”. მაგრამ სხვების აზრით – საქმე ასე მარტივად სულაც არ არის. ისინი იხსენებენ თავის დროზე აკაკი წერეთლის ნათქვამ სიტყვებს: “ყოველ კაცს აქვს სრული ნება ილაპარაკოს, თუკი ის სისულელე საზოგადოებას არ ავნებს და მაშინ კი, თუ მავნებელია, უნდა დაუშალოს”. და მართლაც, როდესაც, ამ შეჭირვებულ საქართველოში, ქვეყანა რომ თავზე გვექცევა, ვხედავთ თვალანთებულ ახალგაზრდებს (რომელთა შორის ჩემი ნაცნობების შვილებიც აღმოჩნდნენ) გაბრიყვებულს ამგვარი “თეორიით”, რომელთაც სერიოზულად ჰგონიათ, რომ აფხაზეთის ამბებს, ეკონომიკურ, ფინანსურ თუ სხვა გაჭირვებას, საქართველოს ყველა პრობლემას ეშველება, თუკი უკვე მოვლინებულ ქრისტეს ვაღიარებთ და “სიცოცხლის წიგნში” ხელს მოვაწერთ, ყოველივე ეს, რასაკვირველია, ილუზიად და ახალგაზრდებისათვის გზის აბნევად მიმაჩნია.

რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა “ახალი სიტყვა” არა მარტო სამღვდელოების ჩამოწერას, არამედ ქვეყნის პრეზიდენტის და მთავრობის გადაყენებასაც მოითხოვს.

ამ დაქცეული და გაჭირვებული ცხოვრების შემხედვარე, ჩვენს ქვეყანაში იშვიათად თუ არის ვინმე დალხინებული, კმაყოფილი და იმ მთავრობის მომხრე, რომელმაც ვერაფერს ვერ მოაბა თავი და ასეთ დღეში ჩაგვყარა. მაგრამ მინდა დავარწმუნო ჯორჯაძეც და მისი მიმდევრებიც, რომ ამ მთავრობას ისე არავინ უწყობს ხელს ხელისუფლების შენარჩუნებაში, როგორც მათი ორგანიზაციის მსგავსი მოძრაობები. რადგან რიგითი ამომრჩევლის ლოგიკა ასეთია: ეს მთავრობა, რასაკვირველია, ცუდია, კორუმპირებულია და თავს ვერაფერს ართმევს, მაგრამ გიჟი არ არის და ქვებს მაინც არ ისვრისო... ხოლო იმათ, ვინც ამ გზით აპირებს მის ნაცვლად მოსვლას, ამის გარანტიის მიცემა ნაღდად არ შეიძლებაო...

რაც შეეხება ხელმოწერებით “სიცოცხლის წიგნში” პრეზიდენტის კანონიერი გზით გადაყენებას, ეს ნაღდად სუფთა ფანტაზიის სფეროდანაა. ბატონო აკაკი! ასე იოლი რომ იყოს, ასე იოლი რომ იყოს თქვენი მომხრე ასი კაცით პრეზიდენტის გადაყენება?!. ისე, ამ თქვენმა მოსაზრებამ გულიანად გამაცინა და ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი გამახსენა, სადაც იყო ასეთი სიტყვები: “მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით”... მართალია, იქ მელიის ფერი არ იყო დაზუსტებული: თეთრი იყო თუ შავი, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა... კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად კმარა.

მე უამრავი რელიგიური თუ პოლიტიკური მოძღვრება წამიკითხავს, ათასგვარ სწავლებებს გავცნობივარ, დიდი მოთმინებით მიცდია მათ არსში, მათი შემქმნელების ფსიქიკურ მდგომარეობაში ჩაწვდომა, მაგრამ იშვიათად წავწყდომივარ ასეთ გულუბრყვილო რელიგიურ აზრებსა და არგუმენტაციას...

და ბოლოს, დასკვნის სახით, ერთი ჩემი კოლეგის სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც მან ჯორჯაძის და მისი მიმდევრების აზრების გაცნობის შემდეგ თქვა: “თუ ეს ხალხი თავისას არ დაიშლის და კიდევ გააგრძელებს მტკიცებას ქრისტეს ასეთი, უხილავი მოვლენის შესახებ, ეგებ ერთ რჩევას მაინც დაუგდონ ყური და დაიჯერონ: მათი გაზეთის №39-40-ის ბოლო გვერდებზე გამოქვეყნებულია იმ ადამიანების და ორგანიზაციების სია, რომელთაც გადაეცათ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობის “ახალი სიტყვის” მიმართვა. აღნიშნულ მისამართებში (თუ ყურადღებით წავიკითხე) გამოტოვებულია ფსიქიატრიული დისპანსერის მისამართი, ასათიანის ქუჩაზე. პირველ რიგში კი სწორედ იქ უნდა გაეგზავნათ ეს მიმართვა და პასუხსაც აუცილებლად დალოდებოდნენ...

ძალზე საწყენია, რომ ცოცხალი აღარ არის ბატონი ავლიპ ზურაბაშვილი, თორემ ამ მიმართვის მიმტანს ხომ აუცილებლად ეტყოდა: “აბა, გააყოლე ჩემს თითს თვალიო...” მაგრამ, არა უშავს, ამ დაწესებულებაში, ალბათ, დარჩებოდა ვინმე ისეთი მცოდნე და გამოცდილი ადამიანი, რომელიც დაოსტატებული იქნება ჭეშმარიტი წინასწარმეტყველების, ნათელმხილველების, ჰუმანოიდების და სხვა ღმერთთან ესოდენ დაახლოებული ადამიანების ამოცნობაში...

P. S. ყველაფერი ეს, რაც ზემოთ ითქვა, ბატონ აკაკი ჯორჯაძის ჩემზე დაწერილი წერილის უშუალო შთაბეჭდილებით არის დაწერილი, რომ იტყვიან "ცხელ გულზე". დრო რომ გავიდა, მერე მისი გამოქვეყნება ნამდვილად აღარ მინდოდა. ფეხიც ვითრიე, ამის მოწმე თვითონ მთავარი რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილია, მაგრამ ვინაიდან ბატონმა აკაკიმ დაჟინებით მოითხოვა თავისი წერილის გამოქვეყნება, მეც იძულებული გავხდი მეპასუხა.

გაზეთ "მეტი სინათლის" N40 გამოსვლის შემდეგ, სადაც აღნიშნული წერილი იყო დაბეჭდილი, ამ გაზეთის კიდევ ოთხი ნომერი გამოვიდა. მათ შორის N42-იც, რომელშიაც გამოქვეყნებულია ამავე საკითხისადმი მიძღვნილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ლია გულედანის წერილი: "შვილთა პასუხი". ამ წერილში ჩემი მისამართით თანძღვა-გინება აღარ არის, მაგრამ ის ბრალდება, რომ აღნიშნული სტატია ეკლესიის შეკვეთით არის დაწერილი, სამწუხაროდ, მაინც რჩება...

ქ-ნ ლიას წერილმა, მისმა ზრდილობიანმა ტონმა, საკმაოდ გაანელა ჩემი გულისტკივლი. ამას დაემატა, ამავე ნომერში, ბატონ აკაკის დაჩივლებაც: "...მთელი ქვეყნიერება ჩემი მოწინააღმდეგე გახდა.

ოჯახის წევრებისათვისაც კი შეშლილი გავხდი, ყველა ძაღლიმამაძაღლი მომესია, გამიუბედურეს ოჯახი – მომიკლეს შვილი და ბოლოს, როგორც ხედავთ, საჯაროდ და საქვეყნოდ სატანად გამომაცხადეს: დამცველი კი ჯერ ერთი ადამიანიც არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში – არ ჩნდება". ცხადია, ადამიანურად შემეცოდა.

გარდა ამისა, როდესაც მან თავისი მწერლური კარიერა გაიხსენა, ახსენა მისი რედაქტორობით გამოსული მხატვრულ-ლიტერატურული კრებული "საწმისი", რომელშიაც აწ განსვენებული ჩემი ძმის – გურამ ფანჯიკიძის კინომოთხრობაც არის გამოქვეყნებული, კარგად მახსოვს ამ კრებულის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟიც, ყოველივე ამან გულიც კი ამიჩუყა...

მაგრამ, აი, გამოვიდა გაზეთ "მეტი სინათლის" 43-ე ნომერი, რომელშიაც უკვე საქართველოში მოსალოდნელ საპარლამენტო არჩევნებზე და მასზე ერთიანი ბლოკით "საქართველო – ღვთის ტაძარი" გამოსვლაზეა ლაპარაკი, ხოლო 44-ე ნომერში სამოქმედო გეგმაა დასახული.

გამართლდა ის, რისი ეჭვიც თავიდან მქონდა, მათი მოძრაობისათვის ქრისტეს მეორედ მოვლინება მხოლოდ საბურველი არის, რომელშიაც მათი პოლიტიკური თუ სხვა მიზნებია გახვეული. რა მოხდა მერე, თუკი საქართველოზე, ჩვენს ხალხზე გული შესტკივათ, თუ რაიმე სასიკეთოს მოიმოქმედებენ და თავს მოაბამენ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. აკი ვამბობდი, ბევრი რამ, რაზედაც ამდენს ვწუწუნებთ (თელასის გაყიდვიდან დაწყებული), მიწიერი ტკივილების ასახვაა-მეთქი, სადაც ეს უამრავი პარტია და მოძრაობაა, იქ "ახალი სიტყვაც" იყოს, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ის ვარიანტი იყოს – "ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო..."

ასეა ყველაფერი ეს თუ ისე, ერთი მთავარი კითხვა მაინც არ მასვენებს – ღირდა კი ამ საქმისათვის ამხელა ხმაურის ატეხა, ამდენი ხალხის გალანძღვა, იესო ქრისტეს, იოანე ზოსიმეს და ქართული ანბანის შეწუხება...

ყველაფერმა ამან, მართალი გითხრათ, ძალიან ნაღვლიან გუნებაზე დამაყენა და ლადო მრელაშვილის არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოქვეყნებული რობაია გამახსენა:

“რომ მიქადაგებ და მიხსენებ ხშირად მესიას,

მოსისხლე მტერი შევიყვარო, - უკეთესია.

მღვდელო, ერთმანეთს ყელებსა ვჭრით ლუკმა-პურისთვის, -

რის ტაძარი, ან მეჩეთი, ან ეკლესია”.

გაზეთი “ახალი საქართველო” N15 (15-21 აპრილი) - N16 (22-28 აპრილი), 1999 წელი.

პოლიტიკურ გაერთიანება “მძლეველს”, აკაკი ჯორჯაძეს,

გიორგი-ლაშა ლომიძეს, ბადრი ჭელიძეს და კომპანიას

VI. რა დონის სავლეებიც იყავით, იმ დონის პავლეებიც გახდით

კახეთში სხვანაირად იტყვიან ხოლმე, მაგრამ რასაც

ამას კახეთში ეძახიან, იმისგან ტორტი არ ცხვება...

ღმერთმანი, არ მინდოდა! ნამდვილად არ მინდოდა ამ აბრაკადაბრას, პოლიტიკური გაერთიანება “მძლეველი” რომ ჰქვია, ისევ გამოვხმაურებოდი.

არა, ოპოზიციური ძალა როგორ არ გამიგია და მინახავს, ჩვენი უნიათო, უმოქმედო და კორუმპირებული მთავრობის გადადგომაც რომ ბევრს უნდა, არც ეს არის გასაკვირი, მაგრამ ისეთი ხერხები და მეთოდები, პ/გ “მძლეველს” რომ აქვს,

არსად შემხვედრია. მას ხომ ამ საქმისათვის თავად უზენაესი ჰყავს მოხმობილი და მისი მეორედ, სულიერად “მოვლინების” შემდეგ დაიწყეს თავისი საქმიანობა.

აბა, ამათ რაღა დაუდგებათ წინ?!..

ორჯერ უკვე ვწერდი ამ რელიგიური თუ პოლიტიკური მოძრაობის შესახებ, რომელსაც ადრე “ახალი სიტყვა” ერქვა. პირველ წერილში, სათაურით “ბიბლია, იოანე ზოსიმე, ქართული ანბანი და ცოტა ფანტაზია”, ანუ “მართლა მოხდა თუ არა ქრისტეს მეორედ მოსვლა საქართველოში”, ვეხებოდი ამ მოძრაობის მოღვაწეობის მიზნების და ამოცანების ჩემეულ ხედვას (იხ. გაზ. “ახალი საქართველო” N40-41, 1999 წ.); მეორედ, სათაურით “ცნობისმოყვარეობა მკლავს, როგორ აღმოაჩინა უზენაესმა აკაკი ჯორჯაძე”, იძულებული გავხდი, ცოტა “მხიარულად” გამეცა პასუხი იმ, არცთუ ისე დელიკატურ და მეტად აგრესიულ გამოხმაურებაზე, ჩემს პირველ, უწყინარ წერილს რომ მოჰყვა (იხ. “ახალი საქართველო” N15-16, 1999 წ.).

მერე იყო და გაზეთ “კვირის პალიტრის” კორესპონდენტმა ნანა გურაშვილმა აზრი მკითხა ამ მოძრაობის შესახებ, რის პასუხადაც ჩემი ადრე გამოქვეყნებული წერილები გადავეცი, რადგან განვლილი პერიოდის მანძილზე შეხედულებები ამ საკითხის ირგვლივ არანაირად არ შემცვლია. კერძოდ, ვერაფრით დავიჯერე ამბავი ხელმეორედ, ამჯერად სულიერად, მოვლენილ იესო ქრისტეზე, რომლის შესახებაც არავის არაფერი გაუგია (ჩვენი ეკლესიის და საპატრიარქოს ჩათვლით), გარდა აკაკი ჯორჯაძისა; ვერც ის, რომ ქართული ანბანი შეიძლება ლაზარე იყოს, ხოლო იოანე ზოსიმეს მშვენიერი ლიტერატურული ძეგლი, “ქებაO და დიდება ქართულისა ენისა ” – ბიბლიის შიფრი; შემინდოს უფალმა და არც საქართველოს გაბრწყინებას ველოდები მოკლე ხანში, ამის არავითარი ნიშან-წყალი არ ჩანს. ჩვენში დარჩეს და, მაინცდამაინც, არც ბატონ აკაკი ჯორჯაძის “ღვთის სასძლოობისა” მწამს რაიმე. მთლიანად, მთელ ამ მოვლენას, მე დაახლოებით ისე ვუყურებ, როგორც პოპულარულ სატელევიზიო გადაცემას - “გინდ დაიჯერე, გინდ არა”, რომ ჰქვია...

მაგრამ საქმე აქ ჩემს დაჯერებასა და არდაჯერებაში არ უნდა იყოს, არც იმის მტკიცებაში – თეისტი ვარ, ათეისტი თუ პანთეისტი. ჯორჯაძის და მისი მიმდევრების ამოცანა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების ლანძღვა კი არ უნდა იყოს, არამედ იესო ქრისტეს ნამდვილად მოსვლის დასაბუთება.

ისე კი, თუ მართლა მოვიდა ამქვეყნად, რა, ჩემისთანები შეუშლიან ხელს მის გამოცხადებას?...

თავისი დაკვირვებებით და ჩემგან წაღებული წერილებიდან, ქალბატონმა ნანა გურაშვილმა თავისი დასკვნები გააკეთა და სამართლიანად ჩათვალა, ამ “მოძრაობაში” გარკვევა უფრო ფსიქოლოგების პრეროგატივაა (მოერიდა, თორემ ფსიქიატრების დაწერა უნდოდა).

მას შემდეგ, რაც ჩემი ადრინდელი და ახლანდელი აზრი პ/გ “მძლეველის” შესახებ “კვირის პალიტრამ” გამოაქვეყნა (იხ. №47, 20-26.XI.2002 2.), ამ მოძრაობის ლიდერებმა მოსვენება აღარ მომცეს, ინტერვიუ მოგვეციო. როდესაც ეს ინტერვიუ შედგა და შემდგომ გამოქვეყნდა (იხ. გაზ. “მძლეველი” N17, 2006 (2000) წ.), იქვე, მის

კომენტარში, ჩემი ლანძღვა-გინება ამოვიკითხე: რატომ ზუსტად ისე არ აზროვნებ, როგორც ჩვენო, სხვაგვარად, რატომ არ გჯერა ის, რასაც ჩვენ ვამტკიცებთო... არ ვჩივი, სხვანაირ შედეგს არც ველოდი, მაგრამ მთელ ამ ამბავში საინტერესო ის არის, რომ ისეთი რამ აღმოვაჩინე, რასაც ადრე ვერავინ მიხვდა. დავადგინე, თუ ვინ უნდა გააბრწყინოს საქართველო და არა მარტო საქართველო...

მკითხველი რომ არ დაიბნეს, ერთხელ კიდევ ჩვენს პრესაში აღწერილ ხელისუფლების შეცვლის სცენარს გავახსენებ, რომელიც პ/გ "მძლეველის" თავმჯდომარეს გიორგი-ლაშა ლომიძეს ეკუთვნის:

"ხალხით გადაჭედილ ფილარმონიის დიდ დარბაზში გადამდგარი პრეზიდენტი შევარდნაძე თავის სავარძელს უთმობს სასძლო კაცს, ღვთის რჩეულს. მას აკაკი ჯორჯაძე წარმოუდგენს საზოგადოებას. ქვეყანაში დამყარდება ღვთაებრივ-კონსტიტუციურ-მონარქისტული მმართველობა. იმ წუთიდანვე დაიწყება კიდეც ივერიის გაბრწყინება. საქართველო გამოცხადდება "მამის ტახტის მფლობელ ქვეყნად" და გაბრწყინებულ საქართველოსთან ერთად მისი ნათლით ივლიან დახსნილი ქვეყნები"-ო.

ასე შთამბეჭდავად არის აღწერილი ეს დაუვიწყარი სცენა, რომელიც საქართველოს და არა მარტო საქართველოს ბედს შემოატრიალებს. მაგრამ მაინც ვინ არის ის ფეხბედნიერი, ვის მოსვლასაც ასე ელოდება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო?

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იგი არ არის ა. ჯოგლიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა საპრეზიდენტო არჩევნებში (არცთუ ისე წარმატებით), დამკვირვებელთა ყურადღება სხვაზე გადავიდა.

არ მინდა, მკითხველი დიდხანს დავტანჯო, ამიტომ თავიდანვე უნდა გავხსნა კარტი: ბატონი გიორგი-ლაშა ლომიძე და ბატონი აკაკი ჯორჯაძე სიძე-სიმამრი არიან. მას შემდეგ, რაც ბატონ აკაკის პირდაპირი ხაზი გაეხსნა უზენაესთან (არ ვიცი, რა უჩურჩულა მას უზენაესმა ყურში), უბრალო ბიჭი – ლაშა ლომიძე – გიორგი-ლაშად იქცა. დააკვირდი, მკითხველო! ლაშა-გიორგიდ კი არა, როგორც მოსალოდნელი იყო, ან ედუარდ-გიორგიდ, როგორც ეს შევარდნაძესთან გვაქვს, არამედ გიორგი-ლაშად. და თუკი გავითვალისწინებთ, თუ რა დატვირთვა აქვს სახელ გიორგის, ბატონ აკაკის შემოქმედებაში გასაგები ხდება, თუ საით უმიზნებენ. ამ ვარაუდის სისწორის სასარგებლოდ სხვა ფაქტებიც მოვიძიეთ, მაგრამ ამაზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვით...

როდესაც ჩვენი ვარაუდი თვით გიორგი-ლაშას გავუზიარეთ, აშკარად დაიმორცხვა, გაწითლდა და სასწრაფოდ უარყო ჩვენი მოსაზრება, მაგრამ აშკარად შევატყვეთ, რომ მიზანში მოვარტყით. ასეა ეს. ნამდვილად გიორგი-ლაშა მოიაზრება, ბატონ აკაკის აზრით, შევარდნაძის შემცვლელად.

სიძე-სიმამრობაც ხომ ასეთი უნდა. ისე, რა უნდა აჩუქო სიძეს უფრო უკეთესი, თუ არა ქვეყნის მეფობა ან პრეზიდენტობა! ვაი, რა ტყუილად ცდილობენ სხვები, ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად რომ მოიაზრებიან: რის ჟვანია და რის სააკაშვილი,

რის შაშიაშვილი და რის რჩეულიშვილი. სიძე-სიმამრს საათივით აქვს აწყობილი საქმე და თვით უზენაესის რეკომენდაცია უმაგრებთ ზურგს. აწი, სხვამ რაღამ უნდა შეუშალოს ხელი?

ამას რომ მივხვდი, ცხადია, სინანულმა შემიპყრო, როგორ ვარბენინე ის მომავალი მეფე თუ პრეზიდენტი უნივერსიტეტის კიბეებზე, ინტერვიუს ასაღებად ორჯერ რატომ მოვიყვანე, გადაბეჭდილი მასალაც ვერ მივეცი, სტუდენტების გადაწერილი ხელნაწერი გავატანე, შეფარვით ერთი-ორი ხუმრობაც შევბედე, მაგრამ, რაც იყო, იყო. უკვე მომხდარს ვეღარ გამოასწორებს კაცი. ერთადერთ ნუგეშად ისღა მრჩება, რომ პრეზიდენტის შემცვლელს ხმამაღლა პირველად მე ვასახელებ. იმედია, მომავალი მონარქი დამიფასებს ამას და წარსულ შეცოდებებს მაპატიებს. განა ტყუილად არის ღვთის რჩეული?...

P. S. ამას რომ ვწერდი, ახლობელმა ჩაიხედა ჩემს ნაწერში და იკითხა – რომ გაფრინდნენ?

- რაა? – გაკვირვებულმა ვიკითხე მე.

- მართლა რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამ არეულ ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი, მერე რას შვრები? – დამიზუსტა შეკითხვა.

ასეთმა პერსპექტივამ ნამდვილად შემაკრთო, მაგრამ ვიფიქრე: ოღონდ საქართველოს ეშველოს, საქართველო გაბრწყინდეს და ჯანდაბას ჩემი თავი – მეთქი.

P. S. S. ვიღაც გამვლელმა ვაგზლის მოედანზე პატარა მაგიდა შენიშნა, სადაც “მძლეველის” აქტივისტები პრეზიდენტის გადასაყენებელ ხელმოწერებს აგროვებდნენ და თავის თანამგზავრს უთხრა: “შენ გიჟები დაუძახე და ნახე, როგორ მოხერხებულად აგროვებენ შუა ქალაქში პრეზიდენტის გადასაყენებელ ხელმოწერებს, სხვებს ამის გულისათვის დაიჭერდნენ, ესენი კი თავისუფლად დადიანო”. თანამგზავრმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

მე კი მოუთმენლად ველი 9 აპრილს, როდესაც საქართველო უნდა გაბრწყინდეს: შეიცვალოს სისტემა და მთავრობა. თუ საქართველო არ გაბრწყინდება, მაშინ რუსეთი მაინც უნდა გაბრწყინდეს. თუ ესეც არ მოხდა, სხვა რა უნდა ვიღონოთ, არ ვიცი. აშშ, ინგლისი, გერმანია და სხვა ქვეყნები კარგა ხანია, გაბრწყინებულები არიან.

თუმცა, ერთი, ზემოთ უკვე თქმული ამბავი მაინც უნდა გავიხსენო: 1843 წლის 21 მარტს ადვენტისტების სექტის დამაარსებელმა კ. მილერმა თავის თანამოაზრეებს ქონება გააყიდინა – ქვეყანაზე მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავრო უნდა მოხდესო. სამაგიეროდ, ადვენტისტებმა კუბოები და საყვირები შეიძინეს, რითაც ღმერთს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ქრისტე დათქმულ დღეს არ მოვიდა. მაშინ ვ. მილერმა თავი იმართლა: გამოთვლისას ერთი წელი შემეშალაო. მეორე წელსაც იგივე გაიმეორეს, მაგრამ მეორედ მოსვლა მაინც არ შედგა...

ყველაფერი ეს შორეულ ამერიკაში, “წყეული მასონების” ქვეყანაში მოხდა, თანაც ძალიან დიდი ხნის წინათ, აქ კი, ჩვენი მშობლიური “კაკო პრაროკი”, იმედია, ბოლომდე არ გაგვწირავს.

2000 წ.

VII. მცირეოდენი განმარტება

გულახდილად ვიტყვი: ძალიან გამიკვირდა, როდესაც გაზეთ “მენორაში”, რომელიც მწერალ გურამ ბათიაშვილის რედაქტორობით გამოდის, მისივე სტატიაში სათაურით: “ბრძენკაცის (იგულისხმება რუსეთის სულიერი რაბინი შტაინზალცი – თ. ფ.) ირგვლივ” ჩემი გვარი აღმოვაჩინე. კერძოდ, მოხმობილი იყო ჩემი 3 წლის წინანდელი პუბლიკაცია სათაურით: “ებრაელთა თალმუდზე, რუსეთის სულიერ რაბინ შტაინზალცზე, ეროვნულ იდეოლოგიასა და ქართველი ხალხის პრობლემებზე”. მასში, ებრაელი ხალხის ისტორიისა და გამოცდილების ფონზე, ლაპარაკი იყო ქართველი ხალხის პრობლემებზე, მის წარსულსა და თანამედროვეობაზე, იმ ხალხის ბედზე, ვინც თავის დროზე, ებრაელების მსგავსად, აუტანელი პირობების გამო დატოვეს სამშობლო.

ბატონ გურამს მოსწონებია ჩემი პუბლიკაცია, მისი პათოსი, დადებითი შეფასება რაბინ ადინ შტაინზალცის ვიზიტისა, რომელიც რუსეთში, სხვა ქვეყნებში და საქართველოშიც ჩამოვიდა იმისთვის, რათა ებრაელებისათვის თავისი ებრაელობა და იუდეველობა შეეხსენებინა; მაგრამ, ამასთანავე, გული დასწყვეტია თალმუდის ჩვენეულ შეფასებაზე:

“თ. ფანჯიკიძისეული შეფასება თალმუდისა, - წერს იგი, - არაფერ ახალს არ მოიცავდა – კვლავ საბჭოური იდეოლოგიის არეალში ტრიალებდა. თ. ფანჯიკიძე პატიოსანი პიროვნება და მეცნიერია, ურთიერთობაც თბილი მქონდა და მაქვს მასთან. ამიტომაც გულახდილად ვუთხარი, რომ თალმუდის მისეული შეფასება ტენდენციურია” (იხ. გაზ. “მენორა”, 2002 წ. აგვისტოს ნომერი).

ჩემი აზრით, რელიგიური წიგნების ღირსება და მნიშვნელობა, დადებითია იგი თუ უარყოფითი, პირველ რიგში იმით უნდა განისაზღვროს, თუ რა მოუტანა მან ამ წიგნის შემქმნელ ხალხს, ამ შემთხვევაში ებრაელ ხალხს. სწორედ ასეთი პასუხი გამცა რაბინმა ადინ შტაინზალცმა სასტუმრო მეტეხში დასმულ შეკითხვაზე: “რა არის თალმუდი, ან რა საკაცობრიო ღირებულებები გააჩნია მას?”

“თალმუდი, - მიპასუხა მან, - პირველ რიგში ებრაელთა წიგნია, მათი სახელმძღვანელოა და იგი შეიძლება სულაც არ იყოს საინტერესო სხვა ერებისათვის, რაც შეეხება სხვა ხალხებზე გამოთქმულ აზრებს, იგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ებრაელები იმ ხალხებთან, ზოგი შექებულია, ზოგი გალანძღული...”

და თუკი ებრაელებს აქვთ უფლება თავისი შეხედულება თავისუფლად გამოთქვან ამა თუ იმ ხალხზე, ნურც სხვა ხალხებს წავართმევთ უფლებას, თავისი შეხედულება ჰქონდეს თალმუდზე.

ის, რამაც ბატონი გურამ ბათიაშვილის უკმაყოფილება გამოიწვია, ეს არის ჩემს მიერ სტატიაში ვრცლად ციტირებული სარატოვისა და ცარიცინის არქიეპისკოპოსის ალექსის მიერ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, 1913 წელს, რუსეთში, ჟურნალ "საკლესიო უწყებათა" დამატების 44-ე ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია "თალმუდის მორალი", სადაც ეს უკანასკნელი დახასიათებულია, როგორც უაღრესად რეაქციული, სხვა ხალხების მოძულე იდეოლოგია, რომლის მხილებაც აუცილებელ საქმედ მიაჩნიათ.

ჩემს სტატიაში ხაზგასმით მაქვს ნათქვამი, რომ ეს ჩემი შეხედულება არ არის, არამედ ინფორმაცია, რომელსაც რუსულ-შავრაზმელური პრესა აქტიურად ავრცელებდა და დღესაც ავრცელებს მოსახლეობაში.

ყველაფერი ეს ხომ გაცილებით ადრე, საუკუნეთა სიღრმეში დაიწყო და არა საბჭოურ პერიოდში... განა ბატონი გურამისთვის უცნობია მთელ მსოფლიოში და მათ შორის რუსეთში ებრაელთა დევნის, დამცირების და პოგრომების ადრინდელი ფაქტები? განა თვითონ რაბინ შტაინზალცს არ მოჰყავს ასეთი სამწუხარო მაგალითები, რომ: "XIII-XIV საუკუნეებში, საფრანგეთის სამხრეთში, მონპელიეს ქალაქებში არსებობდა ჩვეულება: ქრისტიანული აღდგომის წინა დღეს ებრაელი თემის თავკაცს გამოიყვანდნენ ქალაქის მოედანზე და ეპისკოპოსი საჯაროდ სილას გააწნავდა... ებრაელ ხალხს ქრისტიანული ეკლესიის მიერ გარტყმული სილისგან დღესაც ეწვის ლოყა".

რაც შეეხება თალმუდს, მის შესახებაც ძალიან ცუდი ინფორმაცია ვრცელდებოდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ფორმალურად მაინც ცდილობდნენ თავი შეეკავებინათ ასეთი ბრალდებებისაგან. ამის შესახებ ხომ გარკვევით მიწერია ჩემს წერილში:

"ის, რაც თავის დროზე, - საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, - ამოიღეს ხმარებიდან, როგორც ანტისემიტიზმის, ველიკორუსული შოვინიზმის, შავრაზმელური აზროვნების გამოხატულება, დღეს ისევ გამოდის მზის სინათლეზე და თავისუფლად იწყებს სეირნობას სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტითაც..."

კიდევ ვიმეორებ, ის, რაც ციტატის სახით მოვიტანე, არის მხოლოდ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამდნენ თალმუდს რუსეთში. შესაბამისად, ბატონ გურამს ჩემზე კი არ უნდა დასწყდეს გული, არამედ ამ ინფორმაციის დამწერ რუს სასულიერო პირზე და მის მიერ მოხმობილი ფაქტების უსწორობა დაამტკიცოს.

სხვა ადგილას კიდევ უფრო კატეგორიულად მიწერია: "და აი, ასეთი რუსული-მართლმადიდებლური ინფორმაციით დატვირთული მივედი სასტუმრო მეტეხის საკონფერენციო დარბაზში..., თუმცა კარგად მახსოვდა ებრაელი სწავლულების აღშფოთება ამ ფაქტების სიყალბის გამო და მათი მკაცრი გაფრთხილება – არ

ავყოლოდით აშკარად ბოროტი განზრახვით ხელახლა აგორებულ, ქართველი საზოგადოებისათვის სრულიად უცხო, მტრულ ინფორმაციებს. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ათასჯერ არის დამაჯერებელი პასუხები გაცემული, რომლებიც ცალკე წიგნებსა და ენციკლოპედიებშიც აისახა, ნაჩვენებია ამ ბრალდებების სრული უსაფუძვლობა, არასერიოზულობა და სიცრუე, სამწუხაროდ, ასეთი ინფორმაციები მაინც ინტენსიურად ვრცელდება".

კიდევ უფრო მეტი, წერილის ბოლოს ხაზგასმით მიწერია: "საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ებრაელთათვის თორა და თალმუდი სწორედ რომ ეროვნული იდეოლოგია იყო და ამადაც რჩება. ჩვენ რა შეგვიძლია ამ მხრივ საკუთარ ხალხს შევთავაზოთ?" შესაბამისად, ქვეყნისათვის ეროვნული იდეოლოგიის შექმნის გზაზე, თორა და თალმუდი სამაგალითო და მისაბაძ წიგნებად მაქვს მიჩნეული, რომლებიც გვასწავლიან, როგორ მოვექცეთ მტერს თუ მოყვარეს. მეტი რაღა უნდა დამეწერა? ..

ეს წერილი საერთოდ არ დაიწერებოდა, თუ არა ბატონ გურამის საყვედური იმ ადამიანის მიმართ, რომელთანაც ამ სტატიამ აპრობაცია გაიარა.

"... გაღიზიანება მაშინ დამეუფლა, - წერს გ. ბათიაშვილი, - როცა მან (ჩემზეა საუბარი – თ. ფ.) ჩემი არგუმენტების გასაქარწყლებლად "ერთი ებრაელი მოღვაწის" დასტური მოიშველია – თურმე სტატია დაბეჭდვამდე ამ ებრაელი მოღვაწისათვის მიუტანია. ასე ვთქვათ, აპრობაციის გასავლელად, ზეპირი რეცენზიისათვის. ასე რომ, თალმუდის ესოდენ ნეგატიურ შეფასებას იმ ებრაელი მოღვაწის ხელში გაუვლია. მან კი მშვიდი, კეთილისმსურველი, აკადემიური კაცის პოზა შეინარჩუნა, თავი არ აიტკივა და ნაწერზე თავისი აზრი არ უთხრა სწორედ ამის მომლოდინე ავტორს..."

თავის წერილში ბატონი გურამი ამ ებრაელის გვარს არ ასახელებს, თუმცა შესანიშავად იცის მისი ვინაობა. როდესაც სტატიას ვწერდი, კარგად ვითვალისწინებდი თუ რამდენად დელიკატურია და საფრთხილო სხვა ერისა და სხვა რელიგიის საღმრთო წიგნის შესახებ წერა. ამიტომ, რაიმე რომ არ შემშლოდა და გამპარვოდა, სტატია წავაკითხე ცნობილ პოეტს, მთარგმნელს და მეცნიერს, ქართველ ებრაელს ჯემალ აჯიაშვილს, ადამიანს, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ქართული და ებრაული კულტურების დაახლოებისათვის.

ბატონ ჯემალს ძირითადად მოეწონა ჩემი სტატია, მისი ძირითადი იდეა. იგი, როგორც საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი, თვითონაც ძალზე არის შეწუხებული იმ გაუსაძლისი ყოფით, რაც ამჟამად საქართველოშია, დარდობს იმ უამრავი ქართველის ბედზეც, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა დატოვეს. მოეწონა ჩემს მიერ დასმული კითხვაც: "თუ ვინ ჩააკითხავს საქართველოდან წასულ ადამიანებს სხვა ქვეყნებში, რათა თავისი ქართველობა შეახსენოს? ვინ დაიცავს მათ ქართველობას?"

ბატონი ჯემალი კმაყოფილი დარჩა რაბინ ადინ შტაინზალცის საქართველოში ვიზიტის ჩემეული შეფასებით. მაგრამ, აშკარად არ მოეწონა რუსი არქიეპისკოპოსის ალექსის შრომიდან მოტანილი ვრცელი ციტატა თალმუდის შესახებ. მე თვითონ დავინახე, ამის წაკითხვისას, თუ როგორ შეეცვალა სახე. მაშინვე მითხრა: "ეს ციტატა დააბნევს მკითხველს, რადგან იგი ყურადღებას მასში მოტანილ გამონათქვამებზე

გაამახვილებს და დაავიწყდება ის მთავარი, რისი გულისთვისაც დაიწერა ეს წერილიო”.

ამის საპირისპიროდ მე ჩემი არგუმენტები მომქონდა; ვუმტკიცებდი, რომ ამ ციტატის მოტანა საჭიროა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს თუ საიდან და რატომ ვრცელდება ბოლო ხანს ჩვენში ანტიებრაული და ანტიიუდაური განწყობილებანი, სადაც ამისი არანაირი საფუძველი და საჭიროება არ არსებობს. სამაგიეროდ არსებობს ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვანი უნიკალური ძმობა.

ამ საუბრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონმა ჯემალმა გადმომცა საყურადღებო მასალა იმ ბრალდებათა გასაქარწყლებლად, რაც ებრაელთა შესახებ არის გავრცელებული. მაგრამ, იმ დროისათვის ჩემი სტატია აწყობილი და დასაბეჭდად იყო გამზადებული. შესაბამისად, ამ მასალის გამოყენება აღნიშნულ სტატიაში აღარ მოხერხდა. სამომავლოდ, ამ საკითხებზე მსჯელობისას, მე მას პარტნიორობა ვთხოვე. გარდა ამისა, სტატია ძირითადად საქართველოს და მის პრობლემებს ეხებოდა და არა ებრაელთა ბრალეულობას თუ უდანაშაულობას.

ვინაიდან ამ პუბლიკაციის ავტორი მე ვიყავი, ცხადია, მე თვითონ ვწყვეტდი, რა უნდა დამებეჭდა და რა არა, ასე რომ, ბატონ ჯემალ აჯიაშვილს ამ საქმეში არანაირი ბრალი არ მიუძღვის...

ბატონ გურამ ბათიაშვილს სხვა შენიშვნები ჩემი პუბლიკაციის მიმართ არ ჰქონია, ამიტომ მეტს აღარ გავაგრძელებ. დაინტერესებულ მკითხველს კი ვაცნობებ, რომ გაზეთ “ახალი საქართველოს” გარდა ეს პუბლიკაცია გამოქვეყნდა საქართველოს ფილსოფიური აკადემიის ორგანოში “ფილოსოფიური ძიებანი” N4 კრებულში, 2000 წელს.

იმედია, რომ ეს მცირე განმარტება არ შელახავს იმ თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც ჩემსა და ბატონ გურამს შორის არის.

2002 წ.

1 პარალელები ბუდასა და ქრისთეს ბიოგრაფიებს შორის აღებულიაპოლონელი ავტორის Генрик Хмелевский “Христианнство и религии мира”. М., 1968, стр 115-127.
2იგვე ნაშრომი

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ღმერთები და წინასწარმეტყველები

I. ცხოვრობდა თუ არა იესო ქრისტე ინდოეთში?

კრიშნაიტები იესო ქრისტეზე

რაც უფრო ვუახლოვდებით 2000 წელს, მით უფრო მატულობს მსოფლიოში აჟიოტაჟი იესო ქრისტეს სახელის ირგვლივ. მისი ცხოვრების, ქადაგების, ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ სულ უფრო მეტი წიგნი და სტატია იწერება. იესო ქრისტეს ცხოვრება ფართოდ შუქდება ტელევიზიით, რადიოთი. მის შესახებ იღებენ კინოფილმებს, დგამენ სპექტაკლებს, ვინღა არ წერს მაცხოვრის შესახებ – სასულიერო თუ საერო პირები, მორწმუნენი თუ ათეისტები; სენსაციის მოყვარული ჟურნალისტები ცდილობენ, რაღაც ახალი ფაქტები მიაწოდონ მკითხველს კაცობრიობის მხსნელის შესახებ. ეს აჟიოტაჟი მაცხოვრის ირგვლივ, რასკვირველია, შემთხვევითი არ არის. ეს ერთგვარი საიუბილეო ფუსფუსია, ჩვენი წელთაღრიცხვა ხომ მაცხოვრის დაბადების დღიდან იღებს სათავეს...

იესო ქრისტეზე, მის ცხოვრებაზე, ხშირად წერენ არა მარტო ქრისტიანული, არამედ სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც. ისინი თავისებურად ცდილობენ ასახონ იესო ქრისტეს ფენომენი, ის მოვლენები, რომლებიც ორი ათეული საუკუნის წინათ მოხდა და რამაც ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაზე...

ამ წერილში, ჩვენ გვინდა მოკლედ გავაშუქოთ ინდუისტური რელიგიის ერთ-ერთი, მსოფლიოში და მათ შორის საბჭოთა კავშირშიც ამჟამად ფართოდ გავრცელებული სექტის ვაიშნავის მიმდევართა, სხვაგვარად, კრიშნას ცნობიერების მოძრაობის, უფრო მოკლედ კი კრიშნაიტების შეხედულება იესო ქრისტეზე, მის დაბადებაზე, ტანჯვით სიკვდილზე და მკვდრეთით აღდგინებაზე.

ვაიშნავის მიმდევართა მოძღვრების მიხედვით, იესო ქრისტე, ერთიანი ღმერთის - კრიშნას ერთ-ერთი მოციქული იყო, ისევე როგორც ექვსი საუკუნით ადრე ბუდა, ხოლო ექვსი საუკუნის შემდეგ მუჰამედი.

კრიშნაიტები მოხერხებულად სარგებლობენ იმით, რომ სახარებებში, სადაც გადმოცემულია იესო ქრისტეს ბიოგრაფია, დიდი პაუზა არის მაცხოვრის დაბადებასა და მისი მქადაგებლური საქმიანობის დაწყებას (30 წლის ასაკი) შორის. საეკლესიო ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი, თუ რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა იესო ქრისტე თავისი ცხოვრების ამ ხანგრძლივ და საიდუმლოებით მოცულ პერიოდში. კრიშნაიტების აზრით, სწორედ ამ მონაკვეთში იესო ქრისტემ იმოგზაურა და იცხოვრა ინდოეთში. ჯაგანატრა-პურში მან შეისწავლა ვედური სიბრძნე, ხოლო ბენარესში – მკურნალობის ხელოვნება, რომელიც ესოდენ გამოადგა მას თავის სამშობლოში სასწაულების მოხდენაში. ამიტომ, კრიშნაიტების აზრით, სრულიადაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ რასაც იესო ქრისტე ქადაგებდა 2000 წლის წინათ, ძალიან ჰგავს იმას, რასაც ასწავლიდა კრიშნა 5000 წლის წინათ ინდოეთში. ვიაშნავას მიმდევართა მოძღვრების მიხედვით კრიშნასა და იესოს მოძღვრება ერთმანეთს ემთხვევა ისეთ შეურიგებელ და სადავო საკითხებშიც კი, როგორიც არის ხორცის ჭამა და სულიერ არსებათა გარდასახვა. მათივე აზრით, თვით სასულიერო ტერმინი “ქრისტოსი” მართალია აღებულია ბერძნულიდან და თუ გადმოვთარგმნით ნიშნავს

“ნათელცხებულს”, მაგრამ თვით ფუძე ამ სიტყვისა მოდის სანსკრიტული “კრიშტო” ანუ “კრიშნასაგან”, რაც ღმერთის სახელს წარმოადგენს.

ვაიშნავას მიმდევარნი უფრო შორსაც მიდიან. მათი მტკიცებით, იესო ქრისტე სულაც არ მომკვდარა გოლგოთაზე, თითქოსდა იგი თანამოაზრეებმა უგრძნობ მდგომარეობაში ჩამოხსნეს ჯვარიდან და დამალეს. ასე გადაურჩა იესო ქრისტე სიკვდილს. შემდეგ კი ისევ ინდოეთს დაბრუნდა, სადაც კიდევ დიდხანს (70 წლამდე) იცოცხლა. და რომ მისი საფლავის ნახვა ასევე ინდოეთში, კერძოდ, ქაშმირში შეიძლება.

რამდენად მართალია კრიშნაიტების მიერ წამოყენებული ეს ვერსია? ვაიშნავას მიმდევარნი თითონვე გრძნობენ ამ ვარაუდის დამტკიცების სირთულეს, ამიტომ აცხადებენ, რომ იმდენად იმას კი არა აქვს მნიშვნელობა – ეს შეხედულება მართალი აღმოჩნდება თუ ტყუილი, რამდენადაც იმის ჩვენებას, რომ კრიშნას მოძღვრება და ქრისტეს მოძღვრება ანალოგიური მოძღვრებებია...

თუ რისთვის სჭირდებათ ვაიშნავას მიმდევრებს ასეთი მტკიცებები, ძნელი მისახვედრი არ არის. პირველ რიგში იმისათვის, რომ კრიშნაიზმის იდეები უფრო გასაგები და მისაღები გაეხადათ ქრისტიანული სამყაროსათვის. იმის ჩვენებით, რომ ეს ორი მოძღვრება ანალოგიური და თითქმის იდენტური მოძღვრებები არიან, დაეძლიათ ქრისტიანთა წინააღმდეგობა მათი რელიგიის გავრცელების საქმეში, შეეღწიათ ქრისტიანთა ეკლესიებში, ექადაგათ თავიანთი მოძღვრება და ექციათ ქრისტიანული მრევლი კრიშნას თაყვანისმცემლებად.

მართლაცდა, თუკი კრიშნაიტები ამ ორი მოძღვრების ანალოგიურობას დაამტკიცებენ, ხოლო ცნობილია, რომ ქრისტიანობა სამი ათასი წლით უფრო გვიან იღებს სათავეს, ვიდრე კრიშნას მოძღვრება, ცხადია, რომელი მოძღვრებაც არის აქედან საწყისად და უფრო მნიშვნელოვნად გამოცხადებული და რომელია მხოლოდ განმეორებადი.

რამდენად მისაღებია ქრისტიანული ეკლესიისა და მისი მოძღვრებისათვის ასეთი გაუგონარი მტკიცებები, რამდენად შეესატყვისება იგი მის მოძღვრებას, საღმრთო წიგნებს, ეკლესიის მამათა სწავლებას? რასაკვირველია, არასგზით.

უპირველეს ყოვლისა, კრიშნაიტების ასეთი მტკიცებით, იესო ქრისტე ძე ღვთისა კი არ არის, არამედ მხოლოდ ღვთის მიერ გამოგზავნილი მოციქული. ამით კი, ცხადია, ირღვევა სამების უმნიშვნელოვანესი დოგმატი, რომლის ერთ-ერთ წევრს, იპოსტასს, იესო ქრისტე წარმოადგენს.

მეორე: კრიშნაიტების მტკიცებაში ფაქტიურად უარყოფილია ახალი აღთქმის, კერძოდ, სახარებათა ჭეშმარიტება და ღვთითშთაგონებულება, რადგან მათში მოთხრობილი ზოგიერთი ამბავი არასწორად არის გამოცხადებული, წმინდა წიგნებში კი ასეთი რამ არ შეიძლება იყოს.

მესამე: მართალია, კრიშნას ცნობიერების გამავრცელებელთა აზრით, ქრისტეს ჯვარცმა სინამდვილეში მოხდა, მაგრამ უარყოფილია მისი სიკვდილი, რითაც

ირღვევა ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი დოგმატი იესო ქრისტეს მიერ ტანჯვითი სიკვდილით კაცობრიობის პირველქმნილი ცოდვის გამოსყიდვის შესახებ.

მეოთხე: უარყოფილია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დოგმატი, რომლის გარეშე აზრს კარგავს მთლიანად ქრისტიანული მოძღვრება.

ასეთი დაპირისპირების ჩამოთვლა კიდევ ბევრის შეიძლება. როგორც ვხედავთ, ამ ორ მოძღვრების ანალოგიურ მოძღვრებად გამოცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს, მაშ რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?

ყოველივე ეს, რასაკვირველია, სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა რელიგიათა ურთიერთბრძოლა გავლენისა და გავრცელებისათვის, ერთმანეთის გავლენის სფეროში შეჭრისა და მრევლის ხელში ჩაგდებისათვის.

გაზეთი “შარავანდი” N 1 (6) იანვარი, 1991 წ.

1 Генрик Хмелевский “Христианнство и религии мира”. М., 1968, стр 119.

II. ბუდა და ქრისტე

იესო ქრისტეს პიროვნებისა და მისი მოძღვრების უკეთ გაგებისათვის საინტერესო მასალას გვაძლევს პარალელის გავლება მეორე დიდი მსოფლიო რელიგიის დამაარსებელ პრინც გაუტამასთან, რომელსაც ტრადიციულად ბუდიზმის შექმნა მიეწერება.

თუ საეკლესიო წიგნებს დავუჯერებთ, მათ თითქმის ერთ ასაკში დაიწყეს თავისი მოძღვრების ქადაგება. ბუდა ოცდაცხრისა იყო, ქრისტე ოცდაათისა... მართალია, ქრისტეს მოღვაწეობა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა (მან მხოლოდ 33 წელიწადი იცხოვრა), ბუდასი კი ხანგრძლივი (მან ოთხმოც წელს მაიღწია), მაგრამ მათ ბიოგრაფიებში ბევრი ისეთი მომენტი იძებნება, რომელიც გვაოცებს თავისი დამთხვევებით...

ორივე სასწაულებრივად დაიბადა. ბუდას ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ იგი თეთრი სპილოს სახით მარჯვენა მხრიდან შევიდა თავისი მომავალი დედის, მაიას წიაღში მაშინ, როცა მას ტაძრის ტერასაზე ეძინა და იქიდან იშვა. მის დაბადებას თან ახლდა არაჩვეულებრივი მოვლენები: მიწისძვრა, ჭექა-ქუხილი, ქვეყანა ნათელმა გაანათა...

სახარებათა მიხედვით, ქრისტეც სასწაულებრივად შვა უბიწო მარიამმა სულიწმიდის მეოხებით. ამ დროს, ზეცაზე მისი დაბადების მაუწყებელი ვარსკვლავი გამოჩნდა...

როდესაც ბუდა დაიბადა, წმიდა ასკეტმა ასიტამ მიატოვა თავისი სენაკი მთის გამოქვაბულში, გამოცხადდა სასახლეში და როდესაც ახალდაბადებულის ტანზე დიდების ნიშნები აღმოაჩინა, გაიცინა, მაგრამ იმავე წამს ატირდა: “მე ვიცინი, - განმარტა მან, - სიხარულისაგან, რომ მხსნელი მოევლინა დედამიწას, ხოლო ვტირი იმიტომ, რომ მე არ მექნება ბედნიერება ვიცხოვრო იმდენ ხანს, რომ ვიხილო ამ გმირობის აღსასრული”.

როდესაც ბუდა ტაძარში შეიყვანეს, ღმერთების ყველა ქანდაკება გაცოცხლდა, ჩამოვიდა კვარცხლბეკიდან და თაყვანი სცა მას.

სახარებათა მიხედვით, ახალშობილ ქრისტესთანაც გამოცხადდნენ ბრძენნი აღმოსავლეთიდან, თაყვანი სცეს ღვთისმშობელ მარიამს და იესოს, მოუტანეს მათ ოქრო, გუნდრუკი და მური (მათე 1,11). ხოლო, როდესაც პატარა იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს, რათა ღმერთისათვის მიეძღვნათ იგი, მათ გზაზე მართლმორწმუნე სიმეონი შეხვდათ, რომელსაც ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა, რომ მანამ არ მოკვდებოდა, სანამ ძე ღვთისას არ ნახავდა. ტაძრად მიყვანილ იესოში მან არა მარტო მესია ამოიცნო, არამედ თავისი სიცოცხლის დასასრულიც...

ბუდამაც და ქრისტემაც თავისი ცხოვრების მანძილზე დიდ ცდუნებებს და გამოცდას გაუძლეს. ბუდას მკაცრი გამოცდა მოუწყო ბოროტების ღმერთმა მარამ, რათა ხელი შეეშალა მისი სრული თვალის ახელისათვის და გონების განათებისათვის. მან, გაუტამას შეშინების მიზნით, საშინელი ავდარი, ჭექა-ქუხილი და სეტყვა დაატეხა თავს დედამიწას, მაგრამ ამაოდ; მის მიერ გამოგზანილი სეტყვის უზარმაზარი კაკლები ყვავილებად იქცა. იმედგაცრუებული მარა შეეცადა გადმოებირებინა გაუტამა ცაში უკეთესი გარდასახვის პერსპექტივით, მაგრამ გაუტამა მტკიცე იყო თავის გადაწყვეტილებაში. ბუდას შეცდენას, მამის ბრძანებით, შეეცადნენ მარას ქალიშვილები, რომლებმაც ლამაზი სახეები მიიღეს, მაგრამ ბუდა აქაც შეუდრეკელი აღმოჩნდა.

თავის მხრივ, იესო ქრისტეს შეცდენასაც შეეცადა სატანა. მან აიყვანა მესია მაღალ მთაზე, გადმოახედა იქიდან და შეჰპირდა ქვეყნის მფლობელობას იმ პირობით, თუკი თაყვანს მცემო, მაგრამ იესომ უპასუხა: “წარვედ მართლუკუნ ჩემგან, ეშმაკო; წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანისცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე” (ლუკა, 4,8).

ბუდაც და ქრისტეც - ორივენი სჩადიოდნენ სასწაულებს. რელიგიური წიგნების მიხედვით ერთხელ პრინცმა გაუტამამ ერთ წუთში თავისი 500 მოსწავლე შემოსა ყვითელი ტანსაცმლით, მეორეჯერ იგი მორწმუნეთა თვალწინ ცაში აიჭრა; პირველად მჯდომარის პოზა მიიღო, შემდგომ ფეხზე დადგა, შემდეგ დადიოდა და წვებოდა. ამ დროს მისი სხეული ასხივებდა ცისფერ, თეთრ, წითელ, ყვითელ და ბროლისფერ სინათლეს. მისი ქვედა ნაწილებიდან ცეცხლი გამოდიოდა, ხოლო ზედადან ცივი წვიმა ასხამდა. საკიამუნამ ამით თავის მოწინააღმდეგეებს დაანახვა თავისი ზებუნებრივი სიძლიერე და შემდეგ კი მიწაზე დაბრუნდა...

თავის მხრივ, სახარებების ტექსტები სავსეა ქრისტეს მიერ ჩადენილი სასწაულებით: იგი აცოცხლებდა მკვდრებს, თვალებს უხელდა უსინათლოებს, ფეხს

უმთელებდა კოჭლებს, რამდენიმე პურით რადენიმე ათასი კაცი დააპურა, წყალი აქცია ღვინოდ, ფეხით დადიოდა აქაფებული ტევერიადის ტბაზე, ათავისუფლებდა ადამიანთა სხეულებს მათში ჩაბუდებული ეშმაკეულისაგან და ა.შ.

ორივეს, ბუდასაც და ქრისტესაც, უამრავი მოწაფე და მიმდევარი ჰყავდათ. ერთგული მოწაფეების გვერდით მათ თითო მოღალატე და გამცემიც აღმოაჩნდათ. ბუდასთან ეს დევადატა იყო, ქრისტესთან – იუდა.

ბუდაც და ქრისტეც - ორივე ილაშქრებდა მის დროს გაბატონებული რელიგიების წინააღმდეგ. ბუდა ბრამინ ქურუმებს ებრძოდა, იესო ქრისტე კი – ებრაელ მღვდელმთავრებს. და ბოლოს, ბუდაც და ქრისტეც ორივე ახალი მსოფლიო რელიგიების დამაარსებლები იყვნენ ...1

რა არის ყოველივე ეს? დამთხვევა თუ კანონზომიერება? შემთხვევითი ფაქტი თუ რეალური ამბავი? ეგებ ეს ხალხის ფანტაზიის ერთგვარობის შედეგია ან მონოთეისტური რელიგიის ჩამოყალიბების ერთიანი უნივერსალური რეცეპტი? ან ეგებ ქრისტიანობა მართალც იღებს სათავეს ბუდიზმისაგან, ხოლო ქრისტეს ბიოგრაფია სხვა არა არის რა, თუ არა თავისებური ანარეკლი, გამეორება ბუდას ბიოგრაფიისა, ხოლო თვით ქრისტიანული მოძღვრება ებრაულ-ბერძნული ვარიანტი ბუდიზმისა?

ასეთი შეხედულება არც ისე უცნაურად უნდა გვეჩვენოს. მით უმეტეს, რომ ეს აზრი არცთუ ისე ახალია. მას შემდეგ, რაც ევროპა ახლოს გაეცნო ბუდისტურ მოძღვრებას, ბევრმა თვალსაჩინო მოაზროვნემ (მათ შორის ასახელებენ შოპენჰაუერს, ნეიმანს, ზეიდლს და სხვ.) ქრისტიანული მოძღვრების სათავე ბუდიზმში დაინახა2.

ამის საფუძველს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იძლევა ის საოცარი დამთხვევები, რომელიც შეიმჩნევა როგორც ამ რელიგიათა დამაარსებლების პირადი ცხოვრების აღწერაში, ისე მთელი რიგი რელიგიური დებულებების წამოყენებაში.

რამდენად სამართლიანია საკითხის ასეთი დაყენება? რამდენად ჭეშმარიტია აზრი, რომ ქრისტიანობა დიდად არის დავალებული ბუდიზმისაგან? შეიძლება თუ არა სერიოზულად ვილაპარაკოთ ასეთი გავლენის შესაძლებლობის შესახებ? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ კითხვებზე, ალბათ, ნაწილობრივ მაინც დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი გავლენის შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს.

რა არგუმენტები არსებობს ამ ვერსიის დასამტკიცებლად? პირველ რიგში მკვლევარები მიუთითებენ იმ აქტიურ კავშირზე, რომელიც ჯერ კიდევ შორეულ ხანაში არსებობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. იმ ინტენსიურ მიმოსვლაზე როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო გზებით, რომელიც მათ შორის არსებობდა. იხსენებენ ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობას, რომ ყოველწლიურად დასავლეთიდან 20 ხომალდი მაინც მიდიოდა ინდოეთის ნაპირებისაკენ. ყოველივე ეს, შენიშნავენ მეცნიერები, გულისხმობდა არამარტო სავაჭრო, არამედ კულტურულ ურთიერთობას. ეს კი, თავის მხრივ, მოასწავებდა კულტურულ ზეგავლენასაც.

ეს აზრი მით უფრო საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ ბუდისტური მოძღვრების პროპაგანდისტულ ხასიათს. ბუდიზმის მიმდევარნი ყოველთვის ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ ხალხში გაავრცელონ თავისი მოძღვრება. ამ მიზნით, ისინი მისდევდნენ მისიონერულ საქმიანობას. ისტორიკოსები აღნიშნავენ ბუდისტი მისიონერების კვალს ეგვიპტესა თუ სირიაში, კირენაიკასა თუ ეპირში. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ალექსანდრიაში ყოფილა ბუდისტი ბერების კოლონია. როგორც ჩანს, ბუდისტი მისიონერები უშუალოდ რომის იმპერიის შიდა პროვინციებამდეც აღწევდნენ.

ასეთ ფაქტებს ძნელია რაიმე დაუპირსიპირო, მთელი რიგი იდენტური დეტალების ფონზე, რომელიც ამ ორ მოძღვრებაში მოიძებნება, უარყო ბუდიზმის გარკვეული როლი ქრისტიანობის ჩამოყალიბებაში.

მაგრამ, თუკი მაინც ვილაპარაკებთ ბუდიზმის გავლენის შესახებ ქრისტიანობაზე, მის არსზე, ხოლო ბუდას ბიოგრაფიის მსგავსებაზე ქრისტეს სახესთან, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს არ არის პრინციპული ხასიათის მსგავსება. მიუხედავად მრავალი ურთეირთდამთხვევისა, რომელიც არის როგორც ამ რელიგიებს შორის, ისე მათი დამაარსებლების ცხოვრებას შორის, ბუდა და ქრისტე როგორც თავისი ბიოგრაფიით, ისე მოძღვრებით მაინც შორს დგანან ერთმანეთისაგან.

საქმე მარტო უბრალო ცხოვრებისეულ დეტალებში როდია (თუმცა ასეთი ბიოგრაფიული განსხვავებაც იყო: ქრისტე უცოლოდ, უშვილოდ და საერთოდ უბიწოდ წავიდა ამქვეყნიდან, ბუდას ცოლიც ჰყავდა და ბავშვიც. ბუდა მეფის შვილი იყო, მდიდარი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, ქრისტე კი ღარიბი ოჯახიდან გამოსული, უქონელი. ბუდამ დიდხანს იცოცხლა, ქრისტე მალე დაიღუპა და ა. შ.), არამედ ამ რელიგიათა არსს ეხება, მათ შორის პრინციპულ სხვაობას აღნიშნავს. ამ რელიგიათა მოძღვრებების სხვაობაში უნდა ვეძიოთ მათი დამაარსებლების ბიოგრაფიულ გასხვავებათა სათავეც.

ბუდიზმი ინდოეთში ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად, დიდი ცვლილებები ხდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. აქამდე არსებული წვრილი ტომების ადგილას იქმნებოდა მსხვილი დესპოტიები. ინდოეთისათვის დამახასიათებელი კასტური სისტემის პირობებში ბუდიზმი გამოვიდა ქშატრიების (მეომართა) კასტის იდეოლოგიად, რომელმაც გაილაშქრა გაბატონებული კასტის ბრაჰმანთა წინააღმდეგ, რომელთა იდეურ საფუძველს ძველი რელიგია ბრაჰმანიზმი წარმოადგენდა. მაგრამ თავის მოძღვრებაში ბუდიზმი მარტო ბრაჰმანებს როდი დაუპირისპირდა, არამედ მთელი კასტური სისტემის წინააღმდეგაც გაილაშქრა. ბუდიზმმა წამოაყენა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეა. მართალია, ეს არ იყო მოწოდება რეალური, ნამდვილი თანასწორობისაკენ, არამედ გულისხმობდა ადამიანთა თანასწორობას ბუდიზმის საბოლოო მიზნის - ნირვანას მოპოვების გზაზე, მაგრამ იგი მაინც ილაშქრებდა კასტურობის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ პროცესებს.

პრინციპულ სხვაობას ამ ორ რელიგიას შორის მკვლევარები პირველ რიგში ეპოქათა სხვაობით და სხვადახვაგვარი სოციალური წყობით ხსნიან. გარდა ამისა, ითალისწინებენ იმასაც, რომ ბუდიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ერთგვაროვან მოსახლეობაში წარმოიშვა (ამ დროისათვის უკვე დამთავრებული იყო არიული ტომების შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან), ქრისტიანობა მრავალეროვან სახელმწიფოში წარმოიშვა, სადაც ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული იყო მრავალი ხალხი, რომელთაც განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს და სხვადასხვაგვარი კულტურა შექმნეს. ქრისტიანობამ ცხადია თავისებურად გადახარშა, გადაამუშავა, აითვისა ეს კულტურები, მაგრამ მისი სერიოზული კვალი მასში მაინც დარჩა1.

ეპოქა, მისთვის დამახასიათებელი სოციალური წყობა, მიმდინარე სოციალური პროცესები, განწყობილებები, ჩიხიდან გამოსვლის ცდა, ცხოვრებისეული გზის მონახვის საჭიროება გარკვეულად აყალიბებდა იმ იდეალსაც, რომლისთვისაც ადამიანებს თაყვანი უნდა ეცათ. შესაბამისად, არსებული პირობები განსაზღვრავდა არა მარტო რელიგიების ხასიათს და პრინციპებს, არამედ მათი დამაარსებლის სახეებსაც. ამასთანავე ეს სახეები არ იყო ერთხელ და სამუდამოდ მიღებული, არამედ მათზე წარმოდგენები თანდათანობით ყალიბდებოდა, იხვეწებოდა, ამიტომ მათ ბიოგრაფიებში სხვადასხვა ეპოქების განწყობილებების კვალიც ჩანს.

ბუდიზმის დამაარსებელი პრინცი გაუტამას სახე არა მარტო შორეულ წარსულში, არამედ დღესაც იპყრობს ყურადღებას და იზიდავს მრავალ ადამიანს. იგი ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეპოვნა ცხოვრების აზრი, დაეძლია საყოველთაო ტანჯვა, ჩაძირულიყო ნირვანაში. მის მიერ წამოყენებული ტანჯვის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა, მორალური სენტენციები, თუ გადაწყვეტით არა, ყოველ შემთხვევაში საკითხის დასმით მაინც, ეხმაურება თანამედროვე ადამიანების განწყობილებებს.

ბუდას მიერ შემოთავაზებული გზა, მართალია, არ იყო ტანჯვისაგან ადამიანთა განთავისუფლების პირდაპირი გზა, იგი გულისხმობდა გარდასახვათა მრავალ თაობას, სხვაგვარად, ეს არ იყო უშუალო შედეგი ერთი ადამიანის მოქმედებისა, აქ ადამიანი არ გამოდიოდა საკუთარი ბედის მფლობელად, არამედ იკარგებოდა ნირვანის მიღწევის ჩახლართულ გზებში. მაგრამ იგი მაინც ის საბოლოო მიზანი და გზა იყო, რომლითაც აუცილებლად უნდა ევლოთ მის მიმდევრებს.

ბედისაგან განებივრებულმა, ფუფუნებაში მცხოვრებმა, უზრუნველმა პრინცმა გაუტამამ, საკიების გვარიდან, ოცდაცხრა წლის ასაკში თავისთვის მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ის, რაც მას უყვარდა, რასაც აფასებდა, რითაც ბედნიერი იყო – სიცოცხლეც, სიმდიდრეც, ცოლიც, შვილიც, ნაირ-ნაირი სასახლეებიც, ყოველივე ამაო იყო, რადგან ადრე თუ გვიან ყველაფერს სიკვდილი წალეკავდა.

ბუდისტური წიგნების მიხედვით, პრინცი გაუტამა დიდხანს ეძებდა ხსნის გზას, სანამ მრავალი წლის ხეტიალის და გამოცდის შედეგად წმინდა ხის ქვეშ არ აღმოაჩინა იგი. მან იპოვნა ადამიანთა ტანჯვის მიზეზები, რომლის საფუძვლად, პირველ რიგში, მიწიერისაკენ სწრაფვა გამოაცხადა..(ამ ამბების თხრობისას ჩვენ არ

შეიძლება მსგავსი ასოციაციები არ გაგვიჩნდეს ბიბლიურ ეკლესიასტესთან, რომელიც ამქვეყნიურ ამაოებას მისტიროდა).

გაუტამას მიხედვით, დაბადება, სიბერე, ავადმყოფობა, სიკვდილი, განშორება მასთან ვინც გიყვარს, ტანჯვაა. ტანჯვის მიზეზებს იგი ადამიანთა სურვილებში ხედავდა (ტკბობის სურვილი და ცხოვრების წყურვილი), ხოლო ტანჯვისაგან განთავისუფლების გზას, ამ სურვილების დათრგუნვაში. იგი სთავაზობდა მის მიმდევრებს იმ რვასაფეხურიან გზას, რომელიც თვითონ აღმოაჩინა. ესაა: ჭეშმარიტი რწმენა, ჭეშმარიტი გადაწყვეტილება, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი საქმე, ჭეშმარიტი ცხოვრება, ჭეშმარიტი მისწრაფება, ჭეშმარიტი განზრახვა, ჭეშმარიტი განჭვრეტა.

ასეთი იყო პრინც გაუტამას მიერ მორწმუნეთათვის შეთავაზებული გზა, გზა,: ძალზე ძნელი, რთული, ათასგვარ გარდასახვათა წრეებად დაკეცილი ნირვანის მიღწევის უსასრულო გზაზე.

იესო ქრისტეც თავისებურ ხსნის გზას სთავაზობდა თავის მიმდევრებს, შედარებით უფრო მარტივსა და შესაძლებელს. გზას, რომლის პოვნაც თვით ადამიანზე, მის ქცევაზე იყო დამოკიდებული. ეს იყო პირდაპირი გზა ხსნისაკენ, თანაც არა ისეთი ლაბირინთებით და გარდასახვათა სიმრავლით გადატვირთული, რომელსაც ჩვენ ბუდიზმში ვხვდებით...

და საერთოდ, თუ ჩვენ ამ ორი რელიგიის დამაარსებელთა მიერ შემოთავაზებულ გზებს შევადარებთ და მათ ბიოგრაფიებსაც გადავხედავთ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ იესო ქრისტეს სახე უფრო დახვეწილია. მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდა ბუდას შესახებ საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია, მისი ბიოგრაფია მაინც არაა სავსე ისეთი კოლიზიებითა და დრამატიზმით, როგორც იესო ქრისტესი. ამიტომ, ქრისტიანული მოძღვრების თვით ყველაზე თავგადადებული კრიტიკოსებიც კი, ერთხმად აღიარებენ იესო ქრისტეს სახის მეტ სისრულესა და ორიგინალობას.

პრინც გაუტამასა და იესო ქრისტეს ბიოგრაფიულ განსხვავებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას: სახარებათა მიხედვით იესო ქრისტე ღმერთია, ძე ღვთისა, მოვლინებული ქვეყნად ადამიანთა სახსნელად, ჯვარცმული ადამიანთა ცოდვებისათვის. ასეთ რამეს სხვა რელიგიებში ვერ ვხვდებით, ხოლო გაუტამა მხოლოდ მასწავლებელი, წინასწარმეტყველი და დამაარსებელია რელიგიისა, უფრო გვიან გაღმერთებული.

მთავარი, რასაც იესო ქრისტეს ცხოვრების მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს არის ის საოცარი შესატყვისობა, რომელიც არსებობს ქრისტიანულ მოძღვრებასა და მის პიროვნებას შორის. ეს ჰარმონია ისეთი მწყობრია, რომ ქრისტიანული მოძღვრება მისი პიროვნების გარეშე წარმოუდგენელია.

თეოლოგები მას ადარებენ ექიმს, რომელიც ავადმყოფთან არის გაგზავნილი ან მწყემსს, რომელიც დაკარგულ ფარას ეძებს. ამავე დროს ქრისტეს გზას

უპირისპირებენ იმ უნუგეშობას, რომელიც ბუდიზმში, გაუტამას მიერ შემოთავაზებულ გზაში გვხვდება.

ბუდასაგან განსხვავებით, იესო ქრისტე არ სთავაზობს თავის მომხრეებს ადამიანებისაგან განშორებას, დავიწყებას, იგი უარს არ ამბობს გაუტამას მსგავსად რაიმე ციურ ძალაზე, არამედ ქადაგებს ღმერთის რწმენას, რომლიდანაც უნდა მომდინარეობდეს ნუგეში. შესაბამისად, აღნიშნავენ მკვლევარები, იგი უფრო იმედიანია, ვიდრე პრინცი გაუტამა, რომელიც ნირვანას მიღწევის ურთულეს გზაზე უშვებს ადამიანს.

იესო ქრისტეს იმედი ციური ძალაა და თეოლოგები თვლიან, რომ უაზრობა და ბოროტებაა არ გამოიყენო ეს იმედი და არ ისარგებლო იმ თანაგრძნობით და ნუგეშით, იმ გზით, რომელიც ქრისტეს მეოხებით მიეცათ ადამიანებს. მის მიერ შემოთავაზებული მკურნალობა კი, როგორც ცნობილია, მდგომარეობდა მამა ღმერთის მორჩილებასა და იესო ქრისტეს მიერ ნაჩვენები გზის არჩევაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც განასხვავებს ამ რელიგიათა დამაარსებლებს, ეს არის მათი სხვადასხვაგვარი სიკვდილი. საქმე იმაში როდია, რომ ბუდამ დიდხანს იცოცხლა და მისი მოღვაწეობა დიდხანს გრძელდებოდა, არამედ ის, რომ ბუდას სიკვდილს არ ეკისრება იმხელა დატვირთვა, რაც იესო ქრისტესას.

ბუდა უბრალოდ, უხმაუროდ და საკმაოდ პროზაულად გარდაიცვალა. მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ იგი საჭმელმა მოწამლა, როცა სტუმრად იყო. ეს არ იყო ამაღლებული, ტანჯული სიკვდილი, სიკვდილი ადამიანების ხსნისათვის. მისი გარდაცვალება, ცხადია, არც წამებულის სიკვდილად ჩაითვლება.

ბუდიზმის დამაარსებლის ასეთი უბრალო სიკვდილი არც არის გასაკვირი. ეს ხომ პირველი სიკვდილი არ იყო მისი უამრავი გარდასახვის ისტორიიდან. პრინც გაუტამას ბოლო სიკვდილი, ალბათ, იმით არის გამორჩეული, რომ ამ სიკვდილით მან თავი დააღწია გაუთავებელ წრებრუნვას, სხვადასხვაგვარ გარდასახვას და ნირვანასაკენ გაიკაფა გზა. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, მანამდე პრინცმა გაუტამამ გაიარა უამრავი გარდასახვა. თავის წინა გარდასახვებში იგი იყო უდაბლეს სოციალურ საფუხურზე მდგომი შუდრა – თორმეტჯერ, ათჯერ მწყემსი, ორჯერ სპილოების გამრეკი, იყო მოცეკვავე, ქვის მთლელი, მჭრელი, გარდა ამისა, იგი მეფეც იყო, რაჯაც, განდეგილიც, ბრაჰმანიც და ღმერთიც ...

როგორც აღვნიშნეთ, შაკიების ტომის მეფის (მმართველის) ოჯახისშვილობა მისი უკანასკნელი გარდასახვა იყო, რომლის შემდეგადაც მან თავი დააღწია ამქვეყნიურ ტანჯვას და ნირვანას შეუერთდა.

იესო ქრისტეს სიკვდილი კი ძალზე დრამატული იყო, ყველაზე უფრო ამაღელვებელი, კულმინაციური წერტილი მთელ სახარებისეულ სიუჟეტში, რამაც ხაზი გაუსვა მთელ მის მოძღვრებას და მისიას. ეს სიკვდილი, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ზნეობრივ დატვირთვას, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ქრისტეს სიკვდილის აღწერაში იგრძნობა ეპოქის განწყობილება, გემოვნება, სწრაფვა იდეალისადმი და ზიზღი იმის მიმართ, რაც რეალურ ცხოვრებაში ხდებოდა.

რა შეიძლება საერთოდ ითქვას ზემოთ აღნიშნულის შესახებ, რას გვაძლევს ბუდასა და ქრისტეს შედარება? მათ შორის პარალელის გავლება ნათლად გვიჩვენებს იმ რეალობას, თუ როგორ პირობებში იქმნებოდა და ყალიბდებოდა ეს ორი მსოფლიო რელიგია, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს კაცობრიობის განვითარებაზე.

გაზეთი “წიგნის სამყარო” №13 (457),

8 ივლისი, 1987 წ.

1 Э. Ренан. Жизнь Иисуса., Петербург, 1911, стр. 216-217

2 iqve

III. პილატე პონტოელი

პილატე ებრაელთა სამეფოს – ჰურიასტანის რომაელი პროკურატორი – განმგებელი იყო. მან ძალზე ტრაგიკული როლი შეასრულა ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში. ამიტომ, სამუდამოდ დაუკავშირდა იესოს ამქვეყნიურ ბიოგრაფიას. ქრისტეს და პილატე პონტოელის ურთიერთობის შესახებ ახალი აღთქმის ოთხივე სახარებაში არის მოთხრობილი – მათეს 27-ე, მარკოზის მე-15-ე, ლუკას 23-ე და იოანეს მე-18-19-ე თავებში. მათი შინაარსი ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს და დაახლოებით ასე გამოიყურება:

სინენდრიონის გადაწყვეტილებით, იესო ქრისტეს შეპყრობის შემდეგ, ებრაელმა მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა ბჭობა გამართეს, თუ რა ექნათ იესოსათვის, როგორ მოეშორებინათ თავიდან და ვინაიდან მათ ქრისტეს მოკვლის უფლება არ ჰქონდათ, ქრისტე შეკრეს და განმგებელ პილატესთან მიიყვანეს. მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა იესოს დააბრალეს, თითქოს იგი იუდეველთა მეფედ აცხადებდა თავს და რომაელთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამიტომ, პილატეს პირველი შეკითხვაც მის მიმართ ასეთი იყო: “შენ ხარ იუდეველთა მეფე?”, რაზეც იესომ უპასუხა: “შენ ამბობ”. იუდეველ მღვდელმთავართა მრავალმხრივ ბრალდებებზე იესომ პასუხი არ გასცა. მაშინ ისევ პილატემ ჰკითხა: “არ გესმის, რამდენს მოწმობენ შენს წინააღმდეგ?” მაგრამ ეს შეკითხვაც უპასუხოდ დარჩა, რაც რომაელ პროკურატორს ძალზე გაუკვირდა.

პილატემ მშვენივრად იცოდა, რომ ებრაელმა მღვდელმთავრებმა შურით გასცეს იგი. ამას ისიც დაემატა, რომ როცა ის სამსჯავროს ტახტზე დაჯდა, ცოლმა გააფრთხილა: “არაფერი უყო მაგ მართალს, ვინაიდან მე დღეს სიზმრად ბევრი ვიტანჯე მაგის გამოო”. თვით პილატეც იესოს ქმედებებში რაიმე დანაშაულს ვერ

ხედავდა და ამიტომ მის დახსნას შეეცადა. ამას იგი ასეთი გზით აპირებდა: ებრაული ტრადიციით პასექზე მას უნდა გაენთავისუფლებინა ერთი პატიმარი, რომელსაც ხალხი მოისურვებდა. მაგრამ ხალხმა მღვდელმთავრების და უხუცესების შთაგონებით, არჩია გაენთავისუფლებინათ მკვლელი და ავაზაკი ბარაბა, ხოლო იესო ქრისტე ჯვარს ეცვათ.

განმგებელმა პილატემ, რაკი დაინახა, რომ იესოს ვერაფერს შველოდა, ხალხში კი შფოთი იწყებოდა, უარი თქვა თავის განზრახვაზე, რის შემდეგაც, აიღო წყალი, ხელები დაიბანა ებრაელების წინაშე და თქვა: “უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან, თქვენ იცითო”, რაზედაც ხალხმა უპასუხა: “ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლიო”.

პილატემ გაანთავისუფლა ბარაბა, ხოლო იესო ქრისტე გააშოლტვინა, რათა ამის შემდეგ ჯვარს ეცვათ იგი. დაახლოებით ასეა აღწერილი ეს ტრაგიკული ეპიზოდი მაცხოვრის ცხოვრებიდან ყველა სახარებაში...

რა ვიცით ჩვენ პონტოელი პილატეს შესახებ? იმის გარდა, რაც სახარებებშია ნათქვამი, ბევრი არაფერი. ვიცით, რომ მის შესახებ ტაციტუსის ცნობებშია მინიშნებული. გარდა ამისა, 1961 წელს იუდეის კესარიის გათხრისას აღმოაჩინეს ქვა ლათინური წარწერით, სადაც მოხსენიებულია პილატეს სახელი, მაგრამ აქ იგი ნახსენებია, როგორც პრეფექტი და არა პროკურატორი. ამ ფაქტმა დაბნეულობა და ეჭვი გამოიწვია - ხომ არ არის აქ სხვა პილატეზე ლაპარაკი? მაგრამ სპეციალისტები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ საქმე ეხებოდა ერთსა და იმავე პიროვნებას, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული თანამდებობები ეკავა.

პილატე პონტოელი, ჩვენ, ცხადია, იესო ქრისტესთან მიმართებაში უფრო გვაინტერესებს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ საბედისწერო როლისა, რაც მან ითამაშა ქრისტეს ცხოვრებაში, სახარებებში იგი არც ისე საშინელ პიროვნებად გვესახება. პირიქით, გონიერად და სამართლიანადაც კი. იგი მშვენივრად ერკვევა შექმნილ სიტუაციაში, კარგად იცის, რომ იესო ქრისტე შურის გამო შეიპყრეს და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. პილატე ქრისტეში ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავს და მისი განთავისუფლება უნდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებს ხალხის შიშით. მას ეშინა, რომ რაიმე შფოთი და ამბოხი არ მოხდეს და რომაელთა ინტერესებს ზიანი არ მიადგეს. ამიტომ, იძულებულია დათანხმდეს ხალხის მოთხოვნას – გაანთავისუფლოს ბარაბა და ჯვარს აცვას იესო ქრისტე. თუმცა ამ გადაწყვეტილებას ხელის ბანით გაემიჯნება, იესოს კი პირდაპირ ეუბნება: “...შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავიო...” (იოანე 18,35).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რელიგიის ცნობილი მკვლევარის ე. რენანის აზრი, რომელიც თვლიდა, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმა არ იყო აჩქარებული მოქმედების შედეგი ან შეცდომა, რომელიც ებრაელმა მღვდელმთავრებმა უნებლიედ დაუშვეს. “...არც ტიბერიუსს და არც პილატეს, - წერდა რენანი, - არ მიუსჯიათ სიკვდილი იესოსათვის. იგი გაწირა ძველმა იუდაურმა პარტიამ, მოსეს კანონმა... ეს სიკვდილი “კანონიერი” იყო იმდენად, რამდენადაც წარმოადგენდა შედეგს მათი კანონის მოქმედებისა, რომელიც ერის სულს გამოხატავდა...” 1 მოსეს კანონი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა, ქრისტე კი სწორედ ამ

კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა. იუდეველებმა გულახდილად უთხრეს პილატეს ამის შესახებ: “ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, რადგან თავის თავს ძე-ღვთისა უწოდაო”2.

რაც შეეხება სხვათა აზრს ამ საკითხის შესახებ, ბოლო წლებში ბევრი იხრება იმ მოსაზრებისაკენ, რომ თუკი იესო ქრისტეს ჯვარცმა ღვთის სურვილით მოხდა, თუკი ეს აუცილებელი იყო ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვისათვის, მაშინ სახარებისეული სიუჟეტების ყველა პერსონაჟი – იესო ქრისტე, იუდა ისკარიოტელი, ებრაელი მღვდელმთავრები, პილატე, ჰეროდე და თვით რომაელი ჯალათები ღვთის განგების მხოლოდ შემსრულებელნი იყვნენ.

და მართლაც, სხვაგვარად როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ქრისტიანული მოძღვრება, ადამიანთა ხსნა პირვანდელი ცოდვისაგან და მისი შედეგებისაგან ამ პერსონაჟების გარეშე, გამოსყიდვის გარეშე, რომლისთვისაც აუცილებელი გახდა ყველაზე უფრო უცოდველი მსხვერპლის – ძე ღვთისას ტანჯვითი სიკვდილი.

ალბათ, ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ პონტოელი პილატეს პიროვნებაცო – სთვლიან ისინი.

2000 წ.

IV. მუჰამედი

მუჰამედამდე იყვნენ სხვა დიდ რელიგიათა დამაარსებლები – კრიშნა, მოსე, ბუდა, ქრისტე. მუჰამედი სულ ბოლოს, მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში გამოჩნდა და თუკი სხვა წინასწარმეტყველთა ბიოგრაფიებში ბევრი რამ არის იდუმალი და ბურუსით მოცული, მრავალი ავტორი ეჭვობს კიდევაც მათ რეალურ არსებობას, მუჰამედთან ყველაფერი თითქმის ნათელია, არავინ დაობს მის რეალურ არსებობაზე, რადგან მისი ცხოვრება ახსოვთ და მისი ბიოგრაფიაც შედარებით კარგად არის შენარჩუნებული.

თუმცა პირველ ბიოგრაფს იბნ ისხაკს (გარდაიცვალა 767 წელს) მხოლოდ 130 წლის შემდეგ დაუწერია მისი ბიოგრაფია. გაცილებით უფრო გვიან ეს ბიოგრაფია გადაუმუშავებია არაბ ფილოლოგს, იბნ-ჰაშიმს (გარდაიცვალა 834 წელს). მუჰამედის დანარჩენი ბიოგრაფები იყენებდნენ თხზულებას, რომელიც ცნობილი იყო “სირატი-რასულ-ალაჰის” (ალაჰის მოციქულის ცხოვრების) სახელწოდებით.

მუჰამედი დაიბადა 571 წლის 20 აპრილს, ორშაბათს, არაბეთში, მექაში ყურეიშიტ აბდულას და მისი ცოლის ამინას ოჯახში. ყურეიშიტების გვარი საკმაოდ ცნობილი იყო მექაში. ისინი არაბული სალოცავის მცველები იყვნენ. მუჰამედი სწორედ ამ წარჩინებულ, მაგრამ ღარიბ ოჯახში დაიბადა. ვაჟი მალე დაობლდა და მას ბიძა (დედის მხრიდან) აბუთალიბი ზრდიდა. გაჭირვების გამო ახალგაზრდა მუჰამედი იძულებული იყო ჯერ საქონელი ემწყემსა, მერე კი ნოქრად დამდგარიყო.

მუჰამედი, გადმოცემით, საშუალო სიმაღლის, ლამაზი სახის, სიმპათიური გამომეტყველებით და სასიამოვნო ქცევით გამოირჩეოდა, ზოგი მას ახასიათებს როგორც ნერვულ, მეამბოხე ნატურას, რომელიც შეპყრობილი იყო იდუმალი მღელვარებით. დაჯილდოებული იყო მჭევრმეტყველების საოცარი ნიჭით და შეუპოვრობით. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ იგი ეპილეფსიით იყო დაავადებული. მუჰამედს არავითარი განათლება არ მიუღია. 25 წლის ასაკში იგი ქორწინდება 40 წლის მდიდარ ქვრივ ხატიჯეზე. მიუხედავად ასეთი ასაკობრივი განსხვავებისა, ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა და სანამ ხატიჯე ცოცხალი იყო, მას სხვა ცოლი არ მოუყვანია. თუმცა შემდეგ ერთდროულად ცხრა ცოლიც ჰყავდა (სულ მისი ცოლების რაოდენობა, ზოგი ცნობით, 14-ს უდრიდა). შვილებიდან მხოლოდ ერთი ქალიშვილი - ფატიმა შერჩა. დანარჩენები უმეტესად მცირე ასაკში დაიხოცნენ.

ხატიჯესთან ქორწინებით მუჰამედმა გამოასწორა თავისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რამაც საშუალება მისცა ბევრი ემოგზაურა და ბევრი რამ გაეგო. ასე გაეცნო იგი მეტ-ნაკლებად სხვა რელიგიურ მოძღვრებებს, რომლებიც პოპულარული იყო იმ დროისათვის არაბეთში.

მუჰამედის რელიგიური ძიებები საკმაოდ ადრე დაიწყო. თუმცა, თავისი აზრების გადმოცემა, ბუდასთან და ქრისტესთან შედარებით საკმაოდ გვიან, მხოლოდ 40 წლის ასაკში მოახერხა. პირველი მისი გატაცება დაკავშირებული იყო ხანიფებთან (განიფებთან), რომლებიც ერთღმერთიანობის, რახმანის (მწყალობელის) იდეით გამოდიოდნენ, მაგრამ ეს არ იყო არც იუდეველობა და არც ქრისტიანობა. ხანიფიზმი ილაშქრებდა ძველი წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა მათ გაერთიანებას. ხანიფიზმში ბევრი რამ იყო აღებული ქრისტიანობიდან (წარმოდგენა საშინელ სამსჯავროზე, მოწოდება ასკეტური ცხოვრებისაკენ და ა. შ.). ცხოვრების იმ პერიოდში, რამდენიმე წლის განმავლობაში, მუჰამედი ხანიფი იყო; უფრო გვიან კი იგი საკუთარი რელიგიის შექმნას იწყებს, რაშიც მას, ბიოგრაფთა ცნობით, თავისი ხილვები დაეხმარა, რომელსაც ეპილეფსიის წყალობით ხედავდა. გადმოცემით, ერთხელ მას, როდესაც მთაზე ეძინა, ანგელოზი გამოეცხადა და იგი, წერა-კითხვის უცოდინარი, აიძულა გრაგნილი წაეკითხა. მუჰამედს ძალიან შეეშინდა. მან გადაწყვიტა, რომ იგი ავი სულით – ჯინით იყო შეპყრობილი. მაგრამ შემდგომ დამშვიდდა. ასე იწყება მუჰამედის გამოცხადებანი, რომელთა მეოხებითაც შეიქმნა ისლამის წმინდა წიგნი – ყურანი, რომელშიც ლაპარაკი იყო ერთიან, ყოვლის შემოქმედ ღმერთზე – ალაჰზე, რომლის წინაშეც ყველა ადამიანი უნდა წარსდგეს და ანგარიში ჩააბაროს. მუჰამედის მიხედვით, არსებობს ცის წიგნი, წიგნთა დედა, რომლიდანაც ნასესხებია ყველა გამოცხადება, რომელ სარწმუნოებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. ამ გამოცხადებებს შორის კი საუკეთესოა ყურანი.

შემდგომ იყო პერიოდები მუჰამედის ცხოვრებაში, როდესაც ხილვები აღარ განმეორდა. მუჰამედი ისევ შეშფოთდა, ისევ ეჭვებმა შეიპყრო, მაგრამ 2-3 წლის შემდეგ ხილვები განახლდა და მან ინტენსიური ხასიათი მიიღო. მისი ბიოგრაფების ცნობით, ახლა მან საბოლოოდ ირწმუნა, რომ იგი თავის ხალხთან გამოგზანილი ალაჰის ნამდვილი წინასწარმეტყველი იყო. უფრო გვიან, დადგა დრო, როდესაც იგი აღარ ელოდებოდა ასეთ ხილვებს, მას უკვე შეეძლო თვით გამოეწვია ისინი ნებისმიერ დროს.

მუჰამედმა ქადაგება თავის ახლობლებში დაიწყო. როგორც ბიოგრაფები აღნიშნავენ, საკმაოდ წარმატებითაც, მისი მჭევრმეტყველება, დამაჯერებლობა, უნარი, დაერწმუნებინა ადამიანები საკუთარი მოძღვრების ჭეშმარიტებაში, საკმაოდ პოპულარულს ხდიდა მას, მაგრამ მომხრეთა გარდა დიდი რაოდენობით მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, რომლებიც მას გიჟად აცხადებდნენ, დასცინოდნენ, ემუქრებოდნენ და სდევნიდნენ.

მათ განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მუჰამედი აშკარად ილაშქრებდა ძველი არაბული სარწმუნოების წინააღმდეგ, მათ შორის თავისი მშობლიური ქალაქის – მექის სალოცავების წინააღმდეგ, რაც მექას, როგორც რელიგიურ და სავაჭრო ცენტრს, საფრთხეს უქმნიდა, რადგან თუკი აღარ შეიკრიბებოდა ხალხი ქალაქში სალოცავად, ვაჭრობაც ჩაკვდებოდა. ამას კი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ფაქტი მექელთა გააფთრებას იწვევდა, მაგრამ მუჰამედი რაიმე დათმობაზე არ მიდიოდა. როგორც მისი ბიოგრაფები ამბობენ, ამას მას მთავარანგელოზი გაბრიელი (ჯებრაილი) უკრძალავდა.

მდგომარეობა მექაში ძალზე იძაბება. რაც უფრო აძლიერებდნენ მექელები მის დევნას, მით უფრო მკვეთრი და კატეგორიული ხდებოდა მუჰამედის ტონი. იგი ათასგვარი საშინელებებით და სასჯელით ემუქრებოდა იმათ, ვინც მის მოძღვრებას არ იზიარებდა. თავის ქადაგებებში მას პარალელები მოჰყავდა ბიბლიიდან, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა ებრაელები თავიანთი წინამძღოლის უარყოფისათვის, მაგრამ მექელებზე ასეთი მუქარა არ სჭრიდა. მათ მუჰამედისა უბრალოდ არ სჯეროდათ და, შესაბამისად, არც ეშინოდათ. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა გარდაიცვალა მუჰამედის მეუღლე ხატიჯე, რომელიც მის მფარველს და დასაყრდენს წარმოადგენდა. ასეთ მფარველს მოკლებული წინასწარმეტყველი საბოლოოდ ჰკარგავს იმედს, რომ მექელები მას როდისმე გაუგებენ. იმედგატეხილმა მუჰამედმა მექის გარეთაც სცადა ექადაგა თავისი მოძღვრება, მაგრამ აქაც მარცხი განიცადა. ამ დროისათვის იგი სულიერად თითქმის გატეხილი იყო.

სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი არაბთა სხვა, მნიშვნელოვანი ქალაქის, იასრიბის (მედინას) ფაქტორმა. როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, მედინაში ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იყო მისი მოძღვრების ქადაგებისათვის, რადგან აქ საკმაოდ ძლიერი იყო იუდაური გავლენა და ის იდეები, რასაც იუდეველები ავრცელებდნენ, და რაც შემდგომში ფუძემდებლური აღმოჩნდა ისლამისათვის, აქ ფართოდ გავრცელებული და პოპულარული აღმოჩნდა.

მიუხედავად ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობისა და მედინელთა კარგი დამოკიდებულებისა მუჰამედისადმი, წინა პერიოდში, არაერთგზის მარცხით დაშინებული მუჰამედი და მისი მომხრეები ძალზე ფრთხილობდნენ, დიდხანს საფუძვლიანად ამზადებდნენ მედინას მოსახლეობას ახალი მოძღვრების დასანერგად.

მუჰამედმა თავისი წარმომადგელები ადრევე გაგზავნა მედინაში. თვითონ კი იქ მხოლოდ 622 წლის 16 ივნისს წავიდა, როდესაც მას განრისხებულმა მექელებმა მოკვლა დაუპირეს. მექიდან მედინაში მუჰამედის გაქცევის თარიღი (ჰიჯრა)

საფუძვლად დაედო ისლამურ წელთაღრიცხვას, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მუჰამედისა და მისი მიმდევრების დამაჯერებელი გამარჯვებები. მართლაც, როგორც მუჰამედის ბიოგრაფები წერენ, მედინაში მან მიიღო ყოველივე ის, რაზე ოცნებაც არ შეეძლო მექაში: ხელისუფლება, პატივისცემა და თაყვანისცემა, მისი ავტორიტეტი კი უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მუჰამედი შესანიშნავი ორგანიზატორი აღმოჩნდა. მედინაში მან თეოკრატიული მმართველობა შექმნა. ებრაელთა და ქრისტიანთა წაბაძვით მოაწყო თავისი კულტი – ააშენა მეჩეთი, სადაც მის მომხრეებს და თანამგრძნობებს სათანდო სულიერი წვრთნა უნდა გაევლოთ, იგი თვითონ ასწავლიდა, თუ როგორ ეცათ თაყვანი ალაჰისათვის, რა რიტუალები შეესრულებინათ, როგორ ეცხოვრათ.

ყველაფერი მიდიოდა იმისაკენ, რომ შექმნილიყო ახალი იდეოლოგია, ახალი რელიგია, რომელიც ახალ საფუძველზე (რელიგიური კავშირით) შეაკავშირებდა არაბულ ტომებს. ახლა უკვე ალაჰისადმი რწმენას და არა სისხლისმიერ კავშირს უნდა გაეერთიანებინა არაბული ტომები, რითაც ისინი შეძლებდნენ დაუნდობლად ებრძოლათ საგარეო, დაპყრობით ომებში არამართლმორწმუნეთა წინააღმდეგ: “ოდეს ურჯულოებს შეხვდეთ, - ნათქვამია ყურანში. ჰოდა! ამოჰხოცეთ ისე, რომ დიდი ხოცვა-ჟლეტა ჩაიდინოთ...” (47,4). გარდა ამისა, ახალი რელიგია მათ უნერგავდა, რომ თუკი ისინი დაეცემოდნენ მტერთან ბრძოლაში, ეს ალაჰის ნება იქნებოდა და მისივე ნებით ისინი აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდნენ. ეს რწმენები, შეერთებული მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილთან, დიდ ენთუზიაზმს ბადებდა და წარმატებით აბრძოლებდა ისლამის მეომრებს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მუჰამედმა ბევრი რამ ისესხა იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. იგი მართალია, არ უარყოფს ამ რელიგიათა წმინდა წიგნებს, მათ ხშირად ახსენებს და ხმარობს, აღიარებს მოსეს და ქრისტეს არსებობასაც, მაგრამ თანდათან იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა შექმნას თავისი საკუთარი რელიგია, საკუთარი ღირებულებანი, გამომდინარე საკუთარი ხალხის ბუნებიდან და არა სხვის მიერ შექმნილი და მოტანილი. რწმენა, რომელიც უფრო ჭეშმარიტი იქნება სხვა რელიგიებზე: “თავისი მოციქული (მუჰამედი, ალაჰმა – თ.ფ.), - ნათქვამია ყურანში, - მოავლინა წარმართებით და ჭეშმარიტების სარწმუნოებით განმტკიცებული, რათა ყოველი სარწმუნოების უმაღლეს დაეყენებინა (48, 28).

ამ მიმართებით მოხდა ე.წ. “ყიბლის” დადგენა. თუკი თავდაპირველად მუჰამედის მიმდევრები ლოცვისას სახით იერუსალიმისაკენ იყვნენ მიბრუნებულნი, ახლა მექის მიმართულებით უნდა დამდგარიყვნენ. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არაბებისათვის. ჯერ ერთი, ამით ისინი განუდგნენ როგორც იუდეველებს, ისე ქრისტიანებს, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ებრაული ხელისუფლების განადგურება მედინაში, მეორე მხრივ, მუჰამედმა ამით მკვეთრი ნაბიჯი გადადგა მექის შემორიგებისა და დამორჩილებისაკენ, რადგან მექა ფაქტობრივ-რელიგიურ ცენტრად აღიარა. მართალია, ჰიჯრის შემდეგ მექელებსა და მედინელებს შორის ბევრი ურთიერთშეტაკება მოხდა, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა, მაგრამ უკვე 630 წელს, როდესაც მუჰამედი დიდი არმიით დაიძრა მექის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთ დიდი წინააღმდგეობა არ გაუწევიათ, რადგან დაიცვეს

უმნიშვნელოვანესი პირობა – მექა დარჩა რელიგიურ ცენტრად. შეინარჩუნეს ქააბას ტაძარი და მასში მდებარე შავი ქვის თაყვანისცემაც.

რაც შეეხება არაბების ძველ ტომობრივ კერპებს, ისინი მუჰამედმა ან სრულიად გაანადგურა, ან შინაარსი შეუცვალა, სრულყო და ამით თავისი რჯულთმოძღვრების ნაწილად აქცია. ასეთი მიდგომით, მკვლევართა აზრით, იგი გახდა მემკვიდრე ეროვნული რელიგიური ტრადიციებისა, ხოლო თავისი რელიგია ნაციონალურ რელიგიად გამოცხადა. ამის შემდეგ ისლამი სწრაფად გავრცელდა მთელს არაბეთში. მართალია 632 წელს მუჰამედი გარდაიცვალა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ისლამის შემდგომი სწრაფი გავრცელებისათვის სხვა ქვეყნებში...

აი, ძირითადად ყველაფერი ის, რაც მუჰამედის შესახებ ვიცით, მის ბიოგრაფიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველაფერი ნათელი და გასაგებია. გასარკვევი და ასახსნელი რჩება მხოლოდ მუჰამედის ესოდენ წარმატების მიზეზი და ისლამის სწრაფი გავრცელების საიდუმლოება. ამ საკითხის გარკვევა, თუ როგორ მოახერხა ახალმა რელიგიამ რამდენიმე ათწლეულში იმ გზის გავლა, რის გავლასაც ქრისტიანობა რამდენიმე ასეულ წელიწადს მოუნდა. როგორ დასძლია მან სხვა რელიგიების, პირველ რიგში კი იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენა და ავტორიტეტი. როგორ შეძლო წერა-კითხვის უცოდინარმა არაბმა ნოქარმა და მწყემსმა გამარჯვება ეზეიმა იქ, სადაც ნაწილობრივ მაინც ცნობილი იყო მოსესა და ქრისტეს რჯული.

მუჰამედი ხომ ქრისტესაგან განსხვავებით ძე-ღვთისად არ თვლიდა თავს. მისი მტკიცებით, ის მხოლოდ ალაჰის წინასწარმეტყველი იყო. იგი არც სასწაულმოქმედად ჩაითვლება, რადგან სხვა შემთხვევაში, ალბათ, თავის შვილებს უშველიდა, რომლებიც უმეტესად პატარა ასაკში დაიხოცნენ.

მუჰამედი, სხვა სარწმუნოების და ფილოსოფიის პოზიციებზე მდგომი ადამიანისათვის, არც მაღალი ზნეობის ეტალონად გამოდგებოდა. როგორც რელიგიის ისტორიკოსი ა. მენზისი წერდა: მისი საქციელი დროდადრო ისეთი იყო, რომ გაოცებას იწვევს, თუ როგორ არ დაკარგა მან ხალხში პატივისცემა, გავლენა და ავტორიტეტი.

ის, რაც მან გამოცხადების სახით შესთავაზა თავის მორწმუნეებს (ყურანი), კომპილაციურ წიგნს წარმოადგენდა, მასში ობიექტური მკითხველი ვერ შეხვდება იმ ბრწყინვალე სტილს, რომელიც ბიბლიურ ეკლესიასტეშია, იმ სიბრძნეს, რაც იობის წიგნშია, ან იმ მაღალ პოეზიას, როგორც ქება-ქებათაში არის გადმოცემული. მასში არც იესოს მთის ქადაგების ბადალი ადგილი მოიძებნება. მართალია, ზოგი ავტორი ლაპარაკობს იმ მაღალ პოეზიაზე, რომელიც ყურანის ორიგინალში (არაბულ ენაზე) არის, მაგრამ მთლიანობაში ეს მაინც არ არის ორიგინალური წიგნი, მას ხომ გამოკვეთილი საერთო ქარგაც არ გააჩნია და, შესაბამისად, მისი გაგებაც ერთობ ჭირს.

მაშ, რაში მდგომარეობს მუჰამედის პოპულარობისა და საყოველთაო თაყვანისცემის მიზეზი? პირველ რიგში, ალბათ, იმაში, რომ მან თავის ხალხს შესთავაზა მისი ბუნებიდან და ყოფიდან გამომდინარე (თუმცა ბევრ შემთხვევაში ნასესხები), მაგრამ თავისებურად გადაკეთებული, მარტივი რწმენა, თავისუფალი იმ

ბუნდოვანებისა და სირთულისაგან, რაც ქრისტიანობას ჰქონდა. მის საფუძველზე შეკრა ხალხი, დაარწმუნა საკუთარი რწმენის უპირატესობაში და გაამზადა ხანგრძლივი ექსპანსიისათვის, ხოლო დაპყრობითი ომები, ძარცვა და სხვა სარწმუნოების ხალხის დასჯა ღვთის სასურველ საქმედ გამოცხადა. შედეგმაც არ დააყოვნა, ისლამი ცეცხლითა და მახვილით სამი კონტინენტის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა.

გაზეთი “შარავანდი” N1(29), 1993 წ.

გაზეთი “ლიტერატურული საქართველო” N5, 29. 01. 1993 წ.

V. ისას მუსლიმები იესო ქრისტეს უძახიან

როგორც უკვე ვთქვით, მუჰამედი წინასწარმეტყველთაგან სულ ბოლოს, მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში მოვიდა, მანამდე კი იყვნენ კრიშნა, ბუდა, მოსე, ქრისტე – ამათაგან, კრიშნა და ბუდა ძალზე დიდი ხნის წინ, სხვა ადგილას, სხვა პირობებში და გარემოებებში მოვიდნენ. მათი მოძღვრება სხვა საფუძველზე იყო აღმოცენებული. ამიტომ ინტერესი მათ მიმართ მუსლიმებში ნაკლებად შეიმჩნევა. სამაგიეროდ, ისლამი მრავალმხრივ არის დავალებული იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. შესაბამისად, იგი, ვერავითარ შემთხვევაში, გვერდს ვერ აუვლიდა მათ დამაარსებლებს: მოსესა და ქრისტეს, ამიტომაც, მათი სახელები ხშირად იხსენიება ყურანში. ცხადია, მუსლიმები იესო ქრისტეს ცხოვრებას და მოძღვრებას თავის პრიზმაში ატარებენ, თავისებურად აღწერენ და სახელსაც თავისებურს – ისას უწოდებენ.

თუ ისლამის შესახებ ენციკლოპედიურ სიტყვანს გადავშლით და ისას მოვნახავთ, მასში ნათქვამია: “ისა ყურანის პერსონაჟია, განსაკუთრებით პატივსაცემი წინასწარმეტყველი, მუჰამედის წინამორბედი, რომელსაც ქრისტიანები იესო ქრისტეს უწოდებენ. ყურანში მას ასევე უწოდებენ ალ-მასიხს (“მესია”), იბნ მარიამს (“ძე მარიამის”), აბდ-ალაჰი (“ალაჰის მონა”), რასულ ალაჰი (“ალაჰის დესპანი, მოციქული”), სალიხი (“წმინდანი”), ყალიმა (“სიტყვა”), ალაჰისა, კაულ ალჰაკკი (“ჭეშმარიტების გამოთქმა”) და ა.შ. და მას გარდმოევლინა ღვთის მადლი და ზეშთაგონებით მიიღო გამოცხადება – “ინჯილი”.

ვერსიები ისას (იესოს) შესახებ ყურანში, ცხადია, უმეტესად სახარებებიდან იღებს სათავეს...

ყურანში საკმაოდ დაწვრილებით არის მოთხრობილი ისას (იესოს) სასწაულებრივი დაბადების ამბავი: კერძოდ, როდესაც მარიამი განეშორა თავის სახლობას და აღმოსავლეთისაკენ წავიდა, პირბადე გაიკეთა, რათა ვერავის დაენახა და ეცნო, მის წინაშე მშვენიერი მამაკაცის სახით წარსდგა სული და მარიამს მიმართა: “შენის უფლის მიერ მოვლინებული ვარ, რათა შეგძინო ძე წმინდა”. “ როგორ თუ ძე შემეძინოს, გაკვირვებული ეკითხება მარიამი, ჯერ მამაკაცი არ შემხებია და არც ქალი

ვარ გარყვნილი.” რაზედაც კაცი პასუხობს – უფლის ბრძანებაა: “...იგი იქმნეს, ჩვენ სასწაულად ერის წინაშე და ჩვენის მოწყალების დასამტკიცებლად. წინასწარ განგებულობა წარმოითქვა” (19: 16-21).

მარიამი მართლა დაფეხმძიმდა. როცა დრომ მოაწია, იგი სახლს განეშორა. მშობიარობის ტკივილმა იგი ერთი ინდის ხურმის ხესთან შეიპყრო. იქვე ჩამოჯდა და სასოწარკვეთილმა თქვა: სჯობია მოვკვდე და ყველასგან დავიწყებული ვიყოო. მაგრამ, უფალს იგი არ დავიწყებია.

მარტომყოფს ვიღაც შეეხმიანა: “...ნუ ჰსწუხარ: შენმა უფალმა ფეხთ გიდინა წყარო. გაანძრიე ინდისხურმის შტო, მწიფე ინდისხურმა ჩამოგიცვივა, ჭამე და სვი და ინუგეშე ხოლო თუ კაცი ნახო, უთხარი: ყრმა შევწირო მოწყალესა; დღეს არა კაცს ველაპარაკები” (19: 24-27).

როდესაც ნამშობიარები მარიამი სახლში ყრმით დაბრუნდა, შეშფოთებულმა და შეწუხებულმა ნათესავებმა გაიოცეს და უთხრეს: “მარიამ მამაშენი არ ყოფილა ბოროტი კაცი, არც დედაშენი გარყვნილი და შენ ეს რა საოცარი საქმე დაგმართვიაო?

მარიამმა პასუხად ყრმაზე მიუთითა, მას დაელაპარაკეთო... გაოცებულ ნათესავებს სასწაულებრივად ამეტყველებულმა ახალშობილმა გამოუცხადა: “ღვთის მსახური ვარ, წიგნი მომანიჭა და წინასწარმეტყველად დამადგინაო” (19: 28-31).

მაშ ასე, ისა (იესო) სასწაულებრივად ჩაისახა, დაიბადა და მაშინვე ალაპარაკდა, მაგრამ ყურანის მიხედვით, რად მოევლინა იგი ქვეყანას – ღმერთად, ადამიანად თუ წინასწარმეტყველად?

მკვლევართა მიხედვით, ისას ყურანში გასაკუთრებული ადგილი უკავია, მას მიაკუთვნებენ ალაჰთან დაახლოებულთა (მუკარაბუნი) რიცხვს (3:40), რაც იმის საბაბს იძლეოდა, რომ ელაპარაკათ მის ნახევრად ანგელოზურ ბუნებაზე, ამასვე მოწმობს მისი შემდეგდროინდელი ამაღლებაც ზეცაში, ალაჰთან (3:48; 4:156).

მუსლიმთა წმინდა წიგნის მიხედვით, ისა მსგავსია პირველი ადამიანის – ადამისა: “ღვთის თვალში, – ნათქვამია ყურანში, - იესო იგივეა, რაც ადამ. ღმერთმა კაცისაგან დასახა იგი, შემდეგ ჰსთქვა: “იყავიო და იგიც იქმნა” (3: 52).

რაც შეეხება ისას მომავალს, მასზე ყურანში ლაპარაკია ანგელოზის წინასწარმეტყველებაში:

“მას ასწავლოს წიგნი და სიბრძნე, დაბადება და სახარება, იესო იქმნეს მისი მოვლინებული ისრაელის შვილთა მიმართ. მათ უთხრეს: მე მოვდივარ თქვენთან უფლის სასწაულებ თანახლებული; ჩიტის ნაკვთი გავაკეთო თიხისაგან, სული ჩავბერო და ღვთის ნებით ჩიტი გასულდგმულდეს; შობით ბრმა და კეთროვანი განვკურნო; მკვდრები აღვადგინო ღვთის ნებით; გითხრათ, რაცა ჰსჭამოთ და დამალოთ თქვენს სახლებში, ყოველი ეს მოქმედება თქვენთვის სასწაულად იქმნეს, თუ მორწმუნე ხართ” (3: 43).

მუსლიმთა წმინდა წიგნის მიხედვით, ადამიანთა ერთმა ნაწილმა ირწმუნა ისას ქადაგების ჭეშმარიტება და მას გამოუჩნდნენ კიდეც დამხმარე მოციქულები (ჰავარიიუნ) (3: 52/45 – 53/46; 61:14) და როდესაც, მათ უფალს ზეციდან სუფრის გარდმოვლენა და დაპურება შესთხოვეს, ალაჰმა შეიწყნარა მათი თხოვნა და გარდმოუვლინა.

ძე მარიამისა, ყურანის მიხედვით, განსაკუთრებით პატივსაცემია მუსლიმთათვის იმიტომაც, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მუჰამედთან, რომლის მოვლინება მან ჯერ კიდევ ადრე, მთელი ექვსი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა:

“იესო, მარიამის-ძე, თავის ხალხს ეუბნებოდა: ისრაელის შვილებო! ღვთის მოციქული ვარ, თქვენდამი მოვლინებული, რათა განვამტკიცო დაბადება, რომელიც ჩემს უწინარეს მოგეცათ, და გაუწყოთ მოსვლა ჩემ შემდეგ მოციქულისა, რომლისაც სახელი იქმნეს აჰმედ, ხოლო როცა მან (იესომ) ცხადი სასწაულები ახილვებინა მათ, ჰსთქვეს: ცხადი თვალთმმაქცობაა” (61:6).

ისევე როგორც მუჰამედს, ისასაც ჰყავდა დამხმარე, რუჰ ალ კუდუსი (“სული წმინდა”), რომელიც ჩვეულებრივ, გაიგივებული იყო ჯებრაელთან:

“ჩვენ ვუბოძეთ სჯულის წიგნი მოსესა და სხვათა მოვლინებულთა მიერ მისი მიმხრობა ვბრძანეთ; იესოს, მარიამის ძეს, ცხადი სასწაულები (მისი მოვლინებისა) მივანიჭეთ და სიწმინდის სულითაც განვამტკიცეთ. ყოველთვის, როცა მოვლინებულ (უფლის მიერ) თქვენ გულისთქმათა მიუფერებელს გამოცხადებას მოგანიჭებდათ, დიდგულობისაგან თავს გადადიოდით: ზოგიერთებს მატყუარებად ჰსთვლიდით, ზოგსაც ჰკლავდით” (2:81).

ამავე თავის მეორე ადგილას ნათქვამია:

“წინასწარმეტყველნი ერთნი მეორეთა უმაღლეს ავწიეთ. უმაღლეს არიან იგინი, რომელთაც ღმერთი ეუბნა. იესო, მარიამის ძე, ცხადის სასწაულების თანხლებით მოვავლინეთ და სიწმინდის სულით განვამტკიცეთ. ღმერთს რომ ენებებინა, ვინც მათ შემდეგ და სასწაულთა გამოცხადების შემდეგ მოვიდნენ, აღარ დაიხოცებოდნენ. მაგრამ ცილობა დაიწყეს მათ; ზოგიერთებმა იწამეს, სხვები კი ურწმუნო იქმნენ. ღმერთს რომ ენებებინა, აღარ დაიხოცებოდნენ; ხოლო ღმერთი მას მოიმოქმედებს, რასაც ინებებს” (2:254).

აქედან გამომდინარე, ყურანის მიხედვით, იესო წინასწარმეტყველია, სასწაულების ჩამდენია, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის არც ღვთაება, და არც ძე ღვთისა. იგი მხოლოდ ალაჰის მონაა, მსახურია, უბრალოდ, კაცია:

“იესო მხოლოდ მსახურია (კაცი), რომელიც ჩვენის წყალობით ავავსეთ და რომელიც მაგალითად დავჰსდეთ ისმაელის შვილთათვის” (43:59).

ყურანის მეორე ადგილას უფრო ვრცლადაა ამის შესახებ საუბარი:

“ურჯულოა, ვინც ამბობს, ღმერთია მესია, მარიამის ძეო. განა თვითონ მესიამ არა ჰსთქვა: ისრაელის შვილებო, თაყვანი ეცით ღმერთსა, რომელიც ჩემი უფალია და თქვენიცაო? ვინც ღმერთს სხვა ღმერთებს დაუამხანაგებს, ღმერთმა მათ აუკრძალოს წალკოტში შესვლა და სამყოფადაც ცეცხლი ექმნეს. უკუღმართები შველას ნუღარ ელიან” (5:76).

ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით გამოირჩევა ყურანის მეცხრე თავი (“თავისუფლება, ანუ სინანული”), რომელშიც ნათქვამია:

“ურიები ამბობენ: ოზაირ ძე ღვთისა არისო. ქრისტიანები ამბობენ: მესსია ძე ღვთისა არისო; ასეთია მათ პირთა სიტყვები. იგინი ემსგავსებიან, ამის მეტყველნი, უმანდელ ურჯულოებსა. ღმერთმა იომოს იმათზე. რა ცრუ არიან.

თავიანთი მწიგნობრები, თავიანთი ბერები და მარიამის ძე მესსია ღვთის უმეტეს, თავიანთ ბატონებად მიიჩნიეს; თუმცა, ებრძანათ თაყვანისცემა მხოლოდ ღვთისა, რომლის თვინიერ არა არს სხვა ღმერთი. შორს მისი დიდებისაგან ღმერთები, რომელთაც მას უამხანაგებენ!” (9:30-31).

ყურანი განსაკუთრებით ილაშქრებს ქრისტიანობის უმთავრესი დოგმატის – სამების წინააღმდეგ, რომელშიც მუსლიმთა აზრით, იგულისხმება სამი ღვთაება – ალაჰი, ისა და მისი დედა მარიამი:

“თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! თქვენს სარწმუნოებაში ჭეშმარიტ საზომს ნუ გადახვალთ, ღვთისა ჰსთქვით მხოლოდ, რაც მართალია. მესია, იესო მარიამის-ძე, მოციქულია ღვთისა და მისი სიტყვა, რომელიც მარიამს შთაუგდო, ღვთისაგან მომავალი სულია. მაშ ღმერთი და მისი მოციქულები იწამეთ, და ნუღარ იტყვით, სამება არისო. თავი დაანებეთ. თქვენთვის უფრო სასარგებლო იქმნეს. ვინადგან ღმერთი ერთი არს. დიდება მასა; როგორ ეყოლებოდა ძე? მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცა ცათა შინა და ქვეყანაზე, მისი მფარველობა კმარა; საკმაოა, მფარველად ღვთის ყოლა.

მესია არ თაკილობს, ღვთის მსახურ იყოს, არც უმეტესია ანგელოზებისა, რომელნიც ღმერთს ახლავან” (4:169 - 170).

სხვა ადგილას ამის შესახებ ყურანში ნათქვამია:

“ურჯულოა, ვინც ამბობს: ღმერთი მესამეა სამებისაგანო, მაშინ როდესაც არა არს ღმერთი თვინიერ ერთადერთის ღვთისა. თუ არ დაიშალონ... უეჭველად ურჯულოებს სავალალო სასჯელი ეწიოსთ” (5:77).

კიდევ ერთი ფრაგმენტი ამ აზრის გასამაგრებლად:

“ღმერთმა მაშინ იესოს უთხრა: გითქვამს განა ოდესმე ხალხისათვის: ღმერთებად მიგვიღეთ მე და დედაჩემი. თანასწორ ერთადერთის ღვთისაო? შენმა დიდებამან! არა, როგორ შემეძლო მეთქვა, რაც მართალი არაა? მე რომ მეთქვა, შენ არ გეცოდინებოდა? შენ უწყი, რაცაა ჩემი სულის სიღრმეში, მე კი არ ვიცი, რაც შენის სულის სიღრმეშია, ვინადგან საიდუმლოებს მხოლოდ შენ ტყობილობ” (5:116).

ყურანი კატეგორიულად უარყოფს ისას (იესოს) ჯვარზე გაკვრის ფაქტსაც. ამტკიცებს, რომ იმის მტრების მტკიცებებისაგან განსხვავებით, იგი არც მოუკლავთ და არც ჯვარს უცვამთ, ეს მხოლოდ წარმოუდგათ მათ:

“ამბობენ, - ნათქვამია ყურანში, - ჩვენ მოვკალით მესია, იესო მარიამის ძე, ღვთის მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილს მოიყვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰყოფდენ, თვითონ იგინი იჭვნეულობდნენ. ჭეშმარიტის ცოდნით არ იცოდნენ, მხოლო ზრახვას მიჰყვებოდენ. სრულიად არ მოუკლავთ, ღმერთმა აღიტაცა თავისადმი და ღმერთიც შემძლე და ბრძენია” (4:156).

ზეცას, ალაჰთან ამაღლებული ისა, მუსლიმების აზრით, იქ დარჩება სამსჯავროს (აღდგომის) დადგომამდე:

“აგრეთვე შევიწყნარეთ აღთქმა მათი, რომელნიც ამბობენ ქრისტიანები ვართო; მაგრამ მათაც დაავიწყდათ ერთი ნაწილი მის, რაც მათთვის უსწავლებიათ. მათ შორის ჩამოვაგდეთ მტრობა და სიძულვილი, რამაც აღდგომის დღემდე უნდა გაატანოს, ღმერთმა მათ აუწყოს, რაც ჩაიდინეს” (5:17).

სამსჯავროს დღეს ისა (იესო), როგორც სხვა წინასწარმეტყველები, წარდგება ალაჰის წინაშე და ამხელს არამორწმუნეთა შეცოდებას.

“იმ დღეს, როცა ღმერთმა თავისი მოვლინებული მოციქულები შეჰყაროს, ჰკითხოს მათ: რა გიპასუხეს თქვენაო? იმათა ჰსთქვან: “ჩვენ ხელთ არაა მეცნიერება, მხოლოდ შენ უწყი საიდუმლონი” (5:108).

ისას მეორედ მოსვლის მინიშნებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი იქნება მომავალი სამსჯავროს ნიშანი:

“ჟამის მოახლოვების მაჩვენებელი იქმნეს იგი, - ნათქვამია ყურანში, - ნუ ეჭვობთ; მომყევით, ვინადგან ესაა ჭეშმარიტი გზა.

სატანამ არ გადაგახვევინოსთ, ვინადგან თქვენი გაცხადებული მტერია” (43:61-62).

ისას (იესოს) შესახებ ლაპარაკია არა მარტო ყურანში, არამედ საღმრთო მუსლიმურ გადმოცემაშიც. სპეციალისტთა აზრით, მუსლიმური გადმოცემა დაწვრილებით ავსებს და აფერადებს ყურანის მიერ გამოყოფილ ქრისტიანულ ლეგენდებს. კერძოდ, შობის ისტორიას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასში იძენს ესქატოლოგიური მოტივები, რომლებიც ყურანში თითქმის გამოხატული არ არის. მუსლიმურ თქმულებებში სამყაროს აღსასრულისას ისა (იესო) ხან ალ-მაჰდის გვერდით მოქმედებს, ხან კი სულ დევნის და ცვლის მას. ამ ლეგენდების მიხედვით, ისა სამოთხეში სუფევს და იქიდან მხოლოდ სამყაროს აღსასრულის წინ დაეშვება პალესტინაში, სადაც მოკლავს აჯაჯელას და დაამყარებს მიწაზე სამართლიანობის სამეფოს. შემდეგ ისაც მოკვდება, და დამარხული იქნება მედინაში, მუჰამედის გვერდით. შემდეგ კი ისინი ერთად აღდგებიან მკვდრეთით. მეჩეთში, მედინაში, დღესაც აჩვენებენ იმ ადგილს, რომელიც განკუთვნილია ისას დამარხვისათვის,

ყურანის შემდგომ პერიოდში მუსლიმებში ფართო გავრცელებას პოულობს ისას ალაჰის სულად (“რუჰ ალაჰ”) გამოცხადება.

ის, რომ ყურანმა გაცილებით მეტი იცის ისას, ვიდრე სხვა წინასწარმეტყველების შესახებ, ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან იმ დროისათვის, როგორც უკვე ვწერდით, ქრისტიანობა არაბეთში კარგად იყო ფეხმოკიდებული, ხოლო ქრისტიანული ლეგენდები – საკმაოდ ცნობილი. გარდა ამისა, პირველი მუსლიმები ინფორმაციას ქრისტიანობის შესახებ სხვადასხვა ქრისტიანული წრეებიდან ღებულობდნენ. მათ შორის – ეთიოპელი და იემენელი მონოფიზიტებიდან, სირიელი მართლმადიდებლებიდან, წვრილი სექტანტური მიმდინარეობების მომხრეებიდან. როგორც სპეციალისტები სამართლიანად მიუთითებენ, ყურანისათვის ცნობილია ზოგიერთი აპოკრიფული სახარებებიც, მაგალითად, ბავშვობის სახარება...

თუკი ყურანში გადმოცემულ იესო ქრისტეს ცხოვრების ამბებს კანონიკურ სახარებებში გადმოცემულ ვერსიებს შევადარებთ, ძალიან ბევრ გადახვევას და დამახინჯებას ვნახავთ. მაგრამ, როგორც ყურანის მკვლევარები სამართლიანად მიგვითითებენ, ყურანის ზოგიერთი წარმოდგენა, რომელიც ქრისტიანული შეხედულებების დამახინჯებად გვეჩვენება, სინამდვილეში ასახავენ სხვადასხვა ქრისტიანული სექტების, იუდაურ-ქრისტიანულ და ნაწილობრივ ქრისტეს გნოსტიკურ სახეს.

ბევრი სპეციალისტის აზრით, ყურანის მრავალი ადგილი მოწმობს, აშკარა სიმპათიას ქრისტიანობისადმი, განსაკუთრებით მისი შექმნის საწყის პერიოდში. სურა “მარიამი”, სადაც ვრცლად არის მოთხრობილი ამბები ისას დაბადების შესახებ, მუჰაჯირების მიერ ეთიოპელთა წინაშე იკითხებოდა როგორც საბუთი, დასაბუთება მუჰამედის ქადაგების სიახლოვისა ქრისტიანობასთან.

როგორც ენციკლოპედიური სიტყვანი გვამცნობს, ისა გახდა განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტი ზოგიერთ მუსლიმურ მიმდინარეობაში. მაგალითად, აჰმადიის თემის წევრები თვლიან, რომ იერუსალიმში გადარჩენილი ისა სულაც ქაშმირში მოკვდა, იქვე დაასაფლავეს, შემდეგ კი მკვდრეთით აღდგა და განსახიერდა თემის დამაარსებელში. ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში, პირიქით, ისას არქმევდნენ უკანონოდ დაბადებულ ბავშვებს.

თუ ყველაფერ ზემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუჰამედმა მართლაც გვერდი ვერ აუარა იუდაიზმსა და ქრისტიანობას. მათ მსოფლგაგებას, მოძღვრებას, კულტს, რელიგიურ წიგნებს, გავლენას, განსაკუთრებთ კი იესო ქრისტეს პიროვნებას. მაგრამ ყოველივე ეს თავის პრიზმაში გადატეხა, თავის მოძღვრებას შეუსაბამა და ისე შეიტანა ყურანში, ხოლო მისმა მიმდევრებმა საღმრთო გადმოცემაში – სუნაში.

მუსლიმთა მოძღვრების მიხედვით, ქრისტე, რასაკვირველია, რეალურად არსებობდა. იგი დიდი მოციქული და წინასწარმეტყველი იყო. შესაბამისად, ბევრი რამ, რაც სახარებაშია აღწერილი, სიმართლეს შეესატყვისება, მაგრამ ისა (იესო) არც ღმერთი ყოფილა, არც ძე ღვთისა და იგი არც ჯვარზე გაუკრავთ. საბოლოოდ იგი ქაშმირში აღესრულა და იქვე დაასაფლავეს და მხოლოდ შემდეგ აღდგა მკვდრეთით.

ისას ერთ-ერთ უპირველეს და უმთავრეს ღირსებად, მუსლიმთა მიხედვით, ის ითვლება, რომ მან იწინასწარმეტყველა მუჰამედის დაბადება...

ყველასათვის ცხადია, რომ მუსლიმთა ასეთი ვერსიები თუ ინტერპრეტაციები სრულიად მიუღებელია ქრისტიანთათვის, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა...

მხოლოდ ერთს ვიტყვი:

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოში რელიგიისადმი გულგრილობამ, მატერიალიზმმა და ათეიზმა იმძლავრა, როდესაც ოფიციალურ ეკლესიებს ძალიან გაუჭირდათ, ამ მოვლენის დაძლევისათვის დაიბადა ყველა რელიგიის გაერთიანების იდეა, სურვილი ერთობლივი ძალებით გამკლავებოდნენ ღვთის უარყოფის ტენდენციას, დაპირისპირებოდნენ მასობრივ ურწმუნოებას, ამან კი ჯერ ეკუმენურ მოძრაობაში იჩინა თავი (ცდაში გაეერთიანებინათ დაქსაქსული და დანაწევრებული ქრისტიანული მიმართულებები), შემდეგ კი, განზრახული იყო ურთიერთობის აღდგენა და კავშირის შეკვრა ერთ საფუძველზე მდგარ იუდაიზმსა და ისლამთან, მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილმა მასალამ გვიჩვენა, მათ შორის იმდენი ურთიერთწინაამდეგობა იყო, რომ ამის ცხოვრებაში განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

უფრო გვიან პერიოდში, როცა მატერიალიზმისა და ათეიზმის ეს ტალღა ჩაცხრა, როგორც კი ცალკეულმა ქრისტიანულმა კონფესიებმა პოზიციები გაიმაგრეს, მათ არამც თუ სხვა რელიგიებთან, არამედ თავისივე რჯულთმოძღვრების სხვა მიმართულებებთანაც აღარ ისურვეს კავშირი, ერთიან პლატფორმაზე დადგომა. ამიტომაც, ბევრმა კონფესიამ, საკუთარი რჯულთმოძღვრების სპეციფიკის დაკარგვის შიშით, ეკუმენურ მოძრაობასაც შეაქცია ზურგი (მათ შორის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც).

მაშ, რაღა რჩება? სამწუხაროდ, რელიგიათა შორის მხოლოდ ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთმტრობა. დღის წესრიგში ისევ და ისევ დგას, ისევ აქტუალურია საკითხი, თუ ვინ ვის? სხვაგვარად, რომელი რელიგია აღმოჩნდა უფრო ჭეშმარიტი, რომელი რომელს აჯობებს და რომელი დაიმკვიდრებს მსოფლიოში ბატონობას. ყოველივე ამას კი, ცხადია, მშვიდობა, ურთიერთგაგება და კეილდღეობა როდი მოაქვს ისედაც გაჭირვებასა და უბედურებაში ჩავარდნილი მსოფლიოს ხალხებისათვის.

გაზეთი “ახალი საქართველო”, 5 (54), 5 -10 მარტი, 1999 წ.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ძლიერნი ამა ქვეყნისანი და რელიგია

ტომის ბელადები, ბასილევსები, კეისრები, მეფეები, იმპერატორები, მხედართმთავრები, საჩინონი, სხვანი და სხვანი, რომელთაც ხშირად “ძლიერთ ამა ქვეყნისანთს” ვუწოდებთ, თავისი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, სურდათ მათ თუ არა, გვერდს ვერ აუვლიდნენ რელიგიას, რწმენას, ღვთის თაყვანისცემას. მათი დამოკიდებულება უზენაესისადმი, რასაკვირველია, ერთგვაროვანი არ იყო. ზოგი მოწიწებით და მორიდებით შეჰყურებდა ყოვლადძლიერს, თავს იდრეკდა და იმდაბლებდა მის წინაშე, გულმხურვალედ ლოცულობდა მასზე, მტრის დამარცხებას და თავის გამარჯვებას შესთხოვდა უფალს და ამისათვის, არც უამრავ უსისხლო თუ სისხლიან მსხვერპლს იშურებდა... სხვები, მიწიერი ძალაუფლებით აღზევებულნი, ამქვეყნიური დიდებით მთვრალნი, ცდილობდნენ ამაღლებულიყვნენ ადამიანურ ბუნებაზე და თავი ზებუნებრივისათვის გაეტოლებინათ. ქვეშევრდომებისგან მოითხოვდნენ მისთვის, ისევე, როგორც ღმერთებისათვის თაყვანი ეცათ და მსხვერპლიც სათანადოდ შეეწირათ. ცხადია, მათ ავიწყდებოდათ (ან ივიწყებდნენ), რომ ისინი არც უკვდავნი იყვნენ და არც მარადიულნი. ამიტომ, მათი “განგება” ძალზე ცოტა ხანს თუ ბატონობდა დედამიწის რომელიღაც ნაწილში. ასეთი “ურთიერთობა” უზენაესსა და “ძლიერთ ამა ქვეყნისანთს” შორის კაცობრიობის თითქმის მთელ ისტორიას გასდევს. მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორჯერ იყო სერიოზული ცდა ადამიანები მოეწყვიტათ რელიგიისაგან - ფაშისტებისა და კომუნისტების დროს. მაგრამ, როგორც ვიცით, ფაშიზმმა საშინელი კრახი განიცადა. ხოლო, ასევე დამარცხებული კომუნისტების თავკაცებმა უზარმაზარი სანთლები დაიჭირეს ხელში და ღმერთს შენდობა სთხოვეს...

ძალზე საინტერესოა თვალი გავადევნოთ ამ პროცესს, ადამიანთა ამპარტავნებას, უზენაესთან ჭიდილს და ღმერთად გახდომის სურვილს, რადგან გონიერი ადამიანისათვის არავინ არ არის ისეთი ჭკვიანი და ობიექტური მასწავლებელი, როგორც ისტორია. სათანადო დასკვნების გაკეთებაც ხომ მხოლოდ აქედან შეიძლება. ამ ურთიერთობას მრავალმა ხელოვანმა უძღვნა თავისი ნაწარმოები, სათანადო კუთხითაც ასახა იგი. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ გამოჩენილი ჩეხი მწერლის კარელ ჩაპეკის მოთხრობას “ალექსანდრე მაკედონელის ბარათი სტაგირედან ათენის ლიცეუმის დირექტორს არისტოტელეს”, რომელშიაც ავტორი ირონიულად უყურებს ადამიანის ცდას (თუგინდ იგი თვით ალექსანდრე მაკედონელი იყოს) პოლიტიკური თუ სხვა მიწიერი მიზეზებით გაამართლოს საკუთარი თავის ღმერთად გამოცხადების დიდი სურვილი.

I. ალექსანდრე მაკედონელის ბარათი

სტაგირედან

ათენის ლიცეუმის დირექტორს არისტოტელეს

ძვირფასო არისტოტელე, ჩემო დიდებულო და საყვარელო მასწავლებელო!

დიდი ხანია თქვენთვის არაფერი მომიწერია, მაგრამ კარგად იცით, რომ სამხედრო საქმეებით ვიყავი გართული. გირკანიაზე, დრანგიანასა და ჰედროზიაზე

ლაშქრობისას, ბაქტრიისთვის ბრძოლებში, ინდოსზე ჯარის გადასხმისას, ცხადია, არც დრო მქონდა და არც სურვილი ხელში კალამი ამეღო. ახლა, აგერ რამდენიმე თვე იქნება, სუზაში ვარ. მაგრამ აქაც აუარებელი საქმე გამომიჩნდა, მართვა-გამგეობის საკითხები გამიხდა მოსაგვარებელი: უნდა დამენიშნა მოხელეები, ინტრიგები და ამბოხებანი უნდა ჩამეხშო, ასე რომ, დღემდე ვერ მოვიცალე ბარათის მოსაწერად.

მართალია, ოფიციალური ცნობებიდან თქვენ ზოგადად იცით ჩემი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ჩემმა თქვენდამი ნდობამ და უაღრესმა რწმენამ, რომ თქვენ დიდი გავლენით სარგებლობთ ელადის განათლებულ საზოგადოებაში, აღმიძრეს სურვილი კვლავ გადაგიშალოთ გული ჩემს სათაყვანებელ მასწავლებელსა და აღმზრდელს.

მაგონდება, ამ რამდენიმე წლის წინათ (ასე მგონია, უკვე ძალზე დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ!) აქილევსის საფლავზე როგორ ვთხზავდი თქვენდამი მომართულ აღტაცებულ და ფუქსავატურ წერილს. ეს იყო ირანის ლაშქრობის წინა ხანებში, როდესაც ძალიან ვიყავი მოწადინებული, როგორმე ბერძენი გმირების უჭკნობი სახელი და დიდება მომეხვეჭა. მაშინ მე ფიცსა ვდებდი, რომ მთელი სიცოცხლე მისაბაძ მაგალითად დიდებული პელეელი მეყოლებოდა. ამ დროისთვის უკვე მოპოვებული მქონდა გამარჯვება თრაკიაზე და მეგონა, რომ ჩემი მაკედონელები და ბერძნები დარიუსის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ მიმყავდა, რომ დაფნის გვირგვინებით შეგვემკო შუბლი და ღირსი გავმხდარიყავით ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა, რომელთაც ქება შეასხა ღვთაებრივმა ჰომეროსმა. შემიძლია ვთქვა, რომ ამ მაღალი იდეალების სულისკვეთებით ვიყავი გამსჭვალული ქერონეის ველზეც და მდინარე გრანიკზეც. მაგრამ ახლა უკვე სულ სხვანაირად, წმინდა პოლიტიკური თვალთახედვით, ვაფასებ მაშინდელ ჩემს მოქმედებას. საღად რომ შევხედოთ საქმეს, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენს მაკედონიას, არცთუ ისე საიმედოდ დაკავშირებულს საბერძნეთთან, მუდამ საშიშროება მოელოდა ჩრდილოეთიდან ბარბაროსული თრაკიისაგან. თრაკიელებს შეეძლოთ თავს დაგვსხმოდნენ ჩვენთვის ყოველ არახელსაყრელ ვითარებაში, ამით ბერძნები ისარგებლებდნენ, დაარღვევდნენ ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას და მაკედონიას ჩამოშორდებოდნენ. საჭირო იყო თრაკიის დაპყრობა ჩვენი ფლანგის უშიშროების უზრუნველსაყოფად, თუ ვინიცობაა საბერძნეთი გვიღალატებდა. ეს იყო წმინდა პოლიტიკური აუცილებლობა, ძვირფასო არისტოტელე, მაგრამ აქილევსის საგმირო საქმეებზე ოცნებით გატაცებულ თქვენს მოწაფეს ყოველივე ეს მაშინ როდი მქონდა შეგნებული.

თრაკიის დაპყრობის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა შეიცვალა: ჩვენ ახლა ვფლობდით ეგეოსის ზღვის მთელ დასავლეთ სანაპიროს თვით ბოსფორამდე, მაგრამ აქ საფრთხეს გვიქმნიდნენ ზღვაზე გაბატონებული ირანელები თავისი მრავალრიცხოვანი სამხედრო ხომალდებით. ჰელესპონტსა და ბოსფორს რომ მივაღწიეთ, ნათელი გახდა, რაოდენ საშიშია ირანის გავლენის სფეროს ახლო მეზობლობა. ჩვენსა და ირანს შორის ბრძოლა ეგეოსის ზღვაზე გაბატონებისა და სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლისათვის გარდაუვალი შეიქმნა. იღბლად, ჩვენ უფრო ადრე დავარტყით დარიუსს, ვიდრე იგი გონს მოვიდოდა და მომზადებას მოასწრებდა. მე მაშინ მეგონა, აქილევსის კვალზე მივდიოდი და, ვიბრძოდი რა საბერძნეთის დიდებისთვის, მასალას ვქმნიდი ახალი ილიადასთვის. ნამდვილად კი, როგორც ახლა მესმის, ჩემთვის იმ ხანებში აუცილებელი იყო ეგეოსის ზღვიდან

ირანელების განდევნა, და მე განვდევნე ისინი, ძვირფასო მასწავლებელო, ისე საფუძვლიანად გავდევნე, რომ დავიკავე მთელი ვიფინია, ფრიგია და კაპადოკია, დავიპყარი სიცილია და თვით ტარსამდე მივედი. მცირე აზია ჩვენი გახდა. არა მარტო ძველი ეგეოსის წუმპე, თვით ხმელთაშუა ზღვის, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ეგვიპტის ზღვის მთელი სანაპიროც ჩვენ ხელთ იყო.

თქვენ მეტყვით, საყვარელო არისტოტელე, რომ ამით მიღწეულ იქნა ჩემი მთავარი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანი – საბერძნეთის წყლებიდან სრულიად განმედევნა ირანი, მაგრამ მცირე აზიის დაპყრობამ ახალი ვითარება შექმნა: ჩვენს ახალ საზღვაო საზღვრებს საშიშროება მოელოდა სამხრეთიდან, ეგვიპტის ან ფინიკიის მხრიდან. ამ ქვეყნებს შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ირანისთვის და საომარი საჭურველი მიეწოდებინათ ჩვენთან ომის გასაგრძელებლად. მაშასადამე, აუცილებელი შეიქმნა ტიროსის ნაპირების დაკავება და ეგვიპტეში შესვლა. როგორც კი ეს საქმე მოვაგვარეთ, ჩვენ მთელი ხმელთაშუა ზღვის მფლობელი გავხდით, მაგრამ ამავე დროს ახალმა საშიშროებამ იჩინა თავი: მდიდარ მესოპოტამიაზე დაყრდნობით, დარიუსს შეეძლო სირიაში შეჭრილიყო და ჩვენი ეგვიპტური სამფლობელოები მცირე აზიის სამფლობელოებისგან მოეწყვიტა.

რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დარიუსი ისე სასტიკად უნდა დამემარცხებინა, რომ წელი ვეღარ წამოედგა. ეს განზრახვა სისრულეში მოვიყვანე, გავგამელას ბრძოლაში... როგორც თქვენც იცით, ჩვენ ხელთ ვიგდეთ ბაბილონი, სუზა, პერსეპოლისი და პასარგადი. ამით გავბატონდით სპარსეთის ყურეზე.

მაგრამ ჩვენი ახალი იმპერია ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი თავდასხმებისგან რომ დაგვეცვა, აუცილებელი იყო მიდიელებისა და გირკანელების ალაგმვა. ესეც გავაკეთე და ჩვენი სამფლობელოები გადაიჭიმა კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე, მაგრამ აღმოსავლეთიდან მთლად მაინც არ ვიყავით დაცული, მაშინ მე ჩემი მაკედონელებით სალაშქროდ გავემართე, შევიჭერი არეებისა და დრანგიანების მიწა-წალზე, ავაოხრე ჰედროზია და მუსრი გავავლე არახოზიელებს, რის შემდეგ ჩემი ძლევამოსილი ჯარით ბაქტრიაში შევედი. სამხედრო გამარჯვება ქორწინებით განვამტკიცე: ცოლად შევირთე ბაქტრიის მეფის ასული როქსანა. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს აუცილებელი იყო.

იმის შემდეგ, რაც რომ აღმოსავლეთში ამდენი ქვეყანა დავუმორჩილე ჩემს მაკედონელებსა და ბერძნებს, მე, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებული შევიქენი ჩემი ახალი ქვეშევრდომების – ბარბაროსების გული მომეგო. ამას მივაღწიე ჩემს სამეფო კარზე აღმოსავლური ცერემონიალისა და გარეგნული ბრწყინვალების შემოღებით, ურომლისოდაც აღმოსავლეთის ბოგანო მწყემსებს ყოვლისმპყრობელი მბრძანებელი ვერ წარმოუდგენიათ.

გულახდილად უნდა ვთქვა: ჩემი ძველი მაკედონური გვარდია ამით უკმაყოფილო დარჩა. მოეჩვენათ, რომ მე, იმათმა სარდალმა, ზურგი შევაქციე ჩემს მებრძოლ ვეტერანებს. ამასთან დაკავშირებით მე, სამწუხაროდ, იძულებული შევიქენი სიკვდილით დამესაჯა ჩემი ძველი თანამებრძოლები - ფილოტასი და კალისთენე... სიცოცხლეს გამოესალმა ჩემი პარმენიონიც. გული მომიკლა ყოველივე ამან, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, რადგან მაკედონელების ეს უკმაყოფილება

გზას უღობავდა ჩემს შემდგომ ნაბიჯს. მე კი ამ დროს ინდოეთზე გასალაშქრებლად ვემზადებოდი. საქმე ის იყო, რომ ჰედროზია და არახოზია, თითქოს კედლებითო, მაღალი მთებით არიან შემოსალტული, მაგრამ ეს მთები მიუვალ ციხე-სიმაგრედ რომ ქცეულიყო, პლაცდარმი მჭირდებოდა, საიდანაც თავდასხმებს შევძლებდი მოწინაამდეგეზე, ან, პირიქით, თავს შევაფარებდი სიმაგრეს. ასეთ სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენს ინდოეთი თვით მდინარე ინდოსამდე. სამხედრო ლოგიკა მოითხოვდა ამ ტერიტორიის დაპყრობას და ამათანავე სანაპირო ბურჯის დაუფლებას ინდოსის მეორე ნაპირზე. არც ერთი წინდახედული პოლიტიკოსი ან სარდალი სხვანაირად არც მოიქცეოდა. როცა უკვე მდინარე ჰიფასისს მივადექით, ჩემმა მაკედონელებმა ჩივილი დაიწყეს, ამის იქით ფეხს აღარ გადავდგამთ, რადგან დავიღალეთ, ათასნაირმა სნეულებამ დაგვასუსტა და სამშობლოც გვენატრებაო. იძულებული შევიქენი უკან გამოვბრუნებულიყავი. ეს საშინელი გზა იყო ჩემი ვეტერანებისთვის, მაგრამ კიდევ უფრო უარესი პირადად ჩემთვის: მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა ბენგალიის ყურემდე მისვლა, რათა ჩემი მშობლიური მაკედონიისთვის ბუნებრივი საზღვარი დამედგინა აღმოსავლეთით. და აი, საჭირო შეიქმნა დროებით ხელი ამეღო ამ განზრახვაზე.

დავბრუნდით სუზაში. მე კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი, ჩემი მაკედონელებისა და ბერძნებისთვის ასეთი უზარმაზარი იმპერია რომ შევქმენი. მაგრამ მარტო ჩემი დაღლილი ხალხის ამარა რომ არ დავრჩენილიყავი, ჩემს ჯარში ოცდაათი ათასი ირანელი მივიღე. კარგი მეომრები არიან და აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად გამომადგებოდნენ. მაგრამ, წარმოგიდგენიათ, ჩემი ვეტერანები ამან მეტისმეტად გაანაწყენა. მათ ვერ შეუგნიათ, რომ აღმოსავლეთში ჩემი ხალხისთვის ამოდენა მიწა-წყლის შეძენამ, რაც თავისი მოცულობით მაკედონიას ასჯერ აღემატება, აღმოსავლეთის დიდ მონარქად გადამაქცია, და რომ ამის გამო ჩემთვის აუცილებელია აღმოსავლეთის დიდკაცობა დავაწინაურო ჩემს სამეფო კარზე, მმართველ ზედაფენაში ჩავრიცხო და აღმოსავლური ბრწყინვალება და ფუფუნება შევქმნა ჩემს ირგვლივ. ყოველივე ეს ბუნებრივი პოლიტიკური აუცილებლობაა, და ამ გზას მხოლოდ და მხოლოდ დიდი მაკედონიის ინტერესებისთვის დავადექი.

შექმნილი ვითარება სულ ახალ და ახალ პირად მსხვერპლს მოითხოვს ჩემგან, და მე უყუყმანოდ ვწირავ ყველაფერს, რადგან მხოლოდ ჩემი სახელმოხვეჭილი იმპერიის დიდებასა და ძლიერებაზე ვფიქრობ. იძულებული ვხდები ბარბაროსულ ნებივრობასა და განცხრომასაც კი შევეჩვიო. ცოლად შევირთე აღმოსავლეთის სამი მეფის ასული, ამჟამად კი, საყვარელო არისტოტელე, თავი ღმერთადაც გამოვაცხადე.

დიახ, ძვირფასო მასწავლებელო, ღმერთად! ჩემი ერთგული აღმოსავლეთის ქვეშევრდომნი ღვთაებრივ თაყვანსა მცემენ, მსხვერპლსა მწირავენ და ჩემს სახელს ადიდებენ. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ამ მთიელ მენახირეებისა და აქლემების მეხრეებში შემექმნას შესაფერი ავტორიტეტი. რამდენმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც თქვენ მასწავლიდით, რომ ყოველი ჩემი ქცევა გონებისა და ლოგიკისთვის დამემორჩილებინა. მაგრამ რა გაეწყობა, თვით გონება მიკარნახებს, რომ საჭიროა ადამიანის უგუნურებას შევეგუო.

გზა, რომელსაც მე ვადგავარ, შეიძლება ფანტასტიკურად მივიჩნიოთ. მაგრამ ახლა, როცა ღამის იდუმალებაში ჩემი ღვთიური განმარტოების დროს გონების თვალს ვავლებ მთელ ამ გზას, ვხედავ, რომ არასოდეს არაფერი ისეთი რამ არ წამომიწყია, რაც წინათ გადადგმული ნაბიჯით არ ყოფილიყოს გამოწვეული.

და აი, მისმინეთ, ჩემო საყვარელო არისტოტელე: იმპერიაში სიმშვიდისა და წესრიგისთვის, რეალური პოლიტიკური ინტერესებისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა ჩემს დასავლეთ სამფლობელოშიც ვყოფილიყავი აღიარებული ღმერთად. როცა დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ მაკედონიამ და ელადამ მიიღეს ჩემი განუსაზღვრელი ძალაუფლების პრინციპი, ხელ-ფეხი გამეხსნებოდა აქაც, აღმოსავლეთში, საშუალება მომეცემოდა ჩინეთის სანაპიროზეც დამეპყრო ბუნებრივი საზღვარი ჩვენი საბერძნეთისთვის. ამით სამარადჟამოდ უზრუნველვყოფდი ჩემი მაკედონიის ძლიერებასა და უშიშროებას. როგორც ხედავ, ეს კეთილგონიერი და შორსგამჭვრეტი გეგმაა. მე დიდი ხანია ის მეოცნებე აღარ ვარ, რომელიც ფიცსა ვდებდი აქილევსის საფლავზე.

და აი, ახლა, მე თქვენ გთხოვთ, ჩემს ბრძენ მეგობარსა და აღმზრდელს, ფილოსოფიურად დაუსაბუთოთ და დამაჯერებლად განუმარტოთ ბერძნებსა და მაკედონელებს ჩემი ღმერთად შერაცხვის აუცილებლობა. მე ამას ჩავდივარ სრული პასუხისმგებლობით, როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

ასეთია ჩემი თქვენდამი დავალება. თქვენზეა ახლა დამოკიდებული, შეასრულებთ თუ არა ამას საქმის პოლიტიკური მნიშვნელობის, მიზანშეწონილებისა და პატრიოტული დედაარსის სრული შეგნებით.

მიიღეთ ჩემგან სალამი,

ჩემო ძვირფასო არისტოტელე!

თქვენი ალექსანდრე მაკედონელი.

გაზეთი “ახალი საქართველო”

29 ოქტომბერი – 4 ნოემბერი. 1998 წ.

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი 1. 1951 გვ. 50-51

II. მსხვერპლშეწირვა, იულიუს კეისარი და

მისი *REX SACRORAM* -ის თანამდებობა

სანამ ჩვენ იულიუს კეისრის, მისი ქურუმობის და რელიგიური შეხედულებების შესახებ ვილაპარაკებდეთ, მანამ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის მსხვერპლშეწირვა, რა არის მკითხაობა საქონლის შიგნეულის მიხედვით, რასაც თავის დროზე კეისარმა არ დაუჯერა და რაც მას სიკვდილის ფასად დაუჯდა...

ალბათ, არავის მოსვლია აზრად, სერიოზულად აღერიცხა, რამდენი მსხვერპლი შეუწირავს ადამიანთა მოდგმას სხვადასხვა სულის, კერპის და ათასგვარი ღმერთისათვის. თუმცა, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, პრაქტიკულად ამას მაინც ვერ მოახერხებდნენ, რადგან ყოველგვარი სტატისტიკა, ყოველგვარი ციფრი უძლურია მოგვცეს სრული წარმოდგენა სულებისა თუ ღვთაებებისათვის შეწირული მსხვერპლის რაოდენობაზე.

ვის სჭირდებოდა ამდენი მსხვერპლი? ვის ეწირებოდა ამდენი ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, ვისთვის მზადდებოდა უსისხლო საკურთხი? ნუთუ ასე გაუმაძღარნი იყვნენ სულები, კერპები თუ ღვთაებები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ ყოველივე უნაკლოსა და საუკეთესოს მოითხოვდნენ? თუ ეს თვით ადამიანს სჭირდებოდა, რათა უფრო იმედიანად ეგრძნო თავი? საერთოდ, რა არის მსხვერპლშეწირვა, საიდან წარმოდგა იგი, რა როლს ასრულებდა კაცობრიობის ისტორიაში და როგორ მოაღწია მან ჩვენს დრომდე?

მსხვერპლშეწირვა რელიგიური კულტის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნაწილია. იგი შორეული წარსულიდან მოდის. ღვთისმეტყველთა განმარტებით, ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის უმწეობისა და ღმერთზე სრული დამოკიდებულების აღიარება. მეორე მხრივ, მას ადამიანის ღმერთთან დაკავშირების ერთ-ერთ გარეგნულ საშუალებად თვლიან.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, მსხვერპლშეწირვის წესი წარმოიქმნა მაშინ, როცა ადამიანს გაუჩნდა წარმოდგენა სულების ზებუნებრივ თვისებებზე. ადრეული წარმოდგენით, გარდაცვალებულნი, მას შემდეგ, რაც სულებად იქცეოდნენ, ზებუნებრივ თვისებებსაც იძენდნენ. შედეგად ჩნდება მისწრაფება, რომ ეს ძალები თავის მხარეზე გადმოებირებინათ და თავის სასარგებლოდ აემოქმედებინათ. ანდა, თუკი ეს არ მოხერხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც აეცილებინათ სულების რისხვა.

მსხვერპლშეწირვა ხდებოდა იმ პრინციპით, რომ ადამიანთა სულებს, უფრო გვიან კი – ღმერთებს ზუსტად ისეთივე სურვილები და მოთხოვნილებანი აქვთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს. მათ ისევე სჭირდებათ სასმელი, საჭმელი, იარაღი, სამკაული თუ მსახურები, როგორც ცოცხალ ადამიანს.

მსხვერპლშეწირვის წესი განსაზღვრული და განპირობებული იყო ამა თუ იმ ხალხის განვითარებით, მისი საქმიანობითა და ცხოვრების წესით. მაგალითად, თუკი მსხვერპლს მონადირეები ან მწყემსები სწირავდნენ, ეს მსხვერპლი, ჩვეულებრივ, ცხოველი იყო. მიწათმოქმედნი კი სწირავდნენ პურეულს ან რაიმე მცენარის ნაყოფს. რასაკვირველია, უნდა შეეწირათ მხოლოდ საუკეთესო ცხოველი ან საუკეთესო ნაყოფი.

თავდაპირველად, მსხვერპლის შეწირვას ძალიან პრიმიტიული, შეიძლება ითქვას, ნატურალისტური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, ციმბირში მცხოვრები ზოგი ხალხი თავის კერპებს ტუჩებზე სისხლს ან ქონს სცხებდა. მათი აზრით, კერპს შესაწირავი ასე უფრო მალე მიუვიდოდა და გულს მოულბობდა. პერმელები ორმოში ლუდს ასხამდნენ და იქ იწვევდნენ გარდაცვალებულის სულს წყურვილის მოსაკლავად.

თანდათანობით, ასეთი რეალიზმი შეიცვალა უფრო რთული მოსაზრებით, რომ ღვთაებამდე მხოლოდ მსხვერპლის შეწირვის ძირითადი არსი, სუბსტანცია მიდის, ხოლო მისი გარეგნული გარსი შეიძლება მიწაზე მოიხმარონ თვით მსხვერპლის შემწირავებმა ან ქურუმებმა. მაგალითად, როდესაც ცხელ ღვეზელს გატეხდნენ, სწამდათ, რომ იქიდან გამოსული ორთქლი ღმერთთან მივიდოდა, ხოლო თვით ღვეზელი შემწირავებს შეეძლოთ შეეჭამათ.

ღვთაების მიწვდომისა და მასთან დაკავშირების საშუალებად ხშირად მიაჩნდათ ცეცხლი, რადგან კვამლი მაღლა ადიოდა ღმერთამდე. ასე წარმოიქმნა მსხვერპლის დაწვის ჩვეულება, რომელსაც შემდგომ მოჰყვა მისი მსგავსი, მაგრამ უფრო რთული ფორმა – კვამლიანი მსხვერპლი. აქ საჭმელი პროდუქტების ადგილი სანელებლებმა და საკმეველმა დაიკავა.

პროფესიონალი ჯადოქრების, მოგვების, შამანების, ხოლო უფრო გვიან, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდში, ქურუმთა კასტის გამოყოფის შემდეგ, მსხვერპლშეწირვა რეგულირდება მრავალრიცხოვანი საგანგებო წესებით. ეს წესები მეტად ხელსაყრელი გახლდათ ქურუმთათვის, რადგან სამსხვერპლოდ მიტანილი საჩუქრების უმეტეს და საუკეთესო ნაწილს ისინი თვითონ იტოვებდნენ.

მატერიალური სიმდიდრისა და გაბატონებული კლასების კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა შეწირული მსხვერპლის რაოდენობა და ხარისხიც. უფრო გვიან, გარდაცვლილთა დაპურებისა და მათთვის შრომისა თუ საბრძოლო იარაღის “გატანების” პირვანდელი ჩვეულება, აღთქმის მიცემასა და მსხერპლშეწირვის სხვა სახეებში გადაიზარდა.

სხვადასხვა ქვეყნებში მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა წესი ჰქონდათ, მაგრამ მისი ძირითადი არსი – ზებუნებრივი ძალების გადმობირება და ადამიანის სასარგებლოდ ამოქმედება ან მათი წყრომისაგან თავის დაღწევა – ყველასათვის საერთო რჩებოდა. უამრავ მსხვერპლს სწირავდნენ ეგვიპტელები თუ ებრაელები, ბერძნები თუ რომაელები, ინდოელები თუ სხვა ხალხები.

მსხვერპლშეწირვის რიტუალი ყველგან სხვადასხვაგვარად სრულდებოდა. მაგალითად, ეგვიპტელები მსხვერპლად სწირავდნენ მოზრდილ საქონელს ან ხბოს. ჯერ კარგად გამოშიგნავდნენ და გაასუფთავებდნენ, შემდეგ აავსებდნენ პურით, თაფლითა და კეთილსურნელებით, დაასხამდნენ ზეთს და ცეცხლს უკიდებდნენ. მსხვერპლად სწირავდნენ ღორს, ცხვარსა და თხასაც, მცენარეული ნაყოფიდან – პურისა და ქერის ძნებს.

განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩეოდა ქალღმერთ ნეიტესადმი შეწირული მსხვერპლი საისში. მსხვერპლშეწირვას უდიდესი ადგილი ეკავა ბერძენთა და რომაელთა კულტში. სხვადასხვა ღვთაებებს უამრავ მსხვერპლს სწირავდნენ ცალკეული პირები, ოჯახები, თვით სახელმწიფოც კი. მსხვერპლი აქაც ორგვარი იყო: უსისხლო და სისხლიანი. უსისხლო მსხვერპლი იყო ყანებისა თუ ხეების პირველი ნაყოფი, ნამცხვარი (კედარის ხის ან დაფნის ფოთოლი), სასმელი (ღვინო), თაფლი, ზეთი. ღვინის პირველ წვეთებს ყოველთვის მიწაზე აპკურებდნენ ღვთაების პატივსაცემად.

განსაკუთრებულ წესებს იცავდნენ სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის დროსაც. მაგალითად, ცაში მყოფი ღმერთებისათვის თეთრი ცხოველი უნდა შეეწირათ, მიწის - ქვეშეთის მბრძანებლებისათვის კი – შავი. მამრობითი სქესის ღმერთებს მამალ ცხოველს სწირავდნენ, ქალღმერთებს – დედალს. მსხვერპლშეწირვა დიდი ზარ-ზეიმით სრულდებოდა.

მსხვერპლის შემწირავს თავზე ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული იმის ნიშნად, რომ მას ღმერთები მფარველობდნენ. სამსხვერპლო ცხოველს ყვავილებით რთავდნენ. დაკლული ცხოველის არჩეულ ნაწილებს, კერძოდ კი, კანჭებს, ღვთაებისთვის გადადებდნენ, ხოლო ქონს ცეცხლს უკიდებდნენ. დანარჩენ ნაწილებს ორად ყოფდნენ: ერთ ნაწილს ქურუმებს უტოვებდნენ, ხოლო მეორეს თვითონ მსხვერპლის შემწირავი და მისი სტუმრები ჭამდნენ. ზოგჯერ ასეთ მსხვერპლშეწირვას თან სდევდა მკითხაობა ცხოველთა შიგნეულობაზე. მკითხავები ამ გზით თითქოს ღმერთების სურვილს იგებდნენ.

ორგვარ მსხვერპლს სწირავდნენ ძველი ინდუსებიც. ერთი იყო გავიში – რძე, კარაქი, ნამცხვარი, მარცვლეული, ხოლო მეორე – სომის მათრობელა წვენი. ცხოველთა შეწირვა ნაწილი იყო სხვა მსხვერპლშეწირვისა, რომელიც დიდი ცერემონიალითა და განსაკუთრებული გულმოდგინებით სრულდებოდა.

მსხვერპლშეწირვა ითვლებოდა ერთგვარ ხელშეკრულებად, რომელიც დადებული იყო, ერთი მხრივ ღმერთსა და მეორე მხრივ, - ადამიანებს შორის. ამიტომ მსხვერპლშეწირვის შემდეგ თხოვნის შესრულება მეორე მხარის – ღმერთის ვალდებულებად ითვლებოდა და ამაში რაიმე განსაკუთრებულ წყალობას არ ხედავდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვას, ვინაიდან იგი ყველაზე ტკბილ და გემრიელ ლუკმად ითვლებოდა ღმერთებისათვის. ეს წესი დიდხანს შემორჩათ სხვადასხვა ხალხებს. მსხვერპლად სწირავდნენ უცხოელებს, ტყვეებს. ებრაელები, ბერძნები და რომაელები, იმისათვის, რომ განრისხებული ღმერთის წყრომა დაეცხროთ, ხშირად უბრუნდებოდნენ ადამიანის მსხვერპლშეწირვის წესს. ამაზე მიგვითითებს აბრაამის, იეფთახ გალადელის და აგამემნონის მსხვერპლშეწირვა. ყველაზე დიდხანს, ადამიანის მსხვერპლშეწირვის წესი შემორჩათ მზის კულტის მაღიარებელ სემიტურ ხალხებს: ასირიელებს, ფინიკიელებს, მოავიტელებსა და ქანანაველებს, რომლებიც თავიანთ ბაალს ან მოლოქს სწირავდნენ ბავშვებს, მოზრდილებს, უმთავრესად სიყრმის შვილებს.

მსხვერპლად ქვრივების შეწირვა ინდოეთში თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე გაგრძელდა.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის მაგალითები უხვად მოჰყავს დიდ გერმანელ ფილოსოფოსს ლუდვიგ ფოიერბახს. ერთი ნორვეგიული საგის მიხედვით, მეფე დომალდის დროს, შვეციაში მოუსავლიანობამ და შიმშილობამ დაისადგურა. სასოწარკვეთილმა ხალხმა თავის გადასარჩენად გადაწყვიტა ღმერთ ოდინისათვის მსხვერპლად თვით მეფე შეეწირა. გადაწყვეტილება შეასრულეს – მეფე დაკლეს, მისი სხეული მსხვერპლად შესწირეს, ხოლო სისხლი ღვთის სახლის კედლებსა და დასაჯდომ ადგილებს წასცხეს. როგორც საგა გვარწმუნებს, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა ქვეყანას კეთილდღეობა. შვედური თქმულებებიდან ჩვენ ვიგებთ იმასაც, რომ მათ ჩვეულებად ჰქონიათ მსხვერპლად ბავშვების შეწირვა.

მალაბარის სანაპიროზე, ფრეზერის ცნობით, ცხოვრობდნენ ტომები, რომლებსაც ძალიან დიდხანს შემორჩათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი. როდესაც მეფე გარკვეულ ხანს იმეფებდა, ამის შემდეგ თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის მსხვერპლად უნდა შეეწირა თავი. შეკრებილ ქვეშევრდომთა თანდასწრებით მეფე იწყებდა თავის დაკვლას. ჯერ ყურებს მოიჭრიდა, მერე ცხვირს, შემდეგ სხეულის სხვა ნაწილებს. სისხლისაგან დაცლილი მეფე კვდებოდა.

დანიელები 9 წელიწადში ერთხელ მართავდნენ გრანდიოზულ გამოსასყიდ დღესასწაულს, რომლის დროსაც სიკვდილის ღმერთებს 99 ადამიანს, ამდენსავე ცხენს, ძაღლსა და მამალს (ან ქორს) სწირავდნენ.

იულიუს კეისრის ცნობით, როდესაც გალების ტომში ავადმყოფობა მძვინვარებდა, ომის საფრთხე ელოდათ, განაწყენებული და განრისხებული ღმერთების შემოსარიგებლად, მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ.

განსაკუთრებით საზეიმოდ ტარდებოდა მსხვერპლშეწირვა ლაშქრად წასვლის წინ, მეფეთა არჩევისა თუ დაკრძალვის დროს. ტყვეების მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება გავრცელებული იყო იმ ხალხებშიც, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, მაგალითად, გოთებში, გერულებში, ლანგობარდებში, საქსებში და სხვა. გალებში (კელტები) მსხვერპლშეწირვას ასრულებდნენ დრუიდები. აქაც, ღმერთებისათვის ყველაზე სასიამოვნო მსხვერპლად ადამიანი ითვლებოდა. ტირიფის წნელებისაგან წნავდნენ კერპებს, მათ ადამიანებით აავსებდნენ და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ.

მსხვერპლად სწირავდნენ დამნაშავეებს. თუ ასეთი არავინ იყო, მაშინ – მონებს, ტყვეებს, ქალებსა და ბავშვებსაც. გარდაცვალებულთან ერთად წვავდნენ ყველაფერს, რაც მისთვის სიცოცხლეში ძვირფასი იყო – სხვადასხვა ნივთებს, მონებს, ზოგჯერ – რაზმელებსაც კი. ასეთივე ჩვეულებას ვხვდებით ფინელებში, ესტებში, ლივებში, პრუსიელებში, ლატვიელებში, სლავებში და სხვ.

ზოგიერთ ხალხში მსხვერპლად შესაწირი ადამიანები ყიდვა-გაყიდვის ობიექტები ყოფილან. ვაჭრები გულდასმით სინჯავდნენ მომავალ მსხვერპლს, რომ რაიმე ფიზიკური ნაკლი არ ჰქონოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი მას არ მიიღებდა. მსხვერპლშეწირვის ჩვეულება გერმანელ ხალხებსაც ჰქონდათ. ისინი

უხვად სწირავდნენ არა მარტო ცხოველებს, არამედ ადამიანებსაც. ადამიანს სწირავდნენ ვოდანსა და ციურს, ხოლო ჩრდილოეთში ნორუს. ღმერთების რისხვის დაცხრომაში მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. სწირავდნენ არა მარტო ტყვეებს, არამედ საკუთარ ხალხსაც.

ბალტიის ზღვის გარშემო მცხოვრები სლავები ყოველწლიურად ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად თავიანთ მთავარ ღმერთს სვანტოვიტს. განსაკუთრებით ფასობდა ქრისტიანის შეწირვა. ქურუმი, რომელიც ამ სისხლიან რიტუალს ასრულებდა, ამბობდა, რომ სვანტოვიტსა და სხვა სლავ ღმერთებს ძალიან მოსწონთ ქრისტიანის სისხლიო.

ეს ჩვეულება რომაელებსა და ბერძნებსაც კი ჰქონიათ. მაგალითად, პლუტარქეს გადმოცემით, თემისტოკლემ სალამინის ბრძოლის წინ მსხვერპლად შესწირა სამი ახალგაზრდა სპარსელი.

რომში პლინიუს უფროსის დროს ცოცხლად მარხავდნენ სამხედრო ტყვეებს, რასაც განსაკუთრებული ქურუმი “რეხ საცრორამ” ხელმძღვანელობდა.

აღმოსავლეთის ხალხებში საკუთარ ვაჟებსა და ასულებსაც იმეტებდნენ ღმერთებისათვის. ასეთ ამბავს მოგვითხრობს იუსტინე ძველი კართაგენის მცხოვრებთა შესახებ და თანაც დასძენს, რომ სხვა შემთხვევაში ეს ხალხი შვილების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ყველაზე მეტად ევედრება ღმერთსო.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის თაობაზე მდიდარ მასალას გვაწვდიან ეთნოგრაფიული წყაროები. პოლინეზიელები, მაგალითად, მცენარის ნაყოფთან, ქათმებთან, ღორებთან თუ ძაღლებთან ერთად თავიანთ ღმერთებს ადამიანსაც სწირავდნენ. დიდი მოგზაური ჯეიმს კუკი 1779 წელს თვითონ გახდა ასეთი მსხვერპლშეწირვის მოწმე კუნძულ ტაიტზე. მსხვერპლს ჯერ მოაკვდინებდნენ, შემდეგ გვამი მიჰქონდათ სალოცავ ადგილას და ასრულებდნენ დადგენილ რიტუალებს. ჩვეულებრივ, მსხვერპლად სწირავდნენ ღარიბებსა და მონებს, ესე იგი ისეთ ადამიანებს, რომელთაც ქურუმების თვალში არავითარი ღირებულება არ გააჩნდათ.

აფრიკაში, ბენინში, ჩვეულებად ჰქონდათ მეფის დასაფლავებისას მასთან ერთად დაემარხათ მისი მსახურები და უახლოესი დიდებულები. ქელეხის დროს კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს სწირავდნენ – 400-500 კაცს. განწირულნი უმეტესად სიკვდილმისჯილი დამნაშავენი იყვნენ. მაგრამ თუ მათი რიცხვი საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც ხოცავდნენ.

დასავლეთ აფრიკის ზოგიერთი ხალხის რწმენით, მეფის ქელეხზე შეწირულნი იმის მაცნენი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სამეფოში ყველაფერი რიგზეა.

ზოგჯერ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწათმოქმედების კულტთან. სჯეროდათ, რომ ამ გზით მოსავლიანობა გაიზრდებოდა. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ტომს, პაუნის, წესად ჰქონდა ამ მიზნით ქალიშვილის მოკვდინება. გვამს ასო-ასო დაჭრიდნენ, სხეულის ნაწილებს მინდორში ჩაფლავდნენ, ხოლო სისხლს ნათესებს ასხურებდნენ.

განსაკუთრებით დიდი სისასტიკით გამოირჩეოდნენ ახლანდელი მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, რომლებიც, ხშირად, ერთდროულად ათასობით კაცს სწირავდნენ მრისხანე ღმერთებს. აცტეკების ეს ჩვეულება შესანიშნავად აგვიწერა რ.ხაგარდმა თავის სათავგადასავლო რომანში “მონტესუმას ქალიშვილი”.

ღმერთებისათვის აღამიანის შეწირვის წესი გვიანდელ პერიოდამდე არსებობდა. ინდოეთში, შივას ტაძარში, ნახეს 1791 წელს თავმოჭრილი ჰარი (უდაბლესი კასტის წარმომადგენელი). იგი, ალბათ, იმისათვის მოკლეს, რომ თავიდან აეცილებინათ რაღაც დიდი უბედურება.

მარატების ველური ტომები ლამაზ ბიჭებსა და გოგონებს დასაკლავი საქონელივით ასუქებდნენ, რათა დღესასწაულის დროს მსხვერპლად შეეწირათ.

იგივე სენტიმენტალური ინდოელები, რომლებიც ესოდენ მზრუნველობას იჩენდნენ თვით მწერებისადმიც კი, დიდი უბედურების დროს (ომი, შიმშილი და სხვა) ყველაზე სახელგანთქმულ ბრამინებს სალოცავიდან – პაგოდიდან ყრიდნენ, რათა ამით ღმერთების რისხვა დაეცხროთ.

ტონკინში, იმისათვის, რომ ღმერთებს მინდვრები გაენაყოფიერებინათ და კარგი მოსავალი მოეცათ, ადამიანებს საწამლავს ასმევდნენ ან ბავშვებს შუაზე აპობდნენ.

ლაოსში ღმერთს ტაძარს არ აუგებდნენ, სანამ მსხვერპლად არ შესწირავდნენ იმ ადამიანს, ვინც ყველაზე ადრე გაივლიდა მომავალი ტაძრის ადგილზე. მსხვერპლს ადგილზე მიწაში ფლავდნენ. ითვლებოდა, რომ ამით შენობის ფუძეს აკურთხებდნენ.

ზოგიერთი აფრიკული ტომი თავის ღმერთებს ასობით და ათასობით ტყვეს სწირავდა, რათა მათი კეთილგანწყობილება დაემსახურებინა და ომში წარმატებისათვის მიეღწიათ. ამავე კონტინენტზე, ზოგიერთ ადგილას, ავადმყოფი მეფის ან ბელადის გამოჯანმრთელებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ღმერთებს სწირავდნენ ბავშვებს ან მოწიფულ მამაკაცს. ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ ოკეანიის კუნძულების მცხოვრებნიც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებიდან წარსულში ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებად ჰქონდათ სლავებს. ყველაზე გრძელ დღეს, 24 ივნისს, მზის ღვთაების პატივსაცემად, ისინი ქალიშვილებს ახრჩობდნენ. უფრო გვიან, ქალიშვილის ნაცვლად სიმბოლურად ახრჩობდნენ თოჯინას, ხოლო ხალხი მდინარეში ბანაობდა.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ცნობილი გეოგრაფის სტრაბონის ცნობა ალბანელთა მიერ მთვარის ტაძრისათვის მსხვერპლის შეწირვის რიტუალის შესახებ... “იმას, ვინც მეტად ატაცებული ტყეებში მარტოკა დახეტიალობს, - წერს სტრაბონი, - ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში კარგა ასუქებენ ხოლმე, მერე მას, მირონცხებულს, სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავდნენ ხოლმე; მსხვერპლის შეწირვა ამნაირად იციან. ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვრის საშუალებით იციან ხოლმე, ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს ხოლმე. როცა ლახვარნაკრავი მსხვერპლი დაეცემა

მიწაზე, ქურუმები სხვადასხვა ნიშნებისდა მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმამაღლა აცხადებენ ხოლმე. როცა გვამს ერთ დანიშნულ ადგილას მიიტანენ, ყველანი თავიანთ თავის განსაწმენდად ფეხს დაადგამენ ხოლმე”.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ალბანიის ეს ნაწილი, სახელდობრ, იბერიის მოსაზღვრე ადგილები, ქართველებით იყო დასახლებული, ხოლო ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით, იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო.1 მართალია, მოგვიანებით ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი შეიცვალა, მაგრამ მისმა იმიტაციამ თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია. გარდა ამისა, ქართველი ტომები უამრავ პირუტყვსა თუ სხვა მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს მათი გულის მოსაგებად თუ მიცვალებუთა სულის მოსახსენიებლად.

მსხვერპლშეწირვის ამ რიტუალებმა, რომლებიც უხვად გვხვდება პრიმიტიულ რელიგიებში, შემდგომ ამა თუ იმ სახით მონოთეისტურ რელიგიებშიც გადაინაცვლა.

გავიხსენოთ ზვიადაურის დაკვლა ქისტი დარლას საფლავზე ვაჟა-ფშაველას პოემიდან “სტუმარ-მასპინძელი”. ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა მსხვერპლშეწირვის წესის შესრულება. მთიელ მუსლიმებში გავრცელებული ამგვარი წესის არსი ის იყო, რომ შეწირული იმ ქვეყნად უნდა მომსახურებოდა მათ მკვდარს. თუკი მსხვერპლი დაკვლისას არ შედრკებოდა (როგორც ეს პოემაშია აღწერილი), იგი მკვდრისათვის შეწირულად არ ჩაითვლებოდა.

თეოლოგები ხშირად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ წარმართულ სარწმუნოებაში მსხვერპლშეწირვის წესი ძალიან დამახინჯებული იყო და ხშირად კანიბალიზმამდეც კი მიდიოდა; მათი მტკიცებით, გრძნობითი მხარე წარმართულ რელიგიებში ყოველთვის მეტობდა იდეაზე. მაგალითად, ბაალისა და ასტარტას კულტებში ამ ღვთაებებისათვის მსხვერპლად მიჰქონდათ ქალიშვილთა უმანკოება. მათს ბომონებში არსებობდა წმინდა მეძავთა განსაკუთრებული შტატი, რომელიც ბიბლიაში ზიზღით მოიხსენება კედეშიმისა და კედოშიტის სახელწოდებით.

რა ადგილი უჭირავს მსხვერპლშეწირვას საერთოდ ბიბლიაში?

ბიბლიის პირველი გვერდებიდანვე მკითხველი აწყდება მსხვერპლის შეწირვის რიტუალს. გავიხსენოთ, თუნდაც, როგორ სწირავდნენ ღმერთს მსხვერპლს კაენი და აბელი. კაენი ღმერს სწირავს მიწის ნაყოფს, აბელი კი – ცხვარს თავისი ფარიდან. მაგრამ ორივე მსხვერპლს ერთი და იგივე სახელი – მინახი ერქვა, რაც ქართულად საჩუქარს ნიშნავს. მოსეს კანონში მსხვერპლშეწირვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახელია “კორბანი”, ანუ ძღვენი, შეწირულობა.

ღვთისმეტყველთა მიხედვით, მოსეს დრომდე, ყოველი მსხვერპლშეწირვის საფუძველი იყო არა იმდენად დანაშაულისა და ცოდვის შეგრძნება, რომელმაც ადამიანები ღმერთს დააშორა, რამდენადაც ლტოლვა მისადმი, სიყვარული და მადლიერება კურთხევისა და აღთქმული კეთილდღეობისათვის.

წარღვნის შემდეგ მსხვერპლშეწირვის წესი უფრო ჩამოყალიბებული ჩანს. პატრიარქები მსხვერპლს სწირავდნენ ყოველი გამორჩეული დღის აღსანიშნავად. რაც

შეეხება მსხვერპლშეწირვას, როგორც ცოდვის დაფარვის საშუალებას, ჩვენ მას ვხვდებით იობის წიგნში – როდესაც იობი ღმერთს მსხვერპლს სწირავს თავისი შვილების მოსალოდნელი უნებლიე შეცდომებისა და სამი მეგობრისათვის. ხოლო გამოსვლათა წიგნში (10:26), მოსეს სიტყვებში ფარაონისადმი, აღნიშნულია მსხვერპლშეწირვის აუცილებლობა.

მოსეს ხუთწიგნეულში პირდაპირ არის მითითებული, რომ არავინ არ უნდა წარდგეს ღმერთის წინაშე ცარიელი ხელებით (გამოსვლათა, 23:15; მეორე სჯულის კანონი 15: 19-22). თორა არა მარტო ამტკიცებს მსხვერპლის შეწირვის, როგორც განმწმენდი საშუალების აუცილებლობას, არამედ მკაცრად ადგენს და განსაზღვრავს შესაწირავის რაოდენობას, პირუტყვის ჯიშს, შეწირვის წესს და ა. შ.

პირველ ყოვლისა, მსხვერპლი გარკვეული ასაკისა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ღმერთისათვის მისი შეწირვა მერვე დღემდე არ შეიძლებოდა (ლევიტელთა, 22:27). წვრილფეხა საქონელი უნდა ყოფილიყო ერთი წლისა, ხოლო მსხვილფეხა 3 წლისა. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა მსხვერპლად 7 წლის ხარებსაც სწირავდნენ.

მსხვერპლად არჩეული ცხოველი არ უნდა ყოფილიყო უსინათლო, კოჭლი, დაკოდილი, ყვავილით დაავადებული, არ უნდა ჰქონოდა ზომაზე პატარა სასქესო ორგანოები. ერთი სიტყვით, ღმერთისთვის უნდა შეეწირათ პირველად დაბადებული, მამრობითი სქესის საუკეთესო, უნაკლო ცხოველი. სამსხვერპლო ცხოველს მიიყვანდნენ ტაძრის კარებთან (ლევიტელთა 1:3; 4:4; - სხვა ადგილას არ შეიძლებოდა). მსხვერპლის შემწირავი ხელს დაადებდა ცხოველს და კლავდა მას სამსხვერპლოს ჩრდილოეთ მხარეს (ლევიტელთა 1:4, 5,11; 3:28; 6:25; 7:2). შემდეგ მღვდელი ჭურჭელში აგროვებდა და სისხლს ასხურებდა სამსხვერპლოს კედლებს ან სამლოცველოს სხვადასხვა ადგილებს, იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის მსხვერპლს სწირავდნენ. დარჩენილ სისხლს სამსხვერპლოს ძირში აქცევდნენ (გამოსვლათა 29:12; ლევიტელთა 4:17-18). შემდეგ პირუტყვს ატყავებდნენ, დაანაწილებდნენ (ლევიტელთა 1:6; 8:20). ნაჭრებს მღვდელი სამსხვერპლოზე აწყობდა და წვავდა ან მთლიანად, ან მხოლოდ მსუქან ნაწილებს. დარჩენილ ხორცს სამლოცველოს გარეთ წვავდნენ და ჭამდნენ, ნაწილს – მღვდლები, ნაწილს კი – თვით მსხვერპლის შემწირავნი.

რაც შეეხება უსისხლო მსხვერპლს, იგი შედგებოდა პურის, ზეთის, მარილის, ღვინისა და საკმევლისაგან.

დროდადრო, დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, უამრავ მსხვერპლს სწირავდნენ. მაგალითად, ბიბლიის მიხედვით, ლეგენდარულმა ბიბლიურმა მეფემ სოლომონმა ტაძრის კურთხევისას მსხვერპლად შესწირა 22 ათასი ხარი და 120 ათასი ცხვარი.

მიუხედავად იმისა, რომ “ძველ აღთქმაში” რამდენიმე ადგილას მორწმუნეებს ეკრძალებათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა (ლევიტელთა 18:21; 20:2-5; მეორე სჯულის 12:31; 18:10), ბიბლიაში მაინც გვხვდება ორი ასეთი მაგალითი. შესაქმეთა წიგნში (თავი 22) აღწერილია, როგორ მოითხოვა ღმერთმა აბრაამისაგან, მსხვერპლად

შეეწირა მისთვის ერთადერთი და საყვარელი შვილი ისააკი. აბრაამი ღვთის სიამოვნებისათვის დათანხმდა ასეთ საშინელ პირობას. მაგრამ, სულ ბოლო მომენტში, როდესაც აბრაამს თავისი ერთგულების დასამტკიცებლად უკვე აღმართული ჰქონდა დანა, იგი ღვთის ანგელოზმა შეაჩერა და შვილის ნაცვლად აბრაამმა ბატკანი შესწირა. მეორე ადგილას (მსაჯულთა, თავი 11) ლაპარაკია იეფთახ გალადელის მიერ ღვთისათვის თავისი ერთადერთი ასულის მსხვერპლად შეწირვის შესახებ: იეფთახ გალადელმა უფალს აღუთქვა, რომ, თუკი იგი დაეხმარებოდა მტრის დამარცხებაში, მსხვერპლად შესწირავდა იმ ადამიანს, რომელიც შინ დარუნებულს პირველი გამოეგებებოდა. ეს პირველი ადამიანი მისი ქალიშვილი აღმოჩნდა. იეფთახმა ბევრი იწუხა, მაგრამ აღთქმა არ დაურღვევია, ქალიშვილი მსხვერპლად შესწირა; ჯერ დაკლა, მერე კი დაწვა და ღმერთმა მიიღო ეს მსხვერპლი.

“ახალმა აღთქმამ” უარი თქვა ასეთ მსხვერპლშეწირვაზე (ღვთისმეტყველები სწორედ ამ ფაქტს თვლიან ქრისტიანობის ერთ-ერთ უდავო დამსახურებად), რადგან თვით იესო ქრისტე გახდა ის უდიდესი მსხვერპლი, რომელიც შეეწირა ადამიანთა ცოდვებს, გამოისყიდა იგი და შეარიგა ცოდვილი კაცობრიობა ღმერთთან. სამაგიეროდ ქრისტიანობამ ხორციელი მსხვერპლი შეცვალა ფსიქიკურით, ხოლო მორწმუნეთაგან მოითხოვა დაუცხრომელი ლოცვა, მარხულობა და ასკეტიზმი.

1. კეისარი და რომაული რელიგია

რაკი ჩვენ მსხვერპლშეწირვის, რელიგიური კულტის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილში გავერკვიეთ, ახლა ისევ იულიუს კეისარს და რომაულ რელიგიას მივუბრუნდეთ...

ჯერ კიდევ 84 წელს ქრისტეს დაბადებამდე, 16 წლის გაიუს იულიუს ცეზარი იუპიტერის, რომაულ პანთეონში ღვთაებათა მეთაურის, ცის ღმერთის, მეხთამტყორცნის, ქვეყნის მფარველის და მბრძანებლის, გამარჯვების, ნაყოფიერების, სიუხვის, საყოველთაო ჯანმრთელობის ქურუმად იქნა არჩეული (რომაულ მითოლოგიაში იუპიტერი შეესატყვისებოდა ძველბერძნულ ზევსს). ეს დიდ თანამდებობად ითვლებოდა. კაპიტოლიუმის ბორცვზე აშენებული იუპიტერის ტაძარი ხომ რომის რელიგიური ცხოვრების ცენტრი იყო.

როგორ მოხვდა გაიუს იულიუს ცეზარი, 16 წლის ყმაწვილი, ამ თანამდებობაზე? სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, მანამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ თვით ქურუმის ინსტიტუტზე კაცობრიობის ისტორიაში.

როგორც ცნობილია, ქურუმები შუამავლის როლს ასრულებდნენ ადამიანებსა და ზებუნებრივ ძალებს შორის. მათი ხელმძღვანელობით სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა, ლოცვა, სხვადასხვა ჯადოქრული მანიპულაციები. ცხადია, მათ უზარმაზარი უფლებები და გავლენა ჰქონდათ სხვადასხვა რელიგიებში. ქურუმის მოვალეობას სხვადასხვა ქვეყნებში, ტრადიციულად, ოჯახის მამა ასრულებდა, გვაროვნულ თუ ტომობრივ გაერთიანებებში მმართველი ოჯახის მეთაური, ქალაქში თვით მეფე. მის სამსახურებრივ მოვალეობებში რელიგიურ მხარეს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა, რადგან, სწორედ ის უნდა მოთათბირებოდა

ღმერთებს ყოველგვარ მნიშვნელოვან საქმეზე, მას უნდა შეეწირა მსხვერპლი, მოელბო მათთვის გული და თავის მხარეზე გადმოეყვანა. მასვე უნდა ეზრუნა იმაზე, რომ სათანადოდ დაესაჯა ის ადამიანები, რომელთაც ღმერთი განურისხდებოდა.

ასე იყო ძალზე დიდხანს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფეთა ხელისუფლება და სამმართველო არეალი გაფართოვდა, იმისათვის, რომ მეფე გაენთავისუფლებინათ ზედმეტი დატვირთვისა და მოვალეობისაგან, შექმნილ იქნა სხვადასხვა თანამდებობები, მათ შორის რელიგიურიც.

ეს რელიგიური ფუნქციები დაევალა განსაკუთრებულ ადამიანებს, ან მათგან შექმნილ ჯგუფებს, რომელთაც ქურუმები და მათი კორპორაცია ერქვათ.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა რელიგიისა და ტრადიციის გავლენით ქურუმებს განსხვავებული წარმომადგენლები, სპეციფიკური უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მათი წეს-ჩვეულებანიც. ასევე იყო რომშიც.

ძველ რომაელებს მტკიცედ სწამდათ, რომ დროდადრო ღმერთები მათ მიანიშნებდნენ მოსალოდენელი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. მათი აზრით, ეს ხდებოდა ჭექა-ქუხილით, ფრინველთა ფრენის მიხედვით, იყო სხვა ხასიათის მინიშნებებიც. ზოგჯერ ეს ნიშნები უბრალო და მარტივი იყო. შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო გაერჩია, თუ რა იყო კარგი მოსალოდნელი და რა ცუდი. მაგრამ იყო რთული მინიშნებებიც, რომლის ამოხსნა მხოლოდ სპეციალური ნიჭით და ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს თუ შეეძლოთ. ასეთი მინიშნებების გასაგებად, ჩვეულებრივ, ამ ადამიანებს მიმართავდნენ. რომაელთათვის, მათი რელიგიისათვის, ეს საქმე უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი გახდა და ამ საქმეს ქურუმები უძღვებოდნენ.

ქურუმები რომში მართლაც დიდი გავლენით სარგებლობდნენ, მაგრამ ის უფლებები, რომლებიც ამ პირებს ჰქონდათ, ქურუმთათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ ეკუთვნოდათ მათ, როგორც ხელისუფლებისაგან დანიშნულ რწმუნებულებს. ეს თანამდებობა არჩევითი იყო. შესაბამისად, იგი მემკვიდრეობით არ გადადიოდა. ქურუმთა არჩევითობამ განაპირობა ის, რომ ქურუმობა, როგორც ცალკე კასტა, არ ჩამოყალიბდა. ისინი, ძირითადად, რჩებოდნენ სახელმწიფოებრივი მიზნების და ინტერესების შესრულების იარაღად.

ზოგი მკვლევარის აზრით, ყველა ეს ქურუმი თუ კოლეგია არსებობდა მხოლოდ იმისთვის, რათა ზედმიწევნით და ზუსტად შეესრულებინათ წეს-ჩვეულებები და რიტუალები. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ამ გზით შეენარჩუნებინათ კეთილი დამოკიდებულება ღმერთებისადმი. განუწყვეტლივ შიშს – ურჩობისათვის არ დაესაჯათ ადამიანები, ისინი პასუხობდნენ უხვი და სისტემატური მსხვერპლშეწირვით, რათა საბოლოოდ მოეგოთ მათი გულები.

რომაული რელიგიის მიხედვით რიტუალური მხარე ზუსტად უნდა შესრულებულიყო. იმდენად იმას კი არ ექცეოდა ყურადღება, თუ რას განიცდიდა

თაყვანისმცემელი, როგორი იყო მისი სულიერი მდგომარეობა, რამდენადაც იმას, თუ ფორმალურად როგორ სწორად და ზუსტად სრულდებოდა ეს რიტუალი.

ისტორიკოსთა მტკიცებით, მსოფლიო ისტორიაში ალბათ არ მოიძებნება ისეთი მაგალითი, რომელშიაც რელიგიაში ამდენი ადგილი დაეთმოთ წეს-ჩვეულებების და რიტუალებისათვის და ესოდენ ცოტა მოძღვრებისა და მისი გავრცელებისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო შიშის და იძულების რელიგია. ეს შიში ღვთაებებისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ მათი გადმობირებისათვის ჩატარებულმა მსხვერპლშეწირვებმა მთლიანად დაჩრდილა რელიგიის სხვა ელემენტები.

რელიგიის ასეთი ხასიათი ზუსტად შეესატყვისებოდა რომაელთა ხასიათს, რომელნიც უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენდნენ წესრიგისაკენ, ვიდრე თავისუფლებისაკენ; უფრო მეტად იხრებოდნენ კანონისაკენ, ვიდრე ხელოვნებისაკენ.

იულიუს კეისარი ქურუმის თანამდებობაზე თავისი გავლენიანი ნათესავების პროტექციით აირჩიეს. ამ თანამდებობაზე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის ადამიანი, ვინც პატრიციანელთა გვარიდან იყო. ამის გარდა, იყო სხვა მოთხოვნაც, რომ ასარჩევი პიროვნება უნდა ყოფილიყო ისეთი ოჯახიდან, რომლის მშობლებიც დაქორწინებულნი იყვნენ ძველი რელიგიური რიტუალით, რომელსაც ლათინურად ცონფარრაეტიო ერქვა და რაც, ფაქტიურად, გამორიცხავდა განქორწინებას.

ქურუმის თანამდებობა, რასაკვირველია, საპატიო იყო, მაგრამ მას ბევრი შეზღუდვაც ახლდა თან. ასე მაგალითად, ქურუმს არ შეეძლო ცხენზე შეჯდომა, ჯარის ნახვა, არ შეეძლო ფიცის წარმოთქმა, ბეჭდის ტარება, ქალაქგარეთ ორ ღამეზე მეტი ხნის გატარება, რათა მსხვერპლშეწირვა არ შეწყვეტილიყო. გარდა ამისა, თვითონაც ისევე უნდა დაქორწინებულიყო ჩონფარრეტტო-ს წესით, როგორც მისი მშობლები, ხოლო საცოლე აუცილებლად პატრიციების ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ ამბის გამო, იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის დანიშნულზე – კოსუტიასთან ქორწინებაზე, რომელიც მდიდარი, მაგრამ პლებეური ოჯახიდან იყო წარმოშობილი.

ცეზარს დიდხანს არ მოუხდა იუპიტერის ქურუმის არცთუ ისე რთული, მაგრამ შემაწუხებელი ფუნქციების შესრულება. ზოგის თქმით, კიდევ საკითხავია, ასრულებდა თუ არა რეალურად იგი მას, რადგან ამ თანამდებობის დაკავება და მისი ფუნქციის შესრულება იმდენ ფორმალობებს მოითხოვდა და იმდენხანს იყო გაგრძელებული, რომ ზოგის ვარაუდით, ამისათვის ცეზარს, უბრალოდ, დრო არ ეყოფოდა.

ქრისტემდე 83 წლის გაზაფხულს სამოქალაქო ომი დაიწყო, 82 წელს სულას ჯარებმა რომი აიღეს და დიქტატურა დაამყარეს, რომელიც სახალხო კრების მიერ იყო სანქციონირებული. ბუნებრივია, რომ წინა ხელისუფლების მიერ გაცემული ყველა თანამდებობა გაუქმებულ იქნა. ცეზარს, მართალია, ჯერ კიდევ არა აღიქვამდნენ სერიოზულ მეტოქედ, მაგრამ მისი ნათესავები იმდენად ოდიოზურები იყვნენ, რომ იგი მაინც გადააყენეს თანამდებობიდან.

როგორი იყო იუპიტერის ამ ქურუმის რელიგიური შეხედულებები, რამდენად სერიოზულად აღიქვამდა იგი რომაულ ღმერთებს და მათდამი გათვალისწინებულ მსხვერპლშეწირვებს?

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, იგი სულაც არ უკრთოდა ღმერთებს, არ ეშინოდა არც მათი განრისხებისა და არც შურისგების.

უფრო გვიან, ხელისუფლების სათავეში მოსულმა იულიუს ცეზარმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა უმაღლესი ქურუმის – პონტიფეხ მახიმუს თანამდებობა. მართალია, ბევრის თქმით, იგი აგნოსტიკოსი იყო და რომაელთა რელიგია ნაკლებად აღელვებდა, მაგრამ მას მაინც მოთმინებით და შემწყნარებლობით ეკიდებოდა, ზრუნავდა მის კეთილდღეობაზე, საჭირო თანხებით უზრუნველყოფდა სახელმწიფოებრივ რელიგიურ კულტს. კეისარმა აღადგინა ძველი, დანგრეული ტაძრები, საფუძველი ჩაუყარა ახალს. იგი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ვენერას კულტს.

მიუხედავად სახელმწიფოებრივი რელიგიისადმი ასეთი მზრუნველი დამოკიდებულებისა, იგი შემწყნარებლობას იჩენდა სხვა კულტებისადმიც. სწორედ მან გააუქმა ის შეზღუდვები, რომელიც მანამდე რომში იყო ძველეგვიპტური ისიდას კულტზე. იგი იცავდა იუდეველებსაც, აქტიურად ეხმარებოდა მათ, შეენარჩუნებინათ თავიანთი რწმენა.

ტრადიციების ერთგული კეისარი უხვად სწირავდა მსხვერპლს და ხშირად მიმართავდა მკითხაობას ცხოველთა შიგნეულის მიხედვით. ესეც, ალბათ, უფრო ხალხში ღრმად გამჯდარი რწმენის, ვიდრე საკუთარი შეხედულებების გამო. ეს ამბავი მისმა ბოლო მსხვერპლშეწირვამაც დაადასტურა.

ისტორიკოსთა გადმოცემით, რომში არსებობდა ჩვეულება, რომ სენატში შესვლის წინ კონსულები მსხვერპლს სწირავდნენ. და აი, მისი დაღუპვის დღეს, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, სამსხვერპლო ცხოველს, რომელიც ტრადიციულად უნაკლო უნდა ყოფილიყო, გული არ აღმოაჩნდა. უხერხული ვითარება შეიქმნა. შეწუხებულმა ცეზარმა, იმისათვის, რომ გაექარწყლებინა ასეთი დამამძიმებელი ატმოსფერო, რაც კარგს არას უქადდა მას, სიცილით თქვა, რომ მას ასეთი რამ უკვე შეემთხვა ესპანეთში ომის დროს, როდესაც იგი გნეუს პომპეუსის შვილებს ებრძოდა, რაზედაც ქურუმმა უპასუხა, რომ კეისარს მაშინაც სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. ახლა კი ვითარება უფრო არახელსაყრელი იყო. ცეზარმა უბრძანა ახალი ცხოველი მოეყვანათ და მსხვერპლშეწირვა ხელახლა ჩაეტარებინათ. მაგრამ არც ამ ახალმა ცდამ გამოიღო სასიკეთო შედეგი. ცხოველის შიგნეული ცუდი ამბების მაუწყებელი იყო...

სენატში საცაა სხდომა უნდა დაწყებულიყო და შემდგომი შეფერხება ცეზარმა უხერხულად მიიჩნია. იგი წავიდა თავისი ადგილისაკენ და მთხოვნელებით გარშემორტყმული ჩაჯდა სავარძელში. ამით ისარგებლეს შეთქმულებმა, კეისარს თავს დაესხნენ და 23 ჭრილობა მიაყენეს. აქედან ერთი სასიკვდილო აღმოჩნდა...

ორი წლის შემდეგ გონსმოსულმა რომის სენატმა კეისარი ღვთაებად გამოაცხადა და მისი კულტი მთელ იმპერიაში გაავრცელა...

გაზეთი “ახალი საქართველო” 5-11 ნოემბერი, 12-18 ნოემბერი,

18-24 ნოემბერი - 1998 წელი.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ძვირფასო მკითხველო! როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა XX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე რელიგიური პროცესები. ამ თემაზე ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან შევარჩიეთ ყველაზე აქტუალური შრომები, დიალოგები, სტატიები და ინტერვიუები. ცხადია, ჩვენი წიგნი ვერ ასახავს ყველა მტკივნეულ პრობლემას, რომელიც ამ პერიოდს ახასიათებს, მას არც დაუსახავს მიზნად , პასუხი გაეცა ყველა დასმული კითხვისთვის, მითუმეტეს ცალსახად გადაეწყვიტა ისინი, მაგრამ ავტორი შეეცადა ეპოვა რელიგიათშორის ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების ტენდენციები და ეჩვენებინა მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები, წარმოეჩინა ამ საკითხების გადაწყვეტის სიძნელე და სირთულე.

დღეისათვის, მიუხედავად საქართველოს ისტორიული იმიჯისა, როგორც ტოლერანტული და რჯულთშემწყნარებელი ქვეყნისა, აშკარად არ არის მშვიდობა რელიგიურ კონფესიებს შორის. თუ ქვეყნის მთავარ კონფესიას, მართლმადიდებელ ეკლესიას, საქართველოში არსებულ ტრადიციულ რელიგიებთან _ იუდაიზმთან, ისლამთან, სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან და კათოლიციზმთან ნაკლებად აქვს სადავო (თუმცა მათთან მიმართებაშიც დაისმის გარკვეული კითხვები ეკლესიათა კუთვნილების, ახალი ეკლესიების მშენებლობის, ქონებრივი საკითხების და ა. შ.), რადგან მათთან ადრევე მოხდა მრევლისა და გავლენის სფეროების გამიჯვნა, სამაგიეროდ მეტად მწვავე და კონფლიქტურია მისი დამოკიდებულება ე.წ. არატრადიციულ რელიგიებთან, რომლებიც მას გავლენასა და მრევლში ეცილებიან. ამ უკანასკნელთ მართლმადიდებლები ადანაშაულებენ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ისტორიული რელიგიის _ მართლმადიდებლობის უფლებათა ხელყოფაში და არაკანონიერ პროზელიტიზმში.

XXI საუკუნე ახლახან დაიწყო, მაგრამ მან უკვე მოიტანა თავისი პრობლემები და სიძნელეები. უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ რელიგიური ფაქტორი კვლავ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება დამდგარ საუკუნეშიც.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ საჰაერო ტერაქტებს რელიგიური შეფერილობა ჰქონდა, მათში ნათლად აისახა მუსლიმანური ჯიხადის, ურწმუნოთა წინააღმდეგ რელიგიური წმინდა ომის იდეა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა და გაამძაფრა იმ ადამიანთა ეჭვები, რომლებიც XXI საუკუნეში ცივილიზაციათა შეჯახებას წინასწარმეტყველებენ.

ამერიკაში მომხდარმა ამ არნახულმა ტერორისტულმა აქტმა თავისი კორექტივება შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაში. დაიწყო ტერორიზმის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა. ჯერ ავღანეთში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ტერორისტების ლიდერის ბინ-ლადენის და მისი მომხრეების ძებნა მთელ მსოფლიოში. ერთხანს მის ადგილსამყოფლად პანკისის ხეობასაც კი ასახელებდნენ.

ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები, ვაჰაბიზმის გავრცელება პოსტსაბჭოურ სივრცეში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, ქმნის იმის საშიშროებას, რომ საქართველოც ჩართული იქნება ამ პროცესში.

დღეს რელიგიური პროცესები საქართველოში დინამიკური და უმართავია. ის, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება, დიდი ხნის მანძილზე რელიგიური კონფესიებისა და ორგანიზაციების უუფლებობით და მათი სურვილების ჩახშობით არის გამოწვეული. ეს არის ბუნებრივი რეაქცია სასულიერო პირებისა, დაიკავონ შესაფერისი ადგილი შეცვლილ ვითარებაში. რა იქნება ხვალ ქვეყნის შიგნით, რა როლს შეასრულებს რელიგია საზოგადოების ცხოვრებაში, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, როგორი ურთიერთობები დამყარდება სხვადასხვა კონფესიებსა და დენომინაციებს შორის, რამდენად ექნება ადამიანს უფლება აირჩიოს მისთვის სასურველი რელიგია, რამდენად იქნება დაცული რელიგიური უმრავლესობის უფლებები, რელიგიური უმცირესობების უფლებები, ათეისტთა უფლებები, როგორ განვითარდება რელიგიათშორისი, კონფესიონალური ურთიერთობები, ამას უახლოესი წლები გვიჩვენებს...

ამასობაში კი, ერთი რამ უდავო ხდება: იმისათვის, რომ რელიგიური კონფლიქტები ჩაცხრეს და აღმოიფხვრას, აუცილებელია, რომ ქვეყანაში ვითარება დაწყნარდეს, ოდნავ მაინც გამოსწორდეს ქვეყნის სოციალური პირობები, გამოირიცხოს იმისი იძულება, რომ ლუკმაპურისთვის ან წამლისთვის ადამიანმა თავისი ტრადიციული, მამა-პაპათა მიერ სისხლით დაცული რელიგიური რწმენა დათმოს და სხვა რწმენაზე გადავიდეს. მეორე მხრივ, დრომ და ადამიანთა ძალისხმევამ უნდა დაარეგულიროს ადამიანთა უფლებები, პირველ რიგში, კი სინდისის თავისუფლება. ადამიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ, აირჩიონ სასურველი რელიგია და ამ არჩევანის გაკეთებაში არავინ არ უნდა ჩაერიოს.

ისეთ მრავალეროვან და მრავალრელიგიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თუ გვინდა ერთიანად შეკრული სახელმწიფო გვქონდეს, არ უნდა გამოვარჩიოთ პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი მოქალაქეები მათი რელიგიური კუთვნილების მიხედვით. რელიგიური რწმენა არ უნდა იყოს პირველ პლანზე გამოტანილი. ამის გაკეთება აუცილებელია, რათა საქართველო შედგეს როგორც სახელმწიფო, იმისათვის, რომ მას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც საკუთარი მოქალაქეები, ისე ჰუმანური და დემოკრატიული ქვეყნები.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ასეთ პროცესს ხელს უშლის საქართველოს უმწეო მდგომარეობა. ის, რომ დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; ის, რომ ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ყველა რეგიონზე არ ვრცელდება; ის, რომ გვაქვს კონფლიქტური ზონები; ის, რომ ქვეყანაში არსებობს უცხოური სამხედრო

ბაზები; თითქმის აღარ მუშაობენ ქარხნები და ფაბრიკები, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა; ბევრი ადამიანი შიმშილობს, ზოგი მათხოვრობით ირჩენს თავს, ზოგი კი უკიდურეს სასოწარკვეთილებაში მყოფი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ასეთ მძიმე ვითარებაში იოლად ღვივდება ეთნიკური და რელიგიური შუღლი. ადამიანები სულ ეძებენ, ვინ არის მათ უბედურებაში დამნაშავე. ხშირ შემთხვევაში ასეთ მტრად უცხო ტომისა და უცხო რელიგიის წარმომადგენლებს მიიჩნევენ. როდესაც მდგომარეობა გამოსწორდება, ქვეყანა დალაგდება და ნორმალურ სახელმწიფოს დაემსგავსება, ცხადია, ასეთ რელიგიურ დაპირისპირებებსაც ბოლო მოეღება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე მოხდება ვითარების სტაბილიზაცია, შეიქმნება ადამიანთა არსებობისათვის ნორმალური პირობები, მოისპობა რელიგიური დაპირისპირებანი და აღარ განმეორდება სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის ცემა-ტყეპის ფაქტები, რელიგიური წიგნების კოცონზე დაწვა და სხვა ვანდალური ქმედებანი.

მე მჯერა, რომ დემოკრატიული, ჰუმანური, ტოლერანტული და ადამიანის უფლებათა ჭეშმარიტი დამცველი საქართველო ნამდვილად გაბრწყინდება.

რ ე ზ ი უ მ ე

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე ჯერ მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს ქრისტიანობა, შემდეგ კი ნინო კაპადოკიელმა დაამთავრა მათი საქმე, რის შედეგადაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდა.

ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ატარა თავისი რჯული. მიუხედავად იმისა, რომ იგი გარშემორტყმული იყო სხვა რელიგიის მაღიარებელი მტრებით, რომლებიც მის დაპყრობას და გამუსლიმანებას ცდილობდნენ, ქრისტიანობა აღმოჩნდა ის დროშა, დამოუკიდებლობის ის სიმბოლო, რომლითაც ქართველმა ხალხმა გამოიარა მთელი თავისი ისტორია.

საქართველო ოდითგანვე მრავალეროვნული და მრავალრელიგიური ქვეყანა იყო. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აქ გავრცელებული იყო იუდაიზმი, ისლამი, სომხურ-გრიგორიანული რწმენა და კათოლიციზმი. მიუხედავად ასეთი მრავალეროვნებისა და მრავალრელიგიურობისა საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ტოლერანტული, შემწყნარებლური ხასიათით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისის ერთ პატარა უბანში, რამდენიმე ასეულ მეტრში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს მართლმადიდებელი ეკლესია, ისლამური მეჩეთი, იუდაური სინაგოგა და სომხურ-გრიგორიანული ეკლესია.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის გამო, საქართველოში გავრცელდა არატრადიციული რელიგიები, სხვადასხვა სექტები; მათ შორის: მალაკნები, დუხაბორები და მენონიტები. უფრო გვიან, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამოჩნდნენ ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები, კიდევ უფრო გვიან იეღოვას მოწმეები, კრიშნაიტები, ბაჰაის მიმდევრები, ახალსამოციქულო ეკლესია, ხსნის არმია და ა. შ. ამ რელიგიური დენომინაციების წარმომადგენლებმა ისარგებლეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობით, რაც გამოწვეული იყო რუსეთის ეკლესიის მიერ მისთვის ავტოკეფალიის ჩამორთმევით, შემდეგ კი კომუნისტურ-ათეისტური ხელისუფლების ბატონობით და თანდათან დაიწყეს მისი მრევლის გადაბირება.

სანამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში კომუნისტები იყვნენ და ყველა რელიგიური კონფესია ერთნაირ, დევნილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეს წინააღმდეგობა ნათლად არ ჩანდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, უარი თქვა კომუნისტურ მსოფლმხედველობაზე და რელიგიურ ორგანიზაციებს აქტიური მოქმედების საშუალება მიეცათ, დაპირისპირებამ სწორედ მაშინ იჩინა თავი, რადგან მორწმუნეთა გულების და გონების მოპოვებისათვის დაწყებულ დიდ მარათონში სასტარტო მდგომარეობა ერთნაირი არ აღმოჩნდა. ბარიერის ერთ მხარეს იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, დაჩაგრული და ავტოკეფალიაწართმეული რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი ფაქტიურად უფლებააყრილი კომუნისტური რეჟიმის მიერ. მეორე მხარეს იყვნენ არატრადიციული დენომინაციები იატაკქვეშა მოძრაობის და პროზელიტიზმის დიდი გამოცდილებით, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ მდიდარი და გავლენიანი “დედა ორგანიზაციები~ უმეტესად დალაგებულ და მოწესრიგებულ ქვეყნებში.

ასეთმა გამწვავებულმა ვითარებამ ქვეყანაში კონფესიური შუღლი და დაპირისპირება წარმოშვა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შეეცადა დაებრუნებინა თავისი გავლენა ტრადიციულ მრევლზე და აელაგმა არატრადიციული რელიგიების არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი, რამაც აშკარა კონფესიური დაპირისპირების სახე მიიღო.

წიგნი “რელიგიური პროცესები საქართველოში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე~ ასახავს იმ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში აღნიშნულ პერიოდში. მის პირველ თავში საუბარია კაცობრიობის ზნეობრივ-რელიგიურ პერსპექტივებზე XXI საუკუნეში. მსოფლიო მოვლენათა ფონზე ავტორი ვრცლად განიხილავს რელიგიურ ცხოვრებას საქართველოში, მის სპეციფიკას და ტოლერანტულ ხასიათს, მიმოიხილავს ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთმიმართებას. რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობას საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში, არჩევს ეროვნულ ურთიერთობებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიურ კონფესიათა ურთიერთობისათვის. პირველი თავის ბოლოს ავტორი სოციოლოგიური კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით არკვევს, თუ რამდენად დაუბრუნდა ღმერთს ქართველი ახალგაზრდობა.

წიგნის მეორე თავი მთლიანად დათმობილი აქვს რელიგიურ უმცირესობებს, მათ შემოსვლას საქართველოში, საქმიანობას და თანამედროვე მდგომარეობას. დახასიათებულია როგორც ძველი რელიგიური უმცირესობები (იუდეველები, ისლამის მიმდევრები), ისე შედარებით ახალი დენომინაციები (ბაპტიზმი, იეღოველობა, კრიშნაიზმი, ახალსამოციქულო ეკლესია, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული რელიგიური მოძრაობა).

წიგნის მესამე თავში ლაპარაკია საქართველოში დღესდღეობით მიმდინარე რელიგიური ცხოვრების შესახებ, თანამედროვე საზოგადოებისა და მართლმადიდებელი სამღვდელოების ურთიერთობის შესახებ.

შემდგომ თავებში შეტანილია ინტერვიუები როგორც წიგნის ავტორთან, ისე ავტორისა _ სხვადასხვა ქვეყნის და აღმსარებლობის თეოლოგებთან. ფართო ადგილი ეთმობა რელიგიის საკითხებზე პოლემიკურ წერილებს სხვადასხვა მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან, მწერლებთან და ჟურნალისტებთან.

წიგნს, ცხადია, არა აქვს პრეტენზია პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც ჩნდება XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე რელიგიური პროცესების ირგვლივ, მაგრამ იგი აჩვენებს ამ პერიოდში არსებულ რელიგიურ ტენდენციებს, კონფესიათშორის არსებულ ძირითად წინააღმდეგობებს და ეძებს მათი გადალახვის გზებსა და საშუალებებს.

ავტორს იმედი აქვს, რომ ასეთი დრო საქართველოში უეჭველად მალე დადგება. ქვეყანაში კონფესიათა შორის მშვიდობა დაისადგურებს, აღდგება ქართველთათვის ისტორიულად დამახასიათებელი ტოლერანტობა. ეს კი საწინდარი იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და უმაღლესი ზნეობის ზეიმისა. საქართველო მალე უნდა ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგში. ამას იგი იმსახურებს თავისი დიდი წარსულით, კულტურით, ხელოვნებით და სულიერებით.

S U M A R Y

Religious Processes at the Edge of the XX and XXI Centuries

Georgia is one of the most ancient Christian countries. St. Apostles Andrew the First, Simon of Canaan and Matthias preached Christianity on its territory, then St. Nino from Cappadocia completed their work and as a result of it the Christianity was announced as the state religion of Georgia.

For many centuries Georgian people used to bear their own religion with great love and faithfulness. In spite of the fact that Georgia was surrounded by enemies of different religions, who tied to occupy the country and turn it into Moslem, Christianity appeared to be the flag and symbol of independence with which Georgian people have passed through their whole history.

Georgia is primordially multinational and multireligious country where Judaism, Islam, Armenian Gregorian and Catholic religions were spread since very early stage of the state's existence.

In spite of this multinational and multireligiousness Georgia always was distinguished by its tolerant character. It is well known all over the world that even in small parts of Tbilisi, on the territory of some hundred meters, different churches such as Orthodox church, Moslems' mosque, Judaic synagogue and Armenian Gregorian Church are functioning.

Since the times when Georgia became the part of Russian Empire in the XX century, non-traditional religiouns and different sects were spread on its territory. Among them there were Malakans, Dukhobores, Menonites. Later on, at the edge of the XXI century Baptists, Pentecostolists, Adventists, and after this period